ResearchGate

See discussions, stats, and author profiles for this publication at: https://www.researchgate.net/publication/324952851

Coverage of the Process of the Georgian National Consolidation in Print Media. Georgians as Readers of "Iveria"

Book · May 2018

CITATIONS
2

READS
1,486

2 authors:

Mariam Chkhartishvili
Tbilisi State University
170 PUBLICATIONS **44** CITATIONS
SEE PROFILE

Ketevan Mania
Tbilisi State University
12 PUBLICATIONS **3** CITATIONS
SEE PROFILE

All content following this page was uploaded by Mariam Chkhartishvili on 03 March 2020.

The user has requested enhancement of the downloaded file.

მარიამ ჩხარტიშვილი
ქეთევან მანია

ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში

ივერია და მისი მკითხველი საქართველო

I

სამეცნიერო სერია

ქართული ერთობა და მისი იდენტობა: იდეები, სიმბოლოები, პერცეფციები

ტომი IV

Scientific Series

Georgian Community and Its Identity: *Ideas*, *Symbols*, *Perceptions*

Volume IV

Mariam Chkhartishvili
Ketevan Mania

Coverage of the Process of the Georgian National Consolidation in Print Media

Georgians as Readers of *Iveria*

I

მარიამ ჩხარტიშვილი
ქეთევან მანია

ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში

ივერია და მისი მკითხველი საქართველო

I

სამეცნიერო პროექტი ***ბეჭდური მედია და ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესი: ილიას "ივერია"*** (გრანტი NG-02-08) განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The project ***Printed Media and the Process of Shaping of the Georgian National Identity: Ilia's "Iveria"*** has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (Grant NG-02-08). All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinion of the Foundation itself.

© მარიამ ჩხარტიშვილი, ქეთევან მანია, 2011
Mariam Chkhartishvili, Ketevan Mania, 2011

გამომცემლობა "უნივერსალი"
ილია ჭავჭავაძის გამზ. 19, თბილისი, 0179, საქართველო
ტელ.: 995322223609, მობ.: 995599172230, ელ-ფოსტა: universal@internet.ge

Publishing House "Universal"
19, Ilia Chavchavadze Ave., Tbilisi, 0179, Georgia
Phone: 995322223609, Mobile: 995599172230, e-mail: universal@internet.ge

ISBN

წიგნი ეძღვნება კოლეგისა და მეგობრის

ლელა პატარიძის

ნათელ ხსოვნას

შინაარსი

წინასიტყვა ……..…….. 9–10

შესავალი ……..…….. 11–33

თეორიული საფუძველი 34–76

ისტორიული ფონი: ქართული ნაციონალიზმის წარმოშობა 77–101

წყაროში დაცული მასალის ანალიზი: *ივერია* 1877–1891 წლებში ..... 102 –476

1. *ივერიის* 1877–1881 წლების ნომრები 102–274

2. *ივერიის* 1882–1886 წლების ნომრები 274–373

3. *ივერიის* 1887–1891 წლების ნომრები ……...……. 373–476

ქართველი ერის იდეა და ილიას *ივერია* ……. 477–537

ბოლოსიტყვა 538–541

რეზიუმე ინგლისურ ენაზე 542–546

Contents

Foreword **9–10**

Introduction **11–33**

Theoretical Foundation **34–78**

Historical Background: Emergence of Georgian Nationalism **77–101**

Data Analysis: *Iveria* in 1877–1891 ..... **102–476**

1. 1877–1881 Issues of *Iveria* 102–274

2. 1882–1886 Issues of *Iveria* 274–373

3. 1887–1891 Issues of *Iveria* 373–476

The Idea of Georgian Nation and Ilia's *Iveria* **477–537**

Epilogue **538–541**

Summary in English **542–546**

წინასიტყვა

წინამდებარე გამოკვლევა არის ნაწილი იმ პროექტისა, რომელიც განხორციელდა სსიპ ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) მიერ დაფინანსებული პროექტის – *მეჩდური მედია და ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესი: ილიას "ივერია"* (2008–2010 წლები) – ფარგლებში.

> კოლექტიური კულტურული იდენტობა მეტად რთული, მრავალგანზომილებიანი, ცვალებადი და განგრძობადი ფენომენია. დღესდღეობით კულტურისა და ისტორიის მიმართულების კვლევებში ამ ფენომენის გაუთვალისწინებლობა წარმოუდგენლად გვესახება. ამ ფენომენის კვლევის აქტუალიზაციას განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტად მივიჩნევთ. ქართული ერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის რეკონსტრუქცია ერთი გამოკვლევის ფარგლებში და ერთი ავტორისათვის ძნელად დასაძლევი ამოცანაა. ამიტომ გადავწყვიტეთ ჩამოგვეყალიბებინა სამეცნიერო შრომათა სერია *ქართული ერთობა და მისი იდენტობა: იდეები, სიმბოლოები, პერცეფციები* და მონოგრაფიული ნაშრომების ციკლის მეშვეობით წარმოგვედგინა ქართული იდენტობის განვითარების მრავალმხრივი სურათი სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის სხვადასხვა პლასტის აქცენტირებით.

ესაა ციტატი ასევე სსიპ ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) მიერ დაფინანსებული პროექტის *კოლექტიური კულტურული იდენტობანი რელიგიური მოქცევის კონტექსტში: ქართული მაგალითის კვლევა და განზოგადებანი* (2006–2008 წლები) ფარგლებში შესრულებული მარიამ ჩხარტიშვილის მონოგრაფიის *ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში* (თბილისი, გამომცემლობა "კავკასიური სახლი", 2009) წინასიტყვიდან, რომელიც წარმოადგენს ციტატში ხსენებული სერიის მესამე წიგნს და შეეხება ქართული იდენტობის ეთნიკური განვითარების გარკვეულ ეტაპს.

წინამდებარე მონოგრაფია, აგრეთვე, ეძღვნება ქართული იდენტობის ისტორიას. მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად კვლევის

ფოკუსში თვისებრივად სხვა ისტორიული სინამდვილე ანუ ნაციონალური კონსოლიდაციის ეპოქაა მოქცეული, ნაშრომი არსებითად აგრძელებს წინა პროექტში დაწყებულ სამეცნიერო ძიებებს, რომელთა მიზანი, საბოლოო ჯამში, ქართული იდენტობის მთელი ისტორიის რეპრეზენტაციაა. ამიტომაც ეს წიგნი, აღნიშნული სერიის მომდევნო, ანუ მეოთხე, ტომად მოვიაზრეთ.

სამეცნიერო სერიის *ქართული ერთობა და მისი იდენტობა: იდეები, სიმბოლოები, პერცეფციები* ჩამოყალიბების იდეა ეკუთვნის ჩვენს კოლეგასა და მეგობარს, აწ განსვენებულ ლელა პატარიძეს, რომელიც იყო ზემოთ ხსენებული როგორც პირველი, ასევე მეორე საგრანტო პროექტის მონაწილე. ამ უკანასკნელის განხორციელება მას, სამწუხაროდ, არ დასცალდა: უკურნებელი სენით დაავადებული პროექტის დაწყებიდან სულ რამდენიმე თვეში გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, მთელი ამ ხნის განმავლობაში ის სულიერად ჩვენთან იყო, მისი გამოკვლევები ქართული იდენტობის ისტორიის შესახებ ჩვენი სამეცნიერო შთაგონების უშრეტ წყაროსა და კვლევა-ძიებისათვის უმნიშვნელოვანეს იმპულსს წარმოადგენდა.

ამ ნაშრომს ლელა პატარიძის ნათელ ხსოვნას ვუძღვნით.

მარიამ ჩხარტიშვილი
ქეთევან მანია

თბილისი
21 თებერვალი, 2011 წელი

შესავალი

გამოკვლევის მიზანი და წიგნის სტრუქტურა

დარწმუნებული ვართ, რომ წინამდებარე ნაშრომის სათაური პროფესიონალ მკითხველს გარკვევით მიუთითებს არა მარტო გამოკვლევის ობიექტსა და საგანზე, არამედ დაახლოებით წარმოადგენინებს ჩვენ მიერ განსაზღვრული პრობლემებისა და მათ გადასაჭრელად დასახული ამოცანების წრესაც. მაგრამ, რადგან ვფიქრობთ, რომ ამ წიგნის მომხმარებელნი იქნებიან დამწყებნიც ანუ ისინიც, ვინც ახლახან ჩაერთნენ ეთნიკუროზისა და ნაციონალიზმის კვლევებში, საჭიროდ მივიჩნევთ ქვემოთ რამდენადმე ვრცლად ვიმსჯელოთ საკითხის დასმის, მისი თეორიული საფუძვლის თუ გამოკვლევის სტრუქტურის შესახებ.

როგორც აღინიშნა, ჩვენ სამეცნიერო ძიებათა ფოკუსშია ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესი.

მოკლედ და არსობრივად რომ ვთქვათ, ნაციონალური კონსოლიდაცია ესაა სოციალური მოძრაობა, რომლის მიზანს ნაციის შექმნა წარმოადგენს. ამ მოძრაობის წარმართველია ნაციონალიზმი – ნაციის კეთილდღეობის მიზნის მქონე იდეოლოგია.

კვლევის ობიექტის არჩევანის თვალსაზრისით ჩვენი ნაშრომი არ წარმოადგენს რაიმე უჩვეულო ფაქტს. ისტორიკოსთა ყურადღებას ყოველთვის იპყრობდა და იპყრობს კოლექტიურ კულტურულ იდენტობებზე დაფუძნებული ერთობები ანუ ნაციები. თანამედროვე ისტორიოგრაფია არსებითად ესაა დისკურსი ნაციების წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შესახებ. აღნიშნული ვითარება პოლიტიკური რეალობის ამსახველია: მიუხედავად გლობალიზაციის პროცესის ინტენსიური განვითარებისა და მრავალი ტრანსნაციონალური ერთობის აღმოცენებისა, ნაციონალური იდენტობა კვლავაც მყარია. ნაცია-სახელმწიფოები დღემდე რჩებიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად და, როგორც მიუთითებენ, მსოფლიო წესრიგიც სხვა არაფერია თუ არა ნაციათა წესრიგი.

ნაციის ფენომენის შესწავლას არსების დონეზე საკმაო წარმატებით ხორციელდება სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ჩარჩოებში. რაც შეეხებათ ისტორიკოსებს, ისინი ცდილობენ (ყოველ შემთხვევაში, უნდა ცდილობდნენ) თანამედროვე თეორიული დისკურსის მონაპოვრები მისადაგონ კონკრეტულ საზოგადოებებს და ამ გზით მოაწესრიგონ მათ ხელთ არსებული ფაქტობრივი მონაცემები.

ჩვენი კვლევის მიზანი ამჯერად სწორედ ესაა. ნაციონალური კვლევების დარგში არსებული თეორიული ცოდნის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ქართული მედია საშუალების მაგალითზე დავუკვირდეთ ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესს, კერძოდ, ამ პროცესის განვითარებას მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლებიდან ვიდრე მეოცე საუკუნის პირველი ათწლეულის შუა ხანებამდე დროით მონაკვეთში. ჩვენი კვლევა შეეხება კონკრეტულად 1877–1906 წლებს ანუ პერიოდს, როცა გამოდიოდა *ივერია*. სწორედ ესაა ის ძირითადი წყარო, რომელსაც ჩვენ ვაფუძნებთ ისტორიულ რეპრეზენტაციას.

ივერიის მასალები ფართოდ არის შემოტანილი სამეცნიერო ბრუნვაში. სხვადასხვა პრობლემის შესწავლისას მკვლევრები ხშირად აკეთებენ მითითებას *ივერიის* პუბლიკაციებზე. მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი, ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტური მემკვიდრეობის სახით, გამოქვეყნებულია მის თხზულებათა მრავატომეულებში. ისინი, განსაკუთრებით, ილიას ნაწერები, უხვად გვხდება ამა თუ იმ ვებ-გვერდზეც. მიუხედავად ამისა, მთლიანობაში *ივერია*, როგორც ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესის ამსახველი ისტორიული წყარო, არასოდეს ყოფილა წარმოდგენილი, თუ არ ჩავთვლით ამავე პროექტის ფარგლებში შესრულებულ რამდენიმე გამოქვეყნებულ ნაშრომს. ჩვენ ვცდილობთ ამ ხარვეზის შევსებას. ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ხშირად საკმაოდ ვრცლად წარმოვადგენთ *ივერიის* პუბლიკაციების შინაარსს.

შეიძლება შემოგვედავონ: *ივერიაში* ეროვნული პრობლემატიკის გაშუქება ყოველთვის იყო განხილვის საგანი, განა ეს იგივე იდენტობის კვლევა არაა?

უნდა ცალსახად განვაცხადოთ, რომ არა. განსხვავებას მონაცემთა ანალიზის კუთხით მკითხველი ნათლად დაინახავს მას შემდეგ,

რაც კონკრეტული მასალის შემცველ ძირითად ნაკვეთს გაეცნობა. აქ მხოლოდ რამდენიმე ფაქტზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება.

ტრადიციულად მიუთითებენ, რომ *ივერია* აღვიძებდა ეროვნულ გრძნობებს. ჩვენ კი, გამომდინარე იმ თეორიიდან, რომელსაც ვაფუძნებთ ამ გამოკვლევას, ვთვლით, რომ *ივერია* თავად ქმნიდა ამ გრძნობებს და აბამდა ნაციონალური სოლიდარობის ძაფებს მის მკითხველთა შორის.

ხშირად *ივერიას* (ისევე, როგორც საზოგადოდ ბეჭდურ მედიას) იყენებენ როგორც წყაროს პირდაპირი ინფორმაციისათვის. ჩვენ კი, როგორც იდენტობის ისტორიის მკვლევართ, უპირველესად ამ წყაროში დაცული ირიბი ინფორმაცია გვაინტერესებს.

უფრო ნათელი რომ იყოს რას ვგულისხმობთ, მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს: რომელიმე ხალხის ისტორიის შესახებ სტატიის (ასეთი პუბლიკაციები ხშირია *ივერიაში*) განხილვისას ჩვენ იმის დადგენას კი არ ვცდილობთ, რამდენად სწორი ინფორმაცია მოგვეწოდება ამა თუ იმ ხალხის შესახებ, არამედ ვუკვირდებით კოლექტიური კულტურული იდენტობის საფუძველზე აღმოცენებულ ერთობათა აღსანიშნავად იქ გამოყენებულ ტერმინოლოგიას.

ივერიის პუბლიკაციების ანალიზი ხშირად ხდებოდა განცალკევებულად, ქართული ნაციონალური იდენტობის ფორმირების პროცესის კონტექსტისაგან მოწყვეტით. მაგალითისათვის გვინდა მოვიხმოთ ბოლო ხანებში გამოქვეყნებული ი. ვადაჭკორიას სტატია *გაზეთი "ივერია" საქართველოს ისტორიის წყაროებისა და გამოქვეყნებული მეცნიერული ლიტერატურის შესახებ* (1886–1889), რომელშიც, როგორც ეს სათაურიდანაც კარგად ჩანს, *ივერიის* ფურცლებზე ისტორიის შესახებ გამოკვლევების და ისტორიული წყაროების პუბლიკაციის შემთხვევებია აღნუსხული. თავისთავად საინტერესო სტატიაა მასალის შეკრების თვალსაზრისით, მაგრამ ერთგვარი უკმარობის განცდას აღძრავს მისი დასკვნები:

> ამრიგად, 1) ახლად გამოვლენილი საქართველოს ისტორიის წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესახებ გაზეთ *ივერიაში* გამოქვეყნებული მიმოხილვითი ხასიათის პუბლიკაციები, პირველ რიგში, აღნიშნული ფაქტისადმი საქართველოს ისტორიის მკვლევართა და მკითხველი საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ითვალისწინებდა. 2) წარსულის ღირსშესანიშნავი ფაქტებისა და მოვლენების ფონზე, ისტორიული

პიროვნებების ნაღვაწის პოპულარიზაციით, გაზეთი *ივერია* ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებასა და წარსულისადმი პატივისცემის გაცოცხლებას ისახავდა მიზნად.[1]

აქ საქმე იმგვარად არის წარმოჩენილი, რომ თითქოსდა *ივერია* უკვე არსებულ ეროვნულ თვითცნობიერებას ამაღლებდა და აცოცხლებდა. მართალია, თავად გაზეთი სწორედ ასე გვიხატავდა ვითარებას, რადგან ნაციონალისტური რიტორიკა ნაციის პრიმორდიალურ ხედვას გულისხმობს: თითქოს ნაციას ახლად კი არ ქმნიან ნაციონალისტები, არამედ ახდენდნენ უკვე არსებულის რეგენერეციას. მაგრამ ესაა, როგორც ითქვა, ნაციონალისტური ხედვა. რეალურად რაც ხდებოდა ამ შემთხვევაში, ისაა, რომ *ივერია,* აყალიბებდა ქართულ ნაციონალურ იდენტობას საერთო ეთნიკური (და არა ნაციონალური, რომელიც ამ დრომდე არ არსებობდა) წარსულის აქტუალიზაციის გზით.

ი. ვადაჭკორიას მიერ გაანალიზებული (და სხვა მრავალი ამდაგვარი) პუბლიკაცია უნდა განხილულ იქნას, როგორც ქართული ნაციონალიზმის მახსოვრობითი სტრატეგიის ერთ-ერთი გამოვლინება: ისტორიის საკითხებზე დისკურსით *ივერია* ხელს უწყობდა ქართული ნაციონალური იდენტობის უმნიშვნელოვანესი მარკერის – ქართული ნაციონალური ისტორიოგრაფიული ნარატივის – ფორმირებას.

ცხადია, შეუძლებელი იყო *ივერიის* მრავალწლიანი მოღვაწეობის ყველა ასპექტის სრულად წარმოჩენა. მასალას ჩვენ გარკვეული კუთხით ვუდგებოდით და ამის გამო არჩევანის გაკეთების

[1] ი. ვადაჭკორია. გაზეთი *ივერია* საქართველოს ისტორიის წყაროებისა და გამოქვეყნებული მეცნიერული ლიტერატურის შესახებ (1886–1889). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. თბილისი, უნივერსალი, 2010, გვ. 95-96. საზოგადოდ, ამგვარი აღქმა ბეჭდური მედიის ფუნქციისა დამახასიათებელია ქართული ისტორიოგრაფიისათვის: "ამრიგად, გაზეთი *ისარი* სოციალ-ფედერალისტური პრესის ერთ-ერთი საუკეთესო ორგანო იყო. ის აგრძელებდა ილია ჭავჭავაძის *ივერიის,* სოციალ-ფედერალისტური *ცნობის ფურცლის, საქართველოს, შრომის, მეგობრის* იდეურ-პუბლიცისტურ მიმართულებებს, უდიდეს როლს თამაშობდა ერის გამოფხიზლების, რუსეთის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისა და ეროვნული კულტურის შენარჩუნების საქმეში". იხ. ნ. მიქელაძე. განათლების საკითხი გაზეთ *ისარში.* ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები (რედ. ა. სონღულაშვილი), 2009, 1 (5), გვ. 32.

პრობლემა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი წერილი უფრო ვრცელი განხილვის საგნად გვექცია, რომელი ნაკლებად დეტალურად გაგვერჩია ან რომელს სულაც არ შევხებოდით, მუდმივად იდგა ჩვენს წინაშე.

მიუხედავად მასალის კონკრეტული ამოცანიდან გამომდინარე შერჩევისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შევძელით წარმოგვედგინა *ივერიის*, როგორც გარკვეული სოციალური პროფილის მქონე მედია–საშუალების, მეტ-ნაკლებად სრული სურათიც.

მოძიებული მასალის სიუხვემ და მისი შემოკლების შეუძლებლობამ განაპირობა საგრანტო პროექტით გათვალისწინებული გამოკვლევის დიდი მოცულობა.[2] ამიტომ გადაწყდა ნაშრომის გამოქვეყნება ორ ნაწილად: წინამდებარე, ანუ პირველ, ნაწილში სამეცნიერო ძიება ეფუძნება 1877–1891 წლების *ივერიის* მონაცემებს. მომდევნო, ანუ მეორე ნაწილში წარმოდგენილი იქნება 1892–1906 წლების ნომრების შესწავლაზე დაფუძნებული კვლევის შედეგები.

აღნიშნული მიზნის მქონე ნაშრომში, ბუნებრივია, თავიდანვე დაისვას კითხვა იმის შესახებ თუ რა არის "ნაცია" და "ნაციონალიზმი", რომელია ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ინდიკატორები. აღნიშნულის გათვალისწინებით წინამდებარე წიგნის პირველი ნაკვეთი – *თეორიული საფუძველი* – წარმოადგენს დასახელებული და ზოგი სხვა ცნების ჩვენეულ ხედვას, სპეციალურ ლიტერატურაში ამ ფენომენების თეორეტიზების მიღწევების გათვალისწინებით.

მეორე ნაკვეთში – *ისტორიული ფონი: ქართული ნაციონალიზმის წარმოშობა* – საუბარია მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის რეალიებზე, იმ წინაპირობებზე, რომელთა საფუძველზეც აღმოცენდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის და მეოცე საუკუნის დასაწყისის ანუ *ივერიის* გამოშვების პერიოდის ქართული ნაციონალიზმი.

ნაშრომის მესამე ნაკვეთში – *წყაროში დაცული მასალის ანალიზი: "ივერია" 1877–1891 წლებში* – წარმოდგენილია *ივერიიდან,*

[2] ჩვენ, ცხადია, უნდა შევხებოდით და ვეხებით კიდევაც ერთი და იმავე თემისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებს, რომლებიც მეორდებოდა ნომრიდან ნომერში. ეს განმეორება თავად წარმოადგენს ჩვენთვის მნიშვნელოვან ფაქტს, რომელიც გამოკვეთს საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საინტერესო თემებს.

ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის უმთავრესი ინდიკატორების გათვალისწინებით, ამოკრებილ მონაცემთა ინტერპრეტაციის ცდა. თავის მხრივ, აღნიშნული ნაკვეთი შედგება სამი სექციისაგან, კერძოდ, მასალა დაჯგუფებულია 1877–1881, 1882–1886 და 1887–1891 წლების მიხედვით.

წინამდებარე წიგნს ვასრულებთ ნაკვეთით *ქართველი ერის იდეა და ილიას* "*ივერია*", რომელშიც დახასიათებულია აღნიშნულ პერიოდში ქართველი ერის მამად წოდებული მოღვაწის მიერ ქართული ნაციის იდეის ფორმირების პროცესი, როგორადაც ის წარმოჩინდება *ივერიის* ფურცლებზე.

ბოლოსიტყვაში წარმოვადგენთ 1877–1891 წლების *ივერიის* პუბლიკაციებიდან მოძიებული ფაქტების ანალიზის შედეგებს.

მეორე ნაწილში წარმოდგენილი 1892–1906 წლების მასალა ასევე სამი სექციაში განაწილდება: 1892–1896, 1897–1901 და 1902–1906 წლები. მეორე ნაწილის და საერთოდ ამ გამოკვლევის შემაჯამებელი ნაკვეთი იქნება *ივერია და მისი მკითხველი საქართველო*.

ნაშრომის ძირითადი ნაკვეთების, ისევე როგორც სექციების, ზემოთ მითითებული ქრონოლოგიური ჩარჩოები არ ასახავს საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციას რაიმე განსაკუთრებული ნიშნის მიხედვით. უბრალოდ, ჩვენ მიერ შერჩეულ იქნა თანაბარი ხანგრძლივობის (ნაკვეთებისათვის თხუთმეტწლიანი, ხოლო სექციებისათვის ხუთწლიანი) პერიოდები. მასალის ამგვარად ანუ ნაწილ-ნაწილ განხილვა მოსახერხებელს ხდის მონაცემთა ანალიზს. თანაბარი ხანგრძლივობის პერიოდების მასალის შედარება საინტერესო სურათს გვაძლევს პროცესის განვითარების დინამიკის თვალსაზრისითაც.

ინგლისურენოვან *შინაარსსა* და *რეზიუმეში* აღწერილია ნაშრომის სტრუქტურა და ნაკვეთების მიხედვითაა გადმოცემული დედანში წარმოდგენილი დისკურსის მოკლე შინაარსი.

წყაროს არჩევანის განმარტება

როგორც საყოველთაოდ არის გაზიარებული, მედია გადამწყვეტ როლს თამაშობს კოლექტიური კულტურული იდენტობების ჩამოყალიბებასა და მათ შემდგომ განვითარებაში. პოსტმოდერნული

ეპოქა ხასიათდება თვისებრივად ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მედია საშუალებებით, რომლებიც არსებულ მსოფლიო წესრიგს აფეთქებას უქადიან, იწვევენ რა გლობალურ და ნაციონალურ იდენტობებს შორის ურთიერთობის დაძაბვას როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ დონეებზე.

თავის დროზე ამგვარად მძლავრი იმპულსი ჰქონდა დამწერლობის გამოგონებას, რადგანაც წერილობითი ენები ხელს უწყობდნენ ეთნიკური ერთობების წარმოქმნას. რაც შეეხება იდენტობრივი ევოლუციის ნაციონალურ ეტაპს, იგი უკავშირდება ბეჭდურ მედიას, რომელიც წარმოადგენდა წინაპირობას სტანდარტული ბეჭდური ენების წარმოქმნისათვის. ბეჭდური მედია აძლევს ძირითად ბიძგს საერთო ეროვნული მასშტაბის მკითხველთა ქსელის _ "წარმოსახვითი საზოგადოების" (ბენედიქტ ანდერსონის მიერ შემოტანილი ტერმინია [3]) ჩამოყალიბებას.

ასე რომ, ბეჭდური მედია არის ნაციათმშენებლობის პროცესის არა მარტო ამსახველი, არამედ ამ პროცესის კატალიზატორიც. ორმაგი როლი აქცევს მას სრულიად შეუცვლელ წყაროდ აღნიშნული საკითხის კვლევისათვის.

ძალიან საინტერესოა, რომ პერიოდული მედიის ეს ორგვარი დანიშნულება შენიშნული ჰქონდა თავად ილია ჭავჭავაძეს. *ივერიის* პირველსავე ნომერში, როცა იგი განმარტავდა ახალი გამოცემის მიზნებსა და კრედოს, მიუთითებდა:

> ჟურნალ-გაზეთობა არის ერთგვარი ნაწილი მწიგნობრობისა ... ჟურნალ-გაზეთობას ორგვარი დანიშნულება აქვს. ერთის მხრით, იგი არის შუამავალი ცხოვრებისა და მეცნიერებას შორის გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოვებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა, ჭეშმარიტებისა, მეორეს მხრით, იგი არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის

[3] ნაციის ფორმირების პროცესში ბეჭდური მედიის და ბეჭდური კაპიტალიზმის განსაკუთრებული როლის შესახებ იხ. B. Anderson. Imagined Communities. London, 1983. კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობების წარმოქმნასა და განვითარებაზე მედიის იმპულსის შესახებ იხ. D. Morley, K. Robins. Electronic Landscapes and Cultural Boundaries. London, 1995 (ინტერნეტ-პუბლიკაცია).

> მოძრაობისა. მასში სჩანს და ისახება ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოდენა. როგორც აზრისა და ცოდნის გამავრცელებლი, ჟურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს ერთს უდიდეს სასწავლებელს, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენიერდეს საზოგადოების აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება. როგორც ცხოვრების სარკე, ჟურნალ-გაზეთობა წარმოგვიდგენს მას, რაშიც უნდა იხატებოდეს თვით საზოგადოების აზრი, გრძნობა, სურვილი ცხოვრების სხვადასხვა საგანთა თაობაზედ ... ამ ორგვარ დანიშნულებას ჟურნალ-გაზეთობისას ერთი და იგივე ფერი არ ადევს სხვადასხვა საზოგადოებაში და ერთი და იმავე საზოგადოებაში სხვადასხვა დროს ... როგორიც უნდა იყვეს ცხოვრება ... ჟურნალ-გაზეთმა უსათუოდ უნდა თვალი დაუკვირვოს, უნდა შეისწავლოს, უნდა განმარტოს, იმიტომ, რომ ადამიანები განა მარტო მაყურებლები არიან ცხოვრებისა, არამედ მოქმედნი პირნიცა, ცხოვრება არის თითონ ამ პირთა ქმნილება, ამ პირთა ნამოქმედარი და ჭირნახული.[4]

პირველი ბეჭდური წიგნი ქართულ ენაზე თარიღდება მეჩვიდმეტე საუკუნით. როგორც ცნობილია, ეს იყო 1629 წელს რომში კათოლიკე მისიონერების მიერ გამოცემული *ქართულ–იტალიური ლექსიკონი.* მაგრამ აღნიშნული წარმოადგენდა განკერძოებულ ფაქტს და მას არ შეეძლო ქართული იდენტობის განვითარებაზე არსებითი გავლენის მოხდენა. მეთვრამეტე საუკუნეში სიტუაცია შეიცვალა, დაიწყო წიგნების ბეჭდვა თავად საქართველოში. მხედველობაში გვაქვს მეფე ვახტანგ მეექვსეს სტამბაში დაბეჭდილი წიგნები. მეცხრამეტე საუკუნიდან ბეჭდვის პროცესი ინტენსიურ ხასიათს იძენს. 1819 წელს გამოდის პირველი ქართული გაზეთი. აქედან მოყოლებული პერიოდული პრესა თანდათან იწყებს მნიშნელოვანი როლის თამაშს ქართული ერთობის განვითარებაში.

ამ გამოცემებს შორის სრულიად განსაკუთრებულია *ივერიის* მნიშვნელობა როგორც აღნიშნული ეპოქის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივად გამომავალი ბეჭდური მედიისა. აღნიშნული პერიოდული გამოცემის ისტორია ძირითად ხაზებში

---

[4] *ივერიის* წინასიტყვაობა. კრებულში: ილია ჭავჭავაძე. წერილები. (წინასიტყვაობა გ. თევზაძისა). თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010, გვ. 22, 23, 25.

ასეთია: 1877 წლის 3 მარტს გამოვიდა მისი პირველი ნომერი, 1906 წლის 27 აგვისტოს – უკანასკნელი.

თავიდან *ივერია* იყო ყოველკვირეული გაზეთი, 1879 წლიდან კი *ივერია* უკვე ყოველთვიური ჟურნალია. თუმცა მეთერთმეტე / მეთორმეტე ნომერი არ გამოსულა, რის შესახებაც ჟურნალში ჩაკრული განცხადება ატყობინებს მკითხველებს. აღნიშნულის მიზეზი, როგორც ამას მომდევნო წლის პირველი ნომრის განცხადებიდან ვიტყობთ, ყოფილა რედაქციის სურვილი ჟურნალი *ივერია* უფრო კრებულს დამსგავსებოდა, ვიდრე პერიოდულ გამოცემას. 1880 წლიდან გამოდიოდა სამ თვეში ერთხელ კრებულის სახით. 1881 წლიდან 1885 წლის ჩათვლით – ყოველთვიურ ჟურნალად. 1886 წლიდან *ივერია* იყო ყოველდღიური გაზეთი.

ივერიის დამაარსებელი და რედაქტორი, როგორც ითქვა, იყო ილია ჭავჭავაძე. თანარედაქტორები სხვადასხვა დროს იყვნენ სერგი მესხი (1880 წლის იანვრიდან – 1881 ნოემბრამდე, *დროებისა* და *ივერიის* რედაქციების გაერთიანებისას), ივანე მაჩაბელი (1882 წლის პირველი ნომრიდან მეხუთე ნომრის ჩათვლით), ალექსანდრე სარაჯიშვილი (1901 წლის 5 დეკემბრიდან დროებითი რედაქტორი იყო ა. სარაჯიშვილი, ხოლო – გამომცემელი ი. ჭავჭავაძე; 1902 წლის 20 ივლისიდან რედაქტორ-გამომცემელია ა. სარაჯიშვილი), გრიგოლ ყიფშიძე (1903 წლის 5 ივლისიდან 1905 წლის 1 ივლისამდე დროებითი რედაქტორი იყო გ. ყიფშიძე, გამომცემელი – ა. სარაჯიშვილი), შემდეგ გაზეთის დახურვამდე ფილიპე გოგიჩაიშვილი (1905 წლის 1 ივლისიდან დროებითი რედაქტორია ფ. გოგიჩაიშვილი, გამომცემელი – პ. თუმანიშვილი). 1906 წლის 27 აგვისტო ივერიას გამოცემა შეწყდა.

1896 წლის შუა ხანებიდან 1897 წლის დასაწყისამდე გამოცემა დროებით შეჩერებული იყო. აი, როგორაა ლიტერატურაში ეს ფაქტი აღწერილი:

> 1896 წლის თებერვლის თვეში *ივერიაში* სამ წერილად *თომაანთ კოზას* ფსევდონიმით დაიბეჭდა ... იაკობ ცინცაძის ფელეტონი *სურათები მოწაფეთა ცხოვრებიდამ* ... ფელეტონში მოთხრობილი იყო სემინარიაში გამეფებული იეზუიტური ატმოსფერო. აღნიშნული ფელეტონის გამოქვეყნებისათვის ი. ჭავჭავაძე 1896 წლის 4 აპრილს მიიწვიეს საცენზურო კომიტეტის სხდომაზე, სადაც *ივერიის* რედაქტორ-გამომცემელს შენიშვნა მიეცა, ხოლო ცენზორს მკაცრი საყვედური. 17 აპრილს საცენზურო

> კომიტეტმა მთავარმმართებლის კანცელარიის დირექტორისადმი საიდუმლო შეტყობინებაში მოითხოვა *ივერიის* მიმართ ადმინისტრაციული წესის გამოყენება.[5]

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში არის მითითებული, ეს პრეცენდენტი გარკვეულად *ივერიაში* ახალი თაობის ე.წ. "ახალგაზრდა ივერიელების", მოღვაწეობას უკავშირდებოდა:

> 1890-იანი წლების მეორე ნახევრში ხდება საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული ახალი მიმართულების თავმოყრა პრესის ცალკეული ორგანოების გარშემო ... 1895–1896 წლებში მოხდა ახალგაზრდა პუბლიცისტთა თავმოყრა გაზეთ *ივერიაში*. ე.წ. "ახალგაზრდა ივერიელებმა" სცადეს *ივერიის* ძველი წარმომადგენლებისაგან სრული გამოჯვენა და გაზეთის დაპატრონება, გაზეთის მათ ხელში გადაცემის წინადადებით მიმართეს ი. ჭავჭავაძეს და ამ სურვილს ასაბუთებდნენ გაზეთის ძველ თანამშრომლებთან, კერძოდ, დ. მიქელაძესთან, უთანხმოებით. მოლაპარაკების დამთავრებამდე დ. მიქელაძემ *ივერია* დატოვა და გაზეთი ფაქტიურად გ. ლასხიშვილისა და მისი თანამოაზრეების ხელში აღმოჩნდა ... 1896 წლის 17 მაისს გამოვიდა *ივერიის* ამ წლის ბოლო ნომერი და "ახალგაზრდა ივერიელთა" თავმოყრა და ჩამოყალიბება-კონსოლიდაციის პროცესის პირველი ეტაპიც დასრულდა. 1897 წლის იანვარში *ივერია* აღადგინეს, მაგრამ ახალი თაობის წარმომადგენლებმა, ჯერ *მოამბეს*, ხოლო შემდეგ ახლად დაარსებული *ცნობის ფურცლის* გარშემო იწყეს თავმოყრა. *მოამბე – ცნობის ფურცელს* მიაშურეს აგრეთვე ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმართულების პუბლიცისტებმაც.[6]

პრობლემის არსი

მარქსიზმის ალტრნატიული სოციალური თეორიის ჩარჩოებში ქართული იდენტობის კვლევის საკითხის დასმა ქართულ ისტორიოგრაფიაში მხოლოდ გასული საუკუნის მიწურულს ხდება. ჩვენს სამეცნიერო თვალსაწიერში იგი შემოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტით დაფინანსებულ პროექტის

[5] დ. შველიძე. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ფედერალისტები. თბილისი, გამომცემლობა "არსი", 1993, გვ. 35-36.

[6] დ. შველიძე. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ფედერალისტები. თბილისი, გამომცემლობა "არსი", 1993, გვ.47.

ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება (1997–1999, ხელმძღვანელი გ. ალასანია) მეშვეობით, რომლის მონაწილე იყო ერთ-ერთი ჩვენთაგანი, კერძოდ, მ. ჩხარტიშვილი.

2001–2011 წლებში ქართულ ეთნიკურ და ნაციონალურ იდენტობას ეძღვნებოდა მ. ჩხარტიშვილის მოხსენებები ეროვნულ და საერთაშორისო სემინარებზე, კონფერენციებსა თუ სიმპოზიუმებზე. კერძოდ, პრეზენტაციები გაკეთდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ი. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ო. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტის, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის კვლევის საერთაშორისო ასოციაციის (ASEN), შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (IBSU), EuroScience საქართველოს ეროვნული სექციის, რომის წმინდა საყდრის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის, რომის ლა საპიენზას უნივერსიტეტის, მიჩიგანის უნივერსიტეტის, ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის, რუსეთის, კავკასიის და ცენტრალური ევროპის შემსწავლელი პარიზის ინსტიტუტის, ბუქარესტის ახალი ევროპის უმაღლესი განათლების კოლეჯის, სკოპიის კირილესა და მეთოდეს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ფორუმებზე. წინამდებარე საგრანტო პროექტში ჩართვის შემდგომ, ე.ი. 2009 წლიდან, ქართული იდენტობის წრთობის პროცესის ასახვას მიეძღვნა ქ. მანიას არაერთი პრეზენტაცია ეროვნულ თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე. ჩვენი მოხსენებების დიდი უმრავლესობა გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატიების თუ წიგნების სახით. აღნიშნულ ნაშრომებში კვლევის ფოკუსის მიხედვით გამოიყოფა ორი ჯგუფი.

პირველი ჯგუფში გაერთიანებულია ის ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება ცალკეული იდენტობრივ მარკერებს და, მათში პრობლემა განიხილება ისტორიული განვითარების ვერტიკალურ ჭრილში ანუ მარკერებზე დაკვირვება ხდება იდენტობრივი წრთობის, როგორც ეთნიკურ, ისე ნაციონალურ სტადიებზე. ქვემოთ წარმოვადგენთ ამ შრომების ძირითად ნაწილს:

მ. ჩხარტიშვილი. ქართლის მოქცევის ისტორია ეთნიკურობის კვლევის პრობლემატიკის თვალთახედვით. ეთნიკურობა და ნაციონალიზმი, I. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ინსტიტუტთაშორისი სემინარის მასალები (რედ. დ. მუსხელიშვილი, მ. ჩხარტიშვილი). თბილისი, ინტელექტი, 2002, გვ. 32-47; მ. ჩხარტიშვილი. ქრისტიანობა, როგორც ქართული იდენტობის მარკერი. მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი *ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი* (მოხსენებათა მოკლე შინაარსები). თბილისი, მემატიანე, 2005, გვ. 8-9; მ. ჩხარტიშვილი. ქრისტიანობა, როგორც ქართული იდენტობის მარკერი. ლოგოსი, IV, 2007, გვ. 15-24. M. Chkhartishvili. On Georgian Identity Religious Marker. On Geogian Identity and Culture (Nine International Presentations by Professor Mariam Chkhartishvili). Tbilisi, Publishing House Universal, 2009, pp. 66-78; ამავე კრებულში იხ. M. Chkhartishvili. Catholocism and Identity: Georgian Case, pp. 20-27; M. Chkhartishvili. Geogian Identity: Stages of Development, pp. 41-65; M. Chkhartishvili. Armenians in the Process of Georgian Identity Forging, pp. 107-125; მ. ჩხარტიშვილი. ქართული იდენტობის მთავარი მარკერი. საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე (მთ. რედ. ზ. კიკნაძე). თბილისი, არეტე, 2005, გვ. 22-24; მ. ჩხარტიშვილი. თვითდასახელება, როგორც ქართული იდენტობის მარკერი. ქართული წყაროთმცოდნეობა, IX (რედ.: მ.ბერძნიშვილი, გ. ალასანია). თბილისი: მემატიანე, 2006, გვ. 204-218. მ. ჩხარტიშვილი. ქართული იდენტობის წრთობის პროცესი და სომხური გამოწვევა. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფერენცია მიძღვნილი შალვა ნუცუბიძის 120 წლისთავისადამი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, გვ. 311-312. მ.ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართული იდენტობის ენობრივი მარკერი პრემოდერნულ ხანაში და ნაციონალური კონსოლიდაციის ეპოქაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *ენა და კულტურა*. შრომები, I. ქუთაისი, 2010, გვ. 472-483; მ. ჩხარტიშვილი. ქართული იდენტობის საკრალური ასპექტი. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I (რედ. თ. დუნდუა, მ. ჩხარტიშვილი, ა. ბოშიშვილი). თბილისი, მერიდიანი, 2011, გვ. 71-92.

მეორე ჯგუფი აერთიანებს პუბლიკაციებს, რომლებშიც განხილულია ქართული ერთობის განვითარების კონკრეტულად ეთნიკური ან კონკრეტულად ნაციონალური სტადია:

მ. ჩხარტიშვილი. ნაციონალიზმი და რელიგია: ქართული მაგალითი. საერთაშორისო სიმპოზიუმი *ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი*" (მოხსენებათა მოკლე შინაარსები. რედ. მ. ჩხარტიშვილი, ლ. მირიანაშვილი). თბილისი, მემატიანე, 2000, გვ. 95-96; М. Чхартишвили. Идеология национализма и его универсалии в грузинской среде. Национализм (Популярная книга для чтения). Тбилиси, ГФСМИ, 2006, сс. 28-40; მ. ჩხარტიშვილი. წმიდა მამა გიორგი მთაწმინდელი და ქართული იდენტობის სამანები მეთერთმეტე საუკუნეში. ქართული წყაროთმცოდნეობა, XI (რედ. გ. ალასანიას). თბილისი, მემატიანე, 2006, გვ. 87-101; მ. ჩხარტიშვილი. ნაციონალიზმის იდეოლოგიის უნივერსალიები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ილია ჭავჭავაძე – 170 (საიუბილეო კრებული). თბილისი, 2007, გვ. 215-243; მ. ჩხარტიშვილი. ქართული იდენტობა: როგორ იწრთობოდა იგი. ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგია. კავკასიოლოგიური ძიებანი, I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. 376-385 (შდრ. იგივე სტატიის პუბლიკაციები ინგლისურ და რუსულ ენებზე: M. Chkhartishvili. Forging Georgian Identity. Ideology of Ethnic Election. Caucasiologic Papers, I. Tbilisi: Tbilisi University Press, 2009, pp. 386-391; М. Чхартишвили. Грузинская идентность: Как она закалялась. Идеология этнической избранности. Кавказоведческие разыскания, I. Тбилиси: Издательство Тбилисского государственного университета, 2009, сс. 392-295; მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში. თბილისი, კავკასიური სახლი, 2009, გვ. 172; მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ქართულ ბეჭდურ მედიაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *დიდჭარობა* (მოხსენებათა თეზისები), 2010, გვ. 318-319; M.Chkhartishvili. Holy Men and Making of Georgian Identity. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებთა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I (რედ. თ. დუნდუა, მ. ჩხარტიშვილი, ა. ბოშიშვილი). თბილისი, მერიდიანი, 2011, გვ. 312-

331; მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია, ს. ქადაგიშვილი. ქართული ნაციონალიზმის წარმოშობა. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, III (რედ. თ. დუნდუა, მ. ჩხარტიშვილი, ა. ბოშიშვილი). თბილისი, მერიდიანი, 2011, გვ. 259-278; ქ. მანია. ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესი *ივერიის* 1887 წლის ნომრების მიხედვით. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I. თბილისი, 2010, გვ. 84-98; ქ. მანია. ქართული ერთობა *ივერიის* 1897 წლების ნომრების მიხედვით. ქართული წყაროთმცოდნეობა, XII (რედ. მ. ჩხარტიშვილი), 2010, გვ. 86-96; M. Chkhartishvili. Molding of Nationalist Ideology and Printed Media: Georgian Case Study. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II (რედ. თ. დუნდუა, მ. ჩხარტიშვილი, ა. ბოშიშვილი). თბილისი, მერიდიანი, 2011, გვ. 426-447.

ამგვარად, ქართული იდენტობის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით გარკვეული ნაბიჯები ჩვენ მიერ უკვე გადადგმულია. თუმც, ცხადია, საკითხის კვლევა ჯერ ამოწურულად არ შეიძლება ჩაითვალოს. არც ქართული ეთნიკური და არც ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესის სრულად წარმომაჩენელი ნაშრომი არ არსებობს.

ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი არის ხანა, როცა ჩამოყალიბდა ქართველი ერი. მიუხედავად იმისა, რომ ამ დასკვნას ჩვენ არსებითად სწორად ვთვლით, ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პროცესის რეპრეზენტაცია არ გვეჩვენება დამაკმაყოფილებლად. საქმე ისაა, რომ ქართველი ერის წარმოშობის შესახებ მსჯელობა არ სცილდება ამ ფაქტის უბრალო აღნიშვნას. პრობლემის კვლევაში არსებული ხარვეზის მიზეზი ნაწილობრივ არის მარქსისტული სოციოლოგია, რომელსაც, როგორც თეორიულ ბაზისს, ეფუძნება საკითხის შესახებ არსებული ნაშრომების დიდი ნაწილი.[7] ამგვარ ძირითადად ტენდენციას, სამწუხაროდ, ჯერ

[7] საკითხის შესწავლის მდგომარეობის უფრო დეტალური დახასიათებისათვის იხ. მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართული ერთობის სოციალური "სიცოცხლის"

კიდევ ვერ ცვლის ბოლო ხანებში არსებული მონაცემების თანამედროვე დასავლური თეორიების ჩარჩოებში გააზრების ცდები. მხედველობაში გვაქვს როგორც ზემოთ უკვე დასახელებული ჩვენი, ასევე – კოლეგათა ნაშრომები.[8]

საქმე ისაა, რომ ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის რეპრეზენტაციისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესისათვის თვალის მიდევნება. აი, სწორედ ეს ვერ ხერხდებოდა მარქსისტული სოციოლოგიის ჩარჩოებში, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად მძლავრ ამხსნელობით სისტემას წარმოადგენს, ნაკლებ ყურადღებას აქცევს იდენტობის შესწავლისათვის ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორებიცაა საზოგადოებრივი ღირებულებები, აღქმები, მახსოვრობები, სიმბოლოები.

როგორც უკვე ითქვა, ჩვენ მიზნად ვისახავთ ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეისათვის ჯერ კიდევ გაბატონებული ამგვარი დამოკიდებულების გადასინჯვას და ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის ისტორიის დეტალური სურათის აღდგენას მარქსიზმისაგან განსხვავებული თეორიული მიდგომის ფონზე.

ორი თვე ანუ დაკვირვება ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესზე 1878 წლის *ივერიის* 10 ნომრის მიხედვით. ქართული წყაროთმცოდნეობა, XII. თბილისი, 2010, გვ. 159-189.

[8] იხ. მაგალითად, გ. ალასანია. თვითიდენტიფიკაცია შუა საუკუნეების საქართველოში (მთელისა და ნაწილის ურთიერთობა). ქართველური მემკვიდრეობა, 2003; ლ. პატარიძე. ქართული იდენტობა. საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. თბილისი, 2005; ი. ჩხაიძე. ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი. თბილისი, "თერგდალეულები", 2009; ნ. სონღულაშვილი. ქართული ერთობის ჰომოგენიზაციის პროცესის ასახვა მეოცე საუკუნის პირველ ოცწლეულში. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები (რედ. ა. სონღულაშვილი). თბილისი, უნივერსალი, 2009, 2 (6), გვ. 134-143; ნ. სონღულაშვილი. ქართული ერთობა და მისი იდენტობა მეოცე საუკუნის პირველ ოცწლეულში. თბილისი, 2010; თ. ცოცხალაშვილი. მეცხრამეტე საუკუნის ქართული პრესის როლი ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში. *ივერია* 1877–1887, *კვალი* 1893–1903 (სადისერტაციო ნაშრომი მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად, სამეცნიერო ხელმძღვანელი მ. ჩხარტიშვილი). თბილისი, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011 და ა.შ.

კერძოდ, "ნაციისა" და "ნაციონალიზმის" ცნებების გაგებისას ჩვენ ვეფუძნებით ეთნოსიმბოლისტურ პარადიგმას, კონკრეტულად, ეთნოსიმბოლიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ე. სმითის ნაშრომებს; ჩვენ ვიზიარებთ აღნიშნული მეცნიერის თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ სხვადასხვა ქვეყანაში, მიუხედავად ისტორიული ვითარების ნაირგვარობისა, ნაციონალისტური იდეოლოგიები ემყარებიან ერთი და იმავე ტიპის რწმენით სისტემებს და კულტურულ რესურსებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ნაციონალიზმის ძირითად ცნებებს და ფუნდამენტურ იდეალებს აქვთ უნივერსალური ხასიათი; მართებულად ვთვლით ეთნო-ნაციონალიზმის ფენომენის ე. სმითისეულ დახასიათებას; ვეთანხმებით მტკიცებულებებს ნაციის, როგორც კულტურის ფორმის, თაობაზე და ნაციონალიზმის ისტორიციზმის და ნაციონალური იდენტობის ფორმირების პროცესში ჰუმანიტარული ინტელიგენციის განსაკუთრებულ როლის შესახებ.[9]

ვინაიდან ჩვენ მიერ პრობლემა ახლებურად არის დასმული, საკითხის უშუალო ისტორიოგრაფია შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს, თუმცაღა არსებობს არაერთი, უშუალოდ პირველწყაროებს დაფუძნებული უხვი ფაქტობრივი ინფორმაციის შემცველი გამოკვლევა, როგორც ქართველი ერის ფორმირების პროცესის ცალკეული ეტაპების, ისე *ივერიის* შესახებ, აგრეთვე საცნობარო ლიტერატურა, მაგალითად, *ფსევდონიმების ლექსიკონი.*

ჩვენ ამ მდიდარ სამეცნიერო მემკვიდრეობას ფართოდ ვიყენებთ და ყოველ ამგვარ შემთხვევას ვაფიქსირებთ კიდეც შესაბამის სქოლიოში.

გამონაკლისია მხოლოდ *ფსევდონიმების ლექსიკონის* ინტერნეტული პუბლიკაცია. როცა ფსევდონიმის გახსნის წყარო დასახელებული არ არის, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვეფუძნებით სწორედ ამ პუბლიკაციას.

[9] ვრცლად იხ. ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი–მალენი). თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, 2004; ე.დ. სმითი. ნაციონალური იდენტობა (თარგმნა ლ. პატარიძემ). თბილისი, 2008.

კვლევის ამოცანები

კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე აღმოცენებული ეთნიკური ერთობის ნაციონალურ ერთობად გარდაქმნის პროცესს ახასიათებს საზოგადოებრივი ყურადღების კონცენტრირება გარკვეული თემებზე. ეს თემები და მათდამი საზოგადოებრივი ინტერესის ინტენსივობა ნაციადქმნადობის პროცესის ინდიკატორებად შეიძლება განვიხილოთ. ერთ-ერთი ასეთი თემა ეს არის "ხალხი". "ხალხი", როგორც სოციალური იდენტობის მქონე ჯგუფის აღმნიშვნელი სიტყვა, აღნიშნულ პროცესში იქცევა კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობის ანუ ნაციის აღმნიშვნელ სიტყვად. [10] ხშირად, ნაციონალისტურ იდეოლოგიაში "ხალხი" იგივდება "გლეხობასთან". ამ უკანასკნელის იდეალიზაცია ნაციონალიზმის უნივერსალიაა. [11] ქართულ სინამდვილეში სიტყვა "ხალხის" კონცეპტუალიზაცია რამდენიმე სტადიას გადის. აი, რას წერდა ილია "ხალხის", როგორც ისტორიის მთავარი აქტორის, შესახებ 1880 წელს:

---

[10] 'მოძრაობა ნაციონალური პურიფიკაციისაკენ დემოტიკური ეთნო-ნაციონალიზმს უბიძგებს წარმოაჩინოს ხალხი როგორც ჭეშმარიტებისა და კეთილშობილების საუნჯე და ჭეშმარიტად ეროვნული ღირებულებების განმასახიერებელი.' იხ. A.D. Smith. Myth and Memories of the Modern Nations. Oxford University Press, 1999, p. 196 (აქ და ყველგან ქვემოთ, სადაც სათანადო დამოწმება არ არის, არაქართულენოვანი ციტატის თარგმანი ჩვენია). "ხალხის" კონცეპტის განსაკუთრებულობას ნაციონალისტურ იდეოლოგიებში ხაზს უსვამს ლ. გრინფელდიც. კერძოდ, იგი შენიშნავს: 'ნაციონალიზმის სპეციფიკურობა, ის, რაც ეროვნებას განასხვავებს სხვა ტიპის იდენტობებისაგან, მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ნაციონალიზმი ინდივიდუალური იდენტობის წყაროს ხედავს "ხალხში", რომელიც წარმოუდგენია სუვერენობის მატარებლად, ლოიალობის უმთავრეს ობიექტად და მასობრივი სოლიდარობის საფუძვლად'. იხ. L. Greenfeld. Nationalism. Five Roads to Modernity. Cambridge – Massachusets – London, Harward University Press,1993 (Paperback Edtion), p. 3.

[11] '... მეთვრამეტე საუკუნიდან მოყოლებული ... ევროპა პირდაპირ წაილეკა რომანტიკული აღფრთოვანებით გლეხობისადმი, რომელსაც მიიჩნევდნენ სუფთად, უბრალოდ და გაუხრწნელად ...'. იხ. E. Hobsbaum. Nations and Nationalism since 1780. Programme, Myth, Reality. Cambridge University Press. 1990; Second Edition – Reprint, 2008, p.103.

> ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის, კანტი-კუნტი სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზედ, რომელშიც ერთობ ხალხი იჩენს თავის-თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში. ერთი სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა აუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი "ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული, თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თვითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა საქმეთა. ამის გამო არც ერთი უეჭველი საბუთი არ უდევს სარჩულად არც ერთს ისტორიულ ფაქტს ჩვენის ხალხის ცხოვრებისას. თუმცა ასე, მაგრამ არის ერთი იმისთანა ისტორიული მოვლენა, რომელსაც ვერავინ უარს ვერა ჰყოფს და რომელიც დღესაც უკვირს ყველას, ვისაც კი ამ მოვლენისთვის თვალი დაუკვირვებია. უეჭველია, რომ ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა.[12]

ამ ციტატის დასაწყისის მიხედვით, ისე ჩანს, რომ ილიასათვის "ხალხი" არ უდრის "ერს". "ხალხი" "ერის" უმნიშვნელოვანესი ნაწილია, "ერის" გადარჩენის საფუძველთა საფუძველია, მაგრამ "ხალხი" და "ერი" ზუსტად ერთი და იგივე არაა, თუმც ბოლოში, სადაც აღნიშნულია ისტორიული ცხოვრების დრო და თვითმოქმედება, თითქოს ისე ჩანს, რომ "ხალხი" სოციალურ იდენტობას კი არ წარმოადგენს, არამედ ეთნიკური ერთობის აღმნიშვნელი ტერმინია.

ცოტა მოგვიანებით, როგორც ვნახავთ, ქართულ სინამდვილეში "ხალხი" ფაქტორივად "ერის" ეკვივალენტი ხდება ანუ დასტურდება ის პროცესი, რომლის შესახებაც მითითებულია თეორიულ ლიტერატურაში. აი, რას წერდა, მაგალითად, 1904 წელს *ცნობის ფურცელში ივერიის* უკანასკნელი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი:

> მწერლობაშიც და ლაპარაკშიც ხშირად ბევრი ისეთი სიტყვა იხმარება რომლის შინაარსი არ არის ნათლად გამორკვეული ... ერთი ასეთი სიტყვაა "ხალხი", "ხალხის ინტერესები", "ხალხის სამსახური" ... ყველას

[12] ი. ჭავჭავაძე. ძველი საქართველოს ეკონომიური წყობა. ინტერნეტ-პუბლიკაცია ლიბ. ჯეს ვებ-გვერდზე.

> პირზე აკერია ... ბევრს ჰგონია, რომ "ხალხი" წარმოადგენს ორგანულ ერთეულს, რომლის წევრთა ინტერესები ყველაფერში ჰარმონიულადაა შეხამებული, შეკავშირებული. ამიტომ საძნელოს არაფერს ხედავენ საერთოდ ხალხის ინტერესების დაცვაში და პრაქტიკულ განხორციელებაში. ნამდვილად კი ასე არ არის. ხალხი არაა ეკონომიკური მხრით ერთი ერთეული და მის წევრთ არა აქვთ ინტერესები შეთანხმებული. ყოველი ხალხი, როცა იგი ნატურალური მეურნეობის ხანას შორდება, ეკონომიკური დიფერენციაციის, დანაწილების გზაზე დგება. მასში ჩნდებიან და ვითარდებიან სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფნი ანუ კლასები, რომლების ეკონომიკური ინტერესები და მისწრაფებანი ერთიმეორისას ეწინააღმდეგებიან. ეს დაყოფა, დანაწილება და ეკონომიკური წინააღმდეგობის გაძლიერება მაჩვენებელია ხალხის გაძლიერებისა და განვითარებისა, მისი კულტურული წინმსვლელობისა და ის პრესა, რომელიც ამ მოვლენას არ ხედავს, ან ხელს აფარებს, ცხოვრებას ჩამორჩენილია. თავს ატყუებს და ოცნებით იკვებება. არავითარ პრესას არ შეუძლია შეუთანხმებელის შეთანხმება და ხალხის ყველა კლასის ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა.[13]

აქ "ხალხი" კოლექტიურ-კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობის მიწაზე ფიზიკურად მშრომელი ნაწილი კი არაა მხოლოდ, არამედ მთელი ერთობა, რომელიც კლასებად არის დაყოფილი.

ნაციონალიზმის უმთვარეს ცნებას "ავთენტურობა" წარმოადგენს. თვითიდენტიფიკაცია არის ნაციონალიზმის მთავარი საზრუნავი. ამიტომ იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას საკუთარი, თუნდაც ნაკლოვანებათა მქონე ხასიათის გამოკვეთა და ყველაფერში უნიკალობის ძიება: 'ნაციონალური იდენტობის იდეალი კოლექტიური ხასიათისადმი ინტერესით და მისი ისტორიულ-კულტურული კონტექსტით გამოირჩევა' – მიუთითებს ე. სმითი.[14] მას იქვე მოჰყავს

---

[13] ფ. გოგიჩაიშვილის ნააზრევს ვიმოწმებთ გ. გორგიშვილის სტატიის. "*ცნობის ფურცლის" პუბლიცისტთა სოციალ-ეკონომიკური შეხედულებები* (*ფ. გოგიჩაიშვილი, ს. ფირცხალავა, არ. ჯორჯაძე*) მიხედვით კრებულიდან: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII (მთ. რედ. ა. ბენდიანიშვილი). თბილისი, 2004, გვ. 244-245.

[14] ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი–მალენი). თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, 2004, გვ. 53.

ციტატები ჟ. რუსოს და ი. ჰერდერის ნაშრომებიდან, როგორც ილუსტრაცია იმისა, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს ნაციონალიზმი თვითობას.[15]

ე. სმითის მიხედვით, ნაციებს საკრალური საფუძვლები აქვთ. საკრალურობის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს სამშობლო მიწის, როგორც წმინდა მიწის, განცდა, რომელიც უკავშირდება საერთო ბედისწერას, ქვეყნისათვის თავშეწირულ გმირებს, რომელთა ხსოვნის რიტუალური გააქტიურება ერთობის წევრთა ცნობიერებაში ნაციონალისტ ლიდერთა მუდმივ საზრუნავ შეადგენს. როგორც ეს მითითებულია სპეციალურ ლიტერატურაში, ერთობის ნაციონალიზაციის პროცესში ხდება წმინდა მხსოვრობათა ტერიტორიალიზება და გმირული ისტორიული ეთნოლანდშაფტების ჩამოყალიბება.[16]

ნაციონალიზმის იდეოლოგიებისათვის საერთოს წარმოადგენს წარსულის იდეალიზაცია. ყურადღების გამახვილება ერთობის წარსულის "ოქროს ხანაზე" დიდ სოციალურ მნიშვნელობას იძენს. ამით ხაზი ესმება ერთობის განგრძობადობას, აგრეთვე, ისახება სასურველი საერთო მომავლის პერსპექტივაც. როგორც მართებულად მიუთითებენ, ნაციონალიზმის იდეოლოგია, ერთდროულად მოიაზრებს სამივე დროს: აწმყოს, რომელიც მოსაწონი არ არის ("არ გვწყალობს"), წარსულს, რომელიც დიდებული იყო და მომავალს, რომელიც იმედია, რომ კარგი იქნება, რახან ერთობის ცხოვრებაში იყო პერიოდი, რომლის დროსაც მან გამოავლინა თავისი დიდებულება და სიცოცხლისუნარიანობა. არსებითად მომავლის დასაფუძვლებას ემსახურება კონცეპტი "ოქროს ხანა" და, ამდენად, იგი, აგრეთვე, ნაციონალური კონსოლიდაციის ერთ-ერთ უმთავრეს ინდიკატორს წარმოადგენს.[17]

---

[15] ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი–მალენი). თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, 2004, გვ. 53-54.

[16] A.D. Smith. Chosen Peoples. Sacred Sources of National Iidentity. Oxford University Press, 2003, pp. 161-165.

[17] A.D. Smith. Chosen Peoples. Sacred Sources of National Identity. Oxford University Press, 2003, pp. 161-165.

ნაციონალური იდენტობა ყოველთვის იკვეთება "მნიშვნელოვან სხვასთან" მიმართებაში. არსებობენ "გარეშე სხვები", ანუ სხვა ქვეყნები, აგრეთვე, "შინაური სხვები", ანუ ქვეყანაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები თუ ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც გამოწვევას წარმოადგენენ ნაციონალური ერთობისათვის. ნაციონალიზაციის ეპოქა ნაკლებ ტოლერანტულია უცხოთა მიმართ, განსაკუთრებით შინაურ უცხოთა მიმართ. [18] სხვისადმი ამგვარი დამოკიდებულება და "ავთენტურობის კულტი", რაც ნაციონალიზმის იდეოლოგიის უმთავრესს მახასიათებელს წარმოადგენს, ურთიერთდაკავშირებული პროცესებია: სწორედ ავთენტური თვითის ძიება და საკუთარ უნიკალობაზე კონცენტრირება იწვევს შეურიგებლობას უცხოსადმი. ამიტომაც ოპოზიცია "ჩვენ / სხვა" ნაციის მშენებლობის პროცესში იძენს განსაკუთრებულ შინაარსსა და სიმძაფრეს.

აგრეთვე განსაკუთრებული ხდება ერთიანობის განცდაც, იკვეთება კოლექტიური "ჩვენის" ცნება. ნაციონალიზმის ზოგიერთ პროექტში ეს "ჩვენ" ეფუძნება სისხლით ნათესაობის იდეას.

ნაციის წარმოშობა სწორედ ამ კომუნიკაციაზე არის დამოკიდებული. ენა და განათლება[19] არის ასეთი საშუალებანი, რომლებიც ერთად იძლევა ერთობის ჰომოგენიზაციის საფუძველს.

განსაკუთრებულ საზრისს იძენს ქალის სოციალური პოზიციის თემაც. საქმე ისაა, რომ ნაციონალიზმს აქვს სახალხო ხასიათი და ამიტომ ცდილობს მოშალოს ყოველგვარი უთანასწორობა,[20] მათ შორის,

---

[18] A.D. Smith. Myth and Memories of the Nation. Oxford University Press, 1999, p. 192.

[19] განმანათლებლობის პროექტისა და "დიდი იდენტობების" ანუ ნაციონალური იდენტობების ურთიერთკავშირის შესახებ იხ. გ. თევზაძე. რა არის განმანათლებლობა? ჟურნალი "სოლიდაროობა" (ინტრნეტ-პუბლიკაცია).

[20] ნაციონალიზმი წარმოიშვა როგორც დემოკრატიის ფორმა: სუვერენობის დაკავშირება ხალხთან და აღიარება სხვადასხვა ფენის ფუნდამენტური თანასწორობის პრინციპისა, რაც მოდერნული ნაციონალური იდეის არსებას წარმოადგენს, ამავე დროს დემოკრატიის ბაზისური მტკიცებულებაა. დემოკრატია დაიბადა ეროვნობის აზრით ... ეს ორი არსებითად ურთიერთდაკავშირებულია, და არცერთი მათგანის გაგება არ შეიძლება ამ კავშირის მიღმა ... თავიდან ნაციონალიზმი ვითარდებოდა როგორც დემოკრატია. და სადაც თავდაპირველი განვითარების პირობები უცვლელია, ამ ორის იგივურობაც შენარჩუნებულია. მაგრამ ნაციონალიზმი გავრცელდა სხვადასხვა გარემოში და ნაციის იდეაში აქცენტი სუვერენობიდან გადავიდა

გენდერული უთანსწორობაც, რათა სოციალურად სრულიად ერთგვაროვანი გახადოს ერთობა. ამიტომაც ქალთა საკითხი ანუ საზოგადოების წევრებად ამ "დამუნჯებული ჯგუფის" გარდაქმნის პრობლემა, ასევე ნაციონალიზმის უნივერსალური "რეპერტუარის" ნაწილია.[21]

ყველაფერი, რაც ითქვა, მრავალი ქვეყნის გამოცდილების საფუძველზე შედგენილი და განზოგადებული სურათია. ნაციონალიზმის იდეოლოგიასთან აღნიშნული საკითხების კავშირის შესახებ არსებობს დიდძალი სპეციალური ლიტერატურა დასავლეთში. ამჯერად, ჩვენ ვიმოწმებთ მხოლოდ რამდენიმეს, კონკრეტულად, მათ, რომლებიც საქართველოში ხელმისაწვდომია. მკითხველისათვის მაინც ყველაზე დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ სათანადო ლიტერატურის ქართულენოვან თარგმანებს, მათ შორის, ე.დ. სმითის იმ ორ მონოგრაფიასაც, რომლებიც ქართულად არის თარგმნილი.[22]

ხალხის უნიკალობაზე. შედეგად ნაციონალიზმისა და დემოკრატიის თავდაპირველი იგივეობა დაიკარგა. ამ დასკვნიდან გამომდინარეობს ის აზრი, რომ დემოკრატიის ექსპორტი შეუძლებელია. ზოგიერთი ნაციისათვის ის თანდაყოლილი მიდრეკილებაა, მაშინ, როცა სრულიად უცხოა სხვებისათვის, რომელთაც არ შეუძლიათ მისი მიღება ან განვითარება, რადგან ამის გაკეთება მათგან მოითხოვს იდენტობის შეცვლას". იხ. L. Greenfeld. Nationalism. Five Roads to Modernity. Harward University Press, p.10.

[21] ის, რომ "დედათა საქმე" ილიას პუბლიცისტიკაში უკავშირდება ნაციონალიზმის იდეოლოგიას, ამის შესახებ მივუთითებდით ჩვენს ადრინდელ ნაშრომებში. იხ. მაგალითად, მ. ჩხარტიშვილი. ნაციონალიზმის იდეოლოგიის უნივერსალიები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ილია ჭავჭავაძე – 170 (საიუბილეო კრებული). თბილისი, 2007, გვ. 230. ეროვნული იდენტობის ახალ (ნაციონალურ) დისკურსთან აკავშირებს აღნიშნულ საკითხს გ. თევზაძეც, მის მიერ გამოქვეყნებული შესაბამისი ტექსტებისათვის წამძღვარებულ შესავალში. იხ. ილია ჭავჭავაძე. (წინასიტყვაობა გ. თევზაძისა). თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010, გვ. 6.

[22] ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი–მალენი). თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, 2004; ე.დ. სმითი. ნაციონალური იდენტობა (თარგმნა ლ. პატარიძემ). თბილისი, გამომცემლობა "ლოგოს პრესი", 2008.

ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის უმთავრეს ინდიკატორებად შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოებრივი ინტერესის გაჩენა ისეთი თემებისადმი როგორიცაა "ხალხი", "განათლება", "დედაენა", "სამშობლო მიწა", "სხვები", "ჩვენი სხვები", "ჩვენი ერთობა", "ჩვენი ხასიათი", "ჩვენი კულტურა", "ჩვენი ბედი", "ჩვენი ქალები", "ჩვენი გმირები", "ჩვენი ფესვები", "ჩვენი რწმენა" და ა.შ.

ქვემოთ სწორედ აღნიშნული თემების გათვალისწინებით იქნება განხილული *ივერიის* პუბლიკაციები.

ჩვენი წიგნის სხვადასხვა ნაკვეთში მკითხველი ზოგჯერ შეხვდება განმეორებებს. მაგრამ ეს აუცილებელი იყო საკითხების მთელი სისრულით და სხვადასხვა რაკურსით წარმოსაჩენად.

თეორიული საფუძველი

1

თუმც შესავალში უკვე მივუთითეთ გამოკვლევის თეორიული საფუძვლის თაობაზე, ამ თავში კვლავ თეორიაზე, ამჯერად უფრო დაწვრილებით, გვექნება მსჯელობა. გვინდა დავიწყოთ იმის განმარტებით თუ რატომ ჩავთვალეთ აუცილებლად ვრცლად გვესაუბრა აღნიშნული ასპექტის შესახებ.

უკვე მრავალი წელია ქართული იდენტობის ისტორიის შესახებ ჩვენს წერილობით თუ ზეპირ პუბლიკაციებს ქართველი მკითხველისა თუ ქართული აუდიტორიისათვის ვიწყებთ გამოკვლევის თეორიული საფუძვლის და გამოყენებული ტერმინების განმარტებით. ხშირად ვიმოწმებთ ნაციის ინტერპრეტაციის ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ფუძემდებლის ე. სმითის ზემოთ აღნიშნულ ქართულად თარგმნილ ორ წიგნსაც[1] იმ იმედით, რომ რის განმარტებასაც ვერ მოვახერხებთ ჩვენი ნაშრომების შესავალში, დაინტერესებული მკითხველი თავადაც შეიტყობს ამ თარგმანების მეშვეობით და ენობრივი ბარიერი პრობლემა არ იქნება მისთვის.

მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი ეს მცდელობა მიზანს ყოველთვის აღწევს. ძალიან ხშირად ჩვენს ამგვარ დისკურსს აგებებენ ინდიფერენტიზმს; არცთუ იშვიათად კი, რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ზოგი კოლეგა ამჟღავნებს დაუფარავ აგრესიას არა მარტო ჩვენდამი, არამედ სტუდენტების მიმართაც, რომლებიც ჩვენს მიდგომას იზიარებენ. მიუხედავად სამეცნიერო სფეროში ჩვენი საკმაოდ ხანგრძლივი მოღვაწეობისა, ოპონენტები თავს უფლებას აძლევენ მენტორული ტონით მიგვითითონ, რომ ჩვენ მიერ აღწერილ თეორიულ მიდგომაში ახალი არაფერი არაა, რომ ეს ყველაფერი ისედაც ცნობილი იყო ყველასათვის და საგანგებო განმარტებას აღარ საჭიროებს.

---

[1] ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი–მალენი). თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, 2004; ე.დ. სმითი. ნაციონალური იდენტობა (თარგმნა ლ. პატარიძემ). თბილისი, 2008.

თეორიულ პრობლემატიკაზე მსჯელობას ისტორიკოსთა ერთი ნაწილი სრულიად ზედმეტად მიიჩნევს, ხოლო ამ ტიპის მსჯელობებისათვის დამახასიათებელი უცხოენოვანი ტერმინების გამოყენებას სნობიზმად გვითვლის. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ იმ სპეციალისტებში, რომლებიც თავად იყენებენ მრავალ უცხოური წარმომავლობის ტერმინს (სხვაგვარად დარგის სპეციალისტობა, ცხადია, არც იქნებოდა შესაძლებელი), აღშფოთებას იწვევს ჩვენ მიერ მოხმობილი ყოველი უცხო ტერმინი და მსჯელობის ის ფორმა, რომელსაც ჩვენ მივმართავთ. მოითხოვენ, რომ ტერმინი "იდენტობა" ჩავანაცვლოთ "თვითცნობიერებით", მაშინ, როცა ამგვარი შენიშვნის არცერთ ავტორს არასოდეს მოსვლია აზრად არ გამოეყენებინა უცხო სიტყვები, მაგალითად, სიტყვა "სოციალური" და ყოველთვის მის ნაცვლად ეხმარა "საზოგადოებრივი"; ან ცდილიყო სიტყვა "ეთნიკურის" ქართული ეკვივალენტი მოეძიებინა; ან "ისტორიის" მაგიერ "მოთხრობა" გამოეყენებინა; სიტყვა "პარტია" კი ჩაენაცვლებინა სიტყვა "დასით" და ა.შ.

არის მუდმივი თხოვნა და მოთხოვნა (sic!), რომ გავამარტივოთ (sic!) ჩვენი სამეცნიერო მსჯელობა, გამოვნახოთ ამ ტერმინების ქართული ექვივალენტები, რათა ნათქვამი გასაგები გავხადოთ ფართო საზოგადოებისათვის. "ფართო საზოგადოებაზე" აპელირება ჩვენი კრიტიკის ლამის მუდმივ თემად გადაიქცა, თუმც ჩვენ ოპონენტთაგან ყველამ კარგად იცის, რომ დღემდე ჩვენ მიერ ქართული იდენტობის ისტორიის შესახებ გამოქვეყნებული ყველა ნაშრომი გამიზნულია სპეციალისტი მკითხველისათვის.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა გარემოში ენის სიწმინდის საკითხს სხვადასხვაგვარად უდგებიან. მაგალითად, ჩვენმა მეზობელმა სომხებმა, რომელთათვის, როგორც დიასპორა-ნაციისათვის,[2] დამახასიათებელია

[2] "დიასპორა- ნაციებს" თვითშენახვის თავისებური სტრატეგია და ტაქტიკა აქვთ. ამის შესახებ საზოგადოდ და, ნაწილობრივ, სომხურ მაგალითთან დაკავშირებით იხ. მ. ჩხარტიშვილი. ნაციონალური იდენტობა და დიასპორა: საკითხის თეორიული ასპექტი და ქართული გამოცდილების კვლევის ძირითადი პრობლემები. კულტურათა დიალოგი და დიასპორა (საერთაშორისო კონფერენცია *დიასპორას როლი კულტურათა დიალოგში*). თბილისი, საქართველოს მაცნე, 2009, გვ. 95-100; M. Chkhartishvili. On Georgian identity and Culture (Nine international presentations by Professor Mariam Chkhrtishvili). Tbilisi, Universal, 2009, pp.107-125.

მკაცრად ექსკლუზიური ნაციონალიზმი, ენობრივი პურიზმის საკითხი გადაწყვიტეს მაქსიმალისტურად ანუ ისე, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო ამგვარი ტიპის ნაციის შემთხვევაში: ისინი ყველა უცხოურ ტერმინს თარგმნიან; ისეთ სიტყვების აღსანიშნავადაც კი როგორებიცაა "ისტორია", "ფილოლოგია" და ა.შ. სომხური სიტყვები აქვთ გამოყენებული.

როგორც ვიცით, ქართულ სინამდვილეში საქმე აქამდე არასოდეს მისულა. ქართული ენობრივი სტანდარტის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი ღვაწლის დამდების – ილია ჭავჭავაძის – აზრით, 'ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებითა ერს არ დაამდაბლებს თუ არ აამაღლებს'.

ამგვარ დამოკიდებულების ფესვები შორეულ საუკუნეებში იკარგება. ჯერ კიდევ გიორგი მერჩულე, რომელიც "ქართლის" რაობის განმარტებას ენის მეშვეობით ცდილობდა, ქართულ ჟამისწირვაში ბერძნული სიტყვის გამოყენებას აფიქსირებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვის თარგმნა პრობლემას არ წარმოადგენდა და ავტორი იქვე გვთავაზობს კიდეც ამას. დარწმუნებული ვართ, ჩვენმა ყოველმა მკითხველმა, სკოლის მერხიდან ზეპირად იცის ეს ფრაზა, ქვემოთ მაინც მოგვყავს იგი იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ ჩავუფიქრდეთ ბერძნული სიტყვის უთარგმნელად დატოვების მიზეზს.

> რამეთუ პირველად აღმოსავალისა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალჱმით მოჰყვანდა. ხოლო ეფრემ ქრისტესმიერითა ბრძანებითა მიჰრონის კურთხევაჲ ქართლს განაწესა. იერუსალჱმისთა პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულით. არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კჳრილეისონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: უფალო წყალობა ყავ, გინა უფალო, შეგჳწყალენ.[3]

ერთი შეხედვით, ამგვარი ტრადიციის მქონე ქვეყანაში ძალიან უცნაურია, როცა კოლეგების ერთი ნაწილი კონკრეტულად ჩვენგან მოითხოვს არ გამოვიყენოთ უცხო სიტყვები ტერმინებად. მაგრამ საზოგადოდ ცნობილია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული

[3] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (რედ. ი. აბულაძე). თბილისი, მეცნიერება, 1963, გვ. 290.

დებატები გამოწვეულია არა იმდენად საკუთრივ ენობრივი პრობლემით, არამედ სოლიდაროზის იდეოლოგიის აქტუალიზაციის საჭიროებით და წარმოადგენს ლინგვისტური ნაციონალიზმის გამოვლინებას, გლობალიზაციის პროცესის გამოწვევის პასუხს. თუმც რიგი გარემოებებისა გვაფიქრებინებს, რომ ჩვენდამი აგრესიის მიზეზი ყოველთვის კოლეგათა გამმაფრებული პატრიოტული სენტიმენტები არაა; ზოგჯერ მისი გამომწვევია საკმაოდ პროზაული და უღირსი გრძნობებიც, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა კონკურენტის თავიდან მოშორების სურვილი და სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეების საკუთარი სამეცნიერო თვალსაწიერის შესაბამისად შემოფარგვლისაკენ სწრაფვა.[4]

ამგვარი დამოკიდებულება, ცხადია, ძალიან გულდასაწყვეტია, რადგან ყოველი სამეცნიერო პრეზენტაციის მიზანი საბოლოო ჯამში სხვა არაფერია თუ არა ის, რომ საკუთარი შეხედულება კოლეგას გაუზიარო, ხოლო მეცნიერება თანამშრომლობაა და არა დაპირისპირებულ ჯგუფთა არამეცნიერული მიზნებით ჭიდილის სარბიელი. მაგრამ ხანდახან ვითარება უფრო მეტად დრამატულ ხასიათს იღებს, ვიდრე ეს უბრალო გულდაწყვეტაა. კოლეგათა ნაწილის დამოკიდებულება ზოგჯერ იქცევა ბარიერად სამეცნიერო სფეროში ჩვენი თვითრეალიზაციისათვის. ეს არ არის უმნიშვნელო თემა არა მარტო ჩვენთვის, არამედ ჩვენი სამეცნიერო ცხოვრებისათვის საზოგადოდ. ამიტომ, როგორც ვთქვით, ვიდრე უშუალოდ გამოკვლევის თეორიულ ბაზისს განვმარტავდეთ, რამდენამდე ვრცლად გვინდა წარმოვადგინოთ ასეთი დამოკიდებულების შედეგების ამსახველი ზოგიერთი ფაქტი. პირველ რიგში გვინდა აღვწეროთ შემთხვევა,

[4] სამეცნიერო სივრცის საკუთარი თვალსაწიერის შესატყვისად მონოპოლიზების სურვილის გამომხატველია დ. მუსხელიშვილის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი წერილი. მისი კრიტიკისათვის იხ. მ. ჩხარტიშვილი. პასუხის პასუხი აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს: ოცდამეერთე საუკუნის საქართველოში ისტორიული მეცნიერების განვითარების პრობლემები მეექვსე და მეშვიდე საუკუნეების საქართველოს ისტორიის თაობაზე დებატების ფონზე. საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, IX (რედ. მ. ჩხარტიშვილი). თბილისი, უნივერსალი, 2008, გვ. 192-202.

რომელიც უკავშირდება ანონიმი ექსპერტების მიერ ჩვენი ერთ-ერთი საგრანტო პროექტის "ჩაგდებას".

2010 წელს სსიპ ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი) წარვადგინეთ პროექტი *ნაციონალური კონსოლიდაცია და ისტორიული მახსოვრობა: კვლევა ქართული მაგალითით* (*მე-19 საუკუნე – მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედი*, რომელსაც წინამდებარე ნაშრომის გაგრძელებად მოვიაზრებდით.

ამ პროექტმა არგასულ პროექტთა შორის დაიკავა 140-ე ადგილი, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ექსპერტის მიერ ის შეფასებული იყო 100, ანუ უმაღლესი, ქულით. პროექტის "ჩაძირვის" მიზეზი იყო ორი ადგილობრივი ექსპერტი, რომელთა კრიტიკული შენიშვნების ერთ ნაწილს აქვე წარმოგიდგენთ, რადგან ისინი განსაკუთრებით ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ იმ ვითარებას წარმოაჩენენ ხელშესახებად, რომლის შესახებ ზემოთ აღვნიშნავდით.

ერთ-ერთი ადგილობრივი ექსპერტის (მას პირობითად პირველ ადგილობრივ ექსპერტს ვუწოდებთ) ჩვენი საგრანტო პროექტის შეფასებაზე დართული კომენტარები შედარებით ვრცელია, მაგრამ სამეცნიერო შეფასებას კი არა, პროექტის სასაცილოდ აგდებას (sic!) ისახავს მიზნად. ანონიმის ტონი ირონიულია. ირონიის საფუძველს ის წარმოადგენს, რომ ჩვენ განვსაზღვრავთ გამოკვლევის თეორიულ ჩარჩოს.

საქმე ისაა, რომ დარწმუნებულნი ვიყავით (და, ბუნებრივია, ახლაც ვართ), რომ გამოკვლევისათვის სათანადო თეორიული საფუძვლის შერჩევა არის საკითხი, რომელიც ნებისმიერი მკვლევრის წინაშე უნდა დადგეს. განსაკუთრებით არსებითია ეს იმ შემთხვევაში, თუ გამოკვლევის მიზანი იმგვარად რთული ისტორიული პროცესის შესწავლაა, როგორც იდენტობის ისტორიაა. ხსენებული ექსპერტი სხვაგვარად ფიქრობს. მას კომენტარში მოჰყავს შემდეგი ფრაზა ჩვენი პროექტიდან: 'სოციალური თეორია, რომლის ფარგლებში ისტორიული რეკონსტრუქცია მიმდინარეობს'. ამას მოსდევს საკუთარი აზრის სისწორის შეუვალობაში დარწმუნებული ადამიანის შემდეგი ირონიული კითხვა: 'თეორიის ჩარჩოებში მიმდინარეობს რეკონსტრუქცია, თანაც ისტორიული?'

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს მეცნიერთან, რომელსაც წარმოუდგენლად მიაჩნია, რომ ისტორიულ რეპრეზენტაცია წარიმართოს კონკრეტული თეორიის საფუძველზე. ზემოთქმულთან კავშირში ძალიან ნიშანდობლივად გვეჩვენება ამავე ექსპერტის შენიშვნაც პროექტის ენასთან დაკავშირებით. აი, რას წერს იგი:

> ძირითად შემსრულებლებს სამეცნიერო მუშაობის საკმარისი გამოცდილება აქვთ, მაგრამ ტექსტი, რომლის შედგენაშიც მონაწილეობა (იგულისხმება) მათაც მიიღეს (იხ. ზემ.) მძიმე შთაბეჭდილებას (ხაზი ჩვენია. – მ.ჩ., ქ.მ.) ტოვებს. გვრჩება შთაბეჭდილება (ხაზი ჩვენია. – მ.ჩ., ქ.მ.), რომ ენობრივი ქსოვილი ხელოვნურადაა დამძიმებული და გაუხეშებული. თუკი დაგეგმილ პუბლიკაციებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური დანიშნულებაც აქვს, ისინი ადვილად აღსაქმელი ენითაც უნდა გამოირჩეოდნენ. არა ვართ დარწმუნებულნი, რომ ეს პროდუქცია კოინე დიალექტით (ხაზი ჩვენია. – მ.ჩ., ქ.მ.) გადმოიცემა.

მკითხველს ვთხოვთ, დაუკვირდეს ექსპერტის სტილს, რომელსაც ჩვენი ქართული არ მოსწონს. აქ ჩვენი დახმარება აზრის შესამუშავებლად, ვფიქრობთ, მას არ დასჭირდება.

ახლა არსობრივად ამ კომენტარის შესახებ. ის, რომ ჩვენი მეცნიერული მსჯელობების არსი ამ ექსპერტისათვის გაუგებარია, ამის მიზეზი ჩვენი ქართული არ არის. ამის მიზეზია ის, რომ ეს ექსპერტი არ იცნობს სათანადო სპეციალურ ლიტერატურას. მიუხედავად იმისა, რომ მცირე ნაწილი ამ ლიტერატურისა, როგორც უკვე ვთქვით, ქართულადაც არსებობს, ძირითადად მაინც ევროპულ ენებზეა და ექსპერტს მათზე ხელი აშკარად არ მიუწვდება. ეს უნდა ითქვას გარკვევით. ჩვენ ვთვლით, რომ თავისთავად ევროპული ენების არცოდნა საძრახისი არაა ადამიანისათვის და არც უცხო ენების ცოდნაა ინტელექტის შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი.[5] საძრახისი და

[5] თუმცაღა მეტად მნიშვნელოვანი კია. როგორც ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა, 'უცხო ენის არცოდნა დიდი დამაბრკოლებელი მიზეზია ცხოვრების გზაზედ. უცხო ენის არმცოდნე ყმაწვილი კაცი მუნჯია და ყრუ იმ განვითარებისა და წარმატებისათვის, ურომლისოდაც დღეს ადამიანი ადამიანი არ არის. მთელი განძი გაძლიერებულის მეცნიერებისა ცალკედ და ლიტერატურის საზოგადოდ, მისთვის მიუწვდომელია, თუ კაცს ერთ-ერთი ევროპულის ენის ცოდნა მაინც არა აქვს. სათავეს მეცნიერებისას, მის ყოვლად შემძლებელს სიკეთეს და

აღმაშფოთებელი ისაა, რომ მეცნიერს საანალიზო თემასთან დაკავშირებით არაფერი წაუკითხავს, მაგრამ არ იმჩნევს და ექსპერტობას თანხმდება; კიდევ მეტი: უარყოფითად აფასებს პროექტს იმის გამო, რომ უბრალოდ ვერ გაიგო იგი.

როგორც ვთქვით, ექსპერტმა პროექტის არსი ვერ გაიგო და ეს გარემოება უნდა მის ენას დააბრალოს და არა დარგში საკუთარ არაკომპეტენტურობას. მაგრამ იმის შიშით, რომ უცხო ტერმინების არცოდნაში არ დავდოთ ბრალი, ყოველგვარი საჭიროების გარეშე, სრულიად უადგილოდ ტექსტში რთავს ტერმინს "კოინე დიალექტი", რომელსაც, მართალია, იყენებს ზოგიერთი ქართველი სპეციალისტი, მაგრამ, რომელიც აშკარად ნონსენსია: როგორც ცნობილია, "კოინე" ნიშნავს საერთო ენას, რომელსაც სხვადასხვა დიალექტებზე მოსაუბრენი იყენებენ გაგებინებისათვის. იგი, ჩვეულებრივ, ერთ-ერთ დიალექტს ემყარება. რაღა საჭიროა, აქ სიტყვა "დიალექტის" მიმატება, გაუგებარია. ექსპერტის მიერ ამ ე.წ. ტერმინის გამოყენების მიზეზი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: მას უნდა გვაჩვენოს, რომ უცხო ტერმინები, რომელთა გამო პროექტი "ჩაძირა", პირადად მისთვის "უცხო ხილი" როდია და იმიტომ კი არ გვიკრძალავს მათ გამოყენებას, რომ არ იცის.

სამეცნიერო პროექტის ენა, ისევე როგორც სამეცნიერო გამოკვლევის ენა, ცხადია, მეცნიერული უნდა იყოს. მეცნიერული ენა კი სულაც არაა სავალდებულო, რომ ფართო საზოგადოებას ესმოდეს, თუნდაც საქმე ეხებოდეს გამოკვლევას ფართო საზოგადოებისათვის იმგვარად საინტერესო დარგში, როგორიც ისტორიაა.

რაც შეეხება ადვილაღსაქმელი, ფართო მკითხველზე ორიენტირებული ტექსტის მომზადებას, ეს ცალკე ამოცანაა და მის

სიმდიდრეს მარტო ევროპიულის ენის რომელისამეს ცოდნით შეუძლიან დაეწაფოს ადამიანი. ჩვენ ქართველები მეტად ძლიერ ვკოჭლობთ ამ მხრითა და მიზეზიც ეს არის, რომ ასე ულონონი ვართ სწავლისა და მეცნიერებისათვის'. იხ. ი. ჭავჭავაძე. მეთაური წერილი. 1887 წლის 13 სექტემბერი, *ივერია*, გვ. 1. ვიმოწმებთ შემდეგი გამოცემის მიხედვით: ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად (მთ. რედ. გ. ბენაშვილი), ტომი 9: პუბლიცისტური წერილები, 1887 (ტომის რედ. რ. კურსაშვილი). ილიას ფონდი 2006, გვ. 546. ამ წერილის ატრიბუციისათვის იხ. შენ. გვ. 704.

გადაწყვეტასაც ვისახავდით ხსენებული პროექტის ფარგლებში. მაგრამ ეს მიზანიც ძალიან არ მოსწონებია ექსპერტს:

> არ არის დამაჯერებლად არგუმენტირებული რა აუცილებელია "ნაშრომის" ორი ვარიანტის გაკეთება – ერთი მეცნიერებისათვის, მეორე ფართო ფენებისათვის: თუკი საგანი საყოველთაოა, ნუთუ არ შეიძლება დაიწეროს ისე, რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს?

გაუგებარია, რატომ (და როგორ) უნდა დაიწეროს სამეცნიერო ნაშრომი ისე, რომ დარგში სამეცნიერო ხარისხის მფლობელი პირისათვის და პირველკურსელისათვის იგი თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს? ნუთუ ექსპერტს არაფერი სმენია სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის შესახებ, იმის შესახებ, რომ არსებობს სამეცნიერო აზრის გადმოცემის სხვადასხვა ფორმა: ერთი მხრივ, სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის გამიზნული და, მეორე მხრივ, მკითხველთა ფართო წრეზე ორიენტირებული და შესაბამისად ადაპტირებული ტექსტები?!

მეორე ადგილობრივი ექსპერტიც ჩერდება ჩვენი პროექტის თეორიულ ჩარჩოზე. პროექტის შესრულება ნაციის ინტერპრეტაციის ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ჩარჩოებში იყო დაგეგმილი. ამ მიდგომის არსი პროექტში განმარტებულია, ოღონდაც მისი ჩამოყალიბების ისტორიაზე, სრულიად გასაგები მიზეზის გამო (პროექტის ავტორები მოელოდნენ საქმეში ჩახედულ ექსპერტს) ყურადღება არ იყო გამახვილებული. მაგრამ მეორე ექსპერტისათვის, ისევე როგორც პირველისათვის, ამ დარგში ინფორმაციის ერთადერთი წყარო ისევ და ისევ ჩვენი პროექტი აღმოჩნდა. ამიტომაა, რომ იგი სრულ ინფორმაციას არ ფლობს და ეთნოსიმბოლიზმი შეცდომით ამერიკულ სკოლად წარმოუდგენია, ხოლო რახან ჩვენ დისერტაციები წყაროთმცოდნეობის განხრით გვაქვს დაცული, პროექტით გამიზნული კვლევაც წყაროთმცოდნეობითად მიუჩნევია. აი, შესაბამისი ამონარიდიც *კომენტარებიდან* (მკითხველს ამ შემთხვევაშიც ვთხოვთ ექსპერტის სტილზე დაკვირვებას):

> კვლევის მეთოდიკა <u>დაფუძნებულია</u> (ხაზი ჩვენია. – მ.ჩ., ქ.მ.) ამერიკული სამეცნიერო სკოლის კონკრეტული მიმართულების მიერ <u>დაფუძნებულ</u> (ხაზი ჩვენია. – მ.ჩ., ქ.მ.) მეთოდოლოგიაზე, რაც შემდგომ მისადაგებულია

ქართულ წყაროთმცოდნეობასთან, ამდენად მოსალოდნელი შედეგები რამდენადმე ბუნდოვანია.

არცაა გასაკვირი, რომ პროექტი ბუნდოვანი აღმოჩნდა იმ ადამიანისათვის, რომელსაც ეთნოსიმბოლიზმი ამერიკული სკოლა და თავად პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის რეპრეზენტაციას, წყაროთმცოდნეობითი ხასიათის კვლევა ჰგონებია, ანუ ამ ექსპერტის სახითაც საქმე გვაქვს მეცნიერთან, რომლისათვის სფერო, რომელზეც ჩვენ ვმსჯელობთ, არის *terra incognita*. თუმც, ეს გარემოება მასაც ხელს არ უშლის, გამოთქვას კრიტიკული აზრი ჩვენი მიდგომის თაობაზე და, მეტიც, გადაწყვიტოს ჩვენი საგრანტო პროექტის ბედი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში საგრანტო კონკურსის ხარვეზებთან დაკავშირებით ჩატარებულ სპეციალურ შეკრებაზე საშუალება მოგვეცა გამოგვექვეყნებინა ჩვენი ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისი, მაგრამ დიდი იმედი არა გვაქვს, რომ ამით ქართულ ისტორიოგრაფიაში თეორიული ლიტერატურისადმი ნეგატიური დამოკიდებულება მყისიერად შეიცვლება. ამას გვაფიქრებინებს არაერთი ფაქტი, მათ შორის, თ. ბერაძის წერილი *ქართული იდენტობის ძირითადი ეტაპები*, რომელიც დაიბეჭდა *ეთნოლოგიურ კრებულში* (რედ. ქ. ხუციშვილი), 2008, გვ. 3-9.[6] სტატიის დასაწყისი, კერძოდ, მეორე აბზაცი წარმოადგენს ერების ჩამოყალიბების შესახებ დასავლური კონცეფციების კრიტიკას ისე, რომ არცერთი ნაშრომი არათუ

[6] სხვათა შორის, მოხსენება ანალოგიური სათაურით *ქართული იდენტობა: განვითარების საფეხურები* (*Georgian Identity*: *Stages of Development*) ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა, კერძოდ, მ. ჩხარტიშვილმა მთელი ხუთი წლით ადრე, 2003 წლის 28 მაისს, გააკეთა ლონდონში *ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის კვლევის ასოციაციის* (ASEN) საერთაშორისო სემინარზე. ინფორმაცია აღნიშნული ფაქტის შესახებ დღემდე განთავსებულია ინტერნეტში და დაინტერესებულ მკითხველს ადვილად შეუძლია მისი მოძიება შემდეგ მისამართზე: http://www2.lse.ac.uk/publicEvents/events/2003/20030509t1020z001.aspx. ცხადია, სხვა მკვლევარს ვერავინ აუკრძალავდა თავისი სტატიისათვის არსებითად ჩვენი მოხსენების სათაური მიეცა, თუმც ის კი აუცილებელად უნდა აღენიშნა, რომ ქართული იდენტობის განვითარების აღწერის პრეცენდენტი მისი სტატიის გამოქვეყნებამდეც არსებობდა.

განხილული, დასახელებულიც კი არაა. მიუხედავად ამისა, მკვლევარი სრულიად კატეგორიულია თავის უარყოფით დამოკიდებულებაში იმ ნაშრომებისადმი, რომლებშიც ერების წარმოშობა დაკავშირებულია მოდერნის ეპოქასთან:

> ეროვნული ცნობიერების, ანუ იდენტობის ჩამოყალიბების შესახებ არაერთი მოსაზრება არსებობს. ჩემთვის ცნობილი უახლესი "მოდური" თეორიის თანახმად, ერთიანი ეროვნული ცნობიერება ისეთ ხალხშიც კი, როგორიც ფრანგები არიან, მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში საყოველთაო წერა-კითხვის ცოდნის და მასმედიის საშუალებათა განვითარების ეპოქაში დამკვიდრდა. ზოგი მკვლევარი იქამდეც მიდის, რომ ერად მხოლოდ იმ ხალხს მიიჩნევს, სადაც თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნები ტარდება. მე ასეთ მოსაზრებას აბსოლუტურად არ ვიზიარებ, რადგან მივიჩნევ, რომ ზოგიერთი ერი ბევრად ადრე ჩამოყალიბდა, ვიდრე მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები დამკვიდრდებოდა.[7]

როგორც ვხედავთ, დღეს ფართოდ გაზიარებული თვალსაზრისი ერის ჩამოყალიბების მასობრივი კომუნკაციების იმპულსთან დაკავშირების შესახებ, რაც წინამდებარე გამოკვლევის საფუძველიცაა, თ. ბერაძის მიერ უაპელაციოდ უარყოფილია.

მაგრამ საგრანტო პროექტები ერთადერთი სფერო არაა, სადაც სათანადო კვალიფიკაციის არმქონე პირები ცდილობენ გზა გადაგვიკეტონ. ასეთია, სასწავლო სფეროც და, ვთვლით, რომ მათი მხრიდან ეს სრულიად გაცნობიერებული სამიზნეა, რადგან ყველასათვის აშკარაა, რომ სამეცნიერო სფეროში თანამოაზრეთა რიცხვის გაზრდის ყველაზე ეფექტური გზა არის სწორედ განსწავლული ახალი თაობის მომზადება. ამიტომაც ამ წრეებმა იმ სამაგისტრო პროგრამაზეც მიიტანეს იერიში, რომელსაც ერთ-ერთი ჩვენთაგანი, კერძოდ, მ. ჩხარტიშვილი, ხელმძღვანელობს. ამ სამაგისტრო პროგრამას ეწოდება *საქართველოს ისტორია* და იგი 2006 წლიდან მოქმედებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამჯერადაც "ოპონენტები" ანონიმურად მოქმედებდნენ ანუ ჟურნალისტს იყვნენ ამოფარებული. მხედველობაში გვაქვს გ. ზედელაშვილის სტატია რა

[7] თ. ბერაძე. ქართული იდენტობის ძირითადი ეტაპები. ეთნოგრაფიული კრებული (მთ. რედ. ქ. ხუციშვილი). თბილისი, უნივერსალი, 2008, გვ. 3.

სისულელეები წერია თსუ-ს საიტზე? ყველაზე განგრძობადი ერი – ქართველები, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ *ქრონიკის* 2010 წლის 6-12 სექტემბრის ნომერში, რუბრიკაში *ვაი, ჩვენს პატრონს*. აქ მოკლედ შევეხებით ამ სტატიის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც კავშირშია ზემოთ უკვე ქმულთან.

სტატიის დასაწყისში ჟურნალისტი, კრიტიკულად (ძალიან რბილად ნათქვამია) განიხილავს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთ-ერთ სხვა სამაგისტრო პროგრამას, მაგრამ იგი არც მალავს, რომ ამას სხვათაშორის აკეთებს და რომ მთავარი სამიზნეა სამაგისტრო პროგრამა *საქართველოს ისტორია* და სხვა პროგრამას სულაც არ შეეხებოდა ('არ გაკრავდა კბილს') რომ არ ენახა 'ძალიან მაგარი ჩიქორთული ქართულით დაწერილი სამაგისტრო პროგრამა' ანუ ჩვენი პროგრამა.

ის, რაც ჟურნალისტს ჩიქორთულ ქართულად მიაჩნია, არის სამეცნიერო ქართული, რომელიც, როგორც ჩანს, მისთვის უჩვეულოა, რადგან სამეცნიერო ქართული, ცხადია, განსხვავებულია ყოველდღიური ქართულისაგან. მაგრამ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რათა ძალიან არ დავცილდეთ ამ თავის მიზანს, მხოლოდ ერთ გარემოებაზე გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას.

ჟურნალისტი განსაკუთრებით აღუშფოთებია ჩვენ მიერ პროგრამის შესავალში ტერმინ "განგრძობადი ერის" გამოყენებას. იგი დიდი ემოციით ეკიდება ამ საკითხს, ქილიკით ცდილობს გაართოს მკითხველი. თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამასთან დაკავშირებულ "გონებამახვილურ მიგნებებს" ეს ჩანს იქიდანაც, რომ "განგრძობადი ერი" სტატიის ქვესათაურადაც კი არის გამოტანილი. აი, როგორია მისი განმარტებანი ამასთან დაკავშირებით:

> რაც შეეხება მსოფლიოში ყველაზე "განგრძობად" ერს, ეს უკვე სხვა საკითხია, ქალბატონ ჩხარტიშვილს სურს, გვითხრას, რომ ჩვენ ვართ მსოფლიოში ყველაზე "გრძელი" ყველაზე "დაგრძელებული", ყველაზე "უგრძესი" ერი და მეტიც, ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ განგრძობადობას მიხეილ სააკაშვილის წყალობით. ამინ!

მიუხედავად იმისა, რომ "გრძელი", "დაგრძელებული", "უგრძესი" და "განგრძობადი" ერთი და იმავე ძირის სიტყვებია, ისინი ზუსტად

ერთი და იგივე არ არის. ამიტომ არ მიგვაჩნია გამართლებულად, რომ ჟურნალისტი მოგვაწერს იმას, რაც არ გვითქვამს. ჩვენ ვიყენებთ ტერმინს "განგრძობადი ერი" და "გრძელი", "დაგრძელებული" ან "უგრძესი" აქ არაფერ შუაშია. მიუხედავად საქართველოს პრეზიდენტისდამი დიდი პატივისცემისა, ჩვენ პროგრამაში არც ბატონ მიხეილ სააკაშვილს ვიხსენიებთ სადმე. რატომ ეხება მას ჟურნალისტი, გაუგებარია. შესაძლოა, იმედოვნებს, რომ ეს მას ოპოზიციურად განწყობილი მკითხველის მხარდაჭერას მოაპოვებინებს.

ახლა განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლება ერის მიმართ გამოყენებულ იქნას ატრიბუტი "განგრძობადი". ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად კარგად უნდა გვესმოდეს რა არის "ერი". ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო ვრცლად ვიმსჯელებთ ქვემოთ. აქ მხოლოდ მოკლე, სამუშაო განმარტებას მოვიყვანთ: "ერი" ეს არის ადამიანთა ერთობა, რომელიც ხანგრძლივი განვითარების შედეგს წარმოადგენს. მას შემდეგაც კი, რაც ერი ძირითადად ჩამოყალიბებულია, იგი განაგრძობს განვითარებას ანუ ერად ყოფნა არის პროცესი. პროცესის მიმართ კი, ცხადია, მართებულია ატრიბუტი "განგრძობადი".

დღეს მსოფლიოში მრავალი ერი არსებობს. მათი წარმოშობის ისტორია ერთგვაროვანი არ არის. ერების ერთი ნაწილი რამდენიმე ეთნიკური ბირთვის შერწყმის შედეგად ახალ დროში ჩამოყალიბდა. ქართველი ერის განვითარების თავისებურება კი ისაა, რომ მისი ეთნიკური ბირთვი წარმოიშვა უხსოვარ დროში და ამ თავდაპირველი ეთნიკური მოცემულობის შენარჩუნებით წარიმართა მისი უწყვეტი განვითარება ვიდრე ქართველი ერის ფორმირებამდე. ამიტომ ვამბობთ, რომ ქართველი ერი არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განგრძობადი და არა ყველაზე განგრძობადი, როგორც ამას მოგვაწერს ჟურნალისტი.

"განგრძობადი ერი" ტერმინია, რომელიც გამოიყენება თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში. სამწუხაროდ, ეს ბატონმა ზედელაშვილმა (და, ცხადია, მისმა დამკვეთმაც) არ იცის და ამიტომ თავს ნებას აძლევს იქილიკოს. იგი აღსავსეა ყველა უცოდინარისათვის დამახასიათებელი საბრძოლო ჟინით.

ქვემოთ მოვიყვანთ ამონარიდს ე. სმითის ნაშრომიდან, სადაც ის მსჯელობს ნაციებისა და ნაციონალიზმების განსხვავებულ

ტიპებზე და სადაც იგი იყენებს ამ ტერმინს, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებულს. ჩვენ ნაწყვეტი მოგვყავს ორიგინალის ენაზე, რადგან ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს ტერმინს. ქართულად ამ ადგილის შემოწმება მკითხველს შეუძლია ე. სმითის ნაშრომის ჩვენეულ თარგმანში.[8] დედნის სიტყვას "continuous" ქართულად, სრულიად ბუნებრივად, შეესატყვისება "განგრძობადი":

> Despite the many criticism leveled at Kohn's dichotomy … it retains kernel of truth … it describes normative types. There have been attempts to create more historical and sociological distinctions, from the works of Cartlton Hayes and Luis Snyder to latter formulations such as Seton Watson's distinction between the 'old continuous nations' of mainly Western Europe and new deliberately created nations ('nations of design', as Charles Tilly describes them) of Western Europe and Asia, and my own distinction between nationalisms based on 'territory' and those based on 'ethnicity'.[9]

საზოგადოდ ამ ჟურნალისტის გასაგონად (და ზოგ სხვათა გასაგონადაც) გვინდა ვთქვათ, რომ ტერმინის გამოყენება სპეციალისტის მიერ არ ხდება ნებისმიერად. იგი გარკვეულ თეორიულ პოზიციას უკავშირდება. მაგალითად, ი. ჯავახიშვილი ქართველი ერის განსაკუთრებული დღეგრძელობის ფაქტი რომ დაეფიქსირებინა იყენებდა სიტყვა "მხცოვანს": 'თუმცა ოცი წელი ქართველი ერივით მხცოვანი ერის ისტორიაში დროის მცირე მანძილია'.[10]

შესაძლოა, ტერმინი "მხცოვანი" უფრო გასაგები აღმოჩნდეს ფართო საზოგადოებისათვის, მაგრამ ჩვენ მას ვერ გამოვიყენებდით ერის მიმართ, რადგან ამგვარი ატრიბუტი ასოციაციურ ბმას ქმნის ორგანიციზმთან ანუ სოციალურ თეორიასთან, რომლის მიხედვითაც

---

[8] ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი–მალენი). თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, 2004, გვ. 70, 71.

[9] A.D. Smith. Nationalism: Theory, Ideology, History. Polity Press, 2001, p. 40.

[10] ი. ჯავახიშვილი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ოცი წლისთავისათვის. ივანე ჯავახიშვილი – წერილები, ილიას ბიბლიოთეკა, 2 (წინასიტყვაობა გ. ზედანიასი). თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010, გვ. 34.

ერები მოიაზრება ცოცხალ ორგანიზმებად. ორგანიციზმი ჩვენთვის მიუღებელი თეორიაა და არა მარტო ჩვენთვის. ნაციის ფენომენის თანამედროვე მკვლევართაგან მას ცოტა ვინმე თუ იზიარებს.

ცხადია, *ქრონიკაში* ჩვენს სამაგისტრო პროგრამაზე გამოქვეყნებული პასკვილი არ არის შემთხვევითი. იგი ზოგიერთ ექსპერტთა ზემოთ განხილულ ნააზრევთან კარგ თანხმობაშია და აშკარად სამეცნიერო წრეების გარკვეული ნაწილის დაკვეთას წარმოადგენს: ამჯერად ხელი უნდა შეშლოდა ჩვენს თვითრეალიზებას სწავლების სფეროში. ხსენებული წერილი ზუსტად მაშინ გამოქვეყნდა, როცა სამაგისტრო პროგრამაზე განაცხადებები შემოჰქონდათ სტუდენტებს. იმავე პერიოდში იგივე შინაარსის კრიტიკა ჩვენი მისამართით გაჟღერდა რამდენიმე სატელევიზიო არხზეც. თუმც, ამჯერად, განსხვავებით საგრანტო პროექტის ჩაგდებისაგან, ამ ჯგუფის მცდელობას, საბედნიეროდ, წარმატება არ მოჰყოლია, საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხვმა წინა წლებთან შედარებით არათუ დაიკლო, არამედ ერთიორად იმატა.

ხსენებულ ჟურნალისტს, უფრო კი მის დამკვეთებს, ცხადია, სურთ "ჩვენისთანების" განდევნა როგორც სამეცნიერო, ისე საგანმანათლებლო სივრცეებიდან, რათა ამ სივრცის სრულ მონოპოლიზების შემდგომ აქ მათთვის ხელმისაწვდომი სამეცნიერო დონის დამკვიდრება აღარ გაუჭირდეთ.

ჩვენ ვთვლით, რომ ერთ-ერთი საშუალება იმისათვის, რომ აღმოიფხვრას კოლეგათა ნაწილის მიერ ამგვარი არამეცნიერული და არაკეთილსინდისიერი ვითარების ჩამოსაყალიბებლად მიმართული მცდელობები, არის ის, რომ თანამედროვე მეცნიერების დონის ამსახველი თეორიული მიღწევები ფართოდ ხელმისაწვდომი გავხადოთ საკითხის შესწავლით დაინტერესებული სამეცნიერო წრეებისა და სტუდენტებისათვის.

2

ცდები იმისა, რომ აღიწეროს ნაციისა და ნაციონალიზმის ფენომენების თეორეტიზების შესახებ დისკურსი, ქართულ სინამდვილეში უკვე არსებობს. როგორც უკვე ითქვა, ჩვენ ამას ვცდილობდით კონკრეტული გამოკვლევების შესავალ ნაწილებში.

იგივეს უფრო ვრცლად აკეთებს ქართველ ფილოსოფოსთა, და სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების სპეციალისტთა ერთი ნაწილი.[11]

რაც შეეხებათ უცხოელ ავტორებს, არსებულ დისკურსს ხშირად თავად სოციალური თეორიის შემქნელები აღწერენ. მაგალითად, ე. სმითი, რომელიც თითქმის ყველა თავის ნაშრომს იმით იწყებს, რომ წარმოადგენს ნაციისა და ნაციონალიზმის ფენომენების კვლევის ისტორიას. ამ ისტორიის უკეთ შესამეცნებლად და საკუთარი მიდგომისათვის სათანადო ფონის შესაქმნელად (არსებული ვითარების გარკვეულად გასქემატურებით) იგი გამოყოფს ოთხგვარი პოზიციის მეცნიერებს: პრიმორდიალისტებს, პერენიალისტებს, მოდერნისტებს და ეთნოსიმბოლისტებს. თუ როგორ აკეთებს მეცნიერი ამას კონკრეტულად, ამის გასარკვევად მკითხველს შეუძლია იხილოს მისი ზემოთ უკვე დასახელებული ნაშრომი და არაერთი მრავალი სხვაც.

აღნიშნული დისკურსი, როგორც წესი, საკმაოდ დეტალურად არის წარმოდგენილი სახელმძღვანელოებშიც.[12] ნაციებისა და ნაციონალიზმის ფენომენების შესახებ არსებული თეორიული დისკურსის აღწერის ცდებს ვხდებით ისტორიკოსთა გამოკვლევებშიც. ქვემოთ მაგალითად მოგვყავს ამერიკელი კოლეგის კ. ჰიტჩინსის შრომები, რომლებშიც იგი რუმინეთის შემთხვევას ეხება.[13]

---

[11] იხ. მაგალითად, კრებული: ქართველი ერის დაბადება (ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, 2007). თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009. სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება.

[12] G.Day, A.Thompson. Theorizing Nationalism. Plagrace Macmillan, 2004.

[13] K. Hitchins. The Identity of Romania. Bucharest, Encyclopedic Publishing House, 2009. ამ წიგნის ცალკეული თავები წარმოადგენენ სხვადასხვა დროს გამოსულ სტატიებს. ხშირად კონკრეტულ კვლევას მეცნიერი იწყებს სწორედ ნაციების შესახებ თანამედროვე დისკურსის აღწერით. მაგალითად, მესამე თავი *ნაციის იდეა ტრანსილვანიის რუმინელებს შორის* 1700–1849 *წლებში* (*The Idea of Nation among the Romanians of Transylvania*, 1700–1849), თავდაპირველად სწორედ სოციალურ თეორიებში ნაციისა და ნაციონალიზმის ფენომენების ინტერპრეტაციას ეხება. იხ. გვ. 59-61. უფრო ვრცლად ასეთი თეორიების შესახებ ავტორი საუბრობს მეოთხე თავში *რუმინული ნაციის ჩამოყალიბების ეტაპები ტრანსილვანიაში მე-*17 *საუკუნიდან* 1914 *წლამდე* (*Romanian Nation-formation in Transylvania*; *The Stages*, *Seventeentth Century to* 1914). იხ. გვ. 87-94.

ინგლისურენოვანი ისტორიული გამოკვლევისათვის ამგვარი შესავლის წამძღვარება ძალიან ნიშანდობლივ ფაქტად გვეჩვენება. ხომ სრულიად ცხადია, რომ კ. ჰიტჩინსის ინგლისურენოვანი ნაშრომების მკითხველთთავის შესაბამისი ლიტერატურის მოპოვება პრობლემას არ წარმოადგენდა, მაგრამ საჭირო იყო ისტორიკოსი მკითხველისათვის ამ დისკურსის წარმოდგენა სათანადო აქცენტებით. ამგვარი ფაქტები დამაჯერებლად მიუთითებს, რომ ისტორიული გამოკვლევის დასაწყისში ნაციისა და ნაციონალიზმის ფენომენების შესახებ არსებული თეორიული დისკურსის მიმოხილვა საზოგადოდ (და არა მხოლოდ ქართულენოვანი მკითხველისათვის) აუცილებელია.

საქმე ისაა, რომ ისტორიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი (მთელს მსოფლიოში და არა მარტო ჩვენში) შედარებით ნაკლებ ენთუზიაზმს იჩენს ჩაუღრმავდეს სოციალურ თეორიებს. ამგვარი დამოკიდებულების მიზეზთა ფესვები კი, ეტყობა, საკმაოდ ღრმაა. ამასთან დაკავშირებით გვაგონდება ისტორიის მეცნიერებათა შესავლისათვის განკუთვნილი ერთ-ერთი საკითხავის შემდგენელთა დაკვირვება, იმის შესახებ, რომ ისტორიის სპეციალობის სტუდენტებს სხვა ჰუმანიტარებთან შედარებით ყველაზე მეტად უჭირთ თეორიული დისკურსის წვდომა. მათი აზრით, ეს იმით იხსნება, რომ ისტორიის სპეციალობის სტუდენტთა უმრავლესობას წარმოადგენენ ის ადამიანები, რომლებმაც აღნიშნული დარგი თავის სპეციალობად მხარეთმცოდნეობის სიყვარულის გამო აირჩიეს. ანუ მათთვის მიმზიდველი იყო სწორედ ემპირიული ცოდნა და როცა უმაღლეს სასწავლებელში მისულებს სხვა რამეს სთავაზობენ ისტორიული დისციპლინის სახელით, ეს მათ აბნევს და, ხშირად, მათ წინააღმდეგობასაც იწვევს.[14]

აღნიშნული დაკვირვება სავსებით დასტურდება ჩვენი პირადი პრაქტიკითაც. წლების განმავლობაში კითხვა კურსისა *შესავალი ისტორიულ მეცნიერებებში*, რომელსაც, ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე დარეგისტრირებული სტუდენტების გარდა, ესწრებიან სხვა ჰუმანიტარული სპეციალობის სტუდენტებიც, აღნიშნული

[14] 'In our experience history students often find theory more difficult than do students from other disciplines, mainlt due to their through-gouing historical training in the empirical method'. See: The Houses of History. A Critical Reader in Twentieth-Century History and Theory (Selected and introduced by A. Green and K.Troup).Manchester University Press, 1999, p. vii.

თვალსაზრისის მართებულობის დამადასტურებელ მრავალ მაგალითს იძლევა. სრულიად აშკარაა, რომ თეორია შედარებით ძნელად იკაფავს გზას ისტორიის სპეციალობის სტუდენტთა შორის. მაგრამ ეს დამწყები ისტორიკოსებისათის პირველი შეხვედრაა თეორიასთან და ამიტომ სავსებით გასაგებია მათი რეაქცია. თუმც, ძალიან არასასურველია, რომ იგივე დამოკიდებულება სოციალური თეორიებისადმი, ისტორიით დაინტერესებულ ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვეს, ანუ მას შემდეგაც, რაც ისტორიის უბრალო მოყვარული პირველკურსელი უკვე ისტორიის დარგის სპეციალისტი გახდება.

როგორც უკვე ვთქვით, ნაციებისა და ნაციონალიზმის თეორეტიზების შესახებ დისკურსის აღწერილობანი მრავლად მოიპოვება ლიტერატურაში. მკვლევრები ცდილობენ სრულად, ე.ი. ცალკეული მიდგომების მიხედვით, წარმოადგინონ ეს დისკურსი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამჯერად იგივე არ უნდა გავიმეოროთ. ასე ვფიქრობთ შემდეგი მოსაზრების გამო: უპირველეს ყოვლისა ვთვლით, რომ ჩვენი მხრიდან იქნებოდა გაუმართლებელი ამბიცია მიზნად დაგვესახა აღგვეწერა არსებული თეორიული დისკურსი მთლიანობაში. მართალია, ჩვენ დარგში არსებულ ყველა ძირითად ნაშრომს გავეცანით, მაგრამ ჩვენი დამოკიდებულება სოციალური თეორიებისადმი მაინც "მომხმარებლურია": ჩვენ ხომ ძიებას ისტორიული გამოკვლევისათვის გამოსადეგი თეორიის იდენტიფიკაციის სურვილის მიზეზით წარვმართავთ და არა პრობლემის შესწავლის მთელი ისტორიის რეპრეზენტაციის მიზნით. არსებული თეორიული ლიტერატურის სრული ანალიზი არ არის ჩვენი და, საერთოდ, ისტორიული პროფილის გამოკვლევის საქმე.

ამასთან, ცალკეული სკოლების დახასიათება ზოგად, და ამიტომაც შედარებით სქემატურ, სურათს იძლევა, რაც კონკრეტული გამოკვლევის მიზნებს ნაკლებ ემსახურება. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ შევეცადოთ არა მთელი დისკურსის გადმოცემას, არამედ განვიხილოთ მხოლოდ ისტორიული ეთნოსიმბოლიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ე. სმითის რამდენიმე ნაშრომი, რომლებშიც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულად თვალსაჩინოდ და კომპაქტურად არის გადმოცემული წინამდებარე გამოკვლევაში გამოყენებული თეორიული მიდგომის არსი. ამგვარი მიმოხილვა,

რომელიც ეფუძნება უშუალოდ ე. სმითის ნაშრომის ორიგინალებს, ამ ავტორის ზოგიერთი გამოკვლევის ქართულენოვან თარგმანებთან ერთად, მკითხველს გაუადვილებს გაიგოს ჩვენი შრომის თეორიული ჩარჩოს, კვლევის ფოკუსისა და სტრუქტურის განსაზღვრისას ავტორთა მოტივაციის საფუძველი და მსჯელობისას მოხმობილი არგუმენტების რაობა.

პირველ რიგში შევეხებით ე. სმითის წიგნს *რჩეული ხალხები. ნაციონალური იდენტობის საკრალური წყაროები.*[15] ნაშრომი გამოსულია ელს. როგორც ავტორი აღნიშნავს წინასიტყვაში, აზრი თანამედროვე ნაციების საკრალურ წყაროებზე მას გასჩენია მაშინ, როდესაც ამუშავებდა ნაციების შესახებ თავის ფუნდამენტურ გამოკვლევას *ნაციათა ეთნიკური წარმომავლობა*, რომელიც, როგორც ცნობილია, პირველად 1986 წელსგამოიცა.

აღნიშნული პრობლემის შესახებ თავისი პირველი შთაბეჭდილებები მკვლევარს 1993 წელს გამოუქვეყნებია სტატიის სახით. უკვე ამ დროს მისთვის სავსებით ცხადი ყოფილა, რომ ვნება, რომელსაც აღვიძებს ნაციონალიზმი და საკუთარი ნაციონალური იდენტობისადმი მრავალი ადამიანის ერთგულების ის მძლავრი განცდა, რომელსაც ის ბადებს, შეუძლებელია აიხსნას იმგვარი პირობითობებით, როგორიცაა პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები. მხოლოდ რელიგიას, მისი გამოკვეთილი სიმბოლიზმით და კოლექტიური რიტუალებით შეუძლია გამოიწვიოს ამგვარი ერთგულება. მაგრამ ეს აზრი რომ განვავითაროთ და დავიწყოთ იმის მტკიცება, რომ ნაციონალიზმი არის უბრალოდ სხვა – "პოლიტიკური" რელიგია, არ იქნება საკმარისი, თვლის ე. სმითი. მისი შეხედულებით, საჭიროა ვუპასუხოთ კითხვებს იმის შესახებ, თუ საიდან მომდინარეობს ნაციონალიზმის გამძლეობის და მისი მოწოდებების ყოვლისმომცველობა. ცხადია – მხოლოდ ღრმად ფესვგადგმული რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისაგან, საკრალურობის მძლავრ განცდისაგან, რომელიც მოითხოვს აბსოლუტურ ლოიალობას, დაასკვნის მკვლევარი (გვ. VII).

[15] E.D. Smith. Chosen Peoples. Sacred Sources of National Identity. Oxford University Press, 2003.

მაგრამ ამ დასკვნამ მას ახალი კითხვები, გაუჩინა. კერძოდ, იმის გარკვევა გახდა საჭირო, თუ რომელია ნაციონალისტური იდეოლოგიის საკრალური ობიექტები. ე. სმითის დაკვირვებით, საკრალურობის თვალსაზრისით პირველ ადგილზეა თავად ერთობა ანუ კოლექტივი ანუ "რჩეული ხალხი" და მორწმუნეთა რჩეული ნაცია (ანუ "ერი საზეპურო", შუა საუკუნების ქართული სახელმწიფობრივი იდეოლოგიის ერთ-ერთი შემოქმედის ნ. გულაბერიძის სიტყვები, რომ გავიმეოროთ). მეორეზეა "წმინდა მიწა", სადაც ეს ხალხი ცხოვრობს, თავისი მახსოვრობებით, გმირობებით, წინაპართა განსასვენებლებითა და მემორიალური ძეგლებით. ამის შემდგომ მოდის დიადი და დიდებული წარსული, ამ ხალხის "ოქროს ხანა", რომელიც იყო ვიდრე დადგებოდა დაცემის აწმყო. დაბოლოს, საკრალურობას განასახიერებს საქმენი მათი, ვინც თავი დასდეს (გვ. VII) იმისათვის, რომ გადაერჩინათ მშობლიური ერთობა (ერი) განადგურებისაგან და უზრუნველეყოთ მისი "წმინდა ბედისწერა" (გვ. VIII). სმითის აზრით, სწორედ ეს არის მასალა ავთენტურობის ახალი რელიგიისა, რომელსაც წარმოადგენს ნაციონალიზმი (გვ. VIII).

როგორც თავად მეცნიერი მიუთითებს, რაც უფრო ახლოს ეცნობოდა სხვადასხვა ევროპული საზოგადოებათა საკრალურ ისტორიებს, მისთვის მით უფრო ცხადი ხდებოდა ის (რაც, თავისი მოულოდნელობით, აშკარად გამაოგნებელი იყო), რომ თანამედროვე ნაციათა კონცეფციებს ჰქონდათ ბიბლიური ფონი და წინამოდერნული ტრადიციები. ეთნიკური რჩეულობის და წმინდა მიწების არსებობის რწმენა ქრისტიანი ხალხებისათვის წარმოადგენდა შთაგონების მუდმივ წყაროსა და ენას იმისათვის, რათა შეექმნათ საკუთარი ნაციების დინამიური პროვინდენციალური ისტორიები. თავის მხრივ, ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებისათვის იგივემ შეიძინა სასიცოცხლო მნიშვნელობა ადრე მოდერნულ ხანაში. რელიგიური ასპექტი, რომელიც სათავეს იღებს ებრაულ ბიბლიაში, წინ იქნა წამოწეული, და ნაციის წევრების ცნობიერებაში სწორედ ამ გზით ძლიერდებოდა საკუთარი ეთნიკურობის განცდა.

მკვლევარი უკვირდება კონკრეტულად იმ საზოგადოებებს, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ბიბლიური და იუდაურ-ქრისტიანული ტრადიციის ფარგლებში. იგი თვლის, რომ ეს ტრადიცია და ის

რწმენები, რომლებიც ამ ტრადიციას მოაქვს, კვლავ ჩვენთანაა, თუმც უკვე სახეცვლილი ანუ სეკულარული ფორმით. სწორედ ეს რწმენები წარმოადგენს ყველა კონტინენტზე პოლიტიკოსების, ბიუროკრატიის და ინტელექტუალების პოლიტიკური რიტორიკის ნაწილს.

ე. სმითის წიგნის მიზანი ისაა, რომ გამოიკვლიოს კავშირი ტრადიციულ რელიგიურ წარმოდგენებსა და პრაქტიკას შორის, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ნაციონალურ იდენტობასა და იდეოლოგიას შორის (გვ. VIII). კერძოდ, იგი აჩვენებს, რომ გლობალიზებად მსოფლიოში არ შეიძლება უგულვებელვყოთ რელიგიის როლი, და არც ის უნდა გვეგონოს, რომ პოსტმოდერნულ ანუ ჩვენს ეპოქაში ნაციონალიზმი შესუსტდება (გვ. IX).

ამგვარად, აღნიშნული წიგნის ფარგლებში ავტორი იკვლევს ნაციონალური იდენტობას იმ მოლოდინით, რომ გამოარკვიოს მისი გამძლეობის მიზეზები თანამედროვე მსოფლიოში. ავტორი აქვე აკეთებს შენიშვნას: ვინმეს შეიძლება ეს მიზანი უცნაურად მოეჩვენოსო და თქვას, რომ მსოფლიო უკვე შევიდა პოსტმოდერნულ ხანაში, როცა ნაციების საზღვრები გახდა ფოროვანი (ე.ი. შეღწევადი) და მოსახლეობის ლოიალობა მიმართულია არა ეროვნული, არამედ ზენაციონალური ან სულაც სუბნაციონალური ერთობებისადმი.

ტექნოლოგიების, ვალუტის, პროდუქტების, მომსახურების და ხალხების ნაკადები მოძრაობენ ნაციონალური საზღვრების გადაკვეთით იმგვარად მზარდი სიჩქარით, რომლის წარმოდგენა სულ ცოტა ხნის წინ შეუძლებელი იყო. ეს ვითარება ტრადიციულ ანუ ნაციონალურ ლოიალობას წარმოაჩენს როგორც გულუბრყვილოსა და უადგილოსაც კი, იმდენად, რამდენადაც ჩვენ ვიმყოფებით გლობალური ბაზრის ახალ სამყაროში, გლობალური მიგრაციებისა და კონტინენტალური ასოციაციების წარმოქნის ეპოქაში, რომელშიც ძალა და იდენტობა აქვს მხოლოდ უდიდეს ერთობებს, რომლებიც განკარგავენ უდიდეს რესურსებს და იძლევიან წარმოუდგენლად დიდ სარგებელს (გვ. 1).

მაგრამ, ე. სმითის აზრით, ეს არის კომპლექსური სურათის მხოლოდ ერთი მხარე. ამ ყველაფერთან ერთად ჩვენ მოწმენი ვართ, აგრეთვე, ნაციებისადმი არაჩვეულებრივი ერთგულებისა. თვით გაცხოველებული თეორიული დებატებიც ნაციის არსის გარშემო იმის მაჩვენებელია, რომ აღნიშნული ფენომენის მნიშვნელობა კვლავაც დიდია.

კვლევის ფოკუსს წარმოადგენს ნაციონალური იდენტობა, მისი საფუძვლები, რესურსები და კავშირი ადრეულ ხანაში არსებულ რწმენით სისტემებთან. ნაციონალიზმსაც ექცევა ყურადღება, რადგან ნაციონალური იდენტობის ინტერპრეტაცია შესაძლოა სწორედ ნაციონალიზმის გზით. ნაციონალიზმი, როგორც დამოუკიდებელი რწმენითი სისტემა, ხაზს უსვამს და ამკვეთრებს ადრეულ ეპოქებში არსებულ განცდებს, სიმბოლოებს და რწმენებს და აძლევს მათ ახალ, უფრო მეტად პოლიტიზებულ, დამაჯერებლობას. მეორე მხრივ, ის არ არღვევს, არც აუქმებს ადრე არსებულ სენტიმენტებსა და რწმენებს. ის არ გვევლინება როგორც სრულიად ახალი იდეოლოგიური არტეფაქტი, რომელიც განასახიერებს რადიკალურ წყვეტას ყველაფერი იმისაგან, რაც იყო ადრე. ნაციონალიზმში უფრო უნდა დავინახოთ იდეოლოგია, რომელიც წარსულის მემკვიდრეობისაგან (წარსულის მითოლოგიიდან, სიმბოლიზმიდან, მიჯაჭვულობებიდან, რწმენებიდან, რელიგიური და ტრადიციული მსოფლხედვიდან) ირჩევს ზოგს და ახდენს შერჩეულის ინტერპრეტაციას.

როგორც ითქვა, ე. სმითის წიგნი ძირითადად იუდაურ-ქრისტიანული ტრადიციის ქვეყნების გამოცდილებას განიხილავს. ამის მიზეზად ავტორი ასახელებს ნაწილობრივ ნაშრომის შეზღუდულ მოცულობას, ნაწილობრივ კი ავტორის კომპეტენციას, მაგრამ არსებითად გამოკვლევის ფოკუსის, ჩარჩოსა და მოცულობის განსაზღვრისას მაინც უფრო მეტად ის მიაჩნია გადამწყვეტად, რომ სწორედ აღნიშნული ტრადიციის ფარგლებშია შესაძლებელი დაკვირვება ნაციის საკრალურ საფუძველზე ყველაზე კარგად. ამ მიდგომიდან გამომდინარეობს წიგნის სტრუქტურაც. იგი შედგება წინასიტყვის, შესავალის, ცხრა თავისა და დასკვნისაგან. იმისათვის, რათა მკითხველმა უფრო ნათელი წარმოდგენა შეიქმნას წიგნის სტრუქტურის შესახებ, ჩვენ აქვე წარმოვადგენთ აღნიშნული თავების სათაურებს: 1. ნაციონალიზმი და რელიგია, 2. ნაცია როგორც საკრალური თანაზიარება, 3. რჩეულობა და აღთქმა, 4. აღთქმის ხალხები, 5. მისიონერი ხალხები, 6. წმინდა სამშობლოები, 7. ეთნოისტორია და ოქროს ხანა, 8. ნაციონალიზმი და ოქროს ხანა, 9. დიადი გარდაცვლილები.

პირველი თავში ავტორი ეხება თეორიულ საკითხებს რელიგიისა და ნაციონალიზმის შესახებ. მეორე თავში უფრო დაწვრილებით განიხილავს ნაციონალური იდენტობის კულტურულ რესურსებსა და საკრალურ საფუძველებს. მესამე, მეოთხე და მეხუთე თავები იკვლევს ეთნიკური რჩეულობის რწმენას, მის ორივე ტიპს, ე.წ. აღქმის ხალხებსა და მისიონერულ ხალხებს. როგორც პროტოტიპი ეთნიკური რჩეულობის მითის აღთქმითი ტიპისა, განხილულია ძველი ისრაელი, რომლის იდეოლოგიაც ძველ აღქმაშია დაფიქსირებული. მეოთხე თავი აჩვენებს, თუ როგორი განვითარება ჰპოვა შემდგომში ეთნიკური რჩეულოების მითის ამ ტიპმა ადრე შუასაუკუნეების სომხეთში და ეთიოპიაში, მეცხრამეტე საუკუნის აფრიკანერში და ადრეული მეოცე საუკუნის სიონიზმში.[16] მეხუთე თავი განიხილავს ეთნიკური რჩეულობის უფრო გავრცელებულ, მისიონერულ ტიპს. აჩვენებს, თუ როგორი ფორმა მიიღო მან რუსეთში, საფრანგეთში, ფინეთში, შუა საუკუნეების შოტლანდიასა და უელსში. ბოლო ოთხ თავში განხილულია სხვა მთავარი კულტურული რესურსები, რომლებიც ქმნის საკრალურ საფუძვლებს ნაციონალური იდენტობისათვის. კერძოდ, მეექვსე თავი ეძღვნება ტერიტორიულ მიჯაჭვულობას, და იმ გზებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება წმინდა მახსოვრობათა ტერიტორიალიზება და ყალიბდება გმირული ისტორიული ეთნოლანდშაფტები. თეორიული მსჯელობის არგუმენტირებისათვის მკვლევარი მაგალითებს მოიხმობს ამერიკის შეერთებული შტატების, ირლანდიის და შვეიცარიის ისტორიდან, აგრეთვე, თანამედროვე ეგვიპტისა და იაპონიის ისტორიიდან. მეშვიდე და მერვე თავები

[16] სამწუხაროა, რომ ამ შესანიშნავ წიგნში ვერ მოხვდა ქართველთა ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგია, რომელიც წარმოიშვა ქართველთა მიერ ქრისტიანობის ოფიციალურად მიღების ეპოქაში და რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ სავსებით თავსებადია ეთნიკური მითების ზოგადქრისტიანულ მატრიცასთან, გამოირჩევა საოცარი კრეატიულობით ანუ ქართული მაგალითი მნიშვნელოვნად ამდიდრებს ამ სახის წყაროთა ბაზას. იხ. მ. ჩხარტიშვილი. ქართული იდენტობა. როგორ იწრთობოდა იგი. ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგია. კავკასიოლოგიური ძიებანი, I. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. 376-385; მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში. თბილისი, უნივერსალი, 2009, გვ.133-165.

ეძღვნება ისეთი პრობლემატური საკითხის კვლევას, როგორიცაა ურთიერთმიმართება ეთნიკურ წარსულსა (ან წარსულებს[17]) და აწმყოს შორის, და განმარტავს ეთნოისტორიის გამოყენებას ნაციონალიზმის იდეოლოგიაში. განსაკუთრებით კი ე.წ. "ოქროს ხანის" კონცეპტზე ამახვილებს ყურადღებას. მაგალითებად იყენებს შემთხვევებს დიდი ბრიტანეთის, რუსეთის ფინეთის, გერმანიის, საბერძნეთის ისტორიებიდან. ბოლო მეცხრე თავში ავტორი იკვლევს თვითშეწირვის გზით ნაციონალური ბედისწერის ფორმირების საკითხს და იხილავს მას ადრეკლასიკურ და ქრისტიანულ იდეალებთან მიმართებაში.

ეს არის ფაქტებით ძალიან მდიდარი, თეორიული დასკვნებითაც ჭეშმარიტად ნოვატორული წიგნი. შესანიშნავად დაწერილი ყოველი თვალსაზრისით. მის ყველა ასპექტს ამჯერად ვერ შევეხებით. ავტორის თვალსაზრის სხაზგასმით წარმოვაჩენთ მხოლოდ კიდევ რამდენიმე საკითხის შესახებ, რომლებიც წინამდებარე გამოკვლევის ადექვატურ აღქმას ხელს შეუწყობს.

პირველ თავში ჩვენს ყურადღებას, მაგალითად, იპყრობს მსჯელობა "ხალხის" კონცეპტის შესახებ: ხალხის შესახებ, რომელიც გადაიქცევა ხალხად: 'I want to look at the role of "the peoples" who also constitute "a people"' (გვ. 33). ანუ ხალხი, როგორც სოციალური იდენტობის მქონე ჯგუფის აღმნიშვნელი სიტყვა, შემდგომ უკვე კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებულ ერთობას მიემართება.

უმეტეს შემთხვევაში ნაციონალიზმის იდეოლოგიის თვალთახედვით "ხალხი" არის პასიური საწყისი: იდეების მიმღები და ელიტების მანიპულირების ობიექტი. მაგრამ არსებობს სხვა ტრადიციაც, როცა "ხალხს" აქვს უფრო აქტიური როლი და ნაციონალისტები, თავიანთი ავტონომიურობის, ერთიანობის და ნაციონალური იდენტობის იდეალებით ამ ტრადიციებში ჰპოვებენ მძლავრ დამხმარე ძალას და იყენებენ კიდეც უკვე არსებულ ჩარჩოს. საზოგადოებრივ სცენაზე ხალხის გამოყვანა დამახასიათებელია

[17] ე. სმითი საუბრობს "წარსულებზეც", იქიდან გამომდინარე, რომ წარსულს განსაზღვრავს აწმყო: სხვადასხვა სოციალური ჯგუფი საკუთარი ხალხის წარსულს სხვადასხვაგვარად ხედავს. ამიტომ კოლექტივის წარსული, უფრო ზუსტად, წარსულის მისეული კონცეფცია, შეიძლება იყოს რამდენიმე.

ეთნიკური ნაციონალიზმისათვის. ხალხი, განსაკუთრებით გლეხობა, ჭეშმარიტებისა და ღირსების მატარებლად განიხილება (გვ. 33-34).

ე. სმითი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ კოლექტივი, რომელიც თავს მოიაზრებს საერთო წარმომავლობის მქონე ერთობად, არის ამავე დროს საერთო მორალისა და კულტმსახურების კოლექტივი. აქედან გამომდინარე, ნაციონალისტისათვის "ხალხი" არის არა მარტო უპირველესი თაყვანმცემელი (და თაყვანცემის ობიექტიც) სახალხო ნაციისა, არამედ თავად განიხილავს თავს როგორც წმინდა კონგრეგაციას (გვ. 34).

ქვემოთ არაერთხელ მოვახდენთ ამ მტკიცებულების ქართული მაგალითით ილუსტრირებას, მაგრამ აქვე არ შეგვიძლია არ დავიმოწმოთ ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი პუბლიცისტური წერილიდან, რომელშიც კარგად ჩანს, რომ "ქართული ნაციონალიზმის მთავარი არქიტექტორი" ქართულ ერთობას თავიდანვე აყალიბებდა როგორც საერთო მორალური ვალდებულებების მქონე და, აქედან გამომდინარე, წმინდა ერთობას. ჩვენ ვთვლით, რომ სწორედ ამგვარმა ჩანაფიქრმა და ქართველი ერის, როგორც წმინდა კონგრეგაციის, გააზრებამ შეაძლებინა ქართველ ნაციონალისტებს ეკონომიკაში დიდი ჩამორჩენის, სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების დეფიციტის და სხვა ბევრი არასასიკეთო ფაქტორის მიუხედავად, ქართული ეთნიკური ერთობა გარდაექმნათ ქართულ ნაციონალურ ერთობად ანუ შეექმნათ ქართველი ერი. აი, შესაბამისი ციტატიც ილიას წერილიდან, რომელიც გამომცემელთა მიერ პირობითად დასათაურებულია როგორც *ზნეობრივი სიწმინდის მნიშვნელობა ერის მერმისისათვის*:

> ერს, რომელსაც დღეგრძელობა და მერმისი ჰსურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს: სათნოება დარგოს და ახაროს თავის გულში, თავის ოჯახში. ამისთვის საჭიროა ზნეობის ამაღლება და გაწმენდა. ამაზედ უნდა მიექცეს მთელი ღონე ერის გულშემატკივარის კაცისა.[18]

[18] ი. ჭავჭავაძე. მეთაური წერილი. 1887 წლის 17 აპრილის *ივერია*, გვ. 1. ვიმოწმებთ შემდეგი გამოცემის მიხედვით: ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად (მთ. რედ. გ. ბენაშვილი), ტომი 9 – პუბლიცისტური წერილები, 1887 (ტომის რედ. რ. კურსაშვილი). თბილისი,

მაგრამ განსახილველ წიგნს დავუბრუნდეთ. ასევე საინტერესოა ამავე თავში წარმოდგენილი მსჯელობა ავთენტურობის შესახებ, რომელიც, ე. სმითის აზრით, არის ნაციონალიზმის რელიგიის მთავარი იდეა (გვ. 37). ეს უკანასკნელი წარმოადგენს რელიგიური სიწმინდის ნაციონალისტურ ექვივალენტს (გვ. 37): განსხვავება "ავთენტურსა" და "არაავთენტურს" ანუ იგივე ცრუს შორის ნაციონალისტისათვის დაახლოებით იმავე მუხტის მატარებელია, რაც ახასიათებს განსხვავებას "საკრალურსა" და "პროფანულს" შორის (გვ. 38). შესაბამისად, წმინდაა ნაციის სახელიც, რომელიც ექსკლუზიურად მის წევრებს ეკუთვნის, და დიფერენცირების უპირველესი ნიშანია (გვ. 38).

მესამე თავში საინტერესოა რჩეულობის მითების ტიპოლოგია. პირველი ფორმა იმ შემთხვევას შეესაბამება, რომლის შესახებ ნაწილობრივ ზემოთ უკვე ვთქვით – როცა ხალხი აღმას დებს ღვთაებასთან, რომელიც ამ ხალხს აღუთქვამს განსაკუთრებულ ამაღლებულ როლს სხვა ხალხებს შორის, თუკი ისინი მის მცნებებს დაიცავენ. თუ ასე მოიქცევიან, ისინი გამორჩეულნი იქნებიან სხვებისაგან და თავის თავს მოიაზრებენ როგორც ღვთაებრივი გეგმის აღსრულების მოწამენი.

მეორე ფორმა განიხილავს ხალხებს, როგორც წარმართველებს, ლიდერებს, რომელთაც კაცობრიობის წინაშე აქვთ უფლისაგან დაკისრებული მისია, ისინი თავად წარმოადგენენ იარაღს უფლის ხელში და მიიჩნევენ, რომ თავიანთი მოღვაწეობით ისინი აახლოებენ კაცობრიობის ხსნის დღეს. ეთნიკური რჩეულობის იდეოლოგიის მეორე ანუ მისიონერული ტიპი უფროა გავრცელებული, მაგრამ ამ უკანასკნელზე დიდი გავლენას ახდენს პირველი ანუ აღთქმითი ტიპი (გვ. 49).

მრავალი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული ნაშრომის მეცხრე თავშიც, რომელსაც ეწოდება *დიადი გარდაცლილები*. ეს თავი იწყება იმის აღნიშვნით, რომ ნაციის დრამას განვითარების სამი სტადია აქვს. ესენია "დიადი" ნაციის ეთნოისტორიის "ოქროს ხანა", "ნაციის საბოლოო ბედისწერა" და "ნაციის წევრების თვითშეწირვა". თითოეული მათგანი უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ უკანასკნელი – განსაკუთრებით. ამგვარი ფაქტების მუდმივი

ილიას ფონდი, 2006, გვ. 245-246. წერილის ატრიბუციისათვის იხ. შენ. გვ. 682-683.

აქტუალიზაცია ხდება. გმირები ყველა პერიოდში იყვნენ საზოგადოების ყურადღების ცენტრში, მაგრამ მეთვრამეტე საუკუნიდან გმირობის არსი ნაციასთან მიმართებაში განისაზღვრება. ამავე დროს დიდი ყურადღება ექცევა გენიოსებს და მათ ღვაწლს. ნაციონალიზმის იდეოლოგიაში ისინი განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ. ცალკეული ადამიანების სიდიადე განიხილება ნაციის ყველა წევრის დამახასიათებელ ნიშნად (გვ. 236).

დასკვნაში ავტორი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, იმას, რომ ნაცია უნდა განხილულ იქნას როგორც საკრალური თანაზიარება ხალხისა, რომელიც თავს უძღვნის ავთენტურობის კულტს და ნაციონალური იდენტობის, ავტონომიურობისა და ერთიანობის იდეალებს (გვ. 254).

მხოლოდ ტერიტორიული და პოლიტიკური განზომილება და მათგან მომდინარე იდეალები არაა ის, რაც ნაციებს სხვა ერთობებისაგან განასხვავებს. აქ მთავარია თავდადება ავთენტურობისათვის, რაც მეთვრამეტე საუკუნიდან მოკიდებული ნაციონალიზმს ინტელექტუალურ მიზანშეწონილობას სძენდა (გვ. 254). თუმც უნდა ითქვას, რომ ამგვარი რაციონალურობის ელემენტები უფრო ადრეც მოიპოვებოდა ძველ რწმენით სისტემებში. სწორედ ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ ნაციონალიზმის იდეოლოგიის სამშენებლო ბლოკებს და ეხმარებიან ნაციონალისტებს განახორციელონ მათ მიერვე საკუთარი სურვილით ნაკისრი მისია: გარკვეული მოსახლეობა და ერთობები გარდაქმნან ნაციებად (გვ. 255).

ე. სმითის ერთ-ერთი სხვა ნაშრომი წარმოადგენს ადრე გამოქვეყნებული სტატიების კრებულს. წიგნის სათაურია *ნაციის მითები და მახსოვრობანი*.[19] იგი მიზნად ისახავს გამოიკვლიოს ნაციები და ნაციონალიზმები ეთნოსიმბოლისტური პერსპექტივიდან, ფოკუსირებით ნაციების სახალხო კონტექსტზე და მითების, მახსოვრობების, სიმბოლოების და ტრადიციების ცენტრალურ როლზე ნაციათა ჩამოყალიბების პროცესში. ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე თავს ანუ სტატიას ამ კრებულიდან. პირველ რიგში გვინდა

[19] A.D. Smith. Myths and Menories of the Nation. Oxford, Oxford University Press, 1999.

მკითხველის ყურადღება მივაპყროთ მეშვიდე თავს *ეთნიკური ნაციონალიზმი და უმცირესობათა მდგომარეობა* (გვ. 187-202).

თავის დასაწისიშივე გაცხადებულია გამოკვლევის შედეგი: ეთნიკური ნაციონალიზმი არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უმცირესობათა მძიმე მდგომარეობისა და ლტოლვილთა ნაკადის ზრდისა მთელს მსოფლიოში. ამ სახის ნაციონალიზმები წარმოიშობა დემოტიკური ანუ ვერტიკალური ეთნიეებისაგან, რომელთა გარდაქმნას ეთნიკურ ნაციებად ახდენს ინტელიგენცია მასების ვერნაკულური [20]

[20] ინგლისურ ენაში სიტყვა "ვერნაკულა" (vernacular) საზოგადოდ ნიშნავს ენას ან დიალექტს, რომელიც გამოიყენება ამა თუ იმ ქვეყნის და რეგიონის მაცხოვრებელი უბრალო ხალხის მიერ. იგი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან vernaculus, რაც "მშობლიურს", "ადგილობრივს" ნიშნავს. იხ. Oxford Dictionary of Current English (Third Edition). Oxford, Oxford University Press, 2001, p. 1026. მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში "ვერნაკულა" გამოიყენება მრავალი სხვა აზრითაც. კონკრეტული მნიშვნელობის ამოცნობა შესაძლებელია მხოლოდ კონტექსტით. ეთნოსიმბოლისტურ კონტექსტში ის ნიშნავს "ეთნიკურს", "წინარე ნაციონალურს". "ვერნაკულური მობილიზაცია" სმითისეული ტერმინია და გულისხმობს ნაციონალური კონსოლიდაციის სპეციფიკურ ფორმას, რომელიც დემოტიკური ეთნიეების ნაციებად გარდაქმნის პროცესისათვის არის დამახასიათებელი: 'ბევრგან ვერნაკულური მობილიზაციის შედეგებმა თავი იჩინა მას შემდეგ, რაც სამშობლოში დაბრუნებულმა ინტელიგენციამ შექმნა ახალი სახის "ნაციონალური" კომუნიკაციისა და სოციალიზაციის გზები, რომელთა მეშვეობით ეთნიკური ღირებულებები, მითები და მოგონებები პოლიტიკური ნაციისა და პოლიტიკურად მობილიზებული ერთობის საფუძველი გახდა. სხვადასხვა სახის ინტელიგენციის ეგიდით გარკვეულ კლასებთან (ჩვეულებრივ ეს კლასებია ბურჟუაზია, ზოგჯერ – დაბალი არისტოკრატია, ზოგჯერ კი – მუშები) კავშირში იქმნება ახალი და განსხვავებული ნაციონალური იდენტობა, რომელიც რეკონსტრუირებულ ეთნიკურ ხალხურ კულტურას ავრცელებს ერთობის უკლებლივ ყველა კლასში. ამ იდენტობას აქვს თავისი სამოქალაქო ელემენტებიც. მისი წევრები ახლა კანონიერი ეთნონაციის მოქალაქეები არიან. ისინი, იმავდროულად საკუთარი თავის გააზრებას ტერიტორიული ტერმინებითაც იწყებენ, მაგრამ ამ სახის ნაციონალური იდენტობის საფუძველი შეესატყვისება მის დემოტურ ფესვებს. ნაციონალური იდენტობა, რომელსაც ინტელექტუალები და ინტელიგენცია ქმნის ყოფილ დემოტურ ეთნიეებში, მიისწრაფვის იქითკენ, რომ დაუახლოვდეს მასში მოაზრებულ ეთნიკურ კულტურას და

მობილიზაციის გზით. ინტელიგენცია ახდენს ეთნიეს და მისი წევრების ხელახალ განსაზღვრას, ხელახალ განათლებას და აღორძინებას. ეთნიკური ნაციონალისტი ხელს უწყობს კულტურის პოლიტიზებას, რომელიც წარმართავს ერთობის "განწმენდას" უცხო გავლენებისაგან, რასაც თავის მხრივ, შეუძლია გამოიწვიოს უმცირესობების – ამ შინაური აუტსაიდერების – განდევნა და მოსპობაც კი. მხოლოდ ეთნიკური ნაციონალიზმის რამდენადმე შესუსტებამ შეუძლია გადაარჩინოს უმცირესობანი (გვ. 187).

მაგრამ რატომ ხდება ასე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა განვიხილოთ, თუ რაში მდგომარეობს ნაციონალიზმის ბირთვი-დოქტრინის ძირითადი მტკიცებულებანი. ე. სმითის მიხედვით, ესენია:

მსოფლიო დაყოფილია ნაციებად. თითოეულ ამ ნაციას აქვს თავისი ხასიათი და ბედისწერა;

ნაცია არის ერთადერთი წყარო პოლიტიკური ძალაუფლებისა;

ერთგულება ნაციისადმი უპირატესია ყველა სხვა ლოიალობაზე;

ინდივიდის ნამდვილი თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ ნაციის შიგნით;

მსოფლიო მშვიდობა და უსაფრთხოება შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ თავისუფალი ნაციების მეშვეობით (გვ. 188-189).

ცხადია, ეს არის მხოლოდ ბაზისური პრინციპები. ცალკე აღებულ შემთხვევებში შეიძლება სხვა პრინციპიც არსებობდნენ.

ამ დოქტრინაზე დაფუძნებით სხვადასხვა ქვეყნებში ნაციონალისტები ესწრაფვიან გარკვეული მიზნების მიღწევას. ეს მიზნები მეტად მრავალფეროვანია და ცვალებადობს ქვეყნების მიხედვით. მაგრამ არსებობს ყველგან განმეორებადი მომენტებიც: ნაციას უნდა ჰქონდეს განსხვავებული იდენტობა, გარკვეული ანუ ნაციონალური ხასიათი; ნაცია უნდა იყოს გაერთიანებული, ის ვერ იქნება ტოლერანტული შიდა დაყოფებისადმი, არა აქვს მნიშვნელობა

ეთნიკურ საზღვრებს. ეთნიკური ნაციონალიზმი, რომელიც ახორციელებს მასების მობილიზაციას, ქმნის პოლიტიკურ ნაციას, თავის წარმოდგენაში არსებული ეთნიკური ფესვების გათვალისწინებით'. იხ. ე.დ. სმითი. ნაციონალური იდენტობა (თარგმნა ლ. პატარიძემ). თბილისი, გამომცემლობა "ლოგოს პრესი", 2008, გვ.162.

იქნება ეს ტერიტორიალური თუ სოციალური; ის უნდა იყოს სანიმუშო საძმო, და უნდა წარმოგვიდგებოდეს როგორც დიდი ოჯახი, ოჯახი მრავალი ოჯახისა; დაბოლოს, ნაცია უნდა იყოს ნამდვილად თავისუფალი, რაც ნიშნავს იმას, რომ უნდა იყოს ავტონომიური, უნდა ცხოვრობდეს თავისი საკუთარი შინაგანი კანონებით, გარეგანი ჩარევის გარეშე. ეს შეიძლება შეიცავდეს ავტარქიას, ეკონომიკურ თვითკმარობას. ყველაფერ ამას შეუძლია მიგვიყვანოს ექსპანსიამდე და კონფლიქტამდე, მაგრამ ეს უკანასკნელნი, ე. სმითის აზრით, თავისთავად ნაციონალიზმის დოქტრინაში ჩადებული არაა, არამედ გარკვეულ სიტუაციაში შეიძლება მიიღოს ასეთი ფორმა. ამაზე დაყრდნობით ე. სმითი განსაზღვრავს ნაციონალიზმს არა როგორც ზოგად სენტიმენტს, არამედ როგორც გარკვეულ იდეოლოგიურ მოძრაობას მიმართულს იქითკენ, რომ მიღწეულ იქნას ავტონომიურობა, იდენტობა და ერთიანობა სოციალური ჯგუფისა, რომლის წევრები თავს განხილავენ როგორც არსებულ ან პოტენციურ "ნაციად" (გვ.189).

ე. სმითის მიხედვით, ნაცია არის:

> სახელდებული სოციალური ჯგუფი, საერთო ისტორიული მახსოვრობით და მასობრივი კულტურით, რომელსაც უკავია ისტორიული ტერიტორია ან სამშობლო მიწა, აქვს ერთიანი სისტემა შრომის დანაწილებისა, საერთო სამართლებრივი უფლებები და მოვალეობები ყველა წევრისათვის (გვ.189).

ეს განმარტებაც ეფუძნება ნაციონალისტი ლიდერების მთავარი მიზნების და აქტივობების გათვალისწინებას ყველა ქვეყანაში, რამდენადაც ისინი ცდილობენ გამოსჭედონ ავტონომიური, ერთიანი და კულტურულად უნიკალური ნაციები წინა მოდერნულ ხანაში არსებული კულტურებისა და ეთნიკური კავშირებისაგან, რომელიც აქვს მათ მიერ ნაციის შესაქმნელად შერჩეულ მოსახლეობას.

ნაციონალიზმი არის დოქტრინა და მოძრაობა რჩეული ნაციის სახელით. სახელმწიფო არ არის შინაგანი ნაწილი ამ დოქტრინისა თუ მოძრაობისა. მიუხედავად ამისა, ნაციონალიზმი ნაციას სხვადასხვაგვარად განიხილავს: ზოგ ნაციონალიზმში სახელმწიფოს აქვს მეტი მნიშვნელობა, ზოგ შემთხვევაში – ნაკლები (გვ. 189).

აუცილებელია განვასხვავოთ ნაციონალიზმის ორი სახეობა. პირველი ეს არის ტერიტორიული, მეორე – ეთნიკური.

ტერიტორიული ნაციონალიზმი განიხილავს ნაციას, როგორც რაციონალურ ასოციაციას. ამ ვერსიაში ინდივიდი უნდა განეკუთვნებოდეს რომრლიმე ნაციას, მაგრამ მას შეუძლია აირჩიოს თუ რომელ მათგანს შეუერთდეს. ტერტორიულ ნაციას ოთხი ნიშანი განსაზღვრავს: კომპაქტური ტერიტორია ანუ სამშობლო მიწა; საერთო სამართლებრივი სივრცე და მისი წევრების თანასწორუფლებიანობა კანონის წინაშე; მოქალაქეობის სოციალური და პოლიტიკური უფლებები; და საზიარო სამოქალაქო რელიგია და მასობრივი სახალხო კულტურა (გვ.190).

რაც შეეხება ეთნიკურ ნაციონალიზმს, ის ნაციას წარმოადგენს როგორც საერთო კულტურისა და ისტორიის ერთობას. კავშირები ამ ერთობაში აღიქმება როგორც ოჯახური კავშირები. აქ საერთო წინაპრის იდეა ანაცვლებს ერთ ტერიტორიაზე მოსახლეობის იდეას, როგორც კრიტერიუმს ნაციის წევრობისათვის. გენეალოგია უფრო მეტად, ვიდრე ტერიტორია, განსაზღვრავს ეთნიკურ ნაციას. შესაბამისად, ვერნაკულური კულტურა, განსაკუთრებით ენა და ტრადიციები, უფრო მეტად ღირებულად არიან მიჩნეულნი, ვიდრე სამართლებრივი თანასწორობა; სახალხო მობილიზაცია – მეტად, ვიდრე მოქალაქეობა; დაბოლოს, ეთნიკური ნაციონალიზმი სამოქალაქო მასობრივ კულტურას უპირისპირებს მშობლიურ ისტორიას და უფრო ვიწროდ მოაზრებულ კულტურის ეთნიკურ ფორმას (გვ. 190).

ნაციონალიზმის ორივე ამ სახეობას, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ არიან ურთიერთგამომრიცხავნი, შეუძლიათ წარმართონ საზოგადოების ჰომოგენიზაციის პროცესი და იყვნენ ჯგუფის ექსკლუზიურობის გამომწვევნი.

სულ უფრო და უფრო ხშირად ნაციები გაიაზრებიან ეთნიკურობის ჩარჩოებში და მათი ეთნიკური საფუძველი ხაზგასმულია იქაც, სადაც სინამდვილეში ასეთი რამ არასოდეს ყოფილა.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: რა არის ეთნიე? ეს არის სახელდებული ერთეული მოსახლეობისა, რომელსაც აქვს საერთო წინაპრის მითი, საზიარო მახსოვრობანი და კულტურა, რომელიც

ასოცირდება სამშობლო მიწასთან და ხანდახან სოციალურ სოლიდარობასთან (გვ. 191).

თანამედროვე ნაციები მრავალი ნიშნით ძალიან სხვაობენ წინა მოდერნული ეთნიეებისაგან. ისინი არიან უფრო კომპაქტურნი და ტერიტორიალურად უფრო განსაზღვრულნი. ისინი ხასიათდებიან მსხვრივი ანუ სახალხო (საჯარო) კულტურით, წარმოადგენენ ერთიან შრომით დანაწილებას, ნაციების წევრები არიან ერთი და იმავე კანონების მორჩილნი, აქვთ ერთნაირი უფლება-მოვალეობები. ყველაფერი ამით ისინი ქმნიან კონტრასტს სუსტი, მაგრამ ამავე დროს უფრო მეტად ნათესაობაზე დაფუძნებული, კავშირებისა ეთნიეს შიგნით (გვ. 191).

მაგრამ ნაციონალისტები ცდილობენ ჩართონ თანამედროვე ნაციებში გარკვეული თვისებები, რომლებიც ასოციაციურ ბმას ქმნის წინა მოდერნულ ხანაში არსებულ ეთნიკურ ერთობებთან. ამის მაგალითია ისტორია, რომელიც საზიარო ეთნიკურ მახსოვრობას ეფუძნება; ასევე საერთო ბედისწერა, რომელიც გამომდინარეობს საერთო მახსოვრობებიდან. ისინი კულტურის ისეთ ელემენტებს აძლიერებენ, როგორიც არის ენა, რელიგია, წეს-ჩვეულებები, რაც ჰქონდა წინა მოდერნულ ეთნიეს (გვ.191).

თუ ტერიტორიულ ნაციონალიზმს შეუძლია გააშინარსიანოს საკუთარი ნაცია საერთო ისტორიით და მასობრივი კულტურით, ისე, რომ სხვადასხვა წარმომავლობის ხალხი შეუეთდეს მას, ეთნიკური ნაციონალზმი ამას გამორიცხავს და აერთიანებს მხოლოდ გარკვეულ ადამიანებს, მათ, რომლებიც თავს საერთო წარმომავლობისად მიიჩნევენ. მხოლოდ ამ ხალხს შეუძლია შეუერთდეს ეთნიკური ნაციის ინტიმურ ოჯახურ წრეს. აქ არის ეთნიკური ნაციის ექსკლუზიურობის ფესვები (გვ.192).

წინა მოდერნული ეთნიეს ორი ტიპი არსებობს. პირველია ლატერალური ანუ არისტროკრატიული. მისი საზღვრები არაა მკაფიოდ მოხაზული, ჩვეულებრივ იგი ვრცელდება მნიშვნელოვან არეალზე, სოციალურად კი მოიცავს საზოგადოების მაღალ ფენას, მონარქს, სამეფო კარს, დიდებულებს, სასულიერო წრეებს. ამის საპირისპიროდ, ვერტიკალური ანუ დემოტიკური ეთნიეები უფრო კომპაქტურია, მათში შესვლა მხოლოდ დიდი ბარიერების გადალახვით შეიძლება. ისინი მოიცავენ უფრო მცირე არეალებს,

მაგრამ ხშირად უფრო მკაფიო საზღვრებიც აქვთ და სოციალური სიღრმეც. ეთნიკური კულტურა ყველა სოციალურ საფეხურზეა განფენილი. კულტურაში ჩართულებად ვხედავთ ხელოსნებს, ვაჭრებს და, ზოგჯერ გლეხებსაც კი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ერთიანობას რელიგიური ფაქტორი აძლიერებს.

ვერტიკალური ეთნიეს მთავარი ნიშანი არის მისი დემოტიკურობა ანუ სახალხო ხასიათი. ეთნიკური კოლექტივი შედგება ხალხისაგან, რომლის მობილიზება პოლიტიკური თუ რელიგიური ლიდერების მიერ ხდება გამუდმებით. ამგვარი ეთნეები აჩვენებენ გლობალური მისიის განცდას.

დროთა განმავლობაში ბევრი დემოტიკური ეთნიე დაპყრობილი აღმოჩნდა არისტროკრატიული ეთნიეს მიერ. ამან დემოტიკური ეთნიეების კიდევ მეტი კონსოლიდება გამოიწვია იმის გამო, რომ მათ გაუმძაფრდათ საერთო ბედის და საკუთარი მისიის განცდა. ამა თუ იმ ხალხის იმპერიებში ჩართვამ მათში გამოკვეთა იდენტობა (გვ. 192).

თანამედროვე იმპერიების დაშლამ ხელი შეუწყო კულტურის პოლიტიზების პროცესს და ვერნაკულურ მობილიზაციას. წინამოდერნულ ეპოქაში კულტურას იშვიათად ჰქონდა პოლიტიკური მნიშვნელობა. მაგრამ იმპერიების მოსპობა ადგილობრივ მმართველებს უჩენს სურვილს თავიანთი მმართველობის ლეგიტიმიზაცია მოახდინონ მოსახლეობის ჰომოგენიზაციით. ეს მცდელობები მოიცავს ლინგვისტურ სტანდარტიზაციას. უმცირესობებისათვის ამას ხშირად მოჰქონდა დისკრიმინაცია.

ინტელიგენცია წარმართავდა თავისი თანამემამულეების მობილიზაციას იმპერიის წინააღმდეგ. ამ პროცესში ხდებოდა წინარე ეთნიეებთან კავშირის დაფიქსირება (გვ. 193).

როგორც ითქვა, ე. სმითი განმარტავს, თუ რას გულისხმობს ვერნაკულური მობილიზაცია, რომლის საშუალებითაც ეთნიკური ნაციონალიზმი ეთნო-ნაციას აყალიბებს. ასეთ შემთხვევებში არსებითად საქმე გვაქვს ერთობის თავიდან განსაზღვრის, თავიდან განათლების, და აღდგინების პროცესებთან.

ნაციონალისტები თანამემამულეებს უმტკიცებენ, რომ ყველანი წარმოიშვნენ ერთი წინაპრიდან და წარმოადგენენ ერთიან ოჯახს და ასე განსაზღვრავენ ნაციას დროში და სივრცეში ანუ პასუხს

იძლევიან კითხვებზე სად და როდის წარმოვიშვით. ხელახალი დეფინიციის პროცესი გამოკვეთს საზღვარს *ჩვენსა* და *მათ* შორის.

როგორც წესი, ეთნიკური ერთობები, მიუხედავად მათი ეთნიკური რჩეულობის მითებისა, ეთნოცენტრიზმისა, სინამდვილეში მაინც ადვილად შეღწევადი იყო. ადგილი ჰქონდა ინტერეთნიკურ ქორწინებებს, იყო კულტურული დასესხებანიც. მაგრამ ხელახალი თვითგანსაზღვრის პროცესში პოტენციური ნაცია ქმნის ბარიერებს, რომლებიც უცხოსათვის ძნელად გადასალახია (გვ. 194).

მობილიზაციის და განსაზღვრის მეორე საფეხურს წარმოადგენს ერთობის წევრების ხელახალი განათლება. პოტენციური ნაციის წევრებმა უნდა შეიმეცნონ თვიანთი წინაპრების ნამდვილი კულტურა (გვ. 194). ამ ნამდვილი კულტურის პოვნა, ნაციონალისტის აზრით, შეიძლება ხალხურ შემოქმედებაში, ხალხურ სიმღერებში, ბალადებში, ცეკვებში, თამაშებში, პოეზიაში, ხელოვნებაში, ხელოსნობაში. ჰერდერის [21] იდეებით ინსპირირებული მეცნიერები (ფილოლოგები, ფოლკლორისტები, ისტორიკოსები, არქეოლოგები, ანთროპოლოგები, სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლები, ისევე როგორც პოეტები, მსახიობები, მხატვრები) იწყებენ შუა საუკუნეების სახალხო კულტურის წარმოჩენას, რომლებიც უარყოფილი იყო ოფიციოზის მიერ (გვ.195).

როგორც შესავალშივე აღვნიშნეთ, თეორიული პოსტულატების დოკუმენტირებას ქართული მაგალითებით შევეცდებით ნაშრომის იმ ნაკვეთში, სადაც მასალის ანალიზია წარმოდგენილი, მაგრამ აქაც, მეტი თვალსაჩინოებისათვის, ზედმეტი არ იქნება, რომ მივუთითოთ ზოგიერთ ფაქტზე. კერძოდ, სახალხო კულტურის წარმოჩენასთან დაკავშირებით მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ ი. ჭავჭავაძის ერთ პუბლიცისტურ წერილს, რომელიც გამომცემელთა მიერ პირობითად დასათაურებულია როგორც *ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ.*

ამ წერილში ილია საუბრობს ქართველ ინტელექტუალთა ძალისხმევაზე შეაგროვონ ხალხური პოეზიის ნიმუშები და გამოაქვეყნონ ისინი. ამგვარ ინიციატივას ის დადებითად ეკიდება, თუმცაღა, მიაჩნია, რომ ეს არასაკმარისია, რომ სახალხო კულტურა უფრო ფართოდ უნდა

[21] გერმანელი ფილოსოფოსი იოჰან გოტფრიდ ჰერდერი (1744–1803) მიუთითებდა მშობლიური ენის, საერთოდ თითოეული ხალხის ავთენტური კულტურის განსაკუთრებულ როლზე ნაციის განვითარებაში.

გავიაზროთ და შევაგროვოთ ის მასალაც, რომელიც არ ეკუთვნის უშუალოდ პოეზიის სფეროს, მაგრამ წარმოაჩენს ხალხის ჩვეულებებს. ამგვარი მიდგომის მართებულობის დასასაბუთებლად იგი საერთაშორისო გამოცდილებასაც იმოწმებს:

> ამ ბოლო დროს ჩვენს განათლებულ საზოგადოებაში გაჩნდა ერთი საყურადღებო მოვლენა, რომელსაც დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზედ, ეროვნულ წარმატებაზედ. ეს მოვლენა სახალხო ლექსების შეკრება და ბეჭდვაა ჟურნალ-გაზეთობაში. სამწუხაროდ, როგორც თითქმის ყოველთვის და ყველაფერში, სახალხო სიტყვიერების ნაწარმოების შეკრების შესახებაც ცალკერძი გატაცება ეტყობა ჩვენს საზოგადოებას. აქაოდა სახალხო პოეზიას დიდი მნიშვნელობა აქვსო ჩვენის მწერლობისათვის და მდაბიო ხალხის ესთეტიურის გემოვნებისა და აზროვნობის გასაცნობადაო, ხელი მოვკიდეთ მარტო ამ პოეზიის შეკრებას და სხვა საგნები კი ხალხის ნაწარმოებისა სრულიად დავიწყებული გვაქვს. მდაბიო ხალხის გონებითი თუ სხვაგვარი საუნჯე მარტო იმის ლექსებში და პოეზიაში როდი გამოიხატება. არა, ეს საუნჯე უხვად დათესილი და დარჩენილია ისეთ ნაწარმოებებში, რომლებიც სრულებით არ ეკუთვნიან პოეზიის სფერას. ამგვარია, მაგალითებრ, ხალხის ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებიან ეკონომიურს და იურიდიულ ცხოვრებას ... სადაც მდაბიო ხალხის ცხოვრების შესწავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყოველ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვანს ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლეველად არაფერს არ სტოვებენ. სწორედ ამგვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი. მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი, იმისა წადილი, საჭიროება. სადაც ასე არ არის, იქ ყოველთვის შეიძლება შევცდეთ და ვერ შევიტყოთ, რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი.[22]

[22] ი. ჭავჭავაძე. მეთაური წერილი. 1887 წლის 23 დეკემბერი, *ივერია*, გვ. 1. ვიმოწმებთ შემდეგი გამოცემის მიხედვით: ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად (მთ. რედ. გ. ბენაშვილი), ტომი 9 – პუბლიცისტური წერილები, 1887 (ტომის რედ. რ. კურსაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2006, გვ. 639-640. წერილის ატრიბუციისათვის იხ. შენ. გვ. 716.

როგორც ამონარიდიდან ჩანს, ილიას ნაციონალიზმი ხალხზე იყო ორიენტირებული, ერის წარმოქმნის უმთავრესი პირობა მისთვის სწორედ ხალხია. თუმც ეს კონცეფცია ჯერ აშკარად თავად სახალხო არაა და იგი კულტურული ელიტის კუთვნილებაა. ვერნაკულური მობილიზაციის პროცესში ამ ელიტის მთავარ საზრუნავს სახალხო კულტურის მოძიება, მისი ახალ ნაციონალურ კულტურაში მაქსიმალურად ჩართვა წარმოადგენს.[23]

მაგრამ დავუბრუნდეთ ე. სმითის ნაშრომს. შემდეგი ნაბიჯია თვით კულტურის რეგენერაცია და მისი უცხო ელემენტებისაგან განწმენდა, ასევე ხალხის განწმენდა ანუ პურიფიკაცია, თავდაპირველი კულტურის აღმოჩენა და აღდგინება (გვ.195).

ამ პროცესს "ხალხი" აჰყავს ჭეშმარიტების და კეთილშობილების საუნჯის პოზიციაზე, რომელიც ინახავს და განასახიერებს ნაციონალურ ღირებულებებს. ეს არის გაგრძელება სახალხო სუვერენობის ძიებისა, რომელიც წარმოიშვა დასავლეთში, მაგრამ რომელიც იღებს პოპულისტურ ფორმას აღმოსავლეთ ევროპისა და აზიიის დემოტიკურ ნაციონალიზმებში. დემოკრატიზაციამ შეიძლება წარმოშვას მასობრივი ნაციონალიზმი, რომელიც განსაზღვრავს ერთობის სუვერენობის სურვილს. მაგრამ იგივემ შეიძლება წარმოშვას პურიფიკაციისაკენ სწრაფვაც და გამოიწვიოს ნაციისა და ხალხის "შედუღება" და ამ "ნაერთის" იდენტიფიცირება ეთნიესთან (გვ. 196).

ნაციის ეთნიკურ მოდელში მოქალაქეობა არსებითად იგივეა, რაც დომინანტური ეთნიეს წევრობა, მაშინ როდესაც ტერიტორია და კულტურა ერთობის ფარგლებში განისაზღვრება და განიმარტება

[23] როგორც მართებულად არის შენიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, ქართველ ინტელექტუალთა მთავარი საზრუნავი იყო ქართველი ერის, როგორც ეთნოკულტურული წარმონაქმნის, საზღვრების დადგენა და შემდგომში ამის საფუძველზე პოლიტიკური ავტონომიის ან, უკეთეს შემთხვევაში, დამოუკიდებლობის მიღწევა. ამიტომაც ისინი გაცილებით ბევრს წერდნენ ქართველთა ეთნო-კულტურული საზღვრების შესახებ და თითქმის არაფერს ამბობდნენ საქართველოს ზუსტი პოლიტიკური საზღვრებისა და მოქალაქეობის შესახებ. იხ. ს. დუნდუა, ზ. აბაშიძე. ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში. თბილისი, ინტელექტი, 2009, გვ. 24-25.

როგორც ექსკლუზიურად მისი საკუთრება. იმპერიების მსხვრევა არის რეალური შედეგი ეთნიკური ნაციების წარმოქმნისა. ეს არის პროცესი, რომელსაც წარმართავს ინტელიგენცია. იმპერიისაგან განცალკევება ეთნიკურ კონფლიქტებსა და დაძაბულობას იწვევს (გვ.196). უფრო ხშირია წმინდა ეთნიკურ მოდელზე აგებული ნაციები (გვ. 199).

ამავე წიგნის შესავალ ნაკვეთში, რომელსაც ეწოდება *ეთნოსიმბოლიზმი და ნაციონალიზმის კვლევა*, მოცემულია სხვა მიმდინარეობების დახასიათება იმისათვის, რომ ამ ფონზე წარმოჩინდეს ეთნოსიმბოლიზმი.

ე. სმითი მიუთითებს, რომ ნაციონალიზმის ადრეული განმარტება ორგანიციზმის ძალიან დიდ გავლენას განიცდიდა. ნაციები განიხილებოდა კაცობრიობის ბუნებრივ და პრიმორდიალურ დაყოფად. ნაციონალიზმი კი წარმოედგინათ ყველგან და ყოველთვის არსებულ უნივერსალურ ფენომენად. იმას, რასაც ახლა პრიმორდიალიზმს უწოდებენ, წარმოდგა სწორედ ამ ფართოდ გავრცელებული დაშვებებისაგან. პრიმორდიალისტებისათვის ნაციის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ ის ამოზრდილია ნათესაური კავშირებიდან, ეთნიკურობიდან და ადამიანის არსებობის გენეტიკური საფუძვლიდან.

არსებობს პრიმორდიალიზმის რამდენიმე სახეობა. პირველი – ეს არის ნაციონალისტის ვერსია, რომლის მიხედვით ნაცია არის ბუნების ნაწილი, უფლის გეგმის განხორციელება და არა ისტორიის ფაქტი. მეორე შემთხვევაში პრიმორდიალიზმი მომდინარეობს სოციალური ბიოლოგიის ბოლოდროინდელი აღორძინებიდან. მაგალითად, ვან დე ბერგეს მიხედვით, ნაციები არის განვრცობა ნათესაობის საფუძველზე შეკრული ერთობებისა. არსებობს მესამე სახესხვაობაც: კულტურული პრიმორდიალიზმი. მისი მიმდევრები არიან შილსი და გერტცი. ისინი საუბრობენ ადამიანური არსებობის მოცემულობების განსაკუთრებულ ძალაზე (გვ. 4), ხაზს უსვამენ სისხლის, მეტყველების, ტრადიციების, ტერიტორიის მნიშვნელობას ანუ იმ მოცემულობებს, რომლებიც თანამედროვე სახელმწიფოში არსებული სამოქალაქო კავშირებისათვის წარმოადგენენ გამოწვევას.

პერენიალიზმი მიემართება მათ, ვინც ნაციებსა და ნაციონალიზმებს ისტორიაში მუდმივად არსებულად მიიჩნევს, თუმც

არა როგორც ბუნების წიაღის ფაქტს. ისტორიკოსების ძველი თაობა, ადამიანები, რომლებიც ნაციონალიზმის ორგანიცისტული ვერსიის გავლენას განიცდიდნენ, მიდრეკლინი არიან, რომ დაინახონ ნაციები ისტორიული წყაროებში ყველაზე ძველი ეგვიპტელებიდან დაწყებული თანამედროვე ინგლისითა და საფრანგეთით დამთავრებული. პერენიალიზმის ორი სახეობა უნდა გავარჩიოთ: ერთი არის განგრძობადი პერენიალიზმი, რომელიც ამტკიცებს, რომ ზოგიერთი ერი არსებობდა საუკუნეებისა და ათასწლეულების განმავლობაშიც კი.

პერენიალიზმის მეორე სახეობა ამტკიცებს, რომ ნაციები მოდიან და მიდიან, წარმოიშობიან და ქრებიან, ხელახლა ჩნდებიან სხვადასხვა პირობებში. ე.სმითის აზრით, აქ ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ განმეორებად პერენიალიზმზე (გვ. 5).

ე. სმითი თვლის, რომ მოდერნიზმი დღეს წარმოადგენს დომინანტურ მიმართულებას. მოდერნისტები, როგორც პრიმორდიალისტებს, ისევე პერენიალისტებს მიიჩნევენ ნაციონალისტებად. მოდერნისტებისათვის, მაგალითად, ჰობსბაუმისა და გელნერისათვის, ნაციები არა მხოლოდ ბოლო დროის წარმონაქმნები არიან, არამედ თვისებრივად ახალი მოვლენებიც, რომელნიც თან მოჰყვნენ მოდერნიზაციის პროცესს. საფრანგეთის რევოლუციას მოდერნისტები მიიჩნევენ იმ დროდ, როცა ნაციონალიზმი გამოვიდა ისტორიის არენაზე. მათი აზრით, ნაციები და ნაციონალიზმები პირწმინდად მოდერნის ეპოქასთან არსებითად დაკავშირებული ფენომენებია, რომლებსაც არა აქვთ ფესვები წარსულში. ხალხის სუვერენობის იდეალი შეერწყა მოძრაობას კულტურული ჰომოგენურობისაკენ და წარმოიქმნა საერთო კულტურით დეტერმინებული მოქალაქეთა ნაციები.

არსებობს მოდერნიზმის სხვადასხვა სახეობა. სოციალ-ეკონომიკური ვერსია ნაციებს კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების შედგად წარმოშობილად მიიჩნევს. ამ მიმართულების მიმდევარი არის ნაირნი. გელნერი კი მოდერნიზმის სოციალურ-კულტურულ მოდელს წარმოადგენს (გვ. 6).

ე. სმითის აზრით, კულტურული დიფუზიონიზმი შეიძლება დავინახოთ ანდერსონის ნააზრევში ნაციებისა და ნაციონალიზმების წარმოშობისა და გავრცელების შესახებ. ნაციონალიზმი ანდერსონისათვის არის მოდერნული კულტურული

არტეფაქტი. მისი სუბიექტი ანუ ნაცია, ანდერსონის მიერ განმარტებულია როგორც წარმოსახვითი პოლიტიკური საზოგადოება, წარმოსახული როგორც სუვერენული, დასაზღრული და ჰორიზონტალური. სამყაროში, რომელიც ხასიათდება ლინგვისტური მრავალფეროვნებით და სურვილით მიაღწიოს უკვდავებას, მხოლოდ ბეჭდური მედია იყო ამის საფუძველი (გვ. 8).

როგორც მიუთითებს ე. სმითი, ისტორიული ეთნო-სიმბოლიზმი აღმოცენდა მოდერნისტული მიდგომის თეორიული კრიტიკიდან. ეთნოსიმბოლისტების აზრით, ნაციონალიზმს თავის ძალას ანიჭებს ის მითები, მახსოვრობები, ტრადიციები და სიმბოლოები, რომლებიც მომდინარეობენ ეთნიკური მემკვიდრეობიდან. ნაციონალური მობილიზაციის პროცესში ხალხის ცოცხალი წარსული შეიძლება თავიდან იქნას აღმოჩენილი და განმარტებული ნაციონალისტი ინტლიგენციის მიერ. ამ ელემენტებისაგან ანუ მითების, სიმბოლოების, მახსოვრობებისაგან იქმნება ნაციონალური იდენტობა ყოველ თაობაში. პირველ რიგში თავად სმითი, აგრეთვე, ჰათჩინსონი და არმსტრონგი არიან ამ მიმართულების დამფუძნებლები თუ მიმდევრები (გვ. 9).

ეთნოსიმბოლიზმი არაერთ მტკიცებულებას აყენებს. ე. სმითს რამდენიმე პუნქტად აქვს განხილული ეს მტკიცებულებები. ჩვენც ასე წარმოვადგენთ მათ.

1. La Longue Durée

თუ ჩვენ გვსურს შევიმეცნოთ ნაციები და ნაციონალიზმები, უნდა განვიხილოთ როგორც მათი დასაწყისი, ისე განვითარება და შესაძლო მომავალი. ანუ უნდა შევისწავლოთ ისინი ხანგრძლივი პერიოდის ანუ la longue durée განმავლობაში. უნდა გვახსოვდეს, რომ ნაციები ისტორიული ფენომენებია არა მარტო გენეტიკური აზრით ანუ იმ აზრით, რომ მათი წარმოშობა და არსებობა გარკვეულ ისტორიულ ვითარებას უკავშირდება, არამედ იმ აზრითაც, რომ მათი არსებობისათვის გადამწყვეტია ისტორიული მახსოვრობა.

ეთნო-სიმბოლიზმისათვის არსებითი მტკიცებულებაა საზიარო მახსოვრობებისა და კოლექტიურ კულტურული იდენტობის ურთიერთკავშირი. ამდენად, ისტორიკოსები თამაშობენ გადამწყვეტ როლს ნაციისათვის წარსულის “აღმოჩენაში”, მის გადაცემაში თაობებს შორის და ეთნიკური მემკვიდრეობის ანალიზში.

2. ნაციონალური წარსული, აწმყო და მომავალი

კავშირი ნაციონალურ წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის წარმოადგენს მეორე დიდ თემას ეთნოსიმბოლიზმისათვის. ეს თემა შეიძლება განხილულ იქნას სამი რუბრიკის მიხედვით. ეს რუბრიკებია: *განმეორებადობა, განგრძობადობა, ხელახალი შესაგამისობის უზრუნველყოფა.*

თუ გამოვიყენებთ ნაციის თავად სმითისეულ დეფინიციას (ნაცია არის სახელის მქონე ადამიანთა ერთობა, რომელიც აქვს საზიარო ისტორიულ ტერიტორია, საერთო მითები და ისტორიული მახსოვრობები და მასობრივი საჯარო კულტურა, საერთო ეკონომიკა და სამართლებრივი უფლებები და მოვალეობები ყველა წევრისათვის), რომელიც, სმითისავე აზრით, არის აშკარად მოდერნისტული დეფინიცია, ცხადია, რომ ნაციების უმრავლესობა მოდერნულ მსოფლიოში ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციების შემდგომ წარმოიშვა. მაგრამ ამავე დროს ფაქტები გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი ნაციის წარმოშობა წინ უსწრებს მოდერნულობას, არის ზოგიერთი ეთნიკური ელემენტი, რომელიც მეორდება. ესაა ეთნიკური წარმოშობის მითები, ეთნიკური რჩეულობის რწმენა, ეთნოლანდშაფტების შექმნა და მახსოვრობათა ტერიტორიალიზაცია, ერთობათა ვერნაკულური მობილიზაცია. ეს ყველაფერი აჩვენებს, რომ თანამედროვე ნაციებს შეიძლება ჰქონდეთ თავიანთი წინამოდერნული შესატყვისები და ჩამოყალიბებულნი იყვნენ განმეორებად ერთობებად ეთნიკურ მოცემულობათა საფუძველზე.

რუბრიკის *განგრძობადობა* ქვეშ ერთიანდება კითხვები ნაციების დასაწყისთან დაკავშირებით ანუ რამდენად ღრმად ისტორიაში შეიძლება დავინახოთ მათი წარმოშობა. ეს რუბრიკა აჩვენებს კონკრეტული ეთნიკური ელემენტების განგრძობადობას, ელემენტებისა, რომლებიც გადადის თაობიდან თაობაში სიმბოლოების, მახსოვრობების, ენების, ტერიტორიალური მიკუთვნებულობისა და იდენტობრივი რიტუალების სახით (გვ. 24).

თუ ეს რუბრიკა აჩვენებს ეთნიკური წარსულის მიმართებას ნაციონალურ აწმყოსთან, მომდევნო ანუ *ხელახალი შესაგამისობის უზრუნველყოფის* რუბრიკა, საპირისპირო მიმართულებას აჩვენებს, ანუ მიუთითებს აწმყოს მიმართებაზე წარსულთან. ნაციონალური ინტელიგენცია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც

პოლიტიკური არქეოლოგები, რომლებიც მიზნად ისახავენ არა უბრალოდ წარსულთან დაბრუნებას, არამედ ერთობის ჭეშმარიტი ეთოსის წარმოჩენას და ამის საფუძველზე მოდერნული ნაციის რეკონსტრუქციას. აქედან მომდინარეობს ფილოლოგების, ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეთნოლოგების ძიებანი ეთნიკური წარსულის ხელახალი აღმოჩენისათვის, მათი ავთენტურად მიჩნევისა და აწმყოსთან მისადაგებისათვის (გვ. 25).

3. ნაციათა ეთნიკური წარსული

ეთნოსიმბოლიზმის მესამე უმნიშვნელოვანესი თემა, ე. სმითის აზრით, არის ის, რომ ნაციები და ნაციონალიზმები ეფუძნება ეთნიკურ ერთობებს. ეთნიკურობის ყველგანმყოფობა არის ეთნოსიმბოლიზმის ამოსავალი წერტილი (გვ. 25). ეთნოსიმბოლიზმი ამტკიცებს, რომ ნაციების უმრავლესობა ეფუძნება ეთნიკურ მიჯაჭვულობებს, სენტიმენტებს და სახალხო ეთნიკურ ტრადიციებს. თვით ტერიტორიალური ნაციებისათვისაც კი აუცილებელია, რომ გამოსჭედონ საკუთარი კულტურული ერთობა და მითები, სიმბოლოები, ფასეულობები და მახსოვრობები ადრე არსებული ეთნიკური ერთობების შესაბამისად, თუ სურთ, რომ თავი შეინარჩუნონ და განვითარდნენ. ნაციების ეთნიკური მოდელი არის ყველაზე უფრო გავლენიანი ფორმა, რომელიც აქცენტს აკეთებს წარმომავლობაზე, ვერნაკულურ კოდებზე და სახალხო მოძრაობებზე, აგრეთვე, ისტორიულ სამშობლოს დაბადებაზე. ნაციების უმრავლესობა ჩამოყალიბდა ეთნიკური ბირთვების გარშემო. მესამე თემის უმთავრესი ნაწილი არის მტკიცებულება ნაციების და ნაციონალიზმების სახალხო საფუძვლის შესახებ. ნაციები შეიძლება წარმოიშვნენ ელიტური ჯგუფების გარშემო, მაგრამ, ადრეულ სტადიაზეც კი, ელიტები იძულებულნი არიან მიიღონ ფართო მასების კულტურა და მათ ინტერესებს უპასუხონ. ეს ვერნაკულური კულტურა და ინტერესები თავისი ხასიათით არის სახალხო და ეთნიკური.

4. ეთნიეების კულტურული კომპონენტები

ეთნოსიმბოლიზმის მეოთხე უმთავრესი მტკიცებულებაა შემდეგი: ეთნიკური და ნაციონალური ერთობების განგრძობადი ელემენტი არის უფრო მეტად კულტურული ხასიათის, ვიდრე – დემოგრაფიულის. განსხვავებანი და განსაკუთრებულობანი როგორც ეთნიეებისა, ისე ნაციებისა, იკვეთება მათ მითებში,

მახსოვრობებში, ფასეულობებში. აქცენტი კულტურაზე (მისი ფართო მნიშვნელობით) გარკვეულ მოქნილობას ანიჭებს ეთნიკური ჯგუფის წევრობას, რომელიც ნორმალურ ვითარებაში დემოგრაფიული შევსების, კულტურული დასესხების, კულტურული და სოციალური ადაპტაციის საშუალებას იძლევა (გვ. 27).

5. ეთნიკური მითები და სიმბოლოები

ეთნიკურობის კულტურულ კომპონენტებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეთნიკური წარმომავლობისა და რჩეულობის მითებს, ტერიტორიის სიმბოლოებს და ერთობის სიმბოლოებს. ისინი შეიცავენ ინფორმაციას კულტების წარმოშობის დროისა და ადგილის შესახებ და აჩვენებენ უწყვეტ ხაზს წინაპრებსა და თანამედროვეთა შორის. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ეთნიკური რჩეულობის მითები, რომლებიც, როგორც უკვე ითქვა, ე. სმითის მიხედვით, ორი ტიპისაა მისიონერული და აღთქმითი (გვ. 27-28). ტერიტორიისა და ერთობის სიმბოლიკა იღებს ასევე მრავალგვარ ფორმას. ისინი მოიცავს განმასხვავებელ ემბლემებს. იქმნება ეთნოლანდშაფტი, რომელიც ივსება პოეტური შინაარსით. მისი ცალკეული ადგილები უკავშირდება ეთნოისტორიას, რაც არის ეთნიკური ნაციონალიზმის მნიშვნელოვანი მოტივი (გვ. 28).

6. "ეთნო-ისტორია"

ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება ეთნიკური ერთობის წევრების კოლექტიური მახსოვრობა უფრო, ვიდრე ობიექტური ანალიზი ისტორიისა პროფესიონალების მიერ. ამ თემას აქვს სამი წახნაგი: მისი დაპირისპირებულობა, მუდმივი ცვალებადობა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის შემთხვევაში არათანაბარი განვითარება.

ერთობაში არსებობს სხვადასხვა ინტერესის მქონე ჯგუფები. ამიტომ შესაძლებელია არა ერთი, არამედ მრავალი და, ამავე დროს, ურთიერთდაპირისპირებული ეთნოისტორიების წარმოშობა და თანაარსებობა. ამავე დროს ეპოქების ცვლილების შესატყვისად ხდება ეთნოისტორიის გადააზრება. სხვადასხვა ხალხებს აქვთ სხვადასხვაგვარი ეთნოისტორია. ზოგის ფაქტებით მდიდარია, მრავალიცხოვან დოკუმენტურ მასალას ეფუძნება, ზოგის კი – მწირია. ეს უთანაბრობა აჩვენებს ეთნოკულტურული რესურსების უთანაბრობას. ამავე დროს ეს არის ნაციონალური კონკურენციისა და კონფლიქტის წყაროც (გვ. 29).

7. გზა ეროვნობისაკენ[24] (ნაციადყოფნისაკენ)

ეთნოსიმბოლიზმის შემდეგი ცენტრალური თემა არის იმ გზის ჩვენება, რომელსაც გადიან ერთობები ნაციად ჩამოყალიბებამდე. ეს გზა არ არის ერთგვაროვანი. ე. სმითი თვლის, რომ ნაციის ტიპი დამოკიდებულია იმ ეთნიკური ერთობის ტიპზე, რომელსაც ეფუძნება ნაცია. როგორც მივუთითებდით, ე. სმითი განასხვავებს ეთნიეთა ორ ტიპს.

პირველია არისტოკრატიული და ექსტენსიური ეთნიეები. მათ აქვთ გავრცელების დიდი არეალი, არამკაფიო საზღვრები.

მეორე არის დემოტიკური და ინტენსიური. ამ ტიპის ეთნიეებს აქვთ კომპაქტური საზღვრები, მათ შიგნით შესაღწევად შედარებით მაღალი ბარიერის გადალახვაა საჭირო. მათი კულტურა მსჭვალავს ერთობის ყველა კლასს, თუმც, ცხადია, სხვადასხვა დროს – სხვადასხვაგვარად.

ამათ გარდა, არსებობს იმიგრანტული ეთნიეებიც.

გზა, რომელსაც გადის ერთობა ნაციად ჩამოყალიბებემდე, სწორედ ამ ტიპებიდან გამომდინარეობს. ბიუროკრატიული ინკორპორაციის მეშვეობით პირველი ტიპის ეთნიეს შეუძლია წარმოშვას ძლიერი სახელმწიფო, შემოიერთოს ტეროტორები და შემოიყვანოს დაბალი კლასები ელიტურ ეთნიკურ კულტურაში, მიაღებინოს მათ საკუთარი სიმბოლიზმი.

მეორე ტიპის ეთნიეები ნაციამდე მიდიან ვერნაკულური მობილიზაციის გზით, რომელსაც წარმართავს ინტელიგენცია. ეს უკანასკნელი ცდილობს მოახდინოს საშუალო და დაბალი ფენების მობილიზაცია და შექმნას ეთნიკური ნაცია.

8. ნაციონალიზმის დღეგრძელობა

მისწრაფებანი ნაციად ჩამოყალიბებისაკენ შეიძლება აღმოვაჩინოთ პრემოდერნულ ხანაშიც და მოდერნის ეპოქაშიც. ამ დროს იგი იღებს ძალიან ინტენსიურ ხასიათს. სწორედ ეს აფიქრებინებს ე. სმითს, რომ ნაციები მომავალშიც იარსებებენ (გვ. 30).

გვინდა ცალკე შევეხოთ ამავე წიგნის პირველ თავსაც, რომლის სათაურია *ნაციონალიზმი და ისტორიკოსები.*

[24] ამ სიტყვას საკმაოდ ხშირად ვხდებით ილია ჭავჭავაძის ნაწერებში. ჩვენი აზრით, იგი შეიძლება გამოვიყენოთ ინგლისური სიტყვების "nationhood", "nationness" ქართულად გადმოცემისათვის, ნაცვლად ჩვენ მიერ ახლად შექმნილი სიტყვისა "ნაციადყოფნა".

ნაციონალიზმის ისტორია, როგორც იდეოლოგიისა, ისე მოძრაობისა, არსებითად ინტელექტუალთა ისტორიაა. ნაციონალიზმი არის ისტორიული მოძრაობა, არა მარტო იმიტომ, რომ ის აღმოცენდა ევროპული ისტორიის გარკვეულ პერიოდში და გარკვეული ისტორიული სიტუაციის შედეგია, არამედ იმიტომაც, რომ ნაციონალიზმი ისტორიცისტულია თავისი ხასიათით. ის სამყაროს განიხილავს როგორც ურთიერთობებს სხვადასხვა ერთობებს შორის, რომელთაგანაც თითოეულს აქვს უნიკალური ხასიათი და ისტორია, და ყოველი მათგანი სპეციფიკური წარმოშობისა და განვითარების შედეგია. მაგრამ უფრო სპეციფიკური აზრითაც შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალიზმი არის ისტორიცისტული მოძრაობა. ისტორიკოსები განსაკუთრებით გამოირჩევიან მის შემქმნელებსა და თაყვანისმცემლებს შორის. სწორედ ისინი განმარტავენ იმ გზებს, რომლითაც შეიძლება გავიგოთ ნაციონალიზმი.

ის, რომ ისტორიკოსებს მიუძღვით დიდი წვლილი ნაციონალიზმის განვითარებაში, ე. სმითის აზრით, არ არის გასაკვირი. ცნობილმა ისტორიკოსებმა შექმნეს ინტელექტუალური ფუნდამენტი მათი ერთობების ნაციონალიზმებისათვის. ისტორიკოსებმა, ისევე როგორც ფილოლოგებმა, მრავალი თვალსაზრისით გამოკვეთეს საკუთარი ნაციები (გვ. 30).

ე.სმითს ნაციებისა და ნაციონალიზმების შესახებ სხვა არაერთი ნაშრომი აქვს დაწერილი, მაგრამ ამჯერად ამ რამდენიმეს წარმოდგენით დავკმაყოფილდებით, რადგან ვთვლით, რომ მათი განხილვით მოხერხდა ეთნოსიმბოლიზმის ძირითადი დებულებები გადმოცემა. მიგვაჩნია, რომ ამგვარი დაწვრილებითი განხილვის გარეშე, არსი იმ თეორიისა, რომლის გათვალისწინებით აგებულია წინამდებარე ისტორიული გამოკვლევა, გასაგები არ იქნებოდა ჩვენი მკითხველისათვის. ყოველ შემთხვევაში, იმ მკითხველისათვის, რომლის სპეციალური ძიების საგანს არ წარმოადგენს სოციალური თეორიები.

ისტორიული ფონი: ქართული ნაციონალიზმის წარმოშობა[1]

სპეციალისტები განასხვავებენ ერების (ნაციების) ორ უმთავრეს ტიპს: პირველი ესაა ერები,[2] რომლებიც წარმოიშვნენ უშუალოდ მოდერნიზაციის შედეგად; მეორე – არიან ერები, რომლებიც შეიქმნენ პარადიგმული მოდელის მიხედვით და ნაციონალიზმის პროდუქტს წარმოადგენენ.

ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში ამ უკანასკნელ ტიპს "დაგვიანებულ ერებს" უწოდებენ. "დაგვიანებული ერი" – ეს ტერმინი ქართულ სამეცნიერო სივრცეში, თუ არ ვცდებით, პირველად გამოიყენა ე. ჯგერენაიამ. მას იმეორებს გ. ნოდიაც ინგლისურენოვან ლიტერატურაში გავრცელებული late modernization (ნაგვიანევი მოდერნიზაცია) და catch-up modernization (დაწევითი მოდერნიზაცია) ფარდად.[3]

---

[1] დაწერილია ს. ქადაგიშვილის თანაავტორობით. ამ თავის შინაარსი მოხსენების სახით არის წაკითხული ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მცნიერებათა ფაკულტეტის V სამეცნიერო კონფერენციაზე (თბილისი, 2011 წლის 8 ივლისი), რომელიც მიეძღვნა პროფესორ გივი ჟორდანიას დაბადების 100 წლისთავს, და გამოქვეყნებულია კრებულში: ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, III (რედ. თ. დუნდუა, მ. ჩხარტიშვილი, ა. ბოშიშვილი). თბილისი, მერიდიანი, 2011, გვ. 259-278.

[2] მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ერი-მოდელი იყო სამი: ინგლისელები, ამერიკელები, ფრანგები, თუმც ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ასეთი იყო მხოლოდ ინგლისელი ერი, რომელიც წარმოადგენს პირველ და, აქედან გამომდინარე, პარადიგმულ ნაციას. ლ. გრინფელდის აზრით, მაგალითად, 'ინგლისელი ერის დაბადება არ ნიშნავდა მარტოოდენ ერთი ერის დაბადებას. ეს იყო ერების დაბადება, ნაციონალიზმის დაბადება' იხ. L. Greenfeld. Nationalism. Five Roads to Modernity. Cambridge – Massachusetts – London, Harvard University Press, 1992 (Paperback Edition – 1993), p. 23.

[3] გ. ნოდია. ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი. ქართველი ერის დაბადება (ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის

ქართველი ერს, ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანად, სწორედ ამ უკანასკნელ ტიპს განაკუთვნებენ.

ქართველი ერის "დაგვიანებულ ერად" სახელდება სრულიად ლოგიკურია, თუ ნაციების წარმოშობას მოდერნიზაციასთან დაკავშირებულ მოვლენად მივიჩნევთ. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, ქართული ერთობის ღრმა ეთნიკური ფესვების და ისტორიის უარყოფას. ატრიბუტი "დაგვიანებული" უბრალოდ ამსახველია იმ უდავო ფაქტისა, რომ ქართულ ერთობას მოდერნიზაცია შედარებით გვიან შეეხო და, შესაბამისად, ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესიც ნაგვიანევად განვითარდა.[4]

ამგვარად, ქართველი ერის ჩამოყალიბებაში წარმართველი როლი არა მოდერნიზაციამ, არამედ ქართულმა ნაციონალიზმმა შეასრულა.[5] ქართველი ერი ქართული ნაციონალიზმის შედეგს წარმოადგენს. აქედან ცხადია, რომ ქართული ნაციონალიზმის ისტორია არის საქართველოს ისტორიის გასაღები-პრობლემა. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ დღეს იგი სათანადოდ შესწავლილი საკითხია. უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით წარმართული ინტენსიური კვლევები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ ავსებს იმ დიდ ხარვეზს, რომელიც ამ საკითხის შესწავლაში არსებობს საბჭოური ისტორიოგრაფიული პრაქტიკის

მასალები, 2007). თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ.135, შენ. 9.

[4] ეთნიკური კონსოლიდაციის თვალსაზრისით კი ვითარება სულ სხვაგვარია: ქართული ეთნიე ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი ერთობაა ისტორიაში ცნობილთა შორის.

[5] მკვლევართა ნაწილის აზრით, ნაგვიანევი მოდერნიზაცია ჩამორჩენილ ერთობაში თავისთავად წარმოადგენს ნაციონალიზმის განვითარების საფუძველს მოდელთან მისი მუდმივი შედარების გამო. ეს შედარება იწვევს ჩამორჩენილი ერთობის მიერ ნაციონალიზმის განვითარებას "წყენის გულში ჩახვევის" და "გაბოროტების" გამო. ამ უკანასკნელი სიტყვით გადმოგვაქვს სპეციალურ ლიტერატურაში ამგვარი გრძნობის აღმნიშვნელად გამოყენებული სიტყვა "ressentiment". სოციალური ბაზისი "გაბოროტებისა" ანუ სტრუქტურული წინაპირობისა, რომელიც იწვევს აღნიშნულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, გულისხმობს ფუნდამენტური თანასწორობის არსებობას ობიექტისა და სუბიექტის რეალური უთანასწორობის პირობებში. ვრცლად იხ. L. Greenfeld. Nationalism. Five Roads to Modernity. Cambridge – Massachusetts – London, Harvard University Press, 1992 (Paperback Edition – 1993), pp. 14-17.

მიზეზით. საქმე ისაა, რომ საბჭოელი მარქსისტი ისტორიკოსების მიერ ნაციონალიზმი მიიჩნეოდა რეაქციულ ბურჟუაზიულ იდეოლოგიად. ამის გამო აღნიშნული თემა რჩებოდა სამეცნიერო დისკურსის მიღმა.

ნაშრომის ამ ნაკვეთის მიზანს წარმოადგენს მითითებული ხარვეზის ნაწილობრივი შევსება, კერძოდ, ჩვენ გვინდა დავახასიათოთ ქართული ნაციონალიზმის ისტორიის საწყისი ეტაპი, რათა წარმოვაჩინოთ ის ისტორიული წანამძღვრები, რომელთა წიაღში იშვა *ივერიის* მკითხველი საქართველო.

იმისათვის, რომ ქართული ნაციონალიზმის ისტორიის რეპრეზენტაციისას მკითხველისათვის გასაგები იყოს ფაქტების ჩვენეული ხედვა, აუცილებლად მიგვაჩნია გარკვეული ყურადღება კვლავ დავუთმოთ თეორიას და ამჯერად კონკრეტულად განვმარტოთ, თუ როგორ გვესმის ნაციონალიზმის ფენომენის რაობა და როგორ წარმოგვიდგენია იმ პროცესის არსი, რომელსაც "ნაციონალური კონსოლიდაცია", გნებავთ, "ნაციონალური მობილიზაცია" ეწოდება.

ამ შემთხვევაშიც ჩვენ მოვიშველიებთ ე. სმითის თვალსაზრისს. მისი განმარტებით, ნაციონალიზმი არის 'იდეოლოგიური მოძრაობა იმ მოსახლეობის ავტონომიურობის, ერთიანობის და იდენტურობის მისაღწევად, რომელიც მისი ზოგიერთი წევრის მიერ განიხილება როგორც არსებული ან პოტენციური ნაცია'.[6]

ე. სმითი ამას უწოდებს ნაციონალიზმის "სამუშაო დეფინიციას". ჩვენც მივიღოთ იგი ასეთად. მასში კარგად ჩანს, ნაციონალიზმის სამი ფუნდამენტური იდეალი, კერძოდ, ის ფაქტი, რომ ყოველი ნაციონალისტური იდეოლოგიის მიზანს წარმოადგენს ნაციონალური ავტონომიურობა (იქნება ეს – კულტურული, არასრული პოლიტიკური თუ სრული პოლიტიკური), ნაციონალური იდენტობის განსაზღვრა და ჯგუფის შინაგანი ერთიანობის მიღწევა, რაც გულისხმობს შიდა პოლიტიკური საზღვრების ელიმინაციას და კოლექტივის სოციალურ და კულტურულ ჰომოგენიზაციას.

ზემოთ მოყვანილ დეფინიციის ღირსებად მიგვაჩნია ისიც, რომ მასში გამოკვეთილია ნაციონალისტების (ანუ მათი, ვინც სმითისეული

[6] ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი–მალენი). თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, 2004, გვ. 31.

დეფინიციაში ფიგურირებს, როგორც მშობლიური ერთობის ნაციად გარდაქმნის მოსურნე ფენა) წარმართველი როლი.

ნაციონალიზმი ინტერნაციონალური მოვლენაა იმ აზრით, რომ გავრცელებულია მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში. არაერთგვაროვან ისტორიულ გარემოში მას აქვს სხვადასხვა შეფერილობა, მაგრამ ამ მოძრაობის ტაქტიკა და სტრატეგია, როგორც წესი, ყველგან ერთი და იგივეა. საქმე ისაა, რომ, როგორც ამას დამაჯერებლად აჩვენებს ე. სმითი, ნაციონალიზმს ყველგან ერთი და იგივე ფუნდამენტური იდეალები აქვს. სწორედ ამ იდეალების ამსახველია ზემოთ მოცემული დეფინიცია. აღნიშნული საერთო იდეალები ნაციონალისტურ იდეოლოგიას და მისით წარმართულ მოძრაობას ანიჭებს უნივერსალურ და ამავე დროს მისით გამსჭვალული ადამიანებისაგან დამოუკიდებელ ობიექტურ ხასიათს:

> ნაციონალიზმს თავისი საკუთარი წესები, რითმი, მახსოვრობანი აქვს, რომელნიც მათ მატარებელ პიროვნებათა ინტერესებს უფრო მეტადაც კი აყალიბებენ, ვიდრე თავად ისინი მოხაზავენ მათ კონტურებს, მოსავენ რა მათ თვალსაჩინო "ნაციონალისტური" პოლიტიკური ფორმით და წარმართავენ რა მათ კარგად ნაცნობი ნაციონალისტური მიზნებისაკენ.[7]

ნაციონალიზმი შიდა ჯგუფური სოლიდარობის იდეოლოგიაა. ცხადია, ამგვარი სოციალური ფუნქციის იდეოლოგიები წინა მოდერნის ეპოქამაც მრავლად იცის. მაგრამ ჩვენ, ბევრი სხვა მკვლევრის მსგავსად, ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ნაციონალიზმი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გამოდის ისტორიულ არენაზე.

ნაციონალიზმი არაა მარტო პოლიტიკური მოვლენა. ის უმჭიდროესადაა დაკავშირებული კულტურასთანაც. როგორც შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, ნაციათა სამყარო აყალიბებს ადამიანების ზოგად ხედვებს და სიმბოლოთა სისტემასაც:

> ... ნაციონალიზმის მნიშვნელოვნება მხოლოდ პოლიტიკის სფეროთი არ შემოიფარგლება. მას კულტურული და ინტელექტუალური შინაარსიც

[7] ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი–მალენი). თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, 2004, გვ. 23.

> აქვს, რადგან ჩვენს მსოფლხედვას და სიმბოლოთა სისტემას "ნაციათა მსოფლიო" აყალიბებს.[8]

ჩვენც, მრავალი მეცნიერის მსგავსად, ვფიქრობთ, რომ ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესში გადამწყვეტი როლი ენიჭება ჯგუფის კულტურულ ელიტას, მაგრამ მისი როლი გვესმის არა როგორც სრულიად ვოლუნტარისტული სოციალური ინჟინერია, არამედ ეთნოსიმბოლისტური აზრით, ანუ როგორც კულტურული ელიტის მიერ განხორციელებული ნაციონალური თვითგანსაზღვრა იმ კულტურის ჩარჩოებში, რომლის მატარებელია ის მოსახლეობა, რომელიც უნდა გარდაიქმნას ნაციად. ჩვენ ამ შემთხვევაშიც ვიზიარებთ ზემოთ უკვე არერთხელ დამოწმებული მეცნიერის ე. სმითის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ანუ ნაციონალიზმით მართული მოძრაობის არსი მდგომარეობს ინტელიგენციის მიერ ეთნიკური მემკვიდრეობიდან შერჩეული მასალის რეინტერპრეტაციაში.[9]

ნაციონალიზმის უმთავრესს ინდიკატორს წარმოადგენს "ხალხის" კონცეპტუალიზაცია:

> ნაციონალიზმის სპეციფიკურობა წარმოდგება იმ ფაქტისაგან, რომ ნაციონალიზმი ინდივიდუალური იდენტობის წყაროდ მიიჩნევს ხალხს, რომელიც განიხილება, როგორც სუვერენობის წყარო, ლოიალობის უმთავრესი ობიექტი და კოლექტიური სოლიდარობის საფუძველი.[10]

"ხალხი" ყოველგვარი ხელისუფლების წყარო და ლეგიტიმაციის ბაზისი ხდება, იგი იწყებს საკუთარი თავის თაყვანცემას. ფაქტობრივად ხალხი იკავებს ადგილს, რომელიც წინა მოდერნის ეპოქის ქრისტიანულ ევროპაში ეჭირა კურთხეულ მონარქს. აი, როგორ მსჯელობენ ამ საკითხზე ზ. ანდრონიკაშვილი და გ. მაისურაძე:

---

[8] ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი–მალენი). თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, 2004, გვ. 22.

[9] ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი–მალენი). თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, 2004, გვ. 44.

[10] L. Greenfeld. Nationalism. Five Roads to Modernity. Cambridge – Massachusetts – London, Harvard University Press, 1992 (Paperback Edition – 1993), p. 4.

> კოლექტიური იდენტობა ქრისტიანულ სამყაროში ეფუძნება ორ ძირითად პოსტულატს: ქრისტიანი ხალხის ევქარისტულ ერთობას, რომლის განხორციელებას წარმოადგენს ეკლესია, და ეკლესიის ლოიალობას კურთხეული მონარქისადმი – მეფის უხრწნელ სხეულს მისი სამეფო წარმოადგენს.[11]

განმანათლებლობამ ეს უკანასკნელი ვითარება ძირეულად შეცვალა. *სუვერენული ხალხის* კონცეპტი საზოგადოებრივ პერცეფციებში იკავებს მონარქის, როგორც ერთადერთი ლეგიტიმური მმართველის, ადგილს. ნაციონალიზმის, როგორც განმანათლებლობის პროექტის ნაწილის, გააზრების აუცილებლობას აჩვენებს მისი კავშირიც საგანმანათლებლო ქსელების ჩამოყალიბებასთან, მასობრივი მედია-საშუალებების გავრცელებასთან, საჯარო სივრცეების გაფართოებასთან.[12]

მეტიც, სპეციალისტები მიუთითებენ და, ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანადაც იმას, რომ ნაციონალიზმი თავდაპირველად მოვიდა როგორც დემოკრატიის ფორმა:

> სუვერენობის დაკავშირება ხალხის წიაღთან და აღიარება სხვადასხვა ფენის ფუნდამენტური თანასწორობისა, რაც მოდერნის ეპოქის ნაციონალური იდეის არსებას წარმოადგენს, ამავე დროს დემოკრატიის ბაზისური პრინციპია. დემოკრატია დაიბადა ნაციონალურ თვითცნობიერებასთან ერთად. ეს ორი არსებითად ურთიერთდაკავშირებულია და არცერთის გაგება არ შეიძლება ამ კავშირის მიღმა ... თავიდან ნაციონალიზმი ვითარდებოდა როგორც დემოკრატია. და სადაც თავდაპირველი განვითარების პირობები ერთნაირია, ამ ორის იგივურობაც შენარჩუნებულია.[13]

---

[11] Z. Andronikashvili, G. Maisuradze. Secularization and Its Vicissitudes in Georgia. Identity Studies. Tbilisi, Ilia State University, 2010, # 2, p. 6.

[12] გ. თევზაძე საინტერესო ნიუანსებით და დასაბუთებით ამდიდრებს დებულებას განმანათლებლობის პროექტთან ნაციონალური იდენტობის წარმოქმნის ფაქტის კავშირის შესახებ. იხ. მისი სტატიები *რა არის დიდი იდენტობა* და *რა არის განმანათლებლობა* ჟურნალ *სოლიდარობის* ინტერნეტ-ვერსიაში.

[13] L. Greenfeld. Nationalism. Five Roads to Modernity. Cambridge – Massachusetts – London, Harvard University Press, 1992 (Paperback Edition – 1993), p. 10.

მოყვანილი ზოგადი მსჯელობა საშუალებას გვაძლევს ჩვენი საკვლევი ამოცანა, რომელიც ქართული ნაციონალიზმის საწყის ეტაპს შეეხება, წარმოვადგინოთ ანალიზისათვის უფრო მოსახელთებელ საკითხად. კერძოდ, მას შეიძლება მივცეთ შემდეგი კითხვის სახე: ქართულ სინამდვილეში როდის ჩნდება ისტორიის არენაზე ხალხი, როგორც დამოუკიდებელი აქტორი?

ეს კითხვა, არსებითად იგივეა რაც საკითხი იმის თაობაზე, თუ როდიდან დასტურდება ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში განმანათლებლური იდეების გავრცელება.

ორივე ფორმით შეკითხვა უკავშირდება "ხალხს", მისი ახალი რეალური როლის გამოკვეთას და ამ როლის დაფიქსირებას საზოგადოებრივ ცნობიერებაში. როგორც ითქვა, ესაა ნაციონალიზმის თავდაპირველი და არსებითი მნიშვნელობა.

მაგრამ ვიდრე ვუპასუხებდეთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვათ, თუ რას წარმოადგენდა ქართული ერთობა, როცა მსოფლიო ისტორიული პროცესის ახალი წარმართველი ძალა – ნაციონალიზმი – გაჩნდა. ეს იმისათვის გვჭირდება, რომ ვიცოდეთ, თუ რა ეთნიკური მემკვიდრეობის პატრონი იყო მოსახლეობა, რომლის ნაციად გარდაქმნასაც შეეცადა ჯგუფის კულტურული ელიტა.

წინა მოდერნის ხანაში არსებობდა ქართული ეთნიკური ერთობა ძალიან განვითარებული კულტურით და ჯგუფური სოლიდაროზის გამოკვეთილი გრძნობით. ამ კულტურას დიდი ხნის განმავლობაში მეურვეობას უწევდნენ ერთიანი სახელმწიფოებრივი ინსტიტუციები: ქართველებს ჰქონდათ გამოკვეთილი ისტორიული მეხსიერება დაფიქსირებული უაღრესად მაღალხარისხოვან ისტორიოგრაფიულ ძეგლებში; ენობრივი და რელიგიური იდენტობა, მიჯაჭვულობის გრძნობა გარკვეული ტერიტორიისადმი, რომლის ძირითადი ბირთვის უცვლელად დანარჩუნება საუკუნეების განმავლობაში ხერხდებოდა; ჰქონდათ რჩეულობის მითი, საერთო წინაპრიდან წარმომავლობის კარგად დამუშავებული კონცეფცია და გარკვეული პერიოდიდან "ოქროს ხანის" კონცეპტიც, როგორც მაკონსოლიდებელი იდეა. ეს ყველაფერი იმდენად მძლავრი და გამოკვეთილი იყო, რომ პოლიტიკური ფრაგმენტაცია კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე აღმოცენებულ ეთნიკურ ერთიანობას ზიანს თითქმის ვერ აყენებდა. მეთვრამეტე საუკუნის პოლიტიკურ დოკუმენტებში ქართველთა პოლიტიკური

ერთობის საწინდრად დასახელებულია ყველა უმთავრესი ეთნიკური მარკერი, როგორიცაა საერთო წარმომავლობა ანუ ქართლოსიანობა, საერთო ენა, საერთო რელიგია.

პოლიტიკურ დეზინტეგრაციას რომ ქართული ეთნიკური ერთობის (ეთნიეს) დესტრუქცია არ გამოუწვევია, ეს კარგად ჩანს არაერთი ფაქტით და, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ კი, მეთვრამეტე შექმნილი ერთი დოკუმენტით, რომელიც ხშირად არის სპეციალურ ლიტერატურაში დამოწმებული სწორედ შესაბამისი ეპოქის საზოგადოებრივი პერცეფციების შესახებ წარმოდგენის შექმნის მიზნით. ესაა საქართველოს ტერიტორიაზე ამ დროს არსებულ პოლიტიკურ გაერთიანებათა – სამეფო-სამთავროებს შორის 1790 წელს დადებული ხელშეკრულება ურთიერთთავდაუსხმელობისა და საგარეო საფრთხის შემთხვევაში სოლიდარობის შესახებ: *ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, საზოგადოებისათვის შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეუფოსა ქალაქსა თფილისს* 1790 *წელს.*[14]

აქ ვკითხულობთ შემდეგს:

> ვინაითგან ყოველთა ივერიელთა, მსახლოელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა, აქვსთ ერთმორწმუნეობა, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხებლობითცა სიყვარული, ვითარაცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ, ზემოხსენებულთა ქუეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი აღუვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა.[15]

[14] სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად შეხვდებით ამ დოკუმენტის განმარტებას. იხ. მაგალითად, ს. ჯანაშია. ქართველი ერის წარმოშობის შესახებ. შრომები, 6. თბილისი, მეცნიერება, 1988, გვ. 187. შდრ. დ. მუსხელიშვილი. ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია (რედ. გ. პაიჭაძე). თბილისი, მეცნიერება, 1993, გვ. 374; აგრეთვე, რ. თოფჩიშვილი. ქართველი ერის ეთნიკური განვითარება (მოკლე ისტორიული მიმოხილვა). ქართველი ხალხის ეთნოგენეზი (რედ. დ. მუსხელიშვილი). თბილისი, მემატიანე, 2002, გვ.146-147.

[15] იხ. ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, 2. თბილისი, მეცნიერება, 1965, გვ. 501.

როგორც ვხედავთ, ესაა პოლიტიკური დოკუმენტი, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ამ პოლიტიკური ხელშეკრულების საფუძვლად და ფაქტობრივად მის ლეგიტიმაციად დასახელებულია ყველა ამ ერთეულის საერთო იდენტობა, კერძოდ, კი ჩამოთვლილია კონკრეტული ეთნიკური მარკერები, საერთო წარმომავლობა, რელიგია, ენა, ისტორია.

საერთო წარმომავლობა – ქართლოსიანობა – ხაზგასმულია 1802 წლით დათარიღებულ დავით ბატონიშვილის წერილშიც იმერეთში გადახვეწილი იულონ ბატონიშვილისადმი: 'უმოწყალეო მეფის ძეო, იულონ, ჩემო მოწყალეო ხელმწიფევ, ამჟამად ოდეს წავიკითხე განცხადებაი ესე ერთადმი ქართლოსიანთა ...'.[16]

ამგვარად, ქართული ერთობის წევრები საერთო ეთნიკური წარმომავლობის მძაფრი განცდით შეხვდნენ იმ ეპოქას, როცა ისტორიის არენაზე ნაციონალიზმი გამოვიდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ქართული ნაციონალიზმის ერთ-ერთი წყარო და, აგრეთვე, შემადგენელი კომპონენტიც იყო ეთნიკური მემკვიდრეობა, უპირველეს ყოვლისა, ფაქტებით უჩვეულოდ მდიდარი ეთნიკური ისტორია.

პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოსათვის ძალიან მძიმე იყო მეჩვიდმეტე საუკუნე, რომელიც მოსდევდა ასევე უაღრესად მძიმე მეთექვსმეტე საუკუნეს. ზოგი მკვლევარი კულტურის თვალსაზრისით მეჩვიდმეტე საუკუნეში ერთგვარ რენესანსაც კი ხედავს და ქართული კულტურის "ვერცხლის ხანად" განიხილავს მას.

მძიმე პოლიტიკური ვითარება, პერმანენტული შემოსევები გაგრძელდა მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარშიც. მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ერთგვარი შვება და ამის შედეგად აღორძინება ჰპოვა საქართველომ. ეს უკავშირდებოდა ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილის პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელსაც მეფეები მამა-შვილი თეიმურაზ მეორე და ერეკლე მეორე ჩაუდგნენ სათავეში.

ამ მეფეების, განსაკუთრებით, ერეკლე მეორეს დროს ადგილი ჰქონდა ქვეყნის მოდერნიზაციისაკენ მიმართულ რეფორმებს. ეს რეფორმები გარკვეულად ჰგავდა პეტრე პირველის და ეკატერინე მეორის დროინდელ რუსეთში მიმდინარე გარდაქმნებს ანუ

[16] ს. კაკაბაძე. ქართველი ხალხის ისტორია. 1783–1921. თბილისი, ნეკერი, 2003, გვ. 62.

განათლებული აბსოლუტიზმის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული.[17]

ერეკლე მეორე დაბეჯითებით ეძიებდა მოკავშირეებს დასავლეთ ევროპაში, მაგრამ დასავლეთის დაინტერესება ქართული საკითხით მან ვერ შეძლო. აშკარად ამ მარცხის საკომპენსაციოდ ერეკლემ 1783 წელს გააფორმა ხელშეკრულება რუსეთთან – გეორგიევსკის ტრაქტატი, რომელიც, როგორც ცნობილია, რუსეთის მიერ ერეკლეს სახელმწიფოს სამხედრო დაცვას გულისხმობდა.

თუ გავითვალისწინებთ იმ კურსს, რომელსაც წარმართავდა ერეკლე ქვეყნის მოდერნიზაციის კუთხით, ქართველ მეფეს რუსეთის არა მარტო სამხედრო ძლიერება იზიდავდა. ერეკლეს აშკარად სურდა ქვეყანა მოექცია განმანათლებლური პროექტის მოქმედების ორბიტაში. რადგან ამის მოხერხება მან განმანათლებლობის უშუალო სამშობლოსთან – დასავლეთ ევროპასთან – ურთიერთობის გზით ვერ შეძლო, ერეკლე რუსეთის საშუალებით შეეცადა მიზნის მიღწევას. მეთვრამეტე საუკუნეში საქართველოს განვითარება აშკარად იყო მოდერნიზაციის ნიშნით აღბეჭდილი. რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულება, გარკვეული აზრით, ამ განვითარების გზაზე, შესაბამისად, ნაციის ქმნადობის გზაზე, გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. ამ ხელშეკრულებით ჩანს ქართული ერთობის სწრაფვა გარკვეულ სუვერენულ უფლებებზე უარის თქმის სანაცვლოდ დაინარჩუნოს უმთავრესი იდენტობრივი მარკერები და შემდგომაც განავითაროს ისინი.

მაგრამ ქართველი მეფის იმედები ხელშეკრულებამ ვერანაირი თვალსაზრისით ვერ გაამართლა. სამოკავშირეო ხელშეკრულება დადებული იყო საერთაშორისო სამართლის ორ თანაბარუფლებიან სუბიექტს შორის. იგი საქართველოს შინაგან საქმეებში ჩარევას არ გულისხმობდა, პირიქით, მისი პოლიტიკური მოწყობის შენარჩუნების გარანტიად განიხილებოდა. იგი ცნობდა საქართველოს ტახტზე ბაგრატიონთა დინასტიის ლეგიტიმურობას და მისი დაცვის ვალდებულებას იღებდა. მაგრამ რუსეთის მმართველ წრეებში

[17] ა. თაბუაშვილი. ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბილისი, უნივერსალი, 2010, გვ. 25 და შემდგომ; L. Greenfeld. Nationalism. Five Roads to Modernity. Cambridge – Massachusetts – London, Harvard University Press, 1992 (Paperback Edition – 1993), pp.191-204.

მომწიფდა საქართველოს უშუალო შეერთების გეგმა. ჯერ კიდევ 1800 წლის 18 დეკემბერს იმპერატორმა პავლე პირველმა ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ. ეს დოკუმენტი საიდუმლოდ იქნა გადმოგზავნილი საქართველოში რუსეთის წარმომადგენელ გენერალ კნორინგისათვის. მანიფესტის ხელმოწერიდან ათი დღის შემდგომ მეფე გიორგი ერეკლეს ძე გარდაიცვალა. იმპერატორის ბრძანების გამოსვლამდე ქართლ-კახეთის ტახტის დაკავების ნებას რუსები არავის არ აძლევდნენ. დავით გიორგის ძე, მიუხედავად მის მომხრეთა დაჟინებული თხოვნისა, ვერ ბედავდა ტახტის დაკავებას და ელოდებოდა იმპერატორის ბრძანებას მისი მეფედ დამტკიცების შესახებ. 1801 წლის 16 თებერვალს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში წაკითხულ იქნა პავლე პირველის მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ. ბატონიშვილები საქართველოდან გაიწვიეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მანიფესტში ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის და მასზე ბაგრატიონთა საგვარეულოს ლეგიტიმური უფლების შესახებ არაფერი იყო ნათქვამი, საქართველოში არ კარგავდნენ იმპერიის შიგნით ავტონომიის შენარჩუნების იმედს და დავით ბატონიშვილი კვლავ ელოდებოდა იმპერატორისაგან მეფედ დამტკიცებას, მაგრამ ამაოდ. პავლე პირველის მკვლელობის შემდგომ ქართლ-კახეთის ბედის საბოლოო გადაწყვეტა წილად ხვდა მომდევნო იმპერატორს ალექსანდრე პირველს, რომელმაც ეს საკითხი ხელისუფლებაში მოსვლის უმალ დასვა სახელმწიფო საბჭოში განსახილველად. თავად იმპერატორი ყოყმანობდა, ევროპის წინაშე ეჩოთირებოდა უძველესი სამეფო დინასტიისათვის იმ უფლებების წართმევა, რისი დაცვის გარანტად თავად რუსეთი გამოვიდა 1783 წლის ტრაქტატით. თუმც სახელმწიფო საბჭომ შეძლო იმპერატორის დარწმუნება. შედეგად 1801 წლის 12 სექტემბერს პეტერბურგში გამოქვეყნდა მანიფესტი აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ. 1802 წლის აპრილში გენერალი კნორინგი რუსი მოხელეების თანხლებით, რომელთაც მოჰქონდათ ვახტანგ მეექვსის მიერ რუსეთში გატანილი წმ. ნინოს ჯვარი, თბილისში საზეიმოდ შემოვიდა. სიონის ტაძარში ამჯერად ალექსანდრე პირველის მანიფესტი წაიკითხეს. ასე გაუქმდა ქართული

სახელმწიფო და უუფლებოდ დარჩა მმართველი სამეფო ოჯახი. საქართველო შევიდა რუსეთის უშუალო დაქვემდებარებაში.[18]

ეს არ იყო რიგითი პოლიტიკური აქტი. ქართული იდენტობა ბაგრატიონთა დინასტიასთან მჭიდროდ იყო ასოცირებული. ამ დინასტიას ეთნიკური მარკერის მნიშვნელობა ჰქონდა. მისი მოშლა ქართველთა მიერ აღქმულ იქნა, როგორც ნამდვილი კატასტროფა[19] და არსებითად, როგორც ქართული იდენტობის საფუძვლის მოშლა. ეს ნაწილობრივ განპირობებული იყო საქართველოს ისტორიული განვითარების სპეციფიკით, კერძოდ, იმით, რომ ბაგრატიონთა დინასტიის მეფეები ქართველთა სახელმწიფოს სათავეში იყვნენ უპრეცენდენტოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში: ისინი თავს უფლის შთამომავლებად სახავდნენ და ქართული ერთიანობის საკრალურ საფუძველს წარმოადგენდნენ. მაშასადამე ქართული იდენტობის ამ მარკერის მოშლა ანუ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის გაუქმება ნიშნავდა ქართული ერთობის ლოიალობის უმთავრესი ობიექტის გაქრობას, რაც თავად იდენტობის მოსპობის წინაპირობად შეიძლება ქცეულიყო. ამიტომ, როგორც ითქვა, აღნიშნულმა ფაქტმა ქართული ერთობის წევრებზე მოახდინა წარმოუდგენლად დიდი შთაბეჭდილება. ეს ტრამვა იქცა პირველი ნაციონალისტური გამოსვლების მაპროვოცირებელ ფაქტად.

საქართველოში საერთო მიზნის გარშემო მთელი ერთობის კონსოლიდაცია და ხალხის ისტორიის სუბიექტად ქცევა ანუ ნაციონალიზმი ევროპულისაგან განსხვავებულად იდგამს ფეხს. პარადიგმული ნაციების წარმოშობის ქვეყნებში – ინგლისსა და საფრანგეთში – ხალხმა თვითდამკვიდრება მეფესთან დაპირისპირებით

[18] ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ ისტორიული ექსკურსის ძირითად წყაროს ჩვენთვის წარმოადგენს: ა. ბენდიანიშვილი. ეროვნული საკითხი საქართველოში. 1801–1921. თბილისი, მეცნიერება, 1980, გვ. 11-30. იხ. აგრეთვე, ს. კაკაბაძე. ქართველი ხალხის ისტორია. 1783–1921. თბილისი: ნეკერი, 2003, გვ. 59-65.

[19] აღნიშნული კატასტროფის აღსაწერად ზ. ანდრომიკაშვილი და გ. მაისურაძე იყენებენ ფსიქოანალიზის ტერმინს "ფიქსირება ტრამვაზე", მიიჩნევენ რა, რომ ქართული ერთობის პერცეფციები დიდი ხნის მანძილზე სწორედ ამ ფაქტით განისაზღვრა (Z. Andronikashvili, G. Maisuradze. Secularization and Its Vicissitudes in Georgia. Identity Studies. Tbilisi, Ilia State University, 2010, # 2, p. 7).

და მისი მკვლელობით ("რიტუალური მსხვერპლშეწირვით") დაიწყო. საქართველოში ხალხს მეფე არ მოუკლავს. პირიქით, ხალხმა მეფობის აღსადგენი ლოზუნგით განაცხადა თავისი თავი. მხედველობაში გვაქვს სახალხო აჯანყებები, რომლებიც მოჰყვა უშუალო რუსული მმართველობის დამყარებას საქართველოში. პირველი ასეთი გამოსვლა დასტურდება კახეთში 1802 წელს:

> მღელვარების პირველი კერები ქიზიყში გაჩნდა. თავადაზნაურობა და გლეხობა (ერთი ცნობით 40 ათასი კაცი) 1802 წ. 25 ივლისს შეიკრიბა კელმენჩურს და გამართა სჯა-ბაასი ქვეყნის მდგომარეობაზე ... ამ შეკრების დასაშლელად ჯარის ნაწილები გაიგზავნა, მაგრამ იგი შეთქმულებმა უკანვე გააქციეს. თავადაზნაურობამ და გლეხობის საგრძნობმა ნაწილმა ფიცი დასდო იულონის ერთგულებაზე, თან შიგნით კახეთის მოსახლეობას მოუწოდა გამოსვლისაკენ.[20]

ამ მიმართვას მთელი კახეთი გამოეხმაურა. მოძრაობის მეთაურებმა იმპერატორის სახელზე თხოვნა შეადგინეს, რომელშიც მეფობის აღდგენას მოითხოვდნენ და უმეფობას ანუ "ფრანციელთ მსგავს რესპუბლიკაობას" უარყოფდნენ. მართალია, უარყოფენ, მაგრამ ძალიან საინტერესოა, რომ იცნობენ და "რესპუბლიკაობა" მათი ფიქრის საგანი გამხდარა.

ქართული მონარქიის აღდგენის სურვილი ამ გამოსვლას წინა მოდერნის, წინარე ნაციონალიზმის ეპოქასთან აკავშირებს, მაგრამ სახალხო ხასიათი, ფართო სოციალური სოლიდაროზა საფუძველს იძლევა ეს გამოსვლა ნაციონალისტურად მივიჩნიოთ და საქართველოში ნაციონალიზმის ისტორიის დრო სწორედ მისი მეშვეობით ჩავრთოთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს და მომდევნო გამოსვლები უკვე კარგა ხანია კვალიფიცირებულია ეროვნულ გამოსვლებად. მაგრამ არსებული დისკურსის ანალიზი აჩვენებს, რომ "ეროვნული" არ უდრის "ნაციონალისტურს". საბჭოთა პერიოდში "ეროვნულ ბრძოლას" სპეციალისტები განიხილავდნენ, როგორც მოძრაობას უცხოთა წინააღმდეგ თვითობის შენარჩუნებისათვის. ნაციონალისტური მოძრაობის არსი უფრო მრავლისმომცველია: იგი

[20] ა. ბენდიანიშვილი. ეროვნული საკითხი საქართველოში. 1801–1921. თბილისი, მეცნიერება, 1980, გვ. 32.

უპირველესად ყოვლისა, გულისხმობს შიდა სოციალურ ჰომოგენიზაციას: ჯერ ხალხის მიერ წამყვანი პოზიციის მოპოვებას, საბოლოო ჯამში კი მთელი ერთობის ხალხად ანუ თანასწორუფლებიან წევრთა (მოქალაქეთა) ჩვენ-ჯგუფად ქცევას. ამ ფაქტის გაცნობიერებით არის გაკეთებული, ჩვენი აზრით, ი. ჩხაიძის შემდეგი შენიშვნა:

> უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული მოძრაობა იმ გაგებით, რომლითაც ის ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოიყენება, ნაციონალიზმის მნიშვნელოვან, თუმცა მაინც ერთ-ერთ მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ.[21]

კახეთის 1802 წლის აჯანყების ჩაქრობის შემდგომ რუსეთის მთავრობის უმთავრესი საზრუნავი საქართველოში გახდა ბატონიშვილების გასახლება. ეს რეაქცია რუსეთის მთავრობის მხრიდან კარგად აჩვენებს, რომ ბაგრატიონთა იჯახის წარმომადგენელი მეფე ქართული ერთობის კვლავ უმთავრეს იდენტობრივ მარკერად რჩებოდა.

იგივეს ნათელი დასტურია 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაც. ეს აჯანყებაც საკმაოდ მასობრივი და ნამდვილად სახალხო იყო. მიუხედავად ამისა, აჯანყებულებმა ხელმძღვანელებად ბატონიშვილები (იულონი და ფარნაოზი) მიიწვიეს.

1804 წლის მთიულეთის აჯანყება უკვე მთლიანად ხალხის ინიციატივას წარმოადგენდა. ქართველი ბატონიშვილების მოწვევა აჯანყების სახელმძღვანელოდ მიუთითებს, რომ კვლავ პოლიტიკური მიზნები ჰქონდა ამ აჯანყებას.

1812–1813 წლების კახეთის აჯანყება კიდევ უფრო მასობრივი და ორგანიზებული იყო. ისიც არსებითად პოლიტიკური რევანშის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული: აჯანყებულებს თვითობის დაცვა ქართული მონარქიის აღდგენით ესახებოდათ შესაძლებლად. ეს კარგად ჩანს იმ ფაქტით, რომ აჯანყებულებმა მეთაურად და საქართველოს მეფედ ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე გამოაცხადეს.

ამგვარად, ერთი მხრივ, ეს გამოსვლები იყო სახალხო, მეორე მხრივ, მონარქსტული. მონარქია, როგორც სახელმწიფოებრივი მოწყობის

---

[21] ი. ჩხაიძე. ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი ("თერგდალეულები"). თბილისი, ახალი აზრი, 2009, გვ. 62.

ფორმა, არსებითად შეუთავსებელია განმანათლებლურ პროექტთან და, შესაბამისად, ნაციონალიზმის თავდაპირველ იდეასთან. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, სწორედ ამ მოძრაობებში იშვა ქართული ნაციონალიზმი. მართალია, გარეშეთა წინააღდეგ ბრძოლა სამეფო ოჯახის სასარგებლოდ უნდა წარმართულიყო, როგორც ეს ხდებოდა ყოველთვის ადრე. მაგრამ იყო უზარმაზარი სხვაობა წარსულში ქართული სამეფო ოჯახის წევრების წინამძღოლობასა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის სახალხო მოძრაობებში ბატონიშვილთა მონაწილეობას შორის. ახლა ინიციატივა ხალხის იყო. ხალხი ითხოვდა ბატონიშვილებისაგან გარკვეული ნაბიჯების გადადგმას. ამ აჯანყებების მასობრივი ხასიათი, ჩვენი აზრით, აჩვენებს ნაციონალიზმის უპირველესი სიმპტომის "ხალხის" კონცეპტუალიზაციის დასაწყისს ქართულ რეალობაში. თუმც ის ფაქტი, რომ ეს ხალხი საკუთარ სუვერენობას ვერ აცნობიერებდა და, შესაბამისად, ვერც აფასებდა და წინამძღოლობისათვის მაინც ბატონიშვილებს უხმობდა, მიუთითებს ახალშობილი ქართული ნაციონალიზმის უმწიფრობას და წინა მოდერნის ეპოქასთან მისი დამაკავშირებელი ჭიპლარის გაუწყვეტელობას. ეს უმწიფარი ქართული ნაციონალიზმი თავისი არსით იყო პოლიტიკური ნაციონალიზმი.

საუკუნის დასაწყისის სახალხო აჯანყებების მარცხმა ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტა (ეს ორი მნიშვნელოვნად ემთხვეოდა ერთმანეთს) ორ რამეზე დააფიქრა: პირველ რიგში, მისთვის ცხადი გახდა, რომ სპონტანური გამოსვლები შედეგის მომტანი ვერ იქნებოდა, საჭირო იყო წინა-მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, უპირველეს ყოვლისა, თავად ელიტის დარაზმვა გარკვეული პროგრამის გარშემო. განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზნებისა და ტაქტიკის გამოკვეთა და ხალხის წარმართვა სწორედ ამ პროგრამის და წინასწარ დასახული საბრძოლო ტაქტიკის მიხედვით.

ამგვარად დაიწყო სამზადისი იმ პოლიტიკური ქმედებისათვის, რომელიც 1832 წლის შეთქმულების სახელწოდებით არის სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი.

ქართული კულტურული ელიტა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში თითქმის მთლიანად თავადაზნაურული კლასით იყო წარმოდგენილი. მოძრაობაში ქართველი ბატონიშვილებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი. თავიდან მუშაობა ატარებდა საგანმანათლებლო ხასიათს თავად ელიტაში.

ჩვენ მცირე ცნობები გვაქვს რეალურად რა სამხედრო ძალას ფლობდნენ შეთქმულნი. როგორც ცნობილია, შეთქმულება გამოსვლამდე რამდენიმე ხნით ადრე ერთ-ერთმა მონაწილემ გასცა. ამიტომ ჩვენ ამ შეთქმულების შესახებ დაკითხვის ოქმებით ვმსჯელობთ მხოლოდ. მკვლევრები ფიქრობენ, რომ ჩვენებებში შეთქმულნი თავიანთ შესაძლებლობებს ნაკლებად საშიშად ხატავდნენ, იმისათვის რათა სასჯელი შეემსუბუქებინათ. შეთქმულთა მიზანი იყო პოლიტიკური ვითარების შეცვლა სამხედრო გზით, საქართველოს რუსეთისაგან განთავისუფლება ან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოქცევა კვლავ გეორგიევსკის ტრაქტატით დადგენილ სამართლებრივ ჩარჩოებში. ძალიან საინტერესოა, თუ როგორ წარმოედგინათ შეთქმულებს მათი გამოსვლის შედეგი ანუ საქართველოს პოლიტიკური მოწყობა გამარჯვების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ შეთქმულთა შორის საკმაოდ იყვნენ გაუქმებული სამეფოს ტახტის მემკვიდრეები, აბსოლუტური მონარქიის დაბრუნებას შეთქმულნი არ ფიქრობდნენ. მათი უმრავლესობა აშკარად კონსტიტუციურ მონარქიას უჭერდა მხარს. თუმც იყვნენ ისეთებიც, რომლებიც საქართველოს მომავალს სახალხო მმართველობაში ხედავდნენ, აიდეალებდნენ ძველი ნოვგოროდის ვეჩეს და ქვეყნის რესპუბლიკურ მოწყობას უჭერდნენ მხარს. განმანათლებელთა იდეებით გამსჭვალულნი საფრანგეთის მსგავს მმართველობას განიხილავდნენ. სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ შეთქმულებაში

> პოლიტიკური წყობილების ფორმის მხრივ რამდენიმე მიმართულება არსებობდა. ერთი ნაწილი, რომლის აზრს გამოხატავდა ფილ. კიკნაძე (სწავლა მამულის ერთგულებისათვის), განათლებული მონარქიის, ე.წ. კონსტიტუციურ-მონარქიული წყობილების მომხრე ყოფილა, ხოლო მეორე ნაწილი, სჩანს, რესპუბლიკელობისაკენ იხრებოდა.[22]

[22] პ. ინგოროყვას თვალსაზრისს ვიმოწმებთ ნ. პაპავას ნაშრომის 1832 *წლის შეთქმულების ისტორიოგრაფია* მიხედვით,იხ. კრებული: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, 7. თბილისი, მემატიანე, 2004, გვ. 54. შეთქმულების განმანათლებლურ პროექტთან კავშირის მაჩვენებელი ფაქტობრივი მასალისათვის დამატებით იხ. ე. ორჯონიკიძე. 1832 *წლის შეთქმულთა საზოგადოების ეროვნულ-პოლიტიკური პროგრამა*, იქვე, გვ. 11-37.

პოლიტიკურ მმართველობაში რესპუბლიკის ფორმის არჩევა არის განმანათლებლური პროექტის ნაწილი, რადგან რესპუბლიკა თანასწორობის პრინციპს, მოქალაქეობას (ქვეშევრდომობის ნაცვლად) და საზოგადოებრივი ცხოვრების არენაზე ხალხის გამოყვანას გულისხმობს.

თუმც რეალური აგიტაცია მასაში შეთქმულებს არ უწარმოებიათ. მართალია, ეროვნული იდენტობის განსაზღვრა, ისეთი მარკერების გამოკვეთა, როგორიცაა ენა, ისტორია, საკუთარი პოლიტიკური მმართველობა, წეს-ჩვეულებებები მათი ყურადღების ცენტრში იყო, მაგრამ შეთქმულებმა არათუ ვერ მოახრეხეს ამ იდეალებით ხალხის გამსჭვალვა და მისი ამოძრავება, ნაციონალიზმის იდეებით ხალხის დარაზმვა არც კი უფიქრიათ. შეთქმულებაში ფართო მასების ჩართვას ფიქრობდნენ ცარიზმიდან მომავალი უშუალო სამხედრო თავდასხმის საფრთხის შესახებ ცრუ განგაშით.

მიუხედავად ამისა, 1832 წლის შეთქმულება, აშკარად, სრულიად ახალი მოვლენა იყო ქართული საზოგადოებრივი აზროვნების და პოლიტიკური მოძრაობის ისტორიაში. აქ იყო საუბარი მონარქიისაგან განსახვავებულ პოლიტიკურ მოწყობაზე, იდენტობის უმთავრეს მარკერებზე, და ხალხის მონაწილეობაც მნიშვნელოვნად ითვლებოდა შეთქმულების წარმატებისათვის. სწორედ ამის გათვალისწინებით (და არა მარტო გარეშე ძალასთან დაპირისპირების გამო) პოლიტიკური რევანშის ეს მცდელობაც მეცხრამეტე საუკუნის პირველი ათწლეულების სახალხო გამოსვლების გაგრძელებად და მათთან ერთად ქართული ნაციონალიზმის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ.

გ. ნოდია მიუთითებს რა, რომ ქართველი ერის თანამედროვე იდეამ განვითარება მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო,[23] საგანგებოდ ჩერდება საკითხზე – შეიძლება თუ არა 1832 წლის შეთქმულება ჩაითვალოს ქართული ნაციონალიზმის დასაწყისად:

> შეიძლება დავა იმაზე, ხომ არ იქნება უფრო სამართლიანი ახალი დროის ქართული ნაციონალიზმის ისტორია დაგვეწყო 1832 წლიდან, როდესაც

[23] გ. ნოდია. ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი. ქართველი ერის დაბადება (ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, 2007). თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ.119.

> მოხდა შეთქმულება საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. ნიშანდობლივია, რომ ეს შეთქმულება ინსპირირებული იყო 1830 წლის საფრანგეთის რევოლუციით და 1830–31 წლების პოლონეთის აჯანყებით ... ამ აზრით, ის ნაციონალისტური აჯანყებების დასავლურ მოდელს მიჰყვებოდა, თუმცა ეს მცირემასშტაბიანი შეთქმულება განცალკევებულ ეპიზოდად დარჩა, რომელსაც არ დაუტოვებია კოჰერენტული იდეოლოგია და პოლიტიკური გაგრძელება არ ჰქონია. რაც მთავარია, აქ არ იყო *ერის მშენებლობის* მცდელობა. თავისი განწყობითა და ინსტიქტებით ის უფრო პრემოდერნული ქართული დინასტიის აღდგენაზე იყო მიმართული. ჯანყის ზოგადი შთაგონება შეიძლება მართლაც დასავლეთისაგან მოდიოდა, არ ჩანდა თვალნათლივი კავშირი ერისა და მოდერნიზაციის იდეებს შორის ანუ ის, რაც თანამედროვე ნაციონალიზმის ძირითადი საყრდენია.[24]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდაც სპეციალურ ლიტერატურაში ქართული ნაციონალიზმის დასაწყისად მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლები მიაჩნიათ.[25]

ამ თვალსაზრისებთან დათანხმება გაგვიჭირდება. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი ქართული ნაციის ფორმირების დროა და არა ქართული ნაციონალიზმის. მიუხედავად იმისა, რომ 1832 წლის შეთქმულება, მართლაც, არ იყო ქვეყნის მოდერნიზაციის პროცესით უშუალოდ ინსპირირებული მასობრივი მოძრაობა, ის აშკარად უკავშირდებოდა განმანათლებლურ პროექტს, როგორც სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმის თვალსაზრისით, ისე

---

[24] გ. ნოდია. ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი. ქართველი ერის დაბადება (ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, 2007). თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ.136, შენ. 11.

[25] ი. ჩხაიძე, მაგალითად, მიუთითებს: 'ნაციონალიზმის წარმოქმნას გარკვეული წინაპირობები სჭირდება, რომლებიც ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ყალიბდება, სწორედ იმ პერიოდში, როცა ასპარეზზე "თერგდალეულებად" წოდებული თაობა გამოდის' (ი. ჩხაიძე. ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი ("თერგდალეულები"). თბილისი, ახალი აზრი, 2009, გვ. 62). ზოგი მკვლევარი აზუსტებს, რომ ეს არის ხანა ქართული ნაციონალიზმის გაფორმებისა. იხ. ზ. შათირიშვილი. წინასიტყვაობა ბროშურისა ნიკო ნიკოლაძე *კრებულის* დანიშნულებაზე. თბილისი, ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010, გვ. 9.

გამოსვლის წარმატებისათვის ხალხის როლის მნიშვნელობის აღიარებით. მისი ინსპირაციის წყარო აშკარად ნაციონალისტური ევროპა იყო. წინა მოდერნის ეპოქის საქართველომ არ იცის რამდენადმე მსგავსი ტიპის გამოსვლა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ 1832 წლის შეთქმულებაც ქართული პოლიტიკური ნაციონალიზმის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ, თუმც ეს იყო აშკარად უმწიფარი ნაციონალიზმი. იგი წარმოადგენდა რეაქციას შევიწროებაზე. მისი მთავარი სისუსტე მდგომარეობდა არა იმაში, რომ შეთქმულებს არ ჰქონდათ საკმარისი სამხედრო ძალა დაპირისპირებოდნენ იმპერიას, არამედ იმაში, რომ ის, რისთვისაც უნდა დაპირისპირებოდნენ იმპერიას, ანუ ქართული ნაცია, მათთვის ჯერ კიდევ სავსებით ცხადი არ იყო რას წარმოადგენდა.

მაგრამ შეცდომა იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქართული ნაციის იდეაზე წარმოდგენა შეთქმულებს საერთოდ არ ჰქონდათ: მდიდარი ეთნიკური წარსული, საუკუნის დასაწყისის სახალხო მოძრაობები და განმანათლებლობის ევროპული გამოცდილება შეთქმულთა წინაშე სახავდა თუ დეტალურ სურათს არა, ქართული ნაციონალური იდეის ნაწილობრივ შეფერადებულ კონტურს მაინც. რუსეთის მიერ ქართული ეთნიკური იდენტობის ერთ-ერთი მთავარი საყრდენის – ბაგრატიონთა დინასტიის – მოშლამ მაპროვოცირებელი ფაქტორის როლი ითამაშა ამ იდეის კრისტალიზაციაში.

ამგვარად, ქართული ნაციონალიზმი დაიწყო პოლიტიკური ნაციონალიზმით. სწორედ მის საფუძველზე აღმოცენდა მოგვიანებით ქართველი სამოციანელების კულტურული ნაციონალიზმი.

1832 წლის შეთქმულება ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, როგორც გაკვეთილი. ამ გაკვეთილმა ქართულ ელიტას (პოლიტიკური და კულტურული ელიტა, როგორც ითქვა, მნიშვნელოვანწილად ერთმანეთს ემთხვეოდა) გააცნობიერებინა, რომ მყისიერი პოლიტიკური რევანში შეუძლებელია იმ ვითარებაში, როცა რუსეთის ალტერნატივა (არც კულტურულად, არც პოლიტიკურად) არ ჰქონდათ.

შეთქმულნი მართალია, მიხვდნენ, რომ ტრადიციული ქართული მონარქია აღარ გამოდგებოდა ლოიალობის წყაროდ, მაგრამ ლოიალობის ახალი საფუძვლის ე.ი. "ხალხის" რეალური შინაარსი პირველი თაობის ქართველი ნაციონალისტებისათვის არ იყო ბოლომდე ნათელი. საზოგადოება კვლავ წოდებრივად იყო

დაყოფილი. ბატონყომობის არსებობა არ იძლეოდა ჰომოგენური ერთობის შექმნის საშუალებას, მწვავედ იდგა სხვადასხვა ტიპის სოციალური მარგინალების პრობლემა. არც ბურჟუაზიას ჰქონდა თავისი ადგილი, როგორც ხალხის შემადგენელ ნაწილს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესში მეტწილად ეთნიკურად არაქართველი ქართული ბურჟუაზიის წარმართველ როლზე საუბარი საერთოდაც არ შეიძლებოდა.

1832 წლის შეთქმულების მარცხმა ქართულ კულტურულ ელიტას დაანახვა საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციისათვის მოძრაობის დაწყების აუცილებლობა. ისიც, რომ ეს უნდა ყოფილიყო არა ხანმოკლე, არამედ ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაო. ელიტური აქტივობა უნდა გადაზდრილიყო მასობრივ მოძრაობაში.

ხშირად, როცა საუბრობენ ნაციონალიზმის იდეოლოგიით ინსპირირებულ მოძრაობებზე, მოდელად იყენებენ ჩეხი მეცნიერის მ. ჰროჩის სქემას, რომლის მიხედვით ნაციონალიზმი, ვიდრე ის გადაიქცეოდეს მასობრივ პოლიტიკურ მოძრაობად, გადის განვითარების კულტურულ ფაზას:

> მიროსლავ ჰროშის მოდელის მიხედვით, ნაციონალიზმი, ჩამოყალიბების პროცესში, შემდეგ ეტაპებს გადის: პირველი (A), არის კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებისაკენ სწრაფვა, რაც მოიცავს ენის რეფორმას, ეროვნული ისტორიის აქტივაციას და მისი როლის გაძლიერებას; მეორე (B) – "პატრიოტების" ჯგუფის მიერ შექმნილი ეროვნული იდეის საგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების) და პრესის საშუალებით ხალხამდე მიტანა და მესამე (C) საზოგადოების საყოველთაო მობილიზაცია. ემპირიული მასალის განხილვისას გამოჩნდება, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებული მოძრაობა, შესაძლოა გარკვეული თავისებურებებით, მაგრამ მაინც მკაფიოდ თავსდება წარმოდგენილ მოდელში.[26]

ჩვენც ვფიქრობთ, რომ ამ მოდელის პირველ და მეორე ფაზებს შეესაბამება ქართველი ნაციონალისტების მოღვაწეობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, მაგრამ ქართული ნაციონალიზმი

[26] ი. ჩხაიძე. ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი ("თერგდალეულები"). თბილისი, ახალი აზრი, 2009, გვ. 63-64.

ნაციონალიზმის კულტურული ფორმით არ იწყება. როგორც ვთქვით, ის იწყება, პოლიტიკური ფორმით.

ქართული შემთხვევა აჩვენებს, რომ კულტურული და პოლიტიკური ნაციონალიზმების ურთიერთმიმართების წარმოდგენა ყოველთვის მართებული არაა ჰროჩისეული სქემით. უფრო სწორი ჩანს ამ მიმართების ის დახასიათება, რომელსაც გვთავაზობენ ჯ. ჰათჩინსონი და ე. სმითი. მათ მიხედვით, ეს ფორმები კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე ენაცვლებიან ერთმანეთს: თუ პოლიტიკური ნაციონალიზმი "ბორძიკობს", კულტურულ ნაციონალიზმს შეუძლია გაჩენილი ბზარი ერთობის კოლექტიური კულტურული რესურსის განმტკიცებით ამოავსოს.[27]

თუმც, ეს მტკიცება ნაციის ჩამოყალიბებისათვის კულტურულ და პოლიტიკურ ნაციონალიზმებს შორის ევოლუციურ დამოკიდებულებას არ გამორიცხავს. ნაციის პოლიტიკურ ერთობად ჩამოყალიბება გულისხმობს გარკვეული ხარისხის კულტურულ ჰომოგენიზაციას.

მ. ჰროჩის მოდელს ხშირად იყენებენ ფაქტობრივი მასალის აღსაწერად, და ხშირად, როგორც ჩვენ, მიდიან იმ დასკვნამდე, რომ კონკრეტული სინამდვილე ყოველთვის არ თავსდება ამ მოდელში.[28]

ამგვარად, ქართული ნაციონალიზმის დასაწყისი და განვითარების ეტაპები ზუსტად იგივე არაა, რაც სხვა ქვეყნებში, თუმც ამის გამო განსხვავებული ტიპის ნაციონალიზმზე საუბარი მართებული არ გვგონია, როგორც ამას აკეთებს ზ. შათირიშვილი, როცა მიუთითებს, რომ საქართველოში განვითარდა ე.წ. "აღმოსავლური ნაციონალიზმი". მკვლევარი, მართალია, როცა შენიშნავს, რომ ევროპული დემოკრატიის ისტორია, ფაქტობრივად, ევროპული ნაციონალიზმის ისტორიაა.[29] როგორც უკვე ითქვა, ესაა საერთოდ ნაციონალიზმის არსი. ქართული ნაციონალიზმი მისი ევროპული მოდელისაგან რამდენადმე სხვაგვარად ჩამოყალიბდა, მაგრამ ეს გარემოება აღნიშნული ფენომენის

---

[27] ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი–მალენი). თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, 2004, გვ.116-117.

[28] იხ., მაგალითად, K. Hitchins. Romanian Nation-Formation in Transylvania. The Identity of Romania. Bucharest, Encyclopedic Publishing House, 2009, pp. 93-94, 116.

[29] ზ. შათირიშვილი. Una Sancta და ნაციონალიზმი. საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე (რედ. ზ. კიკნაძე). თბილისი, არეტე, 2005, გვ. 187, 190.

არსს, ცხადია, ვერ ცვლის, იგი უბრალოდ აჩვენებს ამ ფენომენის კონკრეტულ გარემოში განვითარების თავისებურებას.

ამგვარად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქართული ნაციონალიზმი იწყება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის სახალხო გამოსვლებით და 1832 წლის შეთქმულებით. ეს იყო ნაციონალიზმის პოლიტიკური ფორმა. აღნიშნული მოძრაობები ნაციონალიზმის ერთ-ერთი ყველზე უფრო ფუმდამენტური იდეალის – პოლიტიკური ავტონომიურობის – მიღწევას ისახავდა მიზნად, მაგრამ ისინი სათანადო გამოცდილების არმქონე მოძრაობებს წარმოადგენდა. მათი მარცხი გარდაუვალი იყო იმის გამო, რომ ქართველ ნაციოანალისტებს ამ დროისათვის ჯერ კიდევ სრულყოფილად არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული ქართული ნაციონალური ერთობის იდეა. მაგრამ სახალხო ხასიათი ან ხალხის გამოსვლის მნიშვნელობის გაცნობიერება ამ მოძრაობებს უცილობლად ათავსებს განმანთლებლური პროექტის და, შესაბამისად, ნაციონალისტური პროექტის, არეალში.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ათწლეულების პოლიტიკურმა ნაციონალიზმმა შექმნა საფუძველი საუკუნის მეორე ნახევარში მომწიფებული ქართული კულტურული ნაციონალიზმისათვის, რომლის მთავარ შედეგს ქართული ნაციონალური იდენტობის განსაზღვრა წარმოადგენდა. მემკვიდრეობითობა ქართული ნაციონალიზმის ეტაპებს შორის კარგად ჰქონდა შენიშნული ქართული ნაციონალიზმის მთავარ შემოქმედს – მწერალს, პუბლიცისტს და საზოგადო მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს. ქვემოთ მოგვყავს მეცხრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედის მისეულ დახასიათება:

> მართალია მეთვრამეტე საუკუნის თავზარმა და მეცხრამეტის წეწვა-გლეჯამ საქართველოს ერი მოჰღალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის-თავის იმედიც კი დააკარგვინა და რასაკვირველია, რომ როცა შემთხვევა მიეცა, ერმა თავი თითქოს მოსვენებას მისცა და თითქმის ხმაამოუღებლივ დაემორჩილა ახლად მოვლენილ სვე-ბედსა, მაგრამ ამ ილაჯ-გაწყვეტილის ერის ხმა-ამოუღებლობა ემჩნევა მარტო ამ საუკუნის პირველი მეოთხედის წლებსა. მთელი ეს მეოთხედი საუკუნისა ისე გავიდა, რომ თვითეული ცალკე კაცი და მთელი საზოგადოება საერთოდ თავბრუდასხმულსავით გარინდებული იყო და საქვეყნოდ არც ხალისი, არც ღონე არ გამოუჩენია – არც უკან მიხედვისათვის, არც წინ დანახვისათვის, თითქოს დიდი ნისლი მოხვევიათ და ელიან ცა გადაიყაროსო, ან თავზარი დასცემიათ და გამოურკვეველ ელდას შეუკრავსო ... ასეთი მდგომარეობა დიდხანს თავს

ვერ დაიჭერდა და ამ ხანგრძლივ სვენაში უნდა რამ გამონასკულიყო. იმიტომ რომ ძნელია ერის მაჯისცემა ისე შეწყდეს, რომ არა მოქმედებდეს რა ასე თუ ისე სახვალიოდ. ჯერ კიდევ იყო, როგორც წინათ ვსთქვით, თითო-ოროლა ოჯახი, თითო-ოროლა მამულის-შვილი, რომელსაც ასულდგმულებდა ჩვენის ძველის ცხოვრების ანდერძი, აქა-იქ შერჩათ კიდევ ხსოვნა მეთვრამეტე საუკუნის თავგანწირულ გმირთა, რომელთა საქმენი მოხუცს ცრემლს ადენდნენ და მხნეობით აღტაცებულ ჭაბუკს ხმლის ტარზე უთრთოლებდნენ ხელს. თუმცა ყოველი ეს კარ-ჩაკეტილი იყო, ხმა ამოუღებელი, დაქსაქსული, აქა-იქ ცალ-ცალკე ბუჟუტავდა, მაგრამ არ შეიძლება კი თავისის საქმე არ ეკეთებინა, თავისი ნასკვი არ გამოენასკვა და ადრე თუ გვიან არ წამოეყენებინა ცხოვრებისათვის გამოსახსნელად ... დაიწყო მეორე მეოთხედი ამ საუკუნისა თუ არა, ეს ნასკვი შეიკრა ახლა კი საქვეყნოდ და ბოლოს გაიხსნა კიდეც: ცხოვრებამ თავისი უკეთესნი კაცნი, სამშობლოს სიყვარულით თვალ-ახილებულნი, აქეთ-იქით მიახედ-მოახედა, ყოფილსაც თვალი გააადვილებინა და არსებულსაც ... მოიკითხეს რა წაიღო ძველმა და რა მოიტანა ახალმა. ამ მოკითვამ შეძრა მათი გონება და გული მაშინდელ ყმაწვილ-კაცობისა, საიდამაც გამოვიდნენ თ. გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ორნი გიორგი ერისთავნი, ზაქარია ერისთავი, იოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილები, თ. ნ. ბარათაშვილი, ალ. და დ. ორბელიანები, ძმები ჩვენის პოეტისა და ბევრნი სხვანი, რომელთაც სახელოვნად იჩინეს თავი ზოგმა ლიტერატურაში, ზოგმა საზოგადო და სახელმწიფო სარბიელზე. ამ წრის წმიდათა-წმიდა იყო სამშობლოს სიყვარული, რომელმაც ბოლოს თავდადებულ ტრფიალებამდე გაიწია მათდა სასახელოდ".[30]

სპეციალიურ ლიტერატურაში ეს ფაქტი ადრევე იქნა შენიშნული. აი, როგორ მსჯელობს ამ საკითხზე ნ. პაპავა:

განსაკუთრებით ამ მხრივ გამოირჩევა ილია ჭავჭავაძის გამონათქვამები, ის შეფასებები, რომელსაც იგი აძლევდა 1832 წლის შეთქმულებას ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ილია საქართველოს სათავეს სწორედ ამ შეთქმულებაში ხედავდა ... პირველად "შეთქმულები" მან მოიხსენია 1876 წელს *დროების* 10 წლისთავისადმი მიძღვნილ ნადიმზე. როდესაც სერგეი მესხმა თავის გამოსვლაში თქვა: '*დროება* მარტო ან რომელსამე მიმართულებას ან თაობას არ წარმოადგენს. ამ დროშას არ

[30] ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. 3, 1953, გვ. 237-238. ვიმოწმებთ ე. ორჯონიკიძის სტატიის მიხედვით: 1832 წლის შეთქმულთა საზოგადოების ეროვნულ-პოლიტიკური პროგრამა. საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, 7 (მთ. რედ. ა. ბენდიანიშვილი). თბილისი, 2004, გვ.12-13.

> აწერია არც ბატონი, არც გლეხი, არც ახალი, არც ძველი თაობა. ეს არის დროშა ქართული ლიტერატურისაო', ილიამ დაუმატა: 'ყველას, სამართალი ითხოვს, რომ ყველას თავისი მიეზღოს. თუმც ამ დროშაზედ, რომელიც უფ. ს. მესხმა მოიხსენია ახლანდელი *დროების* მოღვაწეთა თავისი მიმართულება ზედ წააწერეს, მაგრამ თვით დროშა კი მემკვიდრეობით გვაქვს გადმოცემული განსვენებულის დოდაევისაგან, გიორგი ერისთავისაგან. საუკუნო იყოს ხსენება მათი. რა თქმა უნდა, ილია აქ სოლომონ დოდაშვილს და გიორგი ერისთავს მხოლოდ როგორც ჟურნალის რედაქტორებს არ გულისხმობს. იგი მათ თავისი თაობის წინამორბედებად მიიჩნევს და განსაკუთრებით უსვამს ხაზს მათი ბრძოლის დროშის მემკვიდრეობით მიღებას ახალი თაობის მიერ.[31]

ამ მემკვიდრეობითობის გაცნობიერებას ვხედავთ მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებში გამოქვეყნებულ ილიას წერილებშიც აი, კიდევ ერთი მეტად შთამბეჭდავი ციტატი ილიადან, რომელსაც იმოწმებს ნ. პაპავა ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისის ილუსტრირებისათვის:

> 'მართალია ამ სვენების ხანაშიც კიდევ დაჰნათოდა ჩვენ ცხოვრებას შუქი წინდღის ჩამავალი მზისა, წინა დღიდან გამოყოლილნი და გულში ჩარჩენილი ანდერძნი კიდევ ასულდგმულებდნენ საზოგადო მოღვაწეთა, და თუმცა ამისთანა მოღვაწეებმა ერთად თავი მოიყარეს და იფეთქეს ამ ანდერძების სახელითა, მაგრამ დამარცხდნენ ... მისწყდა ამ ანდერძთა რიხიანი ხმა და მაშინდელმა მოღვაწეებმა ზურგი შეაქციეს წარსულ ანდერძთა ღაღადებასა, დამარტოებულნი სრულიად გაეცალნენ ცხოვრების სარბიელიდან, დაიქსაქსნენ, თუმც კი გულისტკივილი მათი თესლად დარჩა ცხოვრების ხნულში. ჩვენ ვწუხვართ, რომ მეტს ვერას ვიტყვით იმ თესლად დარჩენილისას, რომელიც, როცა ამინდი დაუდგებოდა, ხელახლა უნდა გაღუებულიო აღმოსაცენად'. აშკარაა, რომ ილია სწორედ თავის დროს და თავისი გუნდის მოღვაწეობას გულისხმობს, როდესაც ლაპარაკობს შეთქმულთა მიერ ცხოვრების ხნულში ჩაგდებული თესლის გაღვივების შესახებ.[32]

---

[31] ნ. პაპავა. 1832 წლის შეთქმულების ისტორიოგრაფია. საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, 7 (მთ. რედ. ა. ბენდიანიშვილი). თბილისი, 2004, გვ. 38-39.

[32] ნ. პაპავა. 1832 წლის შეთქმულების ისტორიოგრაფია. საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, 7 (მთ. რედ. ა. ბენდიანიშვილი). თბილისი, 2004, გვ. 39.

ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში და მისით ქართული ერთობის გამსჭვალვის საქმეში მონაწილეობას იღებდა მთელი ქართველი ინტელიგენცია. ეს იყო ქართული კულტურის რენესანსის პროცესი, რომელიც, როგორც ვნახავთ, დამთავრდა ქართული ერთობის კულტურული საზღვრების დადგენით, და მოდერნის ეპოქის ქართველი ერის იდეის ჩამოყალიბებით.

წყაროში დაცული მასალის ანალიზი: *ივერია* 1877–1891 წლებში

1. *ივერიის* 1877–1881 წლების ნომრები

ერთ-ერთი მოვლენა, რომელსაც ამ პერიოდში ჰქონდა ადგილი და რომელმაც მძლავრი იმპულსი მისცა ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესს, იყო რუსეთ-თურქეთის 1877–1878 წლების ომი. ამ ომის შედეგი ქართული ერთობის ისტორიისათვის არა მარტო გარკვეული ისტორიული ტერიტორიების რეალურად შემოერთებას, და, შესაბამისად, ნაციონალიზმის ერთ-ერთი ფუნდამენტური იდეალის – ნაციონალური ერთიანობის – განხორციელებას ნიშნავდა. ამ ფაქტმა ქართველი ერის იდეის ჩამოყალიბებაში, რაც მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ნაციონალისტების ძირითად საზრუნავს წარმოადგენდა, შეიტანა მნიშვნელოვანი კორექტივები. უპირველესი კორექტივი შეეხო რელიგიას, როგორც იდენტობის მარკერს. როგორც ცნობილია, წინა მოდერნის ეპოქაში კოლექტიურ კულტურულ იდენტობას ძირითადად განსაზღვრავდა რელიგია. "ქართველობის" გაგებაში მთავარი იყო მართლმადიდებლური ქრისტიანობა, ყოველ შემთხვევაში, გამიჯვნა მისგან ვერ ხერხდებოდა. ქართველობა უსათუოდ ასოცირდებოდა მართლმადიდებლობასთან. ახალი ეპოქის დასაწყისიდან უკვე შეინიშნება დამოკიდებულების ცვლილება. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ერეკლე მეორე, რომელიც აშკარად აჩვენებს ქრისტიანი მეფის ზრუნვას სამაჰმადიანო საქართველოზე, ანუ აქ ჩვენ ვხედავთ ქართული ჩვენ-ჯგუფის სხვადასხვა პოლიტიკურ სივრცეში მოხვედრილი ნაწილების გაერთიანების სურვილს, მათი განსხვავებული სარწმუნოების მიუხედავად.

მართალია, მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიები ქართველობას მარტო თავის ძალით და თავის სახელმწიფოში არ შემოუერთებია (როგორც ცნობილია, ქართველები რუსეთის საბრძოლო ოპერაციებში იყვნენ ჩართულნი),

მაგრამ აღნიშნული მხარე რომ აღარ იყო დანარჩენი ქართული სამყაროსაგან მოწყვეტილი, ეს უკვე ბევრს ნიშნავდა. ე.წ. "ოსმალოს საქართველოს" და "რუსეთის საქართველოს" პოლიტიკური გაერთიანების შემდგომ ქართული ინტელიგენციის წინაშე დაისვა ამოცანა კულტურულად ჰომოგენური გაეხადა ეს ნაწილები.

აღნიშნულმა მოძრაობამ რელიგიისა და საერთო წარმომავლობის, როგორც იდენტობრივი მარკერების, გადაზრების და პრეფერენციულობის განსაზღვრის საკითხი დასვა.

რელიგია უკან უნდა დახეულიყო. მისი უარყოფა მთლიანად, ცხადია, არ შეიძლებოდა, ქრისტიანობა ქართველობის განუყოფელი ნაწილი გამხდარიყო. მაგრამ ახალ ვითარებაში ის ვერ იქნებოდა მარკირების უმთავრესი საშუალება. ეთნიკურ ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი, მეტიც, საერთოდაც სხვა რელიგიაზე – ისლამზე – იყო მოქცეული. ამიტომ წამოიწია წინ საერთო ისტორიამ, როგორც იდენტობრივმა მარკერმა. ქართველმა ნაციონალისტებმა დაიწყეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის რეპრეზენტაცია განუყოფლად საქართველოს დანარჩენი ნაწილების ისტორიისაგან.

მარკირება ისტორიით ქართულ ერთობას ინკლუზიურს ხდიდა არა მარტო ისლამიზებულ (ან თუნდაც სხვა ქრისტიანული კონფესიის აღმსარებელ) ქართველებთან მიმართებაში, არამედ საერთოდაც. ისტორიული მახსოვრობა არა მხოლოდ ნაციის ეთნიკური მოდელის მიხედვით გამომძერწვისათვის, არამედ ტერიტორიალური ანუ სამოქალაქო მოდელის მიხედვით ჩამოსაყალიბებლადაც სავსებით გამოსადეგი იყო.

ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგიის მთავარი შემოქმედის – ი. ჭავჭავაძის მიერ ნაციის პერცეფცია ორაზროვანია. ერთი მხრივ, მისი მოწოდებანი ეთნიკური ქართველებისადმი იყო მიმართული და *ივერიის* მკითხველებადაც სწორედ ეთნიკური ქართველები მოიაზრებოდნენ. მეორე მხრივ, ი. ჭავჭავაძე ერის შესადუღაბებლად ეთნიკუროზასთან ანუ, მისივე ტერმინი, რომ გამოვიყენოთ, "გვარტომობასთან" შედარებით პოლიტიკურ კავშირის უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებდა.

ბევრი რამ განაპირობებდა ი. ჭავჭავაძის ამგვარ ხედვას. ერთი მხრივ, იმპერიაში მყოფ ერთობას იმპერიასთან დაპირისპირება მხოლოდ

ექსკლუზიური ნაციონალიზმით შეეძლო. იმპერიებში "ცხვებიან" მხოლოდ კოლექტივისტური ეთნო-ნაციები, მოქალაქეობრივი ინდივიდუალისტური ნაციების ფუფუნება აქ არ არსებობს. ქართველი ნაციონალისტების მიერ ეთნიკური ხატის მიხედვით ნაციის წრთობას ხელს უწყობდა ისიც, რომ, წინა მოდერნის ქართული ერთობა თავისი ხასიათით იყო დემოტიკური. დემოტიკური ეთნიეები კი, როგორც ითქვა, ეთნო-ნაციის საფუძველს წარმოადგენენ.

მაგრამ ამავე დროს, ქართული ერთობა ინკლუზიურ კოლექტივადაც ყალიბდებოდა. ისტორიულად ქართული ერთობის მიერ კონტროლირებადი ქვეყანა ყოველთვის იყო მულტიკონფესიური და მულტიეთნიკური. აქ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობა[1] შეიძლება არსებულიყო მხოლოდ როგორც სოციალური კონსესუსი. ამის გაცნობიერება ქართველ ნაციონალისტებს და, კონკრეტულად, ი. ჭავჭავაძეს უბიძგებდა ნაციის სამოქალაქო ანუ უფრო ვოლუნტარისტული მოდელისაკენ, რომლისაკენ გზა მიდიოდა ერთობის სუბიექტივისტური მარკირების გზით ანუ საზიარო ისტორიული მახსოვრობით და, აქედან მომდინარე, სურვილით მომავალში ერთად ცხოვრებისა.

რელიგიის უკან დახევისათვის აღნიშნული მომენტი იყო ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზი. მეორე, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი, მიზეზი იყო საერთოდ ეპოქის სული. როგორც ცნობილია, ეს ის დროა, როცა ევროპაში და ამერიკაში რელიგია საჯარო სივრცეს ტოვებს და იქცევა პიროვნების კერძო საქმედ. ნაციონალიზმი, რომელსაც, სავსებით სამართლიანად, ზოგჯერ "სეკულარულ რელიგიას" უწოდებენ, იკავებს დაახლოებით იმ ადგილს ახალ დროში, რაც წინა მოდერნის ეპოქაში ეკავა რელიგიას. ნაციონალიზმის იდეოლოგიას სხვა "კულტმსახურნი" ჰყავდა ნაციონალისტების სახით, რომლებიც ერის წინამძღოლობას თავის მოწოდებად თვლიდნენ, და სულაც არ აპირებდნენ ერთობის წევრთა "აზრთამპყრობელობა" კლერიკალებისათვის დაეთმოთ. მათ ახალი "ღვთაება" შესთავაზეს ხალხს: ეს იყო "მამული" და ახალ რელიგია – მამულის მსახურება და მოუწოდეს მამულისათვის მოწამეობისაკენ. "მამული" და "უფალი" მათ გააიგივეს. გავიხსენოთ

[1] მიუხედავად იმისა, აშკარად აცხადებენ ამას თუ არა, ნაციონალისტებს თავიანთ თვალსაწიერში ყოველთვის აქვთ ერთობის სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა. სუვერენობა ხომ ნაციის არსისაგან მოუცილებელი ნიშანია.

სკოლის მერხიდან ყველასათვის კარგად ცნობილი შემდეგი სტრიქონები '... ქვეყნად ცხა/ლთად მოუცია მარტო მამული. / წმინდა იგი, ვისაც ელირსა / მამულისათვის თავის-დადება! / ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა, / ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება'.

ეს სტრიქონები კარგად აჩვენებს ქართულ სინამდვილეში იმ ახალი "რელიგიის" პათოსს, რომელსაც ნაციონალიზმი ჰქვია.

ქართველ ნაციონალისტებს სამღვდელოებასთან დასაპირისპირებლად სხვა მოტივაციაც ჰქონდათ: ამ ეპოქაში ქართველი კლერიკალები ყველა სხვა ფენაზე უფრო ფართოდ თანამშრომლობდნენ რუსეთთან და საკუთრივ ქართული იდეალების განხორციელებისათვის ზოგჯერ ნაკლებად ზრუნავდნენ. ესეც განაპირობებდა სამღვდელოების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას.[2]

ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ის, რომ იმპერია, რომლის შემადგენლობაში საქართველო იმყოფებოდა ანუ ქართველთა "მნიშვნელოვანი სხვა" ასევე მართლმადიდებლური იყო. ამიტომ მასთან მიმართებაში ქართული იდენტობის ტრადიციული მარკერი, მისი "ფარი" მთელი წინა მოდერნის ეპოქაში, ნაკლებად "მუშაობდა". თუმც ქართულ ერთობას ჰქონდა საკმაო გამოცდილება ამგვარი ურთიერთობისა "მნიშვნელოვან სხვასთან", მაგალითად ბიზანტიის იმპერიასთან მიმართებით, ახლა ვითარება რამდენადმე სხვაგვარი იყო.

იდენტობის განვითარებისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელსაც ამ პერიოდში ჰქონდა ადგილი, იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნება 1879 წელს.

როგორც ითქვა, ინტელიგენციის მსოფლხედვაში ქართველი ერის იდეის კრისტალიზაციის პროცესი მიმდინარეობდა. ამის პარალელურად აუცილებელი იყო ამ იდეის გავრცელება და დანერგვა ქართული ერთობის ყველა ფენაში, მათშიც, ვინც წინა მოდერნის ეპოქაში

[2] თუმც, ცხადია, შეცდომა იქნება იმის თქმა, რომ ქართველი ნაციონალისტები და კონკრეტულად, ი. ჭავჭავაძე, სავსებით ემიჯნებოდნენ ქართველ საეკლესიო პირებს. პირიქით, კლერიკალების პატრიოტულად განწყობილ ნაწილსა და ნაციონალისტებს შორის არსებობდა კარგი პიროვნული ურთიერთობა და მუდმივი მზაობა თანამშრომლობისათვის. იხ. ვ. კიკნაძე. ილია ჭავჭავაძე და მეცხრამეტე საუკუნის სამღვდელოება. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები (რედ. ა. სონღულაშვილი). თბილისი, 2007, # 2, გვ. 36-45.

ელიტარულ იდეებს, მაღალ კულტურას ზიარებული არ ყოფილა. ამის მიზეზი აღნიშნული ფენების ნაკლები მიმღებლობა იყო. ისინი თავიანთი სოციალური სტატუსის და ეკონომიკური პირობების გამო მოკლებულნი იყვნენ მაღალი კულტურის ცირკულაციასთან ზიარებისათვის ისეთ ქმედით საშუალებას, როგორიცაა დამწერლობა. ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესი გულისხმობდა ამ ფენებთან კულტურული ელიტის მუდმივ კონტაქტს. ასეთი კონტაქტის გარეშე შეუძლებელი იყო მათი მარგინალობის აღმოფხვრა და "წარმოსახვითი საზოგადოების" შექმნა თუ ერთობის ქცევა სოციალური ფენების "ჰორიზონტალური თანამეგობრობად".

ნაციონალური მობილიზაციის ამ მოთხოვნას პასუხობდა აღნიშნული საზოგადოების დაფუძნება: არა მარტო ქართველ ინტელიგენციას, როგორც "პოლიტიკურ არქეოლოგებს" უნდა "აღმოეჩინათ" ქართველთა "ვინაობა",[3] ქართული ერთობის ფართო ფენებსაც უნდა გაეგოთ ამ "აღმოჩენის" შესახებ და შეეთვისებინათ კულტურული ელიტის მიერ მოწოდებული აზრი. როგორც ამ წიგნის თეორიული ბაზისისადმი მიძღვნილ თავში აღვნიშნავდით, ნაციონალიზმის ელიტური ხასიათის მიუხედავად, ნაციები თავისი არსით, პოპულარული ანუ სახალხო მასობრივი ერთობები შეიძლება იყვნენ მხოლოდ. ამიტომ სავსებით მართებულად გვეჩვენება სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იყო "ქართველობის სკოლა".[4] ცხადია, არა ჩვეულებრივი სკოლის აზრით, არამედ იმგვარი

[3] ი. ჭავჭავაძის მიერ შემოღებული ტერმინია, აშკარად "იდენტობის" ფარდი.

[4] ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფუნქციასთან დაკავშირებით საინტერესო მსჯელობას წარმოგვიდგენს გ. თევზაძე: 'ყოველივე ზემოთქმულის შეჯერებით ცხადია, როდის მოხდა ქართული დიდი იდენტობის წარმოშობა. ჩვენ შეგვიძლია საკმაოდ მაღალი ხარისხის ისტორიული სიზუსტით ვთქვათ, როდის დაიწყო დიდ იდენტობად ქცევა იმ იდეოლოგიამ, რომელიც საკმაოდ განვითარებული და ჩამოყალიბებული იყო ქართულ ელიტაში. მე ვფიქრობ, რომ ამ იდენტობის გაჩენის დასაწყისი ისტორიულ რუკაზე უნდა მოვხაზოთ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში – პირველი ქართული გაზეთების გამოცემის პერიოდში. ხოლო იდეოლოგიის იდენტობად გარდაქმნა პირდაპირ უნდა დავუკავშიროთ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებას და მის გააქტიურებას..

ინსტიტუციის აზრით, რომელიც ახორციელებს განმანთლებლურ პროექტს და ნაციონალური იდეის მასებში კულტივაციის გზით კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებულ სოციალურ მარგინალობას საფუძველს აცლის.

თავად ეს საზოგადოებაც სწორედ ფართო განმანათლებლური პროექტის კონტექსტში განიხილავდა თავის მოღვაწეობას.

საზოგადოების მიზანი გაცხადებულია მის ერთ-ერთ გვიანდელ ანგარიშში. აქ ფართო მასშტაბის კულტურული საქმიანობა წარმოჩენილია, როგორც თავდაპირველი სურვილი დამფუძნებლებისა, თუმც აშკარაა, რომ საზოგადოების საქმიანობის არსი ფორმულირებულია განვლილი გზის შეჯამების საფუძველზე ანუ გამოკვეთილია ის ფაქტებიც, რომლებიც სინამდვილეში თავიდან მხოლოდ ჩანასახში შეიძლება ყოფილიყვნენ:

> თუმცა ჩვენი საზოგადოება იწოდება წერა-კითხვის გამავრცელებლად, მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, ვითომ მის დამაარსებლებს სახეში ჰქონდათ მხოლოდ წერა-კითხვის სწავლება. დამფუძნებელთა გულითადი სურვილი იყო უპირველესად შექმნა სკოლისა, როგორც კულტურის კერისა. კულტურა კი არის ქვეყნის სულიერი და ნივთიერი ფართო განვითარება, ე.ი. კრება იმ ძალთა, რომელნიც ქმნიან ხალხის დამოუკიდებელს შესაძლებლობას.[5]

ამდენად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მართლაც იყო "ქართველთა სკოლა" (ამ შემთხვევაში ავტორი უთითებს ო. რაისნერს. – მ.ჩ., ქ.მ.), ოღონდ არა იმ აზრით, რომ ქართველი ერის უმრავლესობა სწავლობდა მასში, არამედ, რომ ამ სკოლიდან გამოვიდა ქართველი ერი, ანუ, ქართველი ერი დაიბადა და აღიზარდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში' (იხ. გ. თევზაძე. ქართველი ერის დაბადება. იდენტობა და იდეოლოგია. პოლიტეტალური და სოციეტალური იდენტობები. ეროვნულობა და რელიგიურობა. მონახაზი – ქართველი ერის დაბადება (ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, 2007). თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. 20-21.

[5] ვიმოწმებთ შემდეგი წიგნის მიხედვით: ა. კიკვიძე. საქართველოს ისტორია, თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1959, წ. II, გვ.86.

1880 წელს დაარსდა ქართული დრამატული საზოგადოება. ისიც ეროვნული კონსოლიდაციის ხელშეწყობის საშუალებად მოიაზრებოდა.

ქართული იდენტობის განვითარებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა 1881 წლის მარტში იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობას ნაროდოვოლცების ტერორისტული ორგანიზაციის მიერ. ამ ფაქტმა "ლიბერალური დათბობის" მოკლე ხანა რუსეთის იმპერიაში დაასრულა. ახალი პოლიტიკური სეზონის "სუსხმა" მნიშვნელოვანი იმპულსის როლი შეასრულა უკვე არსებული ქართული იდენტობის შემდგომი წრთობის და განმტკიცების თვალსაზრისით, რადგან ნიცშეს ცნობილი აფორისტული თქმისა არ იყოს: 'რაც არ გვკლავს, ის გვაძლიერებს'.

1877 წელი

რედაქტორ-გამომცემელია ილია ჭავჭავაძე.

თავიდან ყოველკვირეული თექვსმეტგვერდიანი გაზეთის *ივერიის* გამოცემის ნებართვა რედაქციას საშუალებას აძლევდა გამოეყო შემდეგი განყოფილებები:

1. წინამძღომელი წერილები, რომლებშიაც გამოითქმება რედაქციის აზრი შესახებ საზოგადო ცხოვრების სხვა და სხვა გვარ საგანთა.
2. საქართველო: განხილვა ყოველის გვარის საგნისა, რაც კი შეეხება ჩვენში მთავრობითს წარმოებასა და საზოგადოების ცხოვრებასა.
3. რუსეთი: განხილვა ყოველი გვარის შესანიშნავი საგნისა, რაც კი შეეხება რუსეთის სახელმწიფო წარმოებას და საზოგადოების ცხოვრებასა.
4. უცხოეთი: განხილვა ყოველი გვარის საგნისა, რაც კი შეეხება საზოგადო პოლიტიკას, უცხო ქვეყნების სახელმწიფო წარმოებას და საზოგადოების ცხოვრებასა.
5. კორესპონდენციები შესახებ ჩვენის ქვეყნისა, რუსეთისა და უცხო ქვეყნებისა.
6. სამეცნიერო განყოფილება: წერილები შესახებ ყოველის გვარის მეცნიერებისა.
7. ბელეტრისტიკა: მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა ამ გვარი.
8. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.
9. ფელეტონი.
10. სასამართლოს მატეანე: სასამართლოს განაჩენის ბეჭდვა და მისი განხილვა.
11. სხვა და სხვა გაზეთების ნაამბობნი.
12. კერძო პირთა განცხადებანი და საჭირო ცნობათა სქემა.

პირველივე ნომერში აქვს ილია ჭავჭავაძეს ჩამოყალიბებული საზოგადოებისათვის "ჟურნალ-გაზეთობის" დანიშნულება – 'სამეცნიერო ცნობათა გადმოტანა და გავრცელება საზოგადოებაში, ჩვენისა და უცხო ხალხის ცხოვრების დაკვირვება და განმარტება'.

ამავე ნომერშია ჩამოყალიბებული უცხო ხალხის ცხოვრებაზე დაკვირვების მნიშვნელობა. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ მედიამ შესაბამისი ადგილი უნდა დაუთმოს უცხო ხალხთა ცხოვრებასა და მდგომარეობაზე ინფორმაციის მიწოდებას, რათა ჯეროვნად ცნობილი სხვისი მაგალითით თვითცნობა გაუადვილოს საზოგადოებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება გაზეთის ერთ-ერთი მთავარი რუბრიკა *უცხოეთი*, სადაც განსაკუთრებით ინტენსიურად შუქდებოდა უცხო ხალხთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები, გენოციდის ამსახველი ფაქტები (# 1).

ქართული ერთობის კონსოლიდაციისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მყარი ეკონომიკური ერთობის შექმნა. ამ მიზნით იწყება წერილების სერიის, სახელწოდებით *ცხოვრება და კანონი* ბეჭდვა, რომელთა ავტორია ილია ჭავჭავაძე. წერილებში ასახულია საზოგადო ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები. განხილულია 1864 წლიდან გლეხთა ყმობისაგან განთავისუფლების საკითხი, გლეხთა მდგომარეობა, გლეხისა და მებატონის ურთიერთობა, ჩვენი კანონმდებლობა და სხვა.

საზოგადო წყობილების, უფლებისა და მოვალეობის განსაზღვრა განაპირობებს ხალხის კეთილდღეობასა და წარმატებას. ამის გათვალისწინებით ვრცლად არის წარმოდგენილი გატარებული რეფორმების სარგებლიანობის თუ ადგილობრივ ჩვეულებასათან შეთანადების პრობლემა. წერილში, მაგალითად, ხაზგასმულია, რომ "მეოთხედობა" ორ წოდებას შორის სადავიდარაბო უფლება-მოვალეობაა და ჩვენი ხალხის ჩვეულებაზე არ არის აღმოცენებული იმ სახით რა სახითაც იგი გლეხთა განთავისუფლების დებულებამ ჩვენში შემოიტანა; რომ ეკონომიკური მხრით იგი ყმობაზე უკეთესია, მაგრამ მიწისჭერაში ჩვეულება ყველა სხვა ძალაზე მტკიცეა და ამის გამო უპირატესი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვეულებას, როდესაც მიწისჭერის შესახებ რაიმე ცვლილებები ხორციელდება (# 1). ეს მსჯელობა, არსებითად მაჩვენებელია "ხალხის" კონცეპტუალიზაციისა: ჩვეულებანი ხალხს უკავშირდება. ჩვეულების მიხედვით ქვეყნის

მოწყობის აუცილებლობა ფაქტობრივად ხალხის მნიშვნელოვან როლზე მითითებას ნიშნავს.

ქართული ერთობის ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებმა ასახვა ჰპოვა ბელეტრისტულ ნაწარმოებებშიც. საინტერესო სურათებს წარმოადგენს *ქალაქის სცენები*, რომელიც შეეხება 1876 წელს ჩატარებულ საყოველთაო აღწერის ფაქტს. საუბარია ქალაქში გავრცელებული იმ ინფორმაციის შესახებ, რომლის მიხედვით მოსახლეობის აღწერა უკავშირდებოდა იმ საკითხს, თუ რამდენი ჯარისკაცის გამოყვანა შეეძლება ხელისუფლებას. ეს ფაქტი გადმოცემულია შემთხვევით შეხვედრილი ორი ქალის საუბრის სახით. ერთ-ერთი პერსონაჟი ამშვიდებს მეორეს – უყვება ერმოლოვის დროინდელი აღწერის თაობაზე, რასაც, როგორც ჩანს, ხალხის აღშფოთება მოჰყოლია. როდესაც ერმოლოვს უკითხავს ხალხის შეკრების მიზეზი, ხალხს უპასუხნია: 'ჩვენი მეფეების დროს ასე ვიცოდით, როცა ომი იქნებოდა, ქუდზე კაცი გამოვიდოდითო და კვლავაც მზათა ვართო; თუ ომი იყოს ასე გამოვალთო'. ერმოლოვს უპასუხნია: 'წადით დამშვიდდით, თქვენ თქვენ საქმეზე იყავითო. საქართველოს ხალხი მეომარი ხალხიაო და სალდათად თავის დღეშიაც არ გავიყვანთო, რადგანაცო რომაო ყოველთვის თვითონვე გამოვა ომშიო და ვაჟკაცობა კარგი იცისო'.

ამ ისტორიას ორი თვალსაზრისით უნდა დაეინტერესებინა მკითხველი: ერთი მხრივ, ქართველთა ვაჟკაცობაა ხაზგასმული; მეორე მხრივ, ქართველთა ვაჟკაცობის ფაქტის აღიარება ხდება იმპერიის წარმომადგენლის მიერ ანუ ქართველთა "მნიშვნელოვანი სხვის" მიერ (# 2).

ივერიის ფურცლებზე ინტენსიური განხილვის საგანს წარმოადგენდა სწავლა-განათლების საკითხი. როგორც აღვნიშნავდით, ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების გზაზე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის ერთობის ჰომოგენურობა კულტურის თვალსაზრისით. ამ მიზნის მიღწევა, ილიას აზრით, შესაძლებელი იყო სწავლა-განათლებით. ამიტომაც შეინიშნება კორესპონდენციებში ამ საკითხებისადმი განსაკუთრებული ინტერესი.

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიული პოლიტიკა მიზნად ისახავდა საგანმანათლებლო სივრცის რუსიფიკაციას. საერთოდ იქნა ამოღებული ქართულ სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მეორე ნომრის რუბრიკა

საქართველოს მატიანე ეძღვნება დედა-ენის მნიშვნელობის, პირველდაწყებითი განათლების მშობლიურ ენაზე მიღების, საერთოდ, სასწავლებლებსა და ოჯახში ქართული ენის ფუნქციის საკითხზე მსჯელობას. წერილი შეეხება *ტფილისის უწყებების* კორესპონდენციებს. დედა-აზრი ამ წერილებისა, რომლებმაც საზოგადოების და მთავრობის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, მდგომარეობდა იმაში, რომ ხალხის განათლება, რომელიც უარყოფს დედაენის შუამდგომელობას პირველდაწყებითი განათლების გადასაცემად, გახსნის მაგიერ გონებას უხშობს ახალ თაობას, გონებითად და ზნეობითად ამდაბლებს და აღარიბებს მას. ერთი სიტყვით, მოაქვს ნაყოფი, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ხალხის განათლების დანიშნულებას. ეს აზრი დამყარებულია კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების სასწავლებლებში შექმნილი ვითარების მაგალითზე. თუმცა სასწავლებლები კარგად იყვნენ გამართულნი, მაგრამ საზოგადოების მოლოდინი მაინც ვერ გაამართლეს, იმ მიზეზის გამო, რომ მათში დედაენას ჯეროვანი ადგილი არ ეკავა. აქვე მედიის როლზეც არის საუბარი. შენიშნულია, რომ კორესპონდენციებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ მეტად საყურადღებო საკითხის გადაწყვეტაში, ეს დასტურდება ამავე რუბრიკის მონაცემებით, სადაც აღნიშნულია თბილისის პედაგოგიურ სასწავლებელთან არსებული ოთხკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში დედაენის სწავლების შემოღების შესახებ. თუმცა აქვე ამ სასიხარულო ცვლილებასთან ერთად, მეორე მოუთმენელი მოვლენაა მითითებული. მასწავლებლებად ქართული ენის არმცოდნე პირები დაუნიშნავთ და ქართველ ბავშვებს მათთვის უცხო ენაზე ასწავლიდნენ საგნებს. დედაენის ამგვარი სწავლება არსებითად არ განსხვავდება საერთოდ არსწავლებისაგან, რადგან დედაენის დამახინჯებული შესწავლა ერის ერთიანად განადგურების ტოლფასია.

აქვე საუბარია ახალგახსნილ საოსტატო სემინარიასა და კახის სასწავლებელში, რომელიც ამზადებდა სასოფლო სასწავლებლისათვის მასწავლებლებს, ქართული ენისათვის ჯეროვანი ადგილის არდათმობის შესახებ. აგრეთვე, გამოქვეყნებულია ინფორმაცია შემდეგი ფაქტის თაობაზე: ქართველ თავადიშვილს რეალური სასწავლებლის დირექტორისათვის გაუგზავნია თხოვნა, რომ მისი შვილისთვის არ ესწავლებინათ ქართული ენა. ამ ფაქტის გამომზეურება, ცხადია, მიზნად ისახავს ამგვარი საქციელის საჯარო გაკიცხვას. ამ და ამდაგვარი სხვა

უამრავი წერილით *ივერია* აშკარად ცდილობდა ჩამოეყალიბებინა ქართული საზოგადოებრივი აზრი ანუ შეექმნა ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ქართული საზოგადოება.

არასასიამოვნო ამბავთან ერთად, *საქართველოს მატიანე* სასიხარულო ინფორმაციასაც აწვდის მკითხველს: ქართული ენის სახელმძღვანელოდ სამზრუნველო სამოსწავლო საბჭოს მიერ ი. გოგებაშვილის *დედა-ენის* მოწონების შესახებ და იმედს გამოთქვამს, რომ ამ მოვლენამ შესაძლოა შეასუსტოს სამზრუნველო საბჭოში იმათი გავლენა, რომლებიც ადგილობრივი ენების სწავლებას ხელს უშლიდნენ (## 2, 3).

ივერიაში, როგორც ზემოთ მივუთითებდით, სათანადო ადგილი აქვს დათმობილი საერთაშორისო ამბების განხილვას. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სლავების ისტორია. მედია-საშუალება ცდილობს ამ ისტორიის მეშვეობით ქართველ მკითხველს საკუთარ ისტორიაში ორიენტირება გაუადვილოს. წერილების სერია *სლავიანების მოძრაობა, მისი დასაბამი და აწმყო სერბიის დამარცხებამდე*, მიეძღვნა ამ დროისათვის საერთაშორისო განხილვის საგნად ქცეულ სლავთა მოძრაობის გაშუქებას. სლავების მოძრაობა დაიწყო ჰერცოგოვინელი სლავების გამოსვლით. შემდგომ მოძრაობა ფართო ხასიათს ღებულობს და მთელ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ვრცელდება. წერილში ხაზგასმულია, რომ რაც უფრო წინ მიდის კაცობრიობის განათლება და განვითარება, ბოროტება ნაკლებობს და ადამიანის მიდრეკილებაც ეს არის გაიადვილოს ბრძოლა და შრომა თავისი ბედნიერების დადგენისათვის. ამ ფიქრებს გაუღვიძებს ადამიანს სლავიანთა მოძრაობა. ეს არის აღნიშნული ინფორმაციის ქართველი მკითხველისადმი მიწოდების მიზანი (# 2).

საკითხის განხილვა გრძელდება რუბრიკაში *მოკლე მოთხრობა სხვადასხვა სახელმწიფოთათვის*. საუბარია ავსტრია-უნგრეთში სლავების გამოსვლაზე. ავსტრია-უნგრეთი შემდგარია არა ერთგვარ-ტომითი კავშირისაგან, სადაც თითოეულ ხალხს თავისი საკუთარი ენა, ისტორია, მწიგნობრობა, ხასიათი, ჩვეულება, ყოფა-ცხოვრება აქვს. გერმანული წარმომავლობის ავსტრიის მთავრობამ განიზრახა თავისი სხვადასხვა ტომის ხალხის "განემეცება", თითოეული ხალხის განსაკუთრებული თვისების წართმევა. ამისათვის გამოდევნა უნგრული და სლავური ენები სასამართლოდან, სამმართველოდან და

სასწავლებლიდან და შემოიღო გერმანული ენა. ეთნიკური იდენტობის მახასიათებელი ნიშან-თვისებების ჩამორთმევა გახდა სლავების მღელვარების მიზეზი. ავსტრია-უნგრეთს ძვირად დაუჯდა იმპერიული ზრახვები – შედეგად მარცხდება იტალიასთან და პრუსიასთან ბრძოლაში. მთავრობა მიხვდა გადადგმული ნაბიჯის სიმცდარეს და შემომწყრალი ხალხის შემორიგება სცადა. მიიღო ახალი კონსტიტუცია. კონსტიტუციის თანახმად, უნგრეთის უფლებები ავსტრიის უფლებებს გაუთანაბრდა, სლავებს კი მხოლოდ შინაური საქმეების მართვის უფლება მიენიჭათ (# 3).

ეს პუბლიკაცია, გარდა იმისა, რომ აღძრავს ასოციაციას ქართველთა მდგომარეობასთან იმპერიაში, საინტერესოა გამოყენებული ტერმინების თვალსაზრისითაც: ხალხს აქვს "გვარტომობა", რაც სისხლისმიერ ნათესაობაზე დამყარებულ ეთნიკურობას უნდა ნიშნავდეს. ამავე დროს ხალხს აქვს საკუთარი ენა, ისტორია, მწიგნობრობა, ხასიათი, ჩვეულება, ყოფა-ცხოვრება. ამ ყველაფრის უგულვებელყოფა ძვირად უჯდება იმპერიულ ხელისუფლებას ევროპაში. ქართველი მკითხველისათვის აქედან სათანადო დასკვნების გამოტანა ძნელი არ უნდა ყოფილიყო.

აქვე კორესპონდენციაში *ცხოვრება და კანონი* გრძელდება მსჯელობა სოციალურ და ეკონომიურ საკითხებზე. საუბარია გლეხთა განთავისუფლების დებულების ერთი განსაკუთრებული ღირსების შესახებ. ეს არის მთავრობის მონდომება ცვლილება ორივე მხარისთვის სამართლიანად განხორციელდეს. მაგრამ საქმე წინ არ წაწეულა, მას შემდეგ (ცამეტი წლის განმავლობაში) რაც დებულება გამოვიდა. აღნიშნულია, რომ რთულია "მეოთხედობის" საკითხის გადაწყვეტა და ხაზგასმულია "მეოთხედობის" შეუსაბამობა ჩვენი ხალხის ჩვეულებისათვის (sic!). "მეოთხედობა" წილია და არა ღალა. ამ წილის მოპოვებაში კი ხარჯი მხოლოდ ერთ მხარეს – გლეხობას ეკისრება. ეს თავისთავად უსამართლო ფაქტია. ქართველი კაცი კი ამბობს, რომ სიმართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო. ეს უსათუოდ საყურადღებო რწმენაა, რომელიც ხალხში (sic!) მტკიცედ იყო ფესვგადგმული (# 3). როგორც ვხედავთ, აქაც ხაზგასმულია ჩვეულებისათვის ანგარიშგაუწევლობის უმართებულობა.

მეოთხე ნომერში საგანმანათლებლო სივრცეში რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგებზეა ყურადღება გამახვილებული. კორესპონდენციიდან თბილისის საოსტატო ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში

დანიშნული ქართული ენის მასწავლებლების მაგალითზე ვხედავთ, რომ ამ სასწავლებელში ქართული ენის სწავლება მიუნდვიათ ზემოხსენებული ინსტიტუტის მოწაფეთათვის, რომელთაც ქართული არ სცოდნიათ, რადგანაც ქართულს სასწავლებელში არ ასწავლიდნენ (# 4). შედეგად აღმაშფოთებელი სურათი მივიღეთ – ქართველი ქართულად წერა-კითხვას ვერ ახერხებდა.

ამავე ნომერში საუბარია ქალაქში ჯანმრთელობის მხრივ შექმნილ ასევე არასასიამოვნო ვითარებაზე. ხშირმა და ნაადრევმა სიკვდილიანობამ საგონებელში ჩააგდო ქალაქის მმართველობა და *კავკასიის საექიმო საზოგადოების* საგანგებო კრება მოუწვევიათ. კრებას გამოურკვევია, რომ თბილისის მცხოვრებთა ნაადრევი გარდაცვალების მიზეზი ქალაქში არსებული ანტისანიტარია და მტკვრის უსუფთაობა იყო. სნეულებისა და სიკვდილიანობის აღმოსაფხვრელად აუცილებელად მიუჩნევია სისუფთავეზე ზრუნვა, რომ მომავალშიც ხალხი უდროოდ არ დახოცილიყო და მწარმოებელი და მშრომელი ძალა არ მოკლებოდა ქალაქს (# 4). აქაც ჩანს, რომ "ხალხში" დაბალი სოციალური ფენები იგულისხმებიან. ანტისანიტარია, სწორედ მათ აწუხებდათ პირველ რიგში.

როგორც ითქვა, *ივერია* გულმოდგინედ ცდილობდა შეექმნა ქართული საზოგადოება, დაემკვიდრებინა ფასეულობები, მნიშვნელოვან ფაქტად ექცია საზოგადოებრივი აზრისათვის ანგარიშის გაწევა. ამიტომ მისი პუბლიკაციები ხშირად შეიცავდნენ სამაგალითო (როგორც დადებითი, ისე უარყოფითი აზრით) ისტორიებს. სხვათა სასარგებლო მაგალითის თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა საფრანგეთის ახალი რესპუბლიკის მიერ გატარებული ღონისძიებები ქვეყნის წინსვლისათვის. განსაკუთრებით საინტერესოა მიმართვა ხალხის განათლებისათვის. ამისათვის არა მარტო მთავრობას გაუღია ხარჯები, არამედ საზოგადოებაც გამოუწვევია ამ მეტად სასარგებლო საქმის ხელშესაწყობად (# 5).

ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული რეალური სურათი პესიმისტური განწყობის მიზეზს ნამდვილად ქმნიდა, რაც გამოხატულია გ. ორბელიანის ლექსში *თამარ მეფის სახე გეთანიის ეკლესიაში*. ქვეყანაში იმდენად რთული ვითარებაა, რომ ავტორს გამოფხიზლება არ სურს, რომ არ გრძნობდეს თავისი სამშობლოს სულით დაცემას. თვალცრემლიანი ევედრება თამარ მეფეს:

მოხედო ბედკრულს,
შენს სატრფოს მამულს,
და ჯვარით შენით აკურთხო კვალად,
შენი ივერი:
იქმნეს ძლიერი
სარწმუნოების გულში დანერგვით! ...
წმიდით საყდარით,
ენით მდიდარი,
სწავლისა შუქით განათებული! (# 6).

გ. ორბელიანის ამ ქმნილებაში ქართული იდენტობის მარკერთა სკრალური ტრიადა, როგორც ვხედავთ, უკვე გამოკვეთილია, მაგრამ მარკერთა თანამიმდევრობა სხვაა. თუ ილიასთან არის "მამული, ენა, სარწმუნოება", გრიგოლ ორბელიანთან პირველ ადგილზე, მართალია, აგრეთვე, "მამულია", მაგრამ მეორეზე – "სარწმუნოება", ბოლოს კი – "ენა". და კიდევ ერთი, რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია და რაც მეცხრამეტე საუკუნის დასწყისიდანვე მოჰყვება ქართულ ნაციონალიზმს, ესაა მისი კავშირი განმანათლებლურ პროექტთან. მოყვანილი სტროფის ბოლოს სტრიქონი ამის ნათელი დასტურია.

ნაციონალიზმი, როგორც ითქვა, ისტორიცისტული მოძრაობაა იმ აზრითაც, რომ ისტორიულ მახსოვრობას კოლექტიური კულტურული იდენტობის საფუძველზე აღმოცენებული ერთობების კონსოლიდაციისათვის აქვს დიდი მნიშვნელობა, იმ აზრითაც, რომ ეს მოძრაობა გარკვეულ ისტორიულ ეპოქას უკავშირდება და იმ აზრითაც, რომ ნაციონალისტთა შორის პროფესიონალ ისტორიკოსთა წილი დიდია. ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესში ისინი თავიანთი ერთობების ისტორიულ მახსოვრობას აყალიბებენ და წერილობით აფიქსირებენ მას ნაციონალურ ისტორიოგრაფიაში. ნაციონალური ისტორიოგრაფიის გარეშე ნაციონალური ერთობა ვერც ჩამოყალიბდება. ამით აიხსნება *ივერიის* დიდი ინტერესი საქართველოს ისტორიისადმი.[6]

[6] საქართველოს ისტორიისადმი *ივერიის* მუდმივი ინტერესი მაჩვენებელი ფაქტები ნაწილობრივ აღწუსხულია ი. ვადაჭკორიას სტატიაში: გაზეთი *ივერია* საქართველოს ისტორიის წყაროებისა და გამოქვეყნებული მეცნიერული ლიტერატურის შესახებ (1886-1889). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ტომი 1 (7). თბილისი, უნივერსალი, 2007, გვ.84-97.

ამავე მეხუთე ნომერში რუბრიკაში *ჩვენი ისტორიისათვის მასალა* დაბეჭდილია საინტერესო მონაცემები საქართველოს ისტორიიდან, კერძოდ, ეპიზოდი ნ. დადიანის *ქართველთ ცხოვრებიდან.* ქვეყნდება 1784–1823 წლების ამსახველი მონაცემები. რედაქცია სქოლიოში აკეთებს კომენტარს იმის თაობაზე, თუ რატომ ანიჭებს აღებულ მონაკვეთს უპირატესობას: ‘ნიკ. დადიანი რასაც მოგვითხრობს ან თვით გაუგონია, ან თვით უნახავს’. განსაკუთრებით საყურადღებოა ნ. დადიანის წინასიტყვაობა, სადაც ხაზგასმულია, რომ სახსოვარი საქმენი უნდა აღიწეროს და გადაეცეს შთამომავლობას:

> ვინათგან არა იყო ჯერეთ საქმენი ესე ნამყო-სრულად, ამისათვის მე თანა-მდებად შევრაცხე თავი ჩემი ვითარცა შვილმა მამულისამან, და ესე შემდგომნი მოთხრობანი ანუ ისტორიანი, რომელნიმე სმენილნი და რომელნიმე თვით ჩემგან ხილულნი აღვსწერე, სახსოვრად და სასარგებლოდ ყოველთა მოყვარეთა მეისტორიეთასა; და მე ვალად დავსდებ ყოველთა შვილთა მოყვარეთა მამულისა ჩვენისათა, ოდეს მე არღა ვიქნები სოფელსა ამას, მაშინ ნუ დაუტევებთ შემდგომთა ქმნილთა სახსოვართა საქმეთა რომელ არა აღწეროთ, რათა ჩვენსაცა ქვეყანასა ჰქონდეს ხსოვნაი სხვათა ქვეყანათა თანა და იცოდნენ განათლებულთა შვილთა ნამყონი-საქმენი მამულთა თვისთანი, რათა მით უმჯობეს მართონ თავი თვისი და ჩვენცა გვქონდეს ხსოვნა.

ეს ნაწყვეტი ნ. დადიანის *ქართველთ ცხოვრების* წინასიტყვაობიდან, ბევრი რამით გვაგონებს “ქართველი ისტორიის მამის” – ლეონტი მროველის *ქართველ მეფეთა ცხოვრების* და, კონკრეტულად კი, *არჩილის წამების* ბოლოს წარმოდგენილ ანდერძმინაწერში დაცული მისი ერთ-ერთი წყაროს (ვახტანგიდან არჩილამდე მონაკვეთის) ავტორის – ჯუანშერის – სიტყვებს (აღნიშნული ფრაზა, რომელიც შემაჯამებელი უნდა ყოფილიყო ჯუანშერის შრომისათვის, ჩვენ მიერ ბრჭყალებშია ჩასმული):

> წიგნი ესე წამებისა მისისა იპოვა ესრეთ სულმცირედ აღწერილი, რომელ ჟამთა შლილობითა ჯერისაებრ ვერვის აღეწერა. ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი ჟამად. ხოლო ვახტანგ მეფისითა ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისამან, ნათესავმან რევისმან, მირიანის ძისამან: “ამიერითგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ,

ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღმრთივგანბრძნობილსა”...[7]

როგორც ცნობილია, ლეონტის თხზულებებით იხსნება წინა მოდერნის ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრესი ძეგლი და ქართული იდენტობის მარკერებისათვის უმნიშვნელოვანესი საშუალება – *ქართლის ცხოვრება*. ისტორიოგრაფიულ ნაწარმოებთა ეს კრებულიც მიზნად ისახავდა შესაბამისი ეპოქის ქართული ერთობის მარკირებას ანუ აფიქსირებდა ქართული კოლექტივის ისტორიულ მახსოვრობას.

---

[7] ქართლის ცხოვრება (მთ. რედ. რ. მეტრეველი). თბილისი, მერიდიანი – არტანუჯი, 2008, გვ. 244. ეს მინაწერი გაკეთებულია *არჩილის წამების* ლეონტისეული რედაქციის ბოლოს. ზოგ მკვლევარს საერთოდ არ მიაჩნია იგი ავტორისეულად ანუ ლეონტისეულად. ჩვენ ვთვლით, რომ იგი ლეონტისეულია, წარმოადგენს წინა ანდერძმინაწერის (‘ესე არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოს ქართლის მოქცევა ლეონტი მრუველმან აღწერა’, იქვე, გვ. 244, შენ.) გაგრძელებას და გვამცნობს ლეონტისავე ინფორმაციას მისი დასახელებული სამი ქმნილების წყაროების შესახებ. სწორედ ლეონტის მოჰყავს ციტატი ჯუანშერის თხზულებიდან, რომელშიც ეს უკანასკნელი მომავალ თაობათა ვალზე – განაგრძონ ისტორიის წერა – საუბრობს. ეს იმისათვის სჭირდებოდა ლეონტის, რომ ეჩვენებინა თუ რა მონაკვეთიდან იწყება მისი გაგრძელება ანუ მანამდე აღუწერელი ისტორიის თხრობა. ამგვარად, ჩვენ, ისევე, როგორც ზოგიერთ სხვა მკვლევარს, მიგვაჩნია, რომ ე.წ. *მატიანე ქართლისა* არის *ქართველ მეფეთა ცხოვრების* გაგრძელება და საკუთრივ ლეონტის ნაშრომი. სხვა ნაწილების შემთხვევაში ლეონტი რედაქტორია, თუკი საკითხს თანამედროვე გაგებით მივუდგებით. თუმც შუა საუკუნეებში რედაქტორობაც ავტორობად ითვლებოდა (იხ. მ. ჩხარტიშვილი. წყაროებზე მითითების წესი ლეონტი მროველის თხზულებებში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (სერია: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია და ხელოვნების ისტორია), 1982, # 2, გვ. 83-91). ეს საკითხები ისტორიოგრაფიაში ცხარე პოლემიკის საგანს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით ამჯერად მსჯელობას ვერ გავშლით. უბრალოდ ვაფიქსირებთ ჩვენ აზრს, რომელიც ეფუძნება წყაროს სრულიად ძალდაუტანებელ ინტერპრეტაციას. ციტატა, როგორც ვნახეთ, მოგვყავს *ქართლის ცხოვრების* ახალი გამოცემის მიხედვით თუმცაღა, ზემოთ აღნიშნული ჩვენეული ინტერპრეტაციიდან გამომდინარე, გარკვეული კორექტივით: იმ სიტყვებს, რომლებიც ჯუანშერისად მიგვაჩნია, ვსვამთ ბრჭყალებში.

გამოქვეყნებულ ისტორიულ მასალაში ასახულია სამეფო ტახტისათვის ბრძოლის ეპიზოდები ტახტის მემკვიდრეებსა და მათ მომხრეებს შორის. იმერეთის ტახტზე ახლად ასულ მეფეს – დავით გიორგის ძეს და დავით არჩილის ძეს შორის (## 5, 6, 7). ქართული ერთობის ისტორიის ურთულესი პერიოდია აღწერილი დაშლილი საქართველოს ერთ-ერთი ნაწილის – იმერეთის სამეფოს – მაგალითზე.

რუბრიკა *ამბავათ გაგონილი* მკითხველს სთავაზობს საინტერესო გადმოცემას, რომელიც, ბევრ სხვა მსგავს მაგალითთან ერთად, კარგად აჩვენებს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ნაციონალიზმში "ოქროს ხანის" იდეის დიდ მნიშვნელობას. აი, ეს თხრობა:

> მეფე გიორგი მეცამეტე ერთ დროს ყაზახ-ბორჩალოს მიბრძანებულა და ჰსწვევია ერთ დარბაისელ, საქართველოს ერთგულ მოხუცებულს აღალარსა. ჩამოვარდნილა ლაპარაკი ცხენებზე და მეფეს უკითხავს აღალარისთვის:
> – ყაზახ-ბორჩალოს ცხენი უწინ განთქმული იყო საქართველოში. ეხლა კი იმისთანა ცხენები აღარ გამოდიან, რა იქმენ ის უწინდელი ცხენებიო?
> – იმ ცხენებზედ ის უწინდელი ქართველები შესხდნენ და წავიდნენო – უპასუხა მოხუცებულმა (# 5).

სწავლა-განათლების საკითხის გაშუქება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმთავრესია რუბრიკისათვის *საქართველოს მატიანე*. ამჯერად, თბილისის სემინარიის ინსპექტორის კუშინსკის პასუხის პასუხი ქვეყნდება. პოლემიკა ქართული ენის სწავლების საკითხს შეეხება. ამ პუბლიკაციის მიზანი აშკარად ისაა, რომ საზოგადოება ჩართული იყოს ყველა მოვლენაში, რომელიც კი უმნიშვნელოვანეს იდენტობრივ მარკერს – ქართულ ენას – უკავშირდება. როგორც მეექვსე ნომრის წერილიდან ვიტყობთ, სემინარიაში უმაღლესი მთავრობისგან დანიშნული ყოფილა ქართული ენის კათედრა და მასწავლებელი. ტურიევს ეკავა ეს თანამდებობა და ცდილობდა კეთილსინდისიერად შეესრულებინა თავისი მოვალეობა. მაგრამ ინსპექტორ კუშინსკისა და რექტორ ვალენტინის "შემწეობით" დაუთხოვიათ სემინარიიდან ტურიევი. შემდეგ ვიღაც ტატიევი დაუნიშნავთ, რომელსაც თვითონ არ სცოდნია ქართული. გარდა ამისა კორესპონდენციაში აღნიშნულია, რომ კუშინსკი უშლიდა სემინარიაში უწმიდესი სინოდის იმ განკარგულების განხორციელებას, რომლის მიხედვითაც მოწაფენი ვალდებულნი იყვნენ სცოდნოდათ ქართული საერო და საეკლესიო

ისტორია. მოხმობილია ხელისშემშლის დამადასტურებელი მაგალითები – კუშინსკის მოწაფეთათვის წაურთმევია ქართული ხელნაწერი ისტორია, ქართული *დავითნი, სიტყვის კონა* და დაუტუქსია ისინი.

მომდევნო ნომერი სახელმწიფო მოხელეების უღირს ქმედებაზე მიუთითებს. საუბარია ქართლში ერთი სოფლის მამასახლისის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების შესახებ. მამასახლისს მართებდა თურმე სასამართლო მოხელის ვალი, რომელიც სოფლის მცხოვრებთაგან ბეგარის სახით აკრეფილი ფულით გაუსტუმრებია (# 7).

ეს პუბლიკაცია, რომლის ანალოგიური პათოსის მრავალი სხვა პუბლიკაცია იცის *ივერიამ*, არსებითად ემსახურება სახელმწიფოს ნაკლოვანებათა გამომზეურებას. ქართველ ნაციონალისტთა მსოფლხედვაში "ერი" და "სახელმწიფო" ერთმანეთს არ ემთხვეოდა.

ქვეყნდება გ. ორბელიანის ლექსი *მუშა მოქალაძე*, სადაც ნათლად არის წარმოჩენილი მუშის მწარე ხვედრი (# 7). ეს პუბლიკაცია საინტერესოა იმ აზრით, რომ აფიქსირებს დიდი პოეტის და ანგარიშგასაწევი სოციალური პოზიციის მქონე პირის ყურადღებას დაბალი ფენის წარმომადგენელისადმი. თუმც ეს ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ნაციონალისტური ხედვა. მუშა კაცი წარმოდგენილია, როგორც თანაგრძნობისა და სიბრალულის ობიექტი და არა როგორც მიმდინარე პროცესების მთავარი აქტორი. მიუხედავად "მამათა" და "შვილთა" დაპირისპირებისა, "შვილების" დამოკიდებულებაც დაბალი ფენებისადმი ზუსტად ანალოგიური თუ არა, მსგავსი მაინც იყო: ილიას ნაწერების მიხედვითაც, "გლეხობა" ანუ "ხალხი" იმსახურებს თანაგრძნობას, მისი განათლება საჭიროა. მაგრამ არავინ ფიქრობს მდაბიოებზე, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართველ ძალაზე.

პროვინციალური წერილები შეეხება გორის ყოფა-ცხოვრების ამსახველი მოვლენების გადმოცემას (ავტორია წაკოლა-ც – სოფრომ მგალობლიშვილი), იქ არსებულ უსუფთაობას, ხალხის უზნეობას. განსაკუთრებული სარკაზმი შეეხო ვაჭრის სახეს. ამ საქმიანობაში, სომხებს არც ქართველები, კერძოდ, იმერლები არ ჩამორჩენილან. როგორც ჩანს, მათ სომხებსა და "ურიებს" გადააჭარბეს სიხარბით:

> ჯერ იმერული მელა რა ყოფილა მერე ვაჭარი რა იყვეს. მე ვნახე ერთი იმერული მელა სახაბაზოში, უკუდო, სწორედ ბოლო დაგლეჯილ კაჭკაჭს ჰგვანდა. დალახვროს ღმერთმა იმის ნახვას ეხლაც ვინანი: სულ ერთნაირად

დაგვამწარა სიცოცხლე, ბატონებო! ამდენი ინდოურები დაგვიჭამა და კიდევ ვერ გაძღა სისხლით.

იმერლები ძალიან ცრუობდნენ. ხაბაზები სულ ისინი ყოფილან, ისეთ პურს აცხობდნენ თურმე, რომ 'ურიას, რომ დაარტყა სამჯერ წმინდაო ღმერთოს ათქმევინებს'. ამ უსამართლობას ქალაქის ახლად დანიშნული მმართველობა შებრძოლებია (# 7).

იხატება ქართველთა "სხვების" სახე: "ურიებისა" და სომხების თვისებებს იღებენ ქართველებიც, როგორც კი ვაჭრობას მოჰკიდებენ ხელს. ასე რომ, ვერ ვიტყვით ამას, რომ ვაჭრობა არ არის ქართული საქმე. მაგარამ ის თვისებები, რომელიც აქვს ვაჭარს, არ არის ქართული, ეს ქართველთა "სხვების" თვისებებია. *ივერია* ამისადმი უარყოფითად არის განწყობილი, ცდილობს დაამკვიდროს ქართული ერთობის, ვითარცა მორალური ვალდებულებების მქონე ერთობის, იდეალი.

მომდევნო ნომრის ამავე რუბრიკაში წაკოლა-ც (სოფრომ მგალობლიშვილი) მკითხველს ისევ გორში არსებულ ვითარებას აღუწერს, შეეხება გლეხთა უნუგეშო მდგომარეობას. ამის უმთავრეს მიზეზად დასახელებულია ვაჭართა ფენა. გლეხთა საარსებო წყაროს მიწის ნაწარმი წარმოადგენდა, რომლის საშუალებითაც იხდიდა ყველა გადასახადს. გაყიდვის ან გადაცვლის დროს კი გლეხის შრომა დაუფასებელი იყო, მას ყველა ატყუებდა. *ივერიის* კორესპონდენტი ასე გვიხატავს დაბეჩავებული გლეხის სახეს: 'აი, ხედავთ, მოდის საცოდავათ წელში მოკაკვული გლეხი ხურჯინით მხარზე. მოაქვს ცოტა რამ გასაყიდი გორში. მისი დამწვარ-დადაგული შეხედულობა: კანჭ-შეგლეჯილი და ეკლისაგან დაკაწრული გაზები, მეტის მუშაობით გაფიჩხული და დამსკდარი ხელები, დაბინდული ზარმაცულად გამომხედი თვალები'. მაგრამ გლეხის ამგვარი საცოდავი შეხედულება იოტისოდენა სიბრალულსაც არ იწვევდა სომეხი ვაჭრის თვალში. პირიქით, იმის ცდაში იყვნენ ეგების იაფად დასტყუონ რამე (# 8).

აქ კარგად ჩანს, რის შესახებაც ზემოთ უკვე ითქვა ანუ თანაგრძნობა გლეხობისადმი და არაკეთილგანწყობა ვაჭრისადმი, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ეთნიკურად განსხვავებულია გლეხისაგან. მაგრამ ეს სურათი როდია მკაფიოდ კონტრასტული: თავად თანაგრძნობის ობიექტი ანუ გლეხი არცთუ სიმპათიურია. მისი უნუგეშო მდგომარეობის მიზეზიც მარტო ვაჭარი ანუ "სხვა" არაა

“მეტის მუშაობით გაფიჩხული და დამსკდარი ხელები” კი ჰქონია გლეხს, მაგრამ “ზარმაცულად გამომხედავი თვალებიც” მისია.

ეროვნული ერთობის ფორმირების პროცესში სტიმულირებას უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეესრულებინა ქართველთა თვითგამორკვევის თვალსაზრისით. ამიტომაც იბეჭდება *ივერიაში* წერილების სერია *ოსმალოს საქართველო*,[8] რომელიც ამ მიზნის განხორციელებისათვის ზრუნვაში ჩართვისაკენ ნიადაგის მომზადებას ემსახურებოდა. წერილები მაშინ ქვეყნდება, როდესაც რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა ბალკანეთსა და კავკასიის ფრონტებზე. ავტორი იმედოვნებს, რომ რუსეთისათვის სასარგებლო შედეგებით დასრულდება ომი და რუსეთის წარმატების შედეგად საქართველო დაიბრუნებს თავის ღვიძლ ნაწილს. მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას, თუ საჭირო გახდება ამ მიზნისათვის ქართველებმა მსხვერპლიც უნდა გავიღოთ. პუბლიკაცია იწყება საკუთარ იდენტობას მოწყვეტილი ქართული ნაწილის ისტორიის გადმოცემით:

> იმოდენა ღვაწლი, მამა-პაპათა საქართველოს ნაწილების შეერთებისათვის, იმოდენა სისხლი, ვახტანგ გორგასლიდან დავით აღმაშენებლამდე დაღვრილი ქართველთა ერთობისათვის და დასასრულ თვით ამ ერთობის დამკვიდრება ჩვენი სასიქადულო თამარ მეფისაგან, ეს დიადი შრომა ღვაწლი ისტორიული გაუქმდა და გაუქარწყლდა საქართველოს.

ქართველთა შინაგანი ერთობა დაირღვა მრავალი მტრის შემოსევის შედეგად და ერთობით ძლიერი საქართველო დაიშალა სამეფო-სამთავროებად. მხოლოდ ერეკლე მეორის დროს იყო მცდელობა საქართველოს კვლავ გამთლიანებისა. ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფემ და მთავართა ოდიშ-ლეჩხუმ-სამეგრელოს და გურიისა ხელი

[8] სახელწოდებით *ოსმალოს საქართველო* იმ ხანებში *ივერიაში* ცხრა წერილი გამოქვეყნდა, მაგრამ, სპეციალისტების აზრით, ილიას აქედან ეკუთვნის მხოლოდ ერთი. იხ. პ. ინგოროყვა (ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტომი V. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1955, გვ. 389). ეს თვალსაზრისი გაზიარებულია თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაშიც. მაგალითად, იხ. მ. ღაღანიძე. ილია ჭავჭავაძის ოსმალოს საქართველო: ეროვნული ერთიანობის კონცეფცია. ილია ჭავჭავაძე – 170 (საიუბილეო კრებული). თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2007, გვ. 134, შენ 1. აქ მკვლევარი იმოწმებს ტექსტოლოგთა მოსაზრებებს.

მოაწერეს მტრის წინააღმდეგ საერთო გამოსვლის ხელშეკრულებას. მაგრამ მოგვიანებით საქართველო ორ იმპერიულ სახელმწიფოს – რუსეთსა და ოსმალეთს – შორის საწილო-საცილო გახდა. აღნიშნულია რუსეთსა და საქართველოს შორის განაწილებული საქართველოს ტერიტორიული საზღვრები. პუბლიკაციაში მითითებულია "ოსმალოს საქართველოს" საზღვრები: მოიცავდა გურიის სამთავროსა და სამცხე-საათაბაგოს ნაწილს, ქობულეთს, აჭარას, შავშეთს, ერუშეთს, ლივანას და ჭანეთს ანუ ლაზისტანს.

ივერია ხაზს უსვამდა, რომ *ოსმალოს საქართველო* უმეტესად ქართველებით იყო დასახლებული. საერთო სალაპარაკო ენა ქართული იყო. აქაურებს ისტორიული ფესვების მტკიცე ხსოვნა ჰქონიათ. ახსოვდათ, რომ ქართული ტომისანი არიან. ჩვეულება, ყოფა-ცხოვრება ქართული აქვთ, ხოლო სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან. აჭარლებს არა მარტო ენა შეუნარჩუნებიათ, არამედ აჭარული სახალხო ლექსები შემოუნახავთ. იმის დასტურად თუ რამდენად მკვიდრად ცოცხლობს ხსოვნა ქართული კულტურისა, მკითხველს მიეწოდება "ოსმალოს" ქართველებში შემონახული აჭარული სახალხო ლექსი (# 8).

ამავე ნომრის საისტორიო წერილების სერია *ზოგიერთი რამ ჩვენს ისტორიაზე, არხეოლოგიაზე, ყოფა-ცხოვრებაზე და სხვა* (ავტორი ხელს აწერს ინიციალით დ.ბ. – დიმიტრი ბაქრაძე[9]) იხსნება ათონის მთიდან ჩამოტანილი ძველი წიგნის საქართველოსათვის მნიშვნელობის წარმოჩენით. წიგნი ათონის მთიდან მოსულ ბერს ბენედიქტეს მოუტანია. ბენედიქტეს გადმოცემით, ათონის ივერთა მონასტერში 15-20 ქართველი, უმეტესად იმერეთიდან გამოსული ბერი მოღვაწეობდა. ამ მონასტრისათვის საქართველოს მეფეებს და კერძო პირთ მრავალი განძი და უძრავი მამული უძღვნიათ. მეათე საუკუნიდან დაწყებული ქართველი ბერები შეუწყვეტლად მოღვაწეობდნენ. აქ ითარგმნებოდა სასულიერო ხასიათის წიგნები ბერძნულიდან ქართულად. აქ მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა ყოფილა დაცული. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისათვის ივერთა მონასტერი სრულებით დახშული ყოფილა ქართველი ბერებისათვის, რადგანაც ბერძენი ბერები ქართველ ბერებს მონასტერში არ უშვებდნენ.

[9] იხ. ა. კალანდაძე. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, IV. თბილისი, განათლება, 1986, გვ. 267.

როგორც ირკვევა, მამა ბენედიქტეს ჩამოტანილი წიგნი მნიშვნელოვან მასალას შეიცავდა მეათე-მეთორმეტე საუკუნის ქართლის ცხოვრებისათვის. მითითებულია წიგნში შესული აღაპების განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგანაც აღაპები ხანდახან მოიხსენიებენ ისტორიულ პირებს, რომლებიც ან არ არიან თვით ისტორიაში მოხსენიებული, ანდა რომელსამე შემთხვევას ნათელს მოჰფენენ. ამგვარია აღნიშნული პუბლიკაციის მიხედვით ათონის მთის წიგნის აღაპნი. ამის დასტურია ზემოთ აღნიშნული მამა ბენედიქტეს ჩამოტანილი წიგნი, რომელიც საგანგებო მისიით ჩამოსულა საქართველოში – იგი თხოვნით მიმართავს ქართველ საზოგადოებას, ასევე მთავრობას გაუწიონ დახმარება ათონის მთის ქართული კულტურის გადარჩენის საქმეში (# 8).

წერილის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ აწმყო და მომავალ კეთილდღეობასთან ერთად საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარსული ცხოვრების გათვალისწინება. ეს ფაქტორი ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა წარმატების გზაზე დასადგომად. ქართველი ყოველთვის იხსენებს თავიანთ მამა-პაპათა სურათებს და ღირსსახსოვარ საქმეებს, რომელნიც ადამიანს ამხნევებს და სწვრთნის. თუ რომელიმე ოჯახის წევრი ივიწყებს თავის წინაპარს, ის ივიწყებს თავის თავს. ასევე ხალხი უფრთხილდება წინაპართ კვალს და უვლიან საშვილიშვილოდ შესანახად. ამისთანა ღირსახსოვარი და ღირსსაცნობი ფაქტებით მდიდარია საქართველო, მაგრამ საზოგადო ყურადღებას მოკლებულია. მოითხოვს მოძიებას, შეგროვებას შენახვას. დასმულია საკითხი ისტორიული მუზეუმის აუცილებლად დაარსების შესახებ.

მეცხრე ნომრის წერილით *ოსმალოს საქართველო* (ავტორი ილია ჭავჭავაძე) [10] ფრიად საყურადღებო თვალსაზრისი მიეწოდება *ივერიის* მკითხველ საზოგადოებას ისტორიის ფუნქციის გააზრებისათვის, ისტორიული მახსოვრობის, როგორც ერის ჩამოსაყალიბებლად განსაკუთრებული მნიშვნელობის იდენტობრივი მარკერის, შესახებ:

> ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის გულის ბგერას, თვის ზნეობითს

[10] იხ. პ. ინგოროყვა (ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტომი V. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1955, გვ. 389).

> და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვითებას. ჩვენის ფიქრით არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულს უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულობით, ერთგულობით ძლიერია.

ისტორიულ კონტექსტში წარმოდგენილია *ოსმალოს საქართველოს* ღვაწლი ჩვენი ერის ისტორიაში. საუბარია, თუ როგორი თავგანწირვით იბრძოდნენ საქართველოს ამ ნაწილში მცხოვრები ქართველები ქვეყნის არსებობისათვის, სარწმუნოებისათვის, თავისუფლებისათვის. ხაზგასმულია, რომ ამ კუთხიდან იღებს სათავეს ჩვენი ქვეყნის სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი საფუძვლები. აქ ვრცელდება პირველად ქრისტიანული მრწამსი, აქ ეყრება საფუძველი საქართველოს ერთიანობას. აქ იყო მძლავრი კულტურული კერა. აქედან იყო წარმოშობით, შოთა რუსთაველი, აქ მოღვაწეობდნენ უწარჩინებულესი მამანი, საღმრთო და საერო თხზულებათა მთარგმნელები, სახელოვანი მწერალნი. მაგრამ საქართველოს ერთობის დარღვევის შემდეგ, როდესაც ოსმალებმა ბიზანტიის იმპერია დაიკავეს, სამცხე-საათაბაგოს დიდი უბედურება დაატყდა თავს, რომლის დაპყრობასაც ძლიერ ცდილობდნენ და ამისათვის ქრისტიანობის აღმოფხვრა უნდოდათ. სამცხე-საათაბაგო ნელ-ნელა მაჰმადიანობას მიეცა. წერილში ხაზგასმულია, რომ, მიუხედავად ამისა, იქაურმა ქართველებმა შემოინახეს ხსოვნა მათი წინაპრების ქრისტიანობის შესახებ. ზოგიერთები კი ფარულად აღიარებდნენ კიდეც ქრისტიანობას (# 9).

როგორც ეს უკვე მითითებულია სპეციალურ ლიტერატურაში, აღნიშნული წერილი არის უმნიშვნელოვანესი ტექსტი ქართული ნაციონალური იდეის გასაგებად. ამ წერილის შესახებ თავის საინტერესო გამოკვლევაში მ. ღაღანიძე მართებულად აღნიშნავს:

> მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამ ტექსტში გამოჩნდება თემა ისტორიული ხსოვნისა, რაც თაობებს შორის, წინაპრებთან, ტრადიციასთან კავშირს განაპირობებს და რაც მეხსიერებისმიერი აქტუალობის სახით ჯერ ისევ არსებობს. ამ ხსოვნას კი უეჭველი ღირებულება აქვს, რადგან ის ეროვნული ერთიანობის არა მარტო წარსული საყრდენია, არამედ მომავალი მთლიანობის შესაძლო საძირკველიც ... თუ არსებულ სინამდვილეში სარწმუნოებრივი ტრადიციის წყვეტა თვალხილულია, ისტორიულ ხსოვნაში – როგორც

> ხელმისაწვდომი ფაქტი – ის ისევ ცოცხლად არსებობს ... რაკი აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოებრივი დამორების გარდა, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი სარწმუნოებრივადაც დასცილდა დანარჩენ საქართველოში მცხოვრებთ, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი: შეძლებს თუ არა ერის ეს ორი გაყოფილი ნაწილი – ერთმანეთთან შეერთების შემდეგ – ეროვნული ერთიანობის საფუძვლის მოპოვებას? ამ საკითხს ილია მკაფიოდ უპასუხებს და ეს პასუხი დადებითია.[11]

გამოკვლევაში მითითებულია, რომ ილიას თვალსაზრისი ერის რაობის შესახებ გარკვეულ მსგავსებას იჩენს ამავე საკითხზე ე. რენანის თვალსაზრისთან:

> ადვილად ვერ ვიტყვით, რომ ერის რენანისეული კონცეფცია, რომელიც გამოითქვა (ან, უფრო სწორად, წარმოითქვა) ილიას ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ, – ერნესტ რენანის *რა არის ერი*? ხუთი წლით ჩამორჩება ილია ჭავჭავაძის *ოსმალოს საქართველოს*, – მთლიანად ემთხვეოდეს ეროვნული ერთიანობის ილიასეულ კონცეფციას, თუმცა მსგავსებანიც შესამჩნევია, განსაკუთრებით ეს ითქმის იმ პოზიციაზე, სადაც სისხლისმიერი ნათესაობაც (ე.ი. გვარტომობა), ენაც და სარწმუნოებაც გამორიცხულია ერის წარმომშობ ნიშანთა წყებიდან ... იქ, სადაც რენანი მსჯელობს ერისათვის საერთო ისტორიული წარსულის განმაპირობებელი მნიშვნელობის შესახებ, ორივე მოაზროვნის ნათესაობა უეჭველია. ილიას თანამოაზრესა და მის პირველ ბიოგრაფს, გრიგოლ ყიფშიძეს, უთუოდ ჰქონდა საფუძველი, ამგვარ ნათესაობაზე ელაპარაკა, რაც მის დაკვირვებულ და გამჭრიახ მზერაზე მეტყველებს.[12]

---

[11] მ. ღაღანიძე. ილია ჭავჭავაძის ოსმალოს საქართველო: ეროვნული ერთიანობის კონცეფცია. ილია ჭავჭავაძე – 170 (საიუბილეო კრებული). თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2007, გვ. 138.

[12] მ. ღაღანიძე. ილია ჭავჭავაძის ოსმალოს საქართველო: ეროვნული ერთიანობის კონცეფცია. ილია ჭავჭავაძე – 170 (საიუბილეო კრებული). თბილისი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2007, გვ. 144. როგორც უკვე ვთქვით, ესაა ძალიან საინტერესო გამოკვლევა. მიუხედავად ამისა, თავს ნებას მივცემთ მკვლევრის ზემოთ გამოთქმულ თვალსაზრისთან დაკავშირებით გავაკეთოთ ასეთი შენიშვნა: ერის წარმომშობ ფაქტორთა წყებიდან ილიას არასოდეს გამოურიცხავს არათუ გვარტომობა და ენა, არამედ რელიგიაც. ზემოთ განხილულ წერილში ის საუბრობს მხოლოდ ისტორიული მახსოვრობის უპირატეს როლზე. ამავე სტატიაში თავად მ. ღაღანიძეც აღნიშნავს იმას, რომ სხვა ტექსტებში ილია სხვა მარკერებს, მაგალითად ენას, ანიჭებს უპირველეს

გ. ნოდიაც მიუთითებს ილია ჭავჭავაძის აღნიშნული წერილის, როგორც ქართული ნაციონალური იდეის ფორმირებისათვის ფუნდამენტური ტექსტის, მნიშვნელობაზე:

> 1877 წელს, როდესაც ოსმალთა იმპერიასთან ომის შემდეგ რუსეთმა აჭარის – ქართული სამუსლიმანო მხარის – ანექსია მოახდინა, გაჩნდა დამატებითი მოტივი საიმისოდ, რომ მართლმადიდებლურ ქრისტიანობაზე ზედმეტი აქცენტი არ გაკეთებულიყო. დაისახა ახალი პრაქტიკული ამოცანა: ეს ტერიტორიული და კულტურული ერთეული მოდერნული ქართველი ერის მშენებლობის პროექტში ჩართულიყო. ახალმა რეალობამ ილიას უბიძგა წამოეყენებინა ეროვნული იდენტობის მოდიფიცირებული გაგება, რომელიც ისტორიის იდეაზე იქნებოდა დამყარებული, 1877 წელს, აჭარის შემოერთებას რომ მიესალმებოდა, ილია წერდა: 'ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა'. ეს მიდგომა უნისონშია ერნესტ რენანის შეხდულებებთან, რომლებიც რენანმა მოგვიანებით ჩამოაყალიბა ლიბერალურ ნაციონალიზმის კლასიკურ ტექსტში, 1882 წელს ლექციად წაკითხულ ნარკვევში *რა არის ერი*.[13]

მნიშვნელობას (გვ. 140). ასეთი არაცალსახოვნება სრულიად ბუნებრივია, თუ მხედველობაში მივიღებთ ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიის, თავისებურებას. როგორც ეს შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, ამ იდეოლოგიას ნაკლებ ახასიათებს თანამიმდევრულობა. ნაციონალისტების შეხედულებები და აქცენტებიც ხშირად სიტუაციურია და მოვლენათა განვითარების მიხედვით მოდიფიცირდება. ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესში მონაწილე ერთობის წევრებს ანუ პოტენციური ნაციის წევრებს თავადაც არ ახასიათებთ ნაციონალისტთა წინა გამონათქვამებთან ახალი გამონათქვამების შესაბამისობაზე პრობლემისადმი ინტერესი. ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესი ემოციურად უაღრესად დატვირთული პროცესია. მისი აქტორები დეტალებს არ აქცევენ ყურადღებას. ამ იდეოლოგიის ტექსტებისათვის მთავარია არა მკაცრად დაცული შინაგანი შეთანხმებულობა იდეებისა, არამედ ვითარების შესაბამისი ემოციით მოსახლეობის გამსჭვალვა, მისი ნაციონალური იდეით დამუხტვა.

[13] გ. ნოდია. ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი. ქართველი ერის დაბადება (ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, 2007). თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. 125-126.

ჩვენ უკვე არაერთი კორესპონდენცია მიმოვიხილეთ, რომლებიც ქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების საკითხს თუ საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ სხვა პრობლემებს შეეხებოდა. მეათე ნომრის წერილი *ვიცინოთ თუ ვიტიროთ* (ავტორი ილია ჭავჭავაძე) სიტყვა ეხება გორის საოსტატო სემინარიას, რომელიც ამზადებდა მასწავლებლებს ჩვენი სასწავლებლებისთვის, სადაც წესით ქართული ენის სწავლებას პირველი ადგილი უნდა დათმობოდა, სემინარიის გამგეობას გადაუწყვეტია, რომ ქართველი ბავშვების მასწავლებლებს ქართულის ცოდნა არ დასჭირდებოდათ. სასწავლებელს ორმოცდაათი მოწაფე ჰყოლია. აქედან ოცდათერთმეტი ქართველი ყოფილა, დანარჩენი სხვადასხვა ტომისანი. ქართველი ყმაწვილების რაოდენობა ორ მესამედს შეადგენდა და ამის გამო მაინც უნდა დაენიშნათ სემინარიაში ქართული ენის გაკვეთილები. როგორც ვიგებთ, ეს იყო მიზეზი, რომ დირექტორს საგანგებოდ გამოუძიებია და დაუსკვნია, რომ ქართველები ქართველები არ არიანო. სემინარიის მოწაფენი ჩამომავლობით 12 გვარ-ტომობას ეკუთვნიანო: 1) რუსები – 6; 2) ქართველები – 13; 3) იმერლები – 12; 4) სომხები – 6; 5) პოლაკები – 2; 6) ინგილო – 2; 7) გურული – 2; 8) ფშავი – 2; 9) აბხაზი – 2; 10) უდინი – 1; 11) ჩერქეზი – 1; 12) ბერძენი – 1. ამგვარად, გურული, იმერელი, ფშაველი ქართველად არ უცვნია გორის სემინარიას და უფ. დირექტორს სდომებია ქართველი ქართველს დაეშორებინა. რადგან ქართველი, რომ ქართველად დარჩენილიყო ხომ ჰკითხავდნენ რატომ ქართულს არ ასწავლითო. აღშფოთების მიზეზი სამართლიანად არსებობდა. რადგანაც ამ მაგალითით ისეთი უმსგავსი საქმე გაიდგამდა ფესვს საზოგადოებაში, რომ მის მოქმედთ იმის შიშიც კი არ აქვთ დრო მოვა და უკეთური ნაქნარისთვის მოეკითხებათ. ავტორს აღელვებს ის ფაქტიც, რომ საზოგადოებას არ უჩნდება პროტესტის გრძნობა, რომ 'აგრე პირუტყვულად რაზე ვექელინებიო', 'ჩვენ ამაზე ვიცინოთ თუ ვიტიროთ?' – ამ კითხვით ამთავრებს ავტორი (# 10).

აქვე ქვეყნდება უფრო საგანგაშო ფაქტის შესახებ ინფორმაცია. სემინარიასთან არსებულ მოსამზადებელ კურსებზე ქართული ენის სწავლება ამოუღიათ მაგრამ თუ რომელიმე განყოფილებაში (მაგალითად, პირველ განყოფილებაში) ასწავლიდნენ, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ მათ წესიერად წერა-კითხვაც არ ესწავლათ. პროსემინარიის მასწავლებელ ნათიევს საამისოდ საგანგებო მეთოდი

შეუმუშავებია. ამ მეთოდით ქართველ ბავშვებს ქართული სიტყვები რუსული ასოებით უნდა დაეწერათ (ამას ავტორი "ნათიაურ" ანბანს უწოდებს). 'რადგან რუსულს აკლია 15 ნიშანი ჩვენი ხმების გამოსახატავად, ნათიევს თვითონ მოუგონია ახალი ასოები და ამით შეუვსია რუსული ასოების ნაკლი და ჩვენი ანბანი გაუმდიდრებია'. 'საწყალო ბავშვებო! თუ თქვენ ამ ბაბილონის გოდოლის აშენებაში სრული გონება კიდევ შეგრჩათ, ბარაქალა თქვენი ბუნების ძლიერებას!'

მეთერთმეტე ნომრის კორესპონდენცია *ზოგიერთი რამ ჩვენს ისტორიაზე, არხეოლოგიაზე, ყოფა-ცხოვრებაზე და სხვა* (ავტორი დიმიტრი ბაქრაძე) შეეხება კვლავ *ოსმალოს საქართველოს* ანუ მესხეთს (# 11). წარმოუდგენელი ტანჯვა მიაყენეს ოსმალებმა მესხებს. ოსმალნი გრძნობდნენ ქართველი ტომის ახოვანებას და სამხედრო გამოცდილებას. ამისათვის შიშობდნენ, რომ თუ ამერნი და იმერნი მჭიდროდ მოფენილს ერთ გვარტომობისაგან მესხეთს მხარს მისცემდნენ, ვერ გაიდგამდნენ ფესვს. ამიტომაც ოსმალნი ყოველივე ქართულის – ზნეობა, ენა, სარწმუნოება – დევნას იწყებენ. ამ თვალსაზრისით სომხური იდენტობა კარგ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მესხეთი ოსმალებმა სანჯაყებად დაყვეს, ბატონყმობა გააუქმეს, გადასახადები დაადგინეს, გააუქმეს საეპისკოპოსოები და მეჩეთები გამართეს. ავრცელებდნენ მაჰმადიანობას. ხაზგასმულია, რომ მიუხედავად რამდენიმე საუკუნით საქართველოსაგან მოწყვეტისა, "ოსმალოს ქართველნი" თითქმის არ განსხვავდებიან ჩვენგან არც ხასიათით, არც ზნეობით, არც ჩვეულებით, არც ყოფა-ცხოვრებით. მართალია, გარეგნულად მაჰმადიანობა მიუღიათ, მაგრამ "ოსმალოს საქართველოში" შენარჩუნებული ჰქონიათ ხსოვნა მამა-პაპათა აღსარებისა.

მეთორმეტე ნომერი ისევ სახელმწიფო მოხელეების უღირს ქმედებას იუწყება (ავტორი ილია ჭავჭავაძე[14]). ამჯერად, *ივერიის* კრიტიკა ტყეების სახელმწიფო გამგეობას შეეხება, რომელიც გლეხთა განადგურებისათვის შექმნილა, მაგრამ სანაცვლოდ მეტყევეები გაუმდიდრებია. მათ კარგად იცოდნენ, რომ ტყეს გლეხისთვის საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ, ამით სარგებლობდნენ და

[14] იხ. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, IV – პუბლიცისტური წერილები (1863–1882). თბილისი: მეცნიერება, 1997, გვ. 73.

წარბშეუხრელად აძრობდნენ ტყავს მეტყევეები გლეხებს. გამკითხავი კი არავინ იყო (# 12).

ამავე ნომრის *ოსმალოს საქართველო* (პუბლიკაცია ხელმოუწერელია) შეეხება თანადროული მმართველობათა წყობილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. სამცხე-საათაბაგოში ოსმალური წეს-წყობილების შემოღება დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. მაგრამ აჭარაშიც აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებმაც პირიქით, ხელი შეუწყვეს ოსმალური წესების შემოღებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული აქტიურობით გამორჩეულნი ყოფილან ხიმშიაშვილები. თუმცა ამ მოვლენას სასტიკი წინააღმდეგობა შეხვდა ჭანების მხრიდან. ჭანები თავის ნებაზე მოქმედებდნენ და არ ემორჩილებოდნენ ხონთქარს. ახმეთ-ბეგ ხიმშიაშვილმა აჭარლები ჭანეთში მიიყვანა 1819 წელს და სულ დასწვა. ამ ომში ჭანის დედაკაცებიც ღებულობდნენ მონაწილეობას. ხიმშიაშვილებს სხვა თავადებმა მიჰბაძეს და დახმარება გაუწიეს ოსმალოს მმართველობას დამკვიდრებაში, სანაცვლოდ კი მათ სამოხელეო თანამდებობები უბოძეს (# 12).

მომდევნო ნომრის *ოსმალოს საქართველო* (ავტორი ხელს აწერს პ. უმ. ინიციალით – პეტრე უმიკაშვილი) იწყება ოსმალოს დაქვემდებარებაში მყოფი საქართველოს ცალკეული ნაწილების მოკლე ისტორიული ექსკურსი. აქვე წარმოდგენილია ხიმშიაშვილების გვარზე როგორი გავლენა ჰქონდა თანამდებობრივ აღზევებას. როდესაც გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი ახმეთ ფაშა ჯარებით ცდილობს ოსმალოს წესების შემოღებას და დამკვიდრებას, მისი ძმა ჰუსეინი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა ოსმალოს წესების შემოღების შესაფერხებლად, რისთვისაც დააპატიმრეს კიდევაც (# 13).

"ჩვენ – სხვა" ოპოზიციის კონტექსტში მნიშვნელობას იძენს არა მარტო ქვეყნის პოლიტიკური საზღვრებს მიღმა არსებული სამყარო ანუ "გარეშე სხვები", არამედ თავად ქვეყნის შიგნით მცხოვრები ეთნიკური უმცირესობანი ანუ "შინაური სხვები". ასეთები იყვნენ ოსები. *ივერია* საჭიროდ თვლის მისი მკითხველები გაარკვიოს იმაში თუ ვინ იყვნენ ოსები. ქვეყნდება ჟურნალის *Знание* 1876 წლის მეოთხე ნომერში გამოქვეყნებული წერილის *ვინ არიან ოსები?* თარგმანი (მთარგმნელი არ არის მითითებული, პუბლიკაცია ხელმოუწერელია). წერილში განხილულია ევროპულ ისტორიოგრაფიაში ოსების წარმომავლობის შესახებ გამოთქმული თვალსაზრისები (# 13).

მოცემულია ინგლისელი მეცნიერის გოუორტის შეხედულება ოსების სარმატებისაგან წარმომავლობის შესახებ. ინგლისში სარმატების წარმომავლობის ორი თვალსაზრისიდან უფრო გავრცელებული ყოფილა მათი სლავებიდან წარმომავლობის შეხედულება (ვიდრე გერმანული). წერილიდან ირკვევა, რომ ამ საკითხში გოუორტი ეფუძნება სენ-მარტენის კვლევას. სენ-მარტენი საკითხის ანალიზის დროს ყურადღებას ამახვილებს თვითსახელწოდების შესწავლაზე. მისი აზრით, ლინგვისტური თვალსაზრისით თვითსახელწოდება "ოსეტინ" წარმომდგარია ქართული სიტყვისგან "ოსეთი", რომელიც ოსთა ქვეყანას ნიშნავს. წერილში აღნიშნულია, რომ მონღოლების შემოსევამდე ოსებს უცხოვრიათ მთების ჩრდილოეთით თერგამდე, მეოტისის და დონის ახლოს. მათი მეზობლები იყვნენ დასავლეთით ჩერქეზნი, აღმოსავლეთით სხვა კავკასიელნი ტომები. მონღოლებმა ისინი წასწიეს სამხრეთისაკენ. სენ-მარტენი მიუთითებს უძველეს დროში ვოლგისა და დონის მიდამოებში მოხსენიებული მიდიელების, სარმატების, იაქსამატების, ტიქსამატების ერთი სისხლისგან წარმომავლობას. ამის დამადასტურებლად ასახელებს გვარ-ტომობითი სახელწოდებას "მეტ". შაფარიკის, სენ-მარტენის და სხვათა აზრით, სარმატნი მიდიელთა ტომისანი არიან და იაქსამატნი სარმატის შტოისანი. თვით სიტყვა იაქსამატი იაზ // აზ – ოსების სახელია, მატი – მიდიელებისა. გოუორტის შენიშვნით, ოსების ნათესაობა მიდიელებთან დასტურდება ლინგვისტური ფაქტებით. კლაპროტის შეხედულებით, რომელსაც მოხმობილი აქვს ერთი და იმავეს აღმნიშვნელი ოსური და სპარსული სიტყვების გრძელი სია, ოსური ენა მიეკუთვნება არიულ ენას, რადგან ყველაზე მეტად სპარსულს და მიდიურს ჰგავს. ევროპულ ისტორიოგრაფიაში ლინგვისტური მონაცემების საფუძველზე აღნიშნული თვალსაზრისების გათვალისწინებით გოუორტი კავკასიის ოსებს ძველი მწერლებისაგან ხსენებული სარმატების შთამომავლებად მიიჩნევს.

როგორც ვხედავთ, *ივერია* ცდილობდა "შინაურ სხვებზე" მკითხველებისათვის უბრალოდ გადმოცემები კი არა, სამეცნიერო ინფორმაცია მიეწოდებინა. ეს მიუთითებს, რომ *ივერიის* გუნდი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა "შინაურ სხვებს", რაც, აგრეთვე, ნაციონალიზმით მართული პროცესის უნივერსალური მახასიათებელია.

რუბრიკა *ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა* (ავტორი დავით

ჩუბინაშვილი) გვთავაზობს ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერილობას.[15] გამოკვლევაში ქართველი ერი ლინგვისტური თვალსაზრისით ორ ჯგუფად არის დაყოფილი: 'საქართველოს ერი ენისა და ლაპარაკის მიხედვით განიყოფება ორად: პირველს შეადგენენ: ქართველნი, ე.ი. მცხოვრებნი ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, გურიისა, სამცხე-საათაბაგოსა, და მეორენი: მეგრელნი და ჭანელნი მოსახლენი სამეგრელოსა და ჭანეთისა ან კაპადოკიისა'. მკვლევარი კაპადოკიის ტერიტორიული საზღვრების გადმოცემისას იმოწმებს ანტიკური ავტორების მონაცემებს, რითაც მეტ დამაჯერებლობას სძენს და არგუმენტირებულს ხდის გამოთქმულ თვალსაზრისს.

საკითხი ქართული ენის განშტოებების შესახებ დღეისათვისაც აქტუალურია ქართველოლოგიაში. მთელი ქართული საზოგადოების ასეთი ხანგრძლივი ინტერესი ამ პრობლემისადმი მიუთითებს იმას, რომ ეს არაა უბრალოდ სამეცნიერო თემა, ესაა ქართული ნაციონალიზმის ერთ-ერთი "სამშენებლო ბლოკი". ამ დისკურსის მიზანია პასუხი გაეცეს ნაციონალიზმით ინსპირირებულ ამგვარ კითხვებს: "ვინ ვართ? როდიდან ვართ? საიდან მოვდივართ?"

სწორედ ამ მიზეზით ავტორის და, შესაბამისად, *ივერიის* ყურადღების ცენტრში ექცევა კაპადოკია. განმარტებულია, რომ გეოგრაფიული თვალსაზრისით კაპადოკია ხმელეთის და ზღვის ნაპირის კაპადოკიად იყოფა, მაგრამ ერთი ეთნიკური წარმომავლობის, ერთი ნათესაობისა და ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხით ყოფილა დასახლებული. იმოწმებს სტრაბონის მონაცემებს, რომელსაც, ავტორის აზრით, დამაჯერებლობას მატებს ის გარემოება, რომ სტრაბონი 1) მის მიერ აღწერილი ამბების თვითმხილველი ყოფილა, მოუვლია კაპადოკია და მოგზაურობის შედეგად შეუქმნია თავისი შრომა; 2) ყურადღებას იქცევს მისი ეთნიკური წარმომავლობაც – კაპადოკია მისი სამშობლო ქვეყანა ყოფილა, დაბადებულა ქალაქ ამასიაში და დედა ჭანი ჰყოლია.

დამადასტურებელ ფაქტებად იმისა, რომ კაპადოკია ქართველებით ყოფილა დასახლებული, მას მიაჩნია: ტოპონიმები (მრავალი ადგილის,

[15] ა. კალანდაძე აღნიშნავს, რომ ილიას ვ. მაჩაბლის შემწეობით პეტერბურგიდან მიუღია დ. ჩუბინაშვილის *ეთნოგრაფიული განძილვა* ... უთარგმნია და შენიშვნებით გამდიდრებული გამოუქვეყნებია (იხ. ა. კალანდაძე. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, IV. თბილისი: განათლება, 1986, გვ. 348).

მთების, ქალაქების, მდინარეების სახელები), ზნე-ჩვეულება, ყოფა-ქცევა, შინაგანი ცხოვრება და მმართველობის ფორმა.

კაპადოკიის ხალხის მონათესაობით საქართველოს ხალხთან არის ახსნილი კაპადოკიელი სულიერი მამების საქართველოში მოსვლა ქრისტიანობის განსამტკიცებლად. ხაზგასმით აღნიშნულია მათი წარმომავლობის შესახებ, რომ ისინი არ იყვნენ მესოპოტამიელნი, არამედ კაპადოკიელნი იყვნენ. ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ 'ქართული ენა არ სცოდნოდათ ამ წმინდანებს, საქართველოში ვერ გაბედავდნენ მოსვლას და ვერც მოიმოწაფებდნენ ხალხსა. ესეც უნდა ვსთქვათ, რომ წმინდა გიორგი იყო კაპადოკიელი და ამის გამო მთელ საქართველოში ძალიან პატივცემულია. ამ წმინდა გიორგის მონათესავე იყო წმინდა მოციქულთა-სწორი ნინო, აგრეთვე კაპადოკიელი მცოდნე ქართული ენის, უამისოდ არ შეეძლო ქადაგება ქრისტეს სარწმუნოებისა და მოქცევა ქართველთა'.

სულიერ მამათა უდაბნოში ცხოვრება კაპადოკიაში ყოფილა გავრცელებული, რადგანაც მრავლად ყოფილა კლდეში ნაკვეთი ქვაბები და სადგომი სახლები, როგორც საქართველოში უფლისციხე და სხვა. ამ ქვაბებში ცხოვრობდნენ მეუდაბნოენი სვიმეონ დიდი მესვეტე, სვიმეონ მცირე მესვეტე. ეს უკანასკნელი იყო საქართველოში წმინდა იოანე ზედაზნელის და მისი მოწაფეების წარმოგზავნის მიზეზი, რომლებმაც გაავრცელეს და გაამყარეს ცეცხლმსახურთაგან შერყეული ქრისტეს სარწმუნოება, რადგან თვითონაც ქართველები იყვნენ (# 14).

იმ პერიოდში, როცა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქართველობა საკუთარი განსახლების ტერიტორიებსაც ვერ აკონტროლებს რეალურად, ამ დროს *ივერიას* ქართველი მკითხველის თვალსაწიერში შემოჰყავს ვრცელი ტერიტორია არსებული რუსეთის იმპერიის საზღვრებს მიღმა და უყალიბებს მას მიჯაჭვულობას ამ ტერიტორიისადმი. კაპადოკიის, როგორც ქართველთა განსახლების არეალის, ხსოვნის დანერგვა ყოველგვარი პრაქტიკული შედეგის გარეშე უკვე იყო ქართული ერთობის მაკონსოლიდებელი ფაქტორი.

რუბრიკა *ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრებილი* ამბები მკითხველის ყურადღებას მიმართავს რუსეთ-თურქეთის ომის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინგლისურ ჟურნალში გამოქვეყნებულ არასწორ ინფორმაციაზე – ოსმალების მიერ კავკასიაში მოპოვებული წარმატებების, თითქოს ბათუმთან მისული რუსის მხედრობის ზურგს უკან ხალხის

აჯანყების თაობაზე. სინამდვილეში რუბრიკა აცნობებს თავის მკითხველებს, რომ ის ხალხი, რომელთა შესახებ უცხოურ პრესაში ასეთმა მცდარმა აზრმა გაიჟღერა, ვაჟკაცურად ებრძოდა ომარ-ფაშას უწინ და მომავალშიც ვაჟკაცურად დაუხვდება ყოველს მტერს რუსეთისას, რომელიც რუსეთის საზღვარს ფეხს გადმოადგამს (# 14).

ამ ეპიზოდში საყურადღებოა ის გარემოება, რომ ხალხი რუსეთს პოლიტიკურ მოკავშირედ აღიქვამს და საქართველოს მიწა-წყალს რუსეთის პოლიტიკური და ტერიტორიული ერთობის ნაწილად. ეს ფაქტი უნდა გვქონდეს გათვალისწინებული, როცა ვსაუბრობთ ამ პერიოდის ქართულ ნაციონალიზმზე. ამ ნიშნით, ანუ რუსეთთან მიმართებით, ამ ეპოქის ნაციონალისტთა ხედვა განსხვავდება დღევანდელი ქართველი ნაციონალისტების ხედვისაგან. მიუხედავად იმ შევიწროებისა რომელსაც რუსეთის იმპერიაში მყოფი საქართველო განიცდიდა, იმდროინდელ ქართველ ნაციონალსტთა აზრით, სიკეთე მაინც მეტი იყო რუსეთთან ყოფნაში, ვიდრე ბოროტება. მათ სწამდათ, რომ ქართველობას რუსეთს იქით გზა არ ჰქონდა. ამ პუბლიკაციაში და ბევრგან სხვაგანაც *ივერია* ამ აზრს ავითარებს.

საპოლიტიკო მიმოხილვაში გამოქვეყნებულ, გლადსტონის ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში გამოკვეთილია ხალხის როლის გათვალისწინება სწორი პოლიტიკის გატარებისათვის: 'პოლიტიკა მხოლოდ მაშინ მიდის ჯეროვანს გზაზედ, როცა ხალხის სურვილზედ მოქმედების ქვეშ არის და როცა კი მაგ ზედმოქმედების ქვეშ არ არის, იგი სხვას, ცდომილს გზას დაადგება' (# 14).

ეთნოგრაფიული განხილვა (ავტორი დავით ჩუბინაშვილი) კვლავ კაპადოკიას აქცევს ფოკუსში, წარმოგვიდგენს შავი ზღვის პირის კაპადოკიის აღწერილობას, რომელიც ორ თემად იყოფოდა – პონტოს სამეფო და კოლხიდა (# 15).

ამავე ნომრის *ოსმალოს საქართველო* (ავტორი პეტრე უმიკაშვილი) კონკრეტულად აჭარას აცნობს მკითხველებს. წერილში აღწერილია აჭარის მძიმე ყოფითი ცხოვრება: უგზოობა, დუქნების ნაკლებობა, სიღარიბე. მედუქნეებად აქაც ძირითადად სხვა ეროვნების წარმომადგენლები ყოფილან – სომეხი იქნება, ბერძენი თუ თათარი – ყველა, ადგილობრივის გარდა. ეს მონაცემი ამართლებდა ქართულ ანდაზას 'სომეხი დუქანზე, ქართველი გუთანზეო'.

პ. უმიკაშვილს სტატიის წერისას გამოუყენებია გ. ყაზბეგის აჭარაში მოგზაურობის ჩანაწერების ამსახველი ნაშრომი *სამი თვე ოსმალოს საქართველოში*, რომელშიც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი მოგზაურის აღფრთოვანება ნანახის და გაგონილის გამო, სოფელ გორჯომიდან დაშვებულს ბავშვების ქართულად გინება, მოესმა 'თურმე ჩვენები ყოფილა, ჩვენები' – აღნიშნავს აღფრთოვანებით მოგზაური იმ გარემოებას, რომ აჭარლები ერთმანეთს ქართულად ესაუბრებოდნენ და საქართველოს არსება არ გამქრალა. ჩვენთვის საყურადღებოა ტერმინ "ჩვენების" გამოყენება ამ კონტექსტში. როგორც ჩანს, ტერმინი ქართული ერთობის აღმნიშვნელად არის გამოყენებული.

შემდგომ აჭარლების გარეგნობის აღწერაა წარმოდგენილი:

> უნდა შეხედოთ რა მშვენიერი სახისანი არიან. ძონძები რომ გახადოთ, გეგონებათ დიდკაცის დარბაზში გაზრდილები იყვნენო, ისეთი თეთრწითელნი და ლამაზნი არიან. ჩვენ მთიულებსა გვანან და თანაც გურულების სახის იერი მოსდევთ ... ვინც კი შეგხვდა სულ ტანადნი, მხარბეჭიანი და თვალადნი იყვნენ. სუფთა გადაწმენდილი სახე, ცოტა მოდიდო ცხვირი და შავარდენის შეხედულობა, გრძელი და ხშირი თმა ყაბალახ შემოხვეული – ესე ყოველი წარმოგიდგენთ აჭარლის სურათსა ... ტანისამოსი გურული აცვიათ, სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან, შინ ოჯახობაში ქართულათა ლაპარაკობენ, თათრული ენა ხანში შესულმა კაცებმა იციან (# 15).

ეთნოგრაფიულ განხილვაში გრძელდება საუბარი "ძველთა და ახალთა კაპადოკიის მოსახლეობის" (ავტორი დავით ჩუბინაშვილი) შესახებ. წარმოდგენილია პონტოს სამეფოს მონათესაობა საქართველოს ერთან და მათი ენის იგივეობაზე მსჯელობა. დ. ჩუბინაშვილი პონტოს სამეფოს შესახებ მონაცემებს გვაწვდის ქსენოფონტეს *ანაბაზისის* მიხედვით. ქსენოფონტეს მონაცემებს იმ ნიშნით გამოარჩევს, რომ შემდგომში ბერძენი მწერლები იმეორებენ მის ცნობებს. განსაკუთრებით საინტერესოა ქსენოფონტეს მონაცემები ფაზიანელთა შესახებ. ქსენოფონტეს ფაზიანელნი (ქართველთა ბასიანელნი) არ ეკუთვნოდნენ ნათესაობით არც საქართველოს ხალხს, არც სომხის და ჰეროდოტეს დროს იწოდებოდნენ როგორც "ალაროდიანი". ვახუშტი თავის *საქართველოს აღწერაში* მიუთითებს რომ ეს ადგილი პირველად ეკავათ სომხებს, რომლებიც შემდგომ ბაგრატიონებმა დაიმორჩილეს და აქედან

მოყოლებული საქართველოს შემადგენლობაში შედის. ამჟამად ბასიანი არზრუმის ქვეყანას წარმოადგენს. ფაზიანელთა აღწერილობით მონაცემებს მოსდევს ტაოს და სპერის შესახებ ინფორმაცია. ავტორი საგანგებოდ განიხილავს ტაოს და სპერის შესახებ სომეხ მწერალთა თვალსაზრისებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ორივე თემი მათ ეკუთვნოდათ. "თემი" აქ ტომის მნიშვნელობით არის გამოყენებული. ავტორი მიუთითებს სომეხ მწერალთა თვალსაზრისების სიმცდარეზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 'ეს იყო ნამდვილი საქართველო, სახელდებოდა ზემო ქართლად და არა სომხითად: აწცა იწოდების გურჯისტანად და მკვიდრნი მოსახლენი არიან გათათრებულნი ქართველები, რომელთაც არ დაუვიწყნიათ ქართული ენა'.

ე.ი. აქ ეთნიკური იდენტობის უმნიშვნელოვანესი ნიშნები – თვითდასახელება, ენა და ისტორიული მახსოვრობა არსებობას განაგრძობს. გარდა ზემოთქმულისა, ხსენებულ ტერიტორიულ საზღვრებში გამოჩნდნენ პირველად ბაგრატიონები. ეს იყო მათი სამშობლო მამული. მკვლევარი აღნიშნავს, რომ სომხები ცდებიან, როცა აღნიშნავენ, რაც ბაგრატიონებს ეჭირათ მამული, სულ სომხობა იყო. იმოწმებს ზოგიერთ სომეხ მკვლევარსაც, რომლებიც უარყოფენ ამ თვალსაზრისს. მოსე ხორენაცის მიხედვით, 'შამბა (სუმბატ) ბაგრატიონი, თავის ნებით შევიდა მფარველობის ქვეშე ვალარშაკისა სომეხთა მეფისა, რომელმან ნამსახურობისათვის უბოძა ერისთაობა დასავლეთის მხრისა, სადაც არ ლაპარაკობენ სომხურად. დასავლეთი სომხითისა არის: ბასიანი, ტაო, სპერი, არტანუჯი და სხვა'.

ავტორის აზრით, ეპიზოდიდან ნათლად ჩანს, რომ ბაგრატიონები სომხები არ იყვნენ. ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ ჩვენთვის საინტერესო ტერიტორია ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხით იყო დასახლებული (# 16). როგორც ვხედავთ, წარსულის მოგონება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი აწმყოში "ჩვენ – სხვა" ურთიერთობის გასარკვევად. იდენტობათა ჭიდილი, საომარი ველის ნაცვლად, მიმდინარეობს ისტორიის ასპარეზზე.

მომდევნო ნომრის აღნიშნულ სამეცნიერო რუბრიკაში წარმოდგენილია ტაოს და ისპირის ხევის ისტორია, რომელიც კლარჯეთის საერისთავოში შედიოდა, მოსახლეობა ნათესაობით საქართველოს ხალხს ეკუთვნოდა და იწოდებოდა მესხად. ბიზანტიელი მწერლების მონაცემებზე დაყრდნობით, მითითებულია, რომ პონტოს სამეფოში აწინდელ

ტრაპიზონის საფაშოში მკვიდრი მოსახლენი იყვნენ ჭანელნი, რომელთა ენა სრულიად ემსგავსება მეგრულ ენას. ამის საბუთად წერილში დასახელებულია ორივე ენის გრამატიკული მსგავსება (# 17).

მეოცე ნომრის *საქართველოს მატიანე* მთელი საქართველოს ყურადღებას მიაპყრობს რაჭას (ავტორია გოგოლეთლის მეზობელი – ?) განხილულია გოგოლეთელის *დროებაში* გამოქვეყნებული კორესპონდენციები, რომლებიც შეეხებოდა ხვანჭკარას ბანკის ამხანაგობის და ჯაყელის საქმიანობას, ადმინისტრაციის უძრაობას და უქმობას. საუბარია რაჭის მცხოვრებლების ხასიათზე, საზოგადო საქმისადმი მათ გულგრილობაზე:

> რაჭველები მართლაც ხშირათ მაკვირვებენ მე – ზოგიერთ საქმეში ... ისინი იჩენენ შესანიშნავ მხნეობას და სისწრაფეს; ზოგჯერ კი ღმერთმა დაიფაროს, ისინი წარმოგვიდგენენ სრულიად წინააღმდეგს ზემო ნათქვამისას. არამც თუ გულგრილად ეკიდებიან საქმეს, არამედ სრულ იდიოტებათ მოგვაჩვენებენ თავს ხოლმე, მაგალითად, საზოგადო საქმეში მონაწილეობის მიღების დროს. რაც გინდა კარგი საზოგადო საქმე დაიწყოს კაცმა, ყველა ერთბაშათ მოგყვება, მაგრამ ნუ მოელით, თვითონ მოიფიქრონ, ან სხვის მოფიქრებული და მოგონილი გაარჩიონ, დაუკვირდენ შეისწავლონ, ან, ერთი სიტყვით, თავისი აზრი გაურიონ, ან სულ ერთბამად გეტყვიან უარს და შენს წინადადებას არ მიიღებენ; ეს ნიშნავს იმას, რომ სანდო კაცად არ გიცნეს, ან თუ არადა, თუ სანდო ხარ, როგორც, ზემოთ ვთქვი, პირდაპირ მოგენდობიან და რასაც ურჩევ მოგყვებიან. სანდო მოთავენი ხალხისა თითქმის არ გვეგულებიან. ამის მიზეზად დასახელებულია ეკონომიური მდგომარეობა. ჩვენს რაჭველს სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი, ფიქრი მარტო თავისთავზედ, თუ რაჭველმა თავისი თავი და თავისი ოჯახის მოთხოვნილება დააკმაყოფილა, თვითონ გაძღა და ცოლ-შვილი გააძღო, – იგი სხვა რისამე ფიქრისათვის თავს აღარ იტკენს, არის სადმე უმაღლესი რამ წინ წინსვლისათვის, საზოგადოებრივის და ზნეობითის წარმატებისათვის, იგი იმას აღარ დაეძებს.

ამის გამო ვერ გავამტყუნებთო გვეუბნება ავტორი და იქვე დასძენს, განა ამისთვის საჭირო არ არის უფრო მაღალი სწავლა, გონების გახსნილობა? (# 20).

ოსმალოს საქართველო (ავტორი პეტრე უმიკაშვილი) ლივანა, კლარჯეთში არსებულ ვითარებას შეეხება (# 21). პუბლიკაცია მრავალმხრივ არის საინტერესო. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ

ჭოროხის ორივე მხარეს ქართველი ხალხი ცხოვრობდა. აღნიშნულია, რომ ჭოროხის გაღმა-გამოღმა მხარე ძალიან მჭიდროდ დასახლებულია ქართველი ხალხით. სოფლებში მცხოვრებნი გამოირჩევიან მშვენიერი შეხედულებით, წმინდა ქართული საუბრით და გონიერებით. აქ მოსახლე ქართველები სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან, თუმცა შემორჩენიათ ხსოვნა იმისა, რომ ქრისტიანები იყვნენ. ქალაქებში ართვინსა და ისპირში სომეხი კათოლიკე ქრისტიანები, რომლებიც შერეული – სომხურ-ქართულით მეტყველებდნენ. პარხლის ხეობაში ხუთიოდე კომლი დარჩენილა ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელთაც ახალციხეში საკუთარი მღვდელი ჰყოლიათ. პარხლის ხეობა გამოირჩეოდა ქართული ენის განსაკუთრებული კილოთი მოსაუბრე ქართველებით – ჩქარი გამოთქმით და სიტყვის ბოლოში დიფთონგის დაცემით (# 21).

ივერიის ფურცლებზე მკაცრად არის გაკრიტიკებული ქართული სამღვდელოება. ხაზგასმულია, რომ იგი ვერ ასრულებს თავის უმთავრეს დანიშნულებას – ემსახუროს ერს, იზრუნოს მისი კეთილდღეობისათვის.

თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სამღვდელოების საქმიანობის ამსახველი სურათები რუბრიკაში *საქართველოს მატიანე*. კორესპონდენციის ავტორი "ქართველი"[16] (# 22), აღშფოთებას გამოთქვამს *დროებაში* გამოქვეყნებული მასალის გამო – სოფელ ვაქირის ბლაღოჩინის ი. ხატიევის ინიციატივით ოთხი მაზრის – თელავის, სიღნაღის, თიანეთის და ზაქათალის სამღვდელოების საგანგებო თავშეყრილობის შესახებ თელავის სკოლის შემწეობის საკითხის თაობაზე. გულისტკივილით არის აღნიშნული, რომ სამღვდელოებამ დაივიწყა თავისი მოვალეობა და წინდაწინვე, სანამ ყრილობა გაიმართებოდა, გადაწყვიტა, არ დახმარებოდა თელავის სკოლას. აქვე შენიშნულია, რომ საბლაღოჩინოში დეპუტატების არჩევნები დარღვევით ტარდებოდა – მთელი სამღვდელოების ნაცვლად, ისინი ბლაღოჩინების მიერ იყვნენ ამორჩეული. ასე უკანონოდ არჩეული დეპუტატებისა და მათი ამომრჩეველი ბლაღოჩინების შეკრება, რასაკვირველია, სკოლის სასარგებლო შედეგს ვერ გამოიღებდა.

[16] "ქართველი" ამ ფსევდონიმს ატარებდა არაერთი პუბლიცისტი. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ ეს შეიძლება იყოს ნ. მთვარელიშვილი იგივე ნ. მთვარელოვი. რომ ეს უკანასკნელი აღნიშნულ ფსევდონიმს ატარებდა, ამასთან დაკავშირებით იხ. გ. ჯავახიშვილი. ორი სახელის გახსენება. თბილისი, 1982, გვ. 39.

იუმორით არის მოთხრობილი თელავის სამღვდელოთა ყრილობის შესახებ – 'სამღვდელოება პარაკლისისა და "მრავალჯერადი დამთქნარების" შემდეგ შეუდგა კრების თავმჯდომარის არჩევას'.

როგორც კორესპონდენციიდან ვიტყობთ, არჩევნების დროს მათ, დამსწრე საზოგადოება – გარეშე პირები, რომლებიც კრებას ესწრებოდნენ, დაუპირისპირდნენ და არ მისცეს შესაძლებლობა არასწორად ჩაეტარებინათ ეს პროცედურა. აქ არა მარტო სამღვდელოების მიერ მოვალეობის გრძნობის დაკარგვაა ხაზგასმული, არამედ აქვე მითითებულია, რომ სემინარიის კურსდამთავრებულმა დეპუტატებმა თავმჯდომარის არჩევის წესი არ იცოდნენ. ასეთ შემთხვევაში კმაყოფილებითაა აღნიშნული საზოგადო აზრის სიფხიზლე. მართალია, ამ დაპირისპირებამ საზოგადო აზრის გათვალისწინების შედეგი ვერ გამოიღო – მაინც ის აირჩიეს, ვინც მათთვის სასურველი იყო. თუმცა ეს ცნობა ფრიად საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ქართული საზოგადოება ფხიზლობდა. სწორედ, ამიტომ თავმჯდომარემ არჩევისთანავე დაითხოვა მისი წარმომადგენლები კრებიდან, რათა კრების სისუსტე საქვეყნოდ არ გამოსულიყო. როგორც ვხედავთ, საზოგადოების არსებობა *ივერიის* მუდმივი საზრუნავი იყო.

კრებაზე ზედამხედველმა, რომელიც საზოგადო საქმის ერთადერთი მოხელე-გულშემატკივარი აღმოჩნდა, ქართული ენისათვის ცალკე მასწავლებლის მოწვევა და მისთვის ჯამაგირის მომატება მოითხოვა. 'ვინაიდან ქართული ენა ჩვენი სამშობლო ენაა, სირცხვილია ჩვენმა შვილებმა არ იცოდნენ ჩვენი სამშობლო ენა'. ქართული ენა ყველა სასწავლებელში დავარდნილია და ჩვენი ვალია ფეხზე დავაყენოთო – განუცხადებია ზედამხედველს. თავის გამოსვლაში ზედამხედველს დაუსვამს არა მარტო მშობლიური ენის დაცვის საკითხი, არამედ ცდილობდა თურმე გადაგვარებულ სამღვდელოებაში გაეღვიძებინა სამშობლოსადმი სიყვარული და მოვალეობის გრძნობა. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ სასულიერო პირებს მხარდაჭერა გამოეცხადებინათ, უარყოფდნენ ენას, რომელიც ქართველობის შენარჩუნების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი იყო – 'ქართულ ენას რა თავში ვიხლით, რითაც პურს შესჭამენ, ჩვენს შვილებს ის ასწავლეთო', აცხადებდნენ ისინი. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კორესპონდენციაში ზედამხედველის სახელი ინიციალების სახითაა მოცემული. გასაკვირი არც არის. შესაძლოა, კრებიდან გარეშე პირების დათხოვნის შემდეგ, სწორედ,

ზედამხედველი იყოს ის პიროვნება, ვინც თავის მომმეების სისუსტეს გამოაშკარავებდა საქვეყნოდ. ჩანს, ამიტომაც არის ზედამხედველის სახელი და გვარი ინიციალებით აღნიშნული. თუმცა *ივერიაში* გამოქვეყნებული თელავის სამღვდელოთა ყრილობის მასალები გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ მისი ვინაობა – ეს არის თელავისავე სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებული ნიკოლოზ მთვარელოვი.

პ. უმიკაშვილის მომდევნო წერილი რუბრიკიდან *ოსმალოს საქართველო* ტაოს-ჯარის, კოლას, ჭანეთის ვითარებას ასახავს (# 23). ავტორი *ივერიის* მკითხველს უზიარებს თავის შთაბეჭდილებებს, მიუთითებს, რომ ყველა სიამოვნებით ნახავს ჭანების სახლის დარბაისლურ მოწყობილობას: სახლი შიგნიდან და გარედან გალესილი და თეთრად გაცარცულია, ავეჯეულობა ლამაზად დალაგებული და მორთული. დედაკაცი მშვენიერი შეხედულობისაა, კარგი ხელის შემწყობი, ტანით ისე იმოსება როგორც გურული, მაგრამ უფრო ძვირფასი ტანსაცმელი – მაუდი, შალი და აბრეშუმი აქ ყველას გააჩნია. კაცებს ნაბადის ნაცვლად იტალიური პალტო აცვიათ. ყაბალახის ნაცვლად წითელი ოსმალური ფახი ახურავთ. ჭანებში ძალიან გავრცელებული ყოფილა წერა-კითხვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული ასოების მაგივრად არაბულს იყენებენ. ლაპარაკობენ ჭანურად, რომელიც მეგრულისაგან მცირედ განსხვავდება (# 23).

ივერიაში კიდევ ვხვდებით ქართული სამღვდელოების უღირსი ქმედების ამსახველ ეპიზოდებს. თელავის ბლაღოჩინს ს. ფირანოვს ბრალდება სოფელ კურდღელაურის წმ. გიორგის ეკლესიისათვის ეგზარქოსის ნებართვით პრიკაზიდან გამოყოფილი თანხის არამიზნობრივად დახარჯვა, რის თაობაზეც მას შელაპარაკება მოუხდა ადგილობრივ თავად ალექსანდრე ვახვახოვთან. მომრიგებელმა მოსამართლემ გაამართლა თავადი, რომელსაც ბლაღოჩინი აბრალებდა შეურაცხყოფას და კეთილის მოწიწების დარღვევას ეკლესიაში ნათლისღების საიდუმლოს აღსრულების დროს (# 24).

სასულიერო პირების საქმიანობა ხელშესახებად არის გადმოცემული ზემოთ ხსენებული თელავის სამღვდელოთა ყრილობის მასალებში. პუბლიკაცია (# 25) იწყება დავით გურამიშვილის შეგონებით:

> მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების,
> მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების!

წამხდენელთა და მბაძველთა კიდევ სხვაც რამ წაუხდების
ძრახვავე სჯობს საძრახავთა, ძრახვას კაცი მოუფრთხების!

კორესპონდენტის[17] მიზანია ასახოს რეალური სურათი სამღვდელოებაში შექმნილი ვითარებისა, რომ ამით ქვეყანას არგოს. გამოაშკარავებით ხომ ავის მქნელი დაფრთხება და მოერიდება ცუდი საქმეების კეთებას.

წერილი იწყება თელავის სასულიერო სასწავლებელში შექმნილი აღმაშფოთებელი მდგომარეობის აღწერით. 1867 წლიდან ახალი კანონებით სამღვდელოების უფლებები გაიზარდა. ამასთან მას დაევალა თელავის სასულიერო სასწავლებლის წარმატებაზე ზრუნვა, სასწავლებლის სასარგებლოდ შემოწირულობის სახით დახმარება. მაგრამ სამღვდელოთა უფლებები თითქმის უნაყოფო აღმოჩნდა. მცირედი შემოწირულობის გამო, სამღვდელოება ჩვეულებისამებრ უმაღლესი მთავრობისაგან ელოდა შემწეობას, სწავლის დონემ ძლიერ დაიწია სასწავლებელში. ამის გამო საქართველო-იმერეთის კანტორამ უწმინდეს სინოდს მიმართა მისი გაუქმების თხოვნით. სინოდმა არ დააკმაყოფილა თხოვნა. მაგრამ სამღვდელოებას აცნობა მატერიალური დახმარება გაეწია სასწავლებლისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო-იმერეთის კანტორას გააუქმებდა.

ამ საკითხების განხილვაა მოცემული თელავის სამღვდელოთ ყრილობის 1875–1877 წლებში ხუთჯერ გამართული შეკრებების მასალებში, რომელთა 'გულწრფელ აღწერას' ისახავს ავტორი მიზნად. საინტერესოდაა დახასიათებული 1875 წლის 19 სექტემბერს ჩატარებული კრების თავმჯდომარის – სიღნაღის მღვდლის ლაზარე ტურიევის სახე, რომელიც ამ დროისათვის *საღმრთო წერილის* მასწავლებლად მუშაობდა გორის საოსტატო სემინარიაში. როგორც კორესპონდენციიდან ირკვევა, ლ. ტურიევი ერთ-ერთი იმათგანია ვინც გაკიცხვას იმსახურებს – მოერგო მდგომარეობას და საზოგადო საქმისათვის უფრო ზიანი მოჰქონდა, ვიდრე სარგებლობა. იმ საქმეში იყო თავგამოდებული, სადაც პირად სარგებლობას ეხებოდა საქმე.

1867 წლიდან თელავისა და სიღნაღის სამღვდელოებას შორის უთანხმოება იყო ჩამოვარდნილი იმის თაობაზე, გადაეტანათ თუ არა

[17] ავტორად გ. ჯავახიშვილი ასახელებს ნ. მთვარელიშვილს. იხ. ნ. მთვარელიშვილი. თხზულებანი (გამოსაცემად მოამზადა შესავალი წერილი და ბიბლიოგრაფია დაურთო გ. ჯავახიშვილმა). თბილისი, 2010, გვ. 20.

თელავის სასწავლებელი სიღნაღში წმ. ნინოს ბოდბის მონასტრის სახლებში. სიღნაღის სამღვდელოების ამ მოთხოვნას მხარს უჭერდა თავმჯდომარის ძმა თომა ტურიევი, რომელიც თბილისის სემინარიაში მუშაობდა მასწავლებლად, იმ მიზნით, რომ უფრო ექნებოდა გავლენა ქიზიყის სამღვდელოებაზე. სწორედ, ძმები ტურიევების პირადი სარგებლობის მიზეზით შექმნილმა განხეთქილებამ ძალიან დააზარალა სასწავლებელი – ვერ მოხერხდა მოსამზადებელი კლასის გახსნა და ვერც სასწავლებლის სხვა საჭიროებებზე იქნა მიღწეული თანხმობა თელავისა და სიღნაღის სამღვდელოებას შორის. შექმნილმა ვითარებამ დროებით გამოაფხიზლა სასულიერო პირები – გამოცდილებამ აჩვენა, რომ უნდა შეეცვალათ სასწავლებლისადმი დამოკიდებულება.

ამ ყრილობაზე იქნა ამორჩეული ზედამხედველად ნ. მთვარელოვი, რომლის საქმიანობის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, მაგრამ ამჯერად მისი მოღვაწეობის სხვა დეტალებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელიც ხსენებულ კორესპონდენციაში არ იყო აღნიშნული. მასალიდან ვიტყობთ, რომ ნ. მთვარელოვს ძალიან საინტერესო ბიოგრაფიული მონაცემები ჰქონია – დაუმთავრებია თელავის და თბილისის სასულიერო სასწავლებლები, უარი უთქვამს მღვდლობაზე და მასზე დამტკიცებული მამის ადგილი მღვდლობისა სხვისთვის დაუთმია, თვითონ მასწავლებლად დაუწყია მუშაობა. ოთხი წლის მუშაობის შემდეგ პეტერბურგის სასულიერო სასწავლებელში გამგზავრებულა განათლების მისაღებად და იქიდან მობრუნებისთანავე დაუნიშნავთ თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად იმ იმედით, რომ მისი გამოცდილება ფეხზე დააყენებდა და წარმატებას მოუპოვებდა სასწავლებელს. იგი, მართლაც, საზოგადო საქმისთვის თავგამოდებული პიროვნება აღმოჩნდა, შეძლო გადაგვარებული ქართული სამღვდელოების ჩართვა სასწავლებლის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში. თითქმის გადაწყვეტილი საქმის ჩამშლელად კრებაზე გამოცხადებულა თელავის ბლაღოჩინი ს. ფირანოვი, რომლის უღირს ქმედებებზე ზემოთ გვქონდა საუბარი. მაგრამ ზედამხედველმა შეძლო დაედასტურებინა შეკრებილი საზოგადოებისათვის, რომ განსახილველი საკითხები აუცილებელი იყო სასწავლებლის წარმატებისათვის. ს. ფირანოვის წინადადება – საჭირო თანხა გაეწერათ საბლაღოჩინოებზე და ბლაღოჩინები ჩაერთოთ ამ საქმეში (საუბარია თანხის მღვდლებზე

განაწილება-შეგროვებაზე), ისევ დეპუტატებმა უარყვეს, იმ მიზეზით, რომ მრავალი ბოროტმოქმედება შეიძლება მომხდარიყო ბლაღოჩინების მხრიდან. გარდა ამისა, ბლაღოჩინი ს. ფირანოვი ხომ ერთხელ უკვე იყო მხილებული საეკლესიო თანხის გაფლანგვაში, საზოგადოება მას ყველაზე ნაკლებად თუ ანდობდა ამ საქმის წარმართვას. ნ. მთვარელოვის შუამდგომლობით მიღწეულ იქნა შეთანხმება ქიზიყელ და თელაველ სამღვდელოებას შორის მოსამზადებელი კლასის გახსნის თაობაზე და ეს კლასი გაიხსნა კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადო სიკეთის მოქმედად მიიჩნიეს და სწორედ, ამიტომ ამოირჩიეს ნ. მთვარელოვი, სამღვდელოებისათვის, რომლებიც ქაღალდზე ფულის შეწირვას იყვნენ მიჩვეული, რის გამოც დაიწია სწავლის დონემ და ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა სასწავლებელი, მაინც მოულოდნელი იყო ზედამხედველის ასეთი ერთგულება საქმისადმი.

მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით *ივერიის* ფურცლებზე მასალებს სახელმწიფო მოხელის კეთილსინდისიერი საქციელის შესახებ. *საქართველოს მატიანე* იუწყება კახეთში ახლად დანიშნული პოლიციის პრისტავის საქმიანობით მადლიერი მოსახლეობის თაობაზე. პრისტავი ხალხის გულშემატკივარი გამოდგა, რომელმაც მოახერხა ქურდობის მოსპობა (# 25). როგორც ვხედავთ, საქმიანობის შეფასებისათვის ხალხთან მიმართებაა გადამწყვეტი. თუ ფეოდალურ საქართველოში კაცის ღირსება პატრონისათვის სამსახურში გამოიხატებოდა, ნაციონალური კონსოლიდაციის ეპოქაში ხალხის გულშემატკივრობაა მთავარი.

აქვე საუბარია სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში ზედამხედველის წყალობით სწავლების უკიდურესად გაუარესების შესახებ. იმის მაგივრად, რომ თავისი მოვალეობა კეთილსინდისიერად შეესრულებინა, იგი თურმე ხშირად აცდენდა გაკვეთილებს. სამაგიეროდ, მას დროსტარება ჰყვარებია. მასწავლებელს, რომელსაც თავისი მოვალეობა დავიწყებული ჰქონდა, ჯამაგირის მომატება უთხოვია, თუმცა საყურადღებოა, რომ ანგარიშს არ აძლევდა სამღვდელოებას შემოსავალ-გასავლის შესახებ. იგი თვითნებურად ახდევინებდა მოსწავლეებს სწავლის წლიურ გადასახადს, მაგრამ სასკოლო ნივთები მათ მაინც არ ჰქონდათ. ამის თაობაზე განხეთქილებაც მომხდარა ზედამხედველსა და სამღვდელოებას შორის. ზედამხედველს უმართებულო სიტყვებით მიუმართავს სამღვდელოებისათვის.

იმედია გამოთქმული, რომ ასეთი უღირსი ზედამხედველის საქმიანობა რიგიანად იქნება გამოძიებული (# 25).

მღვდლის უღირს ქმედებას ეძღვნება მომდევნო ნომერში გამოქვეყნებული კორესპონდენციაც ქართლიდან, კერძოდ, კავთისხევიდან, რომლიდანაც ვგებულობთ, რომ ხალხი უარყოფითად შეხვდა მაზრის უფროსის განცხადებას სკოლის გახსნის თაობაზე, რაც, როგორც მითითებულია, გამოწვეული იყო, მღვდელ დავით ბარნაბიშვილის აქტიური პროპაგანდით. იგი ხალხს ყოველი საეკლესიო ხარჯისაგან განთავისუფლებას ჰპირდებოდა, ოღონდ სკოლის აშენებაზე უარი ეთქვათ და სანაცვლოდ მისთვის სახლი აეშენებინათ. სკოლის მზრუნველმა, მამასახლისმა და მწერალმა ხალხს უჩვენა სასწავლებლის დაარსების აუცილებლობა და ხალხის თანხმობა მაზრის უფროსთან გაგზავნეს დასამტკიცებლად, მღვდელი ბარნაბიშვილი კი სახალხოდ დაითხოვეს ყრილობიდან (# 26).

სამღვდელოთა საქმიანობის კრიტიკა გრძელდება თელავის სამღვდელოთა ყრილობის შემდგომი სხდომის ამსახველ მასალაში (# 26). მსჯელობის საგანი იყო სასწავლებლის საჭიროებისათვის (მოსამზადებელი კლასის მეორე განყოფილების გახსნა, სასწავლებლისათვის პანსიონის დაარსება, სასწავლებლის ეზოს შემოზღუდვა გალავნით და სასწავლებლის შენობის მოწესრიგება), შემოწირულობის წყაროს საკითხი. სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ყვარლის მღვდელი მ. ვარდიევი, ხოლო საქმის მწარმოებლად – მღვდელი მ. ხელაევი. ამ ყრილობაზე მოსთხოვა ზედამხედველმა (მისი სახელი და გვარი არ არის მითითებული, მაგრამ ეს ზედამხედველი, აშკარად, უკვე არაერთხელ ნახსენები ნ. მთვარელოვია. – მ.ჩ, ქ.მ.) სამღვდელოებას გაეღო შესაწირი. სამღვდელოება მიიჩნევდა, რომ ყველა დასმული საკითხი ღირსი იყო აღსრულებისა, მაგრამ როგორც კი მათი ჯიბიდან თანხის შეწირვაზე მიდგა საუბარი, მათი მცირე ნაწილის გარდა, თითქმის ყველამ უარი განაცხადა. ნ. მთვარელოვი შეეცადა გაეღვიძებინა მათში სასარგებლო საქმისათვის ხელის შეწყობის აუცილებლობა. კორესპონდენციაში მრევლოვების და ფირანოვების მსჯელობა შედარებულია ‘ახლად ენა ადგმულს ბალღს, რომელიც აღტაცებაში მოდის იმით, რომ სხვის გაგონილ სიტყვებს იმეორებს კაჭკაჭივით’. ამიტომ განუმარტავდა ნ. მთვარელოვი მათ, რომ ისევ და ისევ მათივე შვილების

კეთილდღეობისათვის უნდა გაიღონ შემწეობა, 'თუ მამამ ვისთვისმე უნდა გაიმეტოს შეწირულობა, უმეტესად შვილისათვის უნდა გაიმეტოს' – მიმართა მან სამღვდელოთ და გაარკვია თუ რამდენს გაიღებდა თითოეული მათგანი ამ საქმისათვის. ნ. მთვარელოვის მონდომებით და წყალობით, მიუხედავად დიდი წინაღმდეგობისა, გარკვეული შედეგი მაინც მიიღო ამ შეკრებამ: სამღვდელოებამ თანხმობა გამოაცხადა შემოწირულობაზე, გაიხსნა მოსამზადებელი კლასის მეორე განყოფილება და პანსიონი, სახლების "განშვენებისათვის" შემწეობა თხოვეს საქართველო-იმერეთის კანტორას. შემდგომი ყრილობა 1877 წლის 9-10 იანვარს გაიმართა (# 27). თავმჯდომარედ ს. ბოდაევს და საქმის მწარმოებლად მ. ხელაევს ირჩევენ. საქართველო-იმერეთის კანტორამ უარი შემოთვალა სახლების განსაშვენებელი თანხით შესწეოდა საქმეს. კანტორა მიიჩნევდა, რომ სამღვდელოებას შეეძლო საკუთარი ხარჯებით გადაეწყვიტა ეს საკითხი. ორი დღე მსჯელობდნენ სასულიერო პირები იმის თაობაზე, გაეღოთ თუ არა შემწეობა, მაგრამ საბოლოოდ მაინც 'საკუთარ აზრს და ცნობას მოკლებულმა დეპუტატებმა' პირველ დღეს მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა მოითხოვეს მეორე დღეს და საქმის მწარმოებელს მღვდელ მ. ხელაევს თხოვეს ახალი განჩინების შედგენა, რაზეც მ. ხელაევმა სასტიკი უარი განაცხადა. მ. ხელაევის ზნეობრივი მაგალითი ვერ ახდენს ზემოქმედებას სამღვდელოების უზნეობაზე. თვითონ თავმჯდომარემ შეადგინა ახალი განჩინება, რომელსაც ყველა დეპუტატმა მოაწერა ხელი. როგორც ვხედავთ, *ივერია* საქართველოს ერთ კუთხეში სასწავლო კერის მოწყობასთან დაკავშირებულ ვითარებას ამცნობს მთელ ქვეყანას ანუ საერთო–ეროვნულ მნიშვნელობას ანიჭებს კერძო ფაქტს.

ივერიაში ერთ-ერთი რუბრიკა, როგორც ითქვა, ეძღვნება საერთაშორისო ვითარების ასახვას, სადაც გაშუქებულია სხვა საყურადღებო მოვლენებთან ერთად რუსეთ-ოსმალეთის ომის მიმდინარეობა. ამ ომში საქართველო პირდაპირ იყო ჩართული. ერთი მხრივ, ქართველი მეომრები თავგანწირვით იბრძოდნენ ომში, მეორე მხრივ, საქართველო ოსმალეთისა და რუსეთისათვის საცილო ტერიტორიას წარმოადგენდა.

ივერიაში საკმაოდ დეტალურად არის გაშუქებული მიმდინარე ომის შედეგები. ოსმალეთმა რუსეთს აფხაზეთის მხრიდან შეუტია. მაგრამ სასტიკი მარცხი განიცადა. უკან დახეული ოსმალთა ჯარი

აფხაზებს წაასხამს თან. მკითხველს მიეწოდება ტრაპიზონის გაზეთის კორესპონდენტის ცნობა იქ გადასახლებულთა მდგომარეობის შესახებ. ამ მონაცემების თანახმად, ოსმალეთში იძულებით გადასახლებულთა რიცხვი ოციათასს აღწევს (მათ შორის, სამოცი სახლი აფხაზეთში მოსახლე მეგრელი ყოფილა), ისინი ომის დამთავრებას ელოდებიან უკან დაბრუნების იმედით, უკმაყოფილო არიან თავიანთი ახალი მდგომარეობით, ხონთქარის დაპირებები ამაო აღმოჩნდა, ამასობაში დღიური ლუკმა შემოაკლდათ. თავის მხრივ, ქალაქიც უკმაყოფილო იყო მათი მოსვლით – ქურდობას არიან მიჩვეული ჩერქეზებივითო. მაგრამ ამ განცხადებას კორესპონდენტი ცილისწამებას უწოდებს და მიუთითებს განსხვავებაზე ჩერქეზებსა და აფხაზებს შორის (# 28).

ივერიის სხვა ნომრებშიც კრიტიკა არ ასცდა იმ მოხელეებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში თანამდებობებს გამდიდრების წყაროდ იყენებდნენ. მაგალითად, ქვეყნდება წერილები მამასახლისების უღირსი ქმედებების შესახებ. საუბარია თუ როგორ ჰყავდა დატანჯული გლეხები კავთისხევის მამასახლისს, თუ როგორ უმოწყალოდ სცემდა უმიზეზოდ მათ. წერილში ხაზგასმულია გლეხების ინდიფერენტულობაც, რაც მათი მატერიალური მდგომარეობით არის ახსნილი. მამასახლისის ასეთ უზნეო მოპყრობას მთავრობის ყურამდე არ მიუღწევია, რადგან ხარჯი და მიდევნება სჭირდებოდა, რაც გლეხისთვის კორესპონდენტის სიტყვებით რომ ვთქვათ, მეტი "ხლაპოტი" იყო. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ცხრა წელი ჰყოლია ამგვარ ტანჯვაში გლეხები მამასახლისს, სამჯერ გასვლია ვადა და ისევ აურჩევია იმავე ხალხს ამქრების დაჟინებით და შიშით (# 22). ასევე გვხვდება ინფორმაცია კუხის (ქუთაისთან) მამასახლისის არაკეთილსინდისიერი ქმედების შესახებ, თუ როგორ აქცია მან გამდიდრების წყაროდ თანამდებობა. როგორ შეიძინა წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის შეგროვილი ფულით კამეჩები და ურმები, ამას არ დასჯერდა და გასაყიდი თივის შესაძენი ფულიც გლეხებისგან აიღო, სცადა სახაზინო გადასახადის წინადღით შეგროვილი ფულის გამოყენება. მამასახლისისგან შეწუხებული სოფელი მის გამოცვლას ითხოვდა (# 29).

ასევე მოცემულია ინფორმაცია ჯიხაიშის სასოფლო სკოლის მასწავლებლის უღირსი საქციელის შესახებ – როგორ გადაახდევინა ორჯერ მეტი შეგირდებს სასკოლო წიგნებში (# 29).

რედაქცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უცხოურ მედიაში გამოთქმულ თვალსაზრისს საქართველოს შესახებ. ამჯერად *ივერიის* თვალსაწიერში მოქცეულია საფრანგეთის გაზეთ *ტემპსის* კორესპონდენტის კუტულის ცნობები თბილისში მოგზაურობის თაობაზე (ავტორი ფსევდონიმით ვაკელი – ილია ჭავჭავაძე). სომხების წრემ, რომელსაც თბილისში შეხვდა კუტული, დიდი მჭევრმეტყველებით აღუწერა თავიანთი დიდება, რომელიც კორესპონდენტმა გამოაქვეყნა ფრანგულ გაზეთში. თბილისში იგი გაიცნობს სომხური გაზეთის *მშაკის* რედაქტორს გრიგოლ არწრუნს (კუტული მას კეთილშობილური შთამომავლობის წარმომადგენლად თვლის, რის დასტურადაც "უნი" დაბოლოებას უთითებს. მისი შენიშვნით (საუბარია კუტულის თვალსაზრისზე), არწრუნი არისტოკრატობას ჰჩემობს და ძალიან მონდომებულია, რომელსაც კუტული მიჰყავს 'თბილისის პატარა პარლამენტში' ანუ სომხურ ეკლესიაში, ალექსანდროვის ბაღში საქეიფოდ, აცნობს თავის მეგობრებს, ყველგან, სადაც ლხინს შესწრებია, მიურთმევიათ სომხური საჭმელები. კუტული აღტაცებული შენიშნავს 'უთუოდ ედემი სომხეთში ყოფილაო' – თბილისი სომხეთად მოეჩვენება. საინტერესოა შინდისში დღეობაზე მიწვევის ფაქტიც. აღტაცებულ კუტულის მხოლოდ ერთი რამე არ მოსწონებია – ქართველი ქალების დიდი ცხვირი. ქართველთაგან მას მხოლოდ ერთი კაცი გაუცვნია ივან ფორაქოვი, რომელიც ქართველების ტიპი არ ყოფილა რადგან ვაჭრობდა. მისთვის და მისი სადილის აღწერისათვის უძღვნია ერთი კორესპონდენცია. საინტერესოა კუტულის შეკითხვა ფორაქოვისადმი ცხოვრობდნენ ურიები თუ არა თბილისში. როგორ არა განა ურიები სომხები არ არიანო – პასუხობს ფორაქოვი.

ამიერკავკასიაში ოთხი გვარის ხალხს ასახელებს: სომხებს, ქართველებს, თათრებს, რუსებს. მიუთითებს, რომ ქართველებზე ნაკლები არიან რიცხობრივად სომხები, მაგრამ საუკუნის დასასრულამდე მათ გამრავლებას და ქართველებზე აღმატებას ვარაუდობს. კუტული სამხედრო სამსახურში ბევრ სომეხს ასახელებს. კუტული აგრეთვე ჩამოთვლის ვინც გამოჩენილი ყოფილა სომეხთაგან ხელოვნებაში, მეცნიერებაში თუ სხვა ასპარეზზე. არწრუნის დიდი მონდომებით, თბილისის სომხური საზოგადოების გაცნობით აღფრთოვანებული კუტული, წინასწარმეტყველურ აზრებს სთავაზობდა თურმე

ფრანგულენოვან მკითხველს – მომავალი კავკასიაში სომხებს ეკუთვნის და მის მეზობლებს სხვა არა დარჩენიათ რა გასომხდნენო.

იმ გადმოცემათაგან, რომელიც კუტულის გამოუქვეყნებია, ილია ერთ-ერთ თხრობაზე ამახვილებს ყურადღებას – ათი წლის წინ თბილისის სომხურ ოჯახებში ქართული ენა ყოფილა გავრცელებული, ამ დროისათვის კი ყველა სომხურად მეტყველებდა. როგორც წერილიდან ვიტყობთ, კუტული არაფერს ამბობს ქართველთა ვაჟკაცობაზე. მაჰმადიანებით გარშემორტყმულ საქართველოს ერთმანეთის შურით და წეწვით ღონემიხდილად წარმოგვიდგენს. სტატიაში მოხმობილია აღმოსავლეთმცოდნე მეცნიერის დოლორიეს თვალსაზრისი ქართველების შესახებ: ერთობ მამაცი, მხნე, თავგანწირული ხალხი რომ არ ყოფილიყვნენ ქართველები, შეუძლებელი იქნებოდა გაეძლო ამდენი ბრძოლისათვის ბარბაროსებთან. კუტული კი ქართველებს გენერლების, ჩალვადრების და მეურმეების ნაციას უწოდებს. ამასთან დაკავშირებით ავტორის კომენტარი ასეთია: 'არისტოკრატობა უფროს არწრუნს დაუჩემებია. ნეტა გირაოში ხომ არ დარჩენია ქართველთაგან კეთილშობილება, რომლითაც კუტულის წინაშე დაუქადნია ამ ჭკუა ძლიერ ფილოსოფოსს'. თუმცა არწრუნის აზრით, არც ერთი ქართველი გენერალი არ შეიძლება ჩაითვალოს გამოჩენილ სარდლად. ქართველ თავადაზნაურობას იგი გაკოტრებულად აცხადებს – ქართველებმა არშიყობის მეტი არა იციან რა, მარტო სახელმწიფო სამსახურში შესვლას ცდილობენ, რადგანაც ადვილი ხელობააო; ვაჭრობის და ხელოსნობის ნიჭის უქონლად ასახელებდა ქართველებს და თან შენიშავდა თურმე: ქართველებშიც მოიპოვება მოვაჭრეები, მაგრამ ისინიც ფულს სომხურად ითვლიანო. აქ კომენტარს აკეთებს ილია: რით აგვიხსნის არწრუნი, რომ მრავალი სომეხი არამცთუ ფულს სომხურად თვლის, არამედ დავთრებსაც ქართულად ადგენს. არწრუნს სურს დააჯეროს კუტული, რომ ქართველები მალე გასომხდებიანო. გლეხები ზარმაცებად და ლოთებად არიან მოხსენიებული, მათ არცერთი მიწა მემამულისაგან არ შეუსყიდნიათო (## 30, 31).

ეს პუბლიკაცია უაღრესად საინტერესოა "ჩვენ – სხვა" ოპოზიციის კონტექსტში. *ივერიის* ასეთი ცხოველი და მუდმივი ინტერესი სომხებისადმი (ამ პათოსის წერილები სხვა უამრავი გვხდება) იმის მაჩვენებელია, რომ ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესში ქართველთა "მნიშვნელოვანი სხვები" სწორედ "შინაური სხვები",

კონკრეტულად, სომხები იყვნენ. "შინაური სხვა" ერთობისათვის განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს, რადგან ამ შემთვევაში საზღვარი სხვადასხვა იდენტობებს შორის მხოლოდ კულტურით უნდა დაფიქსირდეს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ სომხური იდენტობა არის დიდი კულტურულ რესურსის მქონე იდენტობა. მეცხრამეტე საუკუნის სომხობა საქართველოში დიდი მატერიალური რესურსის მქონეც იყო. სომხების, როგორც დიასპორა ხალხის, ინტეგრირება ქართველთა ეთნონაციონალური კონსოლიდაციისას პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, საქართველოში მცხოვრები სომხობა რჩებოდა ქართული ერთობის მუდმივ გამოწვევად.

31-ის კორესპონდენცია ისევ მოხელეების: ჩაფრების, მამასახლისების და სოფლის მწერლების უღირსი ქმედებების შესახებ იუწყება. აღნიშნულია ჩაფარის მიერ გლეხების მათრახით ცემის ფაქტი, ზოგან სოფლის მწერლების მიერ ჩაფარის დამონების ფაქტი, რათა როგორც უნდოდათ ისე წაეყვანათ საქმე. კორესპონდენციაში გურჯაანიდან დახასიათებულია სოციალური ფენის წარმომადგენლები – მამასახლისი, ვაჭარი, ბანკის წარმომადგენელი, გურჯაანის "არისტიდი " – სამაგალითო ქცევის ადამიანი (# 31):

პირველი ბატონი ა: იჰ, პა, პა, პა! რა რიგად ემჩნევა ქართველობა?! ტანადი, ძვალმსხვილი, პირმოგრძო, მხარ-ბეჭიანი, მწითური, თვალებ წამოცვივნული, მოწითალო-ჭაღარაშეპარული ულვაშები, ნაბდის ქუდით, ლურჯი ნუხური შალის ჩოხით, მის ქვეშ შავი ახალუხით, წელზე ბრტყელი ქამარი ადლიანი ხანჯლით, ჩოხის ფერივე შარვლით, სირაჯული წაღებით. დავუმატოთ ამას რხევით სიარული ასე გონია ლეშით გამაძღარი ყვავიაო.

ბ: ერთი შეხედეთ ამ ბაჯაჯანა "აჯამს". თვალები შუბლი, ცხვირი, სიცილი და ხმა სომხობას უმტკიცებს. ტანად დაბალია და სუსტი, უფრო ჰგავ იმ სომხებს, რომლებიც ვირით დაიარებიან სოფელ-სოფელ და ჰყვირიან "საწვრილმანო" ... ნისკარტა ცხვირი, პატარა არწივივით თვალები, მომცინარი ულვაშები ... და თითებგაფშეკილი ხელები... მაიტათ რამე ჯიბისთვინაო ...

გ: დასწყევლა ბოჩკასავით არ დარგვალებულა! ერთი უყურეთ როგორ ინაბება კატასავით და მორგვივით კისერზე ხელს ისვამს! ერთი შეხედეთ თვალს როგორ არიდებს ყველას! გრძელი აღსარება არ მოუნდება რომ სამართალი იყოს! ... პოხრუა ცხვირი ჩაყვითლებული

ლოყები, სიბოროტის გამომჟღამპრებელი თვალები; ამრეზილი წარბები, შეჭმუხნილი, ვიწრო შუბლი, მოკლედ გაკრეჭილი თავი ზედ გახუნებული ნაბდის ქუდი; მოკლე სქელი ულვაშები, მრგვალი ნიკაპი, მხრებში ღორისავით ჩამძვრალი კისერი, მოკლე მკლავები, მხრებთან გასწორებული მუცელი, შუათანა ტანი და სხვა. "თეთრი კბილი შავი გულიო" სწორედ ამაზეა ნათქვამი. "აჯამობამდის" შიმშილით წიოდა, ახლა კი ქამარს იმატებს ... სამართალი, რომ იყოს ეს პეტრესავით თავქვე ჯვარსაცმელია! გლეხს, რომ რისმეს უსამართლებს, მარცხენა ხელი და თვალი მალ-მალ უთამაშებენ, ცოდვილობენ, აცა, მაიტა, ჯიბეს ვტუცოთ რაიმეო!

დ: ეს არ ჰგავს არც ერთ ზემოთ აღწერილ "აჯამს", ეს გახლავთ გურჯაანის "არისტიდი", სამაგალითო ქცევის კაცი; გურჯაანში პატიოსან სინდისიერ კაცად ცნობილი. იმედია მის შესახებაც არ არის თქმული – ხარი ხართან რომ დააბა ... ამ დროში მდინარეობს საშინელი ტალღა უსინდისობისაგან წარმომდგარის უსამართლობისა და იგი ტალღა ყოველ პატიოსნების წარმომადგენელს ჩაითრევს ხოლმე უძირო უფსკრულში. ამისთანა კაცების ხელშია ბანკი, რომლის ხსენება ჯერ ხეირიანად არ არის გურჯაანში.

საგარეჯოს კორესპონდენცია იტყობინება, რომ საშინელ დღეში ჩააგდეს სოფლის მოსახლეობა ზნეობადაკარგულმა ვაჭრებმა (განსაკუთრებით სომეხმა ვაჭრებმა, რომლებიც მომრავლებულან და გამდიდრებულან), მსაჯულებმა თუ სოფლის მწერლებმა; როგორ დატოვა მეტყევემ გლეხობა ზამთარში უშეშოდ; როგორ ახდევინებდნენ ზედმეტს სამართლის მაძიებელ რუსულის უცოდინარ გლეხებს.

სომეხი ვაჭრის სახე არაერთხელ გვხვდება *ივერიის* ფურცლებზე. ზოგჯერ თხრობა მათი ცალკეული წარმომადგენლების შესახებ საკმაოდ ვრცელი და დეტალურია. ამის მაგალითია, საგარეჯოში მცხოვრები სომეხი ალექო, რომელმაც კუდა ვირზე აკიდებული ხუთი მანეთის საწვრილმანოთი დაიწყო ხალხის გაძარცვა. მისი და მისი მოდგმის ხალხის გამდიდრების ხარჯზე დაიქცა არაერთი შეძლებული ოჯახისშვილი (# 31).

ამავე ნომერში გრძელდება თელავის სამღვდელოთა ყრილობის მასალების პუბლიკაცია, საიდანაც ვგებულობთ, რომ შემდგომ შეკრებაზე დაისვა მასწავლებლების ჯამაგირის გაზრდის, სასწავლებლის სახლების გამართვის და სასწავლებლის მმართველობის წევრთა

ამორჩევის საკითხი. ყრილობის განჩინების საფუძველზე გადაწყდა, რომ სამღვდელოება თავის თავზე იღებდა მხოლოდ მოსამზადებელი კლასის მასწავლებლებისათვის ჯამაგირის მომატებას, ზედამხედველის თანაშემწისათვის სახლის აშენებას და სასწავლებლის პანსიონის გახსნას. სამღვდელოებამ უარი განაცხადა იმ ჯამაგირების შევსებაზე, რომლებსაც იღებდნენ სასწავლებელში მომსახურე პირები. ეს საკითხი ყრილობის განხილვის საგნად არ ჩათვალეს. აქვე, საუბარია დეპუტატების გონებრივი მონაცემების შესახებ – ყრილობას სულ ისეთი ცხვრებივით დეპუტატები შეხვდნენ, რომ თავმჯდომარის არაზედ თავის დაკანტურებაც კი დიდი სიბრძნე მიაჩნიათო. მითითებულია ბლაღოჩინების და დეპუტატების არჩევნების დარღვევით ჩატარების თაობაზე. აღნიშნულია ყრილობაზე დეპუტატების არასერიოზული ქცევა, მათი არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება. ასეთი დეპუტატების მიერ იქნა მიღებული ყრილობის განჩინება. მათ არათუ გამონახეს ახალი წყაროები სასწავლებლისათვის, არამედ იმასაც ვერ მისცეს რიგიანი დანიშნულება, რაც გამონახული იყო (# 31).

თელავის სამღვდელოებამ საკითხების ხეირიანად გადაწყვეტის მიზნით, ეგზარქოსის ნებართვით ბლაღოჩინები მოიწვია და საგანგებო ყრილობა გამართა. თავმჯდომარე ს. ფირანოვი ამჯერად ყრილობის გადადებას ცდილობდა, რათა შემდეგისთვის შეემზადებინა ბლაღოჩინები უარი ეთქვათ სასწავლებლისათვის შემწეობაზე. როგორც მასალიდან ირკვევა, კრება გადაიდო და კრების გადადების მიზეზად ს. ფირანოვმა ზოგიერთი ბლაღოჩინის გამოუცხადებლობა დაასახელა. ეს იგივე ს. ფირანოვია, რომელიც *ივერიის* ფურცლებზე გვიმტკიცებდა საზოგადო საქმისადმი მზრუნველობას. აღნიშნული ფაქტი თვალნათლივ აჩვენებდა საზოგადო საქმისადმი მის დამოკიდებულებას.

ამგვარად დაივიწყა სამღვდელოებამ თავისი მოვალეობა, ხალხისთვის კი საერთოდ უცნობი იყო თუ რა დაივიწყა სამღვდელოებამ. აუცილებელი იყო ერთისთვის თვისი მოვალეობის შეხსენება, ხოლო მეორეს გათვითცნობიერება ამ საკითხებში. ამის გათვალისწინებით *ივერიის* შემდეგ ნომერში ყურადღება ეთმობა იმ საკითხებს, რომელთა განხილვაც საჭიროების შემთხვევაში სამღვდელოებას ევალებოდა. ჩამოთვლილია, თუ რა ეძლევათ სასწავლებლებს საეკლესიო ხაზინიდან, საქართველო-იმერეთის კანტორიდან და, საჭიროების შემთხვევაში,

ოლქის სამღვდელოებისგან ეკლესიების და მონასტრების შემოსავლიდან (# 32).

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ქართული იდენტობის კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა, რუსეთ-ოსმალეთის ომის მიმდინარეობის განხილვა. მასალის გადმოცემისას გამოკვეთილია სენტიმენტები. რუსეთის წარმატება-წარუმატებლობა "ჩვენ" სიტყვით არის გადმოცემული. ასე მაგალითად, "ჩვენებითგან" დაიღუპა ამდენი მეომარი, "ჩვენებმა" სახელოვანი წარმატება მოიპოვეს და ა.შ. ასევე საყურადღებოა, თუ როგორ ხვდებოდნენ ქართველები რუსების წარმატებას ომში. დიდი სიხარული გამოიწვია თბილისში ოსმალოს სარდალზე (საუბარია მუხთარ ფაშაზე) გამარჯვებამ. საგანგებო ზეიმი მოეწყო ამ ფაქტის აღსანიშნავად. ჯერ წირვა და პარაკლისი გადაიხადეს (იგი რუსულ ენაზე აღავლინეს, სასულიერო სასწავლებლის მგალობლების მონაწილეობით). შემდეგ ზარბაზნების სროლით აღნიშნეს "ჩვენების" (რუსების) წარმატება (# 32). ქართველმა თავადაზნაურობამ სახელოვანი გამარჯვების მილოცვის ტექსტი გაუგზავნა რუსეთის ჯარის მთავარსარდალს, რომელმაც, თავის მხრივ, დიდი მადლობა გადაუხადა თბილისის თავადაზნაურობას კავკასიის მხედრობის ვაჟკაცური სამსახურისათვის (# 34).

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, იწყება საქართველოში რუსული კულტურის დანერგვა, რაც მოსახლეობის დიდი ნაწილის გარუსებას ისახავდა მიზნად. *ივერიის* ფურცლებზე ინტენსიურად ქვეყნდებოდა ამ ფაქტის ამსახველი მასალა, საიდანაც ვიტყობთ, რომ რუსეთის მთავრობამ იკისრა განათლების საკითხის მოგვარება საქართველოში, რასაც თავისი მიზნების განსახორციელებლად იყენებდა. სკოლებში რუსულად სწავლება შემოიღეს და რუსი მასწავლებლები მოიწვიეს. თავიდან ქართველები ეჭვის თვალით უყურებდნენ რუსულ სასწავლებლებს და მათ დანიშნულებას. მაგრამ როცა დაინახეს, რომ ამ სკოლაში აღზრდილებს მთავრობა სახელმწიფო სამსახურში უხსნიდა გზას, თავადაზნაურებს ნდობა გაუჩნდათ სკოლებისადმი და თავიანთი შვილები იქ გაგზავნეს. თუმცა სასწავლებლები მოსწავლეებს არ იზიდავდა – მოსწავლეების ცემას და ლანძღვას ჰქონდა ადგილი, აზეპირებდნენ გაკვეთილებს იმ ენაზე, რომელიც არ ესმოდათ. ამიტომ მოსწავლეები ხშირ შემთხვევაში ტოვებდნენ სასწავლებლებს.

მთავრობამ სამოქალაქო გიმნაზიებთან პანსიონებიც დააარსა ღარიბთათვის, აგზავნიდა ღარიბ თავადაზნაურთა შვილებს რუსეთის სამხედრო გიმნაზიაში სასწავლებლად, რომლებსაც რუსულის არ ცოდნის გამო გაუჭირდათ სწავლა და ისინი მალევე დაითხოვეს.

ამ მიზეზების გამო ქართველი თავადაზნაურობა სვამს საკითხს საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების და საშუალო სასწავლებლების რიცხვის გაზრდის შესახებ. რუსეთის მთავრობა მხოლოდ სამხედრო გიმნაზიის დაარსებით შემოიფარგლა. გადაწყდა, რომ სასწავლებლებში მოსწავლეები შეირჩეოდნენ კონკურსის გზით, რამაც ახალი პრობლემა წარმოშვა. გამოცდების დასაძლევად სათანადო მომზადება იყო საჭირო, რაც მდიდრებისათვის იყო შესაძლებელი და, შესაბამისად, გიმნაზიის კარებიც მხოლოდ მათთვის აღმოჩნდა ღია. მაინცდამაინც დიდი სარგებლობა არ მოუტანია სასწავლებლებს მათთვის, ვინც უფრო საჭიროებდა სახელმწიფო ხარჯებით სწავლას. დაისვა საკითხი მოსამზადებელი კლასის გახსნის თაობაზე (## 32, 33).

გამოქვეყნებულია მასალა თელავის სასულიერო სასწავლებლის წევრი მღვდელ მ. ხელაევის საქმიანობის შესახებ. თუ *ივერიის* წინა ნომერში კორესპონდენტი მის პატიოსნებაზე და სასარგებლო საქმიანობაზე მიუთითებს, აქ განსხვავებული კუთხით წარმოგვიდგენს – სასწავლებლისათვის ხელსახოცების შემოკერვისათვის თითო აბაზი გადაუხდია სასწავლებლის ფულიდან მეუღლისათვის (# 29). თუმცა შემდეგ ნომერში ვხვდებით აღნიშნულ სტატიასთან დაკავშირებით გამოხმაურებას, სადაც მითითებულია, რომ გამოქვეყნებული მასალა არ შეესაბამებოდა სიმართლეს, ამის საბუთად დასახელებულია გასავლის წიგნის მონაცემები (# 34).

24-ში (ავტორი ფსევდონიმით ქართველი – ნიკოლოზ მთვარელიშვილი) სოფელ კურდღელაურის წმ. გიორგის ეკლესიაში მომხდარი ინცინდენტის თაობაზე გამოქვეყნებულ ცნობაზე ბლაღოჩინ ს. ფირანოვს მიეცა საშუალება თავისი აზრი გამოეთქვა. ბლაღოჩინი კორესპონდენციაში უარყოფს მისდამი წაყენებულ ბრალდებებს: წერს, რომ ეკლესიის გასამართავად დაქირავებულ ვინმე ივან კოვშაროვს თანხა აუღია და სამუშაო არ შეუსრულებია, გაპარულა თელავიდან თბილისში. რაც შეეხება ტრაპეზს, მისი დაქცევა იმიტომ დაიწყო, რომ ეკლესიური კანონით ისეთი ტრაპეზის კურთხევა შეუძლებელი იყო, სადაც მღვდელს ღვთისმსახურება დაჩოქილს უნდა აღესრულებინა.

გლეხიკაცი უმეცარიაო – ამბობს იგი, ვერ დავაჯერე, რომ ტრაპეზი უნდა დაგვენგრია, რამდენჯერაც ვიტყოდი რამეს იმდენჯერვე ცრუსარწმუნოებით დამიწყებდნენ დამტკიცებას, დავიღუპებით ბატონო, რომ დავაქციოთ, სოფლისათვის არ ვარგა, სეტყვა დაგვაქცევსო და სხვა.

აქ ორი მომენტი იკვეთება – ს. ფირანოვი, ერთი მხრივ, ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ მართალია, და ეკლესიის გამართვისათვის ზრუნავს, მაგრამ, მეორე მხრივ, ცრუსარწმუნოებას უწოდებს გლეხიკაცის პატივისცემას სარწმუნოებისადმი. ამ საკითხზე სხვა ინფორმაცია *ივერიაში* არ არის დაცული. მაგრამ რედაქციის მიერ სქოლიოში გაკეთებული შენიშვნიდან ვიტყობთ, რომ ავტორს მისცეს საშუალება თავისი აზრები გამოთქვას გამოქვეყნებულ საკითხთან დაკავშირებით. თუმც ადვილი მისახვედრია, რომ ბლაღოჩინი მასზე გამოქვეყნებული ზემოთ აღნიშნული კრიტიკული წერილების ავტორის სიმპათიას არ იმსახურებს (# 34), რადგან განხილული კორესპონდენციები ნათლად მიუთითებდა, რომ ს. ფირანოვი ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვას მოკლებული იყო.

მომდევნო ნომერში მღვდლის არაკეთილსინდისიერ საქციელზე თავად სასულიერო პირი საუბრობს. მისი გადმოცემით, სოფელ აწყურის ეკლესიას კარგი შემოსავალი ჰქონია, რომლითაც ძლიერ სარგებლობდა ადგილობრივი ბლაღოჩინი. ამის დასადასტურებლად თუშურად ინატრაო, წერს ავტორი – ნეტავი იმდენი წინდა დაგმართა ჩემი, რამდენიც ჭრელი აბაზი ბლაღოჩინს აქედან და ალავერდიდან ერგოო (# 35).

ზემოთ აღვნიშნეთ, თუ როგორ ცდილობდა რუსეთის ხელისუფლება პოლიტიკური ერთობის შექმნას საკუთარ კონტროლს დაქვემდებარებული კულტურის საშუალებით, ყოველ ღონეს ხმარობდა და დიდად უწყობდა ხელს ისეთი სასწავლებლების გახსნას, სადაც სწავლა რუსულ ენაზე წარიმართებოდა. მაგრამ ვნახეთ, თუ რამდენად გაამართლა ამგვარმა სასწავლებლებმაც. ამ საკითხებს კრიტიკული წერილები მიეძღვნა *ივერიაში* სათაურით *ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა.*

სასწავლებლების უმთავრესი დანიშნულება ხალხის განათლება და ცხოვრების ნამდვილი გზის ჩვენებაა. ჩვენში კი, სტატიის მიხედვით, სკოლები იმართებოდა იმიტომ რომ "მოდა" იყო ასეთი და

ამისათვის ჯილდოსაც ადვილად ღებულობდნენ. ამის დასტურად დასახელებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ისეთი მღვდლების ვერცხლის საათით დაჯილდოების ფაქტი, რომელთაც სასწავლებლის საკეთილდღეოდ არავითარი წვლილი მიუძღოდათ. ყოფილა შემთხვევა, მაგალითად, კახეთში, მღვდელს მასწავლებლებისათვის განკუთვნილი ჯამაგირი აუღია, სასწავლებელი კი არსად ყოფილა. ხშირ შემთხვევაში მასწავლებლები საგანგებო გაკვეთილებს ატარებდნენ შემოწმებებისას, მეორე დღეს კი იქ, სადაც წინადღით საჩვენებელი მეცადინეობები იმართებოდა, სკოლის კვალიც კი აღარ ჩანდა.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, თავიანთ ყმებზე მზრუნველობას ჩვეული ბატონები ცდილობდნენ რითიმე გამოეჩინათ მფარველობა გლეხებზე. ზოგიერთი ბატონი ქადაგებდა ხალხის განათლების საჭიროებას. მაგრამ მათ ამგვარ მფარველობას გლეხის მდგომარეობაზე ბატონური ხასიათი ჰქონდა და ამიტომ ვერ შეძლო ხალხისათვის სარგებლობა მოეტანა. სასწავლებლებს მფარველებად მოვლენილი თავადაზნაურობა და სამღვდელოება მხოლოდ და მხოლოდ სარგებლობას მოელოდა. გლეხობა, როგორც ჩანს, ეჭვის თვალით უცქეროდა მფარველთა ქმედებას და თავის გულში ფიქრობდა 'განა შეიძლება ვინც გუშინ სულს მართმევდა და მშიერ-მწყურვალს მიშვებდა დღეს კარგი მოინდომოს ჩემთვისო'. ზოგ გლეხს იმის შიშიც ჰქონდა, რომ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სამხედრო სამსახურში არ გაეწვიათ მისი შვილი. მფარველი გლეხების ეჭვების მიზეზად მათ უმეცრებას ასახელებდა– 'გლეხები ბრიყვები არიან, არა გაეგებათ რა, პირუტყვები არიან სრულებითო'.

ნამდვილ მიზეზად სტატიაში დასახელებულია თავადაზნაურებისა და სამღვდელოების მიერ გამართული სკოლების გარდაქცევა საკუთარი სარგებლობის წყაროდ. ამიტომაც გაქრნენ ეს სასწავლებლები და დაიწყო ისევ ფიქრი და ზრუნვა ახალი სასწავლებლების დაარსებისათვის. ავტორი მიუთითებს არსებით სხვაობაზე ძველ და ახალ სასწავლებლებს შორის. აღნიშნავს, რომ ხალხის სასარგებლოდ, მისი ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად გაკეთებულ საქმეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს პირდაპირი კავშირი ხალხის მოთხოვნილებასთან, რომ სარგებლობა მოუტანოს მათ. სწორედ, იმაში ხედავს ახალი სკოლების დაარსების უპირატესობას, რომ ეს ხდება

ხალხის და მისი კეთილისმყოფელთა სურვილით და ახალ სკოლებს საძირკველად დემოკრატიული ნიადაგი აქვთ.

აქვე ჩართულია ხალხის მძიმე ცხოვრების აღწერა: თავდახრილი შრომისა და მოსავლიან-მოუსავლიანობის მიუხედავად, ქართველი გლეხისთვის, მაინც არც ხეირიანი ჩაცმა-დახურვა ყოფილა და არც ხეირიანი ჭამა-სმა; უცოდინარობის გამო უჭირდა მას მცირე მამულში ბევრი მოსავლის მოყვანა; ბევრი მამულის პატრონი კი მოსავალს მიფლანგ-მოფლანგავდა, ვინაიდან არ გააჩნდა თავისი შრომის ნაყოფის გონივრულად მოხმარების გამოცდილება. ასეთ ვითარებაში მხსნელად ხალხს განათლება უნდა მოვლენოდა (## 33, 34).

წერილიდან ირკვევა, სოფლის სასწავლებლის ხასიათისა და მიმართულების შესახებ საზოგადოებაში სხვადასხვა შეხედულება არსებობდა: ერთი ნაწილი ითხოვდა თავდაპირველად რუსული ენის შესწავლას. მეორე ნაწილი კი მიიჩნევდა, რომ სასოფლო სასწავლებლებს ხალხში უნდა გაევრცელებინა არა მხოლოდ წერა-კითხვა, არამედ ხელოსნობის და მეურნეობის ცოდნა. სწავლების ეს ხერხი დასავლეთ ევროპიდან და რუსეთიდან გავრცელდა ჩვენში. მაგრამ მან არ გაამართლა (ავტორს მოჰყავს გერმანიისა და ინგლისის მაგალითი) და სხვა გზა აირჩიეს: სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, გამოჩენილ ხელოსნებს აბარებდნენ შვილებს შეგირდად. საქმემ გამოავლინა, რომ ასეთი სახით ხალხში მეურნეობის და ხელოსნობის გავრცელება შეუძლებელია, რომ თორმეტი წლის ბავშვისთვის ძნელია მიხვდეს რა დროს რა თესლეულობა უნდა დაითესოს, რანაირად მოიყვანოს ყურძენი, დაწუროს ან დააყენოს მაჭარი. შეუძლებელია ბავშვებმა წერა-კითხვის თავდაპირველი კურსი აითვისონ და ამავე დროს დახელოვნდნენ კიდეც მეურნეობაში და ხელოსნობაში. ბავშვებმა რომც შეძლონ ძნელია ისეთი მასწავლებლების მოძიება, რომლებიც დახელოვნებული იქნებიან როგორც ცოდნის გადაცემაში, ისე ხელოსნობაში და მეურნეობაში. ავტორი აღნიშნავს, რომ სასოფლო სასწავლებლების დანიშნულება სხვაა, მას თავისი დანიშნულება აქვს, ხელოსნობის და მეურნეობის შესწავლას კი – სრულებით სხვა (# 35).

აქვეა მსჯელობა სასწავლებლის დანიშნულების და შესასწავლი საგნების თაობაზე: სხვადასხვა გონივრული სახსრებით, მეთოდური და დიდაქტიკური შუამავლობით მან სოფლის ყმაწვილები ფიზიკურად და სულიერად უნდა მოამზადოს, რომ კურსის

დამთავრების შემდეგ ეძიებდეს სწავლის გაგრძელებას, შეძლოს ჭეშმარიტების გარკვევა. უნდა ისწავლებოდეს წერა-კითხვა, ხაზვა, თვლა, საღმრთო ისტორია, ზოგიერთი ლოცვა, ქართული ენა, მოთხრობები ჩვენი სამშობლოს ისტორიიდან, საქართველოს გეოგრაფია, სოფლის თვითმმართველობის წესდებანი. ამასთან, რადგან საქართველოს ბედი შეკავშირებულია რუსეთის ბედთან და რუსული ენა შეადგენს ადმინისტრაციის ენას, უნდა ისწავლებოდეს რუსული ენა. ვინაიდან საქართველოში სასოფლო სასწავლებელში ბავშვებს ადმინისტრაციული ენაც უნდა ესწავლათ სწავლის ხანგრძლივობა სამი წლის მაგივრად (როგორც რუსეთში იყო) ოთხი წლით უნდა განისაზღვროს. სწავლება ორივე სქესის 7-დან 12-წლამდე ბავშვებისათვის უნდა იყოს შესაძლებელი. სასოფლო სასწავლებელს უნდა ჰქონდეს სამკითხველო ბიბლიოთეკა, სადაც წერა-კითხვის მცოდნე გლეხებს მიეცემათ საშუალება წიგნები წაიკითხონ.

სასოფლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები ხელოსნობის დასაუფლებლად, ქალაქში უნდა გაიგზავნონ განთქმული ხელოსნების შეგირდებად. შეგირდების მოსამზადებლად გამოჩენილი ხელოსნების წასაქეზებლად უნდა გაიცეს ჯილდოები და მოწმობები მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის (# 36).

მეურნეობის უკეთ წარმართვისათვის, სასოფლო სასწავლებლის კურსდამთავრებულებს შორის რჩეულები უნდა გაიგზავნოს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში მეურნეობის ასათვისებლად. გლეხებში ერთმანეთის მიბაძვა და წამხედველობითი მოქმედება ძლიერია. თითოეულ სოფელში, რომ გამოჩნდეს მეურნეობის თითო მცოდნე გლეხი, ბევრი ხანი არ გაივლის, რომ მთელ მაზრაში გავრცელდება მეურნეობის ცოდნა. როცა თავის ქვეყანაში დაბრუნდებიან, ისინი თავიანთ ცოდნას მეურნეობის უკეთ წარმართვას მოახმარენ. ეს ძლიერ სასარგებლო საქმე იქნება. ამ საქმის აღსრულებისათვის უნდა იზრუნოს მთელმა საზოგადოებამ. დროა ჩვენ ვიფიქროთ ჩვენ თავზე, ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრების წინ წაწევაზე და მის მომავალ ბედზე. დროა ჩვენ თვითონ ჩავჭიდოთ ხელი განათლების, ხელოსნების და მეურნეობის გავრცელებას, გავიგოთ, რომ ცოდნა არის საძირკველი ხალხის კეთილდღეობისა. უნდა გვახსოვდეს, რომ წაყრუება და სხვისი იმედი ხეირს არ მოგვიტანს (# 37). აღნიშნულია, რომ დრომ სხვის

მაყურებლად გაგვხადა, სხვაზედ იმედს შეგვაჩვია, რამაც სრულებით მოსპო ჩვენში თვითმოქმედების ძალ-ღონე. ხალხი კი მხოლოდ თვითმოქმედებით არის ძლიერი.

ეს პუბლიკაციაც მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო, განსაკუთრებით კი – *თვითმოქმედი ხალხის* იდეით, რაც აჩვენებს ხალხს, როგორც აქტორს და არა მხოლოდ, როგორც სიბრალულის ან აღფრთოვანების ობიექტს.

სახელმწიფო მოხელისა და ხალხის ურთიერთობა, აგრეთვე, იწვევს *ივერიის* განსაკუთრებულ ინტერესს. მამასახლისის საქმიანობა ნათლად არის წარმოდგენილი საგარეჯოში გავრცელებული საქონლის ჭირის შესახებ გამუქებულ მასალებში. გადმოცემულია, რომ საქონლის ჭირის გამო ჩასული გუბერნიის ექიმი ახლო-მახლო სოფლების ხალხს და მამასახლისებს მნიშვნელოვან რჩევა-დარიგებას აძლევს, რასაც წერილობითი ფორმით (რუსულად) უტოვებს კიდეც. ექიმი ურჩევდა მოხელეებს, რომ ნება არ მისცენ მედუქნეებს დაკლული ცხვარი გაბერონ, რადგან ისინი ხშირად სხვადასხვა სნეულებით ავადმყოფობენ, მათი ნასუნთქი იფანტება ცხვრის ხორცში და აქედან შეიძლება მთელ ხალხს მოედოსო; აუკრძალონ მედუქნეებს ქუჩაში ცხვრის დაკვლა და ხორცის რეცხვა მდინარეში, რადგან აქედან სვამს წყალს საქონელი და, შესაძლოა, დაკლულისაგან ჭირი გადაედოს სხვა საქონელს. ვინაიდან რუსულად დაწერილი გაუგებარი იყო ხალხისათვის, ეს რჩევები უთარგმნეს კიდეც.

მაგრამ ხალხის გაჭირვება მხოლოდ ის არ იყო, რომ მათ რუსული არ ესმოდათ. მამასახლისები, როგორც ჩანს, პაუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობებს, ზნეობას მოკლებული აღმოჩნდნენ. მათ დაშლისთანავე დაივიწყეს ექიმის რჩევა-დარიგება, რომელიც აუცილებელი იყო თავსდატეხილი უბედურებისაგან მოსახლეობის დასაცავად. ავტორი (ა. კავთელი – ალექსანდრე ცხვედაძე) აღნიშნავს, რომ მოხელეები ისე ზრუნავენ სოფლის კეთილდღეობაზე, როგორც მაკ-მაგონის პოლიტიკაზეო. არადა, ავადმყოფობის მიზეზად წყლების წაბილწვა იყო დასახელებული. საგარეჯო ორ ნაწილად იყოფა: ბაზარს ზემოთა ნაწილი, სადაც სომხები ცხოვრობენ და ავადმყოფობა ნაკლებადაა გავრცელებული და ბაზარს ქვემოთა ნაწილი, სადაც ქართველები ცხოვრობენ და ავადმყოფობა ძლიერ გავრცელებულია ბაზარში ჩამომავალ წყალში საქონლის რეცხვის გამო. მამასახლისს არ

ენაღვლება ვაკელების გამოხსნა. ვაკეში ქართველები დგანან, თვალთავს მდგომნი ხომ წმინდა წყალს სვამენ. თვითონ მამასახლისიც იქ ცხოვრობს და რაში ენაღვლება მის ქვემოთ თუნდაც სულ ამოწყდნენ (# 35).

როგორც ვხედავთ, მოყვანილი მაგალითები მრავალპლანიანია. აქ არა მარტო სახელმწიფო მოხელეების უპასუხისმგებლობაზეა საუბარი, არამედ "ჩვენ – სხვა" ოპოზიციაზეც.

ახლა სხვა მაგალითიც ვნახოთ. ვაჭრები მოსავლიან-მოუსავლიანობას იყვნენ ჩასაფრებული. თუ მოუსავლიანობა იყო თავისთავად ძვირი ღირდა ყველაფერი. მაგრამ თუ მოსავლიანობით ხარობდა სოფელი, მათი წყალობით პური მაინც ძვირდებოდა. გლეხების ნაშრომ-ნაამაგარს იაფად შეიძენდნენ ალექოს მოდგმის ვაჭრები იმ იმედით, რომ ძვირად გაყიდდნენ.

კორესპონდენტი თვლის, რომ მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხს, რადგან პური თავდაპირველი სახსარია ადამიანისა, ამის გამო ვაჭრებს არ უნდა ჰქონდეთ ნება პურის ძვირად გაყიდვის. თუ ალექო ჯარზე იტყვის ძვირად მივყიდიო, მაშინ, როდესაც ჯარი არის მისი ოჯახისა და ქონების დამცველი, სხვაზე რას იტყვის. მან ხომ ამგვარად იმდენს მიაღწია, რომ სოვდაგარი გახდა და ახლა უფროსობა მასთან და მისნაირებთან მიირთმევდნენ მხოლოდ პურ-მარილს (# 35).

საინტერესოა, საუბარი ჯარის შესახებ. ჯარი სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ნიშანია. ეს ჯარი საქართველოში რუსული იყო. *ივერიას* ის ხალხის დამცველად მიაჩნია. *ივერია* არაა რუსული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგი, არც მისი ერთ-ერთი გამოხატულების – რუსის ჯარის. მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ნაციონალისტების იდეალი ნაციონალური ავტონომიურობის საკითხში არ გულისხმობდა სრულ პოლიტიკურ ავტონომიას საქართველოსათვის. დროებით, ხელსაყრელი ვითარების დადგომამდე რუსეთის იმპერიაში ყოფნა მათთვის მისაღები იყო. მხოლოდ კულტურულ საკითხებში და ადგილობრივ მმართველობაში სურდათ ავტონომიის მიღწევა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ალექოს ისტორიას. ის არ იკმარა კუდა ვირით გამდიდრებულმა ალექომ ხალხს რომ ძარცვავდა, მისი ოჯახის დამცველი ჯარისთვის პური რომ ძვირად უნდა მიეყიდა, მას საგარეჯოში გავრცელებულ ქურდობის მიზეზსაც აბრალებენ – დუქანში ნაქურდლების (აზნაურ მიხეილ ქურდოვანიძის დაკარგული კამეჩის

ტყავი აღმოუჩინეს) გასაღებაში იქნა მხილებული. ხალხისთვის უცხო არ იყო, რისი გამკეთებელი იყო ალექო და მისი მოდგმის ხალხი. ამიტომ ქურდოვანიძე ბაზარში იწყებს დაკარგული ტყავის ძიებას. ალექოს უარის მიუხედავად, იგი მამასახლისის თანხლებით ათვალიერებს მის დუქანს, სადაც იპოვის კიდეც დაკარგულს. ალექო თავს იმართლებს მსაჯულების წინაშე – არ ვიცი, ვისგან ვიყიდეო და საზღაურის გადახდას შეჰპირდება ქურდოვანიძეს. დაზარალებულს კი მსაჯულებმა განუცხადეს, რომ რადგან სხვადასხვა სოციალურ ფენას განეკუთვნებიან, საქმის გარჩევა მათ არ შეეხებოდათ. განა მამასახლისმა არ იცოდა ალექოს ამბავი, მაგრამ 'ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს', მიუთითებს კორესპონდენტი (# 36).

სასამართლოში საჩივრების განხილვისას, რომ არსებითი ყურადღება არ ექცეოდა მოდავე მხარეების სოციალურ და საზოგადოებრივ კუთვნილებას, ამას ადასტურებს სიღნაღის მაზრის ერთ-ერთი სოფლის მოდავე მხარეების საქმის განხილვა (ავტორი ხელს აწერს ინიციალით ს.შ.). როგორც ირკვევა, სიღნაღის მაზრის ერთ-ერთი მცხოვრები მოვალის შვილს მამის გარდაცვალების შემდეგ თხოვს ვალის დაბრუნებას. ეს მაშინ, როდესაც თამასუქებს ვადა უკვე დაკარგული ჰქონდა; გარდა ამისა, ვინაიდან მოდავე მხარეები საზოგადოების სხვადასხვა ფენას განეკუთვნებოდნენ, საქმის განხილვა სასოფლო სასამართლოს არ შეეძლო. მსაჯულებმა სასტიკად სცემეს მოვალის შვილი და მამის ნავალები შვილზე გადმოიღეს. გაზრდილი ვალის ვექსილი შეუდგინეს სამი მსაჯულის, მამასახლისის და მწერლის ხელმოწერით. მოვალის შვილმა თავისი ღირსების დაცვა შეძლო მომრიგებელ სასამართლოში. დადასტურებული სიყალბისათვის მთელი კრება სისხლის სამართალში მისცეს, ხოლო ვექსილი გააუქმეს (# 38). სწორედ საკუთარი ღირსების დაცვისაკენ მოწოდებაა წერილის მიზანი. ყველა თუ ასე შეეცდება თავისი თავის დაცვას, ამით საზოგადოების ზნეობის გაჯანსაღებას შეეწყობა ხელი – თუ საერთოდ არ შემცირდებიან ზნეობადაკარგული თანამდებობის პირები, რომლებიც ხალხს უპატიოდ ექცევიან.

ეს წერილი საინტერესოა იმით, რომ აჩვენებს ქართულ საზოგადოებას ურთიერთობას კანონთან. საკუთარი ღირსების, პიროვნების და ქონების დაცვას სასამართლოს გზით.

ივერიის კორესპონდენციებში ქვეყნდება (ავტორი – გლეხი მურო) ახალციხელი გლეხის ნაამბობი აჭარლების ერთ-ერთი თავდასხმის შესახებ. აჭარლების მოსვლისას სოფელ უდეს ყარაულებად დაყენებული მილიციელები გაქცეულან და მხოლოდ სოფლელი მამაკაცები დარჩენილან. მაგრამ მთხრობელის უარყოფითი დამოკიდებულება გამოკვეთილია მისი თანამედროვე მამაკაცების მიმართ საკუთარი თავის ჩათვლით. ერთ დეტალზეა გამახვილებული ყურადღება: როდესაც აჭარლები წასულან (მთხრობელი ურჯულოს უწოდებს აჭარლებს) შველის ხმა გაისმა და ამბარქვეშიდან ყორღანოვი – გამოსულა. ამ ეპიზოდს შემდეგი კომენტარით ამთავრებს მთხრობელი:. 'ვინ განიერშარვალა და დიდმუცელა სომეხი და ვინ პრისტაობა' (# 37).

მომდევნო კორესპონდენციაში საუბარია ზაქათალის მაზრაში არსებულ სოციალურ უსამართლობაზე. ეს მხარე ლეკების თავდასხმით იყო შეწუხებული, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგჯერ მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ ცრუ ინფორმაცია ვრცელდებოდა. ხშირად ამგვარი ხმების დაყრით ვაჭრები იყვნენ დაინტერესებულნი, რადგან თავის დროზე, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ გაუძარცვავთ სოფელი. ახლა დამფრთხალან ვაი თუ სამაგიერო გადაგვიხადონო. კახის "უჩასტკის" მცხოვრებთ პროტესტის გრძნობა გაუჩნდათ – საჩივრები გადასცეს მთიულეთის სამმართველოს უფროსებს იმის თაობაზე, რომ კახის ვაჭრები თითქმის უფასოდ ჩვენს მიწა-წყალს ვალებში იღებენო და ჩვენც მამულებიდან გვდევნიანო. მთიულეთის სამმართველოს სათანადო ყურადღება მიუქცევია თურმე გლეხების საჩივრებისთვის, მაგრამ გლეხებამდე ამ ინფორმაციას არ მიუღწევია, რადგან ვაჭრებს ურთიერთობა დაუმყარებიათ ნაიბთან და ამ მფარველობის გამო ძალიან ადვილად ირჩენდნენ ვალებში გლეხთა მამულებს. გლეხობის ნაწილი უმიწაწყლოდ დარჩენისაგან იხსნა კახის "უჩასტკის" უფროსად კეთილსინდისიერი პირის ბოღუსლავსკის დანიშვნამ, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია გლეხების ვალებისათვის და მთიულეთის სამმართველოს აქ დაცული დოკუმენტების საფუძველზე გამოუცხადებია, რომ კანონის ძალით გლეხებს არ გაეყიდებათ მამულები, მამულები ვალში არ გაიცემა. ვაჭრები ბოღუსლავსკისთანაც ცდილან მორიგებას, მაგრამ ყურიც არ უთხოვებია მათთვის. ამან საგონებელში ჩააგდო ვაჭრები ასეთ ვითარებაში ვრცელდება ხმები ლეკების თავდასხმის მოსალოდნელობის შესახებ (# 37).

ამავე ნომერში იწყება გამოქვეყნება წერილების სერიის *პეტერბურგიდან*. კორესპონდენციის საგანს წარმოადგენს იპოვოს ის სარკე, რომელშიც შეეძლოს საზოგადოებას თავისი აზრისა და მიმართულების გამოხატვა. ეს ის პერიოდია, როდესაც საზოგადოება გზააბნეულია და არ იცის სად არის აწინდელი დროის დედაძარღვი, რომლისკენაც მიქცეული უნდა იყოს ყოველი კაცის ზრუნვა. ამგვარ საზოგადოებაში აუცილებელია გავრცელება ჩვენი და უცხო ქვეყნების ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებისა (# 37).

ივერიის კორესპონდენციები თელავის ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად (ავტორი ქართველი – ნ. მთვარელიშვილი) აგრძელებს თელავის საზოგადოების კრიტიკას – მათ მხოლოდ ღვინის გადაკვრა იციან 'პიკნიკისათვის ხუთ მანეთსაც არ დაიშურებენ, საზოგადო საქმისთვის კი აბაზსაც არ გაიმეტებენ'. ამის მაგალითია ტელეგრამის უქონლობა, რისთვისაც 45 მანეთის შეგროვება ვერ მოუხერხებიათ – სულ ორ-ორი თუ სამ-სამი კაპიკი შეხვდებათ და ესეც კი ვერ გაუღიათ საზოგადო საქმისთვის ... ფოსტა ორჯერ მოდის კვირაში, მაგრამ ისიც თავის დროზე არა. ნათქვამია 'როგორიც მღვდელი ისეთი ერიო ... სად არის ერთი დიოგენი რომ თელაველებს არ ეტყვის: 'თქვენ ხალხი კი არა თელაველები ხართ' (# 38).

საზოგადოება და საზოგადო საქმე, საერთო საქმე – აი რისკენ მოწოდებას ვხედავთ ამ პუბლიკაციებში.

მამასახლისის არჩევნების თემას შეეხება კორესპონდენცია სურამიდან (ავტორი ბავრელი – სოლომონ ასლანიშვილი). სურამის მამასახლისი, წარმოშობით სომეხი, ხალხში დადიოდა და კიდევ ერთ არჩევნებში ხმის მიცემას თხოულობდა. ბავრელი საოცარი იუმორით აგვიწერს მის მდგომარეობას – ამას არც კუდა ვირი ჰყოლია და არც ხუთი მანეთი. მაგრამ რაღაც მოვლენით მიწევნილა იმ ხარისხამდის რომ სურამის იმამად აღმორჩეულა. მთელ სურამში ერთი კაციც არ ჰყოლია მადლიერი, მაგრამ სამი წელია სამსახურში უძრავად არის. იმიტომ რომ სომეხია და მდიდარი. მის სახეს ასე გვიხატავს ავტორი 'ისეთი საბრალო სანახავი იყო შეგეცოდებოდათ – ტანმდაბალი კაცი, შეიძლება გენახათ ბოგირის მოაჯირზე მძინარე, ხელში ჯოხით, დაპხრეწილის მაღალი ქუდით, დახეული ჩოხით, დაგლეჯილი ქუსლებ-დაგრეხილი ყარაბაღული წაღებით. ისე შეგებრალებოდათ, რომ მოინდომებდით ერთი-ორი გროშის ჩუქებას. მაგრამ ნუ

შეწუხდებით, შეინახეთ ეს გროშები სხვა საჭიროებისთვის. ის ღარიბი არ არის'. ეს სურამელი მაკ-მაჰონი (საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწე) ავტორის სიტყვებით, რომ ვთქვათ, სამი წელია საშინელ მდგომარეობაში აცხოვრებს სურამის მოსახლეობას. მაგრამ ამავე საზოგადოებამ ისევ ის აირჩია მამასახლისად და არა ქართველი (# 38).

როგორც ვხედავთ, მამასახლისის კრიტიკის კონტექსტი ხშირად არის "ჩვენ – სხვა" ოპოზიციის თემა.

საგანმანათლებლო სისტემის საკითხს შეეხება რუბრიკა *გაკვრით* კორესპონდენციაში თუშ-ფშავ-ხევსურეთის მღვდლების კრების შესახებ (ავტორი ხელს აწერს ინიციალით დ.რ.). წმინდა მამანი, კორესპონდენციის მიხედვით, ხალხის განათლების საკითხის გადასაწყვეტად შეკრებილან. მათ დიდ ნაწილს შესაფერისი განათლებაც არ ჰქონია: 'მათი უმრავლესობა არის ნასწავლი ან მონასტერში ან შინ, სადაც მარტო ჟამნ-დავითნის ღიჯვნა შეადგენს ალფას და ომეგას იმათ განათლებისას'. ასეთი პირები შეკრებილან თუშ-ფშავ-ხევსურეთში განათლების გავრცელების საკითხის გადასაწყვეტად. საკითხის გადაწყვეტის სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ სოფელში მცხოვრებთა რაოდენობა არ იძლეოდა სკოლის გახსნის შესაძლებლობას, ამავდროულად სოფლები ერთმანეთისგან შორს მდებარეობდა. ამ მიზეზით სხვადასხვა სოფლებიდან ერთ რომელსამე სოფელში ვერ ივლიდნენ მოსწავლეები სასწავლებლად. სულიერ მამებს განუზრახავთ, რომ ერწოში დაკეტონ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების მიერ დაარსებული რამდენიმე სკოლა და სანაცვლოდ გამართონ თუშეთში. წერილში მითითებულია, რომ ამისთანა გადაწყვეტილების მიღებისას სათანადო გონიერებაა აუცილებელი, რაც როგორც ჩანს, კრების მონაწილეებს არ გამოუჩენიათ. პირიქით, არასწორი გადაწყვეტილება მიუღიათ, სკოლები დაუკეტიათ იქ, სადაც უფრო იგრძნობოდა ამის საჭიროება. ფშავ-ხევსურეთში ჩვეულებრივი სკოლები არ გამოდგებოდა. იქ ისეთი სკოლები უნდა გახსნილიყო, სადაც შეგირდები შიგნით შეძლებდნენ ცხოვრებას. წერილი ერთგვარი მითითებაა იმ გარემოებაზე თუ როგორი სიფრთხილეა საჭირო საგანმანათლებლო სისტემის უნიფიცირების საკითხში და რომ სიფრთხილესთან ერთად, აუცილებელია კეთილგონიერება და გონებით გამჭრიახობა (# 38).

39-ის *საქართველოს მატიანე* იუწყება გლეხთა გაუსაძლისი მდგომარეობის შესახებ. ზოგან მომრიგებელ მოსამართლეებს ვალში გაუყიდიათ გლეხთა ვენახები და ხელცარიელი დაუტოვებიათ ბევრი გლეხი თელავის და სიღნაღის მაზრაში. მომრიგებელნი მოსამართლენი არც იმას მორიდებიან, რომ ვენახები და ბინადრობის ადგილი სახელმწიფო, საეკლესიო და საბატონო ყოფილა და გლეხს სჭერია სახმარად. შეუნდობელი ბოროტება ჩაუდენიათ – კაცს ის გაუყიდეს, რაც მისი საკუთრება არ იყო. ასე ხელცარიელი დარჩენილი გლეხი იძულებული გამხდარა თავისი შვილი თუ ცოლი ლეკებისთვის მიეყიდა. მთელი ერთი სახელმწიფო გლეხთა სოფელი ამგვარად გაყიდულა და ერთ სიღნაღელ სომეხს ჩალის ფასად შეუძენია. გამკითხველი კი არსად ჩანდა (# 39).

როგორც ვხედავთ, ხალხისათვის ზიანის მომტანად თითქმის ყველა ისტორიაში ფიგურირებს სომეხი ვაჭარი.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ისტორიოგრაფია ფაქტების მოძიებით, ისტორიული წყაროების მოძიება-შენახვა-დაცვაზე ზრუნვით ხასიათდება. როგორც ჩანს, საზოგადოების უმრავლესობა დაუდევრობას და უდიერ დამოკიდებულებას გამოხატავდა იმ უმნიშვნელოვანესი საკითხის მიმართ, როგორიცაა ხელნაწერების მოვლა (ბევრი მოუვლელობისაგან ლპებოდა ან მათ სახვევადაც კი იყენებდნენ). აუცილებელი იყო გაეაზრებინა ქართულ საზოგადოებას ქართული კულტურის საგანძურზე ზრუნვის საჭიროება. ამ თვალსაზრისით *ივერია* ეწევა ქართული მწერლობისადმი ძველ დროში საზოგადოების დამოკიდებულების პროპაგანდას – ქვეყნდება წერილი (ავტორი პეტრე უმიკაშვილი) *გადამწერელი ქართული წიგნებისა* (# 39).

წერილების სერია პეტერბურგიდან აგრძელებს სლავთა მოძრაობის თემას, სლავთა ერთობაში გაჩენილ ბზარს და ამის მიზეზებს. სლავების მოძრაობა გაიხლიჩა პან-სლავიანობად და სლავიანოფილობად. რუსულ მწერლობაში გავრცელებული სლავიანოფილური მიმართულების მიმდევარნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სლავთა ტომის ხალხებს შორის არსებობს შეურყეველი ერთობა და სლავთა შორის უპირატესობა რუსებს ეკუთვნით. მათი ქადაგების ქვაკუთხედი იყო მხოლოდ გვარტომობა, მხოლოდ გვარტომობაზე ამყარებდნენ ხალხის მომავალს. მათთვის საკეთილო და საბედნიერო იყო საგვარტომო თვისებანი და ხალხის განათლება და წარმატება ამ თვისებათა განვითარება.

სლავიანოფილთა მოწინააღმდეგენი კი ფიქრობდნენ, რომ მთავარია ხალხი და საზოგადო კეთილდღეობა. კორესპონდენციაში მითითებულია, რომ რუსი სლავიანოფილები ხაზს უსვამენ უფროსობას 'ჩვენ უფროსნი ვართ და დარიგებაც შეგვფერის და გალახვაცაო, თუ უმცროსნი ძმები ისე ვერ მოიქცნენ როგორც ჩვენ გვინდაო'.

აქ ჩართულია გაზეთებში გამოქვეყნებული მაგალითი იმის თაობაზე თუ როგორ დაემუქრა დასჯით ბულგარეთში, სადაც დამყარებული იყო რუსული მმართველობა, სამხედრო მოხელე ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებს გამოუცხადებლობის გამო. საგაზეთო მასალის ავტორი შეცდომად მიიჩნევს ამგვარ ქმედებას, ამ მოღვაწეში ხედავს უფროსთა ბრძანების ბეჯით აღმასრულებელს, რომელიც არ ზრუნავს თავისი საქმის შინაარსზე და რომელსაც არ აქვს გაცნობიერებული, რომ გასანთავისუფლებელ ხალხში თვითმმართველობის დადგენა ყვირილით და მუშტით შეუძლებელია. კორესპონდენციის *წერილი პეტერბურგიდან* ავტორი ამახვილებს ყურადღებას ბულგარელების და რუსების ერთობის დარღვევაზე:

> სად არის ის უხილავი ერთობა ერთმანეთისთვის, როდესაც უმცროსი ეუბნება უფროსს: მართალია, ჩაგრული ვართ, მართალია მესარჩლები, მაგრამ სულგრძელება მოითხოვს ისე მომექცე, რომ წამ და უწუმ არ მაყვედრო შენი სიკეთე, არ შემიგინო თავმოყვარეობა, არ დამიჩაგრო კაცობრივი სული. შენვე არ მითხარ თავი და თავი საქმე გვარტომობა არისო. მეც ამ აზრისა ვარ და ამიტომ ყველაზე უწინარეს მინდა დავიცვა თვითარსებობა, ჩემი საკუთარი გვარტომობა, ჩემი საკუთარი ენა, ჩვეულება. საქმე ის არის, რომ სრული თავისუფლება და ერთობა იმ ნიადაგზე ხეირობს, რომელიც ჯერ შენც არ დაგიმზადებია და მე საიდან უნდა მომცეო (# 40).

საისტორიო წერილების სერია *ოსმალოს საქართველო* (ავტორი პეტრე უმიკაშვილი) სამხრეთ საქართველოს ცალკეული ნაწილების საზოგადო მიმოხილვის შემდეგ, მკითხველს აწვდის მონაცემებს იქაურ თავადთა და აზნაურთა გვარების შესახებ:

> ამ გვარეულობათაგან მრავალნი მოიპოვებიან რუსეთის საქართველოში, ქართლ-კახეთში და იმერეთ-გურია-სამეგრელოში. აქამდე ზოგთ ახლო მონათესავობა აქვთ და თუ დაშორებულა, ხსოვნა და მეგობრობა დარჩენილა და ახსოვთ წარსულის ცხოვრების ამბავი. ისტორიული შემთხვევა და ზოგჯერ ფრიადაც სახელოვანი ღვაწლი, იმ გვარათვე დარჩენილა ოსმალოს

> საქართველოში. ეს მოთხრობა გვარეულობის წარსულის ცხოვრებისა და ეს ერთობა გვარეულობათა ოსმალოს და რუსეთის საქართველოისათა ისეთი დასამყარებელი საძირკველია, რომელსაც შეუძლია საქართველოს ორივე ნაწილის დაახლოება და სულით შეერთება.

როგორც ვხედავთ, კვლავ არის ძიება იმ საფუძვლისა, რომელსაც უნდა დაეფუძნოს საქართველოს საუკუნეებით დაცილებული ნაწილების ერთიანობა. ქართველობის შენარჩუნების საკითხში უმთავრეს ნიშნად დასახელებულია ნათესაობა და ამ ნათესაობისა, და, აგრეთვე ერთად გატარებული პერიოდის შესახებ მახსოვრობის არსებობა.

1878 წელი

ამ წლიდან გაზეთს აქვს სათაური მონოგრამის სახით, რომელიც უკვე გარეგნულად მკაფიო ინდივიდუალობას ანიჭებს მას. გაზეთი არის ყოველკვირეული, გამოდის ხუთშაბათობით. ყოველი ნომერი იწყება ფასის და დისტრიბუციის ადგილების აღნიშვნით. სწორედ ამ განცხადებიდან თავიდანვე ცხადი ხდება, რომ *ივერია* ვრცელდებოდა საქართველოს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნაწილებში, ანუ მკითხველი საზოგადოების ტერიტორიული განზომილება საქართველოა მთლიანად.

ყოველი ნომერი თექვსმეტგვერდიანია. დასაწყისში მოცემულია საძიებელი. ბოლოში ხშირად წარმოდგენილია სარეკლამო განცხადება წიგნების გაყიდვასთან დაკავშირებით. ეს ფაქტი აჩვენებს, რომ *ივერიის* მკითხველები პოტენციურად ერთი და იმავე წიგნების მკითხველებიც არიან. ჩვენ მიერ განხილულ ნომრებში სათავადაზნაურო ბანკის და სხვადასხვა ამხანაგობების ანგარიშებიცაა წარმოდგენილი. ეს მიუთითებს, რომ *ივერიის* მკითხველები შეადგენენ არა მარტო ერთგვაროვან სულიერ საზრდოზე ორიენტირებულ ერთობას; ისინი პოტენციურად ბიზნეს-პარტნიორებსაც წარმოადგენენ.

საძიებლების ანალიზიც საინტერესო სურათს იძლევა: მათ მიხედვით ჩანს, რომ *ივერიას* აქვს რამდენიმე მუდმივი რუბრიკა. ეს ფაქტი შეიძლება გაგებული იქნას ასე: არის რამდენიმე თემა, რომლისადმი ინტერესი არსებობს საზოგადოებაში. ამ ინტერესის დაკმაყოფილება, მისი შემდგომი გაღვივება და კულტივაცია, არის რედაქტორ-გამომცემლის ანუ ილია ჭავჭავაძის უმთავრესი საზრუნავი. საერთოდ,

გამოცემა კვალიფიცირებულია რედაქციის მიერ როგორც სალიტერატურო და საპოლიტიკო.

ზემოთ აღნიშნული განმეორებადი რუბრიკები შემდეგია:

საქართველოს მატიანე – ესაა კორესპონდენციები რეგიონებიდან;

საპოლიტიკო მიმოხილვა – ესაა საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზი;

საქართველო (*ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევა*) – აქ წარმოდგენილია საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქციის ცდა;

ომის ამბები – აქ სპეციალური ინფორმაციაა რუსეთ-თურქეთის 1877–1878 წლების ომის მიმდინარეობის შესახებ.

ყოველ ნომერში იბეჭდებოდა ლიტერატურული ნაწარმოებები ხან ქართული ორიგინალური, ხანაც ნათარგმნი.

საქართველოს მატიანე ჩვენ მიერ განხილულ ყველა ნომერშია. ამით იწყება ყველა მათგანი. ესაა, როგორც ითქვა, კორესპონდენციები ადგილებიდან. დაახლოებით ათი დღის წინანდელი ამბებია ხოლმე წარმოდგენილი. პირველ ნომერში კორესპონდენცია შეეხება ქართლს; მეორეში ოზურგეთს და ივრის ხეობას, მესამეში – საგარეჯოს, სურამს, მეოთხეში – თბილისს, კარდენახს; მეხუთეში – საგარეჯოს, ოზურგეთს, კახეთს; მეექვსეში – გორს, ქუთაისს, კახეთს, სურამს; მეშვიდეში – ჯუგაანს, გურჯაანს, თიანეთს, სურამს, ხაშურს; მერვეში – თელავს, კახეთს; მეცხრეში – თელავს, კახეთს, გურიას; მეათეში – ქართლს, გურიას და ა.შ.

საინტერესოა კორესპონდენციების გეოგრაფია და თავად რუბრიკის სახელწოდებაც: აშკარაა, რომ ერთობას, რომელშიც ეს გაზეთი ცირკულირებს, აქვს ტერიტორიალური განზომილება: ესაა საქართველოს ორივე ნაწილი, როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი. საქართველო არის ყველა დასახელებული კუთხის, თუ ქალაქის, თუ სოფლის საერთო სახელწოდება. ეს კორესპონდენციები არის *ივერიის* ყველაზე მიმზიდველი ნაწილი: ისინი ნათლად აჩვენებენ სოციალურ ბმას იმ ერთობას შიგნით, რომელსაც, როგორც ითქვა, *ივერიისავე* პოზიციით, საქართველო ეწოდება.

ახლა ვნახოთ, რას ეხება ეს კორესპონდენციები. ეს არის ჩვეულებრივი ამბები, სრულიად ბანალური ისტორიები: სიცივე, ანტისანიტარია ქალაქში, კრიმინალური შემთხვევა, საქონლის ჭირი, არჩევნები სოფლის მმართველობაში, რომელიმე კუთხის დახასიათება,

სასწავლებლების მდგომარეობა. ინფორმაციებს სასწავლებელთა გაუმართავი მუშაობის და არსებული ანტისანიტარიის შესახებ მსჯელობას უკავია განსაკუთრებით დიდი ადგილი. კორესპონდენტები წერენ არაჩვეულებრივად ცოცხლად, მიმზიდველად, იუმორით, სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი ნიშნების დაფიქსირებით. ეს კორესპონდენციები გვიჩვენებს, რომ ყოველდღიური ამბები, საქართველოს რომელ კუთხეშიც არ უნდა ხდებოდეს ისინი, *ივერიის* მკითხველებისათვის თანაბრად საინტერესოა. განსაკუთრებით მიმზიდველად გვეჩვენა, მაგალითად, კორესპონდენცია გურიიდან, რომელიც ორ ნომერში, მეცხრეში და მეათეში, იბეჭდებოდა და გურიაში რუსეთ-თურქეთის ომის გამო შექმნილ ვითარებას აღწერს; და საერთოდ გურიის მდგომარეობასაც. ეს კორესპონდენტი, რომელიც წერს გურულის ფსევდონიმით, ნამდვილი დიდოსტატია თავისი საქმის. მსუბუქი იუმორით აღწერს ავტორი ვითარებას ბრძოლის ხაზთან ახლო მყოფი კუთხისას. რად ღირს თუნდაც მისი მსჯელობა ჩალის შესახებ და მისი ორაზროვანი გამონათქვამები ამასთან დაკავშირებით. რომ გასაგები გახდეს, რას ეხება საქმე, ვიტყვით მოკლედ: რუსის ჯარის გურიაში მობილიზაციასთან გამო საჭირო გამხდარა ჩალის დიდი რაოდენობით ქონა. ამიტომ გურიის ყველა მაცხოვრებელი ჩალის შეგროვებითა და გაყიდვით დასაქმებულა ამ დროს, თავად პოლიციის სეკრეტარიც, რომელსაც მონოპოლიაც კი მოუპოვებია ჩალის გაყიდვაზე. მისი ეზო გავსებულა ჩალის ზვინებით და ამ ეზოსაკენ მიმავალ ქუჩაზე ჩალით დატვირთული ურმები მოძრაობდნენ მუდმივად თურმე. გაჩნდნენ "ჩალის ვაჭრები", "ჩალის პოდრიადჩიკები", "ჩალის ქუჩა" ეწოდა იმ ქუჩას, რომელზეც პოლიციის სეკრეტარი ცხოვრობდა. კორესპონდენტი ირონიით შენიშნავს, რომ ამ პერიოდს მომავლის ისტორიკოსი, ალბათ, "ჩალის პერიოდს" უწოდებსო. თავად გურულებს კი უკვე მაშინ "ჩალის ხალხს". კორესპონდენტი ოხუნჯობს ასევე ხიდებზე, რომლებზეც ფეხის დადგმას ვერავინ ასწრებს, რადგან ყოველ წყალ-დიდზე წყალს მიაქვს ისინი. ძალიან სახალისოა შემდეგი პასაჟიც ამ კორესპონდენციაში: 'ერთი ვაჭრის მანდილოსანი ეუბნება მეორეს: "დღეი ერთია და ას ჯელ კი ვინატრეფ, ნეტაი ერთი ასი წლის სიცოცხლე მომაკლოო და პაწაი რუსული ლაპარიკი მაცოდინაო. ორი რეგვენი (ახალგაზრდას ეტყვიან ჩვენში) აფიცარი დადგა ჩემს სახლში, ჩამოვლიან წკიპა-წკუპით ყოველ დღე

ჩემთან, მეჭურღულებიან, მეჭურღულებიან რაცხას მათებურად, და ღმერთო გამაკეთეო, ერთ სიტყვას კი ვერ გევიგეჟ! წაწყტება ჩემი დედ-მამა ამდონის ჩემის წყევლით! თურმე რა ყოფილა სტავლა!'

კორესპონდენტის გაკილვის საგანია, რომ სწავლის საჭიროებას მხოლოდ ეს ფაქტი აგრძნობინებს ხალხს.

არანაკლები იუმორით არის სავსე მეცხრე ნომერში დაბეჭდილი კორესპონდენცია კახეთიდან, რომელსაც ხელს ქართველი (ნ. მთვარელიშვილი) აწერს. აი, ერთი ნაწყვეტი ამ კორესპონდენციიდან: 'სიმშრალეა კახეთის გზებზე. მაგრამ თელავში კი (კიდევ თელავი!) მომეტებულის ქუჩებში კი ადამიანს არ გაევლება ტალახის გამო. მაშ, იტყვის მკითხველი, თელავის ხალხი როგორ დადის "იმ" ქუჩებზეო? ბატონებო, თელავის ხალხი რომ დადის, ესენი "ადამიანები" კი არა – "თელაველები" არიან'.

არაჩვეულებრივად ცხოველმყოფელია კორესპონდენცია გორიდან, რომელიც დაბეჭდილი *ივერიის* მეექვსე ნომერში. ანტისანტარია ისეა აღწერილი, რომ გაუსაძლის მდგომარეობას გვაგრძნობინებს აი, ერთი ნაწყვეტი ამ კორესპონდეციიდან: 'ზემო ბაზრიდან დაწყობილი ციხის გვერდის ქუჩა ქვემო ბაზრამდე სულ მთლიანად მოკირწყლულია ადამიანის ფეინით, დამხვრჩვალი კატებითა და ძაღლებით. მთელი გორის ვაჭრებს ეს ქუჩა აქვთ ფეხის ადგილათ ... ქუჩებში ხოცავენ საკლავს, იქცევა სისხლი ... სისხლი ირევა ტალახში, მერე აჭერს მზე და ისეთს შვენიერ სურნელოვან ჰაერს აყენებს, ყნოსვით ვერ გაძღება კაცი'.

ეს ამონარიდები იმისათვის მოვიყვანეთ, რომ მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეექმნეს თუ რაგვარად ცხოველმყოფელ კორესპონდენციებთან გვაქვს საქმე.

ახლა გადავიდეთ ნომრების უფრო დეტალურ ანალიზზე. პირველ ნომერი იხსნება ინფორმაციით საქველმოქმედო საქმის შესახებ. გორის ეპისკოპოსს ალექსანდრეს გაუღია თანხა თბილისის სასულიერო სემინარიისათვის. ეს მომხდარა იმპერატორ ალექსანდრე I-ის დღეობასთან დაკავშირებით. თანხა მოხმარებია გალობათა ნოტების დაბეჭდვას, ბიბლიოთეკას, სასულიერო ლიტერატურის რუსულიდან ქართულად თარგმნას. აი, ამ ფაქტს აღნიშნავს *ივერია*. კმაყოფილებაა გამოთქმული იმის გამო, რომ ჩვენის საქმისათვის ჩვენმა კაცმა გაიღო ფული. ისეა ეს ნათქვამი, რომ მიგვანიშნება: ამგვარი რამ ხშირად არ ხდებოდა. ანუ ინფორმაცია ამ შემთხვევის შესახებ მარტო იმისათვის არ არის, რომ

რაღაც ფაქტი დადებითად შეფასდეს, არამედ იგი საზოგადოების გაკიცხვასაც ემსახურება. ამავე დროს თავისთავად ეს დადებითი მოვლენა იქცევა საბაბად იმისათვის, რომ კვლავ გაჩაღდეს მსჯელობა ქვეყნის ცხოვრებაში სამღვდელოების როლის შესახებ.

შენიშნულია, რომ სამღვდელოების როლი ქართველთა ცხოვრებაში დიდია, მაგრამ არა ახლანდელი სამღვდელოებისა, რომელსაც სრულიად დავიწყებული აქვს უწინდელის სამღვდელოების ღვაწლი. კარგი ითქმის მხოლოდ მამა-პაპათა დროის სამღვდელოებაზე. ძველად ღვთის მსახური კაცი იყო ერის მსახურიც, ჭეშმარიტის მქადაგებელი. ასე იყო გაქრისტიანების დროიდან, სამღვდელოებას ხელთ ეპყრა ქართველების განათლება და მეცნიერება, სამღვდელოება მიუძღოდა ერს წარმატების გზაზე.

ძალიან საინტერესოა ორი მომენტი: კერძოდ, წერილის ავტორის მიერ "ჩვენ"-ის გამოყენება. "ჩვენი კაცი", ცხადია, არის ქართული ჩვენ-ჯგუფის წევრის სახელწოდება. არსებობს ამ ჩვენ-ჯგუფის საერთო ინტერესიც, რომელსაც "ჩვენი საქმე" ეწოდება.

აღნიშვნის ღირსია წარსულის გაიდეალებაც. ამ კორესპონდენციის ერთ-ერთი უმთავრესი გზავნილია ის, რომ წარსულში ანუ მამა-პაპის დროს ქართველ ერს ჰყავდა სწავლით დაწინაურებული სამღვდელოება და ის მიუძღოდა მას წარმატების გზაზე. სრულიად აშკარაა, რომ *ივერიის* მკითხველთა წრე არის მოაზრებული ქართულ ერთობად. ანუ მკითხველი და ერი ერთმანეთს ემთხვევა.

ეს იდეები თავისებურ გაგრძელებას ჰპოვებს, ბალადაში დემეტრე თავდადებულზე. ბალადა იწყება თანამედროვეებისადმი დასმული კითხვებით, რომელიც ნაციონალიზმის იდეოლოგიის უნივერსალიას წარმოადგენს: ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, სად არის ჩვენი ფესვები? როგორც მოსალოდნელიც იყო, ეს კითხვები აქტუალური გამხდარიყო ნაციონალური კონსოლიდაციის გზაზე მდგარი ერთობისათვის, რომლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მათზე პასუხს ანუ საკუთარი თავის "აღმოჩენას":

მოდით შვილნო, აქ მოგროვდით,
გეტყვით გულის გასათბობსა,
ვინ ვიყავით, რა ვიყავით,
ჩვენ ქართველნი წინა დროსა.

აქ ვხვდებით ტერმინს "მამულის შვილობა", რომელიც წარსულ დროში სასახელო ყოფილა, როგორც აღნიშნავს მეფანდურე ანუ ავტორი. იდეალიზებულია წარსული, ყოველგვარი სოციალური დაპირისპირება საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენას შორის გადალახული ყოფილა სწორედ მამულის სიყვარულით:

შვილის ყოლა გლეხს თუ თავადს,
მარტო მისთვის გვიხაროდა,
რომ მამულსა მეომარი
მით ერთი ემატებოდა.

აქაც გამოკვეთილია კოლექტიური "მე" ანუ "ჩვენ", რომელიც გულისხმობს როგორც გლეხს, ისე თავადს. მამულისადმი მათ დამოკიდებულებაში განსხვავება არ არის. მათ თანაბრად უყვართ მამული. ამაში მათში სხვაობა არ არის. შვილი მხოლოდ მამულისათვის იყო, მისი სიცოცხლეც და სიკვდილიც დედას მამულისათვის ჰქონდა გამიზნული. ამგვარად, *ივერიის* მკითხველს უნდა შეედგინა ერთობა, რომლის ფასეულობათა შკალაზე მამულს ეკავა ყველაზე მაღალი პოზიცია. ეს იყო "საკრალურის" დონე.

აქაც წარსულის იდეალიზაციასთან გვაქვს საქმე. მამულისათვის თავგანწირვა, ამ ბალადის მიხედვით, ძალიან კარგია, ადამიანურობის ფუნდამენტური მოთხოვნილებაა. ეს დადებითი თვისება ქართველებს წარსულში ჰქონდათ. ახლა აღარ აქვთ. ამიტომაც წარსული კარგი იყო. ამიტომაც ბალადის მთქმელის უმთავრესი სადარდელი ისაა, რომ რაც ვიყავით, ის აღარ ვართ; უმთავრესი ნატვრა კი ისაა, რომ რაც ვართ, ის აღარ ვიყვეთ. წარსულის იდეალიზაცია კი, როგორც ითქვა, ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესისათვის არის დამახასიათებელი.

ეს ბალადა ძალიან საინტერესოა ერთობის აღმნიშვნელი ისეთი ტერმინების გამოყენების თვალსაზრისითაც, როგორიცაა "საქართველო" და "ქართვლის ერი":

ამით იყო საქართველო უძლეველი და ძლიერი,
ამით ედგა მტერს გულდაგულ ეს პატარა ქართვლის ერი.

საინტერესოა ეპითეტიც "პატარა". იგი ილიას სხვა ნაწერებშიც მეორდება და შემთხვევითი სულაც არ არის (ეს სახე დიდხანს რჩება ქართულ სინამდვილეში. გავიხსენოთ სხვა პოეტის ცნობილი სტროფი:

ვინა თქვა თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ნახა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი.

ერთი შეხედვით, ლექსის ავტორი, თითქოს პოლემიკას აწარმოებს ილიასთან. სინამდვილეში იგი ავრცობს ილიას აზრს, უფრო ზუსტად, აფიქსირებს იმ იდეას, რომელიც პროვოცირებულია თავად ილიას მიერ: საქართველო ტერიტორიით პატარაა, მაგრამ საქართველო თავისი კულტურით არის დიდი. ამ განცდის კულტივირებას ცდილობდა *ივერიაც*. ეს განცდა კომპესაციას წარმოადგენდა იმ უარყოფითი ემოციისა, რომელსაც იწვევდა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური უძლურება.

აღნიშნული ეპითეტი ერთობის ინდივიდუალიზაციის საშუალებაც იყო იმ მიმართების პირისპირ, როგორიც იყი რუსეთის თვალუწვდენელი იმპერია და პატარა საქართველო. ამ რეალურ ფაქტს სოციალური საზრისიც მიენიჭა და იგი იდენტიფიკაციის საშუალებად გადაიქცა. განსახილველ ბალადაში ძალიან თვალსაჩინოდ ჩანს, რომ ქართული ერთობა ანუ ქართველი ერი საკრალიზებულია. მისთვის თავის დადება უკვდავების მომტანია. ყველანი უკან დახევას ურჩევენ მეფე დიმიტრის, მღვდელმთავარი კი ეუბნება:

მეფევ თავი უნდა დაჰსდო
ერისა და ქვეყნისათვის
ვჰსტირ და გირჩევ ღვთის სახელით
ხორცი დასთმო სულისათვის,
უკვდავება არ დაჰკარგო
წუთისოფლის გულისათვის.

თუ პრემოდერნული ხანის საქართველოში საერო (მსოფლიო) და სასულიერო ერთმანეთს უპირისპირდებოდა, ახლა საერო საქმე, იგივე, სასულიერო საქმედ აღიქმება, მას მოაქვს უკვდავება. თავის დადება ერისათვის მეფის მოვალეობაა. მისი პასუხი ადექვატურია:

წავალ და თუ ღმერთს სწადიან
ერისათვის თავსა დავდებ.

ამ შემთხვევაშიც წარსულის იდეალიზაციისას ხაზი ესმევა სოციალური ფენათა შორის ჰარმონიას. მეფე თანაბრად ზრუნავს ყველა სოციალურ ფენაზე (მეფე მზეა, მისი სხივი "ვარდთა და ნეხვთა" თანაბრად მოეფინება). აშკარაა, რომ *ივერიის* იდეალი არაა საზოგადოების სოციალურ ფენათაგან რომელიმეს მოსპობა. თანაარსებობის საფუძველს წარმოადგენს ყველა ფენის მიერ მამულის თანაბრად სიყვარული. აი, რას უბარებს დემეტრე დიდებულებს:

გლეხს თუ თავადს, დიდს თუ მცირეს
მადლი თანასწორ მოჰფინოთ,
ობოლი, ქვრივი, უძლური,
ძლიერს არ დამიჩაგვრინოთ.

ესაა დემეტრეს საზრუნავი ქვეყნის დატოვებისას. იგულსხმება, რომ მისი ქვეყანაში ყოფნისას, ამ ჰარმონიას იგი თავადვე უზრუნველყოფდა. წარსულის პერცეფციაში, მის იდეალიზაციაში ეს თანაბრობა არის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი. ამ ნიშნით, ამას ყველა ხედავდა, რომ აწმყო სრულიად სხვაგვარად ხასიათდებოდა. ქონებრივი უთანასწორობა იყო, რჩებოდა წოდებრივი უთანასწორობაც. ეს კი მამულის სიყვარულის საფუძველზე ერთობის კონსოლიდაციას ხელს უშლიდა. ამიტომაა, რომ ილია ცდილობდა ამ უთანასწორობის არა მოსპობას (ამას, ჩანს შეუძლებლად თვლიდა), არამედ განეიტრალებას და დაბალანსებას. მიუხედავად წარსულის იდეალიზებსა, ბალადაში არაა ნათქვამი, რომ წარსული მომავალში უნდა ზუსტად განმეორდეს, მაგრამ აწმყო რომ არ უნდა განმეორდეს, ამაზე ცალსახად დადებითი პასუხია გაცემული.[18]

[18] ალბათ ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს, რომ ილიას ინტერესი დემეტრე მეფისადმი გაღვივებია ბავშვობიდან, როცა მშობლებისაგან ისმენდა ისტორიებს საქართველოს გმირული წარსულის შესახებ. უკვე მოზრდილობაში, ვიდრე პოემას დაწერდა, ჩანს, ილია სერიოზულად სწავლობდა ამ მეფის ცხოვრებას. მაგალითად, მას რუსულიდან უთარგმნია სომხური წყარო, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას დემეტრეს შესახებ. ეს თარგმანი ილიას გამოუქვეყნებია ბ.ვ.-ის ფსევდონიმით ჟურნალ *საქართველოს მოამბის* 1863 წლის მეცხრე ნომერში

ამ ნომრის შემდეგი პუბლიკაციაა *წერილი პეტერბურგიდან* (# 1). ესაა გაგრძელება ადრე გამოქვეყნებული წერილისა, რომელსაც უკვე ვეხებოდით. პუბლიკაციის მიზანს წარმოადგენს იმ სტატიის განხილვა, რომელიც დაბეჭდილა ჟურნალში *Вестник Европы* და რომელიც შეეხება სლავებს. მისი სათაური ყოფილა *Будущность Славянства*.

ამ წერილმა ჩვენი ყურადღება, როგორც ქართული იდენტობის ისტორიის მკვლევრებისა, მიიპყრო ორი გარემოების გამო: ჯერ ერთი, ქართული ერთობის კონტექსტუალიზებისაკენ სწრაფვით, რაც ნიშნავს არა მარტო საკუთარი იდენტობის მკაფიო აღქმას, არამედ სხვების, განსაკუთრებით, უშუალო კონტაქტში მყოფი "სხვების", ადექვატურად დანახვის მცდელობას.

მეორეც, ინტერესს იწვევს სლავების ისტორიული ყოფიერების აღწერისათვის გამოყენებული ტერმინები. რომლებიც, ცხადია, ასახავს ნაციათა ჩამოყალიბების ეპოქის ქართული საზოგადოების პერცეფციებს.

ტერმინების შერჩევა იმგვარად რთული პროცესის, როგორიც ნაციონალური კონსოლიდაციაა, და იმგვარად რთული ფენომენის, როგორიც ნაციაა, აღსაწერად, დღესაც კი ძალზე ძნელია და ეს პრობლემა იქნებოდა მითუმეტეს მაშინ, როცა აღნიშნული პროცესის რეფლექსია ახლად დაწყებული იყო. ილიას მიღწევები ამ სფეროში უდავოა. თუმც რიგ შემთხვევებში გამოყენებული ტერმინები არაა ცალსახა და მათი ორაზროვნება, ცხადია, თავად პროცესების შემეცნების ხარვეზიანობის მაჩვენებელია. ტერმინები ამ პროცესის პარალელურად იქმნებოდნენ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ივსებოდნენ სათანადო შინაარსით. ამიტომაა, რომ ილიას მიერ გამოყენებულ ტერმინებში ზოგჯერ ორაზროვნება შეინიშნება, ანუ მათი ცალსახა ინტერპრეტაცია ყოველთვის ვერ ხერხდება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ილიას მიერ "ტომის" გამოყენება და მისი შინაარსის განმარტება სხვადასხვა კონტექსტში. თავიდან ისე ჩანს, რომ "ტომი" ილიასათვის გენეტური წარმომავლობის მაჩვენებელი ტერმინია. მაგალითად, იგი იყენებს ასეთ ფრაზას: "სლავიანის ტომის

სათაურით "კირაკოს განძაკეცი, მწერალი მეცამეტე საუკუნისა". იხ. ლ. დავლიანიძე. კირაკოზ განძაკეცის თხზულების ილიასეული ქართული თარგმანი. ანალები (ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიისა შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი). თბილისი, მემატიანე, 2008, გვ. 22-29 (ელექტრონული პუბლიკაცია).

ხალხი". ისე ჩანს, რომ აქ იგულისხმება სლავური წარმომავლობის ხალხები. არის ისეთი ადგილიც განსახილველ წერილში, რომ "ტომი" უნდა გავიგოთ მოდგმად, მაგალითად, იქ სადაც ლაპარაკია "სლავიანის ტომის" მომავალზე. ერთი წარმომავლობის, ერთი მოდგმის მრავალრიცხოვან ტრანსეთნიკურ ერთობაზეა საუბარი.

მაგრამ არის ამ წერილში ისეთი ადგილებიც, რომლებიც ტერმინ "ტომის" კულტურულ განზომილებას აჩვენებენ. "ტომი" თითქმის ეთნიკური ჯგუფის, ეთნიეს ექვივალენტად არის გამოყენებული. ასე მაგალითად, აქ წარმოდგენილია მსჯელობა, რომლის მიხედვითაც "სლავიანის ტომის ხალხები" ცხოვრობენ რა სხვადასხვა სახელმწიფოებში, თანდათან კარგავენ თავიანთ დედათვისებას ანუ თავდაპირველ თვისებას და იძენენ იმ ხალხის გვარტომობას, რომლის ძლიერი გავლენის ქვეშაც იმყოფებიან. რა გამოდის: "გვარტომობის" შეცვლა, ახლის მიღება შესაძლებელი ყოფილა. ამგვარად, "გვარტომობა" არ შეიძლება მარტო ბიოლოგიური აზრის მქონე მოვლენის აღმნიშვნელად მივიჩნიოთ, მას აქვს კულტურული შინაარსიც. კულტურის მიღება-ცვლილება, წარმომავლობისაგან განსხვავებით, შესაძლებელია. ამგვარად, "ტომს" ზოგ შემთხვევაში აშკარად კულტურული კონოტაცია აქვს.

საინტერესოა აზრიც "ტომადყოფნის" მდგომარეობის არსებობის დროზეც. იგი სრულიადაც არაა მიჩნეული მარადიულ კატეგორიად, თუმც პრიმორდიალურ ფენომენად კი. წერილში შენიშნულია, რომ ვინაიდან სლავიანის ტომის ხალხნი ვერ უმკლავდებიან უცხო ტომთა გავლენას, ადრე თუ გვიან მათი გვარტომობა გაქარწყლდებაო. ამგვარად, გვარტომობის გაქარწყლება შესაძლებლად არის მიჩნეული. ჩვენი აზრით, აქ უფრო საუბარია ეთნიკურობის ანუ კულტურული ერთობის გაქარწყლებაზე და არა იმდენად ერთობის ფიზიკური აზრით მოსპობაზე.

წერილში გვხვდება ასეთი აზრებიც: 'სლავთა საგვარტომო მოძრაობა ყველაზე უწინარეს მწერლობაში გამოჩნდა. ყველა პაწაწინა ტომი დაადგა თვით საკუთარის ლიტერატურის დაარსებას და შემუშავებას. და გაჩნდა იმდენი მწერლობა, რამდენიც ცალკე ტომი მოიპოვებოდა'. ამ კონტექსტში "ტომი" არის აშკარად ეთნიეს ეკვივალენტი და, შესაბამისად, კულტურული იდენტობის საფუძველზე აღმოცენებული ერთობის აღმნიშვნელია.

მაგრამ "საგვარტომო" ანუ ეთნიკური სოლიდარობა ამ წერილში მიჩნეულია უფრო ნაკლები ძალის მქონედ, ვიდრე პოლიტიკური ლოიალობა. ნამდვილი ერთობა შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ პოლიტიკურ ასპარეზზე. მხოლოდ პოლიტიკურ სოლიდარობას შეუძლია ძირეული ცვლილებების გამოწვევა. ეს კარგად ეხმაურება იმ ეპოქაში ქართულ აზროვნებაში არსებულ თვალსაზრისს, რომ სახელმწიფო ქმნის ერთ-ერთ პირობას ერის შექმნისათვის.[19] ამგვარად, სრულიადაც არაა შემთხვევითი, რომ *ივერია* ასე დიდ ყურადღება უთმობს სლავებს. ამ მოდგმის გამოცდილება ძალიან საჭიროა კონკრეტული ისტორიის ფაქტების, საზოგადოდ, ეთნიკურობის და ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესების გასაგებად.

როგორც ითქვა, განსაკუთრებული მნიშვნელობის რუბრიკა *ივერიაში* არის საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის ამსახველი სტატიები.

საუკუნეზე მეტი ხნის გასვლის შემდგომ, აქ წარმოდგენილ მოსაზრებათა დიდი ნაწილი წესით უნდა მოძველებულიყო. მაგრამ ჩვენი პირველი შთაბეჭდილება ისეთია, რომ ბევრ საკითხში, და განსაკუთრებით კი ეთნოგენეზისის საკითხის კვლევაში, დიდად შორს თანამედროვე ქართული ისტორიოგაფია წასული არ არის. ასე, მაგალითად: ამ პირველ ნომერში წარმოდგენილი კვლევა შეეხება ტომებს, რომლებსაც ასახელებენ უცხოური წყაროები. სულ ბოლო დრომდე ქართულ ისტორიოგრაფიაში არ იყო დასმული საკითხი იმის თაობაზე, რამდენად მართებულია ძველი ავტორების მიერ იდენტიფიცირება ერთობებისა რეალურად არსებული კოლექტიური კულტურული იდენტობებთან, რომლებიც ასახვას მათ მიერ სახელდების პრინციპში ჰპოვებს. *ივერიაში* კი ეს საკითხი გამოკვეთილად დაისმის:

[19] სამი ათეული წლის შემდგომ, კერძოდ, 1907 წელს, აი რას წერდა ამ საკითხზე ა. ჯორჯაძე: 'ჩვენ არ ვაკავშირებთ მიზეზობრივის კავშირით სახელმწოფოსა და ეროვნებას, რადგან მიზეზი ეროვნების გაჩენისა მრავალ უნდა ყოფილიყო. ჩვენ გვგონია მხოლოდ, რომ სახელმწიფოს წარმოშობის პროცესში უფრო ნათელი ხდება პროცესი ეროვნების წარმოშობისა და რომ სახელმწიფო აშკარაა ერთის იმ ძალთაგანი იყო, რომელმაც შობიერების ხანაში ბებიაქალობის საქმე გაუწია ეროვნებას'. იხ. ა. ჯორჯაძე. სამშობლო და მამულიშვილობა (შემდგენელ-რედაქტორი ე. კოდუა). თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990, გვ. 7-8.

ზსენებულ ტომთა საცხოვრებელი ადგილები და ერთი მეორის საზღვარი არეული უნდა იყოს. ჩვენ იმასაც ვფიქრობთ, რომ უცხო-ტომთ ძველი ცნობები ერთსა და იმავე ტომებს სხვადასხვა სახელს აძლევენ და წარმოგვიდგენენ სხვადასხვა ტომად. ამ გვარ შეცდომას უცხო ტომთ მხრივ ხშირად ვხდებით ძველ დროში და შემდეგაც'.

ეძიებს რა ქართული ერთობის ისტორიულ ფესვებს, *ივერია* ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მთელი რიგი ტომების, მაგალითად, თობალების, მოსოხთა ქართული წარმომავლობა არ ეეჭვებათ უცხოელ მეცნიერებს. ატრიბუტ ქართულს იგი იყენებს, ცხადია, პრიმორდიალური აზრით: ამ ტომთა გაერთიანების გზით კი არ მიიღება ქართული ერთობა, ქართული ერთობა ამ ტომთა უწინარესი რეალობაა. ამიტომ ხდება ასე იოლად ამ ტომთა კვალიფიკაცია, როგორც ქართველ ტომთა. "ტომი" ამ შემთხვევაში უფრო ვიწრო იდენტობას ნიშნავს, ვიდრე ეთნიკურობა გულისხმობს ამას.

1878 წლის *ივერიის* მეორე ნომერში რუბრიკაში *საქართველოს მატიანე* დიდი ყურადღება ეთმობა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელს. საკმაოდ ვრცელი წერილია. განათლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა და ენიჭება ყველა ქვეყნის ნაციონალიზმის პროგრამაში. განათლების სისტემის ქსელის განვითარება და მისი უნიფიცირება, როგორც ითქვა, წარმოადგენს ერთობის სოციალური ჰომოგენიზაციის ყველაზე ქმედით საშუალებას ახალ დროში. ერთიანი საგანმანათლებლო სივრცე, განვითარებული საგანმანათლებლო არხები იძლევა ნაციონალური იდეების დაუბრკოლებლად ცირკულაციის შესაძლებლობას, რაც ერთობის შემდგომი კონსოლიდაციის კატალიზატორად გვევლინება. ამიტომაც ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება აქვს *ივერიაში* მიპყრობილი. კორესპონდენცია ოზურგეთიდან გამონაკლისი არ არის. თავისი მამხილებელი ტონით მას არ ჩამორჩება მესამე ნომერში ამავე რუბრიკაში დაბეჭდილი წერილი *ზოგიერთი მასწავლებელი*, რომელიც კორესპონდენციაა კახეთიდან. ამ კორესპონდენციიდან ვიტყობთ, რომ კახეთშიც საკმაოდ უზნეო და უვიცი მასწავლებლები ჰყოლიათ.

რუბრიკაში *საქართველო* (*ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევა*) წარმოდგენილია კავკასიის მიმოხილვა, ჩანს იმისათვის, რომ საქართველოს კონტექსტუალიზება კარგად მოახერხოს მკითხველმა

არა მარტო დროში, არამედ სივრცეშიც. აქვე არის აქცენტირებული, რომ საქართველო ევროპისა და აზიის საზღვარს წარმოადგენს.

ამავე ნომერში ქვეყნდება წერილი *ფიქრები ახალი წლის გამო* (# 2), რომელიც საზოგადოდ იდენტობრივ პერცეფციებზე დაკვირვებისათვის ძალიან საინტერესოა. განსაკუთრებით ნიშანდობლივია დასაწყისი, რომელიც თვალნათლივ აჩვენებს, რომ *ივერიის* მკითხველი საზოგადოება და ქართული ერთობა ერთი და იგივეა. *ივერია* არის მედია საშუალება, რომელიც უკვე არსებული დიდი კოლექტივის შემდგომი კონსოლიდაციის საქმეს ემსახურება. ამ ერთობის სიმტკიცისათვის ზრუნვა არის არა მარტო *ივერიის* მთავარი ამოცანა, არამედ უზენაესი ღირებულებაც მთელი ერთობისათვის და საზოგადოდ საკაცობრიო ფასეულობათა თვალსაზრისითაც. ასეთია *ივერიის* პოზიცია. აი, ამ სტატიის დასაწყისი:

> ჩემო მკითხველო, ბევრნი არიან ჩვენში მოტირალნიც და მოცინარნიც ამ ჩვენის დავრდომილის ცხოვრებისა. სწორედ გითხრა და საცინელიც არის და სატირელიც ეს ჩვენი ცხოვრება, ჩვენი – ქართველებისა.

როგორც ვხედავთ, სრულიად ცალსახად არის გაცხადებული ილიას მკითხველი განეკუთვნება იმ "ჩვენს", რომელსაც "ქართველები" ჰქვია. ზემოთ ატრიბუტ "პატარაზე" მსჯელობისას ჩვენ შევნიშნეთ, რომ ამით ერთობის ინდივიდუალობის გამოკვეთა ხდებოდა. ახლა ეს ერთობა აშკარად კოლექტიურ პიროვნებად არის წარმოსახული, მის მიმართ გამოყენებულია სხვა ატრიბუტი, კერძოდ, "პირღია".

ძალიან პესიმისტურია და ამის გამო მკითხველის თავმყვარეობაზე დიდი ზემოქმედების მქონეა წერილის დასასრულიც: ათასი რომ დადგეს ახალი წელი, მაინც ახალს ვერაფერს ვერ გავაკეთებთო. ავტორი შენიშნავს, რომ ქართველები სხვებს თავს აქელვინებენ თავიანთი ნებით, თან იცინიან, ვითომ დემოკრატობენ. ამ "სხვებში", ავტორი ალბათ სომხებს გულისხმობს. რადგან რუსების მიერ ქართველთა ქელვა ქართველთა ნების გამოხატულებად, ცხადია, ვერ ჩაითვლებოდა. რუსეთის ძალადობის წინააღმდეგ ქართველობას არაფრის გაკეთება არ შეეძლო. აი, სომხების წინააღმდეგ კი შეეძლო და, ჩანს, სწორედ ამ მიმართულებით უმოქმედობას საყვედურობს ავტორი ქართულ საზოგადოებას.

წერილში ყურადღება არის გამახვილებული იმ აღმაშფოთებელ ფაქტზე, რომ ზოგმა ქართველმა ქართული კითხვა არ იცის და კიდევაც თაკილობს ქართულის ცოდნას. ავტორი ამას სიავაზაკეს უწოდებს და საკუთარ ემოციასაც აღნიშნავს: 'ისე ურცხვად ლაპარაკობენ ამ სიავაზაკეს, რომ ჟრუანტელი გამივლის ტანში, ეს სულით და გულით სრული მახინჯები, ეს არა კაცნი!' (# 2).

ეროვნული ნიჰილიზმი, ამ წერილის მიხედვით, ადამიანს აყენებს ადამიანურობის ანუ კაცობის მიღმა. საკმაოდ მკაცრი განაჩენია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ *ივერიის* მიხედვით მთავარი ფასეულობა მამული და მისი სიყვარულია, გასაგებია ეს სიმკაცრე. წერილი მთავრდება მკითხველისადმი მიმართვით: ამდენი ხნით აღარ აგიღელვებ გულსო ლაპარაკით 'ჩვენ უიმედო, უფსკრულზე მიმდგარ ცხოვრებაზე'. ისევ "ჩვენ"-ის განცდა და ისევ საერთო ბედის განცდა. *ივერიის* მკითხველი და ქართველობა არის იმგვარი ერთი, რომ მათ საერთო ბედისწერა აქვთ.

ამავე, ანუ მესამე, ნომერში ტრადიციულ რუბრიკაში *საქართველო* (*ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევა*) ყურადღება მახვილდება იმ მონაცემებზე, რომლებიც დაცულია *ქართლის ცხოვრებაში* ოსების შესახებ. მათი მიდიური წარმომავლობა არის აღნიშნული, მათი ენის ირანულ ენათა ოჯახისადმი კუთვნილება. ამგვარად, საქართველოს ისტორია და ეთნოგრაფია *ივერიის* მიხედვით არ არის მხოლოდ ეთნიკურ ქართველთა ისტორია და ეთნოგრაფია. საქართველო არის მულტიეთნიკური ცნება.

მეოთხე ნომერში წარმოდგენილი რუბრიკა *საქართველოს მატიანე* იხსნება კორესპონდენციით გურჯაანზე ძალიან საინტერესო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევია წარმოდგენილი, ნაჩვენებია გურჯაანის სპეციფიკა, ამავე დროს ხაზგასმულია, რომ რეგიონალური სხვაობა ვერ ფარავს კოლექტიურ კულტურულ იდენტობას, რომ გურჯაანელების ხასიათი ქართულია:

> საკვირველი ხალხია ეს გურჯაანელები. ერთი სიტყვით ძნელად თუ გურჯაანელები ზომიერებას რამეში იწინამძღვრებენ. რათაო? მათაო, რომ ქართველები არიან.

კორესპონდენციას ხელს აწერს კორესპონდენტი ფსევდონიმით "ცხვილოელის თანამოაზრე".

ეს ნარკვევი ერთგვარ შესავალს წარმოადგენს მეხუთე ნომერში დაბეჭდილი კორესპონდენციისა. ამჯერად ფოკუსშია მამასახლისისა და მსაჯულთა არჩევის ფაქტი. იდენტობის ისტორიის თვალსაზრისით აქ წარმოდგენილი ამბავი ყურადღებას იქცევს "ჩვენ – სხვა" დიქოტომიის კონტექსტში. აღწერილია დაპირისპირება ქართველებსა და სომხებს შორის. ამგვარად, გურჯაანში მარტო ქართველები არ ყოფილან, თუმცა წინა კორესპონდენციაში, როგორც ითქვა, გურჯაანელობა და ქართველობა იგივდებოდა. ხასიათის შტრიხი, ერთ რეგიონში მცხოვრები ადამიანების საერთო შტრიხადაც წარმოჩნდებოდა. როგორც ირკვევა, აქამდე არჩევნების საკითხში უპირატესობდნენ სომხები, ამისათვის ფულსაც ხარჯავდნენ, რომ შემდეგ სასურველი მამასახლისისა და მსაჯულების მეშვეობით გარკვეული გამორჩენა ჰქონოდათ. ახლა, როცა არჩევნები წესიერად ჩატარებულა, ქართველებს გაუმარჯვნიათ. მამასახლისიცა და მსაჯულებიც სულ ქართველები აურჩევიათ. კმაყოფილებით შენიშნავს ამ ფაქტს კორესპონდენტი. დაპირისპირება წარმოდგენილია როგორც სოციალურ-ეთნიკური: ერთ მხარეს არიან სომეხი ვაჭრები, მეორე მხარეს – ქართველი გლეხები. თუმც ისიც ჩანს, რომ სოლიდაროაბის საფუძველი ყოველთვის კოლექტიური კულტურული იდენტობა არ იყო. რომ ზოგი ქართველი სომხების მხარეს იჭერდა. კორესპონდენტის განმარტებით ეს ის ქართველები იყვნენ, რომლებიც ვაჭრობას მისდევდნენ და ამის გამო სომეხთა ყმობაში იყვნენ თუ საქმით თუ აზრით.

სრულიად აშკარაა, რომ *ივერიის* სიმპათია არის არა უბრალოდ ქართველის, არამედ ქართველი გლეხის მხარეზე. როგორც ცნობილია, ეს დამახასიათებელი იყო ილიას სოციალური პერცეფციებისათვის. თავის მხრივ, ეს ანუ გლეხობის იდეალიზაცია ნაციონალიზმის უნივერსალიების გამოვლინებაა ქართულ სინამდვილეში, რის შესახებაც ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნავდით. რახან სიტყვამ მოიტანა, აქვე ვიტყვით, რომ ზოგჯერ კომერციულ საქმიანობისადმი ერთგვარ უარყოფით დამოკიდებულებასაც იჩენს *ივერია*. ზემოთ უკვე აღნიშნული მეცხრე-მეათე ნომრებში დაბეჭდილი კორესპონდენცია გურიიდან ასევე საინტერესოა ამ თვალსაზრისით. ავტორი აღწერს, იმ ფაქტს, რომ გურულები კარგად მოერგნენ იმ სიტუაციას, რომელიც გურიაში წარმოშვა იმან, რომ გურია რუსეთ-თურქეთის 1977–

1978 წლების ომის დროს გადაიქცა ფრონტისპირა რეგიონად. ამასთან დაკავშირებით იგი იხსენიებს აზრს, რომლის მიხედვითაც, გურულები ურიებიდან არიან წარმოშობილი და შენიშნავს, რომ გურულები ურიებზე უფრო ურიულად მოიქცნენ. თუმც აქვე ამატებს, რომ ეს მანკიერება მხოლოდ ოზურგეთელებს შემოეპარათ, სხვა ხალხი კი კვლავინდებურად პატიოსანიაო:

> მადლობა ღმერთს, რომ ეს ურიული ხასიათი მარტო ოზურგეთელ გურულებს დაეტყოთ, დანარჩენი გურიის ხალხი, აქაური გლეხ-კაცობა ისევ ის მართალი, პატიოსანი ხალხია, რაც ყოველთვის ყოფილა ... არიქა, ჩვენო ქალაქელო ვაჭრებო, გაიტენეთ ჯიბეები და მუცლები საცოდავის თქვენის ძმა-გლეხის ოფლით და სისხლით.

გურიაში, რომ სომხებიც ცხოვრობდნენ, ეს ამავე კორესპონდენციის სხვა ნაწილიდან ჩანს. მაგრამ ვაჭრები ოზურგეთში ქართველები ყოფილან, თუმც თავიანთი დაუნდობლობით ისინი ებრაელ ვაჭრებს არ ჩამოუვარდებოდნენ და თავიანთ თანამემამულეებს ყვლეფდნენ.

ამგვარად, კორესპონდენტის უარყოფითი დამოკიდებულება, მარტო ეთნიკურობით არაა ნასაზრდოები. უარყოფით დამოკიდებულებას განსაზღვრავს სოციალური პოზიცია და აქედან გამომდინარე ქონება. მაგრამ კორესპონდენტი ისე წერს, რომ აშკარაა: მისი აზრით, ეს "ურიული ხასიათი" საზოგადოდ ქართველებისათვის არაა დამახასიათებელი, თუმც იძულებულია დააფიქსიროს, რომ გარკვეულ სიტუაციაში ქართველებიც "ურიულად" (ანუ მხოლოდ კომერციული მოსაზრებებიდან გამომდინარე და არაჰუმანურად) იქცევიან.

ახლა ისევ კახეთიდან კორესპონდენციის შესახებ, რომელიც ამჯერად წყაროს შეკეთებასთან დაკავშირებული. იგი გამოქვეყნებულია მეცხრე ნომერში. აქაც აღწერილია სომეხი ვაჭრისა და ტეტია ქართველი გლეხის სიტყვისგება. თუმც კორესპონდენციის მთავარი სათქმელიდან ერთგვარი გადახვევა იყო, მაინც კორესპონდენტს მაინც ჩაურთავს ეს – დაპირისპირების მაჩვენებელი გაბაასება, სადაც სომეხი დასცინის გლეხის ქართველობას, ხოლო ქართველი გლეხი სომეხ ვაჭარს სულელს უწოდებს.

სომხებთან დამოკიდებულებას ასახავს მექვსე ნომერში დაბეჭდილი ერთი კორესპონდენციაც სურამიდან: 'რისგან არის, რომ სომხებს არცერთი სალდათი არ უდგათ სახლში, სულ ქართველებთან

არიან?’ ეს კითხვა ისეა დასმული, რომ სომხებს უფრო ამტყუნებს, ვიდრე თავად ამ უბედურების წყაროს ანუ რუს სალდათებს.

როგორც ითქვა, კორესპონდენციებში დიდი ადგილი უკავია, მსჯელობას სკოლების თაობაზე. ეს ჩანს, ქართული საზოგადოების უმთავრესი ინტერესის საგანი რჩება ამ წელსაც და, შესაბამისად, *ივერიისაც*. მეხუთე ნომერში ჩვენი ყურადღება მიიპყრო კორესპონდენტის შენიშვნამ, გაკეთებულმა ახალი სკოლის გახსნათან დაკავშირებით: ‘ღმერთმა ინებოს, რომ ყველა საქართველოს სოფელში გაიხსნას შკოლები’.

ახლა კიდევ ერთ საკითხს გვინდა შევეხოთ, კერძოდ, კორესპონდენციას დაბეჭდილს მეშვიდე ნომერში. სიტყვა ეხება თიანეთში ქალთა სასწავლებლის გახსნას. კორესპონდენტი ერთ-ერთი მშობელია, თავად გლეხი (ასე მოგვეწოდება, ყოველ შემთხვევაში, ეს ინფორმაცია). ჩვენ ეს ცნობა არა იმდენად სასწავლებლის გაუმართავი მუშაობის, მისი უზნეო მასწავლებლის თვალსაზრისით გვაინტერესებს, არამედ გენდერული კუთხით: ქალების სწავლება აუცილებლად არის მიჩნეული, თუმც შესასწავლ საგანთა ჩამონათვალი გვარწმუნებს, რომ სასწავლებელს მშობლები იმ მიზანს უსახავდნენ, რომ მათი ქალიშვილები ტრადიციული სოციალური როლის – ანუ ოჯახის დიასახლისის როლისათვის – შესაფერისად აღზრდილიყვნენ. აქვე გამოთქმულია აზრები ქართველთა ბედზე (უფრო ზუსტად, უბედობაზე). საერთო ბედის, ისევე როგორც საერთო ხასიათის იდეა, როგორც ითქვა, დამახასიათებელია კოლექტიური კულტურული იდენტობისათვის:

> ჩვენ დიდის იმედი გვქონდა, რომ ახალგაზრდა განათლებული ქალი (იგულისხმება მასწავლებელი. – მ.ჩ., ქ.მ.) გაგვიზრდიდა კარგ დედებს ... და საქმის გამკეთებელ ქალებს. ჩვენ იმის მოწადინე ვიყავით, რომ ჩვენ ქალებს ესწავლათ კარგი ჭრა და კერვა, რეცხვა, უთოობა, ქსოვა და ამ შკოლიდან გამოჰყოლოდათ პატიოსანი სინიდისი და მოყვრობა, რომელიც ქართველობაში დიდი საჭირო რამ გახლავსთ. მაგრამ ვაი თქვენს მტერს. ჩვენი მოლოდინი არ მართლდება. ხომ მოგეხსენებათ, ქართველები რა უბედურები ვართ.

ქართველთა უბედობაზე საუბარი მარტო ერთი კორესპონდენტის გამონაგონი არაა. ეს აზრი, როგორც ჩანს, კულტივირებული იყო მთელ

ქართულ ერთობაში და ერთგვარ იდენტობრივ მარკერს წარმოადგენდა და თანაგანცდის და ჯგუფური სოლიდარობის მნიშვნელოვანი საფუძველიც იყო.

როგორც ითქვა, საერთაშორისო ვითარების მიმოხილვა თითქმის ყველა ნომერშია. ამ რუბრიკას ჰქვია *საპოლიტიკო საქმე*. თავისთავად ეს მიმოხილვა, რომელიც საზღვარგარეთის გაზეთებში დაბეჭდილი ინფორმაციების დაიჯესტს წარმოადგენს, პირდაპირი ინფორმაციის თვალსაზრისით შეიძლება არ იყოს იმდენად საინტერესო, რამდენადაც იმით, თუ რაზე მახვილდება ყურადღება და რა ტერმინებია გამოყენებული. მეხუთე ნომერში დაბეჭდილი მიმოხილვა, მაგალითად, ყურადღებას იპყრობს ტერმინ "ერის" გამოყენებით. აქ მოყვანილია ერთ-ერთი იმდროინდელი პოლიტიკური მოღვაწის გამზეტას სიტყვა წარმოთქმული ბანკეტზე. ამ სიტყვაში ყურადღება მახვილდება ხალხის უფლებების დაცვაზე და არის ასეთი ფრაზაც 'საყოველთაო არჩევანის განათლება ნიშნავს თვით ერის განათლებას და მის ზნეობის დამკვიდრებას, ნიშნავს აწ მყოის დამკვიდრებას და მომავლის დაარსებას'.

როგორც ვხედავთ, ქართველ მკითხველს "ერის" საინტერესო დეფინიცია მიეწოდება. ერის ცხოვრებაში გადამწყვეტია საყოველთაო არჩევანი ანუ ერი არის პოლიტიკური ერთობა. ამავე დროს ეს ერთობა ხასიათდება ისეთი პარამეტრით, როგორიც არის ზნეობრიობა. პოლიტიკური და ზნეობრივი გაწზომილება ახასიათებს ერს ამ მიმოხილვის მიხედვით.

მეექვსე ნომერში არის საინტერესო ჩანახატი, რომელიც საერთაშორისო ვითარების უფრო ადაპტირებულ გადმოცემას წარმოადგენს, ვიდრე ეს კეთდება *საპოლიტიკო მიმოხილვაში*. ჩანახატი აღწერს ორი გლეხი ქალის საუბარს. ისინი შეხვდებიან ერთმანეთს სოფლის გზაზე. ერთი წყაროდან ბრუნდება, მეორე წყაროზე მიდის. ასე რომ, აღწერილი ვითარება ზედმიწევნით ნაცნობი და მშობლიურია უბრალო ხალხისათვის. ეს ქალბატონები საუბრობენ რუსეთ-თურქეთის ომზე და მის შესაძლო შედეგებზე საქართველოსათვის. ერთი ქალბატონი უფრო შეშინებულია, მეორე – იმედიანი. კერძოდ, მას იმედი აქვს, რომ ურჯულო ვერ გაიმარჯვებს და მეგობარსაც ასე დამშვიდებულს უშვებს.

ეს აშკარად რუსეთის მხარდამჭერი პროპაგანდაა. თუმც რუსეთი გამოკვეთით არც იხსენიება. როგორც ცნობილია, საქართველო სასიცოცხლოდ იყო დაინტერესებული ამ ომის შედეგებით. კიდევაც ნახა მნიშვნელოვანი სარგებელი ტერიტორიების დაბრუნების თვალსაზრისით. ამ ჩანახატის გამოქვეყნება აჩვენებს რაოდენ აქტუალურია მართლმორწმუნეობის მარკერი, აგრეთვე, იმასაც, რომ განათლების მიხედვით *ივერიის* მკითხველი სულაც არ არის ერთგვაროვანი. მას ეტანება ისეთი წრეც, რომელიც ამგვარად ადაპტირებულ საკითხავს საჭიროებს.

ამავე ნომერში არის გამოქვეყნებული რაფიელ ერისთავის *ახალგაზრდა გლეხის ნაამბობი* (*სცენისათვის*). ეს საკითხავიც აჩვენებს, რომ გლეხი ქართული ერთობის მნიშვნელოვანი პერსონაა. თუმც, არ ჩანს, რომ იგი ამ პროცესების სუბიექტი იყოს. უფრო მისი გაიდეალება ხდება ერთობის განათლებული ნაწილის მიერ, რომელიც ეროვნული იდეის ჩამოყალიბებისათვის იყენებს გლეხის სახეს და უპირისპირებს მას ეთნიკურად არაქართველ ჩარჩს.

ძალიან საინტერესოა ბავრელის (სოლომონ ასლანიშვილი) კორესპონდენცია დაბეჭდილი მერვე ნომერში. აქ კვლავ კრიტიკულად არის მოხსენიებული ვაჭრები, რომლებიც ყვლეფენ გლეხებს. არც გლეხს აკლია კრიტიკა. ისიც ვერ აკმაყოფილებს იდეალს. ის კარგავს თავის ქართველობას. ამ დასკვნას ავტორი გლეხის ტანისამოსის აღწერით აკეთებინებს მკითხველს: გლეხის ტანი რუსისაა, ფეხები და თავი ქართველისა: 'იმის ტანს კარგა ხანია არ მიჰკარებია ქართული ჩოხა-ახალუხი, მისი შესამოსავი არის რუსული ფარაჯა'.

კვლავ ძალიან მუქ ფერებშია დახასიათებული სამღვდელოება. აი, როგორია ამ სოციალური ფენის კრებითი სახე იმავე ბავრელის მიხედვით: 'მამა მღვდელიც ზის თბილ ოთახში, კმაყოფილი თავის ბედისა, ხან ემუსაიფება თავის ფოფოდიას, ხანაც ეხუმრება თავის თვალის ჩინს და მოელის როდის შემოაღებს კარებს ვინმე, რომ მოუტანოს ან საწირველი ან მკვდრის ამბავი'. სასულიერო წიგნებს კი მტვერი ადევს.

ამის ერთ-ერთი კონკრეტული მიზეზი ისაა, რომ რუსულმა მმართველობამ სრულიად გადააგვარა ქართული სამღვდელოება. იგი ოდნავადაც ვეღარ ასრულებდა ქართული ერთობის კულტურული ელიტის როლს. ამასთან, თუ საკითხს უნივერსალურ დონეზე

განვიხილავთ, უნდა ხაზი გავუსვათ, რომ ნაციონალიზმი არის სეკულარული იდეოლოგია, ახალ დროში იგი ახდენს საზოგადო საქმეებში რელიგიის ჩანაცვლებას. ნაციონალიზმს თავისი იდეოლოგები და მესიტყვენი ჰყავს. მისი გავლენა მასებზე რელიგიის ანალოგიურია. ამიტომ ცხადია, რომ ნაციონალიზმი უტევს ანალოგიური გავლენის მქონე იდეოლოგიას და მის სოციალურ აგენტებს. ნაციონალიზმის მოძრაობის ლიდერებს სურთ, რომ ერთობის "გულთამხილავნი" ექსკლუზიურად თვითონ ისინი იყვნენ. ქართული შემთხვევა სწორედ ამ ზოგად კონტექსტშიც უნდა იყოს გააზრებული.

ბავრელის სარკაზმი შეეხება წვრილ სახელმწიფო მოხელეებსაც: აკაკი აკაკოვიჩები – ესაა კრებითი სახელი ამ სოციალური ფენის მწერლების, რომლებიც დილაზე კრაზანებივით მიჰქრიან სასამართლოსაკენ, მაგრამ სახელმწიფო სამსახურში ყოფნა არ შველის მათ მატერალურ მდგომარეობას: მობუზულები არიან, ზოგს პალტო არა აქვს, ზოგს კალოში, სამსახურში კლიენტის არყოლის გამო შიმშილისაგან ხან ქაღალდს ღეჭავენ, ხან კალმის ნათალს. ზაფხული მაინც იყოს, ბუზებით გაძღებიანო, – შენიშნავს ირონიულად კორესპონდენტი.

ამავე ანუ მერვე ნომერში ძალიან საინტერესო მასალაა დაბეჭდილი ტრადიციულ რუბრიკაში *საქართველო* (*ისტორიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევა*). საუბარი შეეხება საქართველოს ისტორიის წყაროებს. კვლავ ქართველთა წარმომავლობაზეა მსჯელობა. ავტორი იმოწმებს კლასიკურ ავტორებს და მიუთითებს, რომ ჩვენის ტომის მცოდნენი მოწმობენ, რომ იგი შეადგენს ერთს მონათესავე გრუპას, რომელიც შეიცავს სამ უმთავრეს შტოს დაყოფილს რამდენიმე მცირე ნაწილად: ესენი არიან კოლხნი, მუსკაი, მოსხნი (შემდეგ მესხნი), ტაბალნი, ტუბალნი ტიბარენები. ამ სახელწოდებიდან წარმომდგარა იბერი. ამგვარად, აქ არსებითად დღეს ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისია დაფიქსირებული. ეს აზრი ნაციონალური ფესვების ძიების ეპოქაში წარმოიშვა. აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ის მარტო მეცნიერული აზრი არ არის. ის არის ქართული ერთობის მწემონიკური აქტივობის გამოხატულება. აქვეა არის საუბარი წყაროთა ბაზის გაფართოების აუცილებლობაზე. კლასიფიკაციაც არის წარმოდგენილი: ნივთიერი და ხელნაწერი წყაროები. არქეოლოგიის განვითარებას ყურადღება ექცევა. როგორც

ითქვა, ინტერესი არქეოლოგიისადმი, ასევე დამახასიათებელია ნაციონალური იდეოლოგიის ჩამოყალიბების პროცესში. ამის მიზეზი ისაა, რომ ერთობა ცდილობს "ფესვები" ღრმად გაუშვას იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ის ცხოვრობს. ამ ტერიტორიის დაკანონება სწორედ ისტორიით ხდება. ამიტომაა, რომ ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესებს ახლავს ნაციონალური რენესანსები. და ამ პროცესში დიდ როლს თამაშობს ჰუმანიტარული ინტელიგენცია, მათ შორის, ისტორიკოსები და არქეოლოგები, *ივერია* ახდენს სამეცნიერო ნაშრომების უმთავრესი იდეების ფართო საზოგადოებაში კულტივაციას.

ივერია მოუწოდებს თავის მკითხველებს, სათანადო ყურადღებით მოეკიდონ არქეოლოგიურ მონაპოვრების შენახვის საქმეს და არ გამოიჩინონ ამ საქმეში უდარდელობა.

აქვე არის გადმოცემული *ქართლის ცხოვრების* დასაწყისი ნაწილის მოკლე შინაარსი.. სხვათაშორის, მიუხედავად ყოველდღიურ ცხოვრებაში ზემოთ აღწერილი მწვავე დაპირისპირებისა, მშვიდად და უკომენტაროდ არის გადმოცემული ლეონტის ცნობები კავკასიაში სომეხთა წინაპრების ანუ ჰაოსიანთა უპირატესობის შესახებ.

ძალიან საინტერესოა, პასუხები იმ ავტორებისადმი, რომელთა ნაშრომების დაბეჭდვა რედაქციამ ვერ მოახერხა სხვადასხვა მიზეზის გამო. ეს პასუხები მკითხველთან კომუნიკაციის მეტად საინტერესო ფორმას წარმოადგენს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნავდით ნაციონალიზმის იდეოლოგიებში გლეხების იდეალიზაციის ფაქტს. ასევე ხდება ხალხური სიტყვიერების იდეალიზაცია, მისი შეგროვებისათვის ზრუნვა იღებს ძალიან ინტენსიურ ხასიათს. მეშვიდე ნომერში ქვეყნდება, მაგალითად, "გლეხური სიმღერები": ცხადია, ესაა ხალხური სიმღერები. ნაციონალურ იდეას ესაჭიროება ხალხი.

როგორც ცნობილია, ნაციონალიზმი ხშირად იღებს ლინგვისტური ნაციონალიზმის სახეს. თანამედროვე საქართველოს მაგალითზე მკვლევრები აკეთებენ დასკვნას, რომ ქართულ საზოგადოებაში ძალიან დიდი ადგილი უკავია ლინგვისტურ ნაციონალიზმს.[20] ქართული ენის

[20] G. Smith, V. Law, A. Wilson, A. Bohr, E. Allworth. Language Myths and the Discourse of Nation-Building in Georgia. Nation-building in the Post-Soviet Bordalends – The Politics of National Identities. Cambridge, Cambridge University Press, 1998 (Reprint 2000), pp.167-196.

განდიდება, რომელიც ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში დაიწყო და დღემდე გრძელდება, მაღალ ნიშნულს აღწევს მეცხრამეტე საუკუნეში. ენასთან ერთად, ხოტბის ობიექტია ქართული ანბანი, როგორც ენის მატერიალიზაცია. ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებული წერილი *რამოდენიმე სიტყვა რიგიანის "საწერის დედნის" უქონელობაზედ*. მას უძღვის ბარათოვისა და უსლარის ეპიგრაფები ქართული ანბანის განსაკუთრებულობაზე, უნიკალურობაზე, ქართული გრაფიკული ნიშნების ქართულის ფონოლოგიასთან ზუსტ შესატყვისობაზე.

ამავე ნომერში დაბეჭდილია წერილი *ფიქრი და შენიშვნა*. იგი ადგილობრივ რუსულ პრესას შეეხება. ილია ილაშქრებს *ობზორის* წინააღმდეგ. *კავკაზზე* არას ვამბობო, იგი ისეთსავე აუცილებლობას წარმოადგენს, როგორც გუბერნიაში გუბერნატორიო. ანუ რუსული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ილია არ ილაშქრებს. პოლიტიკის სფეროში არ ერევა. რუსული მწერლობა, რომელიც "ობზორს" მოაქვს, ახალი სტუმარია. ამიტომ აშფოთებს მისი არსებობა. საინტერესოა, რომ აქ იგი სომხურ პერიოდულ გამოცემას *მშაკსაც* კი სოლიდარობს. *მშაკის* რედაქტორს დაუჩივლია, რომ სომხური საზოგადოება არ პატრონობს ამ გამოცემას. *ობზორს* ეს აუტაცებია და ურჩევს *მშაკს* დაიხუროს – ესე იგი არ არის მოთხოვნილებაო. ამ რჩევას აღუშფოთებია *ივერია. მშაკის* მისამართით თქმული მის მისამართით თქმულადაც მიუჩნევია.

როგორც ცნობილია, ქართული პოლიფონიური სიმღერა ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტი და, შესაბამისად, მკაფიო იდენტობრივი მარკერიცაა. ამიტომ ეროვნული სენტიმენტების გამოკვეთის პერიოდებშიც, წინ წამოიწევს ქართული გალობის საკითხი. სულ ახლახან ქართულ სინამდვილეში ეს იყო ცხარე დებატების თემა. ძალიან საინტერესოა, რომ *ივერიის* ფურცლებზეც ეთმობა მას ადგილი. ესაა წერილი, რომელიც შეეხება ქართული გალობის ნოტებზე გადაღებას. წერილი წარმოდგენილია მერვე ნომერში. კრიტიკულად არის შეფასებული ქართულ გალობის ოთხ ხმაზე გაკეთების ფაქტი იმ მიზეზით, რომ იგი არ არის დამახასიათებელი ქართული ხალხური გუნდური სიმღერისათვის, არც საეკლესიო სიმღერისათვის. ანუ ტრადიციას ენიჭება უპირატესობა ინოვაციასთან შედარებით. "ტრადიციული" კულტურაში გაიგივებულია

ხარისხიანთან. ეს იდეაც ნაციონალიზმის უნივერსალიების რეპერტუარიდანაა და უკავშირდება ავთენტურობის იდეალს.

საქართველოს მატიანე (*ივერიის* კორესპონდენციები) სურამის ყოფა-ცხოვრების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას (ავტორია ფსევდონიმით ს. ბავრელი – სოლომონ ასლანიშვილი). აღნიშნულია უგზოობა, ანტისანიტარია. ყოველივე ამასთან სურამი უბნებად ყოფილა დაყოფილი: განათლებულთა უბანი, გლეხთა უბანი, სომეხთა უბანი, ურიათ უბანი. ყველა უბანს ჰყოლია თავისი უფროსი, მომრიგებელი მოსამართლე, ფოსტა და ხაზინა. სოციალური დიფერენციაციის შედეგი ყოფილა, რომ მცხოვრებნი დაყოფილი იყვნენ:

> არისტოკრატებად, არშინოკრატებად, ტეტიოკრატებად და ისრაელაკრატებად. – არისტოკრატები, რასაკვირველია, არ ეკარებიან სხვებს და იძახიან: რად ვიკადრებთ გაბერილ ვაჭრებთან და მათ ცოლებთან ლაპარაკსაო. არშინოკრატებიც იძახიან: ვუი ქა, ჩვენ ბეზირგანების ცოლები ვართ და რად ვიკადრებთ ჯიბე-ცარიელა ტეტიკებთან მისვლა-მოსვლას. ტეტიკები ხომ მოგეხსენება, თუმცა არავის თაკილობენ, მაგრამ ვერ ბედავენ სხვა დასებთან კავშირის ქონვას. აი ამ განხეთქილების გამო ჩვენში ერთმანერთან მისვლა-მოსვლა, ერთმან-ერთის გაცნობა, ერთმან-ერთის დარდის და ნაღველის ცნობა სრულებით მოსპობილია. აქ, უეჭველია გლეხები იჩაგრებიან, რადგანაც ესენი უფრო საჭიროებენ ხალხში ყოფნას, რომ როგორმე თვალი გაახილონ და გაიგონ რამე სასარგებლო ... (# 12).

ივერიის კორესპონდენცია (ავტორი ქართველი – ნიკილოზ მთვარელიშვილი) ამჯერად თელაველთა ყოფა-ცხოვრების სურათს წარმოუდგენს მკითხველს:

> ყველიერმა მხიარულად გაიარა კახეთში, მაგრამ ყველასათვის კი არა. ვინ იცის რამდენი ყელგადაგდებული ოჯახი არის კახეთში, რომელთაც არამც თუ ქეიფისა, ლუკმა პურის შოვნის ილაჯიც არა აქვთ?! ვინ იცის რამდენ ოჯახში გლეხს კაცს წვრილ-შვილი შესტირის ყოველ დღე შიმშილისა გამო მაგრამ ვინ არის ყურის მგდებელი?! ... ჩაიარეთ რომელსამე კახეთის სოფელში (თუნდ თვით თელავშიაც). მიიხედ-მოიხედეთ რა სხვა-და-სხვა და ერთმანეთის მოწინააღმდეგე სურათები წარმოგიდგებათ; ერთის მხრით ჰხედავთ, რომ მშვენიერი ორ-სამ ოთახიანი (ორ-სამ სართულიანიც), ევროპულად აშენებული სახლი სდგას და მეორეს მხრით კი ... გვერდზე წამოწოლილი ქოხი, რომელიც საქათმეს უფრო მიემსგავსება, ვიდრე სახლსა! ერთის მხრით ჰხედავთ აუარებელს სიმდიდრეს ზოგჯერ იგეთს,

> რომ პატრონს გაუნათლებლობის გამო ვერც მოუხმარებია, მეორეს მხრით – საშინელ სიღარიბეს და სისაწყლეს! ერთის მხრიდან გესმით სიმღერა და ხარხარი, მეორე მხრიდგან – მწუხარება და ტირილი!

შემდეგ საუბარია "ვეჩერებზე" და ლატარიის გათამაშებაზე. მოთხრობილია როგორ გაათამაშეს ლატარიაში სამ მანეთიანი ბეჭედი ოც თუმნად. 'ვაჭრებს ჯანი გავარდეთ, მაგრამ თელავის ზოგიერთი სამსახურის კაცები, რომ გვატყუებენ ვაჭრებზე უმეტესად' – წერს აღშფოთებული ავტორი (# 13).

მეთოთხმეტე ნომრის კორესპონდენცია (ავტორი ხელს აწერს ფსევდონიმით ვანო – ივანე როსტომაშვილი) ზაქათალის მაზრიდან იუწყება იმ სასიკეთო ცვლილებებზე, რომლებიც კახის "უჩასტკის" უფროსის ბოლუსლავსკის წყალობით განხორციელებულა. ბოლუსლავსკის უზრუნია გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მათს ფეხზე დაყენებაზე, მათი მძარცველების ვაჭრების დაცემაზე. ამით მადლიერები უნდა ყოფილიყვნენ კახის მცხოვრებლები. მაგრამ მადლიერების ნაცვლად უფროსის წინააღმდეგ საჩივრები დაუწერიათ ზოგ ანგარებიან პიროვნებებს. ავტორი აღშფოთებული საუბრობს ამის შესახებ მეთექვსმეტე ნომერში. მათ მიუმართავთ მთიულეთის სამმართველოს უფროსთან. სამმართველოდან მამასახლისი გამოუგზავნიათ მდგომარეობის შესასწავლად. მამასახლისს სულ სხვა ვითარება დახვედრია ადგილზე. ვაჭრები აქეთ-იქით დაძვრებოდნენ 'მელიებსავით და ჰრეკდნენ ხალხსა, მაგრამ რას გაარიგებდნენ იმ ხალხში, რომელმაც თავის ხუთის გრძნობით ერთად გაიგო, რომ ამასაც შეუძლიან უკეთესი კაცური ცხოვრება იმ კანონიერების მფარველობის ქვეშ, რომელსაც მათ ნაიბი თითქმის ყოველდღე ასწავლის'. შესაძლებელია "დანოსის" ავტორი ანგარებიანი ხალხი ანუ ვაჭრები ყოფილიყვნენ. იმიტომ, რომ "უჩასტკის" უფროსი არ წყალობდა ვაჭრებს. სწორედ ვაჭრები ჰრეკდნენ ხალხს მამასახლისთან შეხვედრისას. სრულიად შესაძლებელია მომჩივნებიც ისინი ყოფილიყვნენ. ხალხი "პაჩოტნებზე" და ბეგებზე მიუთითებდა. ჩვენ არ გვიჩივლია, ამათთვის იყო ცუდი 'ეგ ჩვენი მცველია, მაგაზე კარგად და მარდად სამართალი არავის არ გაუჭრიაო ... მაგრე კარგად ჩვენ სტაროსელსკი გვექცეოდაო სხვა არავინაო!' – გაიძახოდა ხალხი მამასახლისზე. 'ხალხის მმართველნო, იმუშავეთ ხალხისთვის, რომელიც თქვენ გაბარიათ, დაიცავით ის იმოდენად მაინც, რამოდენადაც იცავს კანონი, ნურავის

დააჩაგვრინებთ ტვირთ-მძიმე გლეხობას და მაშინ დარწმუნებული იყავით, რომ თქვენ ვერა ბოროტი ენა და "დანოსი" ვერ დაგმალავთ ... – აღფრთოვანებით ესაუბრებოდა მამასახლისი ხალხს – გაუკეთე შენ ჩვენ ხალხს მართლაც და კეთილი საქმე, აგრძნობინე მას, – რომ შენ ყველგან მისის სიკეთის მცველი ხარ და მაშინ დაინახამ – ორმოს გითხრის შენ ეს ხალხი, თუ დიდების გვირგვინს გიმზადებს. მაგალითისთვის შორს წასვლა არ არის საჭირო. კახის უჩასტკის ხალხმა – ქრისტიანმა და მუსულმანმა (ქრისტიანები ცოტანი არიან, მუსულმანები კი ბევრნი), გასაკვირველის თანაგრძნობით დაიცვა თავისი მცველი მაბეზღართაგან'.

წერილი ჩვენს ყურადღებას იქცევს "ხალხის" კონცეპტუალიზაციის თვალსაზრისით: აქ აშკარად გლეხობა არის "ხალხი". სახელმწიფო მოხელის უპირველესი ვალია მისი დაცვა. ვაჭრები არ შედაგენენ "ხალხს", ისევე, როგორც "პაჩოტნები და ბეგები".

მეთვრამეტე ნომრის რუბრიკა საქართველოს მატიანეში საუბარია საზოგადო სიკეთის ძალაზე და მნიშვნელობაზე ქვეყნის კეთილდღეობისათვის:

> სოფლის ბანკს ავიღებთ, თუ სოფლის შკოლას თუ ამხანაგობის დეპოს ანუ საზოგადოებას ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის, – ყოველს მათგანს ჩვენის ცხოვრების არსებითის ძარღვისათვის წაუვლია ხელი. ყოველ ამისი მოქმედნი კატასავით არ ჩხავიან, არა ყვირიან საჯაროდ: აი რა კაცები ვართო. უფრო ბევრი მათგანი სადმე კუნჭულშია მიმალული, და ქვეყნის სიყვარულით აღტყინებული იბრძვის, მეცადინეობს, მხნეობს, საქმობს და ჯილდოდ მარტო იმას ელის, რომ ჩემი სინდისი მეტყვისო: "თუმცა წვალებით ვიცხოვრეო ამ სოფლად, მაგრამ ჩემი ცხოვრება უქმად არ გამიტარებია, შეძლებისამებრ, ჩემთა მოძმეთათვის სიკეთე მომიტანიაო". დამიჯერეთ, ძალა ქვეყნისა ამისთანა კაცებშია და არა იმათში, ვინც პარიჟის ყავახანაში გამოწვრთნილა, მოსულა აქ და ყვირის: რაცა ვარ მე ვარო. ამათ პარიჟი არ უნახავთ, ამათ უნივერსიტეტი არ ღირსებიათ, ესენი არიან ჩვენის ხალხის შვილნი მის კალთაშივე გამოზრდილნი; ესენი არიან უბრალო სიკვდილის შვილნი, უფრო ბევრნი სემინარიელნი და მათში ზოგიც იმისთანა, რომელთაც სემინარიის სწავლაც არ შეუმთავრებიათ სხვა და სხვა მიზეზისა გამო. საყოველთაო სიკეთის ლაზათი მათშია, ამათში! იღწვიან, საქმობენ, მხნეობენ საყოველთაო სიკეთილოდ და დახეთ მათს პატიოსნებას, მათ ზნეობითს აღმატებულებას, რომ სახელის გამოჩენაც არ უნდათ.

აქ ისევ ხალხზეა აქცენტი გაკეთებული. "ხალხის" გარდა არიან "ხალხის შვილნი", ისე ჩანს, რომ ესაა არაარისტოკრატიული წარმომავლობის ინტელიგენცია. ყოველი მათი წამოწყებული საქმის წარმატებას ავტორი (ი. ჭავჭავაძე) ხსნის იმით, რომ:

> ხალხის შვილნი არიან, ხალხის კალთაში დაბადებულნი და გამოზრდილნი... იციან ხალხის ტკივილი და წამლის შერჩევაცა, რადგანაც ხალხი უყვართ, ხალხში არიან და ხალხში ტრიალებენ და ამასთანავე თვისებათ აქვსთ, – თავის თავზედ ყვირილი კი არა, – საქმის გაკეთება ... ერთხელ დაძრულს და წარმომდგარს აზრს, ზედ აკვდებიან მინამ ხორცს შეასხამენ.

როგორც ირკვევა, "ხალხი", ყოველ შემთხვევაში "ხალხის შვილები", მოიცავს თავადაზნაურობასაც, რადგან სასიკეთო საქმედ დასახელებულია თბილისის თავადაზნაურთა საზოგადოების გადაწყვეტილება დაეხმარონ ღარიბ მოსწავლეებს სასწავლებელში შესასვლელად მომზადებაში. მაგრამ საქმის წარმატებისთვის საერთო მონდომება და დახმარება იყო საჭირო. კორესპონდენცია მოუწოდებს ხალხს ჩაერთონ, თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ საკეთილო საქმეში და თავიანთი მოკრძალებული დახმარება და შემწეობა აღმოუჩინონ საზოგადოებას. აქ უკვე "ხალხი" აშკარად მთელ საზოგადოებას ნიშნავს.

კორესპონდენცია *ზოგიერთი რამ* (ავტორი ხელს აწერს ფსევდონიმით ფსევდონიმით "კურკა ძმასაშვილი" – რომან ძმასაშვილი-ცამციევი) ყურადღებას იქცევს ქიზიყში მოუსავლიანობის შედეგად შექმნილ მოსახლეობის გაჭირვებულ მდგომარეობას.

> თუმცა ხალხი შიმშილით არ იხოცება, მაგარამ საპურე მარცვლების უქონლობის გამო აქაურები კვირით-კვიროობამდე მხალ-ბალახზე გადადიან. მომეტებული ხალხი კარდანახში (და სხვა ახლო-მახლო სოფლებში) ლიტრობით ყიდულობს ფქვილს ან ხორბალს, ისიც ვალით, აუარებელის სარგებლით. რაც დრო გადის იმდენი უფრო და უფრო ღარიბდება აქ ხალხი.

მოუსავლიანობის გარდა, შექმნილი გაჭირვებული ვითარების მიზეზი სიღნაღის ახლო-მახლო მცხოვრები სომხები ყოფილან, რომელთაც კარდენახის ვენახების თითქმის ნახევარი გირაოდ ან სამუდამოდ წაურთმევიათ გლეხებისთვის, წაურთმევიათ ერთ-ორ თუმანში თითო ორი-სამი დღის ვენახი. ვაჭრებს ზოგიერთი თავადის

მამულიც ბლომად დაუჭერია. ‘ქიზიყში მარტირუზები, თელავში პოლოს-მოლოსები სულ წურბელასავით სწოვენ ჩვენს მკვებავებს’.

აქვე კორესპონდენტი იტყონინება, რომ პოლიციას შეუნიშნავს ვაჭრები უვარგის თევზს ყიდდნენ და ერთისთვის გადაუყრია კიდეც, მაგრამ სარკაზმით აღნიშნავს, რომ ‘გვერდით მდგომს სპილოს კი ვერა ჰხედავენ და შორი ახლოს გაფრენილ კოღოს კი თვალები შეაჭყიტეს და თავი გაუნაყეს’. იგი ამხელს იმ მოხელეებს, რომელთაც ევალებათ მათდამი მინდობილი ხალხზე ზრუნვა, მაგრამ თავიანთ მოვალეობას არ ასრულებენ: ‘ნუთუ პოლიციას იმოდენი ძალა არა აქვს, რომ უვარგის საქონლის თუ ხორაგის გასყიდვა აღუკრძალოს ვაჭრებსა’ (# 18).

ოცდამესამე ნომერში გამოქვეყნებულია ქიზიყში, სოფელ ბაკურციხეში, მომხდარი არეულობის შესახებ ინფორმაცია. არეულობის მიზეზი მამასახლისების უსამართლო ქმედება გამხდარა, რომლებსაც შეუვიწროებიათ ხალხი ხაზინის მოთხოვნით მილიციელების გამოყვანის დროს. მოსახლეობიდან გამოყვანილი მილიციელებისათვის მთავრობას ჯამაგირი ჰქონია დანიშნული, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო ჯერაც არ აუღიათ წინა წელს წაყვანილებს. ხალხისთვის ამგვარი მავნებელი გარემოება მთავრობასაც შეუნიშნავს და ცვლილებები მოუხდენია – გაუცია განკარგულება მილიცია არა დაქირავებით, არამედ კენჭისყრით გამოეყვანათ. როგორც ჩანს, ამგვარმა გამოყვანამ უფრო მეტი უკმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობაში, ვინაიდან კენჭისყრის დროს კამერალური აღწერის სიებით სარგებლობას მრავალი შეცდომა გამოუწვევია. კამერალური აღწერის სიები არასწორად ყოფილა შედგენილი, რის გამოც 18 წლიდან 30 წლამდე ყმაწვილ-კაცების გამოყვანის ნაცვლად, სიებში მოხვედრილან ყმაწვილები, რომლებიც 15-16 წლის ყოფილან, ბევრი კი 32 წლის გამოდიოდა 25 წლისად. ამასთანავე კენჭისყრის სიებში მოხვედრილან დედისერთები და ოჯახის მარჩენალი ერთი მამაკაცი, რომელთაც არ ეკუთვნოდათ კანონით მონაწილეობის მიღება. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გამხდარა ხალხის მღელვარების მიზეზი. ხალხს ვეღარ მოუთმენია ამდენი უსამართლობა და რამდენიმე სოფელი სიღნაღის მაზრის უფროსთან ჩასულა თავიანთი უკმაყოფილების ასახსნელად, მაგრამ უფროსი არ დახვედრიათ და იქეთკენ წასულან, სადაც ეგულებოდათ. ხალხი სასტიკად გაუსწორდა მთავრობის მოხელეებს: უცემიათ ბაკურციხეში თავად რ. ვაჩნაძის სახლში სადღესასწაულოდ მიწვეული

“უიეზდის” უფროსი, ალაზნის ჯარების უფროსი თავადი სოსიკო ორბელიანი აივნიდან გადმოუგდიათ, აუკლიათ რ. ვაჩნაძის სახლი, მერე მამასახლისის სახლი, აგრეთვე, რამდენიმე სხვა სოფელიც. აქვე ჩართულია ინფორმაცია *დროებიდან* ამ ფაქტთან დაკავშირებით, რომ თითქმის ათი წლის მოუსავლიანობით დასაწყლებულ სიღნაღის მოსახლეობას, ძლივს ჩინებული მოსავალი ეღირსა და საუბედუროდ ამისთანა დროს დაატყდათ თავს ურმებით გამოსვლა ხაზინის ბრძანებით. მაგრამ ეს კიდევ არაფერი სინდისიანად რომ გაეყვანათ ხალხი ბეგარაზე. სოფლის მოხელეები (მამასახლისები) აქაც იმ ოინს ჩადიოდნენ, როგორც მილიციელების გაყვანის დროს, მდიდრებისაგან ქრთამს იღებდნენ და ანთავისუფლებდნენ, გლეხები კი რომელთაც თითო უღელი ხარ-კამეჩის გარდა სხვა არა ებადათ-რა, გაჰყავდათ. ამ გარემოებებს განუპირობებია 4 ივნისის მღელვარება.

ივერიის კორესპონდენტის სიმპათია აშკარად გლეხობის, მათ შორის, ეკონომიკურად უმწეოთა მხარეზეა. შედეგად მღელვარებაში მონაწილე 25 კაცამდე დაუპატიმრებიათ და გუბერნატორს განუზრახავს საქმის ადგილზევე შესწავლა.

ამავე ნომერში საუბარია თელავის მაზრის სასოფლო სკოლებში არასახარბიელო სწავლების შესახებ (ავტორია ცამციევი, ხელს აწერს ფსევდონიმით ძამსაშვილი). ამის ერთ-ერთ მიზეზად მასწავლებლების არაკეთილსინდისიერი ქმედებების გარდა, დასახელებულია ის გარემოება, რომ ისინი ცუდად იცნობდნენ ხალხის შინაგან ცხოვრებას:

> სოფლის მასწავლებელთ უნდა იცოდნენ, რომ უამისოდ სარგებლობის მოტანა შეუძლებელია: დაადექით ამ გზასა, მასწავლებელნო, დაუახლოვდით გლეხსა და მაშინ ნახავთ, თუ როგორს ნაყოფს გამოიღებს თქვენი ამგვარად მოქმედება ... დეე “მაღალის სწავლის” პატრონებმა იძახონ: “ჩვენ, სამხღვარ გარეთ გვისწავლია, ჩვენ უცხო ენები ვიციითო”! ვინ ჩვენ და ვინ საზღვარ გარეთ წასვლა და ენების შესწავლა?! ... ჩვენ პასუხად ერთი გონიერი ქართული ანდაზა ვუთხარით: ‘ვინც სამშობლო ენა არ იცის, რაც გინდა ნასწავლი იყოს, ნაყოფს არ გამოიღებს ... ჩვენ, ხალხში ვართ დაბადებული და “ხალხის” კალთაშივე უნდა დავლიოთ ჩვენი სიცოცხლე. მინამ გვიდგა კი, უნდა ვიშრომოთ და ვეცადოთ მხოლოდ, რომ ყოველთვის გამოვადგეთ ჩვენს საყვარელ მამულს’.

ოცდამეოთხე ნომრის კორესპონდენცია ზაქათალიდან სომეხი ვაჭრებისგან გაღარიბებული გლეხების შესახებ იტყობინება, რომელთაც მხსნელად მოევლინა მაზრის უფროსი. მაზრის უფროს დაუბარებია ყველა ვაჭარი მამულებისა და ვალების საქმეზე და განუცხადებია, რომ მათ არ ჰქონდათ სახელმწიფო მამულების ყიდვის უფლება. იგი მამულებს უბრუნებდა გლეხებს და შეძლებისდაგვარად გლეხს აძლევდა ვადასვალის გადასახდელად, რომ 'გლეხმა გარდაუწყვიტოს ცოტ-ცოტაობით სომეხს რამდენსამე წელიწადში'.

ამავე ნომრის *მგზავრის შენიშვნები* (ავტორია ფევდონიმით ს. ბავრელი – სოლომონ ასლანიშვილი) ასეთი პასაჟია ჩართული:

> რაც გინდ გამწყრალი იყოს მტკვარი, მაინც მე მიყვარს იგი. თუმც თერგს ბევრი მოჰყავს აღტაცებაში თავისის ხმოვანებით და მრისხანე სირბილით, მდიდრად მორთულის კიდეებით და უღვიძებს ბევრს გრძნობას ადამიანსა, მაგრამ არა, მე ის არ მიყვარს; მე ის უნახავად შემძულდა, რადგან ის მამულის ერთგული არ არის, როგორც მტკვარი. ის მამულისაგან მირბის უცხო ქვეყანებში და ამშვენებს სხვას და არა ჩვენსას. მე მტკვარი მიყვარს მისთვის, რომ ის არის მამულისათვის თავ-განწირული და ერთგული. ის ჰყოფს იმის ჭირს და ლხინს შუაზე და უგრილებს ბევრ მამულის შვილს დახშულს გულს.

ისევდაისევ აქტუალურია *ივერიის* ფურცლებზე ჯანმრთელობის საკითხზე ზრუნვა. გავრცელებული ავადმყოფობის მიზეზების აღმოფხვრაზეა აქცენტი გაკეთებული. თითქოს მზრუნველობაც ჩანს მთავრობის მხრიდან თელავიდან კორესპონდენციის მაგალითზე, რომელიც ოცდამეხუთე ნომერშია გამოქვეყნებული. კორესპონდენციიდან ვიტყობთ, რომ სპეციალური სანიტარული კომისია შექმნილა თელავში, რომელსაც ევალებოდა სისუფთავეზე ზრუნვა. როგორც ჩანს, თავად ა. ვახვახოვის მეტი არავინ იწუხებდა თავს მოვალეობის შესრულებისათვის, თუმცა კომისიის წევრები ბლომად ყოფილან, 'მაგრამ ჰსძინავთ, მაშ, ნანა, წევრო, წევრო, ნანინა, ნეტა რამ დაგაძინა?!' საყვედურობს ავტორი (ქართველი – ნიკოლოზ მთვარელიშვილი). საინტერესოა როგორ ზრუნავდა თავადი ვახვახოვი თელავის სისუფთავეზე: მას ხელწერილი ჩამოურთმევია ვაჭრებისთვის იყიდონ ცუდი სუნის დამკარგველი "პარაშოკები" და მოაყარონ იმ ადგილებზე სადაც შენახულია თევზი, ყველი და სხვა ამგვარი ხორაგეულობა. თუ

გავიხსენებთ მეთვრამეტე ნომრის ვაჭრების მიერ უვარგისი თევზის გაყიდვის შესახებ კორესპონდენციას, სუნის ამგვარი გაქრობა საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება. ნათელია თუ როგორი იყო კომისიის ერთადერთი წევრის მზრუნველობა სისუფთავეზე.

ოცდამერვე ნომერში ისევ სომეხ (ავტორი ი.ბ. ინიციალით აწერს ხელს) ვაჭრებზეა საუბარი ამჯერად სოფელ ხიდისთავის მაგალითზე. აქაც საუკეთესო ვენახები და მამულები ხელში ჩაუგდიათ: ჩვენს დაჩაგრულ გლეხებს წურბელასავით მოკიდებიან და სანამ სისხლისგან არ დაიცლებიან არ ანებებენ თავს, 'ესენი საქართველოს თითქმის ყველა სოფლების მოუშორებელნი სტუმრები არიან'. ავტორი აღნიშნავს, რომ ყოველივე ამას იმისთვის ჰყვება, რათა ხალხმა დაინახოს და გააცნობიეროს რაოდენ დიდი მნიშვნელობა და სარგებლობა შეუძლია გაუწიოს მათ საამხანაგო დეპოებმა.

ოცდამეცხრე ნომრის წერილი *ჩვენი შკოლა* (ავტორი ხელს აწერს ფსევდონიმით ვანო – ივანე როსტომაშვილი) გვატყობინებს თბილისში დაარსებული ამხანაგობის მიერ განზრახული ძალიან სასარგებლო გადაწყვეტილების თაობაზე. საზოგადოებას შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის გადაუწყვეტია დაეარსებინა სკოლა იმ განზრახვით, რომ საშუალება აღმოუჩინოს ქართველ მშობლებს შვილების უფრო მკვიდრად მოსამზადებლად გიმნაზიისათვის. სქოლიოშია რედაქტორის შენიშვნა, რომელიც იუწყება, რომ ავტორის აზრებს სრულად არ ეთანხმება, მაგრამ საკითხები, რომლებიც აღძრულია წერილში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათი საფუძვლიანი გამოკვლევა აუცილებელია და *ივერია* არერთხელ გამართავს მსჯელობას ამგვარ პრობლემებზე. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ არცერთი არსებული სკოლა არ დგას ნამდვილ პედაგოგიურ საფუძველზე: 'აწინდელი შკოლები მაგიერ ზნეობისა და სხეულის აღზრდისა და ჭკუა-გონების გახსნისა, სრულიად ამხობენ და აკერპებენ ჩვენ ნორჩ შვილებს!' აღნიშნული სკოლა უნდა ყოფილიყო ნამდვილ პედაგოგიურ საფუძვლებზე დამყარებული სახალხო სკოლა, მსგავსი ევროპისა და ამერიკის სკოლებისა.

კიდევ ერთი საკითხია დასმული წერილში – მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობა. ჩვენს სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა საწყისი საფეხურიდანვე, რაც განსაკუთრებით ართულებდა, როგორც მშობლიური, ასევე რუსული ენის შესწავლას.

ამის დასტურად ავტორი შემდეგ ფაქტს მიუთითებს: 'უკანასკნელი მეფაიტონეები, მედუქნეები და კინტოები ათჯერ და ასჯერ უფრო ადვილად სწავლობენ ამ ენას ერთ ოთხიოდე თვის განმავლობაში, ვიდრე ჩვენი შკოლის მოწაფენი, რომელნიც დღეში ხუთ საათამდის მხოლოდ იმაზე დგანან, იმაზე ზრუნავენ, იმაზე ფიქრობენ, რომ როგორმე შეისწავლონ რუსული ენა, მაგრამ მაინც ამაოდ და ამაოდ!' მიზეზად ბავშვის ბუნებისთვის მიუღებელი ძალდატანებაა დასახელებული: 'ძალდატანება აქ ვერასა იქს, რომ აქ საჭიროა უფრო თავისუფალი, უფრო ადამიანის ბუნების შესაფერისი მოქმედება ... ადამიანის სული და ჭკუა-გონება იწვრთნება და შედის წარმატებაში მხოლოდ თავისუფალის სწავლით'.

ოცდამეათე ნომერში ქვეყნდება წერილი *ორიოდე სიტყვა ჩვენს საყმაწვილო ლიტერატურაზე*. განხილვის ავტორი ხელს აწერს ფსევდონიმით "ვანო" (ივანე როსტომაშვილი). წერილში საუბარია ი. გოგებაშვილის მიერ გამოცემული წიგნის *პატარა ბიბლიოთეკის* მნიშვნელობაზე. წიგნის გამოცემა განპირობებული ყოფილა აუცილებლობით, გაეჩენათ ქართველ მოზარდებში საბავშვო ლიტერატურაზე მოთხოვნილება. საუბარია წიგნის კითხვის მნიშვნელობაზე – 'წიგნის კითხვას ორგვარი დანიშნულება აქვს: ერთი ის, რომ მისცეს მკითხველს სხვა და სხვა ცნობა, რომლითაც მისი ჭკუა-გონება გახსნილ და განვითარებულ უნდა იქმნეს; მეორე – ის, რომ აღუძრას მკითხველს მაღალი ზნეობითი გრძნობანი'.

ოცდამეცამეტე ნომრის კორესპონდენცია *პროვინციალური მეთვალყურის ჩივილი და შენიშვნები* (ავტორი ხელს აწერს ფსევდონიმით წაკოლა-ც – სოფრომ მგალობლიშვილი) წარმოადგენს ერთგვარ გამოხმაურებას ოცდამეორე ნომერში გამოქვეყნებული კორესპონდენციისა, რომელშიც გულისტკივილით იყო აღნიშნული სოფლის მასწავლებელის გ. ქუჩუკოვის დამოკიდებულება ხალხისადმი – მითითებული იყო, რომ იგი ერიდებოდა და თაკილობდა ხალხში გარევას. საპასუხოდ *პროვინციალური მეთვალყურე* სიამაყით აღნიშნავს 'ბედნიერებაა იმ ხალხში ცხოვრება, მე და ჩემმა ღმერთმა, რომელსაც შენ და მე მკითხველო, აღვუზრდივართ ... ჰხედავ გლეხის გაფიჩხებულს ხელებს, დამსქდარს ფეხებს, რომლის გული მიწა-მწვარა მუწუკს ამოუფლეთია; ჰგრძნობ, სწუხხარ, რომ ამისთანა გახროკილს

ულელში აბია და კისერს აცვეთს შენს აღმზრდელს, შენს საუკუნო ლალას და ნუგეში ვერა გიცია-რა ...’. მოიხმობს ი. ჭავჭავაძის ლექსს:

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გინდა ტაში?
რასაც ვმსახურებთ – კვლავ ერთგულად მას ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად გავაგდოთ ხალხში
ბოროტ-საკლავად – და შორიდან სეირს ვუყუროთ.

ავტორი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე საუბრობს და მოჰყავს *ივერიის* კორესპონდენციიდან მაგალითები, რომლებიც თვალსაჩინოდ ადასტურებენ ამ ფაქტს. მათ შორის ასახელებს ს. ბავრელის კორესპონდენციას, რომელიც ასე მთავრდება ‘ბევრი რამე დამრჩა სათქმელი – ბევრისაც თქმა ვერ შევძელი, რადგან პირი წყლით სავსეა ...’ (# 33). კორესპონდენტი აგრძელებს გლეხთა დუხჭირი ცხოვრების აღწერას, თუ რა საშინელ მდგომარეობაშია სოფლის მცხოვრებლები. საუბარია გავრცელებულ ავადმყოფობაზე, უსუფთაობაზე, ხალხში გავრცელებულ ცრურწმენაზე – მკითხაობაზე. აღწერს გლეხის კარმიდამოში არსებულ უსუფთაობას, საქონლის ბაკების სიბინძურეს. ქართლში ბაკის კარები, უმთავრესად სახლის დერეფანში გამოდიოდა, რადგან მოპარვის ეშინოდათ. საქონლის ბაკის დასასუფთავებლად გლეხი ვერ იცლიდა, რასაც ასახელებს ატორი ავადმყოფობის – ციებ-ცხელების გაჩენის ძირითად მიზეზად. აქვე მიუთითებს გლეხობაში გავრცელებულ მეორე არასასიამოვნო ფაქტს – ცრურწმენას. იმის ნაცვლად, რომ სენის გავრცელების მიზეზს მოუაროს – დაასუფთაოს ბაკი, ავადმყოფის მოსარჩენად მკითხავთან მიდიან. გულშემატკივარიც არავინ ჩანს, რომ მიუთითოს ამ ფაქტზე. აქვე აკრიტიკებს მღვდლებს და ურჩევს რომ ქადაგებაში აუხსნას ამგვარი საჭიროება. შემდგომ საზოგადოებასაც გადასწვდება: ‘ჩვენი საზოგადოება უფრო საჭიროებს გასუფთავებას, ვინემ ქუჩები, ბაკები და კარ-მიდამოები ... უნდა ამ ჩვენს საცოდავს საზოგადოებას გამარგვლა, სისუფთავე, მაგრამ ჩვენის გლეხის ბაკისა არ იყოს, გორაობს თავის სიმყრალეში, თავის წუმპეში, და თუ გაბედე და სახრე დაარტყი ამ წუმპეს, დიდად გარისხდება ... ზნეობითს მხარეს ჩვენის პროვინციისას გასუფთავება, გაწილდვა უნდა’ (# 34).

მაგალითად ასახელებს გორში ხარჯის ამკრეფს. ეს საქმე ‘ამ უბედურ ქალაქს ერთის სულის მტერ-კაცისთვის ჩაუბარებიათ, რომელიც

ცდილობს, რომ როგორმე თავისთავიც კი ფულებად აქციოს და ისე ჩავიდა საფლავში'. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ხარჯთამკრეფი ეთნიკური სომეხი ყოფილა, რომელსაც თავისებურად აუღია ხარჯი. ბრალი ქართველებს, თორემ სომხებისათვის კიდევ შეღავათი გაუწევია. სხვა უკუღმართი საქმეებიც არაერთი კეთდებოდა სამმართველოს წევრის წყალობით. ასეთი მაგალითია მოხმობილი წერილში: ერთ სომეხს თურმე პური უფუჭდებოდა ორმოში. დასახელებული წევრის დახმარებით ხაბაზებს შავი პურის ცხობა შეუწყვეტიათ და ორი დღე სომხის გაფუჭებული პური გაუსაღებიათ. ავტორი აშკარად გლეხობას უჭერს მხარს 'საწყალნი და საბრალისნი! რა შეძლება აქვთ, ღმერთო ჩემო, ამდენი ტკიპების გადამკიდე!? ... რა არის თქვე დალოცვილო "ჩინიანებო", როგორც უბრალო უსულო ნივთს ისრე ნუ უყურებთ გლეხს ...' (# 35). ასევე აკრიტიკებს ქართლის თავადაზნაურობას, რომლებიც უმეტესობა ლაზღანდარობასა და ლოთობაში ატარებს დროს. შეეხება გლეხების და თავადების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. აღიშნავს თუ როგორ სარგებლობენ გასამოჯნავი კომისიის მუშაობის დროს გლეხთა სიბრიყვით და როგორ ართმევენ მამულებს. 'ვაი, საწყალო ქართველო გლეხო! რით ვერ გაიგე, რომ მამული არც კი გახსოვს, თუ რა დროიდგან გიჭირავს უდავოდ-უდარაბოდ, შენია და ახლა ყიდულობ ვიღაც გადამთიელის აზნაურისგან ...'. ავტორის გაკვირვებას იწვევს გლეხთა ინდიფერენტული დამოკიდებულება, იციან ტყუილად ართმევენ და ხმა ვერ ამოუღიათ. აქ განათლების აუცილებლობაზე საუბარი. ეკითხება გლეხობას:

> გინდა რომ შენი შვილიც უსწავლელი დააგდო? შენი კეთილის მყოფნი ხანდახან რომ გირჩევენ ხოლმე, შკოლაში მიეც შენი შვილო, რად არ აძლევ? იმავ თავიდგანვე ეს უსიყვარულობა ერთმანეთში, უთავდარიგობა, უერთმანეთობა, შური და სხვ. იყვნენ ჩვენის ქართველობის დამღუპველნი და ეხლაც ესენი გვღუპავენ ... ეხლაც, შინ გინდა, გარეთ, სამსახურში, საზოგადო საქმეებში, თუ ლიტერატურაში ვინ უთხრის ძირს ქართველობას? ქართველი. ვინ აბეზღებს? ვინ ჰკლავს? ქართველი ქართველს. ვინ ზიზღობს ქართველობას? ქართველივე. ვინ უთხრის საშშობლო ენას ძირს და ამხობს? ქართველივე, მხოლოდ, გესმის შურის გამო (# 36).

ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ მიმართვის ადრესატი უშუალოდ გლეხობა, იყოს რომელსაც გაზეთის კითხვის არც დრო და არც შეძლება

აშკარად არა ჰქონდა. ამ მიმართვის ადრესატი აშკარად ინტელიგენციაა, რომელმაც უნდა შესაბამისად ჩამოაყალიბოს ხალხში მუშაობის უპირველესი ამოცანები.

ოცდამეთხუთმეტე ნომრის *საქართველოს მატიანეში* ქვეყნდება კორესპონდენცია (ავტორია ანანია) *ტფილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების მასწავლებელთა კრება ქ. ტფილისში*. კორესპონდენცია საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ ამ კრებამ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. მასწავლებელთა კრებაზე ქართული ენის სწავლებისათვის ერთხმად გადაწყდა ი. გოგებაშვილის დედაენით ესარგებლათ.

მომდევნო ნომერი იუწყება საგარეჯოში არსებულ მძიმე ვითარებაზე ავტორი ხელს აწერს ფსევდონიმით ა. კავთელი (ალექსანდრე ცხვედაძე). თითქოს ყველაფერი კარგად უნდა ყოფილიყო, მოსავალს კარგი პირი უჩანდა, გლეხები გახარებულები იყვნენ, ვალების გასტუმრებისა და შვებით ამოსუნთქვის იმედი გაუჩნდათ. მხოლოდ ვაჭრებს ეტყობოდათ მოუსვენრობა, საკბილო ეცლებოდათ ხელიდან, თან წინა წელს ძვირად ჰქონიათ ნაყიდი პური და ღვინო იმ იმედით, რომ ომიანობა გაგრძელდებოდა, მოსავალი ცოტა მოვიდოდა, სასმელ-საჭმელი გაძვირდებოდა და ძვირად გაყიდდნენ. ახლა გულს იმით იმშვიდებდნენ, რომ გლეხობას არ ჰქონდა შეძლება მოსავალი შინ მოეტანა და გლეხის მოსავალი ისევ მათთან მოვიდოდა. მაგრამ აქ დეპომ შეუშალა ხელი. თუმცა არც გლეხობას გაუმართლა, მაშინ როცა მოსავალი უნდა დაებინავებინათ წვიმები დაიწყო და ერთიანად გაუფუჭდათ მოსავალი მუშა-ხელის მილიციელებად გაყვანის გამო. ხალხი დაღონებული იყო, რადგან დაუბინავებლობით მოსავალი მინდორში ულპებოდათ. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ ვენახი ნაცარმა[21] გაუნადგურა და გლეხთა იმედები მთლიანად გაცრუვდა. აქვე საუბარია მილიციელებად გამოყვანის დროს მომხდარ უსამართლობებზე. მილიციის შეკრებას დიდი ზიანი მიუყენებია ხალხისთვის. ამ გარემოებით უსარგებლიათ მამასახლისებსა და მოხელეებს და ჯიბეები გაუსქელებიათ. თუმცა გამოუცვლიათ მამასახლისები, მაგრამ გამოცვლილი მამასახლისებიც 'რაც შეიძლება ტუტას ადენდნენ ხალხს და გასტყავებლად არ ინდობდნენ'. ამ ბეგრების და მილიციელებად

[21] მცენარის დაავადება, რომელსაც იწვევს ნაცროვანი სოკოები – ქსე, VII, 1984, გვ. 338.

გაყვანის დროს გამდიდრებულა საგარეჯოს მამასახლისიც, რომელსაც მანამდე 'ხუთი კატა არა ჰყოლია სახლში'. ამ წელიწადნახევარში ხუთასი თუმანი შეუტანია ბანკში. ამ მამასახლისს ოცდაათი ურემი და ხარები მოუკრეფია და გაუგზავნია, ხალხისთვის არც კი განუცხადებია ურმებისთვის ხაზინიდან ჯამაგირი, რომ იყო გამოყოფილი. თვითონ იღებდა თითოეულ ურემზე გამოყოფილ შვიდთუმანნახევარს, რომელსაც მეხრეებთან ერთად იყოფდა თურმე. ამას გარდა მეხრეები სოფლის საქონელს ყიდდნენ და მამასახლისს კი სწერდნენ დაგვეხოცაო. სხვა ბევრი უმსგავსოება რომელსაც ჩადიოდნენ მამასახლისები და მოხელეები გაზეთებშიც გამოქვეყნებული ყოფილა, მაგრამ შედეგი არც ამას მოჰყოლია. საგარეჯოს მოსახლეობა ამაოდ მოელოდა მამასახლისის გამოცვლას.

აქვეა სხვა კორესპონდენცია საგარეჯოდან, რომელიც საზოგადო კეთილდღეობისთვის გულშემატკივარი ადამიანის საქმიანობაზე იუწყება. გვალვას გაუსაძლის მდგომარეობაში ჩაუგდია ხალხი, სოფელ ნინოწმინდაში დაუშრია სასმელი წყალი. ხალხს იმდენად გასჭირვებია, რომ ივრის პირებზე გადასახლებაც კი გადაუწყვეტია. ამ დროს აქ შემთხვევით ჩამოსული ყოფილა მოქალაქე დიმიტრი ჩიქოვანი, რომელსაც გულთან ახლოს მიუტანია ადგილობრივების გაჭირვება. დახმარებას შეჰპირებია მოსახლეობას და აუსრულებია კიდეც – ცივის მთიდან გამოუყვანია წყალი მოსახლეობისთვის. ეს უფ. ჩიქოვანი, სწორედ სათემო კაცი ყოფილა – წერს კორესპონდენტი – არ დაჰკანკალებს ფულებს; ეს ფიქრობს, რაც მომეცა გლეხის მარჯვენით მომეცაო, გლეხის მარჯვენასვე უნდა მოჰხმარდესო რაოდენიმე ნაწილი ჩემი ქონებისაო. კაციც ესა ყოფილა და ქუდიც ამას ჰხურებიაო – შენიშნავს ავტორი (# 36). *ივერიის* მიხედვით, ხალხის სამსახური უპირველესი ღირსებაა.

ორმოცდამეორე ნომრის *საქართველოს მატიანე* შეეხება თელავში გამართული სამღვდელოთა კრების განხილვას, თელავის სამღვდელოთა საქმიანობას. მათ გულგრილ დამოკიდებულებას სასწავლებლისადმი მიეძღვნა კორესპონდენციები 1877 წლის *ივერიის* ნომრებში. მიუხედავად მკაცრი კრიტიკისა, გულისტკივილით შენიშნავს ავტორი, სამღვდელოებას ჯერაც არ გამოუღვიძნია, და არც კი შეუტყვია, თუ რა ცვლილებები მომხდარა სასულიერო სასწავლებლის გაუმჯობესებისათვის და ვისაც შეუტყვია,

იმას არ უნდა საქმით შეასრულოს და იმოქმედოს შვილების განათლების სასარგებლოდ. მხოლოდ სამი თუ ოთხი მღვდელი თუ მოიპოვებოდა ისეთი, რომელიც გულგრილი არ იქნებოდა განათლებისადმი, მაგრამ სამი თუ ოთხი მღვდელი რას გახდებოდა 150-ის წინააღმდეგ. ბლაღოჩინები, მღვდლები, დეპუტატები ერთ ფერხულში ყოფილან ჩაბმულნი. დეპუტატები ბლაღოჩინების მიერ ყოფილან ამორჩეულნი, რომელთა მეშვეობითაც მოქმედებდნენ და აკეთებდნენ საქმეებს. ამგვარად ამორჩეული დეპუტატების კრებას არავითარი წესი არ ექნებოდაა და სასწავლებლის სასარგებლოდ ძნელად თუ რასმე გააკეთებდა. ისინი ერთმანეთს აბრალებდნენ სასწავლებლის სასარგებლოდ შემოსატანი თანხის წარმოუდგენლობას. მაგალითად, ზემოთ აღნიშნულ კრებაზე განუხილავთ საინგილოს ბლაღოჩინის უთიევის განცხადება, რომელიც მღვდელ ყულაშვილს ადანაშაულებდა სასწავლებლის ხვედრი ფულის წარმოუდგენლობას – ისე გავიდა პრიხოდიდან ფული არ წარმოუდგენიაო. ამას ამბობდა ის პირი იმ პირზე, რომელიც კრების მეორე დღეს თვით უთიევს დასდევდა თურმე თელავის მაზრაში. აქ ავტორი აკრიტიკებს სასულიერო პირებს: 'ფულები არ შემოაქვს შეუძლებლობის გამო სასწავლებლის სასარგებლოდ იმ მღვდელ ყულაშვილს, რომელსაც 200 კომლი მრევლი ჰყვანდა ჯამაგირის გარდა და რომელიც წელიწადში მარტო 400-500 მანეთის ბრინჯს გაჰყიდის ...'. სამღვდელოების გულგრილობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ კრებას დეპუტატების ნახევარი თუ ესწრებოდა და ისინიც დაგვიანებით მოდიოდნენ.

ორმოცდამეოთხე ნომრის *საქართველოს მატიანე* ისევ სწავლა-განათლების საკითხზე ამახვილებს ყურდღებას. აქ საუბარია პეტერბურგიდან უწმინდესი სინოდის მიერ ჩვენი სასულიერო სასწავლებლების დათვალიერებისათვის გამოგზავნილი რევიზორის საქმიანობის შესახებ. ავტორი იუწყება გაზეთ *დროებაში* გამოქვეყნებულ აღმაშფოთებელ ინფორმაციას. *დროებას* სანდო პირთაგან მიღებული ინფორმაცია გამოუქვეყნებია უწმინდსი სინოდის მიერ გამოგზავნილ რევიზორის მიერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლების დათვალიერებისას გამოთქმული განცხადების თაობაზე ქართული ენის გაკვეთილების შემცირების და მის ნაცვლად რუსული ენის გაკვეთილების გაზრდის შესახებ. ყველას, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გარდა, რევიზორის ბრძანება შეუსრულებია.

მხოლოდ ქუთაისის სასწავლებელს გადაუწყვეტია, ვინაიდან ჩვენთვის ნაკლებ გამოსადეგი იყო ბერძნული და ლათინური ენები, საათები ამ საგნებში შეემცირებინათ და ამის ხარჯზე გაეზარდათ რუსული ენის სწავლებისთვის გაკვეთილები.

ორმოცდამეხუთე ნომერში საუბარია აჭარიდან ჩამოსულ დელეგაციაზე. ეს პირველი ჩამოსვლა იყო ორას წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ ჩვენგან მოშორებული ჩვენივე ძმებისა – 'მათ შეიცვალეს სარწმუნოება, დაემორჩილნენ სხვა, უცხო ხელმწიფეს, განსხვავებულ კანონებსა და წესებს. მაგრამ ერთი შეხედვა საკმაოა, რომ ამათში ახლაც ძველი, ნამდვილი ქართველები გამოიცნოს კაცმა. იგივე სახე, იგივე ენა, ისვე მიხრა-მოხრა, ხასიათი, ზნე და სხვა ყველაფერი'.

როგორც ვხედავთ, ქართული იდენტობის გამსაზღვრელ ნიშანთა შორის ენის გარდა დასახელებულია გარეგნობა, ხასიათი, ტრადიციები. ანუ აქ ჩანს, როგორც საერთო გვარტომობა, ისე ისტორიული მახსოვრობა. რელიგია ამ ყველაფერზე გავლენას ვერ ახდენს.

ამავე ნომრის *ივერიის* კორესპონდენციაში იმერეთიდან ისევ გლეხების მხარდამჭერი წერილი იბეჭდება. საუბარია იმერეთის სოფლებში დაარსებული სიმინდის მაღაზიების შესახებ, სადაც თავიდან სიმინდი საკმაო რაოდენობით შეგროვილა და გაჭირვების ჟამს დიდად დაეხმარებოდა ხალხს, მაგრამ სიმინდი მაღაზიებიდან გამქრალა. ამგვარმა ვითარებამ გლეხთა უნდობლობა გამოიწვია ყოველგვარი საქმის მიმართ. 'რაც მაღაზინებიდგან ზეთი ჩამოდნა, ის მაგ შენი ბანკიდგამ, შკოლიდამ თუნდა დეპოდამ გამოდნებაო. ჩვენი ბედი ტანჯვა, კვნესა, შრომა და მწუხარება არისო; ჩვენ არაფერი არ გვშველისო; ვისაც დავენდეთ ყველამ მოგვატყუაო. აწ მაინც აღარავის ვენდობითო'.

კორესპონდენციაში ხაზგასმულია, რომ თუ გვინდა საზოგადოებაში კეთილი საქმის გაკეთება ჩვენი სიტყვა და საქმე უნდა შევაერთოთ, თორემ არაფერი ეშველება ჩვენს ყოველიმხრივ დაცემულ გლეხს.

1879 წელი

რედაქტორ-გამომცემელია ილია ჭავჭავაძე.

ამ წელს *ივერია* უკვე ყოველთვიური ჟურნალია. თუმცა მეთერთმეტე-მეთორმეტე ნომერი არ გამოსულა, რის შესახებაც

ჟურნალში ჩაკრული განცხადება ატყობინებს მკითხველებს. აღნიშნულის მიზეზი, როგორც ამას, მომდევნო წლის პირველი ნომრის განცხადებიდან ვიტყობთ, ყოფილა რედაქციის სურვილი ჟურნალი *ივერია* უფრო კრებულს დამსგავსებოდა, ვიდრე პერიოდულ გამოცემას. შესაბამისად, ამ ნაკვეთში ჩვენი კვლევის ობიექტია ათი ნომრის მასალა.

ჟურნალს აქვს რამდენიმე ძირითადი განყოფილება – ბელეტრისტული, წერილების და ქრონიკის განყოფილებები. ბელეტრისტიკის განყოფილებაში გამოქვეყნებულია რომანები, მოთხრობები, პოემები, ლექსები, როგორც ორიგინალური, ისე თარგმანები; წერილებში მოცემულია ისტორიული, კრიტიკული, ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომები; ქრონიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა *შინაურ მიმოხილვას*, სადაც გაშუქებულია ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში განვითარებული მოვლენები. საყურადღებოა ის გარემოება, რომ რედაქციას ყველა კუთხეში ჰყოლია სანდო პირები, რომელთაგანაც იღებდა ინფორმაციას. გარდა შინაური მიმოხილვისა, გამოქვეყნებულია რუსეთისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ვითარების მიმოხილვა. სამეცნიერო ქრონიკაში განალიზებულია ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის საინტერესო საკითხებზე შექმნილი ქართული და უცხოენოვანი სამეცნიერო წერილები. ასევე საინტერესო მასალები არის გამოქვეყნებული თეატრის ქრონიკაში, სადაც მოცემულია ქართულ სცენაზე წარმოდგენილი პიესების, შემსრულებლების ხელოვნების კრიტიკული გარჩევა.

რედაქცია აყალიბებს ერთობას თავის მკითხველთან: აძლევს მათ შესაძლებლობას ნაწილ-ნაწილ გადაიხადონ ჟურნალის საფასური. ასევე ზრუნავს ჟურნალის მკითხველამდე დროზე მისვლის შესახებ – თუ დაგვიანებას ექნება ადგილი, ითხოვს აუცილებლად შეატყობინონ რედაქციას.

განსახილველ წყაროში თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ქართული ერთობის ყოველდღიური არსებობის ამსახველი სურათები. კორესპონდენციები შეეხება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს – იქნება ეს სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული საკითხები, ქვეყნის შიგნით და გარეთ მიმდინარე მოვლენები.

ჟურნალის 1879 წლის პირველი ნომერი იხსნება დემეტრე თავდადებულის ისტორიის გადმოცემით. ნაციის ერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორც ითქვა, წარმოადგენს ქვეყნისთვის

თავდადებულ გმირთა ხსოვნის გაძლიერება. სწორედ ნაციონალური იდეების გავრცელებას ეწეოდა ხალხში ბეჭდური მედია *ივერიის* სახით, რითაც ხელს უწყობდა ერის თვითცნობიერების ამაღლებასა და განვითარებას. ამ მხრივ გამორჩეულია დემეტრე მეფის თავდადება ქვეყნისა და სარწმუნოებისათვის. დემეტრე მეფის მოღვაწეობაზე, ერისათვის თავდადებაზე, მისი, როგორც მეფის მოვალეობაზე, ჩვენ 1878 წლის ნომრების (სადაც ილიას პოემის 12 მუხლი იყო გამოქვეყნებული) განხილვისას გვაქვს აღნიშნული. ჩვენი დაკვირვების ობიექტია ხალხის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. როგორ შეხვდა ხალხი დემეტრეს გადაწყვეტილებას. სათათბიროდ შეკრებილი დარბაზი თხოვს მეფეს არ გაემგზავროს საყაენოში და არ დააობლოს ერი. ერი ჯარის შეგროვებას და მტერთან შებრძოლებას ურჩევს მეფეს. ქუდზე კაცი გამოვალთო ქვეყნის დასაცავად – ევედრებოდა ხალხი დემეტრეს. ერთმა მოხუცებულმა თავისი ორივე ვაჟიშვილი ჩააყენა ქვეყნის სამსახურში და უთხრა მეფეს:

... ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე!
ომში, მეფევ, გიჩვენებენ
რა ლომებს ზრდის ქართვლის ბუდე.

ძალიან საინტერესოა თავისთავად ეს ფრაზა "ქართვლის ბუდე". მთელი ქართველობა წარმოდგენილია, როგორც ერთი ოჯახი. ერთი "ბუდიდან" გამოსული ერთობა, ანუ აქ ფაქტობრივად, ხდება ეთნიკური ერთობის ხატის მიხედვით ნაციის წრთობა, თუმც, ამ საკითხში ილია ჭავჭავაძე და მისი *ივერია* ორაზროვნებას ამკვიდრებდა. ერთი მხრივ, ქართველი ერი არის ერთი ბუდიდან გამომავალი ანუ ეთნიკური (მეტიც გენეტიკური) და, შესაბამისად, სრულიად ჩაკეტილი ექსკლუზიური ერთობა, მეორე მხრივ, ის არის "ერი" და არა "ნათესავი", მეტიც ის არის "საქართველოს ერი", ანუ მასში წარმომავლობა არაა აქცენტირებული და ამდენად პრინციპულად ჩაკეტილი არაა, პირიქით, ინკლუზიურია.

მაგრამ დავუბრუნდეთ ბალადას. ხალხი უბრძოლველად დამორჩილებას სახელოვან სიკვდილს ამჯობინებდა:

თუ ვერა ვძლევთ, დავიხოცნეთ
სახელითა და დიდებით ...

პოემაში უმეფოდ დარჩენა ობლობასთან, უმამობასთან არის გაიგივებული. ამავე დროს ხალხს გაცნობიერებული აქვს მეფისადმი ერთგულება, რომ ქვეყნისათვის ერთგულების ტოლფასია. დემეტრეს ეამა ხალხის ერთგულება. იგი ასეთ პასუხს აძლევს ბერიკაცს:

შაბაშ ქართველს! ... გული თურმე
სიკვდილამდე გულად რჩება.

მაგრამ მეფეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი საყაენოში გამგზავრება. იგი ფიქრობდა, რომ მისი ქვეყანა მის მსხვერპლს ითხოვდა:

მე ერთი ვარ, თქვენ მრავალი,
გვიჯობს ერთით ბევრის რჩენა,
თუ თქვენ მე არ გემეტებით,
მე რად გაგიმეტოთ თქვენა?

ასეთ შემთხვევაში მეფე ქვეყნის ჭირთა მძლედ უნდა იქცეს და საჭიროების შემთხვევაში სიცოცხლეც უნდა გაიღოს. ეს მისი როგორც მეფის, უმთავრესი მოვალეობაა ქვეყნის წინაშე:

მაშ რად არის მეფე მეფედ
თუ არ ქვეყნის ჭირთა მძლეა?
თუნდაც მოჰკვდეს ქვეყნისათვის
ეგ სიკვდილი სიცოცხლეა ...

– ამბობს დემეტრე და მიდის. უკან მთელი კრებული მისტირის – ერი, ბერი, გლეხობა და დიდკაცობა ცრემლებით აცილებს ქვეყნისთვის თავდადებულ მეფეს.

ურთიერთდანდობა, ერთგულება, მამულის სიყვარული, აი, რა აკლდა, ილიას და *ივერიის* გუნდის აზრით, საქართველოს. სწორედ, ამ უზენაესი ღირებულებების გაძლიერებას და განმტკიცებას ემსახურებოდა ისტორიული პოემების პუბლიკაცია (# 1).

ქართული ერთობის წარსულის იდეალიზაციასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თანადროული მწიგნობრობის განვითარებაზე ზრუნვას. ყოველი მწერლობა ხალხის ცხოვრების გამომხატველად მიაჩნდათ და, შესაბამისად, აუცილებელი იყო ზრუნვა მწიგნობრობის საქმის წინსვლაზე, წიგნების გამოცემის მომრავლებაზე,

მათ ხარისხზე, რადგან, *ივერიელების* აზრით, საზოგადოება მწერლობაში და ხელოვნებაში ეძებს თავის გულის და გონების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. წერილში *მწიგნობრობის საქმე* (ავტორი ფსევდონიმით მ. პეტრიძე – პეტრე უმიკაშვილი), კრიტიკულად არის შეფასებული თანადროული დაწინაურებული საზოგადოება. ავტორი აღნიშნავს, რომ მათი დიდი ნაწილი, რომელთაგანაც მწერლები გამოდიან, ამაოებას მისცემია და ქარაფშუტა ცხოვრებას ეწევა. ამ სამწუხარო სურათმა განაპირობა ის გარემოება, რომ თითო-ოროლას გარდა, ჩვენს მწერლებს სამოქმედო ასპარეზად ჟურნალ-გაზეთობა აურჩევია. მწერლების მცირე ნაწილსაც კი, რომლებსაც მწერლობა აურჩევიათ, ქართული მწერლობისათვის ზურგი შეუქცევიათ და უცხოური მწერლობის სამსახურში ჩამდგარან. ამით, საბოლოო ჯამში, სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა ქართული კულტურის საგანძური – ქართული მწერლობა გაღარიბების საფრთხის წინაშე დადგა. ასეთ ვითარებაში განუზომელია პუბლიკაციის მნიშვნელობა. იგი უპირველესად შეახსენებს საზოგადოებას ვალდებულებას – გაუფრთხილდეს საუკუნეებით შემონახულ ძვირფას საუნჯეს და იზრუნოს ქართული მწერლობის წარმატებისათვის. ავტორის შენიშვნით, გამომცემლები ქართული საუნჯის სალაროს მიადგნენ და მიჰყვეს ხელი დედა-ლიტერატურის ნიმუშთა გამოცემას. ამით ხალხს მიაწოდეს ძვირფასი სახალხო კუთვნილება. გამომცემლებმა საქმიანობა პატარ-პატარა წიგნების ბეჭდვით დაიწყეს, არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, რადგან მათი გამოცემა ნაკლებ ხარჯთან იყო დაკავშირებული. ეს საკმაოდ გაბედული და მართებული ნაბიჯი იყო და ხალხის მოთხოვნილების გარკვეულწილად დაკმაყოფილებას ისახავდა მიზნად. ავტორი ურჩევს ქართველ მწერლებს კრიტიკის ნაცვლად სათანადო მონაწილეობა მიიღონ ამ საშვილიშვილო საქმეში. ხაზგასმით მიუთითებს, რომ ამათმა შრომამ ყველა მწერალს და ხალხის კეთილისმყოფელს უნდა მოაგონოს თავისი ვალდებულება ხალხისადმი, ხალხის განათლებისა და წარმატებისადმი:

> რა გვაქვს ეხლა საერთოდ ყველასათვის თვალსაჩინო ძვირფასი შემაერთებელი, ამამაღლებელი, გამაკეთილშობილებელი თუ არ სამშობლო ლიტერატურა და ენა? განათლებისა და ხალხის წარმატებისათვის ერთი საჩენი რამა გვაქვს, რომელშიაც მჭიდროდ აერთებს განათლებულ საზოგადოებასა და უსწავლელ, უცოდინარ ხალხსა. იმ წამში, როდესაც ჩვენი ლიტერატურა

> დაიშრიტება, მაშინვე შეწყდება ერთობა და კავშირი განათლებულსა და გაუნათლებელს კაცში.

ამიტომაც ქართული მწერლობის ნიმუშების გამოცემა საყურადღებო იქნებოდა, ერთი მხრივ, ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის, მეორე მხრივ, ეროვნული ერთობის კონსოლიდაციისათვის (# 1).

ეროვნული ლიტერატურის მნიშვნელობაზე მსჯელობა გრძელდება ნ. დავითაშვილის წერილში *ფიქრი და შენიშვნა*. ლიტერატურას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მძიმე ცხოვრების გამო გულგატეხილი და დაბეჩავებული ხალხისათვის მიმართულების განსაზღვრისა და წარმატების გზაზე დაყენებაში. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მწერლობა, ავტორის შენიშვნით, დაშორებულია მის უმთავრეს დანიშნულებას. ქართულმა მწერლობამ შეიძინა შეუწყნარებელი ხასიათი 'სხვისი ანაბრობა, სხვისი ჭკუით ფიქრი'. ამით, ავტორი მიუთითებს, არა სხვისი ჭკუის მონაგარის უკუგდებაზე, არამედ იმაზე, რომ ყოველ ხალხს და ქვეყანას აქვს თავისი საკუთარი ხასიათი, რომლითაც იგი განირჩევა სხვა ხალხისა და ქვეყნისაგან. ლიტერატურის თვითმყოფობა აუცილებელი პირობაა წარმატების გზაზე. თუ კაცის ჭკუა-გონება ყმაწვილობიდანვე გამოზრდილია უცხო ენაზე, სწავლა-განათლება უცხო-ენაზე მიუღია, იგი სანახევროდ ამოგლეჯილია თავის სამშობლოდან, სანახევროდ დაკარგულია თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ მოღვაწეობისათვის:

> თვით-მყოფობა, თვითმოღვაწეობა ჭკუა-გონებისა არის ამის თამასუქი ლიტერატურის წარმატებისათვის და განვითარებისათვის; განსაკუთრებული თვისება, თავისებური ფეროვნება არის ის ნიადაგი, ის სფერა სადაც ფრთას ისხამს საგვარ-ტომო, სახალხო ლიტერატურა (# 1).

ამგვარად, ავტორის საზრუნავია ქართული ერთობის თვითმყოფადობა, და ქართული მწერლობის ავთენტურობის და, აგრეთვე, მისი პოპულარული ანუ სახალხო ხასიათის დაცვა. ეს ნაციონალიზმის მთავარ იდეებთან დაკავშირებული ამოცანებია.

ერთობის ავტონომიურობის გამოძერწვას, ოღონდაც სულ სხვა კუთხით, ესწრაფვის წერილების სერიაც *ცხოვრება და კანონი,* რომლის ავტორია ილია ჭავჭავაძე. იგი ძირითადად ეხება

თვითმმართველობის რეფორმის საკითხის ანალიზს. ავტორი მკითხველებს წარმოუდგენს თვითმმართველობის შინაარსს, განსხვავებებას ცენტრალიზაციასა და დეცენტრალიზაციას, სახელმწიფო გამგეობისა და თვითმმართველობას შორის. შემდგომ გადადის 1861 წლის თვითმმართველობის წესდების ნაკლის გაანალიზებაზე. როგორც წერილიდან ვიგებთ, წესდებამ თვით რუსეთის შიდა გუბერნიებშიც კი ვერ გაამართლა. თუმცა შიდა იმპერიის წესდებაში გარკვეული სიკეთე მაინც გამოკვეთილა – კანონმდებელს ყურადღება მიუქცევია იქაური სოფლის ვითარების, ეკონომიკური, საოჯახო და საზოგადოებრივი წყობისათვის. ავტორის აზრით, ჩვენი წესდება პირდაპირ იქნა გადმოღებული რუსეთიდან, რაც უმთავრესი მიზეზი გახდა ჩვენებური მმართველობის უვარგისობისაო. იგი არ იყო აღმოცენებული ჩვენი სოფლის შინაურ მოწყობილობაზე, მის ეკონომიკურ, ოჯახობრივ და საზოგადოებრივ ვითარებაზე.

ილია ყურადღებას ამახვილებს თვითმმართველობის წესდებაში არსებულ მეორე უმნიშვნელოვანეს ნაკლზეც, რაც მდგომარეობდა ხმის და არჩევანის თავისუფლების შეზღუდვაში. წესდების მიხედვით ხმის და არჩევანის უფლება ჰქონდათ მხოლოდ კამერალურ აღწერაში ცალკე კომლად დასახელებულ სახლის უფროს გლეხებს. იგი მიუთითებდა, რომ თვითმმართველობიდან ვისიმე გამოკლება დაუძლურებაა წარმატებისათვის მიმართული ღონისა. წარმატებისათვის, საჭიროა, რომ 'ყოველნი ძალნი ერთობისანი ერთად, ერთგვარად იყვნენ მიდრეკილნი და მიწვეულნი, თვით წარმატებაც, განვითარებაც მაშინ არის ჭეშმარიტი და ნაყოფიერი, როცა ყველანი ერთგვარად ჰსწვდებიან საერთო სიკეთეს, ერთგვარად და ერთ-სახით გაჭირების უღელს ეწევიან და თანასწორად ინაწილებენ უფლებას და მოვალეობას' (# 1).

ამგვარად, აქ ჩანს სწრაფვა გარე სამყაროსთან მიმართებით ქართული ერთობის გარკვეული ხარისხის ავტონომიურობის და შიდა ჯგუფური თვალსაზრისით ერთიანობის ანუ სოციალური ჰომოგენიზაციისაკენ მიღწევისაკენ.

განსახილველი ჟურნალის *შინაურ მიმოხილვაში*, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცხოველმყოფელი სურათებით არის წარმოდგენილი ქართული ერთობის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი მოვლენები.

რუბრიკა იწყება საქართველოს ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი მოვლენის – ბერლინის ხელშეკრულების – შედეგების დიდი ემოციით დაფიქსირებით. ხაზი ესმება "ოსმალოს საქართველოს" და დანარჩენი საქართველოს ყველა შემაკავშირებელ ფაქტორს. რუსეთ-თურქეთის ბერლინის შეთანხმებით, "ოსმალოს საქართველო" დედა-სამშობლოს შემოუერთდა: 'ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთად მებრძოლი შავი ბედისა, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი უწინდელი განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა', სიხარულს და აღტაცებას ვერ მალავდა *ივერია*. როგორც ვხედავთ, ნაციისათვის დამახასიათებელი ყველა არსებითი ნიშანი – სისხლით ნათესაობა, საზიარო მნემონიკური ტრადიცია, სახელოვან გმირთა კულტი, სულიერი სიმდიდრე განმაპირობებელია იმპერიათა შორის დანაწილებული "საქართველოების" ერთიანობის.

ბერლინის ხელშეკრულებამ დიდი სიკეთე მოუტანა საქართველოს. 'ამდენი ხნის დაშორებული ძმანი ისევ ერთმანეთს შეგვყარაო' – ამბობს ი. ჭავჭავაძე და მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას, როგორც ძმებს შეეფერება 'ისე დავხვდეთ, ჩვენი დაურღვეველი კავშირის გაბმა უეჭველიაო'.

უმთავრეს პრობლემას ახალ შემოერთებულ საქართველოს ნაწილში წარმოადგენდა კულტურული უნიფიცირების საკითხი, რომლის მიღწევის ერთადერთი გზა იყო სწავლა-განათლება. საამისოდ ხალხის თვითმოქმედების გამოფხიზლება იყო საჭირო, რათა საერთო საზრუნავად ქცეულიყო სასოფლო სკოლების გამართვა, არა მარტო აჭარა-ქობულეთში, არამედ მთლიანად საქართველოში. აქვე რუბრიკა შეეხება ქართული ენის სწავლების საკითხს ქართულ სკოლებში. ამიტომაც ჟურნალი უყურადღებოდ არ ტოვებს ამ თვალსაზრისით განვითარებულ არცერთ მოვლენას. ავტორი აღშფოთებული გვიყვება იმის შესახებ, რომ ქართული ენა გამოდევნილ იქნა ქართული სკოლებიდან კონკრეტული პირების (ზახაროვის, კუვშინსკის) მიერ. როგორც სტატიიდან ვიგებთ, ეს არ ყოფილა მთავრობის გადაწყვეტილება. იმპერატორის რესკრიპტი, პირიქით, აუცილებლად აცხადებდა პირველდაწყებითი განათლების მშობლიურ ენაზე მიღებას. ზახაროვის და კუვშინსკის ქმედებებს დაუპირისპირდა მასწავლებელთა სასოფლო კრება, რომელმაც შეაფერხა ეს ფაქტი და აღიარა, რომ ქართული ენა უნდა დაედოს ქვაკუთხედად ჩვენს განათლებას. ასევე

საპროტესტო წერილები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოუქვეყნებიათ სხვა მედია-საშუალებებსაც (იხ., მაგალითად, *დროება*, *Тифлисский Вестникъ*). საზოგადო პროტესტის შედეგად მისიის მესვეურების აზრის ცვლილება მოჰყოლია, რასაც ასე აფასებს ავტორი 'უგვან აზრს ისე არაფერი სჭრის ფესვებს, როგორც უარყოფა იმ პირთა მხრით, რომელიც სხვაზე უფრო ნიჭიერი და სხვაზე უფრო გულმოდგინედ მოღვაწე იყო იმ უგვანი აზრისთვის'.

ანუ უღირსი აზრები თუ ქმედება იმსახურებს საზოგადოებრივ გაკიცხვას. ეს არის მისი მოსპობის ქმედითი საშუალება.

გარდა ამისა, აღნიშნული რუბრიკა შეეხება ქალაქის სასწავლებლებში შექმნილ სამწუხარო ვითარებას – მოწაფეთა სიაში ორმოციდან მხოლოდ ორი-სამი ყოფილა ქართველი. ამის მიზეზად დასახელებულია პირველდაწყებითი განათლების არამშობლიურ (რუსულ) ენაზე მიღება. წერილში მითითებულია, რომ აუცილებელია დროულად მიაქციოს ქართულმა საზოგადოებამ ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება, რომ სწავლა-განათლების შეძენისათვის საფუძველი მიღებულ იქნას მშობლიური ენის შემწეობით. ილია აქვე სთავაზობს მკითხველებს ქართული ენის ფუნქციისა და დანიშნულების შესახებ ვრცელ განმარტებას:

> ენა საგანძეა ხალხის ჭკუისა, ზნეობისა, გრძნობისა, ენა სულია ხალხისა, ენის წართმევა სულთა ხდის და მოდი და მერე იკითხე ხალხს რატომ არ ვუყვარვარო. ვინ? სულთამხდელი? ეგ ბუნების წინააღმდეგია და ამ შემთხვევაში ბუნების ძალი უძლეველია ... სულთა მხდელს კაცი ვერ შეიყვარებს, ვერა, ვერა! ... ამის გარდა საზოგადოება იმითია წაგებაში, ნასწავლი ნაწილი საზოგადოებისა ჰკარგავს აღმზრდელს და განმანათლებელს გავლენას ხალხზედ და თავის მხრიდან მოკლებულია ხალხის ცხოვრების გამაცოცხლებელ გავლენასა. რადგან ენა, ეგ ურთიერთშორის მიქცევ-მოქცევის უკეთესი იარაღი, ხელთ არა აქვს, მართებლობაც ზარალშია, რადგანაც მას მხოლოდ მაშინ შეუძლია კარგად, წესიერად მართოს ხალხი, როდესაც მისმა მოხელეებმა კარგად იციან ხალხის ენა, თვისებანი, ხასიათი და ზნე-ჩვეულებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხსა და მოხელეთ შორის ყრუ-მუნჯობაა და ამას იმისთანა საქმეებიც მოსდევს, როგორც სიღნაღისა, სამეგრელოსა და სვანეთისა.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს სასულიერო წოდებაში არსებულ ურთულეს ვითარებაზეც და მომხდარ სანუგეშო ცვლილებებზე

ახდენს აქცენტირებას. საუბარია ქართველი სასულიერო წოდების მეუღლეების (“ფოფოდიების”) გაუნათლებლობაზე. “ფოფოდიებში” ძნელად მოიძებნებოდა წერა-კითხვის მცოდნენი: ‘ოჯახი უნდა დღემუდამ საზრდოს აწვდიდეს მის სულსა და გულსა, რათა გონებითის და ზნეობითის ახალი ძალით შეიმოსოს ბოროტთან, მაცთურებასთან, უსამართლობასთან საბრძოლველად. ამის მომქმედი ოჯახში ცოლია მღვდელისა, რომელიც მართლადა მეუღლედაა მოწვეული იმ დიდ ღვაწლისათვის, რომლის მძიმე უღელიც მღვდელს აწევს კისრად. გონებადახშული ქალი ვერ გაუწევს მღვდელს ამ მძიმე უღელს და დღეს ჩვენი სამღვდელოება დაცემულია’. ამის უმთავრეს მიზეზად დასახელებულია სამღვდელოებათა წოდების ქალთა გაუნათლებლობა.

აღნიშნული გარემოებისათვის სათანადო ყურადღება მიუქცევია ახალ ეგზარქოსს ყოვლად სამღვდელო იოანნიკეს და გადაუწყვეტია ექვსკლასიანი სასწავლებლის დაარსება. საამისოდ ეკლესიის ხაზინაში საჭირო თანხის არარსებობის გამო, ეგზარქოსს საკუთარი ჯიბიდან გაუღია თანხა. ‘ეტყობა სრულიად არ ჰგავს იმ უანგარო გვამთა, რომელთაც ოცი წლის სამსახურის შემდეგ ორასი ათასი მანეთით დატვირთულნი წავიდნენ ჩვენი ქვეყნიდან და მადლობის მაგიერ ცუდადაც გვიხსენიებენ’, შენიშნულია წერილში (# 1).

მძიმე სოციალური ვითარებაა ასახული ი. ჭავჭავაძის მოთხრობაში *სახრჩობელაზედ*. საინტერესოდ არის წარმოდგენილი პატიოსანი, მშრომელი კაცის პეტრეს სახე, რომელიც ქალაქში მიმავალი ორმა ყაჩაღმა გაძარცვა. ქალაქში ჩასულ პეტრეს ვერაფრით დაუჯერებია, რომ ადამიანი საჯაროდ შეიძლება ჩამოახრჩონ. განსაკუთრებით საინტერესოა მოთხრობის ფინალი. ჩამოხრჩობილი ავაზაკის ძმა (პეტრეც მათ გაძარცვეს) პეტრეს ადანაშაულებს მისი ძმის სახრჩობელამდე მისვლაში. ცხადია, ეს არის ბრალდება საზოგადოებისადმი. გაოგნებული კითხულობს პეტრე ‘მე რა შუაში ვარო ...’ (# 2). ავტორის ბოლო კითხვაც ეს არის.

მოთხრობის მიზანია საზოგადოების განვითარება, სამოქალაქო ცნობიერების წრთობა. სწორედ საზოგადოებას, კოლექტივს მოეთხოვება პასუხი არსებულ მძიმე ვითარებაზე.

ამავე ნომრის წერილების სერიაში *ცხოვრება და კანონი* (ავტორი ილია ჭავჭავაძე) წარმოდგენილია სოფლის თვითმმართველობის

წესდებაში კანონის წინაშე თანასწორობის საკითხის განხილვა. როგორც განხილვიდან ჩანს, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი დარღვეული ყოფილა. წესდება სოფლის მშვიდობიანობის დამყარებას მამასახლისს ავალდებულებდა, მაგრამ იგი მხოლოდ მაშინ მოქმედებდა თავისუფლად, როდესაც დანაშაულს გლეხკაცი ჩადიოდა. 'დანაშაულობა განა გლეხკაცის აუცილებელი თვისებაა? სხვა არა-გლეხი, სოფლის წრეში მცხოვრები არ არის მითამ საშიშარი წესისა და რიგისათვის' – სვამს კითხვას ავტორი. ასევე სოფლის სასამართლოსაც ხელი მხოლოდ გლეხკაცზე მიუწვდებოდა: 'რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც ხმას არ იღებს უღონობით, როცა გლეხს უპატიურად ხდის არა-გლეხი და როცა კი არა-გლეხს უპატიურება მიადგება გლეხისაგან მაშინ კი ძალასა და ღონეს იჩენს'. აშკარაა, რომ ავტორის თანაგრძნობა გლეხის მხარეზეა და არა მარტო ამ შემთხვევაში, ეს მოტივი მთლიანად განსაზღვრავს მის შემოქმედებას, რაც განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ გლეხი ქართული ერთობის წევრთა ძირითად მასას წარმოადგენდა, ამიტომაც მისდამი ყურადღება დიდია.

ილიამ ჩამოაყალიბა თვითმმართველობის უმთავრესი ნაკლოვანებანი რითაც ხაზი გაუსვა ამ საკითხთან დაკავშირებით კანონმდებლობის გადახედვის აუცილებლობას (# 2).

მეორე ნომრის *შინაური მიმოხილვა* შეეხება ამ დროისათვის ისევ და ისევ აქტუალურ რუსეთ-თურქეთის ომის შედეგებს და ახლად შემოერთებულ ტერიტორიაზე არსებულ მძიმე მდგომარეობას. წერილი სახელმწიფოს უწმინდეს მოვალეობად აცხადებს ხალხის დახმარებას, მათ კეთილდღეობაზე ზრუნვას. დახმარება ხალხისთვისაც სასარგებლოა და სახელმწიფოსთვისაც:

> ხალხი ფეხზე წამომდგარი უფრო ღონეა სახელმწიფოსთვის, ვიდრე დავრდომილი და სულით და ხორცით გათახსირებული; მარტო გულმოგებული და ფეხმომაგრებული ხალხია უმრეტი წყარო სახელმწიფოს სიმდიდრისა და ძალისა.

ამიტომაც აუცილებელ საჭიროებად არის დასახელებული მთელი ქართველობის ჩართვა ამ საქმეში:

> ქართველობავ, ჩვენი უწმიდესი ვალია, უნდა მივეშველნეთ! ... ღარიბნი ვართო ვიძახით, მაგრამ ქვეყანაზედ მარტო ღარიბმა იცის, რა არის შველა, რა არის ძმობა გაჭირებაში ... ახლა შენ იცი როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდერძს: ძმა ძმისთვისა და შავ დღისთვისაო (# 2).

ამავე ნომერში გამოქვეყნებული *სხარტულა* – "*ივერიის*" *რედაქციას* (ავტორი ილია ჭავჭავაძე) საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ სანამ წერილები ჟურნალში გამოქვეყნდებოდა, რედაქციაში საგანგებოდ განიხილავდნენ გამოსაქვეყნებელ მასალას. ერთ-ერთი ასეთი განსჯის საგნად ქცეულა ნ. დავითაშვილის წერილი *ფიქრი და შენიშვნა*, რომელიც შეეხებოდა გ. თუმანიშვილის *ალმანახის* კრიტიკას. ისტორია ასეთია: ახალ გამოსული *ალმანახი* აჯამებს "ჟურნალ-გაზეთობის" საქმიანობას, მათ შორისაა *ივერიაც*. გ. თუმანიშვილს კრიტიკული შენიშვნა გამოუთქვამს ილია ჭავჭავაძის პოემა *დიმიტრი თავდადებულის* თაობაზე. იგი ილიას ურჩევდა ცხოვრებისგან დაჩაგრული და ტალახში დაცემული გლეხიკაცის მდგომარეობა გადმოეცა. ეს და სხვა მსგავსი კრიტიკა ვერ მოუთმენია ნ. დავითაშვილს და თავის *ფიქრსა და შენიშვნაში* მკაცრად განუხილავს *ალმანახი*.

რედაქციამ, მიუხედავად ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგობისა, გამოაქვეყნა აღნიშნული წერილი. იმის ნიმუშად თუ როგორ უნდა გაეცეს პასუხი ასეთი ხასიათის კრიტიკას. ამ საკითხს თავად ილიამ *სხარტულა* უძღვნა (# 2). ილია თითქოს კიცხავს *ივერიის* რედაქციას კრიტიკული წერილის გამოქვეყნების გამო. საქმე ეხებოდა ისეთ პირებს, რომლებიც ასევე ავტორიტეტით სარგებლობდნენ საქართველოში. ესენია ნ. ნიკოლაძე და გ. თუმანიშვილი. ეს უკანასკნელი, როგორც "ახალი" ქართულის დამდგენლი ისე იყო ცნობილი საქართველოში. ნ. ნიკოლაძეს კი საქებარი სიტყვები უძღვნია *ალმანახისათვის*, რომლის ავ-კარგიანობა, როგორც ითქვა, მკითხველის სამსჯავროზე გამოიტანა ნ. დავითაშვილმა. *სხარტულას* მძაფრი ფარული კრიტიკა გასდევს. სახუმარო საქმე ხომ არ იყო 'ბატონი ნიკოლაძე რად იკადრებდა გ. თუმანიშვილის ნაწერის განხილვას. ბატონი ნიკოლაძე! თქვენ ეს უკანასკნელი საბუთი ცოტა გგონიათ ...'.

ილია მკითხველებს აწვდის ჟორჟ დანდენის გ. თუმანიშვილისეული თარგმანიდან ნაწყვეტებს, იმის დასტურად თუ რამდენად არ შეესაბამება ტექსტი და თარგმანი ერთმანეთს. მაგალითები თვალნათლივ მიუთითებდა რა ღვაწლს სდებდა "ახალის" სახელით ქართულ ენას

გ. თუმანიშვილი, რომელიც *ივერიას* ქართულს უწუნებდა. ამავე დროს წერილი "ახალი" ქართულის მიმდევრებს მოდუნების საშუალებას არ აძლევდა, ამით კი საბოლოოდ ენის სიმტკიცე და ძლიერება ნარჩუნდებოდა. მეორე არამართებული შენიშვნა, რომელიც გამოთქმულა *ივერიის* მისამართით შემდეგია:

> თუ სულ მთლად არ შეიცვალა თავისი ხასიათი, უფრო დავუარდება *დროებას*, რადგან ჟურნალს შეუძლიან უძღვნას თავისი ფურცლები მხოლოდ ძველს, დამჭკნარს ამბებს, მაგალითებრ, ისტორიულ, ეტნოგრაფიულ და საზოგადოდ (???) მეცნიერების (????) სტატიებს ... თქვენ ის კაცი ხუმრობა კაცი გგონიათ – აგრძელებს სარკაზმით ილია, კაცს, რაც საზოგადოდ ქვეყნის მეცნიერებაა, მჩვრად და მჭკნარ რაღათაც გახდომია და თქვენ აქ მოჰყოლიხართ და ამისთანა საზოგადო მეცნიერების უარმყოფელს, რასაკვირველია, გიჟს დაუძახებთ. ბარაქალა თქვენს კადნიერებას, ბარაქალა! ... ქვეყანა იცვლება, ახალ-ახალი აზრები შემოდის ... თქვენ კი რაღაც ძველ ლოღიკას ღეჭავთ.

აქ ალბათ კომენტარიც ზედმეტია, იმდენად მკაფიოდ არის გამოკვეთილი სათქმელი. ეს ფრიად მეტყველი ამონარიდები ნათლად მოწმობენ მძაფრი ირონიით კრიტიკის ძლიერებას.

ჟურნალის ერთ-ერთი განყოფილება ეძღვნება ახალგამოცემული (ქართულ თუ უცხოურ ენაზე) წიგნების განხილვას. განსაკუთრებულ მიზნად ჟურნალი ისახავს თვალი გაადევნოს უცხოელთა ნაშრომებში ასახულ ინფორმაციებს საქართველოს შესახებ. რადგანაც მათში თუ ზოგ შემთხვევაში საინტერესო ცნობებია დაცული ჩვენი ქვეყნის შესახებ, ზოგ შემთხვევაში გვხვდება არამართებული მონაცემებიც, რომელთა უყურადღებოდ დატოვება დიდ საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოს ისტორიას. ამ წლის მესამე ნომერში ქვეყნდება მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს პაპ ურბან მერვისადმი წარდგენილი მოხსენება საქართველოს შესახებ (თარგმანი გრიგოლ ყიფშიძისა). როგორც ირკვევა, მთარგმნელს, აღნიშნულ მოხსენებაში მრავალი არამართებული აზრი შეუნიშნავს, რომელთა შესწორება სქოლიოებში აქვს მოცემული.

პიეტრო დელა ვალე ეხება საქართველოს დაშლის ეპოქას. ღირსეულად იხსენიებს ქართველი ხალხის ადრინდელ დიდებას, გვიყვება საუკუნეების მანძილზე განვითარებულ მოვლენებზე და

გვიხატავს შემაძრწუნებელ სურათს საქართველოს დაცემისას, მეფეებსა და მთავრებს შორის ატეხილ შფოთს, ჩვენი მძვინვარე და დაუღალავი მტრებისაგან – მონღოლებისა და სპარსელებისაგან, ოსმალებისა და ლეკებისაგან ხალხის აოხრების სურათებს. წარმოდგენილი განხილვიდან ვიტყობთ, რომ ავტორს (საუბარია პიეტრო დელლა ვალლეზე) მოხსენებაში მრავალი შეცდომა ჰქონია დაშვებული, მაგრამ საზოგადოდ არ ეწინააღმდეგება მატიანისეულ ამბებს. ჩვენი ყურადღება მიიქცია თავადაზნაურობის და მდაბიო ხალხის დამოკიდებულების გადმოცემამ. ამ მონათხრობის მიხედვით, თავადაზნაურობა და მდაბიო ხალხი ერთმანეთს არ ემოყვრებიან. თავადაზნაურობა არ ცხოვრობს ქალაქში. მათი აზრით, ქალაქებში უნდა იცხოვრონ მდაბალ ხალხმა და ხელოსნებმა, რომელთაც შეუძლიათ იქ მიეცნენ ვაჭრობას ან აღებ-მიცემობას. ეს აზრი ისე გავრცელებულია ქართველებში, რომ იმისთანებსაც, რომელნიც არ არიან აზნაურები, სძაგთ ქალაქში ცხოვრება და ხელობა და ვაჭრობა; როგორც ვაჭრობას, ისე ხელოსნობას უთმობენ უცხო ქვეყნელებს – სომხებს, ურიებს, თვითონ კი თავიანთ ცხოვრებას ატარებენ საჭიროების შემთხვევაში ომიანობაში ან ეკლესიის სამსახურში.

ეს ჩანართი ერთგვარი ახსნის მცდელობაა იმისა თუ როგორ აღმოჩნდა უცხო ხალხის ხელში მთავარი საქალაქო ცენტრები საქართველოში, როგორ ჩაიგდეს მათ ხელში ვაჭრობა-ხელოსნობა, რომლის წყალობითაც მოახერხეს ქონების დაგროვება და სამოხელეო თანამდებობებსაც მოერგნენ. ამ პასაჟით "სხვანი" ქართველობას, დოვლათის მწარმოებელს, რაღაცა მანქანებით ართმევენ არა მარტო მის მიერ შექმნილ დოვლათს, არამედ ქვეყნის მართვის სადავეებსაც ჩამოაცილებენ. სწორედ ამით არის განპირობებული *ივერიის* უარყოფითი დამოკიდებულება სომხებისა და ებრაელებისადმი (# 3).

კორესპონდენცია კახეთიდან ყვარელში არსებულ მძიმე ვითარებას ასახავს. კორესპონდენციის მიხედვით, სოფელში წამომართული შენობები თავისი მარნით, სასიმინდეთი, სათონეთი, ბეღელით, ბაღჩათი და გაშენებული სხვადასხვა ხეხილით ერთ დროს შეძლებული მაცხოვრებლების არსებობაზე მიგვანიშნებდა. მაგრამ ვითარება შეცვლილა, ხალხი უილაჯობით წელში მოხრილა, დიდ სიღარიბეში ჩავარდნილა და ზნეობითაც დაცემულა. როგორც წერილიდან ჩანს, ასეთ გასაჭირში მოსახლეობა ვაჭრების წყალობით ჩაცვივნულა.

ერთ წელიწადს ვენახი ნაცარს გაუნადგურებია და გლეხებს აღებული ვალების გასტუმრება ვერ მოუხერხებიათ. ამ მდგომარეობით უსარგებლიათ ვაჭრებს და გლეხებისთვის ვალის სანაცვლოდ მამულების წართმევა დაუწყიათ ღირებულების ნახევარ ფასად. მოსახლეობა სიღარიბემდე მისულა ყოველივე ამის წყალობით. გარდა სიღარიბისა, ყვარელში გავრცელებული ყოფილა შურისძიება, ღალატი, ქურდობა. წერილში ყურადღება გამახვილებულია თელაველ ადვოკატებზე. იდენტობის ისტორიის თვალსაზრისით აქ წარმოდგენილი ამბავი ყურადღებას იქცევს, ერთი მხრივ, "ჩვენ – სხვა" მიმართების, მეორე მხრივ, ზნეობის და პასუხისმგებლობის დაცემის თვალსაზრისით. ნაციონალისტის იდეალი, როგორც ითქვა, მორალური ვალდებულებების მქონე ერთობაა. გაკიცხვის საგანს წარმოადგენს სომეხი ცრუ-ადვოკატები, კონკრეტულად, ვინმე სტეფან სტეფანოვი, რომელიც სიმდიდრის დაგროვების სურვილს ისე დაუბრმავებია, რომ სინდისზე ხელი აუღია და თელავის ბულვარზე საჯაროდ განუცხადებია 'მოვიგებ თუ წავაგებ საქმესა ჩემთვის სულერთია. მე რა მეკარგება? ფულს წინადვე ვართმევ და ვიდებ ჯიბეში!'

ამგვარი ადვოკატები მრავლად ყოფილა თელავში. კორესპონდენტის შენიშვნით, ისეთნაირად ჰყვლეფდნენ ხალხს, ასე აღა-მაჰმად-ხანსაც არ გაუძარცვავს თბილისი. როგორც ზემოთ აღნიშნული მაგალითიდან ჩანს, სომხებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი ყოფილა არა ეთნიკური წარმომავლობა, არამედ ის სამოხელეო თანამდებობებიც, რომლებიც არაკეთილსინდისიერი გზით მოუპოვებიათ (ამ აზრს გვიდასტურებს ქვემოთ წარმოდგენილი კომედიის *ადვოკატების* განხილვაც) და რომლის წყალობითაც სისხლის მწოველებად მოევლინენ ქართველობას (# 3).

ი. ჭავჭავაძის ავტორობით გამოქვეყნებული წერილების სერია *ცხოვრება და კანონი* ამჯერად ახალი წესდებით მომრიგებელი მოსამართლობის შემოღების საკითხს შეეხება. სასამართლო რეფორმას ქვეყანა სიკეთის და ჭეშმარიტების გზაზე უნდა დაეყენებინა. მაგრამ ადგილობრივ ვითარებას მორგებული არ აღმოჩნდა. ეს ფაქტი ხატოვნად არის გადმოცემული: "ადგილობრივი ვითარება" ხმაამოუღებელი სახედარია: ვისაც რა უნდა იმას აჰკიდებენ და გადაჰკიდებენ ხოლმე: ეს უბედური, ყველასგან დაბრიყვებული, უტყვი "ადგილობრივი

ვითარება" სასაცილო ყოფაშია ჩვენში. გარდა ამისა, ჩვენს წესდებაში ამოღებულ იქნა მომრიგებელი მოსამართლის ადგილობრივი წარმომავლობის აუცილებლობა, მოსამართლის არჩევანის უფლება.

ავტორის გულისწყრომას იწვევს ხალხის ინდიფერენტულობა, იმ ხალხისა, რომელიც ამბობს სიმართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო (# 3).

ივერიის კორესპონდენციებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს "დიდი სიკვდილის" თემას. იმერეთის თავად-აზნაურთა ბანკის გამგის ბესარიონ ღოღობერიძის გარდაცვალება დიდი დანაკლისად არის მიჩნეული ქართული საზოგადოებისათვის. რედაქცია საზოგადო უბედურებად მიიჩნევს მის დაკარგვას და თავს ვალდებულად თვლის ქვეყნისა და ხალხის წინაშე მისი დამსახურების შესახებ მოკლე ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველს: ბ. ღოღობერიძეს დაუმთავრებია პეტერბურგის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი. 1874 წლიდან დაუნიშნავთ თბილისის გუბერნიის სკოლების დირექტორად. 'უკეთესს კაცს ამ საქმისათვის მთავრობა, რასაკვირველია, ვერ იპოვიდა. საქართველოს სკოლების გამგე უნდა ყოფილიყო საქართველოისვე შვილი, მცოდნე თავისი ხალხისა, მისი საჭიროების და მიდრეკილების; გარდა ამისა საჭირო იყო კაცი, რომელიც საქმეს ბეჯითად მოჰკიდებდა ხელს არა მარტო იმიტომ, რომ სამსახურის მოვალეობა თხოულობდა ამას, არამედ; იმიტომ რომ გული ტკიოდა ხალხისათვის, რომლის კალთაშიაც თვითონ გამოზრდილა ბ. ღოღობერიძეს დიდხანს არ უმუშავნია ამ თნამდებობაზე. მას ქუთაისში ახლად დაარსებული საადგილმამულო ბანკის გამგედ ნიშნავენ და გარდაცვალებამდე ღირსეულად ემსახურებოდა ამ საქმეს. მთელი საქართველო გლოვობდა ქვეყნის კეთილდღეობისათვის გულშემატკივარი შვილის დაკარგვას: 'განსვენებულმა დაუნერგა თავის სამშობლოს ერთი ნუგეში: სჩანს სიცოცხლისა და წარმატების სახსარი არ გასწყვეტია იმ ქვეყანას, რომელსაც ებადება ამისთანა სახელოვანი შვილი!' (# 3).

შინაური მიმოხილვა საზოგადოებრივი მსჯავრის ამოქმედების მაგალითებს შეეხება. საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ სამართლიანობის დამკვიდრებას ხელი თვით, საზოგადოებამაც უნდა შეუწყოს. ამ მხრივ, თვალსაჩინო მაგალითია ქუთაისის ადვოკატების მიერ უზნეო საქციელის გამო კოლეგის მხილების ფაქტი. ქუთაისის

საზოგადოებას თავი გამოუჩენია სიავის და ბოროტების გაკიცხვით და ზნეობის კანონებს თვითონ დაუდგა თავდებად. ქუთაისის ადვოკატებმა ამხილეს კოლეგა, რომელსაც საზღაური უკვე აღებული ჰქონდა პასუხისმგებლობის და მოვალეობის შეუსრულებლობისათვის. ეს შესანიშნავი ნიმუში იყო საზოგადოებრივი მსჯავრის ამოქმედებისათვის (# 3).

მომდევნო ნომრის სამეცნიერო ქრონიკაში წარმოდგენილია დოქტორ ი. რაინეგსის ნაშრომის *საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა* თარგმანი გერმანულიდან. მთარგმნელი ხაზგასმით აღნიშნავს წერილის მიზანს – ვინაიდან ნაკლებად იყო ცნობილი ჩვეულებრივი ხალხის ყოფა-ცხოვრება, იქნებ ამ ნაშრომიდან შეეტყო რამე.

ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ინფორმაციას ხალხის შესახებ. რაინეგსს შვიდჯერ მოუვლია საქართველო, მაგრამ, მთარგმნელის აღნიშვნით, აქაურ ცხოვრებას რიგიანად ვერ დაჰკვირვებია. იგი კრიტიკულად აფასებს ქართველ ხალხს გლეხიდან დაწყებული უმაღლესი ხელისუფლებით დამთავრებული. გვიმტკიცებს, რომ ქართველები მხოლოდ ქონების შეძენისათვის ომობდნენო, რაც რეცენზენტის განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს. თუმცა იქვე დასძენს 'ბევრ ნაკლულევანებას გვწამებს, რომელთაც აცილებულნი ვართ ქართველები, მაგრამ ბევრ მოსასმენად მწარე სიმართლესაც გვეუბნებაო' (# 4).

ჟურნალის რუბრიკა *შინაური მიმოხილვა* საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობს ისევ და ისევ სწავლა-განათლების საკითხს საქართველოს ახლადშემოერთებულ ტერიტორიაზე. ამ თვალსაზრისით აჭარა-ქობულეთში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა სკოლების გამართვა. *წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება* სრულიად ქართველობას მოუწოდებდა ამ საქმეში ჩართვისაკენ: 'საზოგადო საქმეს ყველამ ერთად უნდა ვემსახუროთ, ვინაიდან საზოგადო საქმისთვის "მე" უღონოა თუ "ჩვენ" გაცუდებულია' (# 4).

ოსმალთა ბატონობის შედეგებია გაანალიზებული მომდევნო წერილში *ხმა გათომიდან* (ავტორი ი-ა ი-ძე – ილია ჭყონია). წერილი ქართული ერთობის ისტორიის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს ნიშნულზე – ენობრივ საკითხებზე ახდენს აქცენტირებას, სადაც დედა-ენა წარმოჩენილია როგორც ქართველობის შენარჩუნების

უმთავრესი ფაქტორი. ავტორი ხაზგასმით მიუთითებს, ოსმალთაგან ენის შეცვლის უშედეგო მცდელობის შესახებ და აღფრთოვანებული გვიყვება ბათუმსა და მის ოლქში ქართული ენის დაცულობის თაობაზე:

> მხოლოდ რჯული აქვთ შეცვლილი და ეს ცვლილება გვიჩვენებს ქართველის ერთ კარგ თვისებას კიდევ, ე.ი. იმას, რომ ქართველი სარწმუნოებას უყურებს საფუძვლიანის გონების თანახმად, როგორც მეორე მნიშვნელობიანს საგანს, და ხალხოსნობას უფრო აფასებს, ვიდრე სარწმუნოებას ... (# 4).

საინტერესო ტერმინია "ხალხოსნობა". ჩანს, იგი აქ გამოიყენება ეთნიკურობის აზრით.

აქვე ქვეყნდება ი. ჭავჭავაძის პოემა *რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი კაკო ყაჩაღის ცხოვრებიდან*. პოემაში თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი არსებული მძიმე სოციალური ვითარება. უსამართლობას გამოქცეულ პოემის გმირ კაკო ბღაჭიაშვილს გასიგრძეგანებული ჰქონდა ყაჩაღის მძიმე ხვედრი:

> მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,
> სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი

– ეუბნება მასავით უსამართლობას გამოქცეულ ზაქროს (## 5, 6). ერთიანობა არის ნაციონალისტის იდეალი. ჰომოგენური ერთობის იდეალი ვერ ითმენს შიდა სოციალურ ტიხრებს.

ამავე ნომრის *შინაური მიმოხილვა* ქართველთა უმთავრეს პრობლემას და საზრუნავს – ქართველ ყმაწვილთა განათლების სავალალო მდგომარეობას ეხება. არცერთი ყოფილა ქართველი კლასიკური გიმნაზიის ოცდაერთი კურსდამთავრებულიდან. ამის მიზეზად როგორც წინა ნომერში აღვნიშნეთ, ისევ და ისევ მატერიალური მდგომარეობა და უცხო ენაზე სწავლებაა დასახელებული:

> ჩვენმა ქართველებმა თავისი სრული თანაგრძნობა და გულშემატკივრობა ამაზედ უნდა მიაქციოს, თუ არ სურს რომ მისი სახელი და გვარი მტვერსავით აღიგავოს დედამიწის ზურგიდან: საცა ცოდნა არ არის, იქ კაცი არ არის, საცა კაცი არ არის, იქ საზოგადოებაც არ არის და საცა საზოგადოება არ არის, იქ არც ხალხია. ეს უნდა თითზე დავიჭდიოთ, ეს

> უნდა დღედაღამ გუნებაში ვიქონიოთ. ამას უნდა მივეცნეთ ყველანი ერთად და თვითეულად ცალკე ყოვლის ჩვენის შეძლებითა და ღონითა.

ამ ამონარიდში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საზოგადოების არსებობის დაკავშირება ხალხის არსებობასთან.

ქართული საზოგადოების გამთლიანებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თავისუფლების იდეალისა და ეროვნული გრძნობის გაძლიერებას ხალხში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ი. ჭავჭავაძის ლექსი *დედა-შვილი*, რომელიც ავტორმა მიუძღვნა დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოს არაბთაგან განთავისუფლებას ფაქტს. დედა თავის ერათადერთ იმედს, მამულის დაცვის სადარაჯოზე აგზავნის:

> ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი.
> სიცოცხლე მივეც რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი,
> თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთ-საყუდარი,
> შენ ხარ, ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი (# 7).

თვალსაჩინოა ლექსის დედა-აზრი – შეაღწიოს ადამიანის სულსა და გულში, აღძრას მამულიშვილური გრძნობები ქართულ ერთობაში და მტკიცედ აღიბეჭდოს თითოეული ქართველის გულში თავისუფლების გრძნობა და მამულის სიყვარული, ისე, რომ ამ სიყვარულით გულანთებულნი მტკიცე ნაციონალურ ერთობად ჩამოყალიბდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, აუცილებელი იყო ქართველ საზოგადო მოღვაწეებს ყურადღება მიექციათ ევროპელი მოგზაურების მიერ საქართველოს აღწერილობებისათვის, რადგანაც გამოჩნდნენ ისეთი პირები, რომლებიც საქვეყნოდ აცხადებდნენ, რომ ჩვენი ისტორია არ არის შესწავლის ღირსი. როგორც ითქვა, ეროვნული ერთობის არსებობისათვის მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ პერცეფციებს, მათ შორის, ისტორიულ მახსოვრობას აქედან გამომდინარე, სასიცოცხლო ფუნქცია აქვს ეროვნული ისტორიის დაცვას. მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებულია მ. დე პეისონელის თხრობის (*სპარსეთის და საქართველოს არეულობის თაობაზე*) ფრანგულიდან თარგმანი ს. ღოღობერიძისა. მთარგმნელი ხაზგასმით აღნიშნავს ისტორიის როლს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის: ‘ისტორია, როგორც ამბობენ მეცნიერნი, კაცის ჭკუის გამზრდელია, მისი დამრიგებელი და

გამვითარებელიაო და ისტორიის უცოდინარი კაცი ნიადაგ პირუტყვს ემსგავსებაო'.

ამიტომაც ვერ ფარავს აღშფოთებას ჩვენი ისტორიის მიმართ პეისონელის "უმეცრული" დამოკიდებულების გამო, რომელსაც მითითებული ჰქონია, რომ საქართველოს ისტორია მხოლოდ პირადობის, შურისძიების და დინასტიის დაცვის ინტერესის ამსახველ ფაქტებს შეიცავდა, რომ არ ჰყოლია დიდი ხასიათების მქონე პირები და სხვა. მთარგმნელი ურჩევს ჩვენი ქვეყნის ისტორიით დაინტერესებულ პირებს 'თუ ამ ბატონებს მართლა ისე უყვართ ხალხი, როგორც აღიარებენ, უნდა დაწვრილებით შეიტყონ ჩვენი ხალხის წარსული ცხოვრება, მისი ისტორია' (# 7).

კახეთიდან კორესპონდენცია ამჯერად თელავურ დროისტარებას, "ვეჩერების", აღწერილობას, ადმინისტრაციის უფუნქციობას, სასამართლოში უსამართლობას, ქართულ ენაზე მეტყველებისადმი დამოკიდებულებას, სამოქალაქო და საქალებო სკოლების მდგომარეობას ასახავს. კორესპონდენცია მეცხრე-მეათე ნომერშია გამოქვეყნებული. ავტორია რ. ძამსაშვილი (რომან ცამციევი). კორესპონდენტის გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ მოუსავლიანობის და დანაცრული ვენახების ფონზე ქეიფისა და დროისტარებისთვის მიუყვიათ ხელი თელაველებს. ამასთან გაკიცხულია ადმინისტრაციის წარმომადგენელი – პრისტავი, რომელიც "ვეჩერების" მოყვარული ყოფილა 'ეს ჩვენი პრისტავი სწორედ ლუარსაბი გახლავთ, ქართველი ლუარსაბი კი არა – "რუსეთუმე ლუარსაბი!" მთელი დღე და ღამე შინ განისვენებს, მხოლოდ შუადღის დროს გამობრძანდება ბულვარზედ და დაიწყებს ტრაბახობას'.

როგორც წერილიდან ვიგებთ, რუსეთუმე პრისტავი არაფერს აკეთებდა. აღნიშნულია, რომ თელავში საშინელი უსუფთაობა ყოფილა, ამავე დროს, მისი უმოქმედობის გამო გლეხობა შევიწროებული ყოფილა სომეხი ვაჭრების მიერ. საინტერესოა ამასთან დაკავშირებით *ივერიის* მსჯელობა. მას სურს რუსული სახელმწიფოს მეშვეობით ქართველობა გაუსწორდეს თავის "მნიშვნელოვან სხვებს" ანუ სომხებს, სახელმწიფოს მეშვეობით ვაჭრების ვალისაგან გაათავისუფლოს გლეხობა:

> ჩვენი გლეხობის ჭირნახული ისევ ვაჭრების ხელში გადადის. ნუთუ ამ საზარელის უსინდისობის მოსპობა ადმინისტრაციას არ შეუძლიან?! ვაჭრები დაუბრკოლებლივ უკანონოდ ჰღარცლავენ გლეხსა მაშინ,

> როდესაც ამავე გლეხს სახელმწიფო ხარჯი ჯერ არ გადაუხდია, ნუთუ სახელმწიფო ვალი უფრო დიდი და შეუწყნარებელი ვალი არ არის, ვიდრე კერძო, ვიღაც პოღოს-მიკირტუმასი?!

წერილში გადმოცემულ ფაქტებს შორის ყველაზე დასამახსოვრებელია ქართველთა შორის მომსახურეთაგან ქართულად მეტყველების უარყოფის შესახებ ინფორმაცია. კორესპონდენცია იუწყება, რომ სასტუმროში მდგომი ახირებული კაცი დახლიდარს ემუქრებოდა 'თუ ქართული ლაპარაკი გამაგონეთ არ ვიცი რას დაგმართებთო! ამ დროსვე აქ ოლქის სასამართლოს წევრებიც იყვნენ. ამათ შეუთვალა ახირებულმა: რადგანაც მე ქართული ლაპარაკი საშინლად მძულს და ცუდ გუნებაზედაც გავხდები ხოლმე გაგონებაზედ – გთხოვთ ერთი ოთახი დამიცალოთ – მე მანდ ამოვიდე და თქვენ აქ ჩამობრძანდეთ'.

კორესპონდენტი შეეხება განათლების საკითხსაც კახეთში. თელავის საქალებო სასწავლებელში პირველ-დაწყებითი სწავლა ქართულის მაგივრად რუსულად მიდის. ასევე შეეხება კახეთის ერთ-ერთი სახალხო სასწავლებლის განახლებისათვის, კერძოდ, საცხენისის სკოლისათვის, გამოყოფილი თანხის (12000 მანეთის) მითვისების შესახებ. ასეა აღწერილი სკოლის მდგომარეობა: 'შევედი ოთახებში მეგონა სულ ვარაყით იქნება შემკობილი მეთქი, მაგრამ სამს-ოთხ ოთახში ვარაყის მაგივრად ისეთი ტბები იდგა, რომ ნავით თუ გახვიდოდით, თორემ კაი მცურავიც შეშინდებოდა შიგ შესვლას' (## 9, 10).

მეცხრე-მეათე ნომერში იწყება პ. იოსელიანის თხზულების *გიორგი მეცამეტის ცხოვრების* პუბლიკაცია. თხზულება საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს ასპინძის ომში უფლისწულ გიორგის მონაწილეობა-არმონაწილეობის შესახებ. თხზულებაში აშკარად ჩანს, რომ ავტორი პ. იოსელიანი გიორგი მეცამეტის მეხოტბეა და ცდილობს გაფანტოს საზოგადოებაში არსებული უარყოფითი აზრი მის შესახებ.[22] ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ გიორგი ადანაშაულებდა ტოტლებენს ღალატში და ეუბნებოდა

[22] გიორგი მეცამეტის შესახებ უარყოფითი აზრი არა მარტო საზოგადო მოღვაწეების ნააზრევში აღინიშნებოდა, არამედ მოსახლეობაშიც ყოფილა გავრცელებული. ამგვარ ინფორმაციას მივაკვლიეთ *ივერიის* 1877 წლის ნომრების განხილვისას.

‘ღმერთი ჩვენკენ იქნება, ჩვენ შევებმით, გავიმარჯვებთ და მოვახსენებთ იმპერატრიცასა შენსა სიმხდალესა’. პ. იოსელიანი წერს:

> მამასა ირაკლის მოახსენეს ესე საუბარი მეფის ძისა ღენერლისადმი; არ მოიწონა ზრდილობითა ესე, და უმეტეს გამოცდილი საქმეთა შინა საომართა ერიდებოდა რუსეთისა წყენასა, კვალადცა საიმედოსა ქრისტიანობისა გამო იტყვიან მტერნი მეფის ძისა გიორგისა, არ მიაშველა ჯარი 900 კაცისა მამასაო. რაზედ აფუძნებენ თქმულობასა ამას? არ ვიცი. დროსა ამას ასპინძის ომისა, ჯერეთ არ იყო შფოთი მეფისა ირაკლისა სახლში და არცა ძმანი მისნი, დედინაცვლისაგან, შობილნი იყვნენ სრულსა ჰასაკსა მოსულნი. ერთობა მეფისა სახლსა იყო მტკიცედ დამყარებული სიყვარულისა ერთისა მეორისადმი ერთობით.

ასევე მოცემულია საქართველოს ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა – გაერთიანებისათვის არსებული ხელსაყრელი პირობების ამსახველი ეპიზოდები: იმერეთის მეფის სოლომონის გარდაცვალების შემდეგ, იმერეთის თავადები შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს, რომ ერთმთავრობის დრო იყო დამდგარი, რომ იმერეთის სამეფო შეეერთებინათ ქართლ-კახეთის სამეფოსათვის. დესპანი იმერეთისანი არწმუნებდნენ მეფეს ‘რომელი ყოვლადია სამეფო იმერეთისა მოელის სიქადულით მთავართა გურიისა და ოდიშისას ჰსურთ და ჰსწყურიანთ ესე. მცხოვრებთა გლეხთაცა იციან ესე და უხარისთ ბატონობა თქვენი იმერეთსა’.

საგანგებოდ შეიკრიბნენ კათალიკოსი, მღვდელმთავარნი, თავადნი, სარდალნი, მდივანბეგნი, ქართლ-კახეთისა და იმერეთის ერთობის საკითხის გადასაწყვეტად. განსაკუთრებით აქტიურობდა თავადი ჭაბუა ორბელიანი. მეფეს მიმართა: ‘ნუ ჰყოვნი მეფეო! მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის. ერი იმერთა ითხოვდა ერთობას და კავშირს ... ბედნიერობა ერისა ითხოვს ერთობასა’.

‘მღერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება ბატონო მეფევ, მოახსენა წერეთელმა, უკუეთუ ვერ დამტკიცდება ერთობა და შეუდგება უწესობა, სავნო ქართლისათვის და მეფობისა თქვენისათვის, – მაშინ დატევეთ იმერეთისა მეფობა, მაშინ თქვენც უბოძეთ იმერთა ნება იყოლიონ თვისად მეფე თვისი. ჰსცადეთ რა შეუდგება, მიიღეთ გვირგვინი ჩვენიცა, განძლიერდით ჩვენით და განგვაძლიერეთ

თქვენით, – ირწმუნეთ, მეფევ ბატონო, ხომ ჰსცნობს ამას მტერი და მიეცემა შიშსა და მორიდებასა'.

ერეკლე მეფე თავის შვილს, გიორგის ეკითხება აზრს. გიორგი პასუხობს: 'შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა; თუ გნებავთ უძლეველობა ქვეყნისა ჩვენისა მტერთაგან, უნდა იქმნას ერთობა. რა არს უკეთილეს, რა არს მშვენიერ ვითარ ერთობა ძმათა, იტყვის წინასწარმეტყველი დავით. სამეფო ისრაილთა დაეცა, მაშინ როდესაც განსქდა ორად და სამად. მეფობა განყოფილი არ დადგრეს, ბრძანებს მაცხოვარი'.

მაგრამ ერთობა არ შედგა. ერეკლემ უარი განაცხადა იმერეთის შემოერთებაზე და ტახტზე შვილი დაამტკიცა. 'და ესრეთა კავშირითა თავით-თვისით იქმნება ერთობა იმერეთისა ქართლსა შინა'.

ეს საკითხი იმით დასრულდა, რომ 1790 წელს დაიდო ტრაქტატი ქართლ-კახეთ-იმერეთის მეფეებსა და სამეგრელო-გურიის მთავრებს შორის ურთიერთდახმარების თაობაზე.

ჩვენს ერთ–ერთ ადრინდელ ნაშრომში აღნიშნული გვაქვს, რომ ჩვენს წინაშეა პოლიტიკური დოკუმენტი, რომლის საფუძვლად მითითებულია კოლექტიური კულტურული იდენტობა, კერძოდ, ჩამოთვლილია კონკრეტულ ეთნიკური მარკერები. ამ სიაში ენა დასახელებულია მეორე ადგილზე რელიგიის შემდეგ და სისხლით ნათესაობის წინ.[23]

გიორგი მეცამეტის ცხოვრებაში კიდევ ერთი დიდებული ქართველის, სოლომონ ლეონიძის – სახე იკვეთება. სოლომონი

> მისული იმერეთის სამეფოში და გურიისა და სამეგრელოს სამთავროში მრავლად დაშვრა რათა მოეყვანა ერთობასა მტკიცესა ერთ ნათესაობა ქართველთა, მეცადინებდა შინა კავშირითა, გაეუქმებინა გარე კავშირი. ერი დაცული გარეთითა უცხო ნათესავთაგან მფარველობითა, არის მარადის დამბადებელი. ერი სხვათა მფლობელობასა შინა ქვეშე შესული არის მონა და მონა მზაკვარი, დაცინებული, მასხრად აგდებული. ვითარცა დამკარგველი თვით მეფობისა, ჰკარგავს სულისა თვისისა საკუთარსა

[23] მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართული იდენტობის ენობრივი მარკერი პრემოდერნულ ხანაში და ნაციონალური კონსოლიდაციის ეპოქაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *ენა და კულტურა* – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 2010, გვ. 472-483.

ძალსა; ენა და მეტყველება მისი, მწიგნობა და მწიგნობრობა მოელება ერსა დამონებულსა უცხოისა ნათესავისა ენითა და ჩვეულებისა.

რუსეთთან შეერთების უშუალოდ წინა ხანას და შესაბამისი ისტორიული ეპოქის პირებს დასტრიალებდა ქართული საზოგადოების ფიქრი. ამიტომ *ივერია* ხშირად ეხება მათ. თითქოს უნდა კიდევ და კიდევ პასუხი გასცეს კითხვებს: როგორ მოხდა, რომ რუსეთის სახელმწიფოში ვიმყოფებით, რამდენად კარგია ჩვენთვის ეს მდგომარეობა?

1880 წელი

რედაქტორ-გამომცემელია ილია ჭავჭავაძე.

1880 წელს ორი უმნიშვნელოვანესი ქართული გამოცემა – *დროება* და *ივერია* – გაერთიანდა. *დროება* ყოველდღე გამოდიოდა და საგაზეთო სტატიები ქვეყნდებოდა, ხოლო *ივერია* – სამ თვეში ერთხელ და იქ უფრო ვრცელი სტატიები ქვეყნდებოდა პოლიტიკასა და შინაური საქმეების განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. საგანგებო ყურადღება ექცეოდა იმ გარემოებას, რომ *ივერია* ადვილი საკითხავი, კარგი გასართობი და სასარგებლო გამოცემა ყოფილიყო, ვრცელი ადგილი დათმობოდა რომანებს, მოთხრობებს, ლექსებს, როგორც ორიგინალურ ქმნილებებს, ასევე თარგმნილებს. რედაქტორები *დროება – ივერიისა* გახდნენ ი. ჭავჭავაძე და ს. მესხი. *დროების* გამომცემელი იყო ს. მელიქიშვილი, ხოლო *ივერიის* – ი. ჭავჭავაძე.

ამგვარად გამოსული *ივერიის* პირველი ნომერი იხსნება უცხოური ლიტერატურის თარგმანით. ჟულ კლარეტის მოთხრობაში *ერთი უბედურთაგანი* ასახულია, თუ როგორ შეიძლება უსამართლო განაჩენი იქნას გამოტანილი უდანაშაულო ადამიანის მიმართ. გადმოცემულია, თუ როგორ დაიბრალა მკვლელობა ერთმა უბედურთაგანმა ფულის სანაცვლოდ. ჟაკი გამიბედნიერდება, ჟაკი მდიდარი მეყოლება (ასე ფიქრობდა მთავარი გმირი შვილზე). ამ იმედით თავი გასწირა შვილისათვის. მოთხრობის გმირი ნოელ რამბერი იმ ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელნიც 'მზად არიან ძარღვი გაიხსნან, რომ მწყურვალ ამხანაგებს თავისი სისხლი ასვან და იმით წყურვილი მოუკლან, რომელნიც მთლად მიეცემიან ხოლმე

იდეას, ანუ საყვარელ არსებასა. ასეთი უხილავი გმირები, რომლებიც ასევე სხვისგან დაუნახავად სწირავენ თავს სხვისთვის, უფრო ხშირად ღარიბ ფენაში გვხვდებიან. მკვლელი დანიელ მორტალი სიხარულით ფეხზე არ იდგა. მან შეუძლებელი შეძლო და ალალ-მართალ კაცს კაცის კვლა აკისრებინა, თავის დანაშაული სხვას "აჰკიდა". ეხლა კი გული დააჯერა, რომ გამზედაობა ყოვლად შემძლებელი ყოფილა, ეხლა შეეძლო გულდადებით ეფიქრა, რომ ზნეობითი კანონი ფუჭი და ამაო სიტყვაა ამ ქვეყანაში, რადგანაც ამ საშინელ და ერთმანეთთან შეუწონელს ბრძოლაში გამარჯვება თვითონ დარჩა.

ქმნილება ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება მსხვერპლად შეეწიროს უსამართლობას კეთილშობილი ადამიანი და ამასთან დაკარგოს საზოგადოებამ რწმენა სიკეთისა, სამართლიანობისა, ზნეობრიობისა. ამ პუბლიკაციის მიზანი აშკარად ისაა, რომ საზოგადოებას გაუჩინოს პროტესტი უსამართლობის მიმართ (# 1).

სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების საკითხს შეეხება დ. ყიფიანი ბაქარ ქართლელის ფსევდონიმით გამოქვეყნებული თხზულება *უცნაური ნადიროба*. აქ ასახულია ავტორის საუბარი მღვდელთან, რომელიც სხდომაზე გამართული დისკუსიის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. როგორც ირკვევა, სხდომაზე ორი თვალსაზრისი გამოიკვეთილა: ერთნი ქართული ენის სწავლებას მედგრად იცავდნენ, მეორენი ქართული ენის სწავლებას უარყოფენ. პაექრობა დაღლილი ავტორის მირულების ჟამს ზმანებით არის გადმოცემული. ავტორი სიზმარში საყვედურობს მღვდელ პავლიაშვილს ქართული ენის სწავლების წინააღმდეგ გამოსვლას.

მღვდელი პავლიაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ სანამ ქართული ენის სწავლებას შემოიღებდნენ, აუცილებელია მასწავლებლების სათანადო მომზადება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასურველ შედეგს ვერ მიიღებდნენ. შეხედულების თვალსაჩინოებისათვის ასეთ მაგალითს მოიხმობს:

> იმ შენს სასახლეს, მიმართავს მას ავტორი, ძალიან ძველსა და საპატიოს, მამაპაპეულს, გარს, რომ შემოეხვივნენ სვანები, მეგრელები, ლეჩხუმლები, იმერლები, გურულები, ჭანელები, ქართლელები, კახელები, ქიზიყლები და ინგილოელები მიადგნენ და ამ საპატიო კედლებს ვინც, როგორც იცის, ისე კორტნა დაუწყონ, აქაოდა, ყველანი ქართველი ტომისანი ვართო და გვინდა ეს შენობა ჩვენებურად განვაახლოთ, შენ იტყვი: დაანებეთ ღვთის

გულისათვის თავი მაგ საბრალო სასახლესა და თუ მაინცადამაინც მაგისი განახლება გწადიათ ჯერ კალატოზობა და ხუროობა ისწავლეთ და მერე დაიწყეთ ძველ შენობაზედ თქვენი ვარჯიში.

რუბრიკა *მწერლობა* ეძღვნება თარგმნილი ლიტერატურის განხილვას. აღნიშნულია მ. დიდებულიძის რუსულიდან თარგმნილი მ. სოკოლოვის წიგნის *დაწყებითი სწავლა მართლ-მადიდებლობითის ქრისტიანებრივის სარწმუნოებისა* მნიშვნელობა. ეს წიგნი სხვა და სხვა სამეცნიერო კომიტეტებისგან და უწმინდესის სინოდისაგან ნაქები, მოწონებული და სახელმძღვანელოდ დამტკიცებული ყოფილა მთელი რუსეთის საერო, სამხედრო და სასულიერო სასწავლებლებისათვის. როგორც განხილვიდან ჩანს, თარგმანი მნიშვნელოვანი ხარვეზებით ყოფილა შესრულებული. მთარგმნელი აღნიშნავს, რომ ყმაწვილთათვის სახელმძღვანელო საკითხავ წიგნს უნდა ჰგავდეს, რომელშიც ადვილი, გასაგები ენით უნდა იყოს გადმოცემული მასალა. გარდა ამისა, ავტორი კრიტიკულად აფასებს აღნიშნულ სახელმძღვანელოში მოვლენების მშრალად ასახვას, უცხო სიტყვების განმარტების უქონლობას, ამასთანავე რეცენზენტი ენასაც უწუნებს მთარგმნელს. კრიტიკულ წერილში ნაშრომის უმთავრეს ნაკლად დასახელებულია ის გარემოება, რომ ქართველ ყმაწვილთათვის შესრულებული სახელმძღვანელო არ შეიცავს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას.

გამორჩეულ მამულიშვილთა ბიოგრაფიების აღწერით, მათი ცხოვრების ისტორიულ კონტექსტში გააზრებით საყურადღებო ფაქტები ირკვევა იდენტობის ისტორიისათვის. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია დავით გურამიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომლის ავტორია თედო ჟორდანია. პუბლიკაცია ქართული იდენტობის ისტორიის ურთულეს პერიოდს ეხება, როდესაც ქართული ერთობა გათიშულია. პოლიტიკური ვითარება გარკვეულ როლს ასრულებდა ქვეყნის გათიშულობაში. საქართველოს ცალკეულ ნაწილებზე პრეტენზიას აცხადებდა სპარსეთი, ოსმალეთი და ამ დროისათვის იკვეთება მესამე დიდი სახელმწიფოს – რუსეთის ინტერესები კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს მიმართ. ეს უკანასკნელი დახმარების სთხოვს კასპიისპირეთის დასაკავებლად ქართლის მეფეს, სანაცვლოდ პირდება, რომ საქართველოს იხსნიდა გარშემორტყმული მტრებისაგან და გააერთიანებდა. ვახტანგი იღებს იმპერატორის რჩევას. თუმცა ამ

საკითხის თაობაზე უთანხმოება ჩამოვარდა ქართლ-კახეთის მეფეებს შორის. *ივერია* წარმოგვიდგენს თუ როგორ გადმოსცემს დ. გურამიშვილი ქართველთა გათიშულობის შედეგს:

> ვით მამალი სხვის მამალსა დამტერდეს და წაეკიდოს,
> მას სცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს,
> რა ორნივე დაღალულნი ძაღლმა ნახოს, პირი ჰკიდოს, –
> ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა ლეკთა, თურქთა, დიდოს!

თუმცა ქართველმა მეფეებმა, იგემეს რა ურთიერთმტრობის სიმწარე, დარწმუნდნენ, რომ ქვეყნისათვის ერთობა უფრო საჭიროა, ვიდრე უცხო ხელმწიფეების მინდობა და შერიგდნენ. ამასაობაში ვახტანგ მეფეს რუსეთის იმპერატორისაგან ისევ მოუვიდა მიწვევა. ვახტანგი რუსეთში გამგზავრებას გადაწყვეტს. იგი იმედოვნებდა, რომ მალე მობრუნდებოდა რუსის ჯარით და საქართველოს გააერთიანებდა და ევროპულ წყობილებას შემოიღებდა ლაშქარში, განათლებასა და ხელოვნებაში. რუსეთში მეფის მიწვევის ამბავი ზარივით დაეცა ქართველ ხალხს. არავის მოსწონდა, რომ მეფე ამისთანა გაჭირვებულ დროს სამშობლოს ტოვებდა. ხალხი ეხვეწებოდა მეფეს დარჩენას, პირობას აძლევდა, რომ თავგადადებულად შეებრძოლებოდა მტერს, არაგვის და ქსნის ერისთავები თვალცრემლიანნი ევედრებოდნენ ვახტანგს და ეფიცებოდნენ ქონებას და სისხლს არ დაიშურებდნენ მისი ერთგულებისათვის.

აქ *ივერია* აშკარად ორი მნიშვნელოვანი მომენტის გამოკვეთას ცდილობს: ერთი ისაა, რომ მეფისადმი ერთგულება ქვეყნისათვის ერთგულების ტოლფასია; მეორე – ქართველთა ერთიანობა მოხერხდა, როდესაც ქვეყნის თავისუფლებას დაკარგვის საფრთხე დაემუქრა. მაგრამ მეფე მტკიცედ იდგა თავის აზრზე, გადაუდგა ხალხის ნებას და რუსეთს გაემგზავრა თავის ამალითურთ. ვახტანგი ცდილობდა პოლიტიკური ერთობის შექმნას რუსეთთან, რომელიც ორივე მხარისთვის სარგებლიანობაზე იქნებოდა დამყარებული. მაგრამ როგორც თხრობა გვიჩვენებს, ეს კავშირი მხოლოდ ერთი მხარისთვის აღმოჩნდა პოზიტიური შედეგის მომტანი. რუსეთის მთავრობა კავკასიისა და რუსეთის საზღვარზე – თერგისა და ყუბანის პირეთში, ფიქრობდა ქართველთა დასახლებას. ამით უნდოდა სანდო და ძლიერი ზღუდე შეექმნა კავკასიის საზღვრებზე. ვახტანგ მეფემ

იმპერატორის სურვილი, რაც შეიძლებოდა მეტი ჯარით ჩასულიყო, ვერ შეასრულა, რადგან ხალხმა მეფის წინადადებაზე პირდაპირ განაცხადა, რომ მისთვის უფრო ადვილია მტერთან ბრძოლა და გაჭირვების ატანა, ვინემ სამშობლოს დატოვება. სამღვდელოებამაც უპასუხა მეფეს, რომ სამშობლო ღვთისმშობლის ხვედრია, რომ მათ უნდა დაიცვან მისგან მობარებული ქვეყანა, რომ მათ ურჩევნიათ მიიღონ სისხლიანი წამება, საქრისტიანო სამშობლოს სიწმინდის დაცვისათვის, ვინემ რუსეთში დასახლდნენ და იცხოვრონ გაუჭირვებლად.

ამ ეპიზოდებზე საუბრით კვლავ ხდება ახლო წარსულის მოხილვა, მცდელობა იმისა, რომ შეფასდეს იგი, სწორი და მცდარი ნაბიჯები გამოიკვეთოს. არსებითად, ეს იყო საკითხი რუსეთთან მიმართების შესახებ. ძნელი იყო ქართველ ნაციონალისტებს ეთქვათ, რომ რუსეთთან მიერთება მცდარი ნაბიჯი იყო, მოიაზრებდნენ რა საქართველოს ექსპანსიონისტურად განწყობილ სამეზობლოს; მაგრამ ამავე დროს უძნელდებოდათ იმის თქმაც, რომ რუსეთთან ქართველობა კარგად იყო, რადგანაც რუსეთი ავიწრობდა მას, იგი იყო ქართული იდენტობის ერთ-ერთი მთავარი "სხვა".

რუსეთში მეფის გამგზავრებამ საქართველოს მდგომარეობა უფრო დაამძიმა. ოსმალებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი და გამაგრდნენ გორის ციხეში. საერთო გაჭირვებამ ცალკეულ საგვარეულოებში ჩაკეტილი ქართველობა გამოაფხიზლა და გაერთიანებული ჯარით შეუტიეს ოსმალებს. თუმცა შეტევა წარმატებული არ აღმოჩნდა. მარცხის მიზეზად დ. გურამიშვილი ასახელებს იმ გარემოებას, რომ ქართველ-კახელთა ერთიანობა არ იყო გულწრფელი და დამარცხებაც ღალატის შედეგი იყო. უფრო გაძლიერდნენ თათრები და ლეკები. ამ დროს დაატყვევეს დ. გურამიშვილი. ძალაუნებურად სამშობლოს მოშორებული ყოველთვის მამულისათვის გულმტკივნეულობდა და ვერც ბედმა და ვერც უბედობამ ვერ ამოუღო გულიდან მამულის სიყვარული. არ ავიწყდებოდა მამული, მისგან განშორების სევდა ჭირსა და ლხინში, ღრმად სიბერემდე შერჩა, ოხვრით და ვაებით თან ჩაიტანა საფლავში. მან ვერ ინახულა თავისი ქვეყანა, ჯავრით შეპყრობილი გულის ოხვრა ღრმად დაეტყო მის ნაწერებს. მისი საკვირველი რკინის ხასიათის მეორე ელემენტად დასახელებულია ღვთის მოშიშობა.

წერილში ხაზგასმულია, რომ ხორცის შევიწროებაზე უფრო მეტად დატყვევებულ პოეტს ტანჯავდა მამულთან გაყრა:

> პოეტი ხშირად გულ დაკოდილი იხსენებს საყვარელს; ნაღვლობს და ტირის რომ მოგშორდიო. ნატრობს და იმედიანობს მასთან ხელ-ახლად შეყრას. ამ გვარი ლექსები იგავით აქვს პოეტს დაწერილი და საყვარლის სახელით პოეტი იგულისხმებს, როგორც ქრისტიანობას ისე სამშობლოს.

ასე განიხილავს თ. ჟორდანია ქვეყნის უბედურებასთან დაკავშირებული პოეტის შემოქმედების ერთ საყურადღებო ეპიზოდს (# 1).

წარსულის დიადი ამბების გახსენებით, ქართველთა გმირული თავგადასავლების ხალხისათვის მიწოდებით აწმყოში თვითმოქმედი არსებობისაკენ მოუწოდებდა ჟურნალი საზოგადოებას. ამ მხრივ, ერთ-ერთი საინტერესო პერიოდია გიორგი მეცამეტის მოღვაწეობის ხანა. თხრობაში საყურადღებო ეპიზოდებია ჩართული სომხურ იდენტობასთან მიმართების თვალსაზრისით. აღსანიშნავია ერეკლე მეფის ძის დავითის ქორწინება სომხური წარმოშობის მდიდარი ვაჭრის ქალიშვილზე – ხამფერუანზე. ამ ქორწინების მიზანი, პ. იოსელიანის მითითებით, იყო ეკონომიკური და სარწმუნოებრივი ერთობის შექმნა, დავითი ფიქრობდა მდიდარ სომეხთა ქართველებთან დაკავშირებით:

> და მოყვანასა მათსა ერთობისადმი ეკლესიისა, გარნა შესცდა. სომხები მიმოფანტულები იყვნენ სპარსეთში, ოსმალეთში და სხვადასხვა ქვეყნებში. მათ დავიწყებული ჰქონდათ თავიანთი ენა და განვარდნილნი ერთობისაგან სარწმუნოებისა აღმოსავლეთისა და კვალად შეხიზნულნი ლათინთა, ეკლესიისა არცა უწყიან თვითცა რასა შინა მდგომარებს მათი ეკლესიების ღირსება

– მიუთითებს პ. იოსელიანი.

გამოკვეთილია გიორგი მეფის დამოკიდებულებაც სომხების მიმართ. ჩართულია ისტორიული პასაჟები, რომელსაც ხშირად იხსენებდა თურმე გიორგი მეცამეტე.

პ. იოსელიანის *გიორგი მეცამეტის ცხოვრებიდან* ირკვევა, რომ მეფეს არ ჰყვარებია სომხები. ამგვარი დამოკიდებულების ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია სომეხთა მოღალატური ბუნება. მეფე ხშირად იხსენებდაო, მიუთითებს პ. იოსელიანი, როგორ გასცა ყორღანაშვილმა სიმონ მეფე. აქვე მითითებულია დარეჯან დედოფლის ნაამბობიც იმის თაობაზე, რომ მოღალატის მძოვრს მშიერი მგლებიც არ

მიჰკარებია. მეფე მძიმე ხარჯს აწერდა თურმე სომხებს და არ შეისმენდა მათ თხოვნას შეუძლებლობის შესახებ, რადგან 'ჩვენვე მოგვატყუებს და ჩვენითვე გამდიდრდებაო'.

უფრო მუქ ფერებში არის წარმოდგენილი სომხების სახე გიორგი მეფის კოვალენსკისთან საუბარში:

> მათი ბუნება დიდად სავნოა ჩემი სამეფოსათვის, თესლი ასე განბნეული და მოშორებული ჩვენგან სარწმუნოებითა, ენითა, ზნეობითა და უცხოითა ნათესაობითა. – ვითარცა ვაჭარნი საჭირონი არიან. ქვეყნის მცხოვრებნი დიდად საშიშნი და მოსარიდებელნი, არა მეომარნი, მხდალნი მაყურებელნი საწუთრისა.

ქვეყნისათვის თავდადებული გმირების თემა გრძელდება რ. ერისთავის ნაწარმოებში *ასპინძის ომი*, სადაც ასახულია ერეკლე მეორის ოსმალებთან და ლეკებთან ბრძოლა. ბრძოლის აღწერამდე წარმოდგენილია საქართველოს საოცარი სილამაზე:

> ვიპოვე იგი სამოთხე, ვინ მოსთვლის ამის ქებასა,
> გადაჭიმულა წალკოტად, შეხედეთ ამის ნებასა,
> ეს საქართველო ყოფილა, –ჰხვედრია ღმრთისა დედასა! ...
> რა ქვეყანაა რა ჰშვენის, დამატკბობელი სულისა,
> ვაზი ვარდს გადაჰხვევია, გამლაღებელი გულისა.

ამ უბადლო სილამაზის მკვიდრთათვის თავისუფლებისა და სარწმუნოებისათვის ბრძოლა ერთიდაიმავე ღირებულებებისადმი ბრძოლას ნიშნავდა: 'ვაჟკაცთ ცალ ხელში ჯვარი აქვთ, მეორე ხელში ხრმალია'. ეს საოცრად ლამაზი ქვეყანა თავისი არსებობის მანძილზე იგერიებდა მოძალებულ მტრებს. ნაწარმოებში ასახულია ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ ერეკლე მეფის გმირული ბრძოლის ეპიზოდები (# 2).

რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებაში ერეკლე მეფე ერთმორწმუნეობის ნიშნით დგება რუსეთის მხარეს. მასთან დახმარების სათხოვნელად მისულ ტოტლებენს მეფე ასეთ პასუხს აძლევს: 'ერთმორწმუნე მირჩევნია, სხვა ურჯულო სულიერსა, მაგრამ მტრები, თქვენ, რომ წახვალთ, დამიჩაგვრენ სულ მთლად ერსა'.

ერეკლეს ეჭვები გამართლდა. რუსთ ხელმწიფეს იმავე ერთმორწმუნოებამ არ შეუშალა ხელი ქართველები თურქეთის წინააღმდეგ პირისპირ მიეტოვებინა. ასპინძის ომში ბრწყინვალე

გამარჯვება მხოლოდ ქართველთა საოცარმა ვაჟკაცობამ მოაპოვებინა ერეკლე მეფეს. ბატონიშვილი გიორგი ულოცავს მამას გამარჯვებას. ერეკლე მეფე ვერ ფარავს უკმაყოფილებას, რომ შვლი არ მიეხმარა მას: 'მტერს იქ ელოდი, მაგრამა იქით არ ჰქონდა გზა მასა, აქვე დავუხვდი მუხდალსა, აქვე გადვუხდი ჭამასა.'

მეთექვსმეტე საუკუნის "ოსმალოს საქართველოს" ცხოვრება გადმოცემულია ა. წერეთლის ისტორიულ დრამაში *კუდურ-ხანუმი.* დრამაში თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი თუ როგორ გადააგვარა ქართველობა ოსმალთა აგრესიამ. ნაჩვენებია მედროვე, გაუმაძღარ, მოღალატე, ზნეობადაკარგულ ქართველთა სახეები, რათა საზოგადოების მხრიდან სათანადო გაკიცხვის და განსჯის საგნად იქცნენ ამგვარი პიროვნებანი. პიესა იწყება ქართველი გვარის მქონე თავადისათვის ფაშობის ბოძების აღსანიშნავად გამართული დღესასწაულით, რომელსაც წამძღვარებული აქვს ჩვენი დაკვირვებისათვის მრავალმხრივ საინტერესო, ახლად დანიშნული ფაშის მეუღლის, კუდურ-ხანუმის მონოლოგი:

> ეჰ, ვაი ჩვენი ბრალი, რომ ქალებს პირადობა არა გვაქვს! ... ცოლების პატივი ქმრების ღირსებაზე არის დამოკიდებული! ... გინდ სწორუპოვარიც იყო ქალი, თუ კი ქმარი ცხოვრების საფეხურზე გდია, მიდი, ამოუჯექი გვერდით და, გინდა თუ არა გაიზიარე მისი ვიგინდარაობა. და თუ ქმარი სათავემდი ასულა, მაშინ კი შენც ქალო, გინდა უღირსიც იყო, მოდი ამოუდექი გვერდში და მოიკრიფე პატივი და დიდება! მაშ, რაღად უკვირთ, რომ ჩვენ ვცდილობდეთ ჩვენი ქმრების ამაღლებას და მისთვის ხშირად უკადრისსაც ვკადრულობდეთ? რაღასა სთხოვს იმას საზოგადოება, ვისთვისაც უსამართლოდ ქმარს მევე უნდა ვემონო? ეჰ, უგნურების სვეტზედა დგას დედა-მიწა! ... რა გამოვა, რომ ვიჩივლოთ? უმჯობესია ქალებმა წამოვიკოდოთ ზურგზე ჩვენი ქმრები და შევუდგეთ აღმართს ... მაგრამ შესაბრალისი ის არის, ვისაც იმისთანა გოდორი შეხვდება, როგორიც მე! ... ჰმ, მობრძანდით და გოდორი უთხარით! ... კაცი გამოჩენილი, ამაღლებული, მდიდარი და გვარიშვილი, რომელსაც დიდებულმა სულთანმა დღეს ფაშობა უბოძა ... ამ რამოდენიმე წლის წინათ, როდესაც ჩემი ქმარი უბრალო ჩაუში იყო, განა მოვიფიქრებდი ამ ბედნიერებას? დღეს კი თითქოს კმაყოფილი არა ვარ ... კიდევ მეტს ვეძიებ ... კაცის გული ხარბია და გაუმაძღარი! ... ვინ იცის სანამდის მიმიყვანს ჩემი ბედი? ჰმ, ბედი-თქო?! ... რა ვთქვი ესა? ბედი რას მიქვიან? ხერხი! ... ცდა, შრომა და თავდაუზოგაობა! ... სანამ ეს გარყვნილი ვალი, რომლის

სიტყვაზედაც დიდებული ხონთქარი დაიარება, ხელშიდა გვყავს, კიდევ ბევრს უნდა ველოდეთ! ... თუ ეს უკანასკნელი პირობაც შევუსრულე ... მაგრამ ელენე ... ახირებულია კაცის საქმე. იმ შეჩვენებულს მშვენიერი თამარ მოსწყინდა და ელენესათვის გიჟდება?! ... შეუძლებელი არა არის-რა! თავს არ დავზოგავ და ელენეს კი, დავითანხმებ როგორმე.

კუდურ-ხანუმი თავისი მდგომარეობით კმაყოფილი უნდა ყოფილიყო მაგრამ იგი ცრემლებად იღვრება. იმ მიზეზის გამო, რომ მის ქმარს სულთანმა ფაშობა უბოძა 'იმ გამოჩენილი გვარის საქართველოს თავადს, რომლის წინაპრებიც ოსმალოს მოსისხრები იყვნენ ... რომელთაც ოსმალო სახსენებლადაც კი ეზიზღებოდათ ... დიახ, იმ დამღუპველი მტრის ხელიდან მიიღო ჩემმა ქმარმა ჯილდოდ ფაშობა და მე მთავრის კახაბერის ასული მტარვალისა და ჩვენი ქვეყნის დამპყრობლებისაგან ბოძებულ წყალობას უნდა შევხაროდეთ?'

ამ ეპიზოდით კუდურ-ხანუმი თითქოს პატრიოტად წარმოჩინდება, სინამდვილეში კი ეს მხოლოდ სიტყვებია, იგი პირად კეთილდღეობას ანაცვალებს ყველაფერს – ნათესავებს, მეგობრებს, თანამემამულეებს, ქვეყანას, ოღონდაც მეტი კეთილდღეობა მიიღოს ცხოვრებისაგან, სადღაც გულის სიღრმეში შემორჩენია ხსოვნა დიდებული გვარიშვილობისა, რომლის წარმომადგენლები – კუდურ-ხანუმის წინაპრები – მსხვერპლად ეწირებოდნენ მამულის სიყვარულს, მაგრამ მასში პირადი კეთილდღეობა სძლევს უზენაეს ღირებულებებს.

საერთო საშინელი სურათია ასახული პიესაში 'ერთი უბრალო ნიშნის გულისათვის ძმა ძმას გასწირავს და მამა შვილს გაჰყიდის! ... ნუ დაივიწყებ, რომ ეგენი იმ ქართველების ნაშიერები არიან, რომელნიც მამულისათვის წამებულან'.

დისწული საყვედურობს კუდურ-ხანუმს, რომ ბიძამისმა დაასმინა ახალი თაობა (სოხტები) მმართებლობასთან. კუდურ-ხანუმი ისტორიული ეპიზოდით აძლევს პასუხს ელენეს. უყვება თემურ-ლენგის შემოსევის დროს მომხდარ ამბავს: თუ როგორ გაიმეტა დედამ შვილი, როდესაც თემურ-ლენგმა ერთ-ერთის მოკვლა უბრძანა სხვების სიცოცხლის სანაცვლოდ. დედამ, რომელმაც ვერც ერთი გაიმეტა, ყველა მის თვალწინ გაჟლიტეს. სხვა დედამ კი ერთ-ერთი ქვით ჩაქოლა, ამით დანარჩენი შვილები გადაარჩინა.

'საზოგადო საქმეში, ხშირად, გულის აყოლა მავნებელია, ელენე, მე ის სათუთი დედა არ მომწონს, რომელმაც მისი გულჩვილობით, ყველა

შვილები გაწირა. მე უფრო მეორე დედა მიმაჩნია სამაგალითოდ. დიახ, აუცილებელ საჭიროების დროს ჩემი ხელით გავწირავ იქ ერთს, სადაც კი მითი ასსა და ათასს გამოვიხსნი'.

კუდურ-ხანუმი საყვედურობს ახალგაზრდობას საკუთარი თავის სიყვარული უფრო გაწუხებთ, ვიდრე მამულის სიყვარულიო, სურვილი გაქვთ, მაგრამ საქმე, საქმე კი არ შეგიძლიათო:

> დიდი ხანია, რაც ქართველებს ძველი სული მოუკვდათ ... შენ იმას ვერ შესძლებ, რასაც ძველად ქართველი ქალები შეიძლებდნენ ... სულსაც კი მსხვერპლად სწირავდნენ სამშობლოს. სარწმუნოებაზე ხელს იღებდნენ და ცოლებად მიჰყვებოდნენ იმათ, ვისიც ზიზღი გულში ედოთ: სულთნებსა და შახებს ... ნამდვილ გრძნობას გულში იკლავდენ და მოჩვენებულის გრძნობით ისე ხიბლავდენ სიყვარულით გაშმაგებულებს, რომ საქართველოს შესახებ მტრობას მოყვრობად უქცევდენ (# 2).

როგორც ვხედავთ, მას თავისებურად ესმის მამულისათვის თავშეწირვა. გარკვეულად გვაგონებს ქალის მამულშვილობის ივდითის პარადიგმას, რომელიც ქართულ სინამდვილეში ფეხს ვერ იკიდებს. ქალის მამულიშვილობის სახე არის თამარი და – არა მხოლოდ ნაციონალური კონსოლიდაციის ეპოქაში, არამედ უკვე წინა მოდერნის ხანაშიც. ფაშობის მიღებისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო ნადიმზე სხვადასხვა სიმღერები – იმერული, ქართლური, მეგრული მოისმოდა. ელენე საინტერესოდ (ჩვენი აზრით, სრულიად მართებულად) ხსნის იმერული *ოდელიას* შინაარსს. როდესაც ქართველები კერპმსახურები იყვნენ, ყოველგვარ ნათელს სცემდნენ თაყვანს. სხვადასხვა გალობები ჰქონდათ. უგალობდენ მზეს, მთვარე, დილას და სხვა, "ოდელია" ძველებურად "ოჰ, დილასა" ნიშნავს.

ელენე ეწირება კუდურ-ხანუმის ხრიკებს, რომელიც პირადი კეთილდღეობისათვის ჰქონდა მომარჯვებული, თვითონაც აღიარებს ამ ფაქტს მონოლოგში. ელენეს შეყვარებული, რომელიც კუდურ-ხანუმის მიერ ნასწავლი ხრიკების საშუალებით გამოაშვებინა ელენემ ოსმალ საქართველოს ვალს (ვალი უზომოდ იყო შეყვარებული ელენეზე) – არჩილი, ასე საყვედურობს კუდურ-ხანუმს:

> თუ ელენე თქვენი ყოფილიყოს, მაშინ ეს დღეც აღარ დადგებოდა. ესეც იმ გარყვნილების მორევში, რომელსაც უმეტესობა შეჰნატრის და მიაჩნია ცხოვრების იდეალად, ისეთი მომცურავი სირინოსი იქნებოდა, როგორც

ბრძანდებიან დღეს სხვები თქვენგან გაწვრთნილ-გამოზრდილები! მაგრამ ჩვენი რომ იყო, მიტომ შეიქნა უდროო მსხვერპლი! ... ეს პირველი მსხვერპლი ხომ არ არის თქვენის ძლიერებისა? თქვენთან ბრძოლაში ამისთანაებს ჯერ კიდევ ბევრს დავკარგავთ, მაგრამ უფრთხილდით კი მომავალს! (# 2)

ამავე ნომერში გრძელდება *გიორგი მეცამეტის ცხოვრების* პუბლიკაცია. ძეგლში გიორგი მეფე დახასიათებულია როგორც წმინდა, ფაქიზი, მართალი ადამიანი. 'არც ერთი ძმა, არც ერთი შვილი არ იყო, ეგოდენ წმინდა და ღირსი და გონიერი ვითარცა გიორგი, ვითარცა მზე ბრწყინვალე და ვითარცა მთვარე სიდიდით სჭარბობს ვარსკვლავთა, ეგრეთ მანათობელად ჰსჩდა მეფე გიორგი ძმათა და შვილთა შორის თვისთა' – წერს პ. იოსელიანი.

გიორგი მეფის სახე წარმოდგენილია როგორც სახე ღვთისმოსავი მმართველისა. იგი ყოველი ღონისძიებით ცდილობდა დაესუსტებინა როსტომ მეფის დროიდან შემოტანილი სპარსული წეს-ჩვეულებანი და განემტკიცებინა ქრისტიანული სარწმუნოება. ის იყო მეფე – კეთილი მწყემსი:

განამტკიცეთ კაცნი სარწმუნოებასა ზედა ქრისტესა, უბრძანებდა ხშირად მღვდელმთავართა და არსენისა თფილელისა, არა დიდად მისგან პატივცემულისა, შეაყვარეთ ერსა ჩემსა ქრისტე, განათესეთ მცნებანი მაცხოვარისა, სიმტკიცე მეფობისა და ბედნიერებისა. მორწმუნე მეფე და მორწმუნე ერი მეგობარი არიან ღვთისა და შვილნი მაღლისანი, დაცულნი ქრისტიანობითის სიწმინდისა, დაიცვებიან განსაცდელთაგან. მწყემსსასა კეთილსა არა წარუწყმდების სამწყსო სულიერი, მოსავი ჯვარისა არა სადა დაეცემის. ვიყვნეთ მტკიცედ სახარებასა სიტყვათა ზედა; დავემყარნეთ სარწმუნოებისა კლდესა ზედა, ვსასოებდეთ და მივენდოთ ღმერთსა და იგი დაგვიცვამს.

პუბლიკაციაში გამოკვეთილია გიორგის საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია, რომლის არჩევანისათვის უმთავრესი მოტივაცია არის სარწმუნოება. მეფე მტკიცე პასუხს მისწერს 1799 წელს ყაენს, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული:

ირანმა აწყვიტა ერი და გაახრა სამეფო ჩვენი. ირანმა აღძრა ლეკი ასაკლებად ჩვენდა. ერთი სარწმუნოება რუსთა ხელმწიფეთა თანა მაიმედებს ქვეყნისა

> დამშვიდებას. დარღვევა მათთან კავშირისა არ შემიძლიან და ვერც შევირცხვენ პირს და ვერც გავტეხავ სიტყვასა მიცემულსა.

საქართველოში ამავე წლის 26 ნოემბერს შემოსულ რუსთა ჯარს ასე ესალმება გიორგი: 'გამარჯვება ქრისტეს მოყვარესა მხედრობასა'.

სხვა იდენტობასთან მიმართების საკითხი წითელ ზოლად გასდევს თხრობას. ქალაქის მცველად ჩაყენებული ლეკებისათვის ჯამაგირის გადასახდელად სომეხთა ვაჭრებს შეაწერს თანხას. მელიქ დარჩიას უბრძანებს შეახსენოს და გამოუცხადოს "სომეხთა ვაჭარებს", რომ "შემოხიზნულნი საქართველოსა დაიცვებიან ქართველთა ძალითა აქვსთ ვალი ეწეოდენ გულითა ქვეყანასა გაჭირვებისა დროსა შეუწუხებლივ არა იქნების რა'.

სამეფო სახლში უთანხმოება იყო. ტახტის დაკავებისათვის არაფერს ერიდებოდნენ მეფის ძმები. ამ მიზეზით გაუორგულეს მეფეს ქალაქის მცველი ლეკები. გიორგი მეფე თავის ერთგული ქვეშევრდომებისაგან შეიტყობს ამ ამბავს. ლეკთა ბელადი ამხელს მოღალატეებს: მეფის ძმებს, მელიქს, მაღაქელაშვილს და თუმანიშვილს. მეფე შეაწერს მათ ჯარიმის გადახდას 400 თუმანის ოდენობით, რითაც გაისტუმრებს ლეკებს და დაითხოვს. რადგან რუსის ჯარი შემოდიოდა. თავის ძმას შეუთვლის კათალიკოსის პირით ნუ მიიმყვან იქამდინ, რომ სპარსთა და მეფეთა უფლებითა დავთხარო თვალიო.

ტახტისათვის ბრძოლა უფრო მწვავდებოდა უკურნებელი სენით შეპყრობილი მეფის უკანასკნელ დღეებში. საქართველოს სპარსეთი და ომარ-ხანი ემუქრებოდა. ამას ერთვოდა ძმათა ამბოხი, დედოფლის აქტიურობა ამ ამბებში. მაგრამ გიორგი მეფე საქართველოს სამეფო ტახტს რუსეთის იმპერატორს უანდერძებს.

საინტერესოა საზოგადოებრივი აზრის წარმოჩენა: 40-მდე თავად-აზნაური შეიკრიბა ვითარების გასაანალიზებლად. შეკრებაზე დავით გიორგის ძის ზრახვებით უკმაყოფილონი დავითის გამეფების წინააღმდეგნი იყვნენ. მათ დავითის მომხრენი დაუპირისპირდნენ. შეკრებაზე შთამბეჭდავი სიტყვა წარმოსთქვა სოლომონ ლიონიძემ, რომელიც 'ვითარცა ლომი გარემოცული მტერთაგან, იბრძოდა ქვეყნისათვის, მეფობისა დაუკარგველობისათვის':

> ბატონებო იყვენით ფრთხილად, ჯვარცმულისა მადლმა! იღუპება ქვეყანა უშველებლად. იქით სარდლები იწევენ, აქეთ მეფის ძენი, მელიქი და

> სომხობა გველურად იქცევიან. მოდით გონებასა, დაფიქრდით და შედით საქმის ბჭობაში. დავითისა მემკვიდრისა მტერობისათვის, რათ უნდა შეექმნათ მტერი ქვეყანას, ნამუსიანად უნდა ვიყვნეთ ქვეყნისათვის და მეფობისათვის. დასაწყობელად საქმეთა და შინა აღრეულობათა კმარან რუსნი და ტრაქტატი მეფისა გიორგისა ... ხმა მისი იყო ნამდვილი ხმა ღაღადებასა უდაბნოსა შინა.

იგი ურჩევდა დავითს წასულიყო მცხეთას და თავი მეფედ გამოეცხადებინა. მაგრამ დავითმა არ ინება და ელოდებოდა რუსეთისაგან სამეფო ნიშნების მიღებას. ასე რამდენიმე აზრი არსებობდა საზოგადოებაში. ნაწილს დავითის გამეფება უნდოდა, ნაწილს – იულონის, ნაწილს კი – ერეკლე მეფის ანდერძის აღსრულება.

თხზულების დასასრულს ავტორი მკითხველთა განსჯის საგნად ტოვებს საკითხს 'ვის შეეძლო ქართველთა სამეფოისა დაცვა, გარდა რუსთა'. ბოლოს მაინც იკვეთება ავტორის პოზიცია. აღნიშნავს, რომ ღვთის ნებით, რუსეთმა შეძლო საქართველოს გაერთიანება, რომ 'იმერელნი, მეგრელნი, გურულნი, სვანნი, რაჭველნი და სამცხენი ათაბაგთა, შეიქმნენ და იწოდნენ ქართველებად'.

პ. იოსელიანი იმედოვნებს, რომ რუსთა ძალა

> მოიყვანს ნათესაობითსა ერთობასა ქობულეთსა, აჭარასა, ლივანასა, ჯერეთსა თურქთაგან პყრობილთა. განგება ღვთისა შეიტანს და განფენს ქრისტიანობითსა ნათელსა მთათა შინა, სადაც მკვიდრობენ ლეკნი, ჩეჩენნი, ქისტნი, ჩერქეზნი და აფხაზნი. ნათესაობითი ერთობა ქართველთა გვარისა, განმტკიცდება სარწმუნოებითა ერთობითა მათთან. მართლმადიდებლობა რუსეთისა ვითარცა შუქი მზისა მაცხოველებელისა და მანათობელისა, მოჩანს ვითარცა განმნეველად მაჰმადიანობისა, სიბნელისა, ბოროტისა კაცთა ნათესავისათვის და მარადის უნაყოფოისა ... მაშინ ქვეყანა კავკასიის სავსე ქვეყნიერითა და ზეციური მადლითა, უხვებითა, სიმდიდრითა და მშვენიერებითა; შეიქმნა ერთი და ყოვლადი. მცხოვრებნი ქვეყნისა ამისა, შორის ორთა ზღვათა მაერთებლისა ევროპისა და აზიისა, მოიგონებენ მაცხოვრისა ნუგეშინისცემითსა სიტყვასა: და იყვნენ ერთ მწყემს და ერთი სამწყსო.

ზემოთ *ივერიის* ფურცლებზე გამოქვეყნებული არაერთი კორესპონდენცია გვაქვს განხილული, რომელიც გლეხთა გაჭირვებულ მდგომარეობას ასახავდა. მკითხველს ინტენსიურად მიეწოდება ინფორმაცია, თუ როგორი სიღარიბის სუნი ტრიალებდა კახეთისა და

იმერეთის ქოხებსა და მიწურებში, რათა საზოგადოება ჩაღრმავებოდა და ყურადღება მიექცია არსებული მძიმე სოციალური ვითარებისათვის. კორესპონდენციის *განათლება და ვაჭრობა* ავტორი ი. როსტომაშვილი აღნიშნავს 'ამ მდგომარეობის უფრო ვრცლად გამოხატვა არაფერი სასიამოვნოა და ისა სჯობს იმ ღონისძიებებზე მოვილაპარაკოთ, რომელთაც შეუძლიანთ ჩვენი დაცემული ქვეყნის ფეხზე წამოყენება'.

ავტორი მკითხველებს სთავაზობს იმ ღონისძიებებს რომელთაც 'შეუძლიანთ ჩვენი დაცემული ვინაობის ფეხზე წამოყენება'. ასეთად კორესპონდენციაში დასახულია აღზრდა და განათლება. ჩვენი ქვეყნის ასეთი დაცემის მიზეზად დასახელებულია მუშა ხალხის ცალ-ცალკე მოქმედება. ერთ კაცს არ შეუძლია ის, რაც ასსა და ათასს არ გაუჭირდება. მარტოსული კაცები რომ ერთმანეთს მხარში ამოუდგნენ და ერთად იშრომონ იმდენსავე შეძლებენ, რამდენიც მდიდარს შეუძლია. ერთად მოქმედება შეუდარებელი ღონისძიებაა წარმატებისათვის (# 3).

ჟურნალის მეოთხე ნომერში რ. ერისთავის სამმოქმედებიან კომედიაში *ადვოკატები* წარმოდგენილია "მყვლეფავიანცთა" ფენას შემატებული ახალი სისხლის მწოველები – ადვოკატები, რომლებიც არ ერიდებოდნენ არანაირ ვერაგობას, სარგებლობდნენ ხალხის უმეცრებით და ძარცვავდნენ მათ. ამ მოვლენას რ. ერისთავმა დაუპირისპირა სინდისი, პატიოსნება და კეთილშობილება ადვოკატ ს. ვარსკვლავაძის სახით. გაკიცხულია ს. მილოვი, რომელიც სანამ საზოგადოებას ადვოკატად მოევლინებოდა მკერავად მუშაობდა და გვარად საპონაშვილი იყო:

> ადვოკატობაში საპონაშვილი რომ გამემხილებინა, არავინ მომეკარებოდა და მილოვათ რომ გადავთარგმნე ჩემი გვარი, ახლა კი, მლოცავივით მოდის ჩემთან ხალხი.

მკერავი სოლომონი ადვოკატი ორმოციოდე კანონის მუხლების გაზეპირებით გახდა და ხალხს უზნეო, უსინდისო, ხარბ, გაიძვერა ადვოკატად მოევლინა, რომელიც მოდავე მხარეებს ორივეს ცალ-ცალკე ურიგდება. საქმის ვითარება ასეთია: თავად ს. ამაყაძის ქალიშვილის დედისეული მამულები დედის ბიძას თავად ს. ბრუნდაძეს მიუთვისებია. მამულების სასამართლოს გზით დასაბრუნებლად დახმარებისათვის ს. ამაყაძე მიმართავს ადვოკატ ს. მილოვს, რომელიც ამავე დროს გაურიგდება მოპასუხე მხარეს,

რომლისგანაც მამულების ნაწილს და ორჯერ მეტ გასამჯელოს იღებს. "სიმართლე" მეტი გასამჯელოს მხარეს სწონის. ხარბი ადვოკატი სასამართლოზე ისეთ პოზიციას იჭერს, რომ ს. ამაყაძე და მისი ქალიშვილი პროცესს წააგებენ. თავადის ქალიშვილი მხნედ შეხვდა ამ ამბავს და სამართლიანობისთვის ბრძოლას აგრძელებს. აქ ერთი საინტერესო ფაქტია კიდევ თვალსაჩინო – საზოგადოებივი პერცეფცია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ. ს. ამაყაძეს ეჭვი აქვს, რომ 'სუსტმა და ყმაწვილმა ქალმა მოახერხოს ყველა, რაც ეხლა ჩემმა თამრომ ილაპარაკა'. მაგრამ კომედიაში თამრო სწორედ ს. ვარსკვლავაძის დახმარებით და თანადგომით იბრუნებს თავის კუთვნილ ქონებას. ხოლო ს. მილოვს ცრუ არზების და ყალბი ქაღალდების შედგენისათვის, მომჩივანისა და მოპასუხისათვის ფულის გამორთმევისა და ვინც მეტს გადაუხდიდა იმის მხარეზე საქმის შემობრუნებისათვის, დააპატიმრებენ.

კომედიის პუბლიკაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი მხრივ, საზოგადოების კიცხვის და ქილიკის საგნად იქცა უზნეო და ხარბი ადვოკატები, რომლებმაც კანონით თამაში გამდიდრების წყაროდ აქციეს. მეორე მხრივ, საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ ერთგვარად ხდება ადვოკატების სახის რეაბილიტაცია ადვოკატ სანდრო ვარსკვლავაძის კეთილი, სამართლიანი, მებრძოლი ხასიათის წარმოდგენით. კომედიის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ის ხშირად იდგმებოდა ქართულ სცენაზე, რის შესახებ ინფორმაციას ვნახულობთ თავად ჟურნალის ფურცლებზე. ეს შეტევაც მომსახურეობის სფეროში დაკავებული პირებზე გარკვეულწილად უკავშირდება "ჩვენ – სხვა" ოპოზიციის კონტექსტს. ადვოკატებს შორის ისევე, როგორც ექიმებსა თუ ინჟინრებს შორის, ბევრნი იყვნენ არაქართველები, როგორც ქალაქის მაცხოვრებლები და ძირითადად "ფულის კეთებაზე" ორიენტირებული პირები. ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესში მათდამი გაძლიერებული ყურადღება ამითაც აიხსნება.

1881 წელი

რედაქტორები არიან ი. ჭავჭავაძე და ი. მაჩაბელი. ამ წლიდან ჟურნალი გამოდის ყოველთვიურად იმავე პროგრამით. ჟურნალის ერთ-ერთი განყოფილება, როგორც აღნიშნული გვაქვს, ეძღვნება

ახალგამოცემული წიგნების განხილვას. ამ დროისათვის მით უფრო იძენს ეს განყოფილება მნიშვნელობას, რომ მომრავლებულა ანგარებით დაწერილი წიგნები. ასეთ ვითარებაში მათ სააშკარაოზე გამოტანა და გაკიცხვა აუცილებელია, რათა გადარჩენილ იქნას ხალხის გონება დამახინჯებისაგან. ერთ ამგვარ გამოცემას ო. დიდებულიძის ნათარგმნი *ქართული არითმეტიკული საანგარიშოები, ანუ ზადაჩები და რიცხვებითი მაგალითები* განიხილავს ი. მაჩაბელი. წიგნი დამახინჯებული ქართულით ყოფილა შესრულებული. რედაქცია თავის მოვალეობად მიიჩნევს ხელი შეუშალოს წიგნის გავრცელებას და ამით ცოტათი მაინც დაუკარგოს სურვილი ამგვარ ავტორებს, რომ შეეხონ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა ხალხის განათლება.

აქვე წარმოდგენილია თავად რ. ანდრონიკაშვილის რუსულ ენაზე გამოქვეყნებული თხზულების *ჩვენი საზოგადოება და მისი ეხლანდელი მიმართულება* განხილვა. განხილვაში ქართველთა ცნობიერებაში თავჩენილი არასასიამოვნო მოვლენაა გაკრიტიკებული. თბილისში ახლადჩამოსული იმერლების მსგავსად, რომლებსაც ორი სიტყვა რუსული უსწავლიათ და ქართულად არ საუბრობენ, ‘ზოგიერთ ჩვენს პუბლიცისტებსაც ესე სჭირთ: უსწავლიათ აღა-მაჰმად-ხანის დროინდელ კანცელარიებში, ორიოდ მართალი აზრისთვის მოუკრავთ ყური, ტყუილებით გაუწყალებიათ და უფიქრიათ, ურიგო არ იქნება ეს ჩემი აზრები საქვეყნოდ გამოვააშკარავოო’. ერთ-ერთი ამათგანი ყოფილა თავად რ. ანდრონიკაშვილი. მიმოხილვაში, აღნიშნულია, რომ რ. ანდრონიკაშვილს ერჩივნა წიგნი ქართულად დაებეჭდა, რადგან ქართულად მართლწერა არ გაუჭირდებოდა და დაცინვას აიცილებდა და სიცრუეც რომ ეთქვა ‘შინაურობაში გაიტანდნენ’. მაგრამ ანდრონიკაშვილს რუსეთში სახელის განთქმა მოუნდომებია ‘იქნება კიდეც გაითქვა, მაგრამ მე კიდევ რომ რ. ანდრონიკაშვილისა ვყოფილიყავი ისევ სახელის გაუთქმელობას და სადმე მაჩხაანში, ან გურჯაანში ჩემთვის მშვიდობიანად ყოფნას ვარჩევდი ამგვარ სახელის გათქმას’, აჯამებს რეცენზენტი თავის მსჯელობას (# 1).

გლეხობის უმძიმესი ცხოვრება – უსამართლობა, სიღარიბე – ასახულია ს. მგალობლიშვილის მოთხრობაში *დედა მარია*. გლეხობის მძიმე ხვედრთან ერთად აქ ნაჩვენებია მათი სრული ინდიფერენტულობა და ბედისადმი მორჩილება და შეგუება.

აი, როგორ არის აღწერილი გლეხობაში არსებული სიღარიბე:

> დარბაზში აგია ჭილოფის ნაგლეჯი, იმაზე გადაფენილია გაცვეთილი ფარდაგი, მაიას მზითვისა. სახურავად მოუტანა საბანი ისეთი ჭუჭყიანი და გაჭვარტლიანებული რომ კაცი ვერ მიხვდებოდა, პირველში რა ფერისა უნდა ყოფილიყო. საბანს ჭუჭყის გამო ზანტლის სუნი ასდის.

მოთხრობის მთავარი პერსონაჟი სოლომანა კი ასეა დახასიათებული:

> სოლომანა არის ოცდაშვიდის წლისა, როგორც იმის დედა მაია იტყვის ხოლმე, მაგრამ შეხედვის უმალვე მიხვდება კაცი, რომ დაუნდობელ წუთისოფელს დიდი ხანია თავის ჩაქუჩი ჩაუკრავს თავშიო. ტანთ აცვია დაგლეჯილი, უხეირო, კვირტ-ნარევი შალის ჩოხა, რომელსაც წინ კალთები ერთიანად ჩამოცვეთილი აქვს, და ერთი შეხედვით, კაცს ეგონება, რომ არისტროკრატივით ფრაკი აცვიაო. შარვალიც შალისა აცვია და ტოტები დაგლეჯილ პაიჭებში აქვს ჩატანებული; შიშველი ფეხები ტალახითა აქვს შესვრილი და ზედ მიჰხმობია; ხელ-პირი დაშაშრული მზისაგან, თმა გაბურძგნილი და ჩაწილული ისეთნაირად რომ გეგონებათ ამ საწყალს თავს თავის დღეში სავარცხელი არ მიჰკარებიაო. პატარა ცხოველებს შიგ დაუბუდნიათ ამ თმაში, მაგრამ სოლომანა სხვა მსხვილი მკბენარების კბენას ვერა ჰგრძნობს და ეს პატარა მკბენარები რას დააკლებენ.

სიღარიბესთან ერთად გლეხობაში გაუნათლებლობა იმდენად ყოფილა გავრცელებული, რომ მძიმე ავადმყოფის მოსარჩენად და საშველად მკითხავს მიმართავენ (# 2).

1881 წლის *ივერიის* ფურცლებზე ვხვდებით მასალებს რუსეთში გავრცელებული ხალხოსნური მოძრაობის შესახებ. ამ მოვლენას მიეძღვნა გ. თუმანიშვილის წერილი *შარშანდელი რუსეთი*, სადაც ავტორი ახალგაზრდობის ცუდ მდგომარეობას ასახელებს რევოლუციონერთა პარტიის შექმნის მიზეზად (# 1). აღნიშნულ წერილს მესამე ნომერში გამოეხმაურა ა. ნანეიშვილი წერილით *ორიოდე სიტყვა გ. თ-მ-ის სტატიის "შარშანდელი რუსეთის" თაობაზედ*, რომელიც არამართებულად მიიჩნევს გ. თუმანიშვილის ხსენებულ მოსაზრებას და საინტერესო შეხედულებებს აწვდის მკითხველს საკითხთან დაკავშირებით.

> 1870 წლის შემდეგ ახალ-გაზრდობაში გავრცელდა ერთი მიმართულება, რომელსაც "სოციალური" დაერქვა. მიმართულების მომხრენი უარ-ყოფდენ საკუთრებას, მთავრობას, წოდებათა განსხვავებას, ერთი სიტყვით

> აწინდელ სახელმწიფო და საზოგადო წყობილებას ... ახალ-გაზრდობამ თავის აზრის შესასრულებლად რუსეთში მხოლოდ ერთი გზა იპოვა: ეს გზა იყო: მდაბალს ხალხში წასვლა, ხალხში მოქმედება და თავის დედა-აზრის გავრცელება ... ამ მიმართულების მიმდევართ ჩაიცვეს გლეხური ტანისამოსი, დასტოვეს თავისი დედა-წრე, რომელიც მათ გარყვნილად მიაჩნდათ და წავიდნენ ხალხში, მასთან ჭირისა და მწუხარების გასაყოფად და თავიანთ აზრების გასავრცელებლად ... მმართებლობამ მალე დაუწყო დევნა ამ მიმართულების მომხრეთა ... რევოლუციონერების საქმე უკუღმა დასტრიალდა: იმათ ვერ შეისრულეს თავიანთი წადილი, ვერ განახორციელეს თავიანთი დედა-აზრი; მათი მოქმედება ფუჭი გამოდგა; მათს აზრებს – ოცნების ფერი დაედო: ხალხი ისე უმანკო არ იყო, როგორც სოციალისტები ფიქრობდენ; არც ხალხის გონება იყო ისე გავითარებული და გამზედავი, რომ მათი აზრები შეეთვისებინა, ერთის სიტყვით, ცხადი იყო ისტორიით დადგენილი ცხოვრების წყობილება რამდენიმე წლის განმავლობაში ვერ შეიცვლებოდა.

ავტორი რუსეთში რევოლუციური პარტიის გაძლიერების მიზეზად ასახელებს რუსეთის არსებულ წყობილებას (# 3).

თეატრის ქრონიკაში გამოქვეყნებულია რეცენზია ნათარგმნი დრამის *პარიზელი გიჭის* და რ. ერისთავის კომედიის *ადვოკატების* შესახებ. რეცენზიის ავტორი გ. თუმანიშვილია. ხაზგასმულია, რომ ქართული ენა ეხლანდელ მწერლობაში ისე მდიდრად არსად არ ჩანს, როგორც რ. ერისთავის ნაწერებში. აქ ენას ნაკლებად ეტყობა დანათასავება რუსულ და სხვა უცხო ენასთან. აქ ენას ქართული ხასიათი აქვს და ამავე ხასიათს სძენს თვით უცხო ქვეყნის თხზულებასაც. ეს ფრიად დიდი ღირსებაა ახლა ჩვენში, როდესაც სხვა მწერლის ნაწარმოებში არამც თუ ნათარგმნს, ორიგინალურს თხზულებასაც მცირედ ეტყობა ქართულობა (# 2).

შინაური მიმოხილვის განყოფილება შეეხება სწავლა-განათლების მზრუნველის იანოვსკის სასწავლო პროგრამის განხილვას (ავტორი ილია ჭავჭავაძე), რომელიც გამოქვეყნებული იყო *Кавказ*-ში. წერილში წამოწეულია თავდაპირველად დედაენაზე სწავლების აუცილებლობის საკითხი. ბავშვმა მხოლოდ დედაენაზე საკმაოდ გაწვრთნის შემდეგ უნდა მიჰყოს ხელი უცხო ენის სწავლას. იანოვსკის პროგრამას წარჩინებული ქართველების, ილიას სიტყვებით, რომ ვთქვათ, რომლებიც 'წარჩინებულნი მხოლოდ ადგილით ყოფილან', მხარდაჭერა მოუპოვებია. საუბარია სენაკის მაზრის უფროს ბებურიშვილზე,

სენაკის მომრიგებელ მოსამართლე ი. ბერიძეზე და დეპუტატ ლ. ჟვანიაზე, რომელთა აზრი გამოქვეყნებული ყოფილა *Кавказ*-ში. ეს აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ 'თურმე სამეგრელოს ხალხი ითხოვდა რამწამს სკოლაში შეგვყავს შვილები, კინაღამ წამოგვცდაო აღნიშნავს ირონიულად ავტორი, რამწამს დაიბადებიან, მაშინვე რუსული ლაპარაკი დააწყებინეთო'. სენაკის სკოლის ზედამხედველს კი, როგორც ვიტყობთ, ცხადად დაუწამებია ცილი მზრუნველისათვის როცა აღუნიშნავს 'ასე მითხრა რატომ სამეგრელოს სკოლებში მეგრულ ენაზე არ ასწავლითო'. ილია დასძენს 'რა საფიქრებელია, რომ მზრუნველმა, რომლის კალთაშიაც მთელის კავკასიის სწავლა-განათლების საქმეა გამოხვეული, არ იცოდეს, რომ მეგრულ ენაზედ წერა-კითხვა შეუძლებელია მეგრული ანბანის უქონლობის გამო! აქ პრობლემა ის კი არ არის იცოდა თუ არ სამოსწავლო მზრუნველმა მეგრულ ენაზე ანბანის უქონლობის შესახებ, არამედ ის რომ სამეგრელოს "წარჩინებული ქართველები" ყველაფერს კადრულობენ პირადი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად' (# 2).

ეპოქის აქტუალური პრობლემების – ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის მისწრაფებისაკენ მოწოდებაა მოცემული ი. ჭავჭავაძის პოემაში *აჩრდილი* (## 2, 3). ქვეყნის წარმატებისა და კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვანია ეროვნული თვითგამორკვევა და სოციალური სამართლიანობის მოპოვება. ავტორის მიზანია მოახდინოს გავლენა ქართველთა მიერ ეროვნული ღირსების განცდაზე. გამოაფხიზლოს და შეაგნებინოს საკუთარი ვალდებულება ქვეყნის ისტორიის წინაშე:

მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა!
მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული.
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა,
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული.

პოემაში ჩანს დიდი სევდა ქვეყნის ძველ დიდების, საუკუნეებს გაყოლილი ქართველების გამო და გამოთქმულია უკმაყოფილება აწმყოთი:

მეც წარტყვევნილვარ წარსულ დღეთა შენთა ნატვრითა
შენის აწმყოთი გული, სული დამწყლულებია.

პოეტი გამოხატავს წუხილს, რომ გამქრალა წარსული დიდებულება, აღგვილა როგორც მტვერი, რწმენა დაკარგულა და ამასთან ყველას

დავიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ღვთად მოუცია მარტო მამული
წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის-დადება!
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.

გმირის მოვლინების მოლოდინია გადმოცემული:

მაგრამ ქართველნო, სად არის გმირი;
რომელსაც ვეძებ, რომლისთვის ვჰსტირი?
იგი აღარ გყავთ ... მის მოედანი
ჯაგით აღვსილა, ვერანად ქმნილა,
გმირის დამბადი დიდი საგანი
თქვენში სპობილა და წაწყმედილა.
გადაჰსდგომიხართ თვენ ქართველობას
დაგინგრევიათ დიდი მამული, –
რაღა დაჰბადავს თქვენში დიდ გრძნობას?
რითი აღტკინდეს ქველისთვის გული?...
ვიშ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი
დიდი სამოთხის კუთხე პატარა
თქვენ დაგიგდიათ უმწედ, უნუგეშ,
თქვენის სიავით დაწყლულებულა,
თქვენგან გმობილი უცხო კალთის ქვეშ,
ვითა ობოლი შეფარებული.

შური და მტრობა დასადგურებულა. ავტორი შენიშნავს, რომ თუ ჩვენს ცხოვრებას დავაკვირდებით შეიძლება თითო-ოროლა ადამიანი შევნიშნოთ, რომლებიც კეთილი საქმისთვის არიან გულანთებული, მოძმეს შველის და ტანჯულს და დავრდომილს ტანჯვას უმსუბუქებს. მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით შენიშნავთ, რომ ერთმანეთს არ ენდობიან და ერთმანეთის სიკეთე შურთ:

აგერ ორ-სამ კაცს რაღაც უგრძვნიათ,
ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,

ერთ საქმისათვის გაუღვიძნიათ,
მაგრამ ერთანეთს არ ენდობიან.
ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ,
თუმც ერთისათვის თითქოს იღწვიან;
თვით ამბობენ მას, რის აღდგენაც სურთ,
თვით შველიან მას, რასაც ებრძვიან.

შექმნილი არასასურველი ვითარება, მტრული, დაპირისპირებული ურთიერთდამოკიდებულება ხელს შეუშლის დიად მიზნებს. პოეტი ქადაგებს სოციალურ თანასწოროზას და იმედს გამოთქვამს, რომ დაიმსხვრევა მძიმე ბორკილი:

და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.

ავტორი კვლავ აგრძელებს გმირის ძიების თემას. მისი აზრით, კმაყოფილების განცხრომაში მყოფი დიდკაცი და დარბაისელი ვერ შეასრულებს გმირის როლს. სამწუხაროა, მაგრამ

ის არ ინდომებს ქვეყნისა ბედსა,
როს მასა ჰშველის მის ბედ-კრულება?

ვერც ვაჭარი შესძლებს, რადგან იგი ცბიერებით მოძმეს ატყუებს და არც ენაღვლება თუ შიმშილით მოკვდება. ვერც მღვდელნი ესახება ავტორს გმირად. ერის მამანი ერის სულიერ აღზრდაზე უნდა ზრუნავდნენ, მაგრამ გულ-ხელი დაუკრეფიათ და თავიანთ მოვალეობას არ ასრულებენ. არ ქადაგებენ სიყვარულს და სიმართლეს, ამ გრძნობით არ აამაღლებენ ერს დაცემულს.

თბილისში უფერული ცხოვრებაა. მამანი უწინ რისთვისაც იბრძოდნენ, შვილთ ერთ ფლურად არ უღირთ. მცხეთა გმირთა სავანე და ძირი თავისუფლებისა სამიკიტნო დაბად ქცეულა. ასეთ უნუგეშო ყოფაში შეახსენებს პოეტი სრულიად ქართველობას, რომ უამრავი გასაჭირი გადაუტანია, რომ 'ეკლიან გზაზედ შენებრ სხვასა რომელ უვლია', რომ სხვა ქვეყანა არ არსებობს ქართლის მსგავსად ათასი წლის მედგარი ბრძოლისათვის გაეძლოს და არ აღგვილიყოს მტვრად:

ორი რამ იყო რისთვისაც ძე შენი იღწვოდა,
ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოაცალა:
მამულისა და სჯულისათვის იგი იბრძოდა,
ორივ დაიცვა მაგრამ ყველა მათ ანაცვალა.

ღვთისმშობელს ავედრებს ქვეყანას:

დედაო ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი მხვედრია ...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა ...
მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული! ...
ჰოი სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა ...

ეს ტექსტი, ასევე არის ქართული ნაციონალიზმის უმნიშვნელოვანესი "სამშენებლო ბლოკი". გმირის ძიება, ერი, როგორც ღვთაება, როგორც ადამიანის უკვდავების გარანტია, მშობლიური ლანდშაფტის გაიდეალება და სხვა, ეს ყველაფერი ნაციონალიზმის იდეოლოგიის საზოგადო მახასიათებლებია, თუმც ი. ჭავჭავაძე ამ ზოგად მატრიცას ავსებს უნიკალური შინაარსით.

რუბრიკა *შინაური მიმოხილვა* შეეხება პოლიტიკური ერთობის შექმნისათვის აუცილებელ საკითხებს რუსეთის მაგალითზე (ავტორი ილია ჭავჭავაძე). ყურადღება გამახვილებულია უმნიშვნელოვანეს საპოლიტიკო საკითხზე: რუსეთში მცხოვრებ სხვადასხვა ტომის და ენის ერის ჯერ შინური მოწყობაზე და მერე სახელმწიფოში. რადგანაც ეროვნობის უმთავრეს ნიშანს ენა წარმოადგენს, ამიტომაც უმეცარი მოხელეების ტლანქი ხელი უპირველესად ენას შეეხო. ამ მოხელეების უმთავრეს შეცდომად დასახელებულია მათი შეხედულება სახელმწიფო ერთიანობის შესახებ. მათი აზრით 'სახელმწიფო ერთიანობა შეუძლებელია იქ, სადაც ერთსა და იმავე სახელმწიფო ენაზე არ ლაპარაკობენო'.

ილია აღნიშნავს, რომ ამ აზრის მცდარობა დაადასტურა რეფორმაციამ, რომ 'ერთსა და იმავე სახლში ძალიან კარგად მოთავსდება სხვადასხვაობა სარწმუნოებისა და ერთობის კავშირის საძირკველიდამ ერთ ქვასაც ვერ გამოაცლის'. ამ აზრის გამამყარებლად მოხმობილია ლიბერალ სპასოვიჩის იურიდიულ

საზოგადოებაში წარმოთქმული სიტყვა, რომელსაც დიდი ზემოქმედება მოუხდენია მსმენელზე. სპასოვიჩს განუცხადებია, რომ:

> საჭიროა სამართალი იმ ენაზე ჰსწარმოებდეს, რომელზედაც თვითონ ერი ლაპარაკობსო, ეროვნობა, როგორც თვით სარწმუნოებაცა პირადი, გრძნობააო. სახელმწიფო საქმე მარტო ის არის, რომ სხვადასხვა ერებმა ერთმანეთის დაუშლელად იმოქმედონო. უფრო ადვილია ორიოდე მოხელემ შეისწავლოს ერის ენაო, ვიდრე მთელმა ერმა დაივიწყოს დედა-ენა და უცხო ენა ისწავლოსო. თქვენი ხელმწიფება დაამკვიდრეთ თქვენის კულტურითა და კეთილის გამგეობითა და მაშინ ხელმწიფებას თქვენის ენისას წინ არა დაუდგება რაო (# 3).

მეოთხე ნომერში ქვეყნდება რ. ერისთავის ლექსი *დედა-ენა*. 80-იანი წლების დასაწყისში, როცა გააფთრებით უტევდნენ ქართულ ენასა და კულტურას, საოცარი გრძნობით მიმართავს რ. ერისთავი *დედა-ენას*:

> მიყვარს მე ენა ჩემის მშობლისა,
> რომლითაც *ნანას* მეტყოდა ისა,
> ალერსს მაგონებს დედისა ისა,
> ჩემის ტოლების მჟღერა-ჟღივილსა!
> ენით ვცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა,
> მიყვარს სამშობლოს მე დედა-ენა (# 4).

ამავე მეოთხე ნომრის ა. ყაზბეგის წერილი *გადაკარგული მხარე* წარმოადგენს რეცენზიას გ. რადდეს თხზულებაზე *ხევსურები და ხევსურეთი*, სადაც წარმოჩენილია ნაშრომის მეცნიერული ღირებულება, მისი, როგორც წყაროს, სანდოობის საკითხი. ა. ყაზბეგი კარგად იცნობდა ხევსურებს, მათ ყოფა-ცხოვრებას, ფლობდა მდიდარ ისტორიულ ბაზას. მაშინ ქართულ საზოგადოებაშიც კი ცოტა რამ იცოდნენ ამ კუთხის შესახებ, ცუდად იყვნენ შესწავლილი ხევსურები, ნაკლებად იყო აღწერილი მათი ცხოვრება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა რადდეს ნაშრომი, მაგრამ ა. ყაზბეგი პოლემიკას უმართავს მას ხევსურების წარმომავლობის თაობაზე. რადდე ამ საკითხში ზიხერმანის შეხედულებას იზიარებდა, რომელიც ხევსურებს ჯვაროსანთა ომების დროს მოსულებად და მათი გერმანული ტომთაგან წარმომავლობას ასაბუთებდა.

რეცენზენტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ზიხერმანის შეხედულება არსებითად მცდარია, რომ ხევსურები ქართველთა გვარტომობას ეკუთვნიან და ეს მტკიცდება იმ ფაქტით, რომ მათ შორის ქართული ენა სრული სიწმინდით შენახულა. მთებისა, სოფლებისა და მდინარეებისთვის შეურქმევიათ იმისთანა სახელები, რომელთა მნიშვნელობა მარტო ქართულ ენაზე იხსნება (# 4).

ეს პუბლიკაცია, ცხადია, ნაკარნახევია "ჩვენის" ზუსტად განსაზღვრის სურვილით და შინაგანი ტიხრების მოსპობისაკენ სწრაფვით. წინა მოდერნის ეპოქაში მთიელნი ნაკლებ იყვნენ ინტეგრირებულნი ქართულ ერთობაში. ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესში ხდება ამ ხარვეზის გასწორება. მთიელები, რომლებიც ამ შემთხვევაში ხევსურებით არიან წარმოდგენილნი, სხვებზე მეტად არიან ქართველები: მათ ქართული ენა უფრო წმინდად აქვთ შემონახული. ავტორი მკითხველს არწმუნებს, რომ "ხევსურები" არიან "ჩვენის" ნაწილი, როგორც ეთნიკურად (მათი მოსულობა, როგორც ვნახეთ, უარყოფილია), ისე კულტურულად (ისინი ქართულ ენაზე მეტყველებენ) ისინი დანარჩენი ქართველებისაგან არ განირჩევიან. საერთოდ ქართული ნაციონალიზმს ახასიათებდა მთის საკრალიზაცია. ეს უკავშირდება კვლავ ნაციონალიზმის იდეოლოგიის ერთ-ერთ უნივერსალიას, კერძოდ, ავთენტური თვითის ძიებას. მთას შემონახული აქვს ქართველობის ნამდვილი, თავდაპირველი სახე. სწორედ მთის მკვიდრ ლელთ ღუნიას პირით, რომ იქნა ილია ჭავჭავაძის მიერ გამოთქმული ქართული ნაციონალიზმის მთავარი იდეალი, სულაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. ფესვების ძიებისას ნაციონალისტებმა თვალი მიაპყრეს მთას.[24]

[24] ლიტერატურაში შენიშნული ამ პერიოდის ქართველთა პერცეფციებში მთის საკრალიზაციის ფაქტი და მისი კავშირი ერის იდეასთან: 'ვაჟასათვის საკრალიზებული მთა არის არა ნოსტალგიის გამომხატველი, არამედ მომავლის საქართველოს იდეური საყრდენი, მისი ხატება, რადგანაც მთაში შემონახული ეროვნული ტრადიციები, როგორც ხელუხლებელი სულიერი, განძი უნდა დაუბრუნდეს ბარსაც და გაწმინდოს თუ ბრძმედში გამოაწრთოს აქ ცოტა არ იყოს შემღვრეული თუ გაფერმკრთალებული ზნე-ჩვეულებანი'. იხ. პ. ჩხეიძე, რ. ჩხეიძე. კონსერვატიზმის ისტორია. პიტერ ვიერეკის თარგზე. თბილისი, 2011, გვ. 192. ქართველ ნაციონალისტებს მთის იდეალიზაცია სჭირდებოდათ იმისათვის, რომ მათ მიერ აქტუალიზებული ეროვნული ფასეულობების "აღმოჩენის" ადგილი მიეთითებინათ საზოგადოებისათვის. ისინი ახლად კი არ

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, *ივერიის* ფურცლებზე საზოგადო მოძრაობის გადმოცემა ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. ამ მიზნით ქვეყნდება *მოკლე განხილვა სლავიანების ეროვნებათა აღორძინებისა.*

წერილის მიზანია სლავების ეროვნული ისტორიის და მათი აღორძინების თვალის გადევნებით გამოიკვლიოს რამ განაპირობა ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა: რუსეთ-ოსმალეთის ომს ჩვენთვის უკვალოდ არ ჩაუვლია, შემოგვიერთდა ჩვენივე ტომის ხალხი, სწორედ ამ მოვლენის ახსნაა წარმოდგენილი სლავთა მოძრაობის ანალიზით. მითითებულია, რომ 'ამისთანა მოვლენის დროს ხელს არ მოგვცემს ლუარსაბივით ტახტზე გორაობა და პატივცემული ღიპისზედა მცონარობა აღარ გვარგია'. სლავების მოძრაობის შესწავლით მკითხველს მიეწოდება საყურადღებო დაკვირვებები ხალხთა შორის იმ დროისათვის არსებული განწყობილებების, მათ ურთიერთდამოკიდებულების და ეროვნებათა უფლებების დაცვის თაობაზე. სლავების მოძრაობა, ამ პუბლიკაციის მიხედვით, ეს იყო ხანგრძლივი მზადების შედეგი. პროცესი, რომელმაც მოამწიფა და გადმოხეთქა საზოგადოებაში. რამდენიმე საუკუნე სლავიანთა ეროვნებანი, ერთი მხრივ, ოსმალთაგან ისრისებოდნენ, მეორე მხრივ, გერმანელებისგან. ისინი შეიქმნენ დამცირებულნი, გვარ-ტომობა შეგინებულნი მაღალ და განათლებულ წოდებას მოშორებულნი. ავტორი ხაზს უსვამს, რომ მაღალი წოდების გარეშე მათი ტვინის მოძრაობა და მუშაობა მოისპო. მაგრამ სლავებში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გაიღვიძა თვითარსებობის გრძნობამ და დაიბადა მათი პან-სლავიანობად (ერთ-სლავიანობად) წოდებული შეკავშირების აზრი, რომელიც ქადაგებდა ერთი-ერთმანეთის დახმარებით სხვისი უღლისაგან თავის დახსნას და ერთი სლავიანური ოჯახის შექმნას. სლავების მოძრაობის გამოყენება სცადეს რუსოფილებმა, რომლებიც ქადაგებდნენ ოსმალებისა და გერმანელებისაგან სლავების განთავისუფლებას, მაგრამ თვითონ ძალიან მონდომებული იყვნენ გაერუსებინათ პოლონეთი, ბულგარეთი, სერბეთი რუსეთის ადმინისტრაციის და რუსული ენის შემოღებით.

რუსების სლავებთან შეჯახებამ დაანახა რუსის საზოგადოებას, რომ თუ რუსეთს აქვს უზენაესი დანიშნულება გაანთავისუფლოს

ქმნიდნენ ქართველთა ვინაობას, არამედ იმ უძველესი თარგის მიხედვით, რომელიც "შენახულია" მთაში ანუ ხალხში.

სლავები, მაგრამ იმისთვის არა, რომ დაჰყოს რუსეთის გუბერნიებად და ასწავლოს რუსული ენა, არამედ იმისთვის, რომ ისინი იყვნენ მართლაც თავისუფლები და ნებაყოფლობით დაუკავშირდნენ ერთმანეთს. სლავები გარდა რუსეთისა პოლონეთშიც დანაწილებული იყვნენ პატარა-პატარა ტომებად, რომლებიც სათითაოდ ცდილობდნენ დაეცვათ თავიანთი ეროვნობა, რადგან პოლონეთი ჯერ არ წამოადგენდა მჭიდროდ შეკავშირებულს და თანაბარ სხეულს. მაღალი წოდება და ხალხი ძალიან დაშორდა ერთმანეთს. მაღალი წოდება მიეცა განცხრომას და სხვა არაფერი აინტერესებდა. ეს არის დასახელებული პოლონეთის დანაწილების მიზეზად. ჩეხეთის მაგალითზე ასეთი ფაქტებია მოხმობილი. ჩეხი პატრიოტები დიდი გულისტკივილით აღნიშნავდნენ იმ ფაქტს თუ როგორ ანადგურებდნენ ჟანდარმები მოსახლეობაში ჩეხურ წიგნებს. მაღალი წოდება "განემეცდა", დედაენაზე საუბარს თაკილობდა. ჩეხური წიგნები არ გამოდიოდა. ჩეხ პატრიოტებს იმედი წაერთვათ, რომ ნახეს ასეთი დაცემა თავისი ეროვნებისა. მათ ეშინოდათ ჩეხები არ შერეოდნენ მთლიანად გერმანელებს. არ ჰყავდათ მზრუნველი და თავდადებული დამხმარე ენისა და ეროვნების დასაცველად. მაგრამ არც მარტო ენის შენახვით შეიძლება გამოწვეულ იქმნას ხალხის ძალა და დადგინდეს გონივრული ცხოვრება. ეროვნება, რაც უნდა მაცოცხლებელი იყოს, მაინც ვერ გაუმართავს ხელს ისტორიულ განვითარებას, თუ თავის ბუდეში ჩაიკეტა. მხოლოდ მოწინავე ხალხთა მეცნიერების და განათლების შეთვისება მოუპოვებს მას ადგილს ისტორიაში. მაგრამ სხვა ხალხთა ნაყოფი ეროვნების გულში უნდა ჩაინერგოს, უნდა შეიმოსოს ნაციონალურ თვისებით და ხასიათით. ასე რომ, ერთი მხრივ, შესწავლა და განმარტება ხალხის ყოფა-ცხოვრებისა, მისი ჩვეულებისა, ეკონომიური წყობილებისა და, მეორეს მხრით, მისი მონაწილეობა განვითარებულ ევროპის მეცნიერებასთან და ცხოვრებასთან შექმნის თვით-არსებობას (# 5).

ეს პუბლიკაციაც, ისევე როგორც *ივერიაში* გამოქვეყნებული სხვა არაერთი წერილი, ქართული ნაციონალიზმის საპროგრამო დოკუმენტად შეიძლება განვიხილოთ: აქ ხაზგასმულია ის უაღრესად საყურადღებო ფაქტი, რომ მარტო საკუთარი ეროვნება და საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა ვერ შექმნის ერს. პირიქით, თვითარსებობისათვის საჭიროა, ინტეგრაცია სხვა ერთა, კერძოდ, ევროპულ ერთა თანამეგობრობაში. უნდა

ითქვას (ამაში ჩვენ მრავალი სხვა პუბლიკაციაც დაგვარწმუნებს), რომ ერის რაობის იმგვარად სრულყოფილი ხედვა, როგორც ეს ჩანს *ივერიაში*, დღესაც არ არის საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილში და, მათ შორის, ქართული კულტურული ელიტის გარკვეულ ნაწილშიც კი. ანუ, ამ თვალსაზრისით, ერთგვარად უკან ვართ.

ივერიის პუბლიკაციები გვიჩვენებს, რომ წინა მოდერნის ეპოქის სისხლისმღვრელი საუკუნეების შემდგომ, მეცხრამეტე საუკუნეში სიმშვიდის ვითარებაში ქართული საზოგადოებრივი აზროვნება ნამდვილად გაიფურჩქნა, ქართული საზოგადოების განათლებული ნაწილისათვის მისაწვდომი და გასაგები იყო იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე მოწინავე აზრები.

ნომრის რუბრიკა *შინაური მიმოხილვა* იწყება რუსეთში არსებული მამებისა და შვილების ბრძოლის ჩვენში გავრცელების შესახებ ინფორმაციით. აღნიშნულია, რომ თვით ამ ახალ მოძრაობაშიც მოხდა გათიშულობა. ერთი ნაწილი დააკვირდა ჩვენი ქვეყნის ვითარებას და დაინახა ჩვენს ქვეყანას სულ სხვა სატკივარი აქვს, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი დაცემული ვინაობის ფეხზე დაყენებას და დაცვას ყოველი ფათერაკებისაგან. ახალმა გუნდმა მთელი თავისი ძალ-ღონე ამ საკითხის გადაჭრისაკენ მიმართა და მოუწოდებდა მთელ საზოგადოებას ამ მიმართულების გარშემო დარაზმვას:

> ყოველივე საქმე, ყოველი საგანი, რაც ჩვენი ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენი ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია, თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისკენ უნდა მოვუბრუნოთ თავი. ვაყენებთ თუ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებლად, თუ მასწავლებლად, თუ სადმე სხვად, მაგ მიმართულების სასწორზე უნდა ავწონოთ.

ეს მოწოდება სხვა არაფერია თუ არა ის, რომ ერის ყველა წევრი უნდა ჩადგეს ერის სამსახურში, ეს საჭიროა "ვინაობისათვის" ანუ იდენტობისათვის. როგორც ითქვა, ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბება არის ნაციონალიზმის ერთ-ერთი მთავარი იდეალი. წერილში მოხმობილია სლავების მაგალითი – სლავებმა, რომელთა ვინაობასაც სხადასხვა მტერი მოუვლინა ისტორიამ, სწორედ ამ მიმართულებით გაშალეს საქმიანობა საზოგადოებაში:

> თავისი ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად თავისი წარსული ხელახლა ააყენეს საფლავიდან, გამოჰჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოვლისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათ ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედვა. გაუცოცხლეს თავიანთ ერს პოეზიის შემწეობით დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურ-კაცობისა. მოაგონეს ისტორიის შემწეობით დავიწყებულნი სახელოვანი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გაჰწმინდეს, გაამლიერეს დედა-ენა, ჟამის ვითარებისაგან გაჰრყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი ... ერმა თავისი ვინაობა გაიგო და ფეხზე დადგა.

ეს მსჯელობა თითქმის სიტყვა-სიტყვით ეთანხმება თანამედროვე სოციოლოგიურ ლიტერატურაში ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის აღწერას და გააზრებას თავად ნაციონალისტების მიერ. ნაციონალისტები ერთობის წარსულზე მსჯელობას წარმოადგენენ, როგორც წარსულის მოგონებას საზოგადოებისათვის, მოგონებას გმირებისა, დიადი საქმეებისა. სინამდვილეში წარსულის ნარატივი ახალი აქცენტებით, ხშირად ეს გმირებიც სწორედ მათი შემოქმედებაა და წარსულის ესა თუ ის ფაქტი მათი ძალისხმევით ექცევა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში და ადრე მათ სულაც შეიძლება არ ჰქონიათ მაკონსოლიდებელი მაგალითის მნიშვნელობა. ნაციონალური ენობრივი სტანდარტის ჩამოყალიბებაც წარმოდგენილია როგორც ენის პურიფიკაციის პროცესი, ავთენტური მდგომარეობის აღდგენა. ერის წარმოშობა კი თვისებრივად ახალი ფენომენის წარმოშობად კი არ გაიაზრება, არამედ, როგორც ეს ამ პუბლიკაციაშიც არის, რეგენერაციად ანუ ვინაობის გაგებად (ეს ვინაობა ანუ იდენტობა, სინამდვილეში მრავალი აზრით, ახლადშექმნილია, მაგრამ ნაციონალისტი ამას აღდგენას და ფეხზე დადგომას უწოდებს). აქ კარგად ჩანს, რაოდენ მართებულია ე. სმითის მეტაფორული თქმა იმის თაობაზე, რომ ნაცონალისტები მოღვაწეობენ როგორც "პოლიტიკური არქეოლოგები", რომლებიც თავიანთი ერებისათვის აღმოაჩენენ წარსულს.

სოციალური ჰარმონიის მტკიცება ახასიათებდა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ნაციონალიზმს და, კერძოდ, ილიას ნაციონალიზმს. მამათა და შვილთა დაპირისპირება საერთოდ დამახსიათებელია ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესისათვის.

აქვე საზოგადოებრივი განსჯის საგნად არის ქცეული პეტერბურგში ახალი იმპერატორის კურთხევაზე წარგზავნილი ჩვენი დეპუტატებისაგან კონვოელებისათვის ვენზელების მოთხოვნა. მაშინ როდესაც ამავე შეკრებაზე პოლონელები მოითხოვდნენ თავიანთი ენის თავისუფლებას სასამართლოებში და სასწავლებლებში თავიანთი დედა-ენის შემოღებას. ამ ფაქტმა აღაშფოთა ქართული საზოგადოება. ამ ეპიზოდით კორესპონდენციაში წარმოდგენილია საზოგადოებრივი პერცეფციები. ქართული საზოგადოებისთვის მტკივნეულია ის ფაქტი, რომ ჩვენი დეპუტატები პოლონელების მსგავსი თხოვნით არ წარსდგნენ პეტერბურგში (# 5).

რამდენიმე წერილი მიეძღვნა *ივერიაში* რუსეთში განვითარებულ მოვლენებს: ხალხის ყოფა-ცხოვრებას, მოხელეთა უსამართლო ქმედების გადმოცემას (ზასულიჩის სასამართლო პროცესის მაგალითზე), ნაროდნიკულ მოძრაობას, ალექსანდრე II-ის მკვლელობას. ზოგიერთ მათგანზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. რაც შეეხება ალექსანდრე II-ის მკვლელობას, ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოქვეყნდა, როგორც პირდაპირ მკვლელობასთან დაკავშირებული, ასევე ამ ფაქტის განმაპირობებელ გარემოებებზე მსჯელობის მომცველი სტატიები. იუწყება რა მეოთხე ნომრის ჩანართი ფურცელი ამ მკვლელობის თაობაზე, ყუმბარის მსროლელის შესახებ ჩართულ ინფორმაციაში მიუთითებს, რომ ერთ-ერთი მსროლელი რისაკოვი იყო რევოლუციონერი, ე.ი. იმ პარტიის მომხრე, რომელსაც უნდა აწმყო საზოგადოება სრულიად შესცვალოს.

ხელმწიფის მკვლელობაში მონაწილე ოთხი კაცი და ორი ქალი გასამართლებულ იქნა და 29 მარტს სასამართლომ ექვსივე დამნაშავეს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. აქედან ხუთი ჩამოახრჩვეს 3 აპრილს, ერთის, გელფმანის ქალის ჩამოხრჩობა გადადეს ორსულობის გამო.

მომდევნო ნომერში ქვეყნდება გ. თუმანიშვილის წერილი *ხელმწიფის მკვლელები*. წერილში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ხელმწიფის მკვლელები იყვნენ ყველასგან პატივცემული დასის და საზოგადოების წარმომადგენლები. ამ შეფასებას ავტორი იძლევა ხელმწიფის მკვლელების წარმომავლობის ანალიზით. მაგალითად, კიბალჩიჩის შესახებ აღნიშნულია, რომ ის სტუდენტობის პერიოდში დაუპატიმრებიათ გლეხებში მმართებლობის საწინააღმდეგო წიგნების გავრცელების გამო. მისი რევოლუციური სულისკვეთება

გამოწვეული ყოფილა უსამართლო დამოკიდებულებით, რამაც გააბოროტა და გახადა ხელმწიფის მკვლელობის მონაწილე.[25] აქვე აღნიშნულია, რომ მას სურვილი ჰქონდა ხალხში გასულიყო და ეზრუნა გლეხკაცის ზნეობის და გონების გახსნაზე, რაშიც მმართებლობამ შეუშალა ხელი 'ეხლა აღარც ამდენი აღელვება იქნებოდა და არც ამდენი სისხლი დაიღვროდა; არ დაგვბრალდებოდა ეხლა არც ხელმწიფის მოკვლა. ჩვენ დღემდის მუშებსა და გლეხებს შორის ვიქნებოდით. იმ გამჭრიახობას, რომელიც მომინდა ასაფეთქ იარაღების მოსაგონებლად მიწის უკეთესს შემუშავებას, სამეურნეო იარაღების გაუმჯობესებას მოვახმარებდიო'.

ხალხის ცხოვრების შესწავლა მოტივირებს პეროვსკის ქალის ჩვენებაშიც. იმპერატორის მკვლელობის ინიციატორი ყოფილა ანდრია ჟელიაბოვი. ის, ისევე როგორც მისი თანამოაზრენი, ხალხის ქომაგი ყოფილა, თვითონაც წარმომავლობით გლეხის შვილი. როგორც წერილიდან ჩანს, მას მიაჩნდა, რომ ხალხის სენი მდგომარეობდა სიღარიბეში. მისი მიზანი იყო არა ხალხის აღელვება მმართებლობის წინააღმდეგ, არამედ ზრუნვა ხალხის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ამ მიზეზებით იქნა დაპატიმრებული ჟელიაბოვი. ამ ფაქტმა განაპირობა მისი ხელმწიფის მკვლელობაში მონაწილეობა (#5).

ივერია აქვეყნებს პოლემიკურ წერილებს *ცხოვრება და კანონის* შესახებ სათაურით *უსაფუძვლო წადილი.* ი. ჭავჭავაძე თვლის, რომ აუცილებელია კამათი გაიმართოს თანამედროვეობის ისეთ აქტუალურ პრობლემებზე, რომლებიც გატარებულ რეფორმებს შეეხება. ეს გარემოება აღსანიშნავია იმ თვალსაზრისით, რომ, ერთი მხრივ, მოპაექრეების განსჯის და ზრუნვის საგანს წარმოადგენს საზოგადოებრივი კეთილდღეობა; მეორე მხრივ, მედია თავის დანიშნულებას ასრულებს და საჭირბოროტო საკითხებზე დისკუსიით კრავს ერთობას.

მოპაექრე ნ. ხუდადოვი შენიშნავს, რომ გლეხთა მეოთხედობის უფლებით განთავისუფლებისას უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს არა ჩვეულების ძალას, როგორც ამას ი. ჭავჭავაძე მიუთითებდა, არამედ

[25] სპეციალურ ლიტერატურაში გ. თუმანიშვილის თვალსაზრისი არამართებულად იქნა მიჩნეული (ნ. ტაბიძე. ილია ჭავჭავაძის *ივერია* (1877–1885). თბილისი, განათლება, 1977, გვ. 193-194).

მიწის გადასახადის შემსუბუქებას, მიწის უქონელი გლეხებისათვის მიწის მიცემას და შემსუბუქებული ტყისა და საძოვრის გადასახადის დადებას (# 6).

გლეხთა განთავისუფლების შესახებ 1865 წელს გამოსული წესდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტია საქართველოს ისტორიაში. ამიტომაც მართავს *ივერია* ამ საკითხებზე დისკუსიას, რადგან საკითხზე მსჯელობა და საზოგადოებრივი განხილვა მართებული გზის გამოძებნის საუკეთესო საშუალებაა. გარდა ამისა, პოლემიკური წერილების ბეჭდვა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჟურნალი არ ზღუდავდა საწინააღმდეგო აზრის გამოთქმის თავისუფლებას. ნ. ხუდადოვი წოდებათა მშვიდობიან თანამშრომლობას შეუძლებლად მიიჩნევდა. ეპაექრებოდა ი. ჭავჭავაძეს წოდებათა შერიგება-თანასწორობის საკითხში. ამის დასტურად ისევ მისივე ნაწარმოებებს მოიხმობდა (# 7).

საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის ზრუნვას ემსახურებოდა საადგილმამულო ბანკების საქმიანობა. ამჯერად კორესპონდენცია შეეხება ქუთაისის საადგილმამულო ბანკის კრების განხილვას. კრებას დასავლეთ საქართველოს 800-მდე თავადაზნაური და 400-ზე მეტი გარეშე პირი ესწრებოდა და საერო საქმეს იხილავდა. ბანკის დანიშნულება, მისი საქმიანობის ამსახველი კრების მნიშვნელობა ასეა ახსნილი ხელმოუწერელ წერილში:

> ეს კრებებია ის აკვანი, რომელშიაც ძვალ-რბილი უნდა გაიმაგროს და სათუთად, დიდის მეცადინეობით ღირსეული ფორმა მიეცეს ჩვენს ნიჭს ეროვნობისას, საზოგადოებრივის ცხოვრებისათვის მოსახმარებელს, მამულის სვე-ბედის განკარგების მისწრაფებასა, საერო სიმხნეს და მოქმედებრივს მამაცობას, რომ ეს თვისებანი მზა-მზარეულად დავუხვედროთ დიდებულ, მომავლის ცხოვრების მოთხოვნილებას.

კვლავ ქართული ნაციონალიზმის ისტორიის ღირშესანიშნავ წყაროსთან გვაქვს საქმე. "ეროვნობის ნიჭი" ანუ ერადყოფნის უნარი უნდა გამოვლინდეს იმგვარად საჯარო ადგილას, როგორიც არის ბანკის კრება. აქ განსაკუთრებით კარგად ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული ბანკი მარტო ფინანსური დაწესებულება არ იყო იმდროინდელი საქართველოსათვის. ეს იყო ახალი საჯარო სივრცე ე.წ. "ქართული პარლამენტი". სწორედ ახალი საჯარო სივრცეების გაჩენა

არის განმანათლებლური პროექტის (და, შესაბამისად, ნაციონალიზმის პროექტისაც) რეალიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ინდიკატორი.

კრებაზე წარმოდგენილ იქნა საზოგადო საჭიროებისათვის გადადებული თანხის განხილვის საკითხი. ამ განაწილების გამო ატეხილი კამათი თვალსაჩინოდ წარმოადგენდა საზოგადოების გონებრივ და ზნეობრივ მდგომარეობას: ერთის მხრივ, გამოიკვეთა შვილთა აღზრდისა და განათლების ძლიერი წადილი და ერთობლივი სურვილი; მეორეს მხრივ, ღრმა ამოუცნობელი ხევი უმეცრებისა, რომელიც ხელ-ფეხს უკრავს ჩვენს საზოგადო, საერო მოღვაწეობას. 'მართალია კრების დევიზი "სკოლა და შვილების აღზრდა!" იყო, მაგრამ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ საზოგადოების უმრავლესობა რასაც არ ერქვა სკოლა ან ღარიბ მოსწავლეთა დახმარება, გროშსაც არ იმეტებდა'. ამგვარად, უარი ეთქვა დახმარებაზე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ბროსეს პრემიის გაცემას. კორესპონდენციიდან ვიტყობთ, რომ კრებაზე დასმულ იქნა დედა-ენაზე სწავლების საკითხიც. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია ნ. დ. ყიფიანის წინადადება საქალებო გიმნაზიისათვის იმ პირობით შეწევნის თაობაზე, თუ ქართულ ენაზე სწავლებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეოდა (# 7).

წერილი *უმეცრების ამაყობა*, შეეხება ყმაწვილთათვის პირველდაწყებითი საკითხავი წიგნის *დედა-ენის* შესახებ *იმედის* ფურცლებზე გამოქვეყნებული კრიტიკული კორესპონდენციის განხილვას. წიგნის და აღნიშნული პასუხის ავტორი ი. გოგებაშვილი მკითხველ საზოგადოებას, მოპაექრეს ფსევდონიმით გადაღმიელი (ანთიმოზ ჯუღელი) პასუხთან ერთად, წარმოუდგენს *დედა-ენის* მნიშვნელობას. *დედა-ენა* შედგენილია წესისა და რიგის მიხედვით შინაგანი კავშირებით ერთმანეთთან შერწყმული მასალებისაგან, სადაც პატარ-პატარა ზღაპრებთან, იგავ-არაკებთან, ლექსებთან, საბავშვო მოთხრობებთან ერთად მოცემულია სასაუბროები, ანდაზები, გამოცანები, ენის გასატეხი გამოთქმები. სასაუბროებს წინ უძღვის ერთმანეთთან აზრობრივად კავშირში მყოფი სტატიები. ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ ამგვარი წყობით *დედა-ენის* შედგენა და ყმაწვილთათვის მიწოდება განაპირობა ჩვენი მშობლიური ენის მნიშვნელობის დამცრობამ. პირველდაწყებითი საკითხავი წიგნის ამგვარი შედგენით ავტორი აიძულებს მასწავლებლებს წერა-კითხვასთან შეაერთონ საგნების

შესწავლა და ქართული ენის პროგრამა ჯეროვნად გააფართოონ (## 6, 7).

სწავლა-განათლების საკითხებზე მსჯელობა გრძელდება *შინაურ მიმოხილვაში* (ავტორი ილია ჭავჭავაძე). ამჯერად ამ თვალსაზრისით არსებულ სავალალო ვითარებაზე მეტყველებს სწავლა-განათლების მზრუნველის 1880 წლის ანგარიში. ანგარიში ადასტურებს, რომ ქართველები ნაკლებად იჩენდნენ სწავლა-განათლების სურვილს. გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების 52 კურსდამთავრებულთაგან 24 იყო რუსი, 15 სომეხი, 4 ქართველი, 1 თათარი, 1 მთის მცხოვრები, 7 ევროპელი. გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში 17 ქართველზე მეტი არ სწავლობდა, მაშინ როდესაც რუსი 49-ზე მეტია. ქართველთა სწავლა-განათლებისადმი ასეთი დამოკიდებულების მიზეზად დასახელებულია რამდენიმე ფაქტორი – პროგრამების უთავბოლობა და სწავლა-განათლებისათვის არასაკმარისი თანხების გამოყოფა. ამასთან ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია ის გარემოება, რომ ქართველები უმეტესად სოფლებში ცხოვრობენ, სასწავლებლები ქალაქებშია. რუსები თანამდებობების მქონენი და სომხები, როგორც ვაჭრები, ქალაქში ცხოვრობდნენ, ამიტომაც ეადვილებოდათ შვილების სწავლა-განათლების საქმე. ასევე, სომეხი და სხვა ეროვნების ხალხის სწავლისადმი ინტერესის მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ის, რომ განათლების საკითხს დიდად უჭერდა მხარს მათი სამღვდელოება, სკოლებს მართავდნენ თავიანთ სამწყსოში და პირველ ხანებში ბავშვს დედა-ენის შემწეობით უხსნიდნენ გონებას. ქართველები ასეთ შემწეობას მოკლებულნი იყვნენ, რადგან ქართველი სამღვდელოება ამგვარ საქმისთვის უღონო იყო. ჩვენი სამღვდელოება თვითონ იწვრთნებოდა ისეთ სემინარიაში, სადაც დედა-ენას იმ ერისას, რომელთა შორისაც უნდა იმოძღვროს კურსდამთავრებულებმა, სათანადოდ არ ასწავლიდნენ. ამ მიზეზით უქმი შეიქნა ჩვენი სამღვდელოება არათუ შემწეობის თვალსაზრისით, არამედ ქადაგების საქმეშიაც. ამიტომაც დედაენის სწავლების საკითხის გადაწყვეტა აუცილებელი და მნიშვნელოვანი იყო და საერთო ეროვნულ ხასიათს იძენს. რადგან შესაძლოა საკითხისადმი უყურადღებობას იქამდე მიეყვანა ქართველი ხალხი, რომ ერი იძულებული შეიქმნებოდა თარჯიმნის შემწეობით გაენდო მოძღვრისთვის აღსარება. საეპარქიო სამღვდელოების დეპუტატებს შეკრებაზე დაუსვამთ კიდეც სასულიერო სასწავლებელში ქართული

ენის რიგიანი სწავლების საკითხი ‘რადგან უენო მოძღვარი მოძღვრობას ვერ იზამსო. პასუხად უთხრეს, აბა ჯიბეს ხელი გაიკარითო, ქისებს პირი მოხსენით და მერე ვიფიქრებთო. პასუხი თუ გინდათ ეს არის. ამისთანა პასუხი ასე მძიმე საგანზედ მარტო იმის პირისაგან თუ ამოვა, რომელსაც საქმისათვის გული აღარ უცემს’ – აღშფოთებული წერს ილია ჭავჭავაძე და დასძენს ‘ენა ერისა იმოდენად საჭიროა ერის მოძღვრისათვის, რომ სამღვდელოებამ თვითონაც არ ინდომოს მთავრობამ ძალად უნდა მოანდომებინოს და თუ მაგისთვის საჭიროა ხარჯი, თვითონ მთავრობამ უნდა იკისროს’. საოცარი სარკაზმით აღწერს ილია მთელი ამ კრების ისტორიას. ასეთი შეკრებების განხილვის საგანი, როგორც წესი, ყოველთვის წინასწარ ყოფილა ცნობილი, რათა მოიფიქრონ და მოიაზრონ კრებისათვის დანიშნული საგნები. დეპუტატებს არც სცოდნიათ რისთვის იყვნენ მოწვეულნი, ოთახიც კი ძლივს უშოვიათ კრების გასამართად. გაკვირვებით შენიშნავს ილია:

> ყველაფერი გაგვიგონია ჩვენს ბედნიერს ქვეყანაში და ამისთანა სასაცილო ამბავი კი პირველია. ეჰ, კურთხეულო რუსთაველო! შენ რამდენი ხანია გითქვამს “კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია?” (# 7).

ყურადღებას იქცევს მხატვრული ქმნილება *ბაგრატიონების დიდება. მესტვირული პოემა*. პოემაში კრიტიკულად არის შეფასებული ბაგრატიონთა სამეფო გვარის და, კერძოდ, ერეკლე II-ის მმართველობა. პოემაში ასახულია: სამეფო სახლის წევრებს შორის ბრძოლა ტახტისათვის, დარეჯან დედოფლის თავნებობა, ერეკლე მეფის პოლიტიკური ორიენტაცია, კრწანისის ბრძოლის ამსახველი ეპიზოდები (# 8).

როგორც ითქვა, *ივერია* ხშირად მიაპყრობდა ყურადღებას საქართველოს ისტორიის ამ პერიოდს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ქართულ საზოგადოებას არ ასვენებდა ფიქრი იმაზე, თუ რამდენად მართებული და გარდაუვალი იყო ის ნაბიჯი, რომელიც ქვეყნის ბედის რუსეთთან დასაკავშირებლად გადადგა ერეკლე მეორემ.

ზემოთ განხილულ კორესპონდენციებში თვალსაჩინოდ არის ასახული ქართული ერთობის ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული პრობლემები: ჩამორჩენილობა, გაჭირვება, ენის ფუნქციის იგნორირება, ინდიფერენტული საზოგადოება, რუსული რეჟიმის მიერ გადაგვარებული სასულიერო თუ საერო თანამდებობის პირები. ასეთი იყო სურათი

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოსი, როდესაც ი. ჭავჭავაძე სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა.

ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებისათვის ბრძოლაში ი. ჭავჭავაძეს გვერდში ამოუდგნენ მაშინდელი მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია ი. გოგებაშვილს.

საზოგადო განსჯის საგანი გახდა მეთვრამეტე საუკუნეში ქართველთა ჩამორჩენილობის მიზეზები. საზოგადოების ნაწილი უმეტესად ბაგრატიონთა სამეფო სახლის დაწვრილმანებას, გაფუქსავატებას და დაუძლურებას მიაწერდა მთელ ერის ჩამორჩენას და ამას საზოგადო სენად მიიჩნევდა. აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ამ განხილვებში ი. გოგებაშვილი. წერილში *რანი ვიყავით გუშინ*? ზემოთ აღნიშნულ თვალსაზრისს შეცდომად მიიჩნევს და საზოგადოებას განსხვავებულ აზრს სთავაზობს. ავტორი ჩამორჩენილობის მიზეზებს ეძიებს არა წარსულში, არამედ თანამედროვეობაში. მას სწამს, რომ ახალი გარემოებებით მდგომარეობაც შეიცვლება და ქვეყანა პროგრესის გზას დაადგება.

განიხილავს ერეკლე მეფის ეპოქას. მეფის სისუსტეებს იმერეთის ტახტის შემოერთების საკითხში. აღნიშნავს იმასაც, რომ მართალია, ერეკლე მეფე წინ აღუდგა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებას, იმ მიზეზით, რომ თავის შვილიშვილისთვის არ ეწყენინებინა და არ მოეკლო იმერეთის ტახტზე "ფარფაში". მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, აღნიშნავს ავტორი, რომ თვით საქართველოს ტახტის მემკვიდრემ გიორგიმ 'უბრალო უსიამოვნების გამო მამასთან, განსაცდელის ჟამს არ მიაშველა ერეკლეს ქიზიყიდან ჯარი სპარსელების წინააღმდეგ და შეიქმნა თავისი ქვეყნის აღა-მაჰმად-ხანისაგან აოხრების მიზეზი; იმის მაგივრად რომ ქვეყანას პატრონად მოვლინებოდა, გიორგი მეფე მთელ თავის დროს, ერთი მხრივ, ზაქის ხორცის შექცევაში და მეორე მხრივ, ხატების მთხვევასა და ბერულ ჩხირკედელაობაში ატარებდა, იმ დროს, როდესაც საქართველოს ყოველი მხრით აოხრებდა მტერი'. ასევე მკაცრად აფასებს გიორგის მემკვიდრეს დავითს ი. გოგებაშვილი. იმის ნაცვლად, რომ ქვეყნისთვის ეპატრონა, თავის რენეგატობის უფლებას პიროვნული ჯავრის ამოსაყრელად ხარჯავდა და საპყრობილეში სვამდა შორსმჭვრეტელ მამულიშვილებს. სამეფო სახლის სხვა წევრებიც ერთმანეთის მტრობით ყოფილან

დაკავებულნი და ამ მიზეზით საქართველოს მოსისხლე მტრებსაც კი უკავშირდებოდნენ. ავტორი ასკვნის, რომ ამ დროისათვის ბაგრატიონთა სამეფო გვარი ქვეყნის სიკეთეს არ ემსახურებოდა, ზრუნავდა მხოლოდ წვრილმან პიროვნულ სარგებლობაზე და მსხვერპლად სწირავდა ერის სარგებლობას, ხალხის ინტერესებს. ძალიან საინტერესოა, რომ აქ მეფობის დესაკრალიზაციის ცდა გამოსჭვივის, რაც მოდერნის ეპოქის ძალაში შესვლის ერთ-ერთი ინდიკატორია.

ვაჟკაცობა, გულადობა და მამულისათვის თავდადება მძიმე ისტორიულ წარსულს ვერ შეეცვალა და ძველებურად ღვიოდა ქართველთა გულში. წარსულ საუკუნეში რუსეთის ჯარზე მამაცი არ მოიპოვებოდა, მაგრამ ქართველებმა არა ერთხელ დაამტკიცეს, რომ ისინი მამაცობით და შეუპოვრობით უკან არ ჩამორჩებოდნენ სუვოროვის სკოლაში გამოწვრთნილ თანამორწმუნე ლაშქარს. ამ მხრით მეტად შესანიშნავია ასპინძის ომი და აღა-მაჰმად-ხანთან ბრძოლა, რომლის დროსაც გმირული თავდადება გამოიჩინეს ქართველებმა მამულისათვის: 'ვფიცავ ჩემს ღმერთსა, რომ ჩემს მტრებში ჯერ ამისთანა მამაცი და შეუპოვარი მეომარნი არ მინახავს', – წამოიძახა აღა-მაჰმად-ხანმა, როცა ნახა ერთმა მუჭა ქართველმა ჯარმა პირველი შეტევით მუსრი გაავლო მის უმრავლეს ჯარს. როგორც სხვა დროს ამ ბრძოლაშიაც გლეხთა გამოიჩინეს ისეთივე თავგანწირული ვაჟკაცობა და მაღალი სიყვარული მამულისა, რომლითაც იყო შემკობილი თავადაზნაურობა. ამის მაგალითია ვაჟკაცური თავდადებულობა მამულისათვის სამასი არაგველი გლეხისა. ქართველთა ვაჟკაცობა და მამაცობა ევროპაში ყოფილა განთქმული. თვით ფრიდრიხი, სამხედრო გენიოსი, ძლევამოსილი მებრძოლი მთელი ევროპისა, თავის ჯარს ქართველების მამაცობას მაგალითად უდებდა და ეუბნებოდა: იბრძოლეთ ისე შეუპოვრად, როგორც იბრძვიან ერეკლეს ივერნიო.

ძალიან საგულისხმოა ავტორის ცდაც მამულისათვის თავდადებულ გმირთა გალერეას შემატოს ხალხის წარმომადგენლები. მარტო მეფეები და თავადზნაურობა კი არ იყვნენ მამულისათვის თავდადებულნი, არამედ გლეხობაც.

> თუმცა საქართველოს მდგომარეობა დიდ ხანს იყო იმგვარი, რომ ითხოვდა მხოლოდ ხმლის მღელვარების ხელოვნებას და სრულიად არ უწყობდა ხელს პოლიტიკური აზრების აღზრდას, მაგრამ მაინც მეთვრამეტე საუკუნის დამლევს საქართველოს ჰყავდა შორს-გამჭვრეტელობით და ნამდვილი

> სახელმწიფო ჭკუით შემკობილი მამულიშვილები, რომელთაც კარგად ესმოდათ, ერთი მხრივ, რუსეთთან პოლიტიკური კავშირის დიდი მნიშვნელობა, მეორეს მხრივ, გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ეროვნების გზის დატოვება, ნაციონალურთა ძალთა უარყოფა, თვით-მმართველობის გაცვლა შინაგან და გარეგან დამოკიდებულებაზე, ერს აყენებს დაუძლურების, დაწვრილმანების გზაზე, მიჰყავს იგი უკან ყოველმხრივ, და თუ დროზე არ უშველა ამ პრობლემას, არ მოიპოვა სრული თვითმმართველობა, არ დაისაკუთრა შინაური ბატონობა და არ მიეცა ნაციონალურ ძალთა და ღონეთა გაძლიერებასა და აღორძინებასა, უსათუოდ გამობირდება, გაფუქსავატდება, დაეცემა, დაკარგავს გონების და ზნეობის ძალას, მოაკლდება თავისუფლებასა და გარდაიქცევა პროლეტარიატის ნახირად.

აქაც, როგორც ვხედავთ, ნაციადყოფნის ანუ ეროვნობის არსი გაგებულია მართებულად. ნაციონალური ავტონომიურობის იდეალი განსაკუთრებით გამოკვეთილია.

ქართველ ნაციონალისტთა აზრი, ნ. ბარათიშვილიდან მოკიდებული, უტრიალებდა ს. ლიონიძის პოზიციას. ამ პიროვნებას ეხება ი. გოგებაშვილიც. სოლომონ მსაჯული მამულიშვილური წანასწარმეტყველური შეუცდომლობით უხატავს მეფეს საქართველოს მომავალ ბედს, როგორც მიუცილებელ შედეგს იმ წინდაუხედავი პოლიტიკური წადილისა, რომელიც გაუზიარა ერეკლე მეფემ მას.

განხილულია სოლომონ ლიონიძის მოქმედება მეფე გიორგის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, როდესაც ჩვენი ქვეყნის გარემოება მომეტებულად აირია. სოლომონ ლიონიძე 'ვითარცა ლომი გარემოცული მტერთაგან, იბრძოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, თვალებს უხელდა დაბრმავებულთა, აფხიზლებდა მიძინებულთა, გონზე აყენებდა მოტყუებულთა და შეარიგებდა მეამბოხეთა'.

ს. ლიონიძის პატრიოტული სიმხურვალე იმდენად ძლიერი იყო, რომ გადაედო თვით იოანე ორბელიანს, სარდალს, დავით მემკვიდრის მტერს და დაავიწყა მისი პიროვანი მტრობა. 'ვუწოდებ მას, პატიოსნებისა გამო მაღლისა დროთა ამათ, ფაბრიციოს ქართველთა', ამბობს ავტორი 'და ვითარცა მტკიცე და შეურყეველი, იქმნა ნამდვილ ქართველთა ერისა და ისტორიის კატონად' (# 8).

ავტორი ეხება მეთვრამეტე საუკუნეში ქართველების განათლების საკითხსაც. წერილში ვრცლად არის მიმოხილული ამ თვალსაზრისით არსებული ვითარება საქართველოში, წარმოჩენილია საერო თუ

სასულიერო პირების დამსახურება ამ საქმეში. ხაზგასმულია, რომ სწავლება დედა-ენაზე წარმოებდა და სასულიერო სემინარიების მთელი სისტემა ნაციონალურ ნიადაგზე იყო დამკვიდრებული. სასულიერო სემინარიები ზრდიდა ისეთ პირებს, რომლებიც შემდგომ გამოდიოდნენ შესანიშნავი სწავლულნი, სახელოვანი მქადაგებელნი და ჭეშმარიტი მწყემსნი ერისა. საინტერესო ცნობებს მოიხმობს *გიორგი მეცამეტის ცხოვრებიდან*. მიუთითებს, რომ თვით გიორგი მეფე დაივლიდა სასწავლებლებს, სცდიდა სწავლაში მოწაფეებს, ასაჩუქრებდა გამორჩეულებს და მამობრივ დარიგებას აძლევდა. ამ მაგალითების მოხმობით ადასტურებს იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ქვეყანა ღარიბი არ იყო ნასწავლი და განათლებული პირებით. სასულიერო წოდებას ამხნევებდა და ფრთას უშლიდა ის გარემოება, რომ მას თავს უდგა არა შორიდან გადმოვარდნილი პირი, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს ქვეყანასთან, რომელიც ავი თვალით უყურებს ყოველგვარს ნაციონალურს, არამედ მამულიშვილი, შეკავშირებული თავის სამწყსოსთან სულის, გულის მრავალი ძაფებით, მოყვარე თავისი ქვეყნისა.

ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ 'მეთვრამეტე საუკუნის საქართველო, მიუხედავად ზემოთქმულისა, საღ სახელმწიფო ორგანიზმს არ წარმოადგენდა. იყო დასუსტებული, მის შვილთა შორის დიდი იყო უმეცრება', გავრცელებული იყო აზიური წესები. მაგრამ გულგატეხილი არ ყოფილა. დიდი იყო მონდომება მტკიცედ დასდგომოდა განათლების, თავისუფლების, პროგრესის გზას. ამისთვის საჭირო იყო 'ერთობა ქართველთა ტომთა, მოკრება აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველოსი ერთის მძლავრის მარჯვენის ქვეშ'. მთელი ქართველი ერი, ყოველი მისი წოდება გრძნობდა ერთობის აუცილებლობას, მის დიდ სარგებლობას. გულით და სულით იყო მოწადინებული შეედგინა ერთი სახელმწიფო დაღესტნის საზღვრებიდან დაწყებული ვიდრე შავი ზღვის კიდეებამდის. ერთობას მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევდა ის გარემოება, რომ გაუვალი კედელი, რომელიც აღმართა საქართველოსა და ევროპას შუა ოსმალეთის მფლობელობის დამკვიდრებამ შავ ზღვაზე, შემუსვრილ იქნა რუსეთის მიერ და ამის შემდეგ ეს ზღვა წარმოადგენდა ფართო, მძიმე, განიერ გზას საქართველოს ერის დაახლოებისათვის, დაკავშირებისათვის აყვავებული ევროპის ერებთან. ეს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ჩვენებს და ამიტომაც პირველივე შემთხვევისას მოითხოვდნენ საქართველოს გაერთიანებას.

ეს მოხდა 1790 წელს, როდესაც იმერეთიდგან დესპანები მოვიდნენ თბილისში. ამ დესპანების მოსვლა, სახელმწიფო კრება ერეკლეს სასახლეში, ცხარე ბაასი და ხანგრძლივი სჯა საქართველოს გაერთიანების შესახებ, ისეთი შესანიშნავი ფაქტია ჩვენს ისტორიაში, ისე ცხადად გვიხატავს, ერთი მხრივ, ჩვენი ერის გონიერებას და სახელმწიფო პოლიტიკას და მეორე მხრივ, სამეფო სახლის ეგოიზმს, წვრილმანობას, რომ დაწვილებით გადმოგვცემს ყოველივე ამას ი. გოგებაშვილი, რათა თვალსაჩინოდ წარმოუდგინოს მკითხველს არსებული ვითარება და ამით არგუმენტებით დაასაბუთოს თავისი შეხედულება.

> ერთობას თხოულობდნენ ყველანი: გლეხნი, აზნაურნი, თავადნი, სამღვდელონი, იმერნი და ამერნი. თვით მთავართა გურიისა და ოდიშისათა სწყურიათ შეერთება მცხოვრებთა გლეხთაცა იციან და უხარიათ, ამერნიც ისეთივე მხნეობით და შორს გამჭვრეტელობით მოითხოვდნენ საქართველოს გაერთიანებას, როგორც იმერნი. *გიორგის მუცამეტის ცხოვრებაში* აღნიშნულია, რომ 'პირველი და ძლიერი ხმა საქართველოს ერთობისთვის იყო ჭაბუა ორბელიანი ... ბრძენი ჭაბუა ასმენდა ქუხილისა სიტყვებით დიდსა საქვეყნოსა სარგებლობას; ნუ ჰყოვნი მეფეო! იტყოდა ჭაბუა. ერი იმერთა ითხოვს ერთობას და კავშირსა; ვითარ ეტყვის მეფე უარსა? მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის. ვიცი და მესმის აზრი თქვენი მეფეო! ვითარ მოვუღო მეფობა შვილიშვილსა ჩემსა? ესეთი აზრი უეჭველად არის უსარგებლო ქვეყნისათვის, დამღუპავი ქვეყნისა ... ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა, ძლიერება მეფობისა არის ერთად დაკავშირება'.

ამ ბრძნულ წადილს წინ აღუდგა წვრილმანი ანგარიში მაშინდელი ფეოდალებისა, რომელთაც ერთობა და მეფის გაძლიერება არაფრად ეპიტნავებოდათ. მეფე დუმდა. მეფის დუმილის შემდეგ მუხრანბატონმა მოახსენა კრებას: 'დაკავშირება იმერეთისა დიაღ ძნელიაო. ჩვენ ქართველთა ვერ მოგვივლია ჩვენთვის, ვითარ მოვუაროთ იმერეთსა? რად ვექმნათ ბატონათ ქვეყანასა, რომელსაც ჰყავს საკუთარი ბატონი, შვილიშვილი მეფისა?' მაშინ დავით სარდალმან, ერთმა გულწრფელ პატრიოტთაგანმა განრისხებული ხმით წარმოთქვა: 'მართლად აღიარებს მუხრან-ბატონი, რომ ვერ მოუვლის დღეს ის ქვეყანასა თვისის ხმლითა და ბაირაღითა. მოვა დრო და მოსცემს ღმერთი სხვასა მუხრანისბატონსა, რომლის ხმალი უფრო მჭრელი იქნება'.

ავტორი ეხება დარეჯან დედოფლის პიროვნებასაც, რომლის ქმედებანი საქართველოსათვის წარმოდგენილია, როგორც საბედისწერო.

საქართველოს ერთობას საფრთხეს უქმნიდა დარეჯან დედოფალი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ერეკლე მეფეზე და სახელმწიფო საქმეებშიც ერეოდა. ერთ-ერთი მაგალითი არის მეფის ანდერძი, რომლითაც ერეკლე თავის პირმშო შვილის გიორგის შვილს გამოსწირავდა სამეფო ტახტს და დაუმტკიცებდა დარეჯანის უფროს შვილს. ამით იცვლებოდა მემკვიდრეობითობის ტრადიცია და მკვიდრდებოდა ოსმალური წესი. ავტორის შენიშვნით, 'ეს ანდერძი სრულიად გვარწმუნებს, რომ ერეკლე, შემკული მრავლითა სამაგალითო სამხედრო თვისებითა და სახელგანთქმული ვაჟკაცურ ხმლის მღელვარებითა, ჩვენდა საუბედუროდ, ნადირ-შახივით და მეთორმეტე კარლოსისავით, მოკლებული იყო პოლიტიკურ შორს გამჭვრეტელობასა'.

ტახტის მემკვიდრე გიორგიც ახსენებდა მეფეს: 'ხელმწიფეო ჩემო! შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა; თუ გნებავთ უძლეველობა ქვეყნისა ჩვენისა მტერთაგან, უნდა იქმნას ერთობა, რა არის უკეთესი, რა არის მშვენიერი, ვითარ ერთობა ძმათა, იტყვის წინასწარმეტყველი დავით. სამეფო ისრაელთა დაეცა მაშინ როდესაც განსქდა ორად სამეფო სოლომონისა. დაეცა საბერძნეთი, ოდეს განიყო ორად და სამად. მეფობა განყოფილი არა დადგრეს, ბრძანებს მაცხოვარი'.

მაგრამ ყოველი ცდა ამაო იყო. ბრძნული წადილი მთელი ერისა ჩაშლილ და განქარწყლებულ იქნა სამეფო სახლის უკუღმართობის გამო. დედოფალი იტყოდა უარს და მხარს უჭერდა ერეკლე მეფეც, რომელმაც ქვეყნის საუბედუროდ და თავის დიდების დასამცირებლად უკანასკნელ წლებში სრულიად დაკარგა უწინდელი წინდახედულება, სამაგალითო ვაჟკაცობა, ნათელი გონება, შეუპოვარი მხნეობა, მიეცა თავის გვარის წვრილმან ინტერესების ძებნას და უმეტესად იმაზე ზრუნავდა, რომ დაეკმაყოფილებინა ეგოისტური მოთხოვნილებანი თავის არეულ და განხეთქილებით სავსე სახლობისა, რომლის დამღუპველი რაოდენობა წრეს იქით გადავიდა იმის გამო, რომ ერეკლემ და გიორგიმ მეორე-მესამე ცოლები შეირთეს წინააღმდეგ სახელმწიფო ინტერესების მოთხოვნილებისა. ერთი მხრით, დგას ერი, მრავალ-ტანჯული სხვის შეცდომილებითა და პატივისცემით მოახსენებს მეფეს:

> შენმა წინაპრებმა ჩაიდინეს დიდი უსამართლობა და უწყალობა: ერთი სისხლი და ერთი ხორცი დამანაწილეს რამდენსამე პატარა სამთავროდ და

ამით შექმნენ მიზეზი ჩემის თავის დაუძლურებისა, დაუსრულებელ წვალებისა და გამოუთქმელის უბედურებისა. დროა, მოსპო ეს უსამართლობა, მიხსნა ამ სენისაგან, შემაერთო ერთ დიდ ერად, მიიღო ერმთავრობა, განძლიერდე ჩემით, განმაძლიერო შენით, შემოვიფანტოთ მტერნი და მტკიცედ დავდგეთ დამოუკიდებლობის, წარმატების და კეთილდღეობის გზასა.

მეორე მხარეს დგანან მეფე-დედოფალნი, რომელნიც თავის მრავალ-წამებულს, მაგრამ კიდევ ერთგულ ერს ეუბნებიან: ორივე მხარე უწინდებურად დანაწილებულნი უნდა დავრჩეთო.

ავტორის მითითებით, ბევრ ხელმწიფეს უნატრია ამისთანა წადილი დანაწილებულისა ერისა, რომელიც საქართველომ გამოუცხადა ერეკლესა, მაგრამ ნატვრა, რომ არ ასრულებია, დიდის ხნის განმავლობაში ხელში ხმალი სჭერია, უღვრია თავისივე ხალხის სისხლის ნაკადულები და ძალდატანებით შეუერთებია იგი ერთი სკიპტრის ქვეშ. იტალიამ, ინგლისმა, გერმანიამ, საფრანგეთმა, ესპანეთმა, რუსეთმა სისხლით დაამყარა თავისი ერთობა. თითქმის ყველგან დანაწილებული ხალხი ესარჩლებოდა ამ დანაწილებას. ჩვენში ხალხმა, თვითონ ერმა იგრძნო ერთობის საჭიროება და მეფისგან მოითხოვა ერთმთავრობის დაფუძნება, მაგრამ მეფემ უარი თქვა იმაზედ, რასაც სხვა გვირგვინოსანნი მხოლოდ ხანგრძლივი სისხლის ღვრით მოეწეოდნენ ხოლმე.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ი. გოგებაშვილი მიუთითებს ნ. ბარათაშვილზე, რომელსაც მაღალი მნიშვნელობის საქმის უკუღმართად დატრიალებამ ათქმევინა სოლომონ მსაჯულის პირით:

მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება,
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
მისდევდე შენსა გულის კვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?

ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ თვით მძლავრი მთავრობაც დიდხანს ვერ ეწინააღმდეგებოდა ერის გულითად წადილს. ჭაბუა ორბელიანები, სოლომონ ლიონიძეები და ქაიხოსრო წერეთლები მრავლდებოდნენ საქართველოში. მაგრამ ბედმა ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას აღარ აცალა და არსებობის ჩარხი სხვანაირად დაუტრიალდა. მოხუცებულმა ერეკლემ, დაუძლურებულმა გიორგიმ, უხასიათო და ხელზე დახვეულმა დავით მემკვიდრემ დასუსტებულის მარჯვენიდგან

სრულიად გააგდეს სკიპტრა საქართველოსი და რუსეთმა შეაერთა საქართველოს ნაწილები ერთი ვალდებულების ქვეშ. ეს პოლიტიკური ერთობა, შეურყეველი კავშირი რუსეთთან ჩვენთვის იყო და იქნება ძვირფასი საუნჯე: 'მაგრამ კეთილად მოვიხმარეთ ეს საუნჯე? ... კარგად გამოვიყენეთ ეს მშვიდობიანობა, რომელიც ძლევამოსილმა რუსეთმა დაამყარა საქართველოში? ... რანი ვართ დღესა?' (# 8).

აი, ამ ვრცელი ისტორიული ექსკურსით რა დასკვნამდე მიჰყავს ი. გოგებაშვილს *ივერიის* მკითხველი. ჩვენ ზემოთ ერთხელ უკვე მივუთითეთ, რომ ქართველ ნაციონალისტთა *ივერიის გარშემო* შემოკრებილ გუნდს ღრმად სწამდა, რომ მიუხედავად მრავალი შევიწროებისა, რომელსაც ქართველობა განიცდიდა რუსეთის იმპერიაში, რუსეთთან საქართველოს ყოფნას ალტერნატივა არ ჰქონდა. ეს იყო რაციონალური პოზიცია და არ იქნება გამართლებული მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ნაციონალისტები, ქართული მოდერნული ერის მშენებლები ამ პოზიციის გამო ან გავამტყუნოთ ან მათი ეს პოზიცია დავმალოთ მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს ქართული ნაციონალიზმს (ასევე რაციონალური მოსაზრებების გამო) რუსეთთან მიმართებაში სხვა პოზიცია უკავია.

ამგვარად, ი. გოგებაშვილი გვიხატავს ნაციონალურ ერთობას, წოდებათა აზრების სრულ ჰარმონიას უკვე მეთვრამეტე საუკუნეში. ძალიან დიდი გულისტკივილი ჩანს, იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველობამ ხელიდან გაუშვა თვითგაერთიანების ისტორიული შანსი და ვერ შეძლო დამოუკიდებლად ყოფნა, ასეთ ვითარებაში რუსეთთან საქართველოს ყოფნა შვებად მიაჩნია.

ეროვნულ თვითგამორკვევას ემსახურებოდა ლექსი *სამშობლო ხევსურისა* (რაფიელ ერისთავის). ადამიანისთვის საკრალურია ადგილი სადაც დაიბადა, გაიზარდა, სადაც მამა-პაპათა ხსოვნის ადგილი – საფლავებია დაცული (# 9).

1877 წლის *ივერიის* ნომრების განხილვისას ჩვენ ვრცლად შევეხეთ რუსული რეჟიმის მიერ გადაგვარებული ქართული სამღვდელოების საქმიანობას, რომელიც აშკარად მოკლებული იყო ეროვნულ ნიადაგს და რომელთაც დაუპირისპირდა თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ნ. მთვარელოვი. აღნიშნული პიროვნება 1881 წლის *ივერიაში* უკვე აქვეყნებს თელავის სასულიერო სასწავლებლის გამორჩეულ მოღვაწეთა ბიოგრაფიებს, რათა თანადროულმა სასულიერო

პირებმა გაითავისონ და გააცნობიერონ თავიანთი ჭეშმარიტი მოვალეობა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ნ. მთვარელიშვილის პუბლიკაცია *თელავის სემინარია და მისი პირველი რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი.* პუბლიკაციას ეპილოგად წამძღვარებული აქვს გაიოზ რექტორის სიტყვები 'არა არს-რა ესრედ ტკბილი, ვით მამულის სიყვარული' (# 8).

საინტერესოა ზოგიერთი გაიოზის ნაშრომის აღმოჩენის ისტორია. მათ შორის *ამბროსი მედიკანელის სიტყვანი* და *სამღვდელო ისტორია* მღვდელ მიხაელ ხელაევისგან მიუღია (რომელიც, 1877 წლის მონაცემების განხილვისას, საზოგადო სიკეთისთვის მზრუნველ პირად გვევლინება). მღვდელ ხელაევს ეს ხელნაწერები თელავის დუქანში უნახავს. გამყიდველი ყველის ნაჭრის შესახვევად იყენებდა თურმე. მას მედუქნისგან გამოუთხოვია ხელნაწერი და ნ. მთვარელიშვილისთვის გადაუცია. მედუქნესთვის ხელნაწერი, მისივე გადმოცემით, მიუტანია თელავის სობოროს ბლაღოჩინ-დეკანოზ სოლომონ ფირანიშვილს. ამ ფაქტს ასეთ კომენტარს უკეთებს ავტორი: 'როდესაც მღვდელმა, დეკანოზ-ბლაღოჩინმა არ იცის ყადრი ამისთანა ნაწერისა, სხვა რაღა გავამტყუვნოთ. მაგრამ ეს ბლაღოჩინ დეკანოზი იმისთანა კაცთა წყებას ეკუთვნოდა, რომელიც სდევნის ყოველს ქართულს, ოღონდ კი ამით რუსების წინ ერთგულად გამოჩნდეს' (# 10). ეს ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა ს. ფირანიშვილის უღირსი ქმედებისა.

მეცხრე ნომრის *შინაური მიმოხილვა* (ავტორი ილია ჭავჭავაძე) ყურადღებას ამახვილებს საგანმანათლებლო სისტემის უარყოფით შედეგებზე. მითითებულია, რომ საქალებო სკოლებმა დიდი ზიანი მიაყენა ქართულ საზოგადოებას:

> ჩვენი ოჯახისშვილი კურსის დასრულების შემდეგ ჩვენს ოჯახში ისე შემოდის, როგორც უცხო თესლის ადამიანი. ცოლად შემოდის, დად თუ რძლად, იმას ჩვენი აღარა გაეგება რა და ჩვენ იმისი. ამის გამო დაირღვა ჩვენი ოჯახობა, გაწყდა ურთიერთობის კავშირი, ოჯახი თავზედ ჩამოგვექცა და ჩვენც გავწყალდით და მიწასთან გავსწორდით ... ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ გორის საქალებო სკოლა, რომელმაც ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი დედა, ქართველი და, ქართველი დედაკაცი ამ პროგრამით იმუშავებს (# 9).

როგორც ზემოთაც მივუთითებდით, ქალების თემა იპყრობს ნაციონალისტების ყურადღებას. ერთი მხრივ, ნაციონალური

კონსოლიდაციის პროცესში აუცილებელია ყველა სოციალური მარგინალის ნაციონალური ერთობის თანასწორუფლებიან წევრად ქცევა. აქედან გამომდინარე, ქართველი ნაციონალისტები მზერას მიაპყრობენ ქალებს, როგორც სოციალურ მარგინალებს და მათ "იწვევენ" ქართულ ერთობაში სამოღვაწეოდ. "მიწვევისათვის" საფუძველს ქმნის განათლება, საჯარო სივრცეების და საზოგადოებრივი საქმეების გაჩენა.[26] მეორე, არის ქალის სიმბოლური მნიშვნელობა, რომელსაც ასევე დიდ ყურადღებას უთმობენ ნაციონალისტები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც თავიანთი ერების კონცეფციას ადგენენ ეთნიკური ერთობის ხატის მიხედვით. ქალის კონცეპტის სიმბოლიზმის ისტორიული ფესვები ძალიან ღრმაა და ხშირად წინა მოდერნის ეპოქის საზოგადოებათა მახასიათებელია. ნაციონალიზმი ამ უძველეს მატრიცას მხოლოდ ახალი შინაარსით ავსებს. საერთო წინაპარი ერის დედად წარმოიდგინება. ამ თემის დღეგრძელობის თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა ილიას მიერ შექმნილი სახე "ქართვლის დედა", რომელიც ვიზუალურ ინტერპრეტაციას პოულობს საბჭოთა საქართველოში, ე. ამაშუკელის ამავე სახელწოდების სკულპტურაში. ეს სახე დღეს ქართული ერთობის მნიშვნელოვანი მარკერია. არსებითად, ეს არის უძველესი ეთნიკური სახე, რომელსაც ხალისით რთავენ ნაციონალისტები ნაციონალიზმის იდეოლოგიურ ნარატივში, რადგან მას აქვს დიდი მაკონსოლიდებელი ძალა.

ქართული ანბანი და მისი წარმოშობა არა მარტო სამეცნიერო საკითხია, იგი ქართული ნაციონალიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაცაა. როგორც ცნობილია, დღეს ანბანის საკითხი უკავშირდება ენას, ამიტომ ანბანი და მასთან დაკავშირებული დისკურსი არსებითად ეს არის ლინგვისტური ნაციონალიზმის გამოვლინება. კულტურის ამ

[26] საქართველოში ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესი ხასიათდება ქალთა საზოგადოებების გაჩენით და მათი აქტიური მოღვაწეობით საზოგადოებრივ სარბიელზე მრავალი არისტოკრატიული და არაარისტოკრატიული წარმომავლობის ქალბატონი ჩართული იყო საქველმოქმედო საქმიანობაში, რომლის მთავარი მიზანი ერის სულიერი და მატერიალური პრობლემების მოგვარებასა და დახმარების აღმოჩენაში მდგომაროებდა. იხ. ი. კეცხოველი. ილია ჭავჭავაძე და მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ქველმოქმედი თავადაზნაურობა. ანალები (ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი). თბილისი, მემატიანე, 2008, გვ. 85, 86, 88.

ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა ქართულ სინამდვილეში მრავალი მომენტის გამო: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ენა იყო და რჩება ქართული იდენტობის მარკირების უმთავრეს საშუალებად. მეორეც იმიტომ, რომ ქართული ანბანი გრაფიკულად, მართლაც, უნიკალურია. მესამე იმიტომ, რომ იგი, მართლაც, ძალიან ძველია და ამასთან სრულყოფილიც, ანუ ქართული ანბანი არის ქართული იდენტობის მარკერი არა მარტო მისთვის ქართული ერთობის მიერ მინიჭებული სოციალური მნიშვნელობით (ასეთ მნიშვნელობას თავის კულტურას ანიჭებს ყველა ერი), არამედ ის რეალურად არის ქართული კულტურის მარკირების საშუალება თავისი უნიკალურობის გამო. იგი ძალიან ძველი წინა მოდერნის ეპოქიდან მომდინარე მარკერია და ერთგვარ ხიდსაც კი წარმოადგენს ქართული წარმართულ და ქართულ ქრისტიანულ კულტურათა შორის. *ივერიის* მიხედვით ცხადი ხდება, რომ ეს თემა უკვე არსებობს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ნაციონალიზმში. ასე მაგალითად, საანალიზო წლის *ივერიის* მეათე ნომერში ქვეყნდება ი. ოქრომჭედლიშვილის სტატია ქართული მწიგნობრობის შექმნის შესახებ. საკითხის აქტუალობა განაპირობა სომეხ მწერალთაგან გამოთქმულმა თვალსაზრისმა ქართული ანბანის სომეხთა ანბანის შემქმნელის მესროპისაგან შექმნის თაობაზე. ქართულ საისტორიო ტრადიციაზე დაყრდნობით გამოთქმულია შეხედულება, რომ ფარნავაზს უნდა შემოეღო ზენდური ანბანი სპარსელებისაგან. საქართველოს ისტორია კი სპარსეთთან ურთიერთობას მოწმობს. ფარნავაზის მამა და ბიძა მაკედონელთა წინააღმდეგ სპარსელების მხარეზე ბრძოლაში დაიღუპნენ. ფარნავაზის დედა წარმომავლობით სპარსელი იყო. ავტორი მიუთითებს ქართული მხედრული ანბანის ზენდურ ანბანთან დიდ მსგავსებაზე, რაც მათ ახლო ნათესაობას ადასტურებს. მოიხმობს *წმ. ნინოს ცხოვრების* მონაცემებს, რომლის საფუძველზეც წმ. ნინომ მოითხოვა უკანასკნელ ჟამს ჩაეწერათ მისი ნაამბობი, რომ ქართველებს მესროპამდე ჰქონდათ თავიანთი ანბანი და ეს ანბანი იყო მხედრული. ავტორი მესროპისაგან ქართული ანბანის შემოღების უმართებულობას ადასტურებს ქართულ-სომხური ანბანის შედარებითი ანალიზით (სომეხი მკვლევრები მიუთითებდნენ მათ მსგავსებას), რის საფუძველზე აღნიშნავს, რომ მხოლოდ ერთი ასო აქვთ საერთო. აგრეთვე მესროპისაგან ქართული ანბანის შემოღებას უარყოფს ის გარემოება, რომ ქართული ანბანის ასო "ო" მესროპის

სომხურ ანბანში არ არსებობდა, სომხურ ანბანში მხოლოდ მეთორმეტე საუკუნეში ჩნდება (# 10).

ა. ნანეიშვილი სტატიით *ლიტერატურული შენიშვნები* ეხება ქართულ ბეჭდურ მედიაში (*ივერია, იმედი, დროება*) გამოქვეყნებულ წერილებს. ავტორი აუცილებლად მიიჩნევს ამგვარ საუბარს მკითხველებთან ნაკლებად გამოკვლეულ საკითხებზე, რადგან, მისი აზრით, ერთი და იმავე საგანზე სხვადასხვა შეხედულების გაცნობა დიდ დახმარებას გაუწევდა მკითხველს ჭეშმარიტების დადგენაში. *დროების* კორესპონდენციის ავტორის, კიეველი სტუდენტის, შეხედულებით, რუსეთის სასწავლებლების ქართველ სტუდენტობას შეუძლია პრაქტიკულ საქმიანობას მიჰყოს ხელი და დახმარება აღმოუჩინოს ჩვენს სამშობლოს: 'სწეროს ჰიგიენური დარიგებები, ისტორიული, ეკონომიური და ეტნოგრაფიული ბროშურები ჩვენი ცხოვრების' შესახებ. საზოგადოება მიესალმა ქართველი სტუდენტობის სურვილს, რომ შეძლებისამებრ გაუწიოს დახმარება თავის ქვეყანას და ხალხს. მაგრამ ჟურნალებში დისკუსიის საგანი გახდა ჩვენი ახალგაზრდობის ჩართვა, მათი გონებრივი შესაძლებლობების შესაბამისად, საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობაში. სტუდენტის თვალსაზრისში შენიშვნები შეაქვს ა. ნანეიშვილს, როდესაც აღნიშნავს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა არ ვითრდება გონებრივად მშობლიურ ნიადაგზე და იმდენად არ იცნობს თავის ქვეყანას, რომ, საეჭვოა, შეძლოს დაწეროს ჩვენი ქვეყნის შესახებ სამეცნიერო ნაშრომები. როგორც ჩანს, დისკუსია ამით არ ამოწურულა. *იმედის* ფურცლებზე გ. ყიფშიძე აგრძელებდა ა. ნანეიშვილის კრიტიკას იმაზე მითითებით, რომ ეს უკანასკნელი გამორიცხავდა ჩვენი სტუდენტობის როლს და ჩართვის შესაძლებლობას "მშობლიური ნიადაგის" შესწავლაში. განსახილველ კორესპონდენციაში ა. ნანეიშვილი განმარტებით მსჯელობას წარმოუდგენს საზოგადოებას იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია ჩვენი ხალხი გაეცნოს რუსეთის ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებას, მის ლიტერატურას, რადგან ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის წარმატებასთან. ხაზგასმულია, რომ თავიანთი მდგომარეობის წყალობით ქართველ ახალგაზრდობას, რომლებიც რუსეთში ღებულობენ განათლებას, ეს უფრო გაუადვილდებოდათ, ვიდრე ჩვენი ქვეყნის მეცნიერული შესწავლა. ამგვარი ნაშრომების შექმნას კი, ავტორის თვალსაზრისით, ჩვენი

ახალგაზრდობა შეძლებდა მხოლოდ სათანადო თეორიული განათლების მიღების შემდეგ (# 10).

ამ დროისათვის რუსეთში გავრცელებული ხალხოსნური იდეები რომელმაც მხარდაჭერა ჰპოვა ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილში, თავს იჩენს *ივერიაში.* სტატიაში ა. ნანეიშვილი ყურადღებას ამახვილებს, აგრეთვე, რუსეთში კლასობრივი ბრძოლის ისტორიაზე. განიხილავს ორ, ერთმანეთისგან განსხვავებული, მსოფლხედვის – პისარევის და დობროლიუბოვის შეხედულებებს. პისარევი რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის სათავეში ინტელიგენციას მოიაზრებდა. ამის საპირისპიროდ დობროლიუბოვი ხალხის დამცველად გამოდიოდა. ქადაგებდა, რომ უბრალო ხალხი შეადგენს უმთავრეს ძალას რუსეთისას, რომ ის მოკლებული სულაც არ არის კაცობრიულ თვისებებს და შეუძლია წარმატების მიღწევა. ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ხალხს მოელის ბედნიერი მომავალი და შეუძლებლად რაცხდა ხალხის დაცემას იმ ხარისხამდე, რომ მას არ შეეძლებოდა წინსვლა.

მშობლიური ნიადაგის გაცნობის თვალსაზრისით მომდევნო კორესპონდენციაში *ნახული და გაგონილი* (*მგზავრის შენიშვნები*) ამგვარი დაკვირვების საგნად წარმოდგენილია აფხაზეთის მდგომარეობა. საინტერესო ცნობებს იძლევა კორესპონდენცია აფხაზეთის ბუნების, უხვი სიმდიდრის, მამულების მეპატრონეების შესახებ. კორესპონდენციაში აღნიშნულია, რომ სოხუმთან ახლოს კარგად დამუშავებული მამულები შენიშნა, დაინტერესდა მეპატრონეების ვინაობით. როგორც ჩანს, საუკეთესო მიწები ვოლკოვებს, ვედენსკის, კომენდანტ კოლუბიაკინის ქვრივს და სხვებს ჩაუგდიათ ხელში და აურაცხელი სიმდიდრე ჩვენი ქვეყნიდან გაედინებაო (# 11).

ი. გოგებაშვილი პუბლიკაციაში *განმარტებითი წერილი სწავლების პლანისა, რომელიც მიღებულ უნდა იქმნას სამეურნეო სკოლაში ს. წინამძღვრიანთკარს,* მსჯელობს სამეურნეო სკოლის წარმატებისათვის სასწავლო პროგრამაში ცვლილებების აუცილებლობაზე. მიუთითებს, რომ აუცილებელია პირველდაწყებთი სწავლება სამი წლის ნაცვლად ოთხ წელიწადს გრძელდებოდეს და სწავლება დედა-ენაზე მიმდინარეობდეს. აქვე მოცემულია რუსი პედაგოგის შეხედულება დედაენის მნიშვნელობის შესახებ:

ენა ხალხისა არის საუკეთესო, დაუმჭკნარი და ყოველთვის ახლად გაფურჩქვნილი ყვავილი იმის სულიერის ცხოვრებისა, რომელიც იწყობა შორს, ისტორიის სამზღვარს იქით. ენაშია შთაბერილი სული მთელი ხალხისა და მთელის დედა-ქვეყნისა ... ენის სიღრმეში მოსჩანს სრული ისტორია ხალხის სულიერი ცხოვრებისა. ჩამომავლობა მისდევს ჩამომავლობას. მაგრამ ყოველ მათგანის ცხოვრების ნაყოფი გამოიხატება ენაში შემდეგ თაობათა სამკვიდროდ. ჩამომავლობა ჩამომავლობაზედ აგროვებს დედა-ენის სალაროში ღრმა გრძნობათა ნაყოფს, ნაყოფს ისტორიულ მოვლენათა, მათ სარწმუნოებას, გამომხატველობას; სტოვებს კვალს გამოვლილ მწუხარებისას და სიხარულისას, ერთი სიტყვით თავის სულიერ ცხოვრების ნაყოფს ერი მოწიწებით ინახავს დედა-ენაში. ენა არის ცხოველი, მკვიდრი კავშირი, რომელიც ერთობის სულს უდგამს ყოფილს, აწმყოს და მომავალს თაობას ერისას. ის არა თუ ხალხის სიცოცხლის გამომხატველია, ის არის თავად სიცოცხლე. როცა ხალხის ენა ჰქრება, – ჰქრება ხალხიც. ვიდრე ენა ცოცხალია და ხალხი იმაზე ლაპარაკობს, – ხალხიც ცოცხალია; და იმისთანა აუტანელი ძალადობა არა იქნება-რა, რომ წაართვა ხალხს სამკვიდრო, შექმნილი და დატოვებული აურაცხელ უწინდელ თაობათაგან, წაართვით ხალხს ყოველისფერი და ის ყოველისფერის დაბრუნებას შეიძლებს; მაგრამ, თუ ენა წაართვით, ის თავის დღეში ველარ შექმნის მას ... ენა არის სრული და სარწმუნო მატიანე ხალხის სულიერ და მრავალ საუკუნე-გავლილ ცხოვრებისა და იგივეა უდიდესი ხალხის მოძღვარი.

ი. გოგებაშვილი მიუთითებს, რომ საქართველოს სკოლის განსაკუთრებული დანიშნულება მოითხოვდა საგნების დედაენაზე სწავლებას:

ჩვენმა სკოლამ უნდა გაუხსნას ბავშვს გონება, გაუნათლოს, შესძინოს ჭკუისა და ზნეობის ამამღლებელი და ხალხში კეთილდღეობის მომფენი ცოდნა. ამ განზრახვის შესრულება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სწავლა დედა-ენაზედ იქნება. ჩვენი სკოლის განმანათლებელი მნიშვნელობა ჩვენი სოფლის ხალხისათვის მოითხოვდა აგრეთვე სწავლებას დედა-ენაზე: თუ ჩვენი სკოლის მოწაფეები შეიძენენ ცოდნას დედა-ენის საშუალებით, შეეჩვევიან ამ ენაზე ფიქრს და მსჯელობას, მაშინ გაუადვილდება მათ თავიანთი ცოდნის გაცნობიერებულად ხალხისთვის გადაცემა. მაგრამ თუ უცხო ენაზე იქნება სწავლება, სრულიად მოსპობს კავშირს სკოლასა და ცხოვრებას შორის, არ მისცემს შესაძლებლობას იქონიონ განმავითარებელი გავლენა ხალხზე.

აქ ი. გოგებაშვილი ისევ უშინსკის შეხედულებას აცნობს მკითხველებს სკოლაში დედა-ენაზე სწავლების აუცილებლობის თაობაზე, სადაც მითითებულია, რომ სკოლა, რომელიც დედაენაზე არ ასწავლის, არ გაიდგამს ფესვს ხალხის ცხოვრებაში და არ გამოიღებს სასარგებლო ნაყოფს:

> ამგვარი სკოლა უღონოა, რადგან ბავშვის გონების გახსნას არ აფუძნებს ერთადერთ ძლიერ და ნაყოფიერ სულიერ ნიადაგზე – ხალხის ენაზედ და მასში გამოხატულს ხალხის გრძნობაზედ ... ამგვარი სკოლა უსარგებლოა, ბავშვი მასში არა თუ სრულიად უცხო სფერიდან, იქიდან გამოსვლის დროსაც სრულიად უცხო სფერაში გამოდის. ის მალე ივიწყებს იმ აზრებსაც, რომელნიც ამ სიტყვებით გამოითქმებოდნენ. ხალხის ენა და ხალხის ცხოვრება ხელმეორედ ეხვევა მასს გარს და შლის იმის გონებიდან სკოლაში შეძენილ კვალს, როგორც სრულიად უცხოს მისთვის. რა გააკეთა ამ სკოლამ: არაფერზედ კიდევ უარესი. სკოლამ რამდენიმე წლით შეაჩერა ბუნებრივი განვითარება ბავშვისა; მართალია, წერა-კითხვასა სწავლობენ, იმასაც სანახევროდ; მაგრამ ესეც ყველას არ შეხვდება მხოლოდ იმისათვის, რომ დამტვრეულ რუსულის ენით რაიმე წუწკი საჩივარი დაბღაჯნოს; ადამიანის სულს ამისთანა სკოლა კი არ აპატიოსნებს, რყვნის.

დედაენაზე სწავლების აუცილებლობა საქალაქო თუ სასოფლო სკოლებში დაურღვეველ საჭიროებად ყოფილა მიჩნეული იმპერატორ ალექსანდრე მეორის პოლონეთის მთავარმმართებლისადმი 1864 წელს დაწერილ რესკრიპტში 'სამოსწავლო გამგეობათ არც სხვას უნდა მისცენ ნება და არც თვითონ იკისრონ მეცნიერების ტაძრის გარდაქმნა პოლიტიკურ განზრახვის საშუალებად; იგინი უნდა განათლებას მიუდგომლად ემსახურონ. ამის გამო ჩვენ ვაძლევთ ნებას პოლშის ახალგაზრდობას მიიღოს სწავლა თავის დედაენაზედ'. იმავე წლის პოლონეთის გუბერნიების სასწავლებლებისათვის დამტკიცებულ წესდებაში აღნიშნული ყოფილა, რომ 'ყოველს პირველდაწყებით სასწავლებლებში სწავლა უნდა იყოს იმ ენაზედ, რა ენაზედაც ლაპარაკობენ იმ ქალაქისა და სოფლების მცხოვრებნი, სადაც სკოლაა გამართული'.

ავტორის თქმით, ეს ფაქტი მით უფრო შესანიშნავია, რომ ეს მოხდა პოლონეთის აჯანყების დამშვიდების შემდეგ და დასძენს 'თუ კი განსვენებულმა იმპერატორმა სცნო საჭიროდ და მიანიჭა აღელვებულ ხალხს საუკეთესო უფლება, უფლება დედა-ენაზედ სწავლებისა,

ცხადია, გულ-წრფელად მოისურვებდა აგრეთვე მიენიჭა იგივე უფლება იმ ერთგულ ხალხისთვის, რომელმაც ფეხი ჩაადგმევინა რუსეთს კავკასიაში და გულ-წრფელად შეეწეოდა მას ამ მფლობელობის გავრცელებასა და დამკვიდრებაში'.

მოხმობილია მაგალითები ევროპის სახალხო განათლების ისტორიიდან იმის საჩვენებლად თუ როგორი უდიდესი, გონების, ზნეობის და კეთილდღეობის განმავითარებელი ძალა აქვს სახალხო სკოლაში დედაენაზე სწავლებას. შოტლანდიის მაგალითზე ნაჩვენებია თუ როგორი გასაოცარი ცვლილება მოახდინა სახალხო სკოლებში დედა-ენაზე სწავლებამ. ხალხში განათლების მოფენა დასახელებულია ორ ნაწილად გათიშული ბრიტანეთის პოლიტიკური გაერთიანების განმაპირობებელ ფაქტორად. პრუსიისა და ავსტრიის მაგალითზე კი ნაჩვენებია თუ როგორი განსხვავებული შედეგი მოჰყვა ორგვარ წესს უცხო თემელების განსანათლებლად. ავტორის აზრით, ავსტრია წარმოადგენს საგულისხმო მაგალითს იმისას, რომ არ მოაქვს არავითარი კარგი ნაყოფი სახელმწიფოში მიღებული ენის ძალადობით გავრცელებას. რადგანაც ეს ძალადობა ეროვნობის მოსპობისაკენ იყო მიმართული, იგი აღძრავს ხალხში ნაციონალურს გრძნობას, რომელიც თვით ძალადობითვე იკვებება და აქეზებს ხალხს იხმაროს ყოველი ღონე ეროვნობის დასაცველად. ავსტრიამ ამგვარი მოქმედებით არამც თუ თავის წადილი ვერ შეისრულა და თავის ქვეშევრდომი უცხო-ხალხები ვერ 'გაანემეცა', არამედ უფრო აუყარა გული 'ნემეცობაზედ'. განსხვავებით ავსტრისაგან, პრუსია, პირიქით, ყველანაირად უწყობდა ხელს შეერთებული პროვინციების განათლებას. სწავლა დედა-ენაზე მიმდინარეობდა და პრუსია თვითონ ითხოვდა გერმანული ენის სწავლებას. პრუსიის მაგალითი გვასწავლის, რომ სახალხო სკოლა საუკეთესო საშუალებაა ნაციონალურ მძულვარების მოსასპობელად, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც სკოლა არ ჩაგრავს და არ ასუსტებს დაპყრობილ ხალხთა, არამედ ამაღლებს მათ სულიერ და ზნეობრივ მხარეს, ნათელსა ჰფენს, ავითარებს მათს ჭკუა-გონებას, სარწმუნოებას და დააყენებს მათ კეთილდღეობის გზაზე.

ევროპის სახალხო სკოლის ისტორია და გამოცდილება მოწმობს ავტორის სწავლების გეგმის საფუძვლიანობას და გვარწმუნებს, რომ მის შესრულებას უნდა მოჰყვეს ხალხის გონებისა და ზნეობის განვითარება და კეთილდღეობა. ავტორი მიუთითებს ქართველების

ნაკლზე: ჯერ არ გვაქვს გამორკვეული ხალხის განათლების დიდი მნიშვნელობა, განათლებას ვუყურებთ როგორც სახსარს ჩინებისა, ორდენებისა და ჯამაგირიანი ადგილების მიღებისათვის. ასეთ შემთხვევაში საზოგადო აზრის განმტკიცებისათვის ძალიან სასარგებლოა ისეთი მაგალითები, როგორც დაცემული შოტლანდიის ფეხზე დაყენება და აყვავება სახალხო სკოლების მეშვეობით. მხოლოდ ამგვარ მაგალითებს შეუძლია თვალი აუხილონ საზოგადოებას, მხურვალე თანაგრძნობა აღძრან მის გულში და გამოიწვიონ თაოსნობა და დახმარება ამ საქმეში. საქართველო ეკუთვნის იმ ქვეყნების რიგს, სადაც ხალხის განათლება უდიდეს საჭიროებას შეადგენს და სადაც მას შეუძლიან უდიდესი სიკეთის მოტანა. ხალხის წარმატებას ვერასოდეს მოვესწრებით, თუ ხალხის განათლებას გულითადად არ შევუდგებით. განათლებამ ჩვენი ხალხი გონებით უნდა განავითაროს, ზნეობით აამაღლოს, დოვლათი შესძინოს და კეთილდღეობა დაუმყაროს. სახალხო სკოლა ამასთან არის უკეთესი ღონისძიება ჩვენი ვინაობის აღდგენისათვის. ჩვენი ლიტერატურა, ჩვენი მწიგნობრობა იქამდის იქნება უძლური, მანამ ხალხი არ დაივიწყებს ჩვენი ნაწარმოების კითხვას და კითხვა მხოლოდ მაშინ შეიქნება აუცილებელი, როდესაც იგი სკოლას გაივლის. გულწრფელად უნდა მოვინდომოთ და დავეხმაროთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ხალხის განათლების წარმატებისათვის შეწირულობებით, მოვუმართოთ ხელი სახალხო სკოლებს (# 12).

ეს პუბლიკაციაც ისევე, როგორც ი. გოგებაშვილის სხვა წერილები მეტად საინტერესო ფაქტებით იპყრობს ჩვენს ყურადღებას. ჯერ ერთი, ხაზგასმულია ქართველებისაგან რუსეთის ერთგულება, მეორე განათლების მთავარ ფუნქციად მიჩნეულია არა პირადი კეთილდღეობა, არამედ ეროვნული ვინაობის ანუ იდენტობის გამორკვევა და აღდგენა.

2. *ივერიის* 1882–1886 წლების ნომრები

საანალიზო პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გამოცდის ხანაა ქართული იდენტობისათვის. სირთულეები, რომლებიც ამ დროს ქართული ერთობის წინაშე გამოიკვეთა, და მათი გამომწვევი მიზეზებიც, კარგად არის აღწერილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. მეცხრამეტე საუკუნის 60-70-იან წლებში რუსეთის შედარებით ლიბერალური

მიმართულებით რეფორმების გზით განვითარება იმპერიაში იმ დროს არსებული მრავალრიცხოვანი პოლიტიკური ექსტრემისტებისათვის მოუთმენელი აღმოჩნდა. ამის შესახებ შოკის მომგვრელი განაცხადი ნაროდოვოლცების ტერორისტულმა ფრთამ გააკეთა, როდესაც რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე მოკლა 1881 წლის მარტში. აღნიშნულ ფაქტს კი, როგორც რეაქცია, მოჰყვა აღებული კურსიდან იმპერიის მკვეთრი შემობრუნება. ლიბერალურად განწყობილ სახელმწიფო მოხელეებს პოსტები დაატოვებინეს. სათავეში მოვიდნენ ავტორიტარული რეჟიმის გამკაცრების მომხრენი. საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ეს ხანა იწოდებოდა "პოლიტიკური რეაქციის" ხანად. სიტყვა "რეაქცია" ამ შემთხვევაში გამოიყენებოდა როგორც ლიბერალური პოლიტიკის საწინააღმდეგო პოლიტიკის გამომხატველი ტერმინი.

იმპერიის განაპირა ნაციონალური მხარეების მიმართ ამ ახალი პოლიტიკის მიზანი იყო ეროვნული თავისებურებების სრული ნიველირება, ფორსირებული რუსიფიკაცია. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ყველა ცვლილება იმპერიის ნაციონალური მხარეების ადმინისტრაციული მოწყობის, კულტურული პოლიტიკის თუ სხვა სფეროებში. როგორც მითითებულია სპეციალურ ლიტერატურაში, ამ პოლიტიკამ მიიღო "შემტევი ნაციონალიზმის" ანუ ველიკორუსული შოვინიზმის სახე.

ავტონომიის ის უკიდურესად შეზღუდული ფორმაც კი, რასაც მეფისნაცვლობა წარმოადგენდა, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა ხალხებს წაერთვათ. ამის მაგიერ აღდგენილ იქნა მთავარმმართებლობა. მთავარმმართებელი ხდებოდა ამიერკავკასიის გუბერნიების ზედამხედველი. ეს უკანასკნელნი, ისევე როგორც შიდა გუბერნიები, უშუალოდ უკავშირდებოდნენ ცენტრს. გუბერნატორს მიენიჭა განსაკუთრებული უფლებები.

მ. ვორონცოვის პოლიტიკის გამგრძელებელი, შედარებით ლიბერალურად განწყობილი მეფის ნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლზის ძე გაიწვიეს. მთავრმმართებლის ადგილი დაიკავა დონდუკოვ-კორსაკოვმა, რომელიც საქართველოს ეგზარქოს პავლესთან და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ იანოვსკისთან ერთად საქართველოში ახალი რუსული პოლიტიკის გამტარებელი შეიქმნა.

გაძლიერდა ქართული ენის დევნა სკოლებიდან, ოფიციალური დაწესებულებებიდან, მისი ჩანაცვლების მცდელობები სამეგრელოში,

სვანეთში, აფხაზეთში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მაჰმადიანი ქართველების დაპირისპირება ქრისტიან ქართველებთან. გამკაცრდა ცენზურა ბეჭდურ, განსაკუთრებით პერიოდულ მედიაზე:

> გარდა ახალი საცენზურო პირობებისა, რაც არაჩვეულებრივად აძნელებდა პერიოდული ორგანოს წარმოებას, გადაულახავ სიძნელეებს ქმნიდა აგრეთვე დებულება, რომლის ძალითაც შინაგან საქმეთა, განათლებისა და იუსტიციის მინისტრების და სინოდის ობერ-პროკურორის თათბირს ეძლეოდა უფლება აეკრძალა გამოცემა ამა თუ იმ პერიოდული ორგანოსი. პრესის წამმართველი და მისი ხელმძღვანელი შეიქმნა *მოსკოვსკიე ვედომოსტის* რედაქტორი კატკოვი.[27]

სწავლა-აღზრდაში გადამწყვეტი როლი მიენიჭა სამღვდელოებას, კლერიკალთა მიერ წარმართულ სკოლას ევალებოდა აღეზარდა მართლმადიდებლობის, თვითმპყრობელობის და რუსული ეროვნების ლოიალობის გრძნობით გამსჭვალული ახალი თაობა.

მაგრამ ყველა ამ გამოწვევამ არათუ შეასუსტა ქართული იდენტობა, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა იგი. ამის მიზეზი ის იყო, რომ წინა წლებში ქართველ ნაციონალისტთა ძალისხმევით ქართველი ერის იდეამ სავსებით მოასწრო ჩამოყალიბება. ამ დროისათვის ყველა უმთავრესი იდენტობრივი მარკერი სათანადოდ იყო გამოკვეთილი.

საანალიზო პერიოდში თვით *ივერიის* ცხოვრებაშიც მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება: 1886 წლიდან იგი გამოდის როგორც ყოველდღიური გაზეთი, რაც პერიოდული გამოცემის ისტორიაში, ცხადია, სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისს მოასწავებს.

რაც შეეხება მის რედაქტორს და გამომცემელს, უცლელად ილია ჭავჭავაძეა, რომელიც აღწევს შუა ხნის ასაკს (45-49 წლისაა ამ პერიოდში ილია) და, შესაბამისად, როგორც მოღვაწე, ავლენს დიდ სიმწიფეს. არსებულ გამოწვევებზე მისი ფრთხილი და მოქნილი საპასუხო საგამომცემლო პოლიტიკა აჩვენებს მის არაჩვეულებრივად გაზრდილ პასუხისმგებლობას ეროვნული საქმისადმი, იმის შეგნებას, რომ ქართველი მკითხველი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს *ივერიის* გარეშე.

---

[27] ა. კიკვიძე. საქართველოს ისტორია, II, თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1959, გვ. 135.

ასეთია ის ზოგადი ვითარება, რომელშიც 1882–1886 წლებში მოღვაწეობა მოუხდა *ივერიას.*

1882 წელი

რედაქტორებია ი. ჭავჭავაძე და ი. მაჩაბელი. 1882 წელს *ივერია* გამოდის 'იმავე სახით და სივრცით', როგორც 1881 წელს.

პირველ ნომერში გამოქვეყნებულ რ. ერისთავის ლექსში *რაზე მიწყრები ყეენო*? ორი უმთავრესი იდენტობრივი მარკერი არის აქცენტირებული: რჯული და ენა. ხაზგასმულია ქართველობისათვის ორივეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. თავიდან ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ პოეტი არაქრისტიან მტერს მიმართავს, თუმცა მერე ცხადი ხდება, რომ "ყეენი" მტრის სახელწოდებაა ზოგადად და არა კონკრეტულად მაჰმადიანი მტრისა. ეს მტერი ისაა, რომელიც ქრისტეს ქართულად დიდების საშუალებას არ აძლევს ქართველს:

რაზე მიწყრები ყეენო? – ვიბრძოდი ქართვლის ჯარშია,
დღეს შენი ტყვე ვარ, ხელთ დაგრჩი, რაკი დავიჭერ მხარშია ...
მამულისათვის ვიბრძოდი, რაში შემწყამე ღალატი? ...
შენი რა მმართებს ყეენო, თავს რომ მადგია ჯალათი? ...
მე რჯულისათვის ვიბრძოდი, სხვას რა შემწყამე ავია? ...
– რჯულს არ შევიცვლი ყეენო, არ მოკვდეს ჩემი თავია! ...
ამისთვის – თუ კი მგონია – მენა ვარ მოსაკლავია,
"თვალნი მომთხარე კისრიდგან", მომჭერ ფეხი და მკლავია,
მაგრამ – ყელს გიწევ, ყეენო, – შენი შვილების ლხენასა,
ისმინე ჩემი ვედრება: დღეს მე ნუ მომჭრი ენასა ...
– მინდა მოკითხვა შევთვალო, ვილაპარაკო ქართული,
ვადიდო იესო ქრისტე, – რჯული ენასთან შართული!

ზემოთ არაერთხელ გვაქვს მითითებული, რომ *ივერია* განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა უცხოელთა აზრს საქართველოს შესახებ, უცხოელ მეცნიერთა საქართველოსადმი მიძღვნილი ნაშრომების განხილვას. 1882 წლის რამდენიმე ნომერში წარმოდგენილია გ. ყიფშიძის რეცენზია პ. უსლარის (რუსი მეცნიერი, ამ გვარის პირველი სამშობლო ჰანოვერი ყოფილა) ნაშრომზე *უძველესი თქმულებანი კავკასიაზე.*

რეცენზენტი მიზნად ისახავს მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია პ. უსლარის ნაშრომის მნიშვნელობაზე, მის ღვაწლზე საქართველოს

ისტორიის წარმოჩენის თვალსაზრისით. ჩართულია საინტერესო წერილი, რომელიც უსლარს მიუწერია ა. ბერჟესთვის, რომელშიც საუბარია ისტორიის მნიშვნელობაზე:

> ისტორიის საქმე ის არის, რომ გაიგოთ, რად მიიღო ხალხმა ასეთი და არა ისეთი სახე; ეს განსაკუთრებითი სახე მისი არ წარმოსდგება შემთხვევითის გარემოებათაგან, რომელთაგან აქამდე ისტორიას ახუხულავებდენ, არამედ მუდმივ მოქმედ გარემოებათაგან, რომელნიც შეიძლება შეისწავლოს კაცმა. მატიანენი და გარდმოცემანი, რომელთ ნაკლებულებაზედ მუდამ სჩივიან, შეადგენენ ფრიად საჭირო და ღარიბ მასალას ხალხის უძველეს ისტორიის შესასწავლად; ხოლო უძველეს ისტორიას დიდ მნიშვნელობას ვაძლევ, რადგან მასში ყველაზე ადვილია შეამჩნიო ხალხის ძირითადი ეთნიკური თვისებანი. მატიანენი მოგვითხრობენ ქართლოსზე და ჰაოსზედ, რომელნიც არასდროს არა ყოფილან ქვეყანაზე. გადმოცემანი შეიძლება სრულიად შემთხვევით შემოტანილ იქმნენ ხალხში.

ამასთან დაკავშირებით უსლარი აფიქსირებს თავის საუბარს ერთ-ერთ ოსთან:

> მე ვკითხე ერთ ოსს: 'გარდმოცემა არა გაქვთ-რა თქვენს ჩამომავლობაზე მეთქი?' როგორ არა გვაქვსო. 'ხალხში ლაპარაკობენ, რომ ჩვენ და ნემცები ერთის ჩამომავლობისანი ვართო'. ცნობის-მოყვარეობა უფრო გაწმიცხოველდა: 'მიამბეთ, რას ამბობს ხალხი ამაზე მეთქი'. 'ამ რამდენიმე ხნის წინად ჩვენში მოვიდა ერთი სწავლული ნემეცი, იმან ასე გვითხრა და ხალხიც ასე ლაპარაკობსო'.

მაგრამ ვერც ენას და ვერც ადგილ-მამულს ვერ გადაასხვაფერებენ. – ესენი არიან უტყუარნი, დაუშრობელნი მატიანენი; ყოველს კავკასიის ხალხს, როგორც სხვა ხალხებსაც დედამიწის ზურგზედ, აქვს ამნაირი მატიანენი. ამ მატიანეებიდან შეიძლება შეიქმნეს ხალხის ნამდვილი ისტორია, – მიუთითებდა უსლარი.

რეცენზენტის მითითებით, უსლარი მიმხვდარა, რომ კავკასიის ენების შესწავლა შეუძლებელი იყო მათთვის ანბანის შეუდგენლად და აქეთკენ წარუმართავს მუშაობა. მთიელთა ენებისათვის ანბანად ქართული ანბანი შეურჩევია. რეცენზენტს მოჰყავს შემდეგი ციტატი უსლარის ნაშრომიდან:

> თუ დავაკვირდებით ქართულს ანბანს შესახებ თვით ქართულის ენისა, არ შეგვიძლიან არ გამოვტყდეთ, რომ იგი ჩინებულად შეფარდებულია და საკვირველად ზედ გამოწყობილი; იმისთანა განვითარებული ანბანი არ მოიპოვება მთელს ქვეყანაზედ: ყოველი ხმა გამოიხატება განსაკუთრებული ნიშნით, და ყოველი ნიშანი მუდამ ერთსა და იმავე ხმას აღნიშნავს.

პუბლიკაციაში მითითებულია, რომ უსლარის მოსაზრება ქართული ანბანი დადებულიყო საძირკვლად მთიელთა ანბანთათვის, პოლიტიკური მოსაზრებით უარყოფილ იქნა და ოსური ანბანის საფუძვლად შეგრენმა რუსული ანბანი აიღო. თუმცა მას არ ჰქონდა მტკიცედ გამოხატული პოზიცია. შემდგომში იგი მიუთითებდა, რომ ქართულ ანბანს იყენებენ მარტო ქართველები; იგი ძლიერ განირჩევა, როგორც რუსულისა, ისე სხვა ევროპული ენებისაგან. ამასთანავე ახლა რუსული განათლება ძლიერ გავრცელებულია განათლებულს ქართველებსა და სომხებში: 'მთის ხალხთა მომეტებულს ნაწილს არავითარი ურთიერთობა და დამოკიდებულება არა აქვს ქართველებთან, რუსებთან კი მჭიდრო დამოკიდებულებაში არის და ძლიერადაც გრძნობენ რუსული ენის და განათლების საჭიროებას, მაშასადამე, ერთიღა გვრჩება, რუსული ანბანი იყოს საფუძვლად და იმის ასოების მოხაზულობა შევაწყოთ და შევუხორცოთ ქართულს ანბანს', მიუთითებდა, გ. ყიფშიძის რეცენზიის მიხედვით, შეგრენი.

პოლიტიკურ მოსაზრებათა ძალით იქნა დარღვეული უსლარის თავდაპირველი კონცეფცია, რომელიც, რეცენზენტის აზრით, კულტურულ მნიშვნელობას მისცემდა ქართველებს მომავალში კავკასიაში და მცირეოდენად მაინც აღადგენდა მის ძველებურ ისტორიულს მნიშვნელობას, როგორც "უპირატესის ტომისას", რომელზედაც ნებას აძლევს მას ისტორიული უფლება და ისტორიული სამართალი.

გ. ყიფშიძე მიუთითებს, რომ მეცნიერი (საუბარია უსლარზე) სრულიად პოლიტიკურ ელფერს აძლევს თავის ნაშრომს. იგი სვამს საკითხს სხვადასხვა კავკასიის ეროვნებათა აღზრდისა და განათლების შესახებ მშობლიურ ნიადაგზე. აქ, ჩანს, ვლინდება მისი შორსმჭვრეტელური პოლიტიკა: 'მისთვის ყოველი გონივრული გზა თვით წადილი კი არ არის, არის მხოლოდ სახსარი გადაბირებისთვის'.

მოხმობილია უსლარის ნაშრომიდან დაღესტნელების მაგალითი, რომელთა მიმხრობა ("გადაბირება") ვერ მოახერხეს რუსებმა. აღნიშნულია, რომ სამასი წელიწადია ყაზანის სამეფო რუსებმა დაიმორჩილეს,

მომეტებული წილი რუსი აზნაურებისა, რომლებიც თათრის ჩამომავლობის არიან, სრულად გარუსდნენ, მაგრამ თვით ხალხის გარუსების მხრივ წინააღმდეგობას წააწყდნენ. უსლარი დაღესტნელების დასამორჩილებლად მიმართულ ღონისძიებებს უნაყოფოდ მიიჩნევდა და ერთადერთ საშუალებად ასახელებდა "აკლიმატიზაციას" ანუ მეცნიერების დანერგვას მთურ ნიადაგზე. უსლარის აზრით, შეუძლებელი იყო მთაში რუსული სკოლების გამართვით სასურველი ვითარების მიღება, ამას იგივე შედეგი მოჰყვებოდა რაც არაბულ სკოლებში არაბული ენის შევიწროებას:

> ათასი წლის არაბულის ენის ჩაგვრამ ვერ დასთრგუნა იგინი. რამდენი ენაც უნდა ვისწავლოთ, არც ერთი ისე ღრმად და კვალ-ამოუშლელად არ ჩაიბეჭდება ჩვენს სულიერს არსებაში, როგორც დედა-ენა, – ენა, რომლითაც გამოიხატვის და რომელშიაც მიმოკრთის სრული ჩვენებური სულიერი არსება.

გ. ყიფშიძე უსლარის შემდგომ აზრსაც იმოწმებს: ისტორიულ საგნად კავკასიის დაპყრობისა ჩვენ გვქონდაო მისი განათლება. ამ ნაირი დანიშნულება რუსეთს მისი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო მიანდო მას განგებამ თითქმის მთელი აზიის მიმართ. საჭიროა, რომ ეს შეიგნოს კავკასიის მოწინავე ხალხმა: მაშინ წინააღმდეგობის გაწევის უაზრობა ცხადად დაეხატებათ თვალწინ ... განათლების გზაზე ისინი, უდიდესის პლანეტის თანამდევ წვრილ ვარსკვლავთა მსგავსად, უნდა დარჩნენ სამუდამოდ რუსეთისა დამონავებულ თანამგზავრებად ... ეს ვითარება რუსებმა უნდა მოაწყონ ისე, რომ არც ერთი ეროვნობა არ დაიჩაგროს, პირიქით, უსლარის მითითებით, რუსებმა უნდა გააღვიძონ ყოველი მათგანი საუკუნო ღრმა ძილისაგან, ღრმა გაბრუებისაგან ... უკუეთუ კაცს ბუნებამ მოჰმადლა ღრმა ეროვნებითი გრძნობა, შეიძლება-ღა ეჭვი ვიქონიოთ, რომ დიდი დანაშაულობაა რომელიმე ეროვნების გაქრობის სურვილი? გაქრობა მისი გააღარიბებს სახელმწიფო ცხოვრებას და უფერულს გახდის მას. პოლიტიკური ცხოვრების ხიბლი არის სწორედ მისი სახეების სხვადასხვაობა, ფერადობა, ოღონდ ერთნაირს მიდრეკილებით აღბეჭდილი იყოს, ერთს გვარს ქარგაზე მოქარგული.

უსლარი სვამდა კითხვას იმის შესახებ თუ რა განაპირობებს ეროვნობის არსებობას. მისი მითითებით, პირველია ენა.

უსლარს მიაჩნდა, რომ რუსეთი საერთაშორისო საზოგადოების თვალში ბევრს მოიგებდა თუ აჩვენებდა ყველას რა დადებითი შედეგი მოაქვს ეროვნებათა დანარჩუნებას, ხელუხლებლობას, იმ ხალხების გამოლვიძებას, რომლებიც რუსეთის მოსვლამდე გაბრუებულ მდგომარეობაში იყვნენ. ამ ხალხების გამოფხიზლება უნდა იყოს კავკასიის განათლების მთავარი აზრი (## 1, 2, 6).

სრულიად ცხადია, რომ რუსეთის იმპერიის საჭიროებებზე ფიქრით მოცულ მეცნიერთან გვაქვს საქმე. მაგრამ *ივერიას* მაინც საინტერესოდ ეჩვენება მისი ამბიციური და რუსეთის უპირატესობის განცდით გამსჭვალული ნააზრევი, რომელიც იმპერიის ფარგლებში (და დაქვემდებარებაშიც) მიუთითებს ეროვნულ კულტურათა შენარჩუნებაზე და განვითარებაზე.

საზოგადოებრივი ზრუნვის საგანი გახდა ქართული ეროვნობის წარმატება. აქეთკენ არის მიმართული პირველივე ნომრის *შინაური მიმოხილვა* (ავტორი იაკობ გოგებაშვილი). ი. გოგებაშვილი ეროვნული განთავისუფლების უმნიშვნელოვნეს ფაქტორად მიიჩნევდა ხალხში ეროვნული, მამულიშვილური გრძნობის გაღვიძებას:

> არა გვგონია ვისთვისმე უცნობი იყოს ის აზრი, რომ მამულის სიყვარული, მხურვალე ეროვნული გრძნობა, არის უპირველესი თანხა ქვეყნის ბედნიერებისათვის. ელემენტარული აქსიომაა, რომ ბედნიერება ქვეყნისა მით უფრო მტკიცე გზაზედა სდგას, რამდენადაც ბევრი ჰყავს მას გულ-შემატკივარი და ერთგული მამულის-შვილი. მაგრამ ის კი ბევრმა არ იცის, რომ მამულის ჭეშმარიტი სიყვარული იმისთანა მაღალი გრძნობაა, რომლის აღზრდა ფრიად ძნელია. ზოგიერთს ჩვენებურს ვაჟ-ბატონებს რომ ჰკითხოთ, ყოველი ადამიანი დედის მუცლიდგანვე პატრიოტიაო, რადგან სამშობლო ქვეყნის სიყვარული ყველას ბუნებითვე თანა ჰყვება და ამიტომ ამ გრძნობის აღზრდაზედ ზრუნვა რა საჭიროაო.

მიუთითებს რა საზოგადოებაში გავრცელებულ ტენდენციაზე, ი. გოგებაშვილი დასძენს 'პატრიოტად გარდაქცევისათვის სრულიად საკმარისი არ არის, რომ კაცმა იცოდეს პატრიოტობა მშვენიერი რამ არისო ... ეროვნულ გრძნობას დიდი ხნის ზრუნვა, მოვლა, ყურის გდება და ერთგულება ეჭირება' (# 1).

პუბლიკაციაში საუბარია ქართული საზოგადოების გამოფხიზლების აუცილებლობაზე; ყურადღება გამახვილებულია იმ პირთა დაფასებაზე,

რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვოდათ ჩვენი ვინაობის აღდგენასა და ეროვნულ აღორძინებაში. ამის მაგალითად დასახელებულია ბატონ ჩუბინაშვილის დახვედრა ქართული საზოგადოების მიერ: 'ბ. ჩუბინაშვილის დახვედრით და მიგებებით ჩვენმა საზოგადოებამ მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა ეროვნულს პრინციპს, ხალხოსნურ მიმართულებას'.

იგულისხმება დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი (1814–1891), ქართველი ლექსიკოგრაფი, ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე. იგი მოღვაწეობდა რუსეთში, კერძოდ პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1840 წელს გამოსცა ქართულ–რუსულ–ფრანგული ლექსიკონი, 1846 წელს კი – რუსულ–ქართული ლექსიკონი, რომელსაც წაუმძღვარა ქართული ენის გრამატიკის ნარკვევი, 1855 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა *მოკლე ქართული გრამატიკა*, რომელშიც ძირითადად მოცემულია ახალი ქართული ენის ანალიზი; 1887–1891 წლებში გამოსცა ქართულ–რუსული ლექსიკონი. დ. ჩუბინაშვილს დიდი წვლილი აქვს ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლა-გამოცემის საქმეშიც. მონაწილეობდა *ვეფხისტყაოსნის* 1841 წლის გამოცემაში. 1842 წელს გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი რუსთველოლოგიური კვლევა *ქართული პოემის ვეფხისტყაოსნის შესახებ*. შეადგინა ქართული ლიტერატურის ქრესტომათია და სხვ.

აი, ამგვარი ღვაწლის მქონე პიროვნების დახვედრა მიაჩნია ი. გოგებაშვილს "ეროვნული პრინციპისა" და "ხალხოსნური მიმართულებისთვისათვის" სოლიდაროზად.

მეორე ნომრის *შინაური მიმოხილვაში* (ავტორი იაკობ გოგებაშვილი) წარმოდგენილია მსჯელობა ქვეყნის წარმატებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორზე – ერსა და ინტელიგენციას შორის მჭიდრო სულიერი კავშირის დამყარების აუცილებელობაზე. ერსა და ინტელიგენციას შორის კავშირის განმტკიცება და გაძლიერება კი შესაძლებელია ენის, ეროვნული ლიტერატურის, ქვეყნის ისტორიის შესწავლით. სწორედ აქეთკენ უნდა იქნას წარმართული ქვეყნის გულშემატკივართა მუშაობა, საზოგადოებამ უნდა იზრუნოს მოწაფის ეროვნული კულტურით დაინტერესებაზე, უნდა აღზარდოს იგი ერის გულით და სულით შეთვისებულ შვილად. ავტორის მითითებით, ამ ფაქტორს ანიჭებდა ყველა ქვეყანა სასწავლებლებში უმთავრეს მნიშვნელობას. ჩვენთან კი ამ მხრივ საშინელი ვითარება იყო.

პუბლიკაციაში წარმოჩენილია, თუ რამდენად დამცრობილ მდგომარეობაში იყო ქართული ენა, რასაც მოწმობს აქ გამოქვეყნებული კავკასიის სამოსწავლო ცირკულარის მონაცემები. გიმნაზიებსა და სხვა სასწავლებლების ქართული ენისათვის მეექვსე გაკვეთილები ყოფილა დანიშნული და იმდენად მცირე საათები ჰქონია დათმობილი, რომ ბევრად ჩამორჩებოდა მეორე თუ მესამე ხარისხის საგნებს. ცირკულარის მიხედვით თბილისის გიმნაზიაში ქართულ ენას წელიწადში 156 გაკვეთილი ჰქონია. თბილისის საქალებო გიმნაზიაში ქართული ენისათვის 23 გაკვეთილი ყოფილა განწესებული, მაშინ როდესაც სომხურ ენას ამ სასწავლებელში 101 გაკვეთილი რგებია. ხოლო ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტში, სადაც უფრო საჭიროა ქართული ენის სწავლება, რადგანაც ეს ერთადერთი სასწავლებელია თბილისში, სადაც ქართველობა უმრავლესობას შეადგენს და საიდანაც გამოდიან მასწავლებლები საქალაქო სკოლებისათვის, ქართული ენის ხსენებაც არ ყოფილა.

აქვე საუბარია ამგვარად შემუშავებული სასწავლო პროგრამების სავალალო შედეგებზე. თითქმის ყველა სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება უმეცარი მასწავლებლებისთვის ჩაუბარებიათ. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენდა სასულიერო სასწავლებლებისათვის, რომლებმაც უნდა მისცეს ხალხს ჭეშმარიტი მოძღვრები. ამის ნაცვლად, ყოველი ეროვნული საუნჯის ცოდნას მოკლებული მოძღვარი დაუბრუნდა საზოგადოებას, რომელიც თავის ჭეშმარიტ მოვალეობას ვერ ასრულებდა. ავტორი მიუთითებს, რომ კათალიკოსობის გაუქმებამ და ეგზარქოსობის შემოღებამ, სასულიერო ახალგაზრდობის აღზრდა და სწავლა აცდინა თავის ნამდვილ მიზანს – 'ქართველ ხალხისათვის ჭეშმარიტის მოძღვრების მომზადებას – და დააყენა გადაბირების გზაზედ'. ამ დროიდან დაარსდა ჩვენში სასულიერო სასწავლებლების ნაცვლად სქოლასტიკური ანუ ბერძნულ–ლათინური სემინარიები. ჩვენი ქვეყნის სასულიერო საქმეების წამმართველად დაინიშნა უმაღლესი სინოდი, რომელმაც რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა ჩვენი სემინარიები. ეგზარქოსები თუ რაიმე გონიერ მოსაზრებას წარადგენდნენ ხოლმე სინოდში, იმ მოსაზრებას რომელიც ზედგამოჭრილი იყო ჩვენს განსაკუთრებულს ცხოვრებაზე, უარი მოსდიოდათ – იმ საბუთით, რომ თქვენის წადილის შესრულება საზოგადო წესდების ჰარმონიას დაარღვევსო, თითქოს ერის

ცხოვრება იყოს დაწესებული წესდებისათვის და არა წესდება ერის ცხოვრებისათვის. მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში ეგზარქოს ევსევის შეუნიშნავს ის გარემოება, რომ ქართველი მღვდლები არამცთუ ვერ აღავლენდნენ ქადაგებას ქართულ ენაზე, არამედ საეკლესიო წიგნებს ბორძიკით კითხულობდნენ და წინადადება წამოუყენებია თბილისის სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების გაძლიერების თაობაზე. თუმცა მთავრობისაგან უარი მიუღია.

როგორც ითქვა, "რეაქციის" წლებში მთავარი სამიზნე ქართული ენა გახდა. აი, როგორ პასუხს აგებებს *ივერია* ამ გამოწვევას.

ავტორი ერის წარმატებისთვის მეორე აუცილებელ ფაქტორზე მიუთითებს: ესაა ზრუნვა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. 'მართალია, დოვლათის აღორძინებაზედ ეროვნულს უფლებათა აღდგენასაც კეთილი გავლენა აქვს, მაგრამ პირდაპირ არა, მხოლოდ შუამავლობით. მეორე მხრივ, ეკონომიკურად აყვავება ქვეყნისა ხდება ეროვნებითი აღორძინებით'.

ი. გოგებაშვილის მითითებით, 'ამ სახით ეს ორი დედა-ბოძი ხალხის ცხოვრებისა ერთმანეთს მხარს აძლევენ, ხელი-ხელ არიან გადაბმულნი' და მათი დაცალკევება და გაყრა ხეირს არ დააყრის არც ცალკე პირსა და არც საზოგადოებას (# 2).

ამავე ნომერში წერილი სიღნაღის მაზრიდან პირდაპირ ეხმიანება ი. გოგებაშვილის ზემოთ განხილულ წერილს. ნათლად ასახავს, თუ როგორ გადააგვარა რუსიფიკატორულმა რეჟიმმა სამღვდელოება. მოთხრობილია ერთ-ერთი სოფლის მღვდლის დამოკიდებულება სასოფლო სკოლების გახსნის თაობაზე:

> ეჰ ძალიან ცუდს საქმესა შვრებიან სოფლებში სკოლებსა, რომ ხსნიან; ხალხი ეშმაკდება, მღვდელსაც პატივი აეყარა მათგან და ერსაც, აღარც შენდობის აღება იციან და აღარც თავის დაკვრა, აღარც სხვა პატივისცემა ... ამას იქით კიდევ უფრო არაფრად ჩაგვაგდებენ!

აქვე საუბარია ჩინოვნიკის დამოკიდებულებაზე საზოგადოების განათლების საკითხთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მასწავლებელი სასკოლო წიგნებით და გლობუსით უნახავს ერთ ნაცნობ ჩინოვნიკს და უთქვამს: «Это что такой, земной шарь? Да, земной глобусь», – უპასუხია მასწავლებელს. «Напрасно грабять казну! На что крестьянскимь детямь земной шарь?»

კორესპონდენტი სიღნაღელის ფსევდონიმით აღნიშნავს: 'აი, ასეთ ხალხი ახვევია სოფლის სკოლებს გარშემო, გლეხების თანაგრძნობისა ხომ, აბა რა იმედი უნდა ჰქონდეს კაცსა? იმათ რომ "ჭკვა ჰქონდეთ" ვაჭრები ხომ შიმშილით დაიხოცებოდნენ, როგორც თვითონ აღიარებენ კარაპეტ-მარტირუზაები' (# 2).

როგორც ვხედავთ, მრავალმხრივია *ივერიის* ეს პასუხიც გარემოს გამოწვევებზე: კლერიკალებს საგანმანათლებლო საქმესთან არაფერი ესაქმებათ, ხალხის მყვლეფავები უცხოტომელები არიან, მაგრამ ქართველობა, გლეხობა თავადაც არანაირად არ დგას მოწოდების სიმაღლეზე.

როგორც უკვე არაერთხელ მივუთითებდით, ერის ფესვების ძიება, მისი უნიკალური კულტურის წარმოჩენა და ისტორიული მახსოვრობის გააქტიურება *ივერიის* მუდმივ საზრუნავს წარმოადენდა. სწორედ ამ კონტექსტში განხილვას საჭიროებს მღვდელ დ. ჯანაშვილის წერილი, რომელშიც მკითხველს მიეწოდება ინფორმაცია ჩვენი ისტორიული ცხოვრების შესახებ (## 3, 4, 5). წარსული აშკარად იდეალიზებულია. მითითება ხდება სამაგალითო ფაქტებზე: საუბარია ერის კეთილდღეობისათვის მოღვაწე პირების და ქვეყნისათვის თავდადებული გმირების შესახებ. ავტორის მიზანია თვალი გაადევნოს ჩვენი წინაპრების მოღვაწეობას ვინაობის, ენის, სარწმუნოების, პოლიტიკური თავისუფლების დასაცავად. ამ თვალსაზრისით ხაზგასმულია სასულიერო წოდების, ქართველი დედაკაცების, თავადაზნაურთა და, აგრთვე, გლეხების ღვაწლიც, ანუ ქართული ერთობის შემდუღაბებლად წარსულში წარმოადგენს თავდადება ქვეყნისათვის:

> ძველებურნი მამანი ქვეყნის სასარგებლოდ უფრო ზრუნავდნენ ვიდრე პირადი სარგებლობისთვის. სულიერთ მამათაგან იყო მოფენილი საქართველოს მთა-ბარი დედათა და მამათა მონასტრებითა, რომელთა რიცხვი აღემატებოდა ორასსა, როგორც მე გამოვიანგარიშე ვახუშტის გეოგრაფიული აღწერილობიდან. ეს ამოდენა მონასტრები იმ განზრახვით იყვნენ აშენებული, რომ ბერებს და მონაზვნებს ქართველთა ახალგაზრდა ყმაწვილებისათვის ქართულ ენაზე ესწავლებინა წერა-კითხვა, ქართული ისტორია, საღმრთო წერილი, გაეხსნათ გონება, მიეცათ მათთვის ისეთი განათლება, რომ გაეგებინებინათ მათი ვინაობა, შეეყვარებინათ მათი ეროვნება, სამშობლო, თავისუფლება და სარწმუნოება. რადგან კეთილისმსურველნი

> უფრო მომეტებულნი იყვნენ, ვიდრე მავნენი, ვამტკიცებ, რომ ძველებურ სასულიერო წოდებას თავი შეწირული ჰქონდა ქართველი ხალხის სარწმუნოებისა და ვინაობის დასაცველად. ის აძლევდა ერს განათლებას, ის იცავდა მის დამოუკიდებლობას, ის აძლიერებდა ეკლესიურ მწიგნობრობას და როცა საჭიროება მოითხოვდა, ებრძოდა მტერს ძლიერი სიტყვითა და თავგანწირულებით.

ამ წელს იბეჭდება ფრანგი ფილოსოფოსისა და მწერლის ე. რენანის (1823–1892) *რა არის ერი?* (# 3). ეს იყო მეცნიერის მიერ წაკითხული ლექცია, რომელმაც მთელი მსოფლიო მასშტაბით მოახდინა დიდი გავლენა "ერის" გაგებაზე. ქართულ სინამდვილეში მისი მყისიერი თარგმანის გამოჩენა არის უდავოდ ძალიან დიდი მნიშვნელობის ფაქტი. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს პუბლიკაციის სათაური, სადაც "ერის" მერე ფრჩხილებში წერია განმარტება: "ნაცია", ანუ *ივერია* აღნიშნულ უძველეს ქართულ ტერმინს იყენებს ევროპული ნაციის შესატყვისად. ძალიან საგულისხმოა ის შენიშვნაც, რომელიც რედაქციისაგან აქვს დართული ამ პუბლიკაციას:

> ეს შესანიშნავი სიტყვა საფრანგეთის გამოჩენილმა სწავლულმა ერნესტ რენანმა წარმოთქვა პარიჟის უნივერსიტეტში წრეულს 27 თებერვალს და რამდენსამე ფრანცუზულს ჟურნალში დაიბეჭდა. იმ ეროვნებრივის მოძრაობის გამო, რომელიც მთელს ევროპას მოედო ამ უკანასკნელს ხანს, ეს წერილი ჩვენის მკითხველებისათვისაც საყურადღებო უნდა იყოს.
>
> რედ.

როგორც ჩანს, ცენზურის გზაკვალის ასაბნევად ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესისადმი მიძღვნილი ნაშრომისადმი ქართველი მკითხველის ინტერესის მიზეზად შენიშვნაში დასახელებულია ევროპაში არსებული "ეროვნებრივი მოძრაობა" ანუ ევროპული ნაციონალისტური მოძრაობა და არა ქართველთა ნაციონალური მობილიზაცია, რომლის წამმართველი იყო *ივერია*.

ივერია ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგიას აყალიბებდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ იგი ქმნიდა ამ ახალი იდეოლოგიის სპეციფიკური ენის ლექსიკონსაც ქართული ენის რესურსის გამოყენებით. "ნაციის" ეკვივალენტად იგი "ერს" გვთავაზობს, "ნაციონალიზმის" ფარდად კი – "ეროვნებრივობას".

როგორც მივუთითებდით, ილიას ერთ-ერთი თანამოღვაწე და ბიოგრაფი გ. ყიფშიძე ილიას მიერ ერის გაგებასა და ე. რენანის თვალსაზრისს შორის ხედავდა კავშირს. ეს მსჯელობა მას აქვს მოყვანილი ილიას მიერ ისტორიული მახსოვრობის მნიშვნელობის განსაკუთრებულად წარმოჩენასთან დაკავშირებით. ეს საკითხი ილიასათვის აქტუალური გახდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწების რუსეთის ხელში გადასვლით და ამ გზით საქართველოს მიერ მისი შემოერთების[28] დროს. მაგრამ დავუბრუნდეთ გ. ყიფშიძეს, რომელიც, კერძოდ, მიუთითებდა: 'რენანის წიგნაკის დედა-აზრიც ეს იყო: ერის დამახასიათებელი თვისება არც ერთ ტომობაა, არც ერთ სარწმუნოება, არც ერთ ენიანობააო: ერთის ერის ერად შემქმნელი, ერის ერად გადამქცევი საერთო წარსულია, და იმ წარსულში გამოვლილი ჭირი და ლხინიო'.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მ. ღაღანიძე ილიას ნააზრევში ამ მომენტის ანუ რენანთან გარკვეული ნათესაობის დანახვას, გ. ყიფშიძეს დამსახურებად უთვლის, რაც, მართლაც, ასეა. მაგრამ ისიც გასათვალსწინებელია, რომ ეს მომენტი, ჩანს, მაშინ ისე ძნელად შესამჩნევი არ იყო, როგორც ახლა გვეჩვენება. *ივერიის* გარშემო შემოკრებილი ქართველი ნაციონალისტები რენანის აღნიშნული შრომით ხშირად იყვნენ ინსპირირებულნი. ერთმანეთის შემოქმედების ეს მხარე მათ კარგად უწყოდნენ. *ივერიის* ბევრი ავტორი კარგად ერკვეოდა ნაციის რენანისეულ დეფინიციაში და ისტორიული ფაქტების გააზრებისას შემოქმედებითადაც იყენებდა მას. კიდევ მეტი: აყენებდა წინადადებას ამ მიდგომაში კორექტივის შეტანისა ქართული გამოცდილების გათვალისწინებით.

---

[28] გვსმის, რომ "შემოერთება" არაზუსტად შერჩეული სიტყვაა, რომლის გამოყენების ტრადიცია საბჭოური ისტორიოგრაფიიდან მოდის. მაშინ საქართველო არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს ანუ თავის თავს თვითონ არ ეკუთვნოდა და, ცხადია, ვერც ვერავითარ ტერიტორიას ვერ შემოიერთებდა. ზოგი თანამედროვე მკვლევარი ჩვენი აზრით, ამიტომაც აღნიშნულ ფაქტს აღწერს, როგორც რუსეთის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის "ანექსიას". მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც "შემოერთებას" მივანიჭეთ უპირატესობა, რადგან თავად იმდროინდელი ქართველობა ასე აღიქვამდა ამ ვითარებას: ქართველებისათვის ნამდვილი შვება ის იყო, რომ, მას შემდეგ რაც ეს მიწები რუსეთისა გახდა, საქართველოს დანარჩენი ნაწილის მოსახლეობას ამ ნაწილთან კომუნიკაციის საშუალება მიეცა.

ნაციონალიზმი, როგორც ითქვა, მიუხედავად მისი უნივერსალურობისა, კონკრეტულ ვითარებაში გარკვეულ თავისებურებას ამჟღავნებს. ამიტომ მეცნიერები გამოყოფენ სხვადასხვა ტიპებს. სხვადასხვაგვარია მათზე ალმოცენებული ნაციებიც. განასხვავებენ ნაციის ვოლუნტარისტულ და ორგანიცისტურ ტიპებს. სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად მიუთითებენ, რომ რენანის დეფინიცია გულისხმობს ნაციის ვოლუნტარისტულ ტიპს განსხვავებით გერმანელი რომანტიკოსებისაგან, რომლებიც ნაციას გაიაზრებენ ორგანიცისტულად ანუ ობიექტივისტურად ანუ რეალური ეთნიკური მარკერების საშუალებით. ე. რენანის მიხედვით კი ერის განმსაზღვრელია ხალხის სურვილი იცხოვრონ ერთად, რომელთაც დიდი საქმეები აქვთ გაკეთებული წარსულში ერთად და აქვთ სურვილი უფრო მეტი გააკეთონ მომავალში.

წარსულისადმი დამოკიდებულებაში, რომ ილიას შეხედულება ემთხვევა რენანისას, როგორც მითითებულია კიდეც, უეჭველია. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია ილიას ერის ვოლუნტარისტული გაგება მივაწეროთ: მისი პროექტი აშკარად იყო ერთი გვარტომობით შედუღებული ორგანიკული ერთობის შექმნა. ბოლოსდაბოლოს სამხრეთ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დანარჩენ ქართველობასთან ინტეგრირებაც ხომ იმიტომ მიაჩნდა შესაძლებლად, რომ ამ ორი ნაწილის "გვარტომობა" ემთხვეოდა. ისინი ძმები იყვნენ. ისტორიული მახსოვრობა, რომელზეც ილია აქცენტს აკეთებდა, ამ შემთხვევაში, "მუშაობდა" სწორედ ერთი "გვარტომობის" მქონე ჯგუფის ფარგლებში.

მაგრამ, როგორც ირკვევა, ერის შესახებ თავად რენანის ნააზრევის ინტერპრეტაცია, როგორც ვოლუნტარისტულისა, არ არის სწორი. ე. სმითი აჩვენებს, რომ რენანის ეს დეფინიცია ვოლუნტარისტულად შეცდომით არის მიჩნეული. ამ საკითხზე ცოტა ვრცლად უნდა შევჩერდეთ, რადგან ამჯერად რენანის ნააზრევის კვალიფიკაცია ჩვენთვის საინტერესოა ილიას ნაციონალიზმის ხასიათის გასაგებად. ეს მეცნიერი მიუთითებს, რომ არსებობს ერების ვოლუნტარისტული და ორგანიკული ტიპები.

ვოლუნტარიზმსა და ორგანიციზმს შორის დაპირისპირებას ე. სმითი განიხილავს ტრეტშეკესა და რენანის შეპირისპირების კონტექსტში. პირველმა ელზასისა და ლოტარინგიის სადავო ტერიტორიების ანექსირების კანონიერების საჩვენებლად ეთნოლინგვისტური

კრიტერიუმები გამოიყენა. რაც შეეხება რენანს, იგი უფრო პოლიტიკურად და ვოლუნტარისტულად უდგებოდა ამ საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად სწორად მიიჩნევდა საფრანგეთის წარმოშობის გერმანიკულ თეზისს, რენანი აქცენტს აკეთებდა ნაციების სულიერებაზე და ხაზს უსვამდა მათთვის ისტორიული მახსოვრობისა და პოლიტიკური ნების მნიშვნელობას.

ე. სმითს მოჰყავს ე. რენანის კარგად ცნობილი აზრი ნაციადყოფნაზე როგორც მუდმივ პლებისციტზე. მისი მითითებით, სწორედ ამ ფრაზას იმოწმებენ იმისათვის, რომ რენანის მიდგომა შეაფასონ როგორც ვოლუნტარისტული და დაუპირისპირონ იგი გერმანულ ორგანიციზმსა და დეტერმინიზმს. ე. სმითი უარყოფს ამას და აი, რას მიუთითებს:

> ეს კარგად ცნობილი ფრაზა ხშირად ამოგლეჯილია კონტექსტიდან, როცა გერმანული რომანტიკული იდეოლოგიის ორგანიციზმის და დეტერმინიზმის საპირისპიროდ, ნაციონალობის ლიბერალური და ვოლუნტარისტული იდეალის საჩვენებლად არის ხოლმე მოხმობილი. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ რენანს თავი შორს ეჭირა როგორც დეტერმინიზმისაგან, ისე ორგანული ანალოგიისაგან. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ვოლუნტარისტული ნაციონალობის დოქტრინას ან ინდივიდის იმ უფლებას იცავს, რომლითაც იგი ინდივიდი თავად ირჩევს ნაციას. რენანი უფრო მეტად ნაციის ისტორიული და აქტივისტური გაგების დაცვას ესწრაფვის, რომელმაც "წინაპართა კულტს" და "გმირულ წარსულს" სათანადო წონა უნდა მიანიჭონ. ნაციის ინდივიდთან ანალოგია იმისათვის არაა გამიზნული, რომ ინდივიდის პრეფერენციათა და ჯგუფური იდენტობების სიტუაციური ანალიზის ლიბერალურ თეორიას დაუჭიროს მხარი. მისი დანიშნულებაა ნაციათა ჩამოყალიბებისას აჩვენოს წარსულის – ისტორიისა და მახსოვრობის (და დავიწყების) ისევე როგორც განგრძობადი პოლიტიკის როლი[29].

ე. სმითის მიერ ჩატარებული, ეს ანალიზი, ჩვენი აზრით, სავსებით გამოსადეგია ნაციის ინტერპრეტაციის საკითხში ილიას მსოფლხედვის გასაგებად. ილია არც ორთოდოქსი ორგანიცისტია, მაგრამ არც ვოლუნტარისტი. ერთი მხრივ, ნაციის ეთნიკური ფესვები

[29] ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი– მალენი). თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, 2004, გვ. 67.

ილიასათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თუმც, მეორეს მხრივ, წარსულის გათვალისწინებაზე დაფუძნებული პოლიტიკური ნება ასევე არსებითად მიაჩნდა.

ზემოთ არაერთი კორესპონდენცია გვაქვს განხილული, რომელიც ქვეყანაში არსებულ საშინელ სოციალურ და ეკონომიკურ ვითარებას ასახავს. ასევე არაერთგან იყო მითითებული ქართველთა სიღარიბის განმაპირობებელ მიზეზებზე. *ივერიის* პუბლიკაციების მიერ კულტივირდებოდა აზრი, რომ აღნიშნულის უმთავრესი მიზეზი იყო ვაჭრობის გადასვლა სომეხთა ხელში. დასახელებული ვითარება საზოგადოებრივი ფიქრის და ზრუნვის საგნად იქცა. ქვეყნის კეთილდღეობისთვის მზრუნველმა პირებმა ამ მდგომარეობიდან თავის გამოსახსნელად სათავადაზნაურო ბანკის და დეპოების გამართვის საქმეს მიჰყვეს ხელი. როგორც ყველა წამოწყებას ამ საქმესაც ჰყავდა მოწინააღმდეგეები. მაგრამ საზოგადოებამ ნათლად დაინახა თუ რა სარგებლობა მოუტანა კონკრეტულად ამ წამოწყებამ ხალხს. ამ ვითარებას თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს მეოთხე-მეხუთე ნომრის კორესპონდენცია *წერილი ივრის ხეობიდან*, რომლის ავტორია ა. კავთელი (ალექსანდრე ცხვედაძე). აღნიშნულ პუბლიკაციაში ასახულია საგარეჯოს ბანკის და დეპოს საქმიანობა. აქ გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობის მიხედვით, 'ბანკის ამხანაგობას ამ ექვსი წლის განმავლობაში გაუსესხებია ოთხი ათას ოთხმოც-და-თორმეტი თუმანი ფული. ბანკი რომ არა ყოფილიყო, ამ ფულს გლეხკაცობა, რასაკვირველია, ვაჭრებისაგან აიღებდა. ამის სარგებლად თუმანზე გადაწყვეტილი ჰქონდა ორი კოდი პური ან ერთი საპალნე ღვინო ... ახლა რასაც სარგებელს აძლევს ბანკში, ისევ თითონვე უბრუნდება ანგარიშის დროს. ეს ყოველმა გლეხმა იგრძნო და უცქერის ბანკს ისე, როგორც თავის საკუთრებას, თავის ჯიბეს'.

ავტორის მითითებით, ბანკების და დეპოების გამართვა იყო ნამდვილად ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო საქმე, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ი. ჭავჭავაძე. საქმის წარმატება იმაში მდგომარეობდა, რომ იხსნა გლეხობა მყვლეფავებისგან – თავისი ნაშრომი, რომელიც უშრომელად ვაჭრების ხელში გადადიოდა, ამჯერად გლეხს რჩებოდა ბანკების და დეპოების წყალობით (# 4, 5).

როგორც ვხედავთ, ბანკები ამ პერიოდის საქართველოში განიხილებოდა როგორც დაწესებულებანი, რომელთა ფუნქცია იყო

ქართველი ერის ფინანსური კრახისაგან გადარჩენა. ქართველი გლეხებისა და თავადაზნაურობის კონსოლიდება ხდებოდა არა უბრალოდ მევახშეების წინააღმდეგ, არამედ ეთნიკურად სხვა წარმომავლობის მევახშეების წინააღმდეგ. კაპიტალისტური ეკონომიკის გამოწვევას ქართული ერთობა ქართული კულტურული ელიტის (მათ შორის იყვნენ როგორც თავადაზნაურობა, ისე არაარისტოკრატიული წარმოშობის ინტელექტუალები) მეთაურობით კორპორაციულად დაუპირისპირდა. კაპიტალიზაციის პროცესი ელვისებურად ვითარდებოდა. მიუხედავად ამისა, ქართულმა ჩვენ-ჯგუფმა გარკვეული ხარისხის შიდა-ჯგუფური სოლიდარობის მიღწევა მოახერხა და საკუთარი ქვეყანა არ დაკარგა. შეიძლება ითქვას, რომ როგორც შინაურ, ისე გარეშე "მნიშვნელოვან სხვებთან" ჭიდილში ის გამარჯვებული ანუ როგორც ერი, გამოვიდა.

ჩვენ ზემოთ არაერთხელ მივუთითებდით *ივერიის* იმ პუბლიკაციებზე, რომლებიც ასახავენ რუსეთ-თურქეთის 1877–1878 წლების ომის მიზეზით ქართული საზოგადოების დიდ ინტერესს სამხრეთ საქათველოსადმი. ეს ინტერესი არ ნელდება წლების შემდგომაც. ამავე ნომრის რუბრიკაში *ნახული და გაგონილი* (# 4, 5) წარმოჩენილია სამცხე-საათბაგოში არსებული მდგომარეობა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის მხრივ. ამ თვალსაზრისით ქართველთა ძირ-ძველი ქვეყანა ფრიად სავალალო სურათს წარმოადგენს – აწყური, ხერთვისი, ახალციხე უცხო ეთნიკური წარმომავლობის და არამართლმადიდებელი მოსახლეობის ხელში ყოფილა. ახალციხეში – სომხები, ფრანგები, ებრაელები ცხოვრობდნენ. მაგრამ ერთი საინტერესო ფაქტიც არის დაფიქსირებული, რომ თითქმის ყველანი ქართულად ლაპარაკობენო, გარდა უკანასკნელად ერზრუმიდან გადმოსახლებული სომხებისა, რომელნიც კალიასავით მოსდებიან მთელ მხარეს და მთელი ვაჭრობა ხელთ ჩაუგდიათ:

> ახალციხეში კიდევ ეტყობა, ვისი ყოფილა უწინ ეს ქვეყანა, მაგრამ გარშემო სოფლები რომ დაიაროს კაცმა, ასე ეგონება ანის ქალაქის არემარეში დავდივარ, ან კიდევ ქურთისტანშიო, აქ წმინდა ქართველობა ძალიან ნაკლებად არის, უფრო შეხვდებით გათათრებულ ქართველობას, სომხობას, ქურთებს და თარაქამებს, რაღაც უცხო ხალხებს, რომელთ დასაწყისი მეცნიერთ ჯერედაც არ გამოუკვლევიათ ... ასპინძა ეს არის გათათრებულ

> ქართველების ბუდე ... ასპინძელებს სახეზედ ეტყობათ, რომ ესენი სწორედ ქართვლის სისხლისანი არიან და ოსმალოს სისხლი თითქმის სრულებით არ ურევიათ, მაგრამ, ღმერთო! რა ცვლილება მოუხდენია სარწმუნოების ცვლილებას ამათ ცხოვრებასა და ხასიათში! რენანი ამბობს, რომ ეროვნების დედა-აზრი სარწმუნოებაზედ არ არის დამყარებულიო. დიაღაც ასეა, სადაც სარწმუნოება ერს უომრად რგებია და უომრადვე აქვს დაცული. მაგრამ რომელს ერსაც კი იმდენი ხანი დასჭირდება სარწმუნოებისთვის ბრძოლა, რა ხანიც ქართველობა იბრძოდა, ამ ერისათვის სარწმუნოების შეცვლა და შეცვლა ეროვნებისა ერთი და იგივეა. ჰკითხეთ, მაგალითად, ასპინძის მცხოვრებს: ვინ ხარო? მოგიგებთ მუსულმანი ვარო. ქართველობას აღარა კისრულობს. რაკი სარწმუნოება შეეცვალა, შეეცვალა ენაც, ჩვეულებაც, ზნეც; შეეცვალა ყოველისფერი, რაც კი ერთს ერს მეორისგან განარჩევს, გარდა სახისმეტყველებისა, რომელიც შეეცვლება აგრეთვე დროთა-ვითარებისაგან. სარწმუნოება მრავალ საუკუნე ომ-გამოვლილ ხალხისთვის შეადგენდა უმთავრეს ბურჯს ეროვნებისას.

ქართველი ნაციონალისტების ის ოპტიმიზმი, რომელიც ახლდა მუსლიმან ქართველებთან ქრისტიანი ქართველების შეყრას, როგორც ვხედავთ, არსებულ რეალობას გაუნელებია. სარწმუნოების შეცვლის შედეგები ძალიან დამაფიქრებელი გამხდარა ქართველებისათვის. საინტერესოა, ე. რენანის მოხსენიებაც და თეორიის კორექტივის ცდაც კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით. როგორც მკითხველს ახსოვს, ამის შესახებ მივუთითებდით ზემოთ.

შინაური მიმოხილვაში (ავტორი ილია ჭავჭავაძე) საუბარია ეროვნული ღირსების გაღვიძებაზე. კერძოდ, მითითებულია, რომ თავადაზნაურობამ იცნო სკოლის უდიდესი საჭიროება და ინიციატივას იჩენს სასკოლო ფულის გაწერის საქმეში. გაუჩნდა თავისი თავის შველის მხსნელი აზრი. ქართლის და გურიის თავადაზნაურობამ, მაგალითად, ერთხმად იკისრა გაიწეროს შვილების განათლებისთვის ხარჯი და მოითხოვა ქართულ ენას თავისი კუთვნილი ადგილი მისცემოდა სკოლაში. 'ბევრს ჩვენგანს უგრძვნია და უცვნია საქვეყნო სიკეთის მნიშვნელობა და ამოქმედებულაო', – წერს აღფრთოვანებით ილია და იქვე აგრძელებს, ეს შემოქმედებითი ძალი არის ყოველი წარმატების სათავე, 'საცა ეგ ძალი აღძრული არ არის, იქ ცხოვრება დგას ვითარცა გუბე და გუბესავით შხამავს და ჰსწამლავს გარეშემო ჰაერსა'. ჩვენდა სასიხარულოდ თბილისის და გურიის თავადაზნაურთა გადაწყვეტილება

კი მოწმობს, რომ მათი 'ღირსება ფეხზედ წამოდგა და დიდი ხნით თავმინებებული თავისი კუთვნილება ხმა-მაღლა მოითხოვა' (# 4, 5).

როგორც მითითებულია თეორიულ ლიტერატურაში, ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესში ერის ღირსების გამოკვეთა ნაციონალისტების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს შეადგენს. ეს კორესპონდენცია ამ აზრითაა სწორედ ძალიან საინტერესო.

1881 წლის *ივერიის* ნომრების განხილვისას ჩვენ გვქონდა წარმოდგენილი მსჯელობები ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო ნაშრომების შექმნაში ქართველი სტუდენტობის ჩართვის თაობაზე. განსახილველ ნომერში გრძელდება აღნიშნულ საკითხზე პოლემიკა ნ. ხუდადოვსა და გ. ყიფშიძეს შორის. გ. ყიფშიძის მოსაზრებით ახალგაზრდობა და კერძოდ, სტუდენტობა გადაგვარებული აღზრდისაგან, მშობლიურ ნიადაგს მოკლებული ვერ შესძლებს შეასრულოს თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

მეოთხე-მეხუთე ნომერში წერილში *ახალ-გაზრდობის მიმართულებაზე* ნ. ხუდადოვი საყვედურობს გ. ყიფშიძეს 'თითქმის სამშობლოს ღალატად მიაჩნია თეორეთიული განვითარებაო ... ვის შეუძლია ამ მეცნიერებათა დაფუძნება სამშობლოში?' – კითხულობს იგი და დასძენს – 'ნუ თუ იმას, ვისაც თავის სიცოცხლეში გაუგონია ერთად-ერთი მოხუცებულ პაპისა და სოფლის ჩაჩანაკ მამა-ბერთაგან ნაამბობი *გმირის ერეკლეს ლაშქრობა*, ვისაც ეხატება გონებაში მისთ ჯავრით სავსე მსაჯული ლეონიძე, მდევი დავით აღმაშენებელი, ბრძენი თამარი, დიმიტრი თავ-დადებული და ვისაც მარტო ამითი ყველაფერი გაუგია ... სუყველაფერი უგრძვნია, თვალები აუხელია. აი, მკითხველო, რა ყოფილა ჩვენი გონების გასახსნელი და განმავითარებელი'; აი, თურმე ის, რის მეოხებითაც შეიძლება სოციოლოგიისა და სხვა მეცნიერების დაფუძნება, მიუთითებდა ნ. ხუდადოვი.

კრიტიკული წერილის დასასრულს ავტორი აღნიშნავდა: 'მარტო ერთი რამ გვაკვირვებს: რატომ ბატონ კრიტიკოსს და მის მზგავსებს აქამდის თხოვნა არ შეუტანიათ მთავრობასთან, რომ აეკრძალოს ქართველებს სწავლა გიმნაზიებში და უნივერსიტეტებში – თორემ ხომ სულ დაიღუპა სამშობლოო' (## 4, 5).

ამ უკანასკნელ თვალსაზრისთან დაკავშირებით არა მარტო გ. ყიფშიძე სცემს პასუხს, პასუხი თითქმის ყოველ ნომერშია გაცემული. ნ. ხუდადოვს ყურადღების მიღმა დარჩენია ის ფაქტი, რომ სრულიად

საქართველომ დააყენა ეს მოთხოვნა. მოთხოვნა რუსულ–ბერძნულ–ლათინური გიმნაზიების ქართულით შეცვლის თაობაზე. გ. ყიფშიძე საპასუხო წერილში კიდევ ერთხელ განმარტავს იმ გარემოებას, რომ:

> სტუდენტობას უნდა ჰქონდეს გამოვლილი არა უცხოეთის სკოლა, არამედ ნაციონალური, რომელიც აღზრდის მასში ეროვნულ მიდრეკილებას, მამულის სიყვარულსა და შეისწავლის თავის ქვეყანას და ხალხს, მის კულტურას. ამ გვარი სტუდენტობა, სწავლა-აღზრდით შემთავრებული, გინდ რუსეთში გაგზავნე მერე, გინდ ჩინეთში, იგი არ დაიკარგება, ყველგან შვილია თავისი ქვეყნისა. ამიტომ რომ მას ღრმად ექნება გართხმული ფესვები სამშობლო ქვეყანაში ნაციონალური სკოლის შემწეობით (# 6).

ეს პოლემიკა საინტერესოა მრავალ მხრივ. განსაკუთრებით იმით, რომ მასში ჩართულია ეთნიკურად არაქართველი ნ. ხუდადოვი. როგორც ცნობილია, ნიკოლოზ ხუდადოვი იყო ექიმი, რომელიც ნაძალადევში მდებარე ტუბერკულიოზის საავადმყოფოს ხელმძღვანელობდა. მან საავადმყოფოს გარშემო მდებარე ფერდობებზე წიწვოვანი ტყე გააშენა (ე.წ. "ხუდადოვის ტყე") ანუ ეს იყო ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული თბილისის ცხოვრებაში. ეს იმის მაუწყებელია, რომ ამ ეთნიკურად არაქართველ მოქალაქეს მოუსურვებია საქართველოში ნაციონალური კონსოლიდაციის მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით თავისი აზრის დაფიქსირება, ალბათ, მონაწილეობის მიღებაც, ოღონდ აშკარაა, რომ ქართული ერთობის ისტორიული მახსოვრობა ამისათვის დამაბრკოლებლად ეჩვენება და ცინიკურადაც მოიხსენიებს მას. ამ მახსოვრობას ქართველი ნაციონალისტები აყალიბებდნენ ეთნიკურად ექსკლუზიური ერთობისათვის. ეს ანუ სწრაფვა ჯგუფის ჩაკეტილობისაკენ, როგორც ადრევე აღვნიშნავდით, ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესისათვის საზოგადოდ (და არა მარტო ჩვენს შემთხვევაში), დამახასიათებელია.

მეშვიდე-მერვე ნომერში გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში *ნახული და გაგონილი* განსხვავებული რაკურსით არის წარმოდგენილი სხვა ეთნიკური ჯგუფის ქმედებები საქართველოში. კერძოდ, ერთ-ერთ სოფელში, სადაც ქართველები, სომხები და ებრაელები ცხოვრობენ, სომხურ ეკლესიაში წირვის დროს ტერტერას ქართულად უქადაგნია, რადგან მრევლს სომხური არ სცოდნია. როგორც ვიტყობთ, ტერტერა

მრევლში ქადაგებდა თავიანთი ეროვნობის აღდგენას, უცხო ენის დავიწყებას და დედაენის სწავლას.

ისინი თუ მათთვის ღვიძლ ენად ქცეულ ქართულს დაივიწყებდნენ და სომხურს ისწავლიდნენ, კორესპონდენტის აზრით, ეს არ იქნებოდა ჩვენთვის ტრაგედია, ისეთი მონდომება გამოეჩინათ, რომ საერთოდ წასულიყვნენ ჩვენი ქვეყნიდან, ამით მათგან შეწუხებული და გაუბედურებული ქართველობა შვებით ამოისუნთქებდა. მაგრამ, ავტორის მითითებით, ამ ქადაგებას ისმენდა ისეთი ხალხი, რომლის ერთადერთი უფალი, რომელსაც თაყვანს სცემდა, იყო ფული. ასეთ ხალხს უქადაგებდა ტერტერა თავანთი ეროვნობის აღდგენას. 'ამათ რომ სომხური ისწავლონ ამითი კაცურ-კაცად იქცევიან?' – დასმულია მრავალმნიშვნელოვანი კითხვა. არათუ წავიდოდნენ აქედან, არამედ აქამდე თუ ფულით გვჯობნიდნენ, ახლა თუ არ გაფრთხილდებოდა ქართველობა, მამულებსაც დაეპატრონებოდნენ სომეხი ვაჭრები. მოვიყვანთ თვალსაჩინოებისათვის ერთ-ერთ მაგალითს, რომელიც კორესპონდენციაშია ჩართული. ერთ სომეხს უშველებელი, მშენებლობისათვის გამოსადეგი ხეებით მდიდარი ტყე შეუძენია. ამ ტყეში დასახლებულ გლეხკაცებს თორმეტი წლის ვადით აუღიათ მამულები. ამ თორმეტი წლის განმავლობაში უნდა ემსახურათ ტყის პატრონ სომეხისათვის. ვადის გასვლის შემდეგ, თუ ორივე მხარე არ მორიგდებოდა მამულის იჯარით გაცემაზე, გლეხკაცი ვალდებული იყო მამულიდან გადასულიყო. ასეთ შეთანხმებაზე გლეხთა თანხმობა და ხელმოწერა ისევ და ისევ გაუნათლებლობის შედეგი ყოფილა. წერა-კითხვის უცოდინარ გლეხს პირობის წერილს სომეხის მიერ მოქრთამული, გამოქნილი ადვოკატი, როგორც ირკვევა, სწორედ ასეთ ადგილებს წაუკითხავდა ჩაფუჩეჩებით და ღუპავდა ქართველ გლეხკაცობას. ხსნის გზად მითითებულია განათლების აუცილებლობა – 'ისტორია გვეუბნება, რომ მომავალი მომჭირნე, მუყაითი ხალხისა არის, რომელმაც თვლაც იცის და ანგარიშიცაო' (## 7, 8).

"ჩვენ – სხვა" ოპოზიციის ამაზე თვალსაჩინოდ ილუსტრირება შეუძლებელია.

ამავე ნომერში გრძელდება ერის უნიკალური კულტურის წარმოჩენის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი, მღვდელ დ. ჯანაშვილის წერილების *ისტორიული სურათები – ქართველი ქალი* პუბლიკაცია. ჩვენ ზემოთ შევეხეთ მის მსჯელობას ერის კეთილდღეობისათვის

სამღვდელოების ისტორიული ღვაწლის შესახებ. ამჯერად იგი შეეხება ქალთა ისტორიული დამსახურების[30] წარმოჩენას. განხილვაში საინტერესო აზრია გამოთქმული სარწმუნოებისა და პოლიტიკური საკითხების ურთიერთმიმართების თაობაზე.

> სარწმუნოებას ისეთი ძალა აქვს, რომ მთელ ქვეყანას შესძრავს ხოლმე. მისი გამოცვლა ხალხის მიერ ადვილი არ არის. ხალხს შეუძლიან გულგრილად მოექცეს მძლავრს, რომელიც მას პოლიტიკურს თავისუფლებას ართმევს, მაგრამ სარწმუნოების წართმევას ვერ მოითმენს – აღნიშნავს მღ. დ. ჯანაშვილი – ერთნაირი სარწმუნოება პოლიტიკურ ერთობას არ ნიშნავს. ქართველები ამ დროს, თუმცა ერთის სარწმუნოებისანი იყვნენ, მაგრამ პოლიტიკური ერთობა კი არ ჰქონდათ. სარწმუნოებრივს ერთობას არ შეუძლიან პოლიტიკური ერთობის ჩამოგდება.

როგორც წერილიდან ვიტყობთ, დინარ დედოფალს დიდი დამსახურება მიუძღვის ჰერეთის ქართლ-იმერეთთან სარწმუნოებით შემოერთების საკითხში. სარწმუნოებრივი ერთობის შექმნაში ხაზგასმით არის აღნიშნული ხალხის როლი, რომ არა ხალხის ნება მარტო დედოფალი ვერას გახდებოდაო მიუთითებს ავტორი. შემდგომ საუბრობს დინარ დედოფლის წვლილზე პოლიტიკური ერთობის შექმნაში და ამ ერთობის შენარჩუნებაში მარიამ და ბორენა დედოფლის დამსახურებაზე ამახვილებს ყურადღებას.

წერილში განსაკუთრებულად გამოკვეთილია თამარ მეფის ღვაწლი. ქართულ წერილობით წყაროში 'საქართველოს მთიები და დიდებად' წოდებულმა მეფე თამარმა "შინაური ცხოვრება დააწყნარა, ჩამოაგდო ქართველობაში ერთობა, ძმობა და სიყვარული, მაშინ მან მიაქცია თავისი გამჭრიახი გონება სამეფოს კეთილ-დღეობას და გაძლიერებას ... მიაქცია ყურადღება სამძღვრებს და გარეშე მტრებს. მე მეფე ვარ, მაგრამ იცოდეთ მე დიდებისთვის და პატივ-მოყვარეობისთვის არ მიმიღია სამეფო გვირგვინი, ჩემი გულითადი წადილი არის ერის კეთილ-დღეობა, მე მსურს ყველას ცხოვრება იყოს დამტკბარი, ყველა იყოს გამძღარი და ქონების პატრონი; არავინ არ იყოს უსამართლოებით

[30] მღვდელმა დ. ჯანაშვილმა საკმაოდ ვრცელი წერილები მიუძღვნა ქართველ ქალთა დამსახურების წარმოჩენას ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ჩვენ შევჩერდებით განსაკუთრებით მნიშვნელოვან ზოგიერთი მათგანის ღვაწლზე.

დაჩაგრული ...' (## 7, 8). თამარმა შეძლო 'ჩაეგონებინა ყველასთვის სარგებლობა თანახმად ერთად მოქმედებისა, დაერწმუნებინა ყველა, რომ ქვეყნის კეთილ-დღეობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ისინი ძმურად იმოქმედებენ საყოველთაო ბედნიერებისათვის, მერმე მიემართა ეს შეერთებული ძალი მამაცი ხალხისა სამეფოს გასაძლიერებლად ... იგი იყო სვეტი, რომელზეც დამყარდა ბურჯი ქართველ ხალხის ერთობისა ...' მან იმდენი ამაგი გასწია ხალხისთვის, რომ 'ყველა ერიდებოდა ცუდკაცობას'. აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია აღნიშნული. თამარი, როგორც სხვა საქართველოს მეფეები, მუდმივად ერთ ადგილას არ ცხოვრობდა. ამის მიზეზად დასახელებულია ხალხთან ახლოს ყოფნის აუცილებლობა, მისი საჭიროების ცოდნა და ადგილობრივე სამართლისა და გამგეობის წარმოება. მღვდელი დ. ჯანაშვილი თამარს წარმოგვდგენს როგორც მეფეს და როგორც პიროვნებას:

> ის იყო ტაძარი სამართლისა, გვირგვინი პატიოსნებისა და ჭური კაცობრივის ღირსებისა ... თამარის სახელმა და დიდებამ აამაღლა ხალხში ქალის ღირსება და მნიშვნელობა.

თამარის ქალიშვილის რუსუდანის მეფობის განხილვამ კი ავტორი შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა 'დედაკაცთაგან სამეფო კიდეც აღყვავდებიან და კიდეც დაემხობიანო ...'. ხაზგამით აღნიშნავს ქალის როლს ქართველთა ერთობის ჩამოყალიბებაში 'მათ აღაშენეს და იგი ერთობა მათვე დააქციესო ... ჩვენში კაცს არა ჰქონდა იმდენი მნიშვნელობა ერის განათლებაში, რამოდენიც, რომ ქალსა, ქალი იყო ოჯახში ზნეობის დამამყარებელი, ხალხის აღმზრდელი და კეთილ-დღეობის გზაზე დამყენებელი ...' (# 9).

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდგომ ქართველი ქალის სახე საინტერესოდ არის წარმოდგენილი მემატიანეთა თხზულებებში. ვახუშტი ქართველი ქალის დახასიათებისას შეეხება მათ გამორჩეულ სილამაზესთან ერთად მხნეობას, ზნეს, სიმამაცეს, ქვეყნისადმი სიყვარულს და თავდადებას. აფხაზთა ქალებსა და მამაკაცებს ნამუსით გამოარჩევს 'ამათ შორის არა იქნების სიძვა, მრუშობა რამეთუ დასწვენ შემცოდეთა'.

აქვე დ. ჯანაშვილს მოჰყავს ეპიზოდები ქართველი ქალის სილამაზეზე უცხოელ მწერალთა თხზულებებიდან. შემდგომ ავტორი

აწვდის მკითხველს ერის ზნეობის დაცვის მიზნით ქალთა თავგანწირვის მაგალითებს. არჩილ მოწამის ასული შუშანა სიკვდილს ამჯობინებს ხაზართა ხაკანის ცოლობას 'უმჯობეს არს ჩემთვის სიკვდილი, რომ პირნათლად და პატიოსნების ლეჩაქით წავიდე წინაშე წმინდათა დედათა ჩვენთა, ვიდრე შევიგინო ქალწულება ჩემი წარმართისაგანაო'. ასევე სასიკვდილო წამალს სვამს ლუარსაბ მეფის დედა, როდესაც შეიტყობს შაჰ-თამაზი გაუპატიურებას უპირებდა. სამეფო სახლის წევრთა და თავად-აზნაურთა წოდების ქალთა დამსახურების გვერდით, დაბალი ფენის ქალები სრული ცნობიერებით მეცადინეობდნენ სამშობლო ქვეყნის კეთილ-დღეობისა, ბედნიერობისა და ერთობისათვის, შვილსა და ქმარს განსწირავდნენ განაწილებულს საქართველოს შესაერთებლად'.

ამის დასტურია იმერეთ-სამეგრელოს შემოსაერთებლად სიმონის უშედეგო მცდელობის დროს მომხდარი ფაქტი. უკან მობრუნებულ მეფეს ასე მიმართავს 'მამულის მოყვარე დედაკაცი – რადგან ცოცხალია მეფე, სანაცვლო იყოს მისთვის ყოველნი: შვილიცა და ქმარიც'. სარწმუნოებისა და ქვეყნისათვის თავგანწირვით გამორჩეულია ქეთევან დედოფალი. დედოფალი ქრისტეს სჯულზე მტკიცედ დგომისათვის განრისხებულმა შაჰ-აბასმა სიკვდილით დაასჯევინა. მეთვრამეტე საუკუნემ გმირი გლეხი ქალები შეჰმატა საქართველოს ისტორიას მაია წყნეთელის, თინა წავკისელის, თამარ ვაშლოვნელის სახით. ისინი ბევრჯერ ხლებიან მეფე ერეკლეს ლაშქარში, გამოუჩენიათ მხნეობა და ვაჟკაცობა, არაეთხელ გასძღოლიან ჯარს, გაუმხნევებიათ მამაკაცები და დაუმარცხებიათ მტერი. მათი სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლის მიზეზი ბატონთა ავად მოპყრობა ყოფილა. შემდგომში მაია წყნეთელი უკვე მეფის ჯარში ყოფნის დროს შესჩივლებს მეფეს გლეხობისადმი ბატონების უსამართლო მოქცევის თაობაზე:

> დიდებულო მეფევ, ნეტავი როდის შეაშრებათ გლეხებს თვალზე ცრემლები ... გლეხობა განადგურდა და გაწყალდა; ბოროტ-მოქმედთა კაცთაგან აოხრდა სოფლები. ბატონებმა დაჰყიდეს მთელი სოფლის გლეხობა; იმათ კიდე გუთანში, უღელში და კალოში სულს აძრობენ. ერთი დედაკაცი შეუბამთ კალოში და ის უბედური უღელში მომკვდარა.

ასეთივე სიმტკიცე და გლეხთადმი გულშემატკივრობა გამოუჩენია თინა წავკისელსა და თამარ ვაშლოვნელს. დ. ჯანაშვილი ამ

ისტორიული ფაქტების მოხმობით შეეცადა გამოეხატა ქართველი ქალის ხასიათი, მოქმედება, ჭკუა-გონება და მიმართულება. ამან მისცა შესაძლებლობა შემდეგი დასკვნისა:

> ქართველ ქალებს დიდი გავლენა ჰქონიათ საქართველოს ერის განათლებაზე, პოლიტიკურსა და სამოქალაქო ცხოვრებაზე. ქართველებს არ გაუკეთებიათ-რა თავის ისტორიულ ცხოვრებაში, რომ ქალებსაც არ მიეღოთ მონაწილეობა იმ საქმეში. იმათ მამაკაცებთან ერთად უომნიათ მტერთან სახლ-კარისა და თავისუფლების დასაცველად; ისინი არიგებდნენ და ამშვიდებდნენ მაჩხუბარს; იმათ ხელში იყო ოჯახის მოვლა და შვილების აღზრდა; ისინი შეადგენდნენ ისეთს პოლიტიკურს ძალას, რომელიც ამხნევებდა და აქეზებდა კაცებს მოქმედებისათვის, მათ თვალში დამბლად და უხეიროდ გამოჩენა მამა-კაცისათვის თავზე ქუდის მოხდას ნიშნავდა. აი ამისათვის იმათ ჰქონიათ დიდი პატივი მამა-კაცთაგან და ფასი სდებია მათ სიტყვას; არ ყოფილან მოკლებულნი თანასწორს უფლებას კაცებთან ერთად, მათ ჰქონიათ თავიანთი საკუთრება ... დიახ! იმათ ერთნაირად უწევიათ ჭაპანი პოლიტიკურის და სამოქალაქო ცხოვრებისა, რადგან ერთგვარი უფლება ჰქონიათ საზოგადოებაში და ოჯახში (# 12).

როგორც ჩვენს ნაშრომში განხილული *ივერიის* მასალები მოწმობს, იქნება ეს ჟურნალად გამოსვლის პერიოდი თუ გაზეთად, იგი ეროვნული ხაზის მატარებელია და ქართული იდენტობის კეთილდღეობის გზად ეროვნული საკითხების გადაწყვეტას მიიჩნევდა. ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ *ივერიის* რედაქცია არ ზღუდავდა განსხვავებული აზრის გამოთქმის შესაძლებლობას. ერთ-ერთ ასეთ ნიმუშს წარმოადგენს მეშვიდე-მერვე ნომერში გამოქვეყნებული გ. მაიაშვილის (ზდანევიჩი) *წერილი ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ*. იგი საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის აუცილებელ ფაქტორად თვლიდა ეკონომიური საკითხების გადაწყვეტას. ამ დროისათვის ქვეყნის ეკონომიკურ ვითარებაზე ყურადღების გამახვილება შეიმჩნეოდა ევროპის ისეთ წარმატებულ და განათლებულ ქვეყნებში, როგორიცაა ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია, რომელთა ცხოვრებიდან აღებული მაგალითების მოხმობით, კერძოდ, ინგლის–ირლანდიის ურითიერთდამოკიდებულების განხილვის საფუძველზე, გ. მაიაშვილი მიუთითებს:

> მაინცა და მაინც არა სურვილი ეროვნული დამოუკიდებლობისა შეადგენს მთავარ სალტოლველოს ირლანდიელთ მოძრაობისას, არამედ ხალხის

> ეკონომიური ურთიერთობის გადაკეთება და აწინდელის მათი წყობილების შეცვლა შეადგენს მთავარს ძარღვს ირლანდიელთ მოძრაობისას ... გადაძრობა მარტოოდენ პოლიტიკურის სამოსელისა გარეშე ღრმა ეკონომიურ ცვლილებათა, ცხოვრების დედაბურჯთა შეუცვლელად, თავის დღეში ვერ მოსწევს ხალხს სასურველს თავისუფლებას ... მხოლოდ ღრმა ეკონომიური ცვლილებისათვის ბრძოლა არის გზა ნამდვილი თავისუფლებისადმი.

გ. მაიაშვილის თვალსაზრისით პატრიოტები, რომლებიც გამოსდგომიან მხოლოდ ეროვნულ იდეებს, საკუთარი ხელით უთხრიან ორმოს თავის ქვეყანას, რადგან ივიწყებენ ხალხის ეკონომიკურ ინტერესებს. იგი მჭიდრო კავშირს ხედავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორს შორის:

> მართალია, რომ ეკონომიურ წყობილებას აქვს გავლენა პოლიტიკურ წყობილებაზედ და ეს გავლენა მასში სჩანს, რომ პირველი მეორეს მოაწყობს თავის მოთხოვნილებათა დაგვარად, მაგრამ ისიც მართალია, რომ პოლიტიკური დაწესებულებანიც, თავის მხრით, როგორც მცველნი ეკონომიურის ცხოვრების საძირკველისა, ცდილობენ ასე თუ ისე იმოქმედონ მასზედ და დაუმორჩილონ პოლიტიკურს ცხოვრებას.

ყველა მოვლენის მიზეზად ის ეკონომიკურ ფაქტორს ასახელებს:

> ყოველი პოლიტიკური ანუ ნაციონალური ამბოხება იღებს დასაწყის იმ ეკონომიურის წყობილებათაგან, რომელნიც ხალხში მოქმედობენ ... არც ერთ საზოგადო მოძრაობას არ ექნება არავითარი მნიშვნელობა, თუ, რომ ხალხი იმაში ასე თუ ისე მონაწილეობას არ იღებს; ხალხი აძლევს მოძრაობას დიდ ძალას და მნიშვნელობას. ხალხი დარწმუნებულია, რომ ეკონომიურ საგნებს, რომელნიც შეეხებიან იმის ტანჯულს ცხოვრებას, უჭირავთ უპირატესი ადგილი მოძრაობაში (## 7, 8).

აქედან გამომდინარე მიმართავს გ. მაიაშვილი საზოგადო მოღვაწეებს: 'ის კითხვები და საგნები, რომელთაც თქვენ ეხლა სულით და გულით მისცემიხართ, ჩვენ არსებით საგნებად არ მიგვაჩნია. არ კმარა თეატრი, სკოლა, დედა-ენის შემოღება სასწავლებლებში, ერის მომავალი მარტო ამაზე არაა დამოკიდებული, დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ წეს-წყობილებას'. აღნიშნავს, რომ აუცილებელია ეკონომიკური ცხოვრების საფუძვლიანი შესწავლა. საზოგადო მოღვაწეებს სთავაზობს საკუთარ ხედვას ამ საკითხის გადასაწყვეტად (# 9).

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვხედავთ, გ. მაიაშვილის აზრი ნაციონალისტური პრეფერენციების შესახებ *ივერიელების* პოზიციისაგან რადიკალურად განსხვავდება, მისი გამოქვეყნება საჭიროდ მიუჩნევიათ.

შინაური მიმოხილვა (ავტორი ილია ჭავჭავაძე) ისევ ჩვენი ქვეყნის ერთფეროვან და ერთსახოვან ცხოვრებაზეა საუბარი. ამ მიზეზით ამჯობინებს ცოტაოდნად ყურადღების ღირს საგანზე იმსჯელოს.

> ჩვენის ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე – მიწა და გუთანია, რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი იმოდენად კიდევ შეუნახავს, რომ შეუძლიან თავმოწონებით ჰსთქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი მამული მაქვს სადღეისოდაც და სამერმისოდაც ... მთელი განათლებული ევროპა, მთელნი დიდებულნი მესვეურნი კაცობრიობის წარმატებისა იღწვიან – იღწვიან, სისხლსა ღვრიან, რომ მიწა ეგ მუქთი, ბუნებისაგან მონიჭებული კუთვნილება ყოველის ადამიანისა, შეძლებისამებრ, თანასწორად მორგებულ ჰქონდეს ყოველს მკვიდრს მცხოვრებსა, რომელმა ერმაც ეს ვერ მოახერხა ... მიწასთან გასწორდა, გაქარწყლდა და მტვრად აიგავა.

ასე მოეღო ბოლო ისრაელს, საბერძნეთს, დიდ რომს. ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზე ფეხი უდგას და ხელი გუთანს უვლია. თავდაპირველი შემოქმედი ეროვნობისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც, რადგანაც ისტორიას ჩვენთა მამა-პაპათა მხნეობას და თავგანწირვას ეს ორი ძვირფასი განძი ჩვენთვის შეურჩენია, რადგანაც საპოლიტიკო და საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ამ ორი საგნით სულდგმულობს.

მართალია, ამ მსჯელობას მოსდევს საკმაოდ პრაგმატული მოთხოვნების გაჟღერება, კერძოდ, მიწათმოქმედების ხელშეწყობის და ხარჯის შემცირების აუცილებლობაზე აქცენტის გაკეთება (# 9), მაგრამ აქ მაინც უმთავრესი მიწის სიმბოლური მნიშვნელობაა და ის ღრმა სოციალური საზრისი, რომლითაც სამშობლო მიწა ერთობის მარკირების საშუალება ხდება.

ჩვენი საზოგადოების ერთ უმნიშვნელოვანეს საფიქრალს წარმოადგენდა ისტორიის დაცვა-შენარჩუნებისათვის ზრუნვა. გრიგოლ ყიფშიძის სტატია *საისტორიო სკოლა და საისტორიო საზოგადოება* შეეხება სწორედ ჩვენი ნაციონალური კულტურის შესწავლისათვის სპეციალური საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებლობას.

წარსულის საფუძვლიანი შესწავლა დაგვეხმარება არასასურველი თანამედროვე ცხოვრების შეცვლაში, ხელს შეუწყობს ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას და ეროვნული მოძრაობის აღმავლობას. ამიტომაც უნდა შევუდგეთ ჩვენი წარსულის შესწავლას, შევისწავლოთ ყოველი ისტორიული მოვლენა განურჩევლად მნიშვნელობისა თუ სიდიდისა. აქ კიდევ ერთხელ ხაზგასმით არის მითითებული ისტორიის დიდი როლი ეროვნული ერთობის ჩამოყალიბებაში 'ავიცა და კარგიცა, დიდებულიც და სავალალოც, რადგან ერთიც და მეორეც ერთ-გვარად გასწვრთნის ჩვენს გონებას, ერთ-გვარად გაუღვიძებს ერს გულის-ხმიერებას, გაუმტკიცებს ერთობას, გამოარკვევს ჩვენს ეროვნულ ცნობიერობას და აღძრავს დიადს ეროვნულს მოძრაობას' (# 10).

1883 წელი

რედაქტორები კვლავ არიან ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი, მაგრამ უკვე მეხუთე ნომრიდან ჟურნალს ერთი რედაქტორი ჰყავს. ესაა ილია ჭავჭავაძე.

ჟურნალი გამოდის იმავე პროგრამით როგორც წინა წელს გამოდიოდა. მხოლოდ, რადგანაც არ არსებობდა სპეციალური გამოცემა, რომელიც სწავლა-განათლების პრობლემებს მიაქცევდა ყურადღებას, რედაქციამ საჭიროდ სცნო დაემატებინა პედაგოგიური განყოფილება, რათა მშობლებს და მასწავლებლებს მისცემოდათ შესაძლებლობა თვალი ედევნებინათ პედაგოგიკის განვითარებისათვის. განათლების პრობლემის გადაჭრა საზოგადოების ჰომოგენიზაციისათვის მთავარია. ამიტომ ნაციონალისტების ყურადღების ცენტრში იგი ყოველთვის ექცევა. გამონაკლისი ამ საერთო წესიდან, ცხადია, არც მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ნაციონალისტები იყვნენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ საკითხისთვის ჟურნალში ადგილის დათმობას. რედაქტორი აქვე ბოდიშს უხდის მკითხველებს ჟურნალი თავის დროზე, რომ არ მისდიოდათ და ჰპირდება, რომ არ განმეორდება ასეთი შემთხვევები. აუცილებლად მიიჩნევს იმ პირთა დასახელებას, რომლებიც *ივერიაში* ითანამშრომლებენ: დ. ბაქრაძე, ი. ბაქრაძე, ე. გაბაშვილი, რ. ერისთავი, გ. თუმანიშვილი, ე. იოსელიანი, ნ. ლომოური, ი. მეუნარგია, ა. მოჩხუბარიძე, ა. ნანეიშვილი, თ. ჟორდანია, ნ. ქანანოვი, მ. ყიფიანი, გ. ყიფშიძე, ს. ჭრელაშვილი, ნ. ხუდადოვი, დ. ჯანაშვილი და სხვები.

აქვე გვინდა შევნიშნოთ ერთი ფრიად საინტერესო ინფორმაციის შესახებ, რომელიც მოცემულია 1882 წლის მეათე ნომრის ბოლო გვერდზე ჟურნალის მომდევნო წლის პირობების თაობაზე განთავსებულ განცხადებაში. *ივერიის* მთელი წლის ფასი ყოფილა შვიდი მანეთი, მხოლოდ მასწავლებლებს უწევს გარკვეულ შეღავათს 'სოფლის მასწავლებლთ მთელი წლის წიგნები დაეთმობა ხუთ მანათად'. ამით რედაქცია კიდევ ერთხელ გამოხატავს თავის კეთილგანწყობას, თანაგრძნობას, დახმარებას მასწავლებლების მიმართ. ეს ფაქტი კარგად აჩვენებს, რომ მთავარი სამიზნე *ივერიის* პროპაგანდისა არის სოფლის ინტელიგენცია, რომელმაც უნდა აღზარდოს ეროვნული გრძნობა ქართული ერთობის ყველაზე ავთენტურ ნაწილში – გლეხობაში.

პირველი ნომრის *შინაური მიმოხილვა* (ავტორი ილია ჭავჭავაძე[31]) შეეხება ფინანსთა მინისტრის განკარგულებას ქუთაისის საადგილმამულო ბანკში სესხის გაცემის დროებით შეჩერების თაობაზე. როგორც ჩანს, საზოგადოების გარკვეული ნაწილს გახარებია ეს ფაქტი. ავტორი ვალდებულებას იღებს საკუთარ თავზე საზოგადოება გაათვითცნობიეროს საბანკო საქმიანობის მნიშვნელობის საკითხში. ვინაიდან ამ საკითხთან დაკავშირებით სრული უმეცრება ყოფილა გავრცელებული საზოგადოების იმ ნაწილშიც, რომელთაც საზოგადოების ხელმძღვანელობა უკისრია. მაგალითად დასახელებულია გაზეთ *შრომაში* გამოქვეყნებული წერილი:

> დაუჟინიათ ბანკებია მიზეზი, რომ ჩვენი მამულები ისყიდებაო ... ერთი გკითხავთ: სად იყო ბანკები რომ მთელი თბილისი ამ საუკუნის დასაწყისში სულ ქართველობას ეკუთვნოდა. ოცდაათმა წელიწადმაც არ გაიარა და მთელი ქალაქი სხვის ხელში გადავიდა? იცით ვისი იყო სეიდაბათიდამ დაწყობილი ვერამდი მთელი ქალაქი 1805 წ-მდე? სუმბათაანთი, მელიქიანთი, მუხრანიანთი, ციციაანთი, ამილახვრიანთი, ორბელიანთი, და იცით ვისი შეიქმნა 1840 წ-მდე, სულ 35 წელიწადში? სად იყო მაშინ ბანკები! ... მინამ ბანკები არ იყვნენ, ვინ იცოდა სად რა მამულებსაც ჰყიდდენ, ეხლა კი რადგანაც ეს კანტი-კუნტად გაყიდვა საქვეყნოდა ხდება, სათვალავში უფრო კარგად მოდის და ვისაც ხალისი აქვს ყვირილისა ყვირის ეს ასეაო (# 1).

ს. ჭრელაშვილი კორესპონდენციით *ბილად* ყურადღებას ამახვილებს ბატონყმობის გაუქმების შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე.

[31] იხ. ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი ოც ტომად, VII – პუბლიცისტური წერილები (1882–1886). თბილისი, ილიას ფონდი, 2005, გვ. 80.

განთავისუფლების საფუძველზე უნდა მომხდარიყო გლეხისა და თავადაზნაურობის გათანასწორება, მაგრამ არ განხორციელდა გლეხთათვის სასურველი ცვლილებები. პირიქით, უფრო დამძიმდა მათი მდგომარეობა. გლეხკაცობას მოევლინა ახალი "ბატონები":

> მერე რამდენი ბატონი გაუჩნდა ამ ბოლო დროს! ეს მიკირტუმაო, ეს ავეტიქაო, იქ ყაზარაო, აქ მამასახლისიო, ეს, "მირო პოსონიკიო", "პროკროვიო", გამომძიებელიო, "კვრიჰტავიო" (პრისტავი), ჩაფარი და გზირიო. ყველა იმის ბატონი შეიქნა, მერე ისეთი ბატონი, რომელიც ყოველ წუთს მზად არის იმისი სისხლი დალიოს, ოჯახობა წამურტლოს, სახლს ნამუსი აჰყაროს, გაცარცვოს, ამოართოს პირიდგან სული და გაძღეს ცალკე იმის მწუხარებით, ცალკე იმის ნაწვავ-ნადაგევის ლუკმით. სამართალი იმისთვის დაყრუებულა, განძრახ ყურებში ბამბა დაუცვავს, კანონი იმისთვის აღარ მოქმედობს, გულის-შემატკივარი იმას აღარავინა ჰყავს, მასზე ზრუნვა არავის მოვალეობას არ შეადგენს. თვითონ ხომ რა შეუძლია დაუძლურებულს, დავრდომილს, დღიურ ლუკმის ძებნით სულ-ამორთმეულს. დღევანდელი ჩვენი გლეხ-კაცობა წარმოგიდგენთ ერთ უშველებელ ხალხის გროვას, სადაც ჩამქრალა აზრის მუშაობა, ადამიანური გრძნობის ლამპარი, სადაც სამოქალაქო ცხოვრება თითქოს საგანგებოდ ამოუფხვრიათო, სადაც საზოგადო არის მხოლოდ ტანჯვა, ვაება, თავში ცემა, პირუტყვული ძიება ლუკმა პურისა.

ავტორი წარმოგვიდგენს თავადაზნაურობის მდგომარეობასაც:

> აბა ახლა ჩვენს ამაყ თავად-აზნაურობას შეხედეთ, როგორ ატუზულან სხვა და სხვა ბანკის კარებთან ანუ ფულის გამსესხებელ კანტორასთან, ანუ რომელსამე ფულით გატენილ კარაპეტას "პოდეზდებთან". ისინი მზად არიან უკანასკნელი მიწის ნაგლეჯები და სახლ-კარი, ათჯერ გადაგირავებულ-გადმოგირავებული კიდევ ერთხელ ჩააგირაონ, რათა აიღონ ფული და თვალის დახამხამებაში გაფლანგონ. აბა სად არის ამათთვის კეთილი განწყობილება, სადაც კაცი ჰგრძნობს თავის თავს ადამიანად, საზოგადოების წევრად, რომელიც აღასრულებს თავის მოვალეობას ხალხთანაც და ღმერთთანაც? ... ვინ იცის ვისზედ უნდა გადავიდეს ჩვენი მამა-პაპური სიმდიდრე, ვინ უნდა ხარობდეს ჩვენს მიწა-წყალზედ, ჩვენ კი კუდ-ამოძუებულნი, უნდა გავიქსაქსნოთ, დავიფანტოთ, შევიქნეთ განდევნილნი ჩვენი სამშობლოდგან.

გაკრიტიკებულია, აგრეთვე, სამღვდელოება, რომლიც არ ასრულებს თავიანთ ჭეშმარიტ დანიშნულებას.

კრიტიკა ეხება ქართველ ქალებსაც, რომლებიც, ავტორის აზრით, უსაგნო და უაზრო ცხოვრებით ცხოვრობენ, სკოლებს, რომლებიც ზნეობრივად დამახინჯებულ და გონებაჩლუნგ ახალგაზრდა თაობის ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს (# 1).

მეორე ნომერში იბეჭდება ილია ჭავჭავაძის პოემა *განდეგილი*. იგი იწერებოდა 1882–1883 წლებში. საბოლოო ვერსია კი დათარიღებულია 1883 წლის 6 თებერვლით, ეძღვნება ილია ჭავჭავაძის მეუღლეს ოლღა ჭავჭავაძისას. ეს არის ილიას ბოლო პოემა. როგორც მითითებულია სპეციალურ ლიტერატურაში, განსხვავებული ყველაფერ იმისაგან, რაც მანამდე შეუქმნია პოეტს. თანამედროვეებში აზრი პოემის შესახებ ორად გაიყო. ზოგი ძალიან სუსტ მხატვრულ ნაწარმოებად მიიჩნევდა, ზოგი მიუთითებდა მის შინაარსობრივ სილრმესა და მაღალმხატვრულობას. დროთა ვითარებაში ბოლო თვალსაზრისმა გაიმარჯვა და დღეს, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აღარ გრძელდება დავა იმასთან დაკავშირებით არის თუ არა ეს პოემა მხატვრული შედევრი. პასუხი ცალსახად დადებითია და თხზულების შესწავლისას მკვლევართა ყურადღებას უფრო სპეციფიკური მხარეები იპყრობს.[32]

როგორც ცნობილია, პოემაში აღწერილია განდეგილისა და მწყემსი ქალის შეხვედრა ექსტრემალურ ვითარებაში: უამინდობის დროს ბეთლემის გამოქვაბულში მარტო მცხოვრები ბერი შეიფარებს მწყემს ქალს.

ნაწარმოებში ეს უკანასკნელი ამქვეყნიურობის, საზოგადოებრიობის სიმბოლოა. მისთვის გაუგებარი და მიუღებელია აზრი ადამიანის საზოგადოებისაგან მოწყვეტით ცხოვრებისა და ამგვარი ნაბიჯის უფლის სამსხურად წარმოდგენისა. იგი უმტკიცებს ბერს, რომ ეს ქვეყანაც უფლისმიერია. განდეგილს წამიერად ეჭვი შეეპარება თავისი ცხოვრების წესის მართებულებაში და დაეუფლება სევდა ამ ქვეყნისაგან

[32] იხ. მაგალითად, ერთ-ერთი ბოლოდროინდელი გამოკვლევა: ნ. სულავა. განგებისა და ბედის კონცეფცია ილიას ლირიკასა და *განდეგილში*. ანალები (ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიისა შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი), თბილისი, მემატიანე, 2008, გვ. 29-43 (ელექტრონული ვერსია). ზემოთქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება მითითებული ნაშრომიდან შემდეგი მტკიცებულებაც: '*განდეგილი* ილიას შემოქმედების გვირგვინია, რომლის შექმნას წინ მთელი მისი მხატვრული მემკვიდრეობა უძღოდა ...' (გვ. 42).

განწირების გამო. ეს აღმოჩნდება საკმარისი იმისათვის, რომ მან დაკარგოს უფლის მადლი. ამ აზრთან შეუგუებლობა განდეგილის დაღუპვას იწვევს. საზოგადოებისაგან გამდგარი ადამიანი მარცხდება. უფალი მის მხარეზე არ არის. აი, რა აზრი გამოსჭვივის პოემიდან.

ჩვენთვის საინტერესოა პასუხი კითხვაზე: რატომ დაწერა ამგვარი პოემა ილიამ, რომელიც აქტიური და ხმაურიანი ყოველღიურობიდან და წვრილმანებიდან ადამიანის გონებას მიმართავდა მისი ყოფიერების ფუნდამენტური კითხვებისაკენ?

როგორც ითქვა, ამ დროს შუა ასაკს მიაღწია ილიამ. ეს ყველა ადამიანის ცხოვრებაში არის ღრმად დაფიქრების ხანა: რამდენად სწორად იცხოვრა, უნდა იცხოვროს თუ არა კვლავ ასევე? ეს კითხვები ჩნდება იმიტომ, რომ ერთის მხრივ, რაღაც უკვე გაკეთებულია და შეჯამება საჭიროა, მეორეს მხრივ, სიკვდილამდე ჯერ კიდევ დროა და ამიტომ აქტუალობას ინარჩუნებს პასუხის გაცემა კითხვაზე: როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა?

ილია ჭავჭავაძე ღრმად მორწმუნე ადამიანი იყო. ამის დასტურია მთელი მისი შემოქმედება და ცხოვრების გზაც. მისი უარყოფითი დამოკიდებულება იმდროინდელი სამღვდელოების მიმართ, როგორც ითქვა, არ ნიშნავს არც ერისათვის, არც ინდივიდისათვის რელიგიის მნიშვნელობის უარყოფას ან უფლის გმობას. როგორც კოტე აფხაზის მოგონებიდან ვიცით, ილიას ახალგაზრდობაში მღვდლობა სურდა კიდევაც და მხოლოდ გარიბალდის ბრძოლამ შეაცველევინა ეს აზრი. ზემოთ მივუთითებდით, რომ მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის საქართველოში ვითარება უკიდირესად დამძიმდა, სუნთქვის შემკვრელი გახდა ატმოსფერო. ილიამ დაინახა მომავალი შეუპოვარი ბრძოლების ხანა. ამიტომ ვიდრე ამ რთული გზის გავლას დაიწყებდა, იგი თითქოს წუთით შედგა, და გადაწყვიტა კიდევ ერთხელ დაფიქრებულიყო რამდენად სწორად მოვიდა აქამდე და რამდენად მართებულია ასევე გააგრძელოს სვლა. წინა წლებშიც აქტიურად ფიქრობდა უფლის სამსახურისა და მამულის სამსახურის ურთიერთმიმართებაზე. ახლა იგი თითქოს საბოლოო პასუხს აძლევს თავისივე კითხვას: წუთისოფელში დარჩენა (და აქედან გამომდინარე მამულის სამსახურიც) უფლის სასურველია, რადგან ეს ქვეყანა უფლის შექმნილია, უფლისაა. უფლის მცნებათა და მარხვისათვის აუცილებელი სულაც არაა განდეგილობა.

ილიას მიერ ამქვეყნიურობის საკრალიზაცია სრულიად ლოგიკურია და კონტექსტუალიზდება ნაციონალიზმის იდეოლოგიის უნივერსალურ ნარატივში. როგორც მივუთითებდით, ნაცია ვერ შეიქმნება საკრალური საფუძვლების გარეშე. მარტოოდენ წარმატებები ეკონომიკაში ჯგუფს ვერ გარდაქმნის ნაციად. აუცილებელია ჯგუფის წევრებს ჰქონდეთ განცდა იმისა, რომ ისინი საერთო მორალური ვალდებულებების მქონე ერთობას წარმოადგენენ. ილიასათვის ერი ადამიანთა წმინდა თანაზიარება იყო. უზნეო საზოგადოება მისთვის ერს არ ქმნიდა. ამქვეყნიურობის საკრალური ღირებულების მქონე არსად მიჩნევა ლოგიკურია ილიასათვის, როგორც ნაციონალისტისა და როგორც განმანათლებელისათვის.

ძალიან საინტერესოა, რომ ეს პოემა ეძღვნება მეუღლეს. 1883 წელს ილია 46 წლის იყო, ხოლო ოლღა 41. პოემის დაწერიდან დაახლოებით თვენახევარში მათი ქორწინების 20 წლისთავი სრულდებოდა (ისინი 1863 წლის აპრილში დაქორწინდნენ). ამ თარიღის აღსანიშნავი საჩუქარი უნდა იყოს ეს პოემა. ამ საჩუქრით ილია ჭავჭავაძე თითქოს კიდევ ერთხელ განსჯის საგნად აქცევდა თავისი ცხოვრების განუყრელ თანამგზავრთან სიყრმიდან არჩეული გეზის მართებულობას.

შემდეგი პუბლიკაცია, რომელზედაც გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ, არის ე. იოსელიანის წერილი სათაურით, *მეცნიერის გორძკი*. ეს უკანასკნელი წარმოადგენს რეცენზიას ე. რენანის ნაშრომზე, *რა არის ერი*? ავტორი ეკამათება ე. რენანს ევროპაში შექმნილი ვითარების მიზეზად ევროპის დაყოფის დასახელების გამო. ე. რენანისაგან განსხვავებით, ე. იოსელიანი ევროპის დაცალკევების მიზეზად ასახელებს ცვლილებას ხალხთა ურთიერთდამოკიდებულებაში. მეცხრამეტე საუკუნემ განათლებული ხალხი ერთმანეთს დააკავშირა და ეს დაკავშირება, რეცენზენტის აზრით, ეკონომიკურმა ფაქტორმა განაპირობა: ჭირნახულის მოუსვლელობას ევროპის რომელიმე კუთხეში საკუთარ ზარალად აღიქვამდა დანარჩენი ხალხი, ერთის ვნებას ყველასათვის სავნებლად მიიჩნევდნენ:

> ნაცია, ერი პირველად საზოგადო ასპარეზზე როგორც მფლობელი თავის თავისა და თავის მიწა-წყლისა გამოვიდა მეთვრამეტე საუკუნეში. ამ საუკუნეში თითქმის პირველად იწყო მეცნიერებამ, ფილოსოფიამ ხალხის ჩაგონება, დანახვება რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს ნაცია სახელმწიფოში. მაშინდელმა ფილოსოფიამ დიდის სიმტკიცით წარმოსთქვა

გამოაშკარავა ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიდენ სამოქალაქო თავისუფლებას, ხალხთა ერთმანეთთან თანასწორობას.

ე. იოსელიანი მიუთითებს ამ მხრივ, ერთადერთ ფაქტორზე: ესაა ცენტრალიზაცია. მისივე მითითებით, იმისათვის, რომ ხალხს დაენახა ცენტრალიზაციის როლი სამოქალაქო თავისუფლების შეზღუდვაში, დიდი მუშაობა გასწია მწერლობამ. რეცენზენტი ეთანხმება რენანს, რომ ნაციის თანამედროვე გაგება ახალი ისტორიის მიღწევაა. მხოლოდ ეპაექრება იმაში, რომ თითქოს არც ეგვიპტე, არც ჩინეთი არ შეადგენდნენ ნაციას; ისინი იყვნენ ხალხის გროვა, ნახირსავით მორჩილნი ზეცის ძისა:

იქნება რენანს იმის თქმის სურვილი ჰქონდეს, რომ ხალხის ძველი მფლობელები ყოვლის ღონითა სცდილობდენ თავიანთი თავი ხალხზედ შორს დაეჭირათ თავიანთი თავი ზეციურ ძალასთან დაენათესავებინათ; ამიტომ მსოფლიურ საქმეს თეოლოგიური ხასიათი ეძლეოდა, ეკარგებოდა კაცობრიული, ეროვნული სახე და ასეთი უკუღმართი ქმედება ხალხს ნახირადა ხდიდა და იმის ნაციად წოდება შეუძლებელიაო.

ჩინეთისა და ეგვიპტის შემთხვევაში ნაციის არარსებობის მიზეზად ამ საზოგადოებებში პიროვნების არარსებობას ასახელებს. საილუსტრაციოდ ე. იოსელიანი მოიხმობს ისტორიულ ფაქტებს. ამ ფაქტებით რეცენზენტს იმის ჩვენება უნდა, რომ ხალხის პირუტყვული მდგომარეობა მას ნაციის სახელს არ აშორებს. არ ეთანხმება ე. რენანის შეხედულებას დადუღება, ერთმანეთთან შეზელა, დაკარგვა თავისი ინდივიდუალურის სახისა ახალი ორგანიზაციის შესადგენად, მოპოება საერთო ენისა აუცილებლად საჭიროა ერთ სახელმწიფო ტერიტორიაზე დასახლებულ ხალხთათვის, თუ უნდათ, რომ სახელმწიფო და ნაცია ერთის პრინციპის წარმომადგენელი იყოს'.

არ ეთანხმებოდა იმ გარემოების გამო, რომ ასიმილაცია წარმოადგენდა სახელმწიფო ცენტრალიზაციის დედა-აზრს, რომლის როგორც პოლიტიკური პრინციპის უვარგისობა დაინახა ევროპამ. სახელმწიფოს ნაციასთან დადუღებას ე. იოსელიანის აზრით, ხელს უწყობდა შემდეგი გარემოებები: პირველი ფეოდალური წყობილება და მეორე ქალაქის მცხოვრებთა გაძლიერება. თითოეულ საზოგადო ისტორიულ კანონს ყოველ ხალხზე ერთ-რიგი გავლენა აქვს. რენანს კი

სლავიანოფილსავით ჰგონიაო, რომ დასავლეთის ხალხთა ცხოვრება იმ ისტორიულ კანონებზე მიმდინარეობს, რომელთაც არავითარი გავლენა არა აქვს აღმოსავლეთის ცხოვრებაზე. მიუთითებს ავსტრიაზე და ოსმალეთზე. რეცენზენტის შენიშვნით, თუ დავუკვირდებით ავსტრიის ისტორიულ წარსულს ადვილად დავინახავთ იმ საყოველთაო მიზეზებს, რომელნიც ევროპის დასავლეთში მოქმედებდნენ. ოსმალოს გადმოსვლა ევროპის ნიადაგზე დასავლეთის ხალხის გაღვიძების ნიადაგზე მოხდა და ამ ფაქტმა უმნიშვნელოდ არ ჩაიარა ოსმალოსთვის. მაშინ ევროპის დასავლეთს თითქმის გაეარა ის მდგომარეობა, რომელიც ოსმალეთს ხელახლა უნდა დაეწყო. ეს ორი ერთმანეთის მიუდგომელი მიმართულება ევროპის სახელმწიფოებში ძნელად მოსათავსებელნი იყვნენ. მთელი ოსმალეთის იმპერიის ისტორია ამ ორ მიმართულებას შორის ბრძოლას ასახავს. რეცენზენტი სხვებისგან განსხვავებით ამ ბრძოლაში პირველ მნიშვნელობას არ ანიჭებს სარწმუნოებას. ოსმალეთის დარღვევის მიზეზს ეძებს სოციალურ გარემოებებში.

ესტატე (ეგნატე) იოსელიანი იყო მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ნაროდნიკული მოძრაობის ერთ-ერთი მეთაურთაგანი.[33] მისი მსჯელობა ნაციის შესახებ გვიჩვენებს ქართული საზოგადოებრივი აზრის სიმწიფეს და თანადროული დასავლური სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების მიღწევათა კარგ ცოდნას. იგი, განსხვავებული კონკრეტული პირობების მიუხედავად, ხედავს სოციალური კანონების მოქმედების უნივერსალურობას, აფიქსირებს ნაციასა და სახელმწიფოს შორის განსხვავებას, მიუთითებს ნაციის წარმოქმნის ექსკლუზიურად მოდერნულ კონტექსტზე, თუმც მისთვის

[33] ქართული ნაროდნიკობა ორგანიზაციულად მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს მოისპო მთავრობის რეპრესიების შედეგად. მათი ერთი ნაწილი ფიზიკურადაც განადგურდა: გადასახლებაში გარდაიცვალა. 80-იანი წლების დასაწყისში ქართველი ნაროდნიკები შემოკრებილნი იყვნენ ჟურნალ *იმედის* გარშემო. მიუხედავად, არაერთ საკითხში *დროებისა* და *ივერიის* ჯგუფთან მათი აზრთა სხვაობისა, ქართველ ნაროდნიკებს "ივერიელებთან" მაინც ბევრი საერთო ჰქონდათ (იხ. ა. კიკვიძე. საქართველოს ისტორია, II. თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1959, გვ. 103-111, 186). ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ისინი ილიას მიერ დაფუძნებულ დემოკრატიულ მედია-საშუალებაში ხალისით თანამშრომლობდნენ.

უცხო არ არის აზრი წინა მოდერნის ეპოქაში ნაციათა არსებობის შესახებაც, მიუთითებს სახელმწიფოსა და ნაციის არაიგივეობას და მათ შერწყმას ("დადუღებას") არამიზანშეწონილად მიიჩნევს.

ივერია თვალყურს ადევნებს (იხ. პოლიტიკის მიმოხილვა) მთელ ევროპაში, აზიასა და აფრიკაში გავრცელებულ ეროვნულ მოძრაობას. გულშემატკივრობს, აანალიზებს გამომწვევ მიზეზებს, მიმოიხილავს განვითარებულ მოვლენებს. *ივერიის* მეშვეობით ქართველი მკითხველი ყოველივეს საქმის კურსში იყო, მან იცოდა, რომ ირლანდიელები არ ჩაცხრებოდნენ სრული თავისუფლების მოპოვებამდე. უნგრეთი ცალკე სახელმწიფოდ გადაქცევას ცდილობდა. დანიელები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ პრუსიელები, რომ "განემეცებას" უპირებდნენ. ჩეხებმა უნივერსიტეტი დააარსეს, სადაც სწავლება ჩეხურ ენაზე უნდა ყოფილიყო. რუმინელები, ბულგარელები, სერბები, ჩერნოგორიელები ყველა და ყოველი ცდილობდა თავისი ეროვნობის დაცვას, რომ მისი კვალი არ ამოშლილიყო ქვეყნიერების ისტორიაში (# 2).

შინაური მიმოხილვა (ავტორი ილია ჭავჭავაძე) ისევ საზოგადო და პიროვნულ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას:

> საიდამ დაგვჩემდა ეს საუბედურო თვისება? რამ გადააჩვია ჩვენი ჭკუა, გონება, გული საყოველთაო საქმეს? რამ დაგვიბა თვალი და ყური მარტო მასზედ რასაც "ჩემობის" ფერი ადევს და არა "ჩვენობისა"? ჩვენს ისტორიას რომ შევხედოთ, მაგის მიზეზს ვერ ვიპოვით. ერთს წუთს, რომ ჩვენი თვალი და ყური მარტო "ჩემობაზედ" გაჩერებულიყო და "ჩვენობა" დავიწყებას მისცემოდა, მაშინვე სულს გავაფრთხობდით და ჩვენი ერი მტვერსავით აიგვებოდა დედამიწის ზურგიდამ. ძალ-ღონე, ჩვენი ეროვნული სიმტკიცე და დაურღვევლობა მარტო იმაში იყო, რომ ყოველს ჩვენგანს ჯერ "ჩვენ" ჰქონდა სახეში და მერე "მე". ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა ამიტომ საცა და როცა მძლავრი ჩვენ წამოდგებოდა, მაშინ ყოველი კაცი თავის საკუთარ "მეს" უკან დააყენებდა (# 2).

სახალხო სკოლების ვითარებას შეეხება ი. გოგებაშვილის წერილი *უკუღმართი ნაბიჯი.*[34] აღნიშნულია, რომ შესაბამისი პირები, ვისაც

[34] საინტერესოა წერილის გამოქვეყნების ისტორიაც. როგორც სქოლიოში გაკეთებული შენიშვნა იუწყება, სტატიის მხოლოდ შეცვლილი სახით გამოქვეყნება გახდა შესაძლებელი. გაგრძელების გამოქვეყნება საერთოდ ვერ მოხერხდა. რედაქცია იმედოვნებდა, როგორც მეხუთე-მეშვიდე ნომრის ყდაზე განთავსებული

ხელი მიუწვდებათ სკოლის საჭიროებებზე, ცდილობენ სკოლა დააცილონ თავის წმინდა დანიშნულებას – ცოდნის და სწავლის მოფენას ხალხში. წერილი შეეხება ჩვენს სასწავლებლებში რუსული ენის უმართებულო სწავლების საკითხს. ავტორი აღშფოთებით აღნიშნავს შემდეგ გარემოებას. იმის ნაცვლად, რომ დედა-ენის საშუალებით ასწავლონ ყმაწვილებს რუსული, როგორც ეს ყველგან ყოფილა მიღებული, რუსულ ენას რუსი ბავშვებისათვის შედგენილი წიგნებით ასწავლიან.

წერილის მიზანია საზოგადოებამ გააცნობიეროს ამგვარი სწავლების მავნებლობა ქართველი ახალგაზრდობისათვის. სწავლების მეთოდს, რომელიც შემოღებულ იქნა ჩვენს სასწავლებლებში, ი. გოგებაშვილი "ტაშკენტურ მიმართულებას" უწოდებს და მიუთითებს, რომ უცხო ენის შესწავლისათვის დანიშნული სახელმძღვანელო განსაზღვრული რაოდენობის სიტყვებს არ უნდა გადასცილდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვის გონებას გადამეტებულ სამუშაოს მისცემს და წარმატებას შეუძლებელს გახდის. ავტორის შენიშვნით, შვიდი-რვა წლის ბავშვს შეუძლია შეითვისოს ხუთასი-ექვსასი უცხო სიტყვა. ამიტომ პირველი წლისათვის დანიშნული სახელმძღვანელო უნდა შეიცავდეს ექვსასამდე სიტყვას და ავარჯიშებდეს ბავშვს მათი ერთმანეთთან დაკავშირებაში. რუსული საბავშვო სახელმძღვანელოები კი, რომლებიც ჩვენს სკოლებში ყოფილა მიღებული ხუთი ათასზე მეტ სიტყვას შეიცავდა. მით უფრო მოუთმენლად მიიჩნევს ავტორი ამგვარი სახელმძღვანელოთი სწავლებას ისეთ შემთხვევაში, როდესაც უკვე არსებობდა გ. კალანდარიშვილის მიერ შედგენილი შესანიშნავი რუსული ენის სახელმძღვანელო. წიგნის ღირსებანი დაუნახავს ერთ რუს პედაგოგს და იმედი გამოუთქვამს, რომ აღნიშნული წიგნი ხელს შეუწყობდა სახელმწიფო ენის სწავლების ნაყოფიერ გზაზე დაყენებას. აქვე საუბარია სახელმძღვანელოთი სარგებლობის დადებით შემთხვევებზე: რომელ სასწავლებელშიც მოიკიდა ფეხი, ყველგან რუსული ენის სწავლება გონივრულ გზაზე დამდგარა. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ პეტერბურგიდან ჩამოსულ სპეციალურ რევიზორს სწავლების თვალსაზრისით კარგი შედეგი დახვედრია. ასეთი წარმატების მიზეზად გ. კალანდარიშვილის სახელმძღვანელოა დასახელებული, რომლისთვისაც ჯეროვანი ყურადღება

განცხადება მოწმობს, შეცვლილი სახით წერილის დასასრულის გამოქვეყნებას, მაგრამ იმედი არ გამართლდა.

მიუქცევია რევიზორს. მაგრამ, როგორც ავტორი იუწყება, "ტაშკენტური მიმართულების" მიმდევრებს, რომელთათვისაც მხარი აუბამთ "შინაურ უკულმართებს", ყოველი ღონისძიება გამოუყენებიათ იმისათვის, რომ ხელი შეეშალათ სწავლების ნაყოფიერ ნიადაგზე დაყენებისათვის და მიუღწევიათ იმისათვის, რომ ქართველ ბავშვებს რუსი ბავშვებისთვის შედგენილი სახელმძღვანელოებით ესარგებლათ. ავტორი აღშფოთებას ვერ ფარავს გ. კალანდარიშვილის წიგნთან დაკავშირებით გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის გამო, რომლის მიზანი ყოფილა წიგნის კიცხვით გზა გაეკვალა "ტაშკენტური" პედაგოგიკისათვის და ამგვარი ფორმით გაელაშქრა არა მართლა სრულიად მავნე წიგნების, არამედ გ. კალანდარიშვილის სახელმძღვანელოს წინააღმდეგ. გულისტკივილით არის აღნიშნული, რომ გაკიცხვისათვის და მისი ვითომ მავნებლობის დამტკიცებისათვის არ ითაკილეს არც ჭორი, არც ცილისწამება და არც გადასხვაფერება ზოგიერთი პედაგოგის აზრების ნაწყვეტებისა.

სახელმწიფო ენა და დედაენა ქართველისათვის ამ დროს გამოჯნული იყო. *ივერია* აღიარებდა სახელმწიფო ენის კარგად ცოდნის აუცილებლობას, მაგრამ თვლიდა – მისი სწავლება ისე უნდა წარმართულიყო, რომ ამ პროცესს მოზარდის გონებიდან მშობლიური ენა კი არ განედევნა, პირიქით, უცხო ენის ათვისებისას დედაენის უკეთ შესწავლა მოჰყოლოდა. ამიტომ ცდილობდა რუსულის სახელმძღვანელოდ დამკვიდრებულიყო ქართულენოვანი მოწაფეების მოთხოვნილების გათვალისწინებით ქართველი ავტორის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო. ასე რომ, რუსული ენის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული ეს დისკურსი, ისევ და ისევ მშობლიური ენის საკითხს უკავშირდება.

ზემოთ აღნიშნული ქართველთა შორის არასოლიდარული დამოკიდებულების ერთ-ერთ მაგალითს ამავე ჟურნალის მეორე ნომერში "ქუთათური ბორას" ავტოროზით გამოქვეყნებული წერილი *ჩვენი პედაგოგიის ნაყოფი* წარმოადგენს.

> დიახ, როდესაც ჩვენს გადამბირებელს ბანაკში სუფევს მკვიდრი ერთობა, სასტიკი სისტემა მოქმედებისა, ყოველი ნაბიჯი გაზომილი აქვთ და ყოველი სიტყვა აწონილი და შეერთებული ძალით მიისწრაფვიან თავიანთი სურვილის მისაღწევად, ჩვენ, ჩვენის გვარ-ტომობის დამცველნი და მის აღორძინების მონატრულნი, ვართ საშინლად გაცალ-ცაკევებულნი, არც გზა გვაქვს ბეჯითად გაკვალული, არც პლანი მოქმედებისა მოსაზრებული

> და თუ ჩვენგანი მისდევს სწორე გზასა და კვალში უდგია გადამბირებელთ მოქმედებასა ჩვენც არამცთუ ხელს არ წავახმარებთ, არამედ რაღაც პირუტყვულს სიამოვნებასა ვგრძნობთ, როდესაც მას კენჭების და ქვების სროლით ხელს ვუცრით და ვაბრკოლებთ ან საკუთარის მოქმედებით, ან რომელისამე უსუსურის გაბრიყვებით. რა გვენაღვლება, თუ ამ უკუღმართობით მოწინააღმდეგეს ვახარებთ და ვუადვილებთ მას გულის წადილის მიწევასა.

– საყვედურობს ი. გოგებაშვილი "ქუთათურ ბორას" სახელმძღვანელოს უკუღმართი კრიტიკისათვის (# 2).

როგორც ითქვა, ერების კონცეპტუალიზაციაში მნიშვნელოვანი როლი აქვთ "დიადი გარდაცვლილებს". *ივერია* ამჯერად გ. ორბელიანის გარდაცვალებას იუწყება (# 3); აჩვენებს, რომ ამ სამწუხარო ამბავმა შეძრა მთელი საქართველო. გლოვამ საყოველთაო ეროვნული ხასიათი მიიღო. დიდმა მწუხარებამ შეკრიბა ჩვენის ქვეყნის ყოველი წარმომადგენელი – ქალი და კაცი, უცნობი და ნაცნობი, ნათესავი და უცხო, მოხუცი და ჭაბუკი, ღარიბი და მდიდარი, სოფლელი და მოქალაქე, მცირე და დიდი, გლეხი და მუშაკი, რათა ერთად, "შეერთებულის გლოვით, ამ უკანასკნელს ჟამს საქართველოს ერი, მაგათგან ესეთის ერთობით წარმოდგენილი, გამოეთხოვოს თავის სასიქადულო კაცს, სახელოვანს შვილს, სიტყვამაღალს მოძღვარს'.

გრიგოლ ორბელიანი ერთი იმ ზეგარდამო მადლით ცხებულთაგანი იყო, რომელმაც 'ჩვენს მშვენიერს ქვეყნით თავმოწონებულმა აღტაცებით წარმოსთქვა: "სხვა საქართველო სად არისო!" და, ეჰა, ეხლა თითონ საქართველო დაჰყურებს შენს საფლავს' – მიმართავს პოეტს ილია ჭავჭავაძე და მწუხერებით ამბობს: "გრიგოლ ორბელიანი სად არისო".

გრიგოლ ორბელიანის მადლით ცხებული ხატება იწერება ქართულ ნაციონალურ ნარატივში.

მეოთხე ნომერში იწყება ა. ყაზბეგის (ა. მოჩხუბარიძის ფსევდონიმით) ხუთ მოქმედებიანი ისტორიული დრამის – *წამება ქეთევან დედოფლისა* – პუბლიკაცია. *ივერიის* იდეურ მიმართულებას ეს დრამა იმ მხრივ ესატყვისებოდა, რომ მასში დახატული გმირები ყველა ერთნაირად თავდადებულია საქართველოსათვის.

დრამა იწყება ალავერდობის დღესასწაულზე ქართველი თავადების საუბრით, რომელიც შეეხება დავით მეფის ძმის კონსტანტინეს მიერ რჯულის გამოცვლისა და საქართველოში სპარსთა ჯარით შემოსვლის

საკითხს. ერთ-ერთი თავადი ასე აფასებს კონსტანტინეს საქციელს: ‘კონსტანტინემ რჯული და სარწმუნოება გაჰყიდა და მამულსაც ადვილად გაჰყიდის ...’. თავადები თხოვენ ქეთევან დედოფალს სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაუდგეს მათ სათავეში. ქეთევანი პასუხობს: ‘ხალხისათვის თავის განწირვა წმინდაა და შეუგინებელი, მისთვის ბრძოლა სასახელოა და მოვალეობაა ყოველის სულისა’. კონსტანტინეს გამოგზავნილ შიკრიკებს ასეთ პასუხს აბარებს ქეთევანი:

> ის არის მოღალატე, გამსყიდავი თავის სარწმუნოებისა, უთხარით, რომ კახეთი და მასთან მთელი საქართველო უცხადებს მას ომს, როგორც სხვა გვარ-ტომობის მოსამსახურეს, რომ მისი სასჯელი უკვე გადაწყვეტილია. მთელი საქართველო აღსდგება ერთ-ხმად და ვიდრე უკანასკნელის სისხლის წვეთისგან არ დაიცლება, მტერს თავის მამულზედ არ ახარებს.

სპარსელთა წინააღმდეგ საბრძოლველად შეკრებილ ქართველებს კი ამგვარად მიმართავს დედოფალი:

> ქართველნო! თქვენ ამომირჩიეთ, თქვენ მაკისრებინეთ თქვენი უფროსობა და მაქვს იმედი რომ ჩემთან ერთად სასიკვდილოდ თავს არ შეიწყალებთ იმ წმინდა საქმისთვის, რომელსაც დღეს ვემსახურებით! ... ეს დროშა, ნიშანი ხალხის თვითმყოფელობისა, მისი სახელი და პატივი საუკუნოებით უტარებიათ თქვენს წინაპართ უჩირქოდ და შეუმწიკვლელად ... ვეცადნეთ ძმანო! მისი სახელი ჩვენც არ დავცეთ და არ დავაკარგვინოთ ის ძალა, რომლითაც ნანგრევებიდამ ისევ დიდი სამეფო წამოუყენებია, რომლითაც მიძინებულისთვის სიცოცხლე მიუცია და მფეთქავი გული ძალზედ აუძგერებია! ... ყოველ ბრძოლაში, გაჭირვებაში ეს გაგვიძღვებოდა წინ, მის ფრიალზედ ქართველის სისხლი აჩუხჩუხებულა და მისის პატივის დასაცველად დანთხეულა ... ვეცადნეთ, ძმანო, ჩვენც თავი არ შევირცხვინოთ; შევიძლოთ შვილებს გადავცეთ ისეთივე წმინდანათ, როგორც ჩვენ ჩაგვბარებია! ... სცოცხლობდეს, ჩვენი სიცოცხლის ნიშანი, სცოცხლობდეს საქართველოს დროშა!

კონსტანტინეს ამარცხებენ და ქეთევან დედოფალი გადაწყვეტს შაჰს ეახლოს და აუხსნას შფოთისა და სიხლის ღვრის მიზეზი. დედოფალი ასე ეთხოვება ხალხს:

> მე არ შემიძლიან გადავცე ჩემი ქვეყანა, არ შემიძლიან ვუღალატო სარწმუნოებას და თქვენს კეთილდღეობას! თუ საჭიროება მოითხოვს, ვფიცავ ჩემს შვილს, ვფიცავ თქვენს სახელს, ვფიცავ ჩემი მამულის სახელს, რომ თავს არ დავიშურებ! ... მე თქვენ მხოლოდ ერთსა გთხოვთ, რომ ემსახუროთ ჩემს შვილს ერთგულად, ერთმანეთში იცხოვროთ მშვიდობიანად, ტკბილად და არ დაივიწყოთ, ერთობა ძალაა და ცალ-ცალკეობა კი უღონობა.

სპარსეთში ჩასული ქეთევანი ბერისგან შეიტყობს, რომ შაჰი ცოლობის თხოვნას აპირებდა. ამ წინადადებას იგი უარყოფს:

> ჩემი პატივისათვის, ჩემი სიამოვნებისათვის ხალხს უნდა მაგალითი მივცე, რომ ჩვენ სხვა გვარ-ტომობის ხალხთან შეეთება შეგვიძლიან? მაშინ ხომ დაირღვა ჩვენი ეროვნობა, ხომ დაირღვა ჩვენი სარწმუნოება, რომელიც ასე მტკიცედ გვაკავშირებდა ერთმანეთს და ისეთ შეუდრკენელს ძალას შეადგენდა. მერე, მამაო, მე რომ ეგ ჩავიდინო, ჩემ წინაპართ, ჩემს ხალხს, ჩემს ქვეყანას, რაღა პასუხი მივსცე ... მე ვეწვალები, ვეწამები, მოვკვდები პირზედ ღიმილით, დარწმუნებული, რომ მე ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. .. წადი ... გამშორდი ... შეატყობინე შაჰს, რომ არ არის ქვეყანაზედ ისეთი ძალა, რომელმაც ქრისტიანს, ნამდვილ ქართველს, მოვალეობისათვის აღალატებინოს (## 7, 8).

ჩვენ საგანგებოდ მოვიყვანეთ ვრცელი ამონარიდები ამ დრამიდან, რათა მკითხველისათვის თვალსაჩინო ყოფილიყო, თუ როგორ გარდაიქმნება წინა მოდერნის ეპოქაში საქართველოს ერთ კონკრეტულ მხარეში მომხდარი ფაქტი ქართული ნაციონალური ნარატივის ფაქტად. ავტორი დედოფალს ათქმევინებს სიტყვებს, რომლის კონტექსტი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ახალი დრო და ნაციონალიზმის იდეოლოგია: "ეროვნობა", "გვარტომობა", "ხალხი", "მამული", "მთელი საქართველო", "დროშა", "ხალხის თვითმყოფელობა" – ეს არის ამ ახალი იდეოლოგიის ლექსიკა. ძალიან არაბუნებრივად ჟღერს ქეთევანის სიტყვები, მაგრამ ავტორის მიზანი აშკარად არ ყოფილა ისტორიული სურათის ზუსტი რეპრეზენტაცია. ისტორიას ის იყენებს, როგორც მოხერხებულ ჩარჩოს ახალი დროის შესატყვისი მოწოდებების გასაჟღერებლად.

წერილი *მითამ და* "*ახალი რაზმის კაცი*", *ანუ ორი ფელეტონი* (ავტორი ილია ჭავჭავაძე) შეეხება თაობათა ურთიერთობის საკითხს, საბანკო პრობლემებს. ყურადღება გამახვილებულია მწერლობაში

გაჩენილ შეუწყნარებელ ვითარებაზე. ეს შეუწყნარებელი ვითარება მდგომარეობდა იმაში, რომ ყოველი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსული ადამიანი თავმოწონებით გაიძახოდა 'ვინც ჩემზე წინ იყავით, ძველნი ხართ, ჩვენ კი ახალნიო, ჩვენ წინ მომავალნი ვართო და თქვენ კი დროს უკან ჩამორჩითო'. აღნიშნული ვითარების თვალსაჩინოებისათვის წერილში განხილულია *დროების* ორი ფელეტონი, რომლის ავტორი წერილში "ახალი რაზმის" კაცად ასახელებს თავს და იქვე მიუთითებს, რომ 'ჩვენი ცრუ სამსონები ჰალას ბიჭლას ფიცავენ და უნდათ ყველას დააჯერონ, რომ ჩვენს მეტი არავინ არ არისო'. ილია განიხილავს *კისრულის* (საუბარია *დროების* კორესპონდენციაზე) ავტორის კრიტიკულ მსჯელობას *ივერიის* მეოთხე ნომრის პუბლიკაციების თაობაზე და მოხმობილი მაგალითებით მკითხველს აძლევს შესაძლებლობას თვითონ განსაჯოს თუ რაზეა მსჯელობა *კისრულში*. ილია მიუთითებს, რომ ახალი თაობა არის ახალი აზრის წინამძღომელი და არა ის ვინც დაჟინებით ითხოვს "ახალი რაზმის" კაცად აღიარებას 'ამისთანა ახალნი იქნება ახალ-გაზდანი არიან, მაგრამ ახალ თაობის კაცნი კი არა. აქ ახალის თაობისა და ახალის დროისა არა არის რა ... "კისრულის" ავტორის საკუთარი დროა და საკუთარი რაზმი და მართლა ახალს დროს და ახალს რაზმს აქ არაფერი მონაწილეობა არა აქვს' (## 7, 8).

ივერია ქართული საზოგადოების გამორჩეული წევრის სერგეი მესხის გარდაცვალებას იუწყება (ავტორი ხელს აწერს პ.უ. ინიციალით – პეტრე უმიკაშვილი). სერგეი მესხი თოთხმეტი წელიწადი ღირსეულად ემსახურა გაზეთ *დროებას*. სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში ავადმყოფობის გამო ანებებს თავს გაზეთის რედაქტორობას, მას ღირსეულ გაცილებას უწყობენ რედაქციის თანამშრომლები. ამის შემდეგ მალევე გარდაიცვალა. ქართული საზოგადოება დიდი გულისტკივილით და ცრემლით აცილებს მისთვის მოღვაწე ადამიანს. 'ეს იყო ცრემლი საზოგადოების თავის მცნობელობისა'. ავტორი ამ გარემოებას ცხოვრების იმედის მომცემად ასახელებს 'ჯილდოა მით, რომ საზოგადოება აფასებს საქვეყნო საქმედ შრომასა, საქვეყნოდ აცხადებს მის საჭიროებასა და მერმე იმდენად გონება გახსნია ჩვენს საზოგადოებას, რომ მწერლობას საქვეყნო საქმედ აღიარებს, საქვეყნო ძვირფას განძად მიაჩნია' (## 7, 8).

მეცხრე ნომერში ქვეყნდება დ. ჯანაშვილის წერილი *ქართველ ხალხის მწერლობა და განათლება მეექვსე საუკუნემდე*. გამოთქმულია

საინტერესო თვალსაზრისი ქართული დამწერლობის შექმნის თაობაზე, *ქართლის ცხოვრების* ტექსტზე დაყრდნობით, სადაც ქრისტეს თანამედროვე ქართლის განათლებულ ებრაულ თემებზეა საუბარი. განხილვის საგანია პასაჟი: 'შეიტყვეს მცხეთელმა ურიებმა სპარსელებმა აიკლეს ურიასტანიო'. ავტორს ამასთან დაკავშირებით მოჰყავს შემდეგი ამონარიდი წყაროდან: 'იქმნა გლოვა და წუხილი ურიათა ზედა ქართველთა, მცხეთელთა კოდის-წყაროელთა მწიგნობართა და სობის კანანელთა მთარგმნელთა'.

წყაროს ამ მონაცემთან დაკავშირებით ავტორი სვამს თავის თავში პასუხის შემცველ კითხვას: რომელ ენაზე გადმოთარგმნეს წიგნები, თუ არა ქართულზე? მიუთითებს, რომ საქართველოს ებრაელობას დავიწყებული ჰქონდათ თავისი საკუთარი ენა და იცოდნენ მხოლოდ ქართული (მხედრული დამწერლობის არსებობას ვარაუდობს ამ დროს), და თავიანთთვის სახმარად საღმრთო წიგნებიც ქართულს ენაზედ ჰქონდათ გადმოთარგმნილი.

ამ თვალსაზრისს ავტორი იმით ამყარებს, რომ როდესაც წმ. ნინოს ქადაგებით ქრისტეს სჯული გავრცელდა საქართველოში, საისტორიო გადმოცემით, განადგურებულ იქნა წარმართობის დროინდელი ლიტერატურა: მაშ რა დაწვეს თუ არ ჰქონდათ საკუთარი ლიტერატურა? ქრისტეს სარწმუნოების მიღებისთანავე ქართველებმა დატოვეს მხედრული ანბანი. ხუცური ანბანის გაჩენას პოლიტიკური ვითარებას უკავშირებს. იმოწმებს ხორენელის ცნობას იმასთან დაკავშირებით თუ როგორ ექიშპებოდა საბერძნეთი და სპარსეთი ერთმანეთს. სპარსეთს არ მოსწონდა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება საქართველოში და სომხეთში. საბერძნეთი ითხოვდა ქართველთა და სომეხთაგან მათი ენა ესწავლათ და ლოცვა ბერძნულ ენაზე აღესრულებინათ. ამის გამო დიდს შეწუხებაში იყვნენ ქართველნი და სომეხნიო, იმოწმებს ხორენელის ცნობას.

ავტორის აზრით, ეს დევნა კეთილის მომტანი შეიქნა ამ ხალხებისათვის: გამოაფხიზლა ისინი, მოაგონა თავისი ვინაობა და საკუთარი მწერლობა, გაჭირვებამ საქართველო და არმენია შეიყვანა მოძრაობაში. დადგა ანბანის საჭიროების საკითხი. ქართველებმა აღადგინეს მხედრული 'ფარნავაზ მეფისაგან შედგენილი'. სომხებმა აღადგინეს დანიელ სირიელი ეპისკოპოსისაგან სომხური ხმებისათვის შეწყობილი ანბანი (იმოწმებს მოსე ხორენაცს). ხოლო 'ალბანელებისთვის,

რომელთაც ამ დრომდე მწერლობა არასოდეს არ ჰქონიათ, შეადგინეს ახალი ანბანი, რომელსაც ეხლა ჩვენ ქართველნი "ხუცურს" ვეძახით და ეკლესიებში ვხმარობთ. ის შეადგინა ალბანელმა მეცნიერმა ბენიამინმა, და არა მესროპმა. ის იყო შეწყობილი ალბანიაში ანუ კახეთში მცხოვრებ ხალხის გარგარენების ენაზე, რომელნიც იყვნენ აგრეთვე ქართველნი, გადმოსახლებულნი 160 წელს ქრისტეს უწინარეს სპარსეთის მეფის ძმისა ვახარშაკისაგან იმერეთიდგან და ბათუმის მაზრიდგან (აქაც იმოწმებს ხორენაცს. – მ.ჩ., ქ.მ.)'. ეს მწერლობა შემდეგ საქართველოში გავრცელებულა როგორც საეკლესიო ენა, მხედრული გამოიყენებოდა სამოქალაქო ენად. 'ასე და ამ სახით ხსენებულ მიზეზებისა გამო მიხვდნენ რომ ამათ შეუძლიანთ განთავისუფლდნენ ბერძნებისა და სპარსელებისაგან მხოლოდ მაშინ, როცა მათ ექნებათ: საკუთარი მწერლობა, სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვა, თავიანთ მოძმეთაგან შემდგარი სამღვდელოება, თავიანთ ენაზე საღმრთო წერილი და ეკლესიური წიგნები'.

ავტორის მითითებით, საკუთარი ანბანის გამოგონებით (საუბარია ქართველებზე) და აღდგენით ერი ჩადგა ხალხოსნურ განათლების კვალში და დაიწყო ქრისტიანული მწიგნობრობა.

როგორც ვხედავთ, ქართული ნაციონალური ნარატივის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი თემის – ქართული ანბანის – დამუშავების და კონცეპტუალიზაციის ცდას აქვს ადგილი.

მაგრამ *ივერია* მკითხველთან, წარსულზე საუბარს, ცხადია ამით არ ამთავრებს:

თ. დადეშქელიანის პუბლიკაცია *მოკლე განხილვა საქართველოს მხედრობისა* 1089–1222 *წლამდე* ეძღვნება საქართველოს მნიშვნელოვანი სამხედრო წარმატებების – დიდგორის, შამქორის და ბასიანის გამარჯვებების განხილვას (#10).

მკითხველი რწუნდება, რომ ქართველებს უძველესი კულტურა აქვთ, მრავალი სამხედრო წარმატება მოუპოვებიათ წარსულში, ჰყოლიათ თავგანწირული გმირები.

ისტორიული გამოცდილების უნიკალობის მტკიცებას ერთგვარად აბალანსებს *ივერიის* ზრუნვა რუსულის სათანადო შესწავლაზე. ეს მისი მისწრაფება გულწრფელია. *ივერიის* გუნდი აცნობიერებდა, რომ ენების ცოდნა განსაკუთრებით ესაჭიროებოდათ ქართველებს. მათ შორის, რუსულისაც, რომელიც სახელმწიფო ენა იყო ქართველებისათვის

იმ დროს, მაგრამ ამასთანავე ის გარკვეულწილად კულტურის ენაც იყო. თუმც ამასთანავე *ივერია* მიუთითებდა, რომ რუსეთის მიერ გახსნილმა სკოლებმა თავისი ამოცანა (ეს იყო ხალხის გონებისა და ზნეობის განვითარება) ვერ შეასრულეს.

კორესპონდენცია *რუსული სკოლის დასაწყისი ჩვენში* აღნიშნულია, რომ ქართველ ხალხს მუდამ ჰქონია ინტერესი, როგორც პოლიტიკური და კულტურული, ისე ეკონომიკური და მოქალაქეობრივი განვითარებისადმი. კლასიკური ლიტერატურის შესწავლა, ნაციონალური საერო და სასულიერო ლიტერატურის იმ მდგომარეობაში ყოფნა, როგორშიაც ყოფილა, და ქრისტიანული იდეალების განხორციელება, ყოველივე ეს ნამდვილს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქართველნი სხვა აზიური ხალხებივით ძალიან არ ჩამორჩებოდენ ევროპას განათლების მხრით. 1800 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ გახსნილი სკოლები ხალხის გონებისა და ზნეობის განსავითარებლად უნდა ყოფილიყო მიმართული. მაგრამ ეს სკოლები ასცდა თავის ნამდვილ დანიშნულებას და მიზანს, ნაციონალურ სწავლებას. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ მონაცემებს ავტორი გვაწვდის მასწავლებლებსა და სასწავლებლის უფროსობას შორის მიმდინარე მასალებში არსებული ინფორმაციების საფუძველზე, რომლებიც ადასტურებენ, რომ სწავლას წარმატება არა აქვს, უზნეობა ყოფილა გავრცელებული. წარმოდგენილია გრუბერის პროექტი სასწავლებელში განსახორციელებელი აუცილებელი ცვლილებების თაობაზე: სასწავლებელში სწავლება უნდა წარმართულიყო ახალი წესის მიხედვით. ყმაწვილები უნდა დაშორებოდნენ დედ-მამას და ნათესაობას. უნდა დაარსებულიყო პანსიონი, რომელიც ახალი დებულების მიხედვით, დასახმარებელ საშუალებად ითვლებოდა რუსეთში, 'თფილისში კი პანსიონი სასწავლებლის ბურჯათ გახადეს, ზნეობის ტაძრად მიითვალეს, მხოლოდ პანსიონის საშუალებით შეიძლება იმედი იქონიოს კაცმა, რომ სწავლა წარმატებაში შევა, ზნეობა გასწორდებაო, რადგან ყმაწვილები დედ-მამას მოშორდებიანო'.

გრუბერს აუცილებელი ცვლილებები ასე ჰქონია ჩამოყალიბებული: 1) მოსამზადებელ კლასში მხოლოდ თავადთა და აზნაურთა შვილებს უნდა ესწავლათ, რადგან გლეხის შვილის მიღება სასწავლებელში, გრუბერის სიტყვით, ცუდ ურთიერთობას და უზნეობას ჩამოაგდებდა

მოსწავლეთა შორის. გლეხის შვილების მიუღებლობა მით უფრო შესაძლებლად მიაჩნდა გრუბერს, რომ თბილისის გუბერნიაში მალე სამაზრო და სამრევლო სკოლები გაიხსნება და სხვა წოდების ყმაწვილები იქ იქნებიან მიღებულნიო; 2) სასწავლო ენებად უნდა იქმნენ: რუსული, ქართული, ლათინური, "ფრანციული" და "ნემეცური"; თათრულს და სომხურს თუმცა ასწავლიდნენ ამოდენს ხანს, მაგრამ ისინი 'იმოდენად ეძაგებოდათ და ეჯავრებოდათ', რომ უმჯობესია მოიშალოსო ამათი სწავლება. ამგვარად 1830 წელს გადაწყდა პანსიონის დაარსება თბილისში და დასაარსებლად გადასდეს 58.000 მანეთი (# 11).

პანსიონი, ცხადია, ქართველი აღსაზრდელების მშობლიური ნიადაგიდან მოწყვეტას ისახავდა მიზნად. როგორც ვხედავთ, ავტორის დამოკიდებულება ამ დაწესებულების მიმართ კრიტიკულია.

1884 წელი

რედაქტორ-გამომცემელია ილია ჭავჭავაძე.

პირველი ნომერი იხსნება წერილით (ავტორი პეტრე მირიანაშვილი) რომელიც ეხება ქართულ ენას: 'ენის მეცნიერება იკვლევს, როგორც კაცის გონების, ისე მის მეტყველების ვითარებასაც და რამდენად უფრო ბევრი ენა იქნება ფაქტიურად შემუშავებული, გამოკვლეული იმდენად უფრო და უფრო ნათლად გვეჩვენება კაცის მეტყველების დასაწყისი'.

წერილში ენის შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია ქართველთა არიელობის შესახებ თვალსაზრისი. ავტორის მითითებით, ევროპელ მეცნიერთა ნაშრომებში ამ მეთოდის გამოყენებით სამი თვალსაზრისი ყოფილა გამოკვეთილი: ერთნი ამბობდნენ, რომ ქართული ენა ინდო-ევროპული (არიული) ენების ჯგუფს ეკუთვნისო; მეორენი ამტკიცებდნენ ქართული ენა თურანული ენების ჯგუფის შტო არისო; მესამენი კი ქართულ ენას განსაკუთრებულ ენათა ჯგუფს აკუთვნებდნენ.

ქართული ენის არიულობის (ანუ ინდო-ევროპიულობის) დასადასტურებლად ქართულ-არიული სიტყვების შედარებით მეთოდს მიმართავენ. მათგან საყურადღებოა თვითსახელწოდების "არია" განმარტება. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ტერმინი ნიშნავდა "კეთილშობილს, მშვენიერს, კეთილშობილს ოჯახთაგანს", რომელსაც არ ეთანხმება პ. მირიანაშვილი და აღნიშნავს, რომ ტერმინი "არია" ბევრ ქართულ სიტყვაში გამოსჭვივის, მათ შორის, სინტერესოა სიტყვა "ერი",

რომელიც შემკრებელობითი ცნების გამომხატველია, მსგავსად, როგორც "არია". სიტყვა "ერი" ცხადად გვიჩვენებს, რომ არიულ ტომის განცალკევების შემდეგ არცერთ ერს არ შერჩენია თავისი ნამდვილი სახელი ისე, როგორც ქართველებს და ამასთანავე შესაძლებელი არის, რომ ქართველები, სანამ "ქართველებს" დაირქმევდნენ, თავიანთ თავს "ერს" ეძახდნენ. ამ უკანასკნელზე უფრო ძველი ჩვენი სახელი არის "ივერი". "ი(ბ)ვერია". ადოლფ პიკტეს თვალსაზრისით ნიშნავს არიელების ქვეყანას, რადგანაც ი(ბ)ვ კელტურად ქვეყანაა და "ერი" გადასხვაფერებული ფორმაა არიისა, რომელიც უძველესი სახელია ინდო-ევროპელი ტომის. ავტორის შეხედულებით, უეჭველია, რომ უფრო დაბეჯითებით იტყოდა ეს მეცნიერი იმ აზრს, რომ სცოდნოდა: "ერი" ქართულად ნიშნავს "ხალხს" (# 1).

ეს სტატიაც კარგად პასუხობს ნაციონალისტების სურვილს თავიანთი ერთობის ისტორიული ფესვები მოიძიონ. ამასთან უაღრესად საინტერესოა ტერმინ "ერისადმი" ხსენებული ავტორის გამძაფრებული ინტერესით. თავისთავად დაკვირვებაც კოლექტიურ-კულტურულ იდენტობის საფუძველზე აღმოცენებული ჩვენ-ჯგუფის თავდაპირველ სახელწოდებაზეც ძალიან ყურადსაღებია: ის, რაც ჯგუფის აღმნიშვნელი საზოგადო სახელი იყო, ავტორის აზრით, დროთა განმავლობაში შეიძლება იქცეს ჯგუფის საკუთარ სახელად.

მეორე ნომერში ქვეყნდება ნ. ხიზანიშვილის წერილი *ჩვენი გლეხკაცობის ისტორიიდან*, სადაც თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი შეხედულებები საქართველოში არსებული ბატონყმური ურთიერთობის შესახებ. აღნიშნულია, რომ ბატონსა და ყმას შორის ძველად არსებული ურთიერთობის შეცვლის გამო ყმებს საჩივრით მიუმართავს მთავარმმართებლისათვის თავისუფლების მოსაპოვებლად. ამ საკითხის გადასაწყვეტად გამართულა საზოგადო კრება და მთავარ სამმართველოს საგანგებო პროექტი შეუდგენია. პროექტი განუხილავს ვორონცოვს და შეუნიშნავს, რომ ბატონს უფრო მეტს უფლებას აძლევდა ვიდრე ადრე ჰქონდა. ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ გორის მაზრის თავადაზნაურობას დიდი ანგარება გამოუჩენია და უარუყვია პროექტის ზოგიერთი მნიშვნელოვანი წესი: თუ ბატონი მოკლავდა თავის გლეხს, მოკლული გლეხის ოჯახი და მისნი გაუყრელნი ძმანი ყმობისგან უნდა განთავისუფლებულიყვნენ და სახელმწიფო გლეხებად შერაცხულიყვნენ; თუ ბატონი ახლად

გააშენებდა სოფელს, გლეხნი ექვსი წლის განმავლობაში თავისუფალნი იყვნენ სახელმწიფო გადასახადისაგან; როდესაც ცალკე გლეხი, მთელი ჯალაბობა ან სოფელი უნდა გაყიდულიყო ვალში, თვით გლეხს ან სოფელს შეეძლოთ დანიშნული ფასი წარედგინათ და თავისუფლება მოეპოვათ, თუ სხვა მსყიდველი არ აღმოჩნდებოდა. გორის თავადაზნაურობას პროექტის ეს მუხლები უარუყვია მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მათთვის სასარგებლო არ იყო.

როგორც კორესპონდენციიდან ვიტყობთ, გორის თავადაზნაურობას არც სიღნაღის თავადაზნაურობა ჩამორჩენია და უთხოვიათ 'ნება მოგვეცით გლეხები დავაგირაოთ საქართველოს გარდა სხვაგანაცაო და არა მარტო "პრიკაზშიო", საჭიროა ჩვენს ქალებს მზითევში მთელი სოფელი გავატანოთ და ნება მოგვეცით იმერეთშიც ვიყიდოთ გლეხები და იქიდგან გადმოვისახლოთო'.

ავტორის მითითებით, შედარებით ადამიანური გრძნობა გამოუჩენია თბილისის მაზრის თავადაზნაურობას. ავტორი მოუწოდებს მკითხველს თავად განსაჯოს ვითარება, თავადაზნაურობის ზნეობრივი მხარე. განსაკუთრებით კრიტიკულია იგი გორის მაზრის თავად-აზნაურობისადმი, რომელიც მრავალრიცხოვნობით გამოირჩეოდა: და აი, სწორედ ამ მაზრის თავადაზნაურობამ გამოიჩინა მტრობა გლეხობისადმი, გვიჩვენა ვიწრო წოდებრივი ანგარიში, პირადი სარგებლობა.

ავტორი შეეხება რა გლეხთა განთავისუფლების საკითხს, მიუთითებს, რომ თავადაზნაურობის აზრით გლეხკაცობას თუ საკუთარი მამულები მიეცემოდა, ამით ზნეობრივი კავშირი დაირღვეოდა, მოისპობოდა კეთილგანწყობა მათ და გლეხობას შორის, ეს დასთესდა მტრობას შუღლს. ერთი სიტყვით, თავადაზნაურობა ზნეობრივი პრინციპით ამართლებდა თავის აზრს, რომ გლეხს საკუთარი მიწა არ უნდა მიეცესო. აქ მაღალი წოდება საკუთარი ინტერესებიდან ამოდიოდა, ამითი გაუარესდებოდა მათი ისედაც არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა: თავადაზნაურობა ვალებით იყო სავსე. კანონის ძალით გლეხი შეადგენდა ბატონის საკუთრებას. ამისათვის ბატონს დიდი უფლება ჰქონდა მინიჭებული გლეხის პიროვნებაზე; ეს უფლება ყველაფრის ნებას აძლევდა მას, გარდა სიკვდილისა და გახეიბრებისა. უთანასწორობა იყო სისხლის სამართალში, უთანასწორობა, რომელიც შეადგენდა მიუცილებელს შედეგს ფეოდალური წყობილებისა. ეს

უთანასწორობა იქამდე მიდიოდა, რომ ყმა ბატონის ხელში აღებ-მიცემობის საგანს შეადგენდა, ბატონს შეეძლო გლეხი დაეგირავებინა ან გაეყიდა. გლეხი ასევე შევიწროებული იყო ქონებრივად (# 2).

როგორც ვხედავთ, ეს სტატია მიმართულია წოდებრივი უთანასწორობის წინააღმდეგ. ბატონყმობის გაუქმებამ გლეხი პირადად კი გაანთავისუფლა, მაგრამ არც ქონებრივი უთანასწორობა მოისპო ამით და არც წოდებრივი. ნაციონალიზმის იდეოლოგიისათვის მოუთმენელია ყოველგვარი დაყოფა ერთობის შიგნით, განსაკუთრებით კი წოდებრივი. მისი იდეალია სოციალურად და კულტურულად ჰომოგენური ერთობა, რომლის შიგნით ნაციონალური იდეების ცირკულირებას ხელს არ უშლის არავითარი ტიხრები.

ამავე ნომერში ქვეყნდება გენერალ ფადეიევის წერილი კავკასიაზე და განაპირა ქვეყნებზე, სადაც გამოთქმულია ფრიად საყურადღებო აზრი ქართველთათვის. იმდენად, რამდენადაც ეს გენერალი ყოფილა დაახლოებული კავკასიის მთავარმმართებელთან და მისთვის ცნობილი ყოფილა მთავრობის გადაწყვეტილებების და საზრუნავის შესახებ. ფადეიევი ხაზგასმით მიუთითებს პოლიტიკური ერთობის შექმნისათვის აუცილებელი საჭიროებების შესახებ, რომელიც შეუნიშნავს კავკასიის მართვისა და გამგეობის წესების შეცვლისათვის დანიშნულ კომისიაში ყოფნისას და რომლებსაც შეუძლია წარმოშვას, მისი აზრით, რუსებსა და ქართველებს შორის სამწუხარო გაუგებრობა. კომისიის მიერ შედგენილ განმარტებით წერილში მითითებული ყოფილა, რომ მმართველობას მეტი ხარჯი სჭირდებოდა რუსული წესების შესატანად, ვიდრე თვით დაპყრობილი ქვეყანა გადაიხდიდა და ეს მეტი ხარჯი ტვირთად აწვებოდა რუსეთის შიდა გუბერნიებს, რაც საბოლოოდ ხეირს არ დააყრიდა სახელმწიფოს. ამისათვის კომისიას გამოუთქვამს კავკასიის საჭიროებათათვის ხარჯის შემცირების თვალსაზრისი. ფადეიევი მიუთითებს იმ ფაქტორებზე, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია. იგი აღნიშნავს, რომ ყოველივე ძალა ჩვენი მფლობელობისა და გავლენისა აზიაში, შავი ზღვიდან ჩინეთის საზღვრამდე, დამყარებულია კავკასიის ყელის ფლობაზე. ჩვენ, რომ რაიმე შემთხვევამ ხელი აგვაღებინოსო ამიერკავკასიაზე, ვოლგის შესართავის მიდამონი ისეთსავე საშიშ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, როგორშიაც ეხლა ყირიმი და ოდესა იმყოფება. ამისათვის არ შეიძლება დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდესო იმპერიისათვის ყოველგვარ

გარემოებას, რომელიც განამტკიცებს ჩვენს ბატონობას ამიერკავკასიაშიო.

ამგვარ გარემოებათა შორის იგი ასახელებს ქართველების და რუსების ერთმორწმუნეობას. მისი მითითებით, ვიდრე ქართველები ძმურად მხარში ედგებიან რუსებს, კავკასიის მხედრობას ვერაფერი ვერ შეარყევს, რაც უნდა მოხდეს და მტკიცედ იდგება იგი მთიან ქვეყანაში, სადაც მკვიდრობს ასეთი მამაცი ერი; ხოლო ვიდრე ჩვენ მტკიცედ ვსდგევართო საქართველოში, არავითარი წუთიერი მარცხი ახლო-მახლო სამუსულმანო და სათათრო ქვეყნებში ჩვენთვის საშიში არ არის და მუდამ ადვილია დავაფასოთ გულწრფელი ერთგულება ქართველებისა სახელწიფოსათვისო.

ფადეიევს ჩამოყალიბებული აქვს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელთა განხორციელებას აუცილებლად მიიჩნევდა. ის მიუთითებდა, რომ თუ რუსებს სურდათ მტკიცედ მდგარიყვნენ საქართველოში, უნდა დაეცვათ ქართველები და გაფრთხილებოდნენ მათ, როგორც ტომს და როგორც საზოგადოებას.

შემდგომ ფადეიევი გადმოსცემს ქართველობის ისტორიას დანახულს საკუთარი პოზიციიდან. იგი მიუთითებს, რომ ხანგრძლივმა ისტორიამ შეიმუშავა საქართველოში საზოგადოებრივი წეს-წყობილება მომეტებულ ნაწილად არისტოკრატიული თვისებისა. სულსა და გულს ამ პატარა ერისას შეადგენს მისი მრავალრიცხოვანი თავადაზნაურობა, რომელიც რუსეთის სამეფო ტახტის ერთგულია. ფადეიევის აზრით, ქართველთა მიწათმფლობელი წოდება, რომ შეიცვალოს სხვა უცხო ხალხით (თუნდაც, მაგალითად, სომხებით) მომავალი ურთიერთობა მთლად ქართველ ტომსა და რუსეთს შორის დიდად საეჭვო შეიქმნებოდა. გლეხების განთავისუფლებამ დიდ გასაჭირში ჩააგდო თავადაზნაურობა, აუარებელ ვალში ჩაცვივდნენ და საქმე, რომ ბუნებრივ მსვლელობას მივანებოთ, მაშინ დიდად უმეტესი წილი მამულებისა ძალიან ჩქარა გადავა უცხო ტომის ჩარჩების და სოვდაგრების ხელში, რომელთაც რუსეთის ერთგულება არაფრად ეჭაშნიკებათ. მაშინ საქართველო საქართველოდ აღარ დარჩება პოლიტიკურად. ამისათვის, ფადეიევის აზრით, თავადაზნაურობას უნდა ეპატიოს 3 მილიონი პრიკაზის ვალი ამ ქვეყნის გაჭირვებულ ეკონომიურ მდგომარეობიდან დასახსნელადო. ჩვენთვის საჭიროა დავიცვათ ქართველობა როგორც ერი და საზოგადოებაო, რომ მას

უნდა მიეცეს შემლება სრულიად თავისუფლად ავარჯიშოს თავისი ეროვნული აზრი და გონება, ძალა და ღონეო. განავითაროს ერთიც და მეორეც, და როგორც ერთგული რუსეთის სამეფო ტახტისა, მტკიცედ იდგეს ჩვენ განაპირა მხარეში ჩვენს დასაცველადო. ამასთან ქართველნი ჩვენი თანამორწმუნენი არიან და მათს სარწმუნოების განმტკიცებისათვის ყოველგვარი საჭირო ცვლილებები უნდა მოვახდინოთო. სამსაჯულო და სამასწავლებლო სფეროში მათ ენას ადგილი უნდა მიეცესო (# 2).

როგორც ვხედავთ, ამ რუსი გენერლის მიერ წარმოდგენილია ვითარების ხედვა იმგვარად, როგორც ფაქტობრივად ხედავდნენ ვითარებას ქართველი ნაციონალისტები მეცხრამეტე საუკუნის გარკვეულ პერიოდში: ქართველობა რუსეთის ერთგულია და ერთმორწმუნეა, რუსებს სტრატეგიულად სჭირდებათ საქართველო, ამიტომ უნდა ხელი შეუწყონ მის ეროვნობას ანუ ნაციადყოფნას.[35]

ეს მოლოდინი ლოგიკური იყო, მიუხედავად ამისა, მაინც არარეალისტური, რადგან ცნობილი რუსი პოეტის ფ. ტიუტჩევის სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთის გაგება გონებით შეუძლებელია.[36]

ქვეყნდება ა. ცაგარლის ნაშრომი *ქართველთა ძველი ცხოვრების კვალი წმ. ქვეყანაში და სინის მთაზე*, რომლის პუბლიკაციასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საერთოდ მეცნიერებისათვის და, კერძოდ, ქართველთათვის. წიგნი შეეხებოდა ქართველთა ზნეობრივ და გონებრივ ხანგრძლივ მოღვაწეობას ათონის მთაზე, პალესტინაში

---

[35] აი, რას წერდა, მაგალითად, დიმიტრი ყიფიანი 1886 წელს სტავროპოლში პეტერბურგში გასაგზავნ თავის ახსნა-განმარტებით ბარათში: 'ბრძოლამ მოქანცა საქართველო, სისხლისგან დაცალა იგი. ბოლოს მან ძლიერ და ერთმორწმუნე ჩრდილოელ მეზობელს მიაპყრო მზერა – შეგნებულად, ნებაყოფილობით შევიდა მართლმადიდებელი რუსეთის ერთმმართველობაში. ასე გადაიქცა საქართველო რუსეთის საქართველოდ და ამის შემდეგ თითოეული ქართველი, – ისევე როგორც თითოეული ჭეშმარიტი რუსი, – არ ზოგავდა და დღესაც არ ზოგავს არც სიცოცხლეს და არც ავლა-დიდებას საერთო რუსული სახელმწიფოს ინტერესებისათვის'. იხ. დ. ყიფიანი. წერილები. ილიას ბიბლიოთეკა, 4. (წინასიტყვაობა რ. ამაღლობელისა). თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010, გვ. 48.

[36] 'Умом Россию не понять, / Аршином общим не измерить: / У ней особенная стать – / В Россию можно только верить'. ეს ლექსი დაწერილია 1866 წელს და ხშირად იმოწმებენ მას, როცა რუსული პოლიტიკის ირაციონალურობაზე საუბრობენ.

და სინაზე. აქ ხაზგასმით არის აღნიშნული სარწმუნოების როლი ქართველთათვის ათასწლოვან უთანასწორო ბრძოლაში მომხვდურთა წინააღმდეგ:

> ის წმინდა და ამაღლებული გრძნობა, რომელიც ეუფლების ადამიანის სულსა და გულსა, ჭეშმარიტად "ძრავს მთებს" და სასწაულებს ჩადის: ეს არის სარწმუნოება! ... სარწმუნოებაში და ეკლესიაში ქართველისათვის ყველაფერი იყო შეერთებული: სამშობლო ენაც, დამოუკიდებლობაც, ეროვნებაც. ერთი სიტყვით, ეკლესიისა და სარწმუნოების სვე იგივე ხალხის სვე იყო. ამ სარწმუნოებისა და ეკლესიისათვის აღთქმულს, რაინდულს ერთგულებას ამტკიცებს ის საქართველოს საქრისტიანო ძველი ნივთების მრავალი ნაშთები, რომელნიც ახლაც არიან მოფენილნი დიდძალ სივრცეზე არათუ თვითონ საქართველოში, არამედ მის სამზღვრებს გარეთაც (# 4).

ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესი, როგორც ითქვა, ხასიათდება ნაციონალური ისტორიოგრაფიული ნარატივის ჩამოყალიბებით. ხშირად ეს ნარატივი ფორმდება ერთობის "მნიშვნელოვან სხვებთან" პოლემიკაში, "ისტორიებით ომების" გზით. დ. ბაქრაძის წერილი *პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები* შეეხება საქართველოს ისტორიის შესახებ არსებული ნიჰილისტური დამოკიდებულების თაობაზე მწვავე პოლემიკას. საინტერესოა, რომ ეს პატკანოვი, თუმც რუსი მეცნიერი იყო, ეთნიკურად სომეხი გახლდათ. ანუ ეს პოლემიკა "ჩვენ – სხვა" ოპოზიციის რთულ კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

1883 წელს პატკანოვის მიერ გამოცემულ შრომაში *О древней грузинской хронике* (Жур. мин. народ. просв.) გამოთქმული იყო თვალსაზრისი, რომ *ქართლის ცხოვრება* არ არის ძველი დროის ნაწარმოები. დ. ბაქრაძის მითითებით ქ. პატკანოვი ამტკიცებდა, რომ არათუ ქართული მწერლობა არ იხსენიებს უძველეს ზეპირ თქმულებას საქართველოს დასაწყისზე, არამედ შემდეგ ისტორიულ დროებაზედაც კი არავითარ მასალას არ გვაძლევს, და თუ გვაძლევს, ისიც ერთადერთს ცნობილს შრომაში *სომხურ ხრონიკაში*. მართალია, ეს ხრონიკა ქართულიდან არის ნათარგმნი; მაგრამ იმისი დედანი უნდა იყოს შეთხზული ან შედგენილი უსწავლელი და უმეცარი სომხისაგან მეთორმეტე საუკუნეში, როდესაც ქართველებმა იგრძნესო ისტორიის საჭიროება. დანამთენი ცნობანი ძველს საქართველოზე იპოვებაო

მხოლოდ სომხურს ისტორიულს მწერლობაში. ვახტანგზე ადრინდელს *ქართლის ცხორებაზე* არავითარი ცნობა არ არისო.

დ. ბაქრაძის აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი რომ, რატომ ფიქრობს პროფ. პატკანოვი, ვითომც ქართველი ერი ისეთ ველურ მდგომარეობაში იყო, რომ მეთორმეტე საუკუნემდე ვერ გრძნობდა ისტორიის საჭიროებას და თუ არ უმეცარი სომხის "შემწეობით", მან ვერ შეძლო თავისი ისტორია თვითონვე შეედგინა; ის ერი, რომელსაც, სტრაბონი აყვავებულ მდგომარეობაში გვიჩვენებს; რომელმაც გასაოცარი ხელოვნების ეკლესიებით და მონასტრებით მოჰფინა ძველი დროიდნვე თავისი მხარე; რომელმაც გაავსო, როგორც საქართველო, აგრეთვე საბერძნეთი და პალესტინა ქართული სამკაულებით და მანუსკრიპტებით (## 7, 8).

ეს ნიჰილისტური შეხედულება აღინიშნა მაშინ როცა უკვე ცნობილი იყო ორი ვახტანგამდელი ვარიანტი *ქართლის ცხოვრებისა*. დ. ბაქრაძე მიუთითებს, რომ საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი შესწავლისათვის აუცილებელია ერთად მოვუყაროთ თავი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში თუ საზღვარგარეთ გაფანტულ საისტორიო წყაროებს, გავეცნოთ, შევისწავლოთ და მოვუაროთ მათ.

კორესპონდენცია ქიზიყიდან გვიამბობს ქიზიყში არსებულ პრობლემებზე. საუბარია სიღნაღში გახსნილ დეპოს საქმიანობაზე. ავტორია მ. ნესიძე. იგი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ტყის მცველთა არაკეთილსინდისიერ ქმედებებს. როგორც კორესპონდენციიდან ვიგებთთ, ხელფასი არ იყო უმთავრესი მიზეზი, რის გამოც თავპირის მტვრევა იყო გამართული ამ ადგილისათვის. "ლესნიჩებს" – ასეა მოხსენიებული *ივერიაში* ტყის მცველები, გამდიდრების წყაროდ უქცევიათ თანამდებობა. ეს ყოფილა მიზეზი ამ ადგილზე მოთხოვნილებისა. აქვეა მოხმობილი "ტყის მცველის" თანამდემობაზე არსებული დიდი სურვილის დამადასტურებელი ფაქტი: ერთი მღვდელი, რომელსაც საკმაო მრევლი ჰყოლია, გულწრფელად მეფიცებოდაო, – წერს ავტორი, რომ არა მრცხვენოდეს, ანაფორას გავიხდიდი და "ლესნიჩობას" ვითხოვდიო. აქ, მართალია, "ტყის მცველებს" შეეხება საუბარი, მაგრამ *ივერია* შემთხვევას არ უშვებს გააკრიტიკოს სამღვდელოებაც, რომელიც არ დგას სათანადო მორალურ სიმაღლეზე.

ისე ყვლეფდნენ თურმე ხალხს, რომ არაფრიდან სამ კვირაში სამსართულიან სახლებს იშენებდნენ. არაერთხელ დაწერილა გაზეთში მათი ბარბაროსული ქცევის შესახებ, მაგრამ ამაოდ. ეს გარემოება მით უფრო დამაფიქრებლად მიაჩნია ავტორს, რომ ამ წურბელების უფროსად ქართველი ყოფილა დანიშნული და, მაშასადამე, ჰქონდა საშუალება ქართული გაზეთის მეშვეობით შეეტყო საზოგადოების რეაქცია. მაგრამ 'რის ქართველობა, ვინ ქართველობა! განა რას გვაწყენს' – ეს ხალხი პირველ ოჯახისშვილებად და საპატიო პირებად ქცეულან. აღნიშნული მოვლენა გავრცელებული ხმების თანახმად, დაკავშირებული ყოფილა ქრთამებთან. მაგრამ ავტორი ირონიულად შენიშნავს, რომ ტყუილი უნდა იყოსო: 'აბა, რა ბრძანებაა, სიღნაღელი მწერალი ქრთამს აიღებს?! დიდი ჭორია: აქ მიზეზი სხვა უნდა იყოს, რომელსაც ქიზიყელი მოკლე ჭკუა ვერ მისწვდენია' (# 9).

ეს სტატია საინტერესოა იმით, რომ მასში ჩანს წუხილი ქართული საზოგადოების არარსებობის გამო. პრობლემა ისაა, რომ საზოგადოებრივი აზრის არ ეშინიათ ბოროტების ჩამდენთ.

მეათე ნომერში ქვეყნდება წერილი *შენიშვნები ჩვენს ცხოვრებასა და ლიტერატურაზე*. წერილი შეეხება გაზეთ *ახალ მიმომხილველში* გამოქვეყნებული სტატიის *Религиозность грузин и народние праздники* შესახებ მსჯელობას, სადაც აღნიშნული ყოფილა, რომ საქართველოს ერი გულგრილთაგანი ერია სარწმუნოებაში, ქართველნი არასოდეს არ ყოფილან განსაკუთრებით ღვთისმოსავნი და თუ ეწამებოდნენ სარწმუნოებისათვის, თუ იბრძოდნენ და სისხლსა ჰღვრიდნენ უხვად სხვადასხვა მტერთა წინააღმდეგ, იმიტომ კი არ იბრძოდენ, რომ რელიგიური გრძნობა ამოქმედებდათ, იმიტომ ღვრიდენ სისხლს, რომ მამული უყვარდათ და მხურვალე პატრიოტები იყვნენ.

განხილვაში აღნიშნულის საპასუხოდ ორი გარემოებაა დასახელებული: პირველი გახლავთ ის, რომ ქართველთა უპირველესი საზრუნავი წარსულში იყო ქვეყნის დაცვა; მეორე კი – ქართველთა თავდადება სარწმუნოებისათვის. ეს ორი ელემენტი წარსულში მტკიცედ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული და შესაძლოა რელიგია ძველად მომეტებულ ძალას შეადგენდა, ვიდრე მამულის სიყვარულის გრძნობა.

აქვე მოცემულია ტერმინ "მამულიშვილობის" განმარტება იმგვარად, როგორაც ეს ესმოდა ამ ნომრის თანამედროვე ერს: ეს იყო ნაყოფი

მეცხრამეტე საუკუნისა, და ბევრად განირჩეოდა იმ მამულისშვილობისაგან, რომელის პირვანდელს მის ფორმას წარმოადგენდა სახლ-კარის დაცვა, ადგილის სიყვარული.

სავსებით თანამედროვე ფორმულირებაა შიდა ჯგუფური სოლიდარობის სენტიმენტისა, მითითებულია, რომ ახალ დროში ის სხვაა, ვიდრე წინა მოდერნის ხანაში, ანუ ფაქტობრივად, საუბარია ნაციონალიზმის მოდერნულ ხასიათზე.

რეცეზიაში დამოწმებულია ე. რენანის აზრი, რომ ყველა რელიგია, ამ შემთხვევაში ცეცხლთაყვანისმცემლობა, არ წარმოშობს მამულიშვილობას. წინა მოდერნის ხანაში საერთოდ არც იყო სამშობლოს განცდა: უდიდესი სახელმწიფონი საშუალო საუკუნოებისა, იმპერია ბიზანტიისა, კარლოსისა ისე იყვნენ დაფუძნებულნი, რომ მამულისშვილობას, ენას, მოდგმასა და ტომს სრულიად არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. აქ უმთავრესი ძალა იყო სარწმუნოება – ქრისტიანობა. მსოფლიო ისტორიის მაგალითების კონტექსტში განიხილავს ქართულ შემთხვევას: ძველ საქართველოშიც სარწმუნოების ელემენტმა ბევრად სძლია მამულისშვილობის ძალას, ანუ სრულიად შეითვისა და შეიხორცა მეორე, პირველმა შთანთქა და გადაყლაპა მამულისშვილობა. სარწმუნოების აღსარებაში თავისთავად იგულისხმებოდა სამშობლოს დაცვის პრინციპიც. ურწმუნოთა შემოსევის დროს საქართველოში ქუდზე კაცი გამოდიოდა საბრძოლველად. რელიგია ძალად გადაიქცა, ცხოველ გრძნობად შეიქმნა და ამ გრძნობას უმთავრესი ადგილი ეჭირა მაშინდელი ქართველის გულში. რელიგია მაშინ იპყრობდა ყოველსავე და მთავარი ხელმძღვანელი იყო ერის, მთავარი გრძნობა ხალხის, მისი გონება, მისი არსებობისა და თვვშეჩირვის საგანი. ყოველივე რელიგიურის და სარწმუნოების დაცვას თან მოსდევდა დაცვა ენის, ზნის, ჩვეულების, ერთი სიტყვით, ქართველობის, ეროვნული ხატების. მაგრამ ამ უკანასკნელ გარემოება მაშინდელი ქართველი ვერც კი იყო მიხვედრილი. იგი სარწმუნოების დაცვის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენდა. თუმცა ამ შედეგს, ამ თავის ღვაწლს ვერც კი ხედავდა მაშინდელი ქართველი. საქართველოს ერს, რომ მაშინ სარწმუნოება დაეთმო, ამ დათმობას მოჰყვებოდა ეროვნულის ხატების წაშლა, ეროვნული ვითარების შეცვლა. ერმა არ დათმო სარწმუნოება, არ გამოიჩინა გულგრილობა ამ მხრივ და ამით დაიმსახურა ადგილი და

პატივისცემა ისტორიაში. ამ დაცვას და ბრძოლას სარწმუნოებისათვის, ამ თავგანწირვას საქართველოს სიცოცხლე მოჰყვა და "ეროვნობის დღე" გაგრძელდა.

როგორც ვხედავთ, ხაზგასმულია რელიგიის განსკუთრებული მნიშვნელობა კოლექტიური კულტურული იდენტობის შენარჩუნებაში და წინა მოდერნის ეპოქაში შიდა ჯგუფური სოლიდარობის რელიგიური ხასიათი. აღშფოთებაა გამოთქმული თანამედროვეობაში არსებული სარწმუნოებრივი გულგრილობის გამო. *ახალ მიმომხილველში* გამოქვეყნებული სტატია, რეცენზიის მიხედვით, მცდარ შეხედულებას ავრცელებს, ეს შეცდომა ხალხისა და ქვეყნისათვის ძალიან მავნებელ შეცდომათაგანია (# 10).

ნაციონალიზმი, როგორც ცნობილია, მოვიდა სეკულარიზაციის პროცესის კონტექსტში იმ დროს, რელიგია ტოვებდა საჯარო სფეროს და იკავებდა ადგილს მხოლოდ პრივატულ სფეროში.

ნაციონალიზმი თავად იყო თავისებური სეკულარული რელიგია. დასავლეთის ქვეყნების ნაციონალიზმების ისტორია, როგორც სამართლიანად არის მითითებული სპეციალურ ლიტერატურაში, არის დემოკრატიისა და სეკულარიზაციის ისტორია. მაგრამ რიგ ქვეყნებში რელიგიამ, კერძოდ, ქრისტიანობამ მოდერნის ეპოქაშიც შეინარჩუნა დიდი მნიშვნელობა, განსაკუთრებით მკაფიო ეს ტენდენცია იყო მართლმადიდებლური ქრისტიანობის, მოდერნიზაციის თვალსაზრისით ჩამორჩენილ, ქვეყნებში. საქართველოში ძალიან თავისებური ვითარება შეიქმნა: ერთი მხრივ, ქართული ნაციონალური კონსოლიდაციის აქტორებს ანუ ქართველ ნაციონალისტებს, რელიგიისაგან სურდათ განთავისფლება. ამისკენ მათ უბიძგებდათ არა მარტო ახალი დროის სეკულარული ტენდენცია, არამედ ის, რომ საქართველო რელიგიურად ჭრელი იყო და თვითონ ქართული ერთობაც არ იყო ამ თვალსაზრისით ერთგვაროვანი, და კიდევ ის, რომ მართლმადიდებელ მტერთან ანუ რუსეთთან იდენტობის ეს მარკერი აღარ "მუშაობდა". მაგრამ ამავე დროს, ძალიან მძლავრი იყო ისტორიული გამოცდილების ხსოვნა, იმის გაცნობიერება, რომ წინა მოდერნის ხანაში ქართულმა ერთობამ თავი დიდწილად ქრისტიანობით შეინახა და ქართველობა და ქრისტიანობა ერთმანეთს შეედუღა ერთობის წევრთა ცნობიერებაში. საუკუნეების განმავლობაში ქართული კულტურის მანიფესტაციის ერთადერთი სივრცე იყო მართლმადიდებლური ქრისტიანული სივრცე.

ქრისტიანობაზე, როგორც საჯარო იდეოლოგიაზე, უარის თქმა, ყველა ამ კულტურულ საყდენს გამოაცლიდა ქართულ ოდენტობას. ამიტომ იყო რელიგიასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობის დამტევი მეცხრამეტე საუკუნის ქართველ ნაციონალისტთა დისკურსი.

1885 წელი

რედაქტორია ილია ჭავჭავაძე. გამოდის იმავე პროგრამით როგორც წინა წელს.

პირველ ნომერში დაბეჭდილია დ. ბაქრაძის სტატია "*ქართლის ცხოვრების" პირველგადმოცემათა წყაროები*. პირველგადმოცემანი შეადგენენ განსაკუთრებულ ხანას ისტორიისას. ამ სახის წყაროები ხშირად ეთვისებიან ერთი ქვეყნისგან მეორეს, ერთი ერისაგან მეორეს და სხვაფერდებიან. ავტორი შენიშნავს როგორიც უნდა იყოს მათი დასაწყისი 'იბადებიან იგინი თვით ერში, თუ შემოდიან გარედან, მაინცდამაინც ჩვენ არ შეგვფერის მათდამი უყურადღებობა, რადგან, როგორც ცნობილია, ხშირად აღბეჭდავენ იგინი ერში დანერგილს რომელსამე მოსაზრებას, უჩვენებენ ერის შეხედულობას ქვეყნიერობაზე, სტოვებენ კვალს მის ცხოვრებაში და საფუძვლად ხდებიან შემდეგ მწერლობის ნაწარმოებში ... რაც უნდა ფანტასტიკურ ფორმებში იყვნენ იგინი ჩამოსხმულნი, რაც უნდა დაუჯერებელი იყოს მათი თვით შინაარსი, მაინც შედარებითს მეთოდს შესწავლისას შეუძლიან ამ გადმოცემათა შორის აღმოაჩინოს ჭეშმარიტება, შეჰნიშნოს იმათი ისტორიული წინააღმდეგობა და გაარკვიოს სად არის მათი პირველი სამშობლო და საიდამ და როგორ მომდინარეობენ იგინი'. ამგვარ წყაროზეა დაფუძნებული *ქართლის ცხოვრების* საწყისი ეტაპი, რომლის შესწავლას ისახავს მიზნად ავტორი.

ამავე ნომერში ქვეყნდება პეტერბურგელი სტუდენტის წერილი *ქართველთ ძველებური საერო გართობა-ასპარეზობანი* (# 1). წერილის მიზანია ხელი შეუწყოს ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრების ყოველმხრივ შესწავლას. 'როგორც კერძოდ ცალკე პირის, ისე საზოგადოდ მთელის ერის სიფხიზლისა და საღიანობისთვის პირველი ადგილი უჭირავს სხეულის ვარჯიშობას, სხეულის მოძრაობას, მაშასადამე გართობასა და თამაშობასაც. ამისათვის საჭიროა გავიცნოთ ძველებური გართობა-ასპარეზობანი, რომ ზოგიერთი მათგანი კუალად აღდგენილ

იქმნას'. წარმოდგენილი აქვს ყაბახის (რომელიც ერეკლე მეფის ბრძანებით გადავარდა), ბურთაობის / რადრაბაგანის / ჩოგნის, აშფაშაგის, ჯირითის, ქვეითი ხალხის ბურთაობას, ჭიდაობის შესახებ მისთვის ხელმისაწვდომი ცნობები. აღნიშნულია, რომ მათი შევსება შესაძლებელია ძველთაგან შემორჩენილი ცნობების გამოკვლევით. ამ თამაშობების პრაქტიკული განხორციელება ჩვენს ხალხს მხიარულების ხალისს მისცემს და ჭირში მოჭირნე და ლხინში მოლხინედ აქცევს.

პ. უმიკაშვილის წერილში *ქართული თეატრი* საუბარია ქართული სცენის არასახარბიელო მდგომარეობაზე. ავტორი მოუწოდებს ქართველ საზოგადოებას ქართული სცენისათვის ხელშეწყობას. თეატრს უმთავრესი ზრუნვა დრამატული საზოგადოებისაგან ესაჭიროება. 'ტფილისში რამდენიმე საზოგადოებაა, ყველანი ახერხებენ ღონისძიების მოპოებას, შრომას, რაღა მარტო დრამატული საზოგადოება დაიბადა ასე უილაჯო და დავრდომილი?' – სამდურავის სიტყვებით მიმართავს ავტორი. 'მთელი ტფილისის უმაღლეს და უმდაბლეს საზოგადოებას ტეატრზე აქვს მიქცეული ყურადღება, მას უჭირავს ძლიერი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში; აქ ერთად იყრებიან მწერალნი და მაყურებელნი, მსოფლიო გენიოსების ნიჭნი აქ ეშლებიან სულით მშიერ-მწყურვალეს და ღარიბს დღიურს მუშაკს; აქ ქართული ხელოვნება იზრდება და უნდა აღგვიზარდოს გემოვნება, გრძნობა, სიკეთე, კეთილის სიყვარული, გონება უნდა გაგვიწმინდოს, აღგვამაღლოს მუდამ დღიურის მწიკლოვანის ცხოვრებისაგან, – ეს ხელოვნების ტაძარი, ეს სცენა, ეს თეატრი, ქართული თეატრი, ასე შუწევნელად თავ-მინებებული უნდა დარჩეს? ნუ თუ სიცოცხლის ძარღვი მართლა შეწყდა და გულმა ძგერა შეაყენა?'

მ. ჯანაშვილის წერილში *ბიბლიოგრაფია* წარმოდგენილია დ. ბაქრაძის რედაქტორობით გამომავალი რუსული სამეცნიერო ჟურნალის *Известия Кавк. Обш. Историй и Археологий* (ტომი I, მეორე გამოცემა, 1884 წელი) საყურადღებო სტატიების განხილვა. შეეხება ა. კომაროვის *სჭრიდენ თუ არა საქართველოში ოქროს ფულს?* და დ. ბაქრაძის *ახალ პოვნილ "ნაწყვეტზე" წყაროთაგან ვახუშტისა საქართველოს ისტორიისათვის* წერილებსს. დ. ბაქრაძის წერილში ბროსეს შეცდომებზე ყოფილა ყურადღება გამახვილებული. მ. ჯანაშვილი სვამს ჩვენში საისტორიო წრის ჩამოყალიბების აუცილებლობის თაობაზე. 'უცხო პირნი ჩვენს ისტორიას ისე ვერ

შეისწავლიან, როგორც ქართული წრე. იმ უცხო პირთა გამოკვლევებში, თუნდ ეს პირნი იყვნენ ისეთნი მცოდნენი საქართველოისა, როგორიც იყო განსვენებული ბროსე ყოველთვის იქნება ანაქრონიზმები, უნებლივი შეცდომანი და სხვ. ... დროა საქართველომ იხილოს ქართული საისტორიო წრე ჩვენთა წინაპართა წარსულის საფუძვლიანად შესასწავლად' (# 1).

მეორე ნომერში ქვეყნდება მედიატორეთა განჩინება ი. გოგებაშვილსა და ა. ღულაძეს შორის გამართული პოლემიკის შესახებ. საქმის ისტორია ასეთი ყოფილა: *ნოგათში* გამოქვეყნებულა ბიბლიოგრაფიული წერილი ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი წიგნის *კონის* შესახებ, რომლის საპასუხოდ ი. გოგებაშვილს *დროებაში* გამოუქვეყნებია პოლემიკური წერილი. აღნიშნული წერილით შეურაცხყოფილად უგრძვნიათ თავი *ნოგათის* რედაქტორს და მოუთხოვია ი. გოგებაშვილისაგან მედიატორთა დანიშვნა მათი წერილების შესასწავლად. მედიატორებს (დ. ბაქრაძე, ვ. ყიფიანი, გ. იოსელიანი) ორივე წერილი შეუსწავლიათ და გამოურკვევიათ, რომ ღულაძესა და გოგებაშვილს შორის გამართული დავა ისეთი განსაკუთრებული ხასიათის არ იყო, რომ სამედიატორო განხილვა წარმოებულიყო. აქვე მედიატორეთა ნებართვით იბეჭდება ი. გოგებაშვილის *განმარტებითი წერილი.*

მესამე ნომერში იბეჭდება მ. ნასიძის *პედაგოგიური მოსაზრებანი ქართული ენის სწავლების შესახებ.* წერილი წარმოადგენს ერთი სასწავლებლის პედაგოგიური რჩევის მიერ ყველა საქალაქო სასწავლებელთათვის შედგენილი ქართული ენის პროგრამის შესახებ *მწყემსში* გამოქვეყნებულ კორესპონდენციაზე გამოხმაურებას და ამავე დროს პროგრამის კრიტიკულ განხილვას. როგორც განხილვიდან ჩანს, მ. ნასიძეს არ მოსწონებია 'სამშობლო ენის შესწავლის საფუძველი *ბუნების კარი,* რომ ყოფილა. მაშ ხვალე კიდევ უნდა მოველოდეთ, რომ ქართულის ენის სახელმძღვანელოდ ბ. ყიფიანის არითმეტიკას შემოვიღებთ. ზეგ – მოსე ჯანაშვილის ისტორიას. რატომაც. თუ კი წიგნი, რომელიც თვით შემდგენელმა დანიშნა "ბუნების" და არა ენის შესასწავლებლად ჩვენ ვაქციეთ იარაღად სამშობლო ენის სწავლებისათვის, ვინ იცის, რომ ეხლაც ზოგიერთგან ენის შესწავლა დიდებულიძეების და ტურიევების წიგნებით არ სწარმოებს: 'დიაღ, ბატონებო ეს მოვლენა სასაცილო იქნებოდა, რომ ერთობ გულ-საკლავი არ იყოს, იმ დროს, როდესაც ჩვენ "ბუნების კარიდამ" სირაქლემას ცხოვრებას, ყავის

მოყვანას და "ბელურა ჩიტს" ვკითხულობთ ენის შესასწავლებლად, იმ დროს, მოგახსენებთ რუსის ბავშვები და ჩვენებიც რუსულს სწავლობენ პუშკინის, ლერმონტოვის, მაიკოვის, ტურგენევის, ტოლსტოის და სხვა სამშობლო წარჩინებულთა მწერალთა საუკეთესო ნაწერებით'.

სწავლების ამგვარი მეთოდის შემოღებას აცხადებს მიზეზად იმ სამწუხარო მოვლენისა, რომ დღეს ჩვენმა ახალმა თაობამ არ იცის სამშობლო ენა და სრულ ინდიფერენტიზმს იჩენს ყოველივე მშობლიურისადმი 'ნუ დაივიწყებთ, რომ საუკეთესო მწერალთა თხზულებანი არა მარტო ენას შეასწავლიან მოზარდ თაობას, არამედ უღვიძებენ ათასგვარ კეთილ მისწრაფებასაც და ჰზრდიან ზნეობით'.

მწყემსის წერილის ავტორს შენიშვნა ჰქონია ზოგი მასწავლებლის მიმართ 'სხოლასტიურად ჩაჰყვირის ყმაწვილებს საქართველოს წარსულ ამბებს ... ესეც ისტორიით ენის შესწავლა. ამგვარ ოსტატებს გულ-დამწვარი ქ. უ-ე ჰკითხავს: თქვენ ქართული ენის მასწავლებლები ბრძანდებით თუ ისტორიისაო? მისდა განსაცვიფრებლად ეუბნებიან – ქართულის ენისაო'. *მწყემსის წერილის* ავტორს შენიშნული ჰქონია, რომ 'ჩვენ არც გამოკვლეული პროგრამა გვაქვს და არც განსაზღვრული სახელმძღვანელონი ... "ბუნების კარი" და "კუნწულა" სრულიად ვერ აკმაყოფილებენ პროგრამის მოთხოვნილებას', და დაუსვამს სახელმძღვანელოს აუცილებლობის საკითხი. ამგვარ სახელმძღვანელოდ ასახელებს ქრესტომათიას ან საქართველოს ლიტერატურის მიმოხილვას (# 3).

ჟურნალის ფურცლებზე ხშირად ქვეყნდება გამართული ქართული წარმოდგენების შესახებ რეცენზიები და გამოხმაურებები, სადაც კრიტიკულად არის წარმოჩენილი წარმოდგენის სუსტი და ძლიერი მხარეები. ქართული თეატრის სუსტ მდგომარეობაზე წინა ნომრის კორესპონდენციაში იყო საუბარი. აღნიშნულ საკითხს კიდევ ერთხელ შეეხება პ. უმიკაშვილი. იგი მკაცრად აკრიტიკებს დრამატული საზოგადოების ხელმძღვანელობას და დაუდევრობაში ადანაშაულებს მათ. აღნიშნავს, რომ *დროების* კრიტიკას სათანადო შედეგი გამოულია და დრამატული საზოგადოების ხელმძღვანელობა შეუცვლიათ, მაგრამ გულისტკივილით შენიშნავს, რომ ამ ცვლილებას სასარგებლო შედეგი არ მოჰყოლია. ამის საფუძველს ავტორს აძლევს ახალი ხელმძღვანელობის კიდევ უფრო გულგრილი დამოკიდებულება თეატრისადმი (# 3).

მეოთხე-მეხუთე ნომერში ქვეყნდება მ. ჯანაშვილის სტატია ქართული ფულის შესახებ. როგორც ცნობილია, საქართველოს ისტორიის შესახებ ნიჰილისტური დამოკიდებულება აღინიშნა ზოგიერთი მეცნიერის მხრიდან, რომელსაც დასაბუთებული პასუხი გასცა დ. ბაქრაძემ *ივერიის* ფურცლებზე. ამის გარდა, ჩვენი ისტორიის უძველესობის და სანდოობის დამადასტურებელი მრავალი ფაქტები გამოვლინდნენ, რომელთა შორის ერთ-ერთის – ქართული ფულის მნიშვნელობის საფუძვლიან გამოკვლევას ისახავს მიზნად მ. ჯანაშვილის სტატია. IX-X საუკუნეების წინა პერიოდის ფულებმა დაადასტურეს, რომ წერა, ფულის ჭრა და სამეფო წეს-წყობილება, მაშასადამე, ხალხის ისტორიული ცხოვრება IX-X საუკუნეებზე გაცილებით ადრე იყო დამყარებული საქართველოში. 'არხეოლოგიამ და ნუმიზმატიკამ ისტორიული ხანა კაცობრიობისა ქვეყნის შექმნას დაუახლოვა რამდენიმე ასი და ათასი წლით. ასე რომ ხანა, რომელიც მიფიურად მიაჩნდათ, თან და თან ისტორიულ ხანად ხდება და ასრე ნელ-ნელა მანძილი ნამდვილი ისტორიისა უახლოვდება დასაბამს კაცობრიობისას, იმ ჟამს, როდესაც ქვეყანაზედ იქნება მხოლოდ კაცთა-ნათესაობის პირველი მამამთავარი სცხოვრობდა'.

იმ დროს, როდესაც მ. ჯანაშვილს უწევდა მოღვაწეობა პირველი ნაბიჯები იდგმებოდა მეცნიერული კვლევის თვალსაზრისით. ეს იყო უმთავრესად ფაქტების მოძიების ხანა. ჯერ კიდევ არ იყო გამოვლენილი საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პირველწყაროები. თუმცა ბურუსით არის მოცული საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის შესახებ მრავალი ფაქტი, მაგრამ დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში დომინანტობს ქართველთა აბორიგენობის თეორია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მოულოდნელი არაფერია მ. ჯანაშვილის თვალსაზრისში 'პირველი პერიოდი ანუ ხანა ქართველთ ისტორიისა სრულიად ბნელით არის მოცული და აქამდის არც ისტორია, არც ნუმიზმატიკა და არც არხეოლოგია ლინგვისტიკითურთ გადაწყვეტილს პასუხს არ გვაძლევს ამ დროის ქართველთ ერის ცხოვრებაზედ'.

ავტორს აქ ჩართული აქვს საინტერესო სახალხო შაირი:

თარგამოსიანთ ქართლოს ქართლს იჯდა პირველ ძეობით,
მერმე ფარნაოს ტახტოსნად იჯდა სიქველით მხნეობით,

არშაკუნიანთ იმეფეს, მერმე ხოსროანთ სეფობით,
აწ ვსუფევთ ბაგრატიონნი, ვგიებთ ღვთის მესათნეობით.

შაირში საუბარია სამეფო დინასტიებზე, რომელთა შესახებ მეტად მწირი ცნობები მოიპოვებოდა XIX საუკუნის II ნახევარში მკვლევართ ხელთ არსებულ წყაროებში. ამ მიზნით სტატიაში წარმოდგენილია ქართული ფულის შესახებ მიხეილ ბარათაშვილის გამოკვლევის ანალიზი. ჩვენ აქ არ შევეხებით წარმოდგენილ მთლიან განხილვას. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მკვლევარს წარმოჩენილი აქვს თუ რა გარდატეხა მოახდინა სტეფანოსის, ჯუანშერის და სხვათა წარწერის აღმოჩენამ და შესწავლამ საქართველოს ისტორიაში. ამ ფულების წყალობით ზღაპრად მიჩნეული გმირები – სტეფანოსი, ჯუანშერი, ვახტანგ გორგასალი ნამდვილ ისტორიულ პირებად იქცნენ. 'ახალის ცნობებით, მათ აქვთ თვისი ზარაფხანა, უსწავიათ ფულის ჭრის ხელოვნება, იციან ფასი და გასავალი ფულისა, იციან წერის ხელოვნება, მაშინ, როდესაც ჯერ არაბული 9 ციფრის ხსენებაც არსად არის (გარდა ინდოეთისა), მათ შემოუღიათ იგი ხმარებაში და სჭრიან ფულს ვაჭრობისათვის, აღებ-მიცერმობისათვის და სხვ.' (## 4, 5).

კ. ყიფიანი მკითხველს აწვდის ინფორმაციას თეატრის მნიშვნელობის შესახებ (## 4, 5). სტატიაში საუბარია იმაზე, თუ რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს თეატრმა საზოგადოებას. აღნიშნავს, რომ თეატრი ადრეულ პერიოდშიც საჭირო იყო ხალხისთვის.

თეატრი ჩვენ გვიჩვენებს ჩვენი ცხოვრების კარგსა და ავს თვისებას, ღირსებას, ნაკლულევანებას, მავნებელს და სასარგებლო ხასიათებს ისე ცხადად და ისე ძლიერად, როგორც თვით ჩვენი ცხოვრებაა. თეატრი არის სწავლა-განათლების ტაძარი, ჩვენი საზოგადოების სარკე, რომელშიაც ჩვენ თვითეულად თავ-თავისს სახესა, თავ-თავისს თვისებას, ხასიათსა – ცხადათა, ნათლადა, აშკარადა ვხედავთ; თეატრი ჩვენი ოსტატიც არის, მასწავლებელიც, შემაქცევარიცა და დამამშვიდებელიცა.

მეოთხე-მეხუთე ნომერში ქვეყნდება არტურ ლაისტის საქართველოში მოგზაურობის ამსახველი პოლონური წერილის *კოლხიდაში* (*მგზავრის შენიშვნები*) თარგმანი. მოგზაური ქართული იდენტობის დახასიათებისათვის საინტერესო შტრიხებს გვაწვდის. განსაკუთრებით აღსანიშნავია საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი

ეპიზოდები. თბილისში ჩამოსული ქალაქის საზოგადოებრივი ცხოვრების აღწერისას ორგვარი ხასიათის არსებობას მიუთითებს – ევროპულის და აზიურის:

> სასახლენი და სადგურნი – ევროპიულ ნაწილშიაც კი მომეტებულ ნაწილად ქართულს გემოვნებაზე არიან აშენებულნი, ერთ სართულად ... შინაგანს მოწყობილობას ქართველთ სახლებისას აღარ ეტყობა თავისებურობა, რადგან ცოტაოდნად შეძლებული ქართველი ევროპიულად ცხოვრობს და სახლიც ევროპიულად აქვს მოწყობილი ... ძველებური სახლები ჩვეულებრივ ერთსართულიანები არიან და მათში ორის ოჯახის მეტი არა ცხოვრობს ... მომეტებული ნაწილი ამ სახლებისა ძველ ქალაქშია, რომელსაც აზიურ ქალაქსაც ეძახიან, აქ ასი წლის განმავლობაში, ე.ი. საქართველოს რუსეთის მფლობელობაში გადასვლის შემდეგ არაფერი შეცვლილა: სახლები ძველები არიან, ქუჩები ვიწრონი და მიხვეულ მოხვეულნი. ამ ნაწილში მართლაც რომ აზია სუფევს მთელის თავისი სხვა და სხვა გვარი, აჭრელებული, გაქვავებული თავისებურობით ... აქ საშინელი ვიწროობაა და სახლები ჭერეხებივით არის ზედიზედ მიყრილი. არ ვიცი, ეს მერცხლის ბუდეები კლდეებზედ რად არის მიკრული, როდესაც ძირს, დაბლობზე, საცა ევროპიული ნაწილია, იმდენი თავისუფალი ალაგი იქნებოდა ... ქუჩის ცხოვრება თბილისის ძველის უბნებისა, რასაკვირველია, უფრო ბევრს განსაკუთრებულს თვისებას წარმოადგენს, ვიდრე ევროპიულს ნაწილში, საცა დასავლეთის ტანსაცმელი და ჩვეულებანი მეფობს. როგორც ყველგან აღმოსავლეთში, ისე თბილისშიაც ხალხი ცხოვრობს და მუშაობს უფრო გარეთ, ცის-ქვეშ, ვიდრე სახლებში, ისე რომ გამვლელ-გამომვლელს შეუძლიან ადვილად შეუძლიან დათვალიეროს ყოველივე ავლა-დიდება მცხოვრებლებისა.

შემდგომ იგი იძლევა საზოგადოებრივი ცხოვრების სურათს. საზოგადოებრივი ცხოვრების კერად მუშტაიდის ბაღს ასახელებს, სადაც სასეირნოდ, დროის გასატარებლად, საქეიფოდ გამოდიოდნენ მცხოვრებლები. სეირნობა მუშტაიდში ათი საათისთვის სრულდებოდა, მაგრამ სხვა ბაღებში დილამდე გრძელდებოდა განთიადამდე. იქ ზურნა გრგვინავდა მთელი ღამის განმავლობაში, ქეიფობდნენ, გაისმოდა სიმღერა, ხარხარი, ცეკვავდნენ ლეკურს. ლაისტს არძვრია ფიქრი: ვინ იცის, იქნებ, ამ ჩრდილოვან ბაღებში დასეირნობდა რუსთველი უდიდესი მგოსანი კავკასიისა და მოტრფიალე შვენიერის თამარ მეფისა?!

ლაისტი საუბრობს ქართულ მუსიკაზე. მიუთითებს, რომ ქართველების საერო მუსიკა, ძლიერ განირჩევა ევროპიულ მუსიკისაგან, 'შესდგება სკიპტრის მზგავსის ჩონგურისა და ზურნისაგან. ზურნას ზედ ერთვის დოლი და დუდუკი. ეს უკანასკნელი ჰგავს კლარნეტს. პირველად ეს მუზიკა უბრალოდ ხმაურობად ეჩვენება კაცს, ხოლო თუ ჩაუკვირდება, ადვილად შენიშნავს, რომ ჰარმონიის ერთგვარს კანონებს ემორჩილება და მტკიცედ გარკვეულს მელოდიებს შეიცავს. ეს მელოდიები თითქმის ყველანი მწუხარენი არიან, ხანდახან უნუგეშონი და ერთკილოვანნი ... ზურნაზე სხვათაშორის უკრავენ ქართულ სამხედრო მარშს, რომელიც თავისი მაღალ-ხმოვანის მეტად თავ-დაუჭერელის მელოდიით ყველა აღტაცებაში მოჰყავს და ევროპიელშიაც კი აღვიძებს რა გასოცარს ენტუზიაზმს. იმ ხმის დროს ყოველი ქართველი განზე ისვრის წლობით შეძენილს ევროპიელობას და ერთის წუთით გარდაიქმნება ხოლმე აღბორგებულ და გაბედულობით სავსე ძედ აზიისა. ამ დროს პრიალებენ ხანჯლები, ტყვია ზუზუნებს, გრგვინავს სიმღერა, სიმღერა ხმა-მაღალი, გრძნობით სავსე გულის მიმტაცი, თავდავიწყება მოიცავს ხოლმე მთელს საზოგადოებას. წარმოითქმიან სადღეგრძელონი, იგონებენ წარსულს. ვინც იცის ეს წარსული მხოლოდ მათ შეუძლიანთ იგრძნონ მოქმედება ამ სიმღერათა'.

შემდგომ საუბრობს ქართული თეატრის არასახრბიელო მდგომარეობის შესახებ. თბილისში ამ დროისათვის სამი თეატრი არსებულა – რუსული, ქართული, სომხური. ამათგან კარგ მდგომარეობაში რუსული თეატრი ყოფილა, ქართული და სომხური თეატრი გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფილან და თუ არსებობა შეუნარჩუნებიათ მხოლოდ კერძო პირთა შემოწირულობის წყალობით. ლაისტი შენიშნავს 'როგორც ეტყობა ქართულ საზოგადოებას აკლია არტისტული გემოვნება, ხოლო სცენის მეთაურთ – ცოდნა დრამატიულის ხელოვნებისა. აქამდის ქართული თეატრი კმაყოფილდება კომედიების თამაშობით, რომელნიც უნდა კაცმა სთქვას არ შეიცავენ, ნამდვილს და ხელოვნურს აღწერილობას საზოგადოებრივის ცხოვრებისას, თუმცა საკმაოდ მოიძებნება მასალა ამ გვარ ნაწარმოებთათვის ... მეტად კრიტიკულია ამ შემთხვევაში არტურ ლაისტი. ალბათ ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ თვალსაზრისს – ჩვენი თეატრი სწორედ მიზნად საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაჩინოებას ისახავდა და

ემსახურებოდა კიდეც ამ საქმეს. იბეჭდებოდა რეცენზიები, რომლებიც ამ მიზნიდან გადახვევის საშუალებას არც აძლევდა. აქ უფრო სხვა ფაქტორი მოქმედებდა მაგ. წმინდა ფინანსური მდგომარეობა.

ლაისტი შემდეგ შეეხება ეკლესიებსაც. აღნიშნავს, რომ სომხური ეკლესიები უფრო მრავლად ყოფილა თბილისში, ვიდრე ქართული, რაც მის გაოცებას იწვევს, რადგან მკვიდრი მცხოვრებლები არიან და სომხებზე ნაკლებ არ უყვართ სარწმუნოება.

თავიანთ სამშობლოდგან განდევნილნი სომხები საქართველოში მოვიდნენ და, რაკი ნახეს სტუმართ-მოყვარე მხარე, დასახლდნენ აქვე მომეტებულ ნაწილად თბილისში, რომელმაც ხელი შეუწყო მათ ლტოლვას ვაჭრობისა და მრეწველობისადმი. ხელში ჩაიგდეს ვაჭრობა და გამდიდრნენ. როდესაც საქართველო თავისუფალი სახელმწიფო იყო მაშინაც სომხები შევიწროებულნი არ ყოფილან ქართველთაგან. ამის დასტურად ასახელებს იმ გარემოებას, რომ სომხებს ეჭირათ თვალსაჩინო თანამდებობები. 'ხასიათით იგინი ძალიან განირჩევიან ერთმანეთისაგან: ქართველები შემკულნი არიან მრავალი რაინდული თვისებით, სომხებს კი უფრო უყვართ შრომა და მშვიდობიანი ცხოვრება' (## 4, 5).

მეექვსე ნომერში ქვეყნდება *შინაური მიმოხილვა* (შინაარსში ასეა მითითებული 'შინაური მიმოხილვა ჯეროვნად გაცხრილული'). რუბრიკა, რომ მძლავრ ცენზურას განიცდიდა ეს თვალნათლივ ჩანს ამ კორესპონდენციიდან. 'ავიღეთ კიდევ კალამი ხელში და არ ვიცით კი – მოახწევს თქვენამდე, მკითხველო ამ კალმის ნაწერი თუ ჩაილულის წყალს დაალევინებენ ... გულში რომ ჩაიხედო თითქოს ზღვააო, ისე დუღს და გადმოდის ბალღამი და ბოღამი ყოველ-დღიური ბოროტებისა, მაგრამ რას იზამ? ამისთანა პაპანაქებაში, როცა მზე ასე უწყალოთა გწვავს ჰსდაგავს ქვეყნიერობასა ... ჩვენის ლიტერატურის სარბიელი ლამის გადახმეს ამ ახირებულის გოლვისაგან ... აგება ღმერთმა როგორმე გადმოხედოს შეგვიბრალოს წამალი რამ დაგვდოს, თორემ ეს სიცხე-პაპანაქება, ეს უწყალო გოლვა ერთს რასამეს უბედურებას შეგვამთხვევს'. ავტორი გულისტკივილით შენიშნავს 'ამისთანა ჟურნალი რომ არ იყოს, ისა სჯობია ... და ეს უნებლიედ უხეირო გულ-ჩაჭლექებული, ცოცხალ-მკვდარი ჟურნალი თავიდან მოვიშოროთ, ვიდრე ჟურნალს დრო და ვითარება შეეწევა ... ჩვენი ქართველობა არც ისე მდიდარია, არც ისე ღონიერია, არც ისე მოცლილია, რომ მარტო

სათვალავისთვის ჰფანტოს ფული, ღონე და მოცალეობა. ყოველი ჩვენი გროში, ყოველი ჩვენი ხელთ-მოძრაობა, ყოველი წუთი ჩვენის ცხოვრებისა იმისთანა საქმეს უნდა მოხმარდეს, საიდამაც ჯეროვანის სარგებლობის გამოტანას გარემოება არ უშლის ... ჩვენი საზოგადოება ეხლა საქმესა თხოულობს და მარტო საქმით ლამის სახელის შოვნასა'. ამის დასტურად ამიერ და იმიერ საქართველოს თავად-აზნაურობის გადაწყვეტილებას ასახელებს – თბილისის გუბერნიის მარშლად ი.კ. მუხრან-ბატონი აირჩიეს, ქუთაისის გუბერნიის მარშლად – დ.ი. ყიფიანი. 'საქართველოს თავად-აზნაურობამ თვალ და თვალ გვიჩვენა, რომ მას კაცი უნდა მოთავედ არა მარტო სახელისთვის, არამედ საქმისთვისა'. ავტორი ქართველთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ორ ფაქტზე აკეთებს აქცენტს. ერთი შემზარავი ფაქტის გამო გამოთქვამს აღშფოთებას – დღისით-მზისით შუაგულ ქალაქში პატიოსანი, მშრომელი კაცი მოუკლავთ. 'კაცი მოჰკლან იმისათვის, რომ პატიოსანია ... და მკვლელი ხელიდამ წაუვიდეს სამართალსა! ... ეს მაგალითი ვერაფერი სასიქადულოა იმ საზოგადოებისა, საცა ეს აგრე მოხდა ... ამ ამბით შეურაცხ-ყოფილია, შეგინებულია მთელი ჩვენი ზნეობა, მთელი ჩვენი სიკეთე, მთელი ჩვენი კაცური კაცობა ... მეორე ფაქტი ის გახლავთ, რომ ამ ამბით შეძრწუნებულმა ყოვლად უსამღდელოესმა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა განიზრახა გაეცალოს იმ საზოგადოებას საცა ეს ბოროტმოქმედება იქნა ჩადენილი'. ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს ჩვენი ერის გულშემატკივარი გაბრიელ ეპისკოპოსის განცხადებას ჩვენგან წასვლის თაობაზე. მაგრამ ჩვენს საზოგადოებას სათანადოდ შეუფასებია ეს ვითარება და ყველა წოდების წარმომადგენელს ერთად უთხოვია ჩვენთან დარჩენა. ამ ფაქტით აღფრთოვანებული ავტორი შენიშნავს 'ჩვენც ვიცით ღირსეული კაცის დაფასება, ჩვენც გვესმის ღირსეული კაცის მნიშვნელობა ერისა და ქვეყნისათვის' (# 6).

მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში *პედაგოგიური მოსაზრებანი* წარმოდგენილია მ. ნასიძის მიერ უმცროს კლასელთათვის შედგენილი ქართული ქრესტომათიის განხილვა (ავტორი თელაწყალელი). პირველ ნაკლულევანებად ასახელებს 'ბავშვების აღზრდას უნდა ჰქონდეს არა მოკლე პატრიოტული, გარნა საზოგადო კაცობრიული ხასიათი, ანუ ადგილის დაუთმობლობას საზოგადო კაცობრიული მნიშვნელობის ფაქტებისათვის'. ქრესტომათიის მეორე

ნაკლად დასახელებულია პედაგოგიური რიგის და წყობის უქონლობა. ‘აღზრდის პრაქტიკას უძევს მტკიცე სჯულად ის პედაგოგიური მოთხოვნილება, რომ ა) საზოგადოდ ყოველგვარი ცნობანი, რომელნიც გარდაეცემიან მოსწავლეებს იყვნენ მკვიდრად დაკავშირებულნი ერთი-ერთმანეთზე და ემსახურებოდნენ ერთ იდეას; ბ) შეასწავლოს ბავშვებს ჯერ ადვილი, მერე ძნელი; ჯერ მარტივი, მერე რთული; ჯერ მახლობელი, მერე შორეული; ჯერ კონკრეტული, მერე საგულისხმიერო’.

თავისი თვალსაზრისის მართებულობის დასტურად მოიხმობს ფსიქოლოგიურ შეხედულებას იმის თაობაზე, თუ რა შედეგი შეიძლება მოგვცეს ამგვარი სწავლების მეთოდმა ‘უკავშირობა შორის ცნობათა, წარმოდგენათა, აღბეჭდილებათა შეადგენს უმთავრეს მიზეზს მათ დავიწყებისას. ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობანი ძალიან მალე და ადვილად ავიწყდება კაცს, რადგანაც არა აქვს შემთხვევა მათი გაახლებისა. ამისთანა ცნობანი, არამცთუ შეიძლება ღრმა დავიწყებას მიეცნენ, არამედ შეიძლება, რომ სრულებითაც გამოუვიდნენ კაცს თავიდგან’ (# 7).

მე-8 ნომრის *პედაგოგიური მოსაზრებანი* შეეხება ‘კაპტერევის პედაგოგიური პსიხოლოგიის (სანკტ-პეტერბურგი, 1877 წ.)’ განხილვას. ავტორია თელაწყალელი (ა. კალანდაძე მიიჩნევს, რომ, შესაძლოა ეს იყოს მ. ნასიძე). ავტორის დაინტერესება ამ ნაშრომით, როგორც ჩანს, განაპირობა იმ ფაქტმა, რომ წიგნში წარმოჩენილი ყოფილა ოჯახის მნიშვნელობა ბავშვების აღზრდაში. უპირატესობა ბავშვების აღზრდაში ენიჭება დამოუკიდებელი ხასიათის ჩამოყალიბებას ‘დამოუკიდებელი ხასიათი შეადგენს ნაყოფს თვით-მოქმედებისას’. ნაშრომში ბავშვის დისციპლინით დამორჩილება არამართებულ მეთოდად არის დასახელებული. ავტორის აზრით, ბავშვი მხოლოდ გონივრულ დისციპლინას უნდა იქნას დამორჩილებული. აქვე დისციპლინის მეორე უმთავრესი თვისება არის მითითებული – სიმტკიცე და უცვლელობა. აქ ერთი საინტერესო მომენტია აღნიშნული – ოჯახში არ სუფევს უცვლელი დისციპლინა ‘რაც გუშინ ოჯახში იყო დაშლილი და მკაცრად განიდევნებოდა, დღეს იგი არამც თუ არ განიდევნების, არამედ ნებაც არის დართული’. წერილში ბავშვის პიროვნებად აღზრდისათვის საჭიროდ მისთვის დამოუკიდებელი და მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბებაა მიჩნეული, რაც თვითმოქმედების უპირველეს პირობას წარმოადგენს. ასეთი დამოუკიდებელი და მტკიცე ადამიანები ქმნიან მტკიცე საზოგადოებას. წერილის მიზანია

ვიზრუნოთ მტკიცე, დამოუკიდებელი ადამიანების ჩამოყალიბებაზე, რომ მივიღოთ მტკიცე ერთობა. ამაში პუბლიკაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

მე-9 ნომერში ქვეყნდება რუსულ გაზეთში გამოქვეყნებული მოდესტოვის წერილის *სლავიანთა გაძლიერება* მოკლე მიმოხილვა. მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ ბულგარელების ხანგრძლივმა და გმირულმა ბრძოლამ სასურველი შედეგი გამოიღო – მათი გაერთიანებითა და დიდი სახელმწიფოს შექმნით დასრულდა. წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთის მხარდაჭერამ.

მე-11 ნომერში ქვეყნდება აკაკის სიტყვა სამეგრელოს სათავად-აზნაურო სკოლის სახლის კურთხევაზე:

> დედამიწის ზურგზე არ გვეგულება მისთანა პატარა ერი, რომელსაც თავისი ჭირნახულობით და ისტორიული თავ გადასავლიანობით, ჩვენს ერზედ უფრო დიდებული და ღირს-შესანიშნავი წარსული ჰქონდეს. – გასაოცარის გმირობით, საკვირველის მხნეობით, ჩვენი წინაპრები გაუმკლავდენ მტრებს და დაიცვეს ის, რაც შეადგენს ყოველი ერის სიქადულსა და სულის დგმას; ე.ი. საკუთარი ფერი, ქრისტეს სჯული და ამ სარწმუნოების საფუძველი ქვაკუთხედი, ქართული დედა-ენა. ესეები ყველა გადმოგვცეს შეუბღალავად და ჩვენც მადლობით მიმღები ამ საუკუნო განძისა, ვალდებული ვართ შევისწავლოთ ჩვენი წარსული, გავიცნოთ ჩვენი მამა-პაპანი და მათი ღვაწლი ... სად უნდა შეიძინონ ესეები ყველა? იმ ახალ ტაძარში, რომელსაც ჩვენ სასაწავლებლებს ვძახით და ერთი რომელთგანიც დღეს აქ ვაკურთხეთ. დიაღ, აქ უნდა შეისწავლონ ჩვენმა შვილებმა თავის თავი და მიხვდენ, რომ საქართველოს სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებნი, ძმები ვართ; სამი უხრწნელის ძლიერი კავშირით საუკუნოდ შეხორცებული: საერთო ისტორიით, ქრისტეს სარწმუნოებით და ერთის დედა ქართული ენით.

მე-12 ნომერი იტყობინება, რომ *პედაგოგიური მოსაზრებანი* ვერ დაიბეჭდა, არც შინაური მიმოხილვაა ამ ნომერში გამოქვეყნებული. წერილებიც კი შემდეგია: ქვეყნდება ა. ყაზბეგის მოთხრობა მოძღვარი, არჩილ მეფის ლექსად თქმული საქართველოს ზნეობა, სახალხო ლექსები, მოხევის სიმღერა, სამეგრელოს თავადის მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის შემოწირული ხელნაწერების სია, განცხადებები. ამავე წელს დაიხურა *დროება*. როგორც ჩანს მკაცრ ცენზურას განიცდიდა *ივერიაც*. პირველი ნომრისათვის აწყობილი

კორნელის ტრაგედია *სიწნა*, თარგმნილი ა. ჭავჭავაძის მიერ, აღარ დაიბეჭდა. ვერც მეორე ნომრისათვის დამზადებული წერილი *პედაგოგიური მოსაზრებანი* დაიბეჭდა. მესამე ნომრის შინაარსიც იტყობინება, რომ ნომრისთვის მომზადებული *შინაური მიმოხილვა* (ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ნ. ტაბიძემ თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში – *ილია ჭავჭავაძის "ივერია"* (1877–1885), თბილისი, 1977, გვ. 312-313) და *ფიქრი და შენიშვნები სამრევლო სკოლების შესახებ* ვერ დაიბეჭდა. რედაქცია ასევე იტყობინება, რომ პოემა *გულჯავრის (ეპიზოდი ირაკლი მეორის ცხოვრებიდან)* პირველი ნაწილი ისე ვერ დაიბეჭდა, როგორც დაწერილი იყო, ხოლო მესამე ნაწილი სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ დაიბეჭდება.

1886 წელი

რედაქტორი და გამომცემელია ი. ჭავჭავაძე. 1886 წლის 1 იანვრიდან *ივერია* გამოდიოდა ყოველდღიურად.

აქ საჭიროა მოკლედ შევეხოთ იმ ვითარებას, რომლის შედეგადაც მოხდა *ივერიის* გაზეთად გადაკეთება. როგორც ზემოთ მივუთითებდით, *ივერიის* გაერთიანებას *დროებასთან* რედაქცია ხსნიდა სურვილით, რომ მათი მედია-საშუალება სურდათ უფრო კრებულს დამსგავსებოდა.

ივერიის გარდაქმნა ყოველდღიურ გაზეთად მოჰყვა *დროების* დახურვას. იმ ხანად *დროების* რედაქტორი იყო ივანე მაჩაბელი, რომელიც არ ერიდებოდა გაზეთში პოლიტიკური რეჟიმისადმი აშკარად საწინააღმდეგო წერილების გამოქვეყნებას: გაზეთი ძალიან მკაცრად აკრიტიკებდა სასწავლო საქმეს, საეგზარქოსოს, პოლიციას და ამასთან დიდ ყურადღებას უთმობდა ქართველთა ვინაობის ანუ ქართული იდენტობისა და ქართული კულტურის განვითარებისათვის ხელშემწყობი სტატიების პუბლიკაციას. რედაქცია ზოგ სასწავლებელს მოწაფეების სახელზე უფასოდ უგზავნიდა გაზეთს. სასწავლო ოლქის უფროსის თხოვნით საცენზურო კომიტეტი შეეკითხა ი. მაჩაბელს რატომ აკეთებდა ამას. ი. მაჩებელმა შემდეგი გამომწვევი პასუხი გასცა ამ კითხვას: ყოველი გაზეთის საქმიანობა გულისხმობს ორგვარ მოქმედებას – სარედაქციოსა და კომერციულს. საცენზურო კომიტეტს ექვემდებარება სარედაქციო საქმიანობა, ხოლო გაზეთის გავრცელება არის კომერციული

საქმიანობა. ყოველი კომერციული საქმიანობა კი, კანონის თანახმად, შეადგენს კომერციულ საიდუმლოებას, რომელში ჩარევის უფლება პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების გარდა არავის აქვსო.

პასუხი კი გონებამახვილური იყო, მაგრამ რეაქციის წლებში ის ერთგვარად უპასუხისმგებლოდ გვეჩვენება, რადგან იგი სასწორზე აგდებდა იმხანად გამომავალი ერთადერთი ქართული გაზეთის ბედს. განრისხებული სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობის და პირადად იანოვსკის მოთხოვნით დაისვა საკითხი გაზეთ *დროების* მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულების შესახებ. საცენზურო კომიტეტი თუმცაღა ყოყმანობდა დაეხურა თუ არა *დროება*, რადგან იმ დროს ერთადერთი ქართული გაზეთი იყო. ამიტომ წამოყენებული იქნა აზრი რედაქტორის შეცვლის შესახებ. როგორც ზომიერი კანდიდატურა შერჩეულ იქნა დავით ერისთავი, რომელიც მანამდე ოფიციალურ გაზეთ *კავკაზს* რედაქტორობდა და, ამდენად, სანდოდ იყო მიჩნეული. გამომცემლობამ ილია ჭავჭავაძე არჩია, მაგრამ მთავრობა ამაზე არ დათანხმდა. მთავარმმართებელს უკვე დაყენებული ჰქონდა საკითხი გაზეთის დახურვის შესახებ. 1885 წლის სექტემბერში რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოვიდა გაზეთის დახურის გადაწყვეტილების მაუწყებელი დეპეშა.

ამგვარად, საქართველოში აღარ გამოდიოდა გაზეთი ქართულ ენაზე, რაც ცხადია, მოუთმენელი იყო. 1886 წელს ი. ჭავჭავაძემ ითხოვა ნებართვა ყოველთვიური ჟურნალი *ივერია* გადაეკეთებინა ყოველდღიურ გაზეთად, რათა *დროების* შემდგომ ქართულ მედია-სივრცეში დატოვებული ვაკუუმი შევსებულიყო. როგორც ითქვა, ი. ჭავჭავაძე იყო ამ ახალი გაზეთის რედაქტორიც და გამომცემელიც. ზეპირი გადმოცემებით ცნობილია, რომ მან ახალი გამოცემის ნებართვა მიიღო დიდი სირთულეების დაძლევის შედეგად, მას შემდეგ, რაც პირობა დადო, რომ გაზეთს არ წაიყვანდა ძველი მიმართულებით, არც იყოლიებდა მაჩაბელს თანამშრომლად და საზოგადოდ დაადგებოდა ზომიერ ხაზს.[37]

ცხადია, ი. ჭავჭავაძეს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. მისი მიზანი იყო ქართული საზოგადოება არ დარჩენილიყო ბეჭდური მედიის

[37] *დროების* დახურვის ისტორიისათვის იხ. ს. კაკაბაძე. ქართველი ხალხის ისტორია, 1783–1921. თბილისი, ნეკერი, 2003, გვ. 201-202.

გარეშე და ეს სრულიად გასაგებია: მედიის გარეშე დარჩენა ქართული იდენტობის ფორმირების პროცესს ძალიან სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენებდა. ილიამ მოახერხა ვითარების ადექვატური ყოფილიყო. დიდი პუბლიცისტური ნიჭი მას აძლევდა მოქნილობის საშუალებას: იგი ახერხებდა ცენზურით განსაზღვრულ ჩარჩოში დარჩენილიყო და ამავე დროს ნამდვილად მწვავე და ქართული ერთობის კონსოლიდაციისათვის აუცილებელი მასალაც დაებეჭდა. ამიტომ გამართლებულად, მეტიც, ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად მიგვაჩნია ამ პერიოდში *ივერიის* მიერ აღებული კურსი. ეს ზომიერება მარტოოდენ გაზეთს არ ახასიათებდა. ეს იყო სიმწიფის ასაკში შესული ი. ჭავჭავაძის კრედოც.

ზოგჯერ ამის გამო სპეციალურ ლიტერატურაში ამ პერიოდის და (საერთოდ, *ივერიის* პერიოდის) ილია ჭავჭავაძის მცდარ დახასიათებას ვხვდებით. მაგალითად, რ. სუნი მიუთითებს რომ:

> განვითარების პროცესში მყოფი კაპიტალიზმისა და სომხური ბურჟუაზიის მზარდი გაძლიერების და ქართველი თავადაზნაურობის შეუჩერებელი დაცემის ფონზე, გაზეთი *ივერია* და მისი რედაქტორი ქადაგებდნენ ანტიკაპიტალისტურ და ანტისოციალისტურ პროგრამას. ჭავჭავაძე, ყოფილი რადიკალი და პარიზის კომუნისადმი მიძღვნილი ლექსის ავტორი, 1877 წლის შემდგომ პირს იბრუნებს რუსული ტახტის ერთგულების, ორთოდოქსული რელიგიურობისა და საკუთარი, დაცემის მდგომარეობაში მყოფი, წოდების, მომავლის გამოსწორების მცდელობებისაკენ. ლიბერალებიცა და სოციალისტებიც მიუთითებდნენ საზოგადოების კლასებად დაყოფას, მაგრამ ჭავჭავაძე და მისი მიმდევრები ცდილობდნენ აელორძინებინათ იდეა დაუნაწევრებელი, გაერთიანებული, და ჰარმონიული ქართული საზოგადოებისა, რომლისათვის უცხო იყო კლასთა შორის კონფლიქტები.[38]

არაა მართებული, რომ ჭავჭავაძე აღნიშნულ პერიოდში, ანუ იმ გადამწყვეტ დროს, როცა ფაქტობრივად ის აყალიბებდა ქართველი ერის იდეას და გამოკვეთდა ნაციონალური იდენტობის მთავარ მარკერებს, წარმოვადგინოთ ადამიანად, რომელიც დაკავებულია საკუთარი წოდების შენარჩუნების პრობლემით. ილია რუსული ტახტის ერთგული კი არა, სახელმწიფოებრიობის პრინციპის

[38] R.G. Suny. The Making of the Georgian Nation (Second Edition). Indiana, Indiana University Press, 1994, p. 132.

ერთგული იყო. ამ დროს საქართველო რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდა. აქედან მომდინარეობს რუსული სახელმწიფოსადმი, როგორც ინსტიტუციისადმი საზოგადოდ, ილიას პატივისცემაც და მისი სურვილიც კი არ დანგრეულიყო იგი, არამედ გარდაქმნილიყო ლიბერალურ ყაიდაზე, სადაც ეროვნულ უმცირესობებს ექნებოდათ სრული კულტურული და ფართო პოლიტიკური ავტონომია. რაც შეეხება რელიგიურობას, მართალია, ილია თავად ღრმადმორწმუნე ადამიანი იყო, მაგრამ მისი ნაციონალიზმი ცალსახად სეკულარული ხასიათისაა.[39] იგი არ ემხრობოდა კლერიკალების ჩარევას ან მათ დომინანტს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.[40] ილიას იმგვარი პორტრეტი, რომელსაც გვთავაზობს რ. სუნი, არსებითად მცდარ წარმოდგენას ქმნის ქართული ნაციონალიზმის არსზე.

რაც შეეხება, ჰარმონიული საქართველოს იდეას. როგორც ამ ნაშრომისათვის თეორიულ საკითხებისადმი მიძღვნილ თავში

---

[39] იხ. Z. Andronikashvili, G. Maisuradze. Secularization and its Vicissitudes in Georgia. Identity Studies, Tbilisi, Ilia State University, 2010, # 2, pp. 12, 13.

[40] ეს კარგად ჩანს თუნდაც ი. ჭავჭავაძის პოზიციით ე.წ. "რომის საკითხისადმი". მ. ღაღანიძე თავის საინტერესო სტატიაში (იხ. *დასავლური ქრისტიანობა აღმოსავლური თვალსაწიერიდან*: "*რომის საკითხი*" *ილია ჭავჭავაძისა და ფიოდორ ტიუტჩევის პოლიტიკურ პუბლიცისტიკაში* – ინტერნეტ-ვერსია) კარგად აჩვენებს ი. ჭავჭავაძის უარყოფით დამოკიდებულებას საერო საქმეებში კლერიკალთა ჩარევისადმი იტალიაში განვითარებული მოვლენების მაგალითზე: 'ილია ცალსახად იზიარებს იტალიის სამეფოს ლიბერალურ, საერო, ანტისაეკლესიო მიმართებებს, ხოლო იმჟამად გაუქმებულ საეკლესიო სახელმწიფოსა და თავად პაპობას თუნდაც ისტორიულად, თუნდაც აქტუალურად უარყოფით მოვლენად მიიჩნევს, ამავე დროს, დაუფარავი თანაგრძნობით ხატავს (სწორედ ხატავს!) მარტინ ლუთერსა და პროტესტანტულ რეფორმაციას (და იმორწმებს რეფორმაციული მოძრაობის ერთ-ერთ უმთავრეს ანტიკათოლიკურ არგუმენტს: ინდულგენციას), თუმცა აღსანიშნავია, რომ იგი არაფერს ამბობს პაპობის 'სულიერ ცდუნებათა" შესახებ, უგულებელყოფს რომაული და ბიზანტიური ქრისტიანული ტრადიციების განსხვავებას, ყურადღების მიღმა ტოვებს ეგრეთ წოდებულ კათოლიკურ-მართლმადიდებლურ განხეთქილებას, რადგან მისთვის "რომის პრობლემა", პირველ ყოვლისა, სახელმწიფოებრივია და, ამდენად, ილია ერთადერთ საფრთხეს ხედავს "კლერიკალიზმში", – სასულიერო პირთა და სასულიერო თვალსაზრისის გავლენაში ქვეყნის საერო ცხოვრებაზე, – რითაც იგი ლიბერალურ, სამოქალაქო ფასეულობათა გამოხატულ დამცველად გვევლინება'.

მივუთითებდით, ნაციონალიზმის ერთ-ერთი ფუნდამენტური იდეალია ნაციონალური ერთიანობის იდეალი. ილია, როგორც ნაციონალისტი, ამ იდეალის რეალიზებას ესწრაფვოდა. სხვა საკითხია, აღნიშნული რამდენად შესაძლებელი იყო იმდროინდელ საქართველოში. მთავარი ეს არაა. ნაციონალიზმი საზოგადოებრივ ფენათა ჰარმონიული თანაცხოვრების იდეოლოგიაა. ეს ლოგიკურად გამომდინარეობს ნაციონალისტური მოძრაობის მიზნებიდან. ნაციონალისტისათვის მთავარი ფასეულობა ნაციაა, რომლის არსი ჯგუფის ერთობაში მდგომაროებს. ნაციონალიზმისათვის ფუნდამენტურია სწორედ სოციალური ჰარმონიისაკენ სწრაფვა.

მაგრამ მოდით დავუბრუნდეთ იმ აზრს სადაც შევჩერდით: ასე აღო მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში ილია ჭავჭავაძემ თავის თავზე უმძიმესი ტვირთი – ყოველდღიური გაზეთის გამოცემა და რედაქტორობა.

გაზეთს რამდენიმე მუდმივი რუბრიკა აქვს. ესენია:

მეთაური წერილი – რედაქტორის მსჯელობა საზოგადო ცხოვრების შესახებ ჩვენში და უცხო ქვეყნების მაგალითით, სასარგებლო რჩევები.

ფელეტონი – წარმოდგენილია ხალხის ცხოვრებიდან აღებული სხვადასხვა საკითხების განხილვა (სიკეთის, ცოდნის მადლიანობის თემები, სოციალური უსამართლობის საკითხი), ეთნოგრაფიული წერილები, ქართული და უცხოური მხატვრული ლიტერატურა.

ასევე ქართული იდენტობის ყოფითი ცხოვრების სურათებია ასახული რუბრიკაში *სახელდახელო* (*ყბად-ასაღები – წყალ-წასაღები ამბავი*).

ახალი ამბავი – აქ მოცემულია ინფორმაცია ამინდზე, უამინდობაზე, შედეგად მიყენებულ ზარალზე, კრიმინალზე, გამსესხებელი "კასებისათვის" თვალყურის დევნებაზე, წარმოდგენების გამართვაზე, არქეოლოგიურ აღმოჩენებზე, სამეურნეო საზოგადოების კრებაზე, ქართული წიგნების გამოცემაზე, სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიების ჩატარების შესახებ განათლების, თეატრის ხელშეწყობისათვის და სხვა.

ნარკვევები ჟურნალ-გაზეთებიდან და უცხოეთი – შეეხება საზღვარგარეთულ პრესაში გამოქვეყნებული ჩვენთვის საინტერესო მასალის მიმოხილვას. რუბრიკაში განსაკუთრებით აქტუალურია მსჯელობა ევროპაში მშვიდობიანობის შესაძლო დარღვევის შესახებ.

დამკვირდი – აქ მოწოდებულია ამონარიდები ქართველი თუ უცხოელი მწერლების ნააზრევებიდან, ზნეობის მაგალითები ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით.

დაბა და სოფელი – ამ რუბრიკაში წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეების დაბებისა და სოფლების საზოგადო ცხოვრების სურათები მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული შესავლებით.

თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდება განცხადებები საადგილმამულო ბანკის მიერ გამართული საზოგადო ვაჭრობის თაობაზე, წარმოდგენის გამართვის და წიგნების გამოცემის შესახებ; დეპეშები სხვადასხვა ქვეყნებიდან; საკალენდრო და სხვა გამოსადეგი ცნობები.

პირველი ნომრის *მეთაური წერილი* იწყება მკითხველისადმი ახალი წლის მილოცვით 'ჩვენს თავს კი მაშინ მივულოცავთ, როცა ამ წლის დასასრულს ჩვენი გაზეთი თავის ეკლით სავსე მანძილს გაივლის ისე, რომ უკეთესის ქართველის იმედს და მოლოდინს არ უმტყუვნოს, არ ჩამოურჩეს...'. აქვე გამოკვეთილია გაზეთის დანიშნულების საკითხი, ვინაიდან ეს ერთადერთი გაზეთი იყო, ამიტომაც რედაქცია მიიჩნევდა, რომ მას საყოველთაო ხასიათი უნდა ჰქონოდა და საზოგადოების ყველა ფენა დაეკმაყოფილებინა. მაგრამ თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, *ივერია* სოციალურად ყველაზე მარგინალურთა სამსახურის მზაობას აცხადებს:

> რაკი საყოველთაო იქნება, ანბანიც უნდა იყოს შიგ და მეცნიერების უკანასკნელი დასკვნა და სიტყვაცა. ჩვენის გაზეთის მკითხველთა საზოგადოება ერთი მხრით შემდგარია მათგან, ვინც არა იცის-რა, მეორეს მხრით, ვინც განსწავლულნი და გამეცნიერებულნი არიან ... ჩვენ რომ თუნდა მარტო ეს ორი უმწვერვალესი თავი და ბოლო ავიღოთ ჩვენი საზოგადოებისა, მაშინაც ცხადი იქნება, რომ მოვალეობა გაზეთისა ჩვენში უფრო ძნელი და რთული იყოს. ამ ორ წოდებას შორის უდევს უშველებელი ზღვარი. ერთის მხრით ანბანის მწყურვალნი არიან, მეორეს მხრით – ეგრეთ-წოდებული, ინტელიგენციაა. ერთის გონება, თვალი და გული ერთ ზომაზედ ჰსჭრის, მეორისა – სხვა ზომაზედ, ამიტომაც, თუმცა მარტო ერთი და იგივე გაზეთია, ერთიც და მეორეც იმ ტანის სჯას და საუბარს თხოულობს, რომელსაც მისის გონების სიგრძე-სიგანე ჰსაჭიროებს ... ამის გამო ჩვენ უნდა ვეცადოთ, ერთსაც ვემსახუროთ ჩვენი შეძლებისამებრ, და მეორესაც და თუ ვერ შევძელით ორივეს სამსახური უფრო ანბანთ მწყურვალისაკენ გადავიხრებით.

თუმც ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ *ივერია* სოციალურ მარგინალთა, ანუ "ანბანთ მწყურვალთა" მედია საშუალება იყო. მარგინალები *ივერიას* პირველ რიგში იმიტომ აინტერესებდა, რომ მომენტის ამოცანას ქართულ ერთობაში მათი შემოყვანა წარმოადგენდა.

ი. ჭავჭავაძის წერილში *ღმერთმა ნუ დაგაბეროთ* საინტერესო ფორმით არის წარმოდგენილი ქართველი ხალხისადმი ახალი წლის მილოცვა. ღმერთმა ნუ დაგაბეროთ მიმართავს მკითხველს და იქვე უხსნის ამგვარად რატომაც ლოცავს:

> მე სახეში მყავხართ ყველანი ერთად. ყველანი ერთად ხომ ერია, ქვეყანაა. ნუთუ ერს ქვეყანას მოუხდება ასეთი დალოცვა: ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო. ღმერთმა ნუ ქნას. ერის სიბერე ერის აღგვაა დედამიწის ზურგიდამ. შორს ჩვენგან სიბერე! ერს ერთი სული, ერთი გული აქვს, ხოლო ხორცი იმდენი რამდენიც ცალკე ადამიანია. როგორც ყველასი ერთად და ერთ დროს დაბერება არ შეიძლება, ისეც ერისა. ივანე ბერდება და მიდის, პეტრე იბადება და მოდის, და ერი კი ისევ ერია, ერთ სულ და ერთ გულ ... თუ ზემოთხსენებულნი საზოგადოებანი (საუბარია თავად-აზნაურთა საზოგადოებაზე, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაზე, ქართული დრამატული საზოგადოებაზე, საადგილ-მამულო ბანკზე, ჟურნალ-გაზეთზე. – მ.ჩ, ქ.მ.), რომელშიაც ცხოვლად ჩანს ჩვენის ერის სურვილი – ხელახლად "ჩვენობას" ფეხი აადგმევინოს და კუთვნილი ადგილი მოუპოვოს ჩვენს ცხოვრებაში, იმის ნიმუშიც არიან, თუ რამოდენად ძლიერია ჩვენში თვითეულობა, განცალკევება, გაწზე დგომა და საკუთარი "მე". თვითეული ის საზოგადოება, გაზეთი თუ ჟურნალი ორიოდე კაცის მხნეობით, ხარჯით, ოფლით და ღვაწლით თუ სულდგმულობენ, თორემ სხვა შემწე და მშველელი არსაიდან ჰყავს. ყველა სხვა გულაყრილია თითქოს ამ ერისა, ამ ქვეყნისა არა იყოს (# 1).

რუბრიკა *ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდამ)* ჟურნალში *Юридические обозрение* ენის შესახებ გამოქვეყნებულ საინტერესო ინფორმაციაზე ამახვილებს ყურადღებას. დაიჯესტში ხაზგასმულია მართლმსაჯულების წარმართვის საკითხში ენის განსაკუთრებული მნიშვნელობა:

> ენა, ერთად-ერთი მოქმედი ღონეა, რომლის შემწეობითაც შესაძლებელია გადასცეს კაცმა თავისი აზრი სხვას ... უმთავრესი საგანი მსაჯულისა – საქმის განხილვა და გადაწყვეტა თავის შინაგანი გრძნობისა და რწმენისაებრ ადვილად მისაღწევია მხოლოდ მაშინ, როცა მსაჯულს თვითონ ესმის მოწმის, მომჩივანის ან ბრალდებულის სიტყვა-პასუხი.

ივერია ყოველთვის განიხილავდა მიმდინარე საერთაშორისო ამბებს და ამ მხრივ გამონაკლისი არც 1886 წლის ნომრებია. ამ დროისათვის მსოფლიოს ყურადღება პოლონელების ავსტრიიდან განდევნის საკითხისაკენ იყო მიპყრობილი. გერმანიის კანცლერის ბისმარკის მიერ პოლონელების პრუსიიდან განდევნამ დიდი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. უკმაყოფილება გამოითქვა თვით გერმანიის პარლამენტში, რომელიც ბისმარკისგან მოითხოვდა ასეთი ბარბაროსული გადაწყვეტილების განკარგულების მიზეზის ახსნას ნაციონალობისა და ჰუმანურობის საფუძველზე: 'ეროვნობა და კაცთმოყვარეობა ერთმანეთში მოსათავსებელია და არც ერთს, არც მეორეს ბარბაროზობასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს, – წარმოუთქვამს გერმანიის პარლამენტში პოლონელთა პრუსიიდან განდევნის საქმის განხილვისას დეპუტატ ბამბერგერს' (# 14).

პოლონელები საშიშ და ძნელად სანდო ხალხად დაუსახელებია ბისმარკს, მეტადრე პოლონელი თავადაზნაურობა საშინლად აუთვალწუნებია: 'დაუცხრომელი, მოთავე და ხელისმომმართველი ყოფილა ყოველი თავადაზნაურობა თავის ჩანჩალეებით, კარისკაცებით მუდმივი, ხელმწიფობის წინააღმდეგ განზრახვისა ... ამის გამო ჩემი წმინდა მოვალეობაა მამულის წინაშე, რაც შეიძლება შევასუსტო პოლიაკების ძალაო პრუსიაში' (# 22).

გერმანიის პარლამენტს პოლონელების პრუსიიდან განდევნა ბარბაროსობად მოუნათლავს: 'ეგ საქმე ბარბაროზობაა, მეცხრამეტე საუკუნის შეურაცხყოფაა, კაცთმოყვარეობის და ერთობ პროგრესის შეგინება და უპატიურება'.

ივერია მიუთითებს, რომ მიუხედავად ამისა, მაინც ბისმარკს ყველაფერზე მიუტანია იერიში, რასაც კი პოლონელების თვითმყოფობის მცირეოდენი ნიშან-წყალი ეტყობოდა. ითხოვდა, რომ პოზნანის მღვდელმთავრობა პოლონელებისათვის წაერთვათ და გერმანელებისათვის გადაეცათ (# 26).

საინტერესო შეხედულებაა ჩართული სლავიანოფილების მოძრაობის განხილვისას ერის არსის, მისი წარმატებულობის გასაგებად. მითითებულია, რომ 'სათავე წარმატებისა ერს თვითონ თავის საკუთარს სულიერს და ხორციელს არსებასა და აგებულებაში აქვს, თავის საკუთარ ჩვეულებასა და განწყობილებაში, თავის საკუთარ ცხოვრებასა და ისტორიულ მსვლელობაში' (# 25).

გაზეთის ფურცლებზე ნასიძესა და გოგებაშვილს შორის გამართულ გრამატიის თაობაზე პაექრობაში იკვეთება რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხებისა, კერძოდ, აღინიშნება, რომ აუცილებლობას წარმოადგენდა ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოს გამოცემა. პაექრობა ხელს უწყობდა ქართული ენის ნორმების შემუშავება-დახვეწას (# 17, 18, 25, 26, 41, 42, 50, 51, 52, 58).

ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესში დიდი ყურადღება ექცევა ახალი საჯარო სივრცეების შექმნას, უკვე არსებულთა ახალი შინაარსით დატვირთვას. ერთ-ერთი ასეთია თეატრი და ამიტომ იპყრობდა წლების განმავლობაში *ივერიის* ყურადღებას სცენა. საანალიზო წელს თეატრის რუბრიკა ქართული თეატრის მიერ აღებულ არასასიამოვნო მიმართულებაზე გვიყვება (ავტორია ვალიკო-ია – ვალერიან გუნია). დიდი გულისტკივილით არის აღნიშნული დრამების, ვოდევილების, ტრაგიკომედიების ავტორების ერთადერთ საზრუნავად მაყურებელთა რაოდენობის ზრდა. თეატრს შესცქეროდნენ როგორც გამდიდრების წყაროს. ამ პიროვნულად სასიამოვნო ამბავს, არასახარბიელო საზოგადო შედეგი მოჰყვა. სამწუხარო ის იყო, რომ თეატრისადმი ასეთი მიდგომა გამდიდრების ნაცვლად გაღატაკებას უქადდა ქართულ თეატრს, პიესების წერის ციებ-ცხელება დიდ ვნებას აყენებდა საზოგადოების ესთეტიკურ გემოვნებას (# 39).

დ. სოსლანი (დავით კეზელი) ი. ხონელის (ილია ბახტაძე) პოლემიკაში ნათლად იკვეთება საზოგადოების ინტერესი *ივერიისადმი*, რასაც ი. ხონელი გადმოცემით, მოწმობს ის გარემოება, რომ ბ-ნი სოსლანის ნაცნობი კნეინებიც კი, ვიღაც "მაიორშა" ნენე და ელისაბედი, ლაპარაკში სხვადასხვა მწერლის აფორიზმებს იყენებდნენ (# 59).

მე-60 ნომერი ქალაქის ხმოსნების ვალდებულებას, საქმიანობას და პასუხისმგებლობისადმი დამოკიდებულებას ხატოვნად წარმოგვიდგენს. ავტორი ი. ხონელი (ილია ბახტაძე) რუბრიკაში *ფელეტონი* წერილით *საკვირაო სხარტულა* სხდომის დღეს ცარიელი დარბაზის აღწერილობას ასე გადმოგვცემს: 'დაობლებული სკამები უხმოდ ჩამწკრივებულიყვნენ თავ-თავის ალაგას და თითქოს გლოვობდენ თავის მარტოობას და თანაც იცინოდნენ, ჩვენისთანა მოსვენებაში მგონი ქვეყანაზედ სკამი არ იყოსო'.

აქვე მითითებულია, რომ ხმოსნების ამგვარი საქციელისთვის ყურადღება მიუქცევიათ თბილისის ამომრჩევლებს და სპეციალური კომისია შეუდგენიათ ხმოსანთა სიზარმაცის აღმოსაფხვრელად (# 60).

მეთაური წერილი ისევ სლავიანთა მოძრაობას ეძღვნება:

> დღეს ჩეხების წინამძღოლობით ავსტრიის სლავიანები ეპირისპირებიან ნემენცებს და ვენგერებს და ავსტრო-ვენგრიის სახელმწიფოში თხოულობენ თავიანთი ეროვნობისათვის თანასწორ ადგილს მთავრობისაგან. ავსტრიის პოლიტიკოსები სრულებით არ თაკილობენ და არ უფრთხიან სლავიანების ამ გვარ მოძრაობას. პირიქით თანაუგრძნობენ კიდეც, რადგან თვალწინ აქვთ ცხადი მაგალითი – ვენგრია, რომელსაც სრული უფლება ეროვნებისა და თვითმმართველობისა მიანიჭეს, ამით სახელმწიფოს ერთობას და ძლიერებას არა დააკლდა რა, უფრო მიემატა. იქნებ შორს არ არის ის დრო, როცა ავსტრო-ვენგრია, ეხლა ორ-გვამოვანი, სამ-გვამოვნად გადაიქცეს.

'სრული უფლება ეროვნებისა და თვითმმართველობისა' და ამით სახელმწიფოსათვის არაფრის დაკლება, – აი, რა აზრში სურდა დაერწმუნებინა *ივერიას* ყველა: რუსეთის იმპერიას არაფერი დააკლდება საქართველოს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებითა და გარკვეული ხარისხის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭებით.

ივერიის მითითებით, იმავე მოძღვრებას მისდევს გლადსტონი ირლანდიასთან მიმართებაში, რაც ავსტრიამ უკვე განახორციელა უნგრეთის კონსტიტუციით, მით დაამტკიცა, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში შესაძლოა სხვადასხვა გვარ-ტომობა მოთავსდეს ასე, რომ არც გვარ-ტომობამ შეჰხუთოს სახელმწიფო ინტერესები და არც სახელმწიფომ ინტერესები გვარ-ტომობისა (# 67).

უცხოეთის ამბები, როგორც ვხედავთ, გადმოცემულია გარკვეული აქცენტებით. საკუთარი გვარტომობის ანუ ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებით რუსეთის სახელმწიფოში ყოფნა ანუ გარკვეული სახის ავტონომიურობა იმპერიაში ქართველი ნაციონალისტების *ივერიის* ჯგუფის იდეალი იყო. ეს იდეალი ემყარებოდა სურვილს და, ცხადია, გარკვეულ პრაგმატულ გათვლასაც. სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა არაკეთილგანწყობილი მეზობლებით გარშემორტყმულ საქართველოს მაშინ არ შეეძლო. სანამ ასეთი იყო ვითარება, ქართული ვინაობის გამორკვევა სასურველი იყო მომხდარიყო რუსეთის იმპერიის შიგნით. სწორედ ამიტომ სურდათ ქართველ ნაციონალისტებს რუსეთის მთავრობის დარწმუნება, რომ ქართველთა ვინაობის გამორკვევა ხელს არ უშლის რუსეთის ძლიერებას – პირიქით, ხელს უწყობს.

რუბრიკა *დაგა და სოფელი* იუწყება სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა კრებაზე სასკოლო ფულის გაწერის თაობაზე გამართული მსჯელობის შესახებ. ავტორი (ფსევდონიმით ი. კახელი – ი. ცისკარიშვილი) მიუთითებს, რომ საზოგადოებას დღეისათვის კარგად აქვს გაცნობიერებული სწავლა-განათლების მნიშვნელობა. ერმა და ბერმა იგრძნო სწავლა-განათლების საჭიროება და არ ზოგავენ არავითარ საშუალებას მის რიგიან გზაზე დასაყენებლად. მაგრამ კორესპონდენცია სამწუხარო ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას. სიღნაღის თავადაზნაურთა კრებამ დაადასტურა, რომ ჯერ კიდევ იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ასეთ საშვილიშვილო საქმეს. მარშლის მიერ წაკითხულმა სკოლის ფონდის შესადგენად გაწერილმა ფულის ოდენობამ საზოგადოება აღაშფოთა 'ვაი სრცხვილო! სამასი თუმანით შვილები უნდა დავზარდოთო', – გაიძახოდა თურმე ხალხი:

> ნუთუ ისე განიორწყალებულია ჩვენი მაზრა, რომ 3.100 მან. მეტი შეწევნა არ შეუძლიან ამ საშვილიშვილო საქმისთვის? რას ფიქრობდა დალოცვილი კომისია, როცა აწერდა ფულს და ჯამს 3.100 მან. აყენებდა? განა არ იცოდა რა საგნისთვის აწერდა ფულს ... სირცხვილია ჩვენი მაზრისათვის სწორედ. თუ რამდენად აუწონ-დაუწონია ყოველი ჩვენგანის შეძლება კომისიას სჩანს მისი წარმოდგენილი სიებიდან. მე შეუძლებელთ სიაში ვარ მომწყვდეული (აღნიშნავდა თავადი ი. ვაჩნაძე. – მ.ჩ., ქ.მ.). რათა? მე არ შემიძლიან გამოვიღო 50 მან.? მე შემიძლიან არა თუ 50 მან. არამედ 100 მან. შეტანა, ჩემდაგვარად არიან ჩვენში პირნი, რომელთაც შეუძლიანთ თუ 400 მან. არა 300 მან. მაინც შეიწერონ. მაგრამ დიდ პირებს როგორც სჩანს, არა სურთ ამ კეთილ საქმეს მიეშველნენ.

კრებაზე აღმოჩნდნენ უდედულ-მამულო, უქონელი პირები, რომელთათვისაც შეუწერია კომისიას 50 მან. სკოლის ფონდისათვის. ფრიად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამგვარი პირებს უარი კი არ განუცხადებიათ შესაწევის გაღებაზე, არამედ, პირიქით, სამაგალითო სიტყვით მიუმართავს კომისიის თავმჯდომარისათვის: 'მე უარს არ ვამბობ, მე ამ საკეთილო საქმეს შევწირავ 50 მან., გავიხდი უკანასკნელ ჩოხას და უკან არ ჩამოვურჩები არავის მაგ საქმეში. მხოლოდ სამართალი და, თუ სამართალი არ გნებავთ, სვინდისი და კაცთ-მოყვარეობა ითხოვს, ჩვენ, რომ ჩოხა გავიხადოთ მაგ საქმისთვის, თქვენც მოვალენი ხართ ჩოხის მაგიერ "თულუფი" მაინც გაიხადოთ. ესე რომ ეაზრა კომისიას მაშინ, მაშინ ჯამიც საკმარისი შედგებოდა და ყველანი

მოვალეობის-და-გვარად თანასწორნი ვიქნებოდით', – ასე მიმართა აზნაურმა ი. გომელაურმა კომისიის თავმჯდომარეს. საზოგადოება მოითხოვდა სიების გაუქმებას და ახალი კომისიის შექმნას. მაგრამ სიების დამტკიცების აუცილებლობას პასუხობდნენ ის პირები, რომლებიც 'ამ საქმეს საცრის თვალებით უყურებენ', – აღნიშნავს ირონიულად ავტორი (# 79).

საზოგადოებრივი აქტივობის საილუსტრაციოდ არის საინტერესო ეს წერილი. როგორც ვხედავთ, ქართველი თავადაზნაურობა მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებიდან კაპიტალიზაციის პროცესის განვითარებით გამოწვეული პირველი შოკიდან გამოსულია და ცდილობს ახალ გამოწვევებს უპასუხოს.

ამავე რუბრიკაში საგანმანათლებლო საქმის უმთავრესი ფიგურის – მასწავლებლის – არაკეთილსინდისიერ საქმიანობაზეა ყურადღება გამახვილებული. სოფელ ოკრიბის სასოფლო სკოლის გახსნასთან დაკავშირებით გამართული კრების შესახებ ინფორმაციაში. როგორც ჩანს, მოსახლეობა გულაცრუებული ყოფილა სკოლის მიმართ, უღირსი მასწავლებლების მიზეზით. ქუთაისის მაზრაში, სოფელ ჩხარის მასწავლებელი სწავლების მაგივრად ყოველდღე მთვრალი მოდიოდა თურმე სკოლაში. მასწავლებლის ამგვარი დამოკიდებულება გახდა მიზეზი სოფელ ოკრიბის მცხოვრებთ უარი ეთქვათ სასოფლო სკოლის გახსნაზე. კრებას ესწრებოდა ქუთაისის უეზდის მმართველი კ. ალიშბაია, სახალხო სკოლების დირექტორი ლევიცკი, გიმნაზიის მასწავლებელი ს. ღოღობერიძე, რომელთაც თითქმის დაეკარგათ იმედი სახალხო სკოლის გახსნისა. მაგრამ უეზდის მმართველმა კ. ალიშბაიამ, რომელიც განთქმული ყოფილა სახალხო განათლების თანაგრძნობით, მიმართა გულაცრუებულ ხალხს სწავლის საჭიროების შესახებ, იქადაგა ხალხურის კილოთი და მოულბო გული. საბოლოოდ გადაწყდა სკოლის დაარსება (# 83).

რუბრიკა *ფელეტონი* ძველ დროში საქართველოს თვითმყობადობის საჩვენებლად აქვეყნებს საისტორიო წერილებს *ზოგიერთი ცნობანი და მოსაზრებანი შესახებ საქართველოს ისტორიისა* (ავტორი ესომ – მ. ჯანაშვილი). საუბარია შაჰ-აბასის შემოსევებზე. ქართველთა უნუგეშო მდგომარეობაზე, რომელშიც აღმოჩნდნენ შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ასე მცირე ერი ქართლოსიანთა, ასე დანაწილებული და განთვითოებული ამდენი უბედურების შემდეგ არ დაირღვა, პირიქით, დაიცვა თავისი

არსებობა. ამის უმთავრეს ფაქტორად მიიჩნევს 'ქართველთა გონებითა და ზნეობით უაღრესობა მაჰმადიან მტარვალებზე და ქართველთა უაღრესობა მტერზე მხნეობით და ვაჟკაცობით და უმწვერვალესად მამულისა და ქრისტიანებრივის სარწმუნოების სიყვარული'.

რუბრიკა *სახელდახელო* ასახავს თბილისის თავადაზნაურთა ბანკის კრების მუშაობას (ავტორი ი. ხონელი – ილია ბახტაძე). ავტორი ქართული ენის შერყვნის ფრიად საშიშ ტენდენციაზე გვიყვება. კრება ოთხ დღეს გაგრძელებულა. ავტორი აღუშფოთებია თავადაზნაურთა ახალმოდურ ქართულზე, მისივე სიტყვებით, რომ ვთქვათ "გარმიანულ" ენაზე საუბარს. ფრიად აღმაშფოთებელია აქ მოხმობილი მაგალითები:

> მე, ესლი სპროსიტე, იმას დალაჟუ, ბატონებო, თითქმის იმას ამბობდა მაგალითად ერთი "ორატორი", რომ თუ ნუჟნო და თუ მართლა ნეობხოდიმოა, ნუ დასტოვებთ ბეზ ვნიმანია იმ პატრებნოსტებს, რომელსაც რომ მოითხოვს ვობშე პორიადოკი და რომელიცა რომა ნაბრძანებია თვით ზაკონისაგან და სხვა.

'სხვა რომ არა იყოს-რა ის მაინც უნდა მივიღოთ სახეში, რომ მამები, რომ ამისთანა საქმეს სჩადიან, რა უნდა ქმნან შვილებმა და შვილებმა, რომ მამებს წაჰბაძონ, – ვისღა უნდა დარჩეს, ანდა რაღა მოხელე უნდა იქმნეს ენა ' მდიდარი, ენა მაღალი, მის სიღრმე, ძალი?'

ავტორი დაუნდობლად აკრიტიკებს კრების მონაწილე თავადაზნაურებს, რომელთაც დავიწყებია არათუ ჩვენი ენის, ჩვენი მამა-პაპათა თავაზიანი ქცევა-ზრდილობა, არამედ მოქალაქობრივი გრძნობა და ის ზნეობითი სიმაღლე, რომელიც ყოველ გონიერ ადამიანს ავალდებულებს საქმეზე მსჯელობისას საქმეზე ისაუბროს (# 101).

მეთაური წერილი საზოგადო თვითმოქმედების ძალაზე მსჯელობას ეთმობა:

> თვითმოქმედება, თავით თვისით საქმის აჩენა, გაძღოლა და გატანა – ისეთი თვისებაა ადამიანისათვის, ურომლისოდაც იგი უფრო მონაა, ვიდრე ბატონი. არც ცალკე კაცს, არც საზოგადოებას ერთად უამთვისებოდ ერთიც და მეორეც სათრეველაა და არა თვითონ მავალი. კაცი თუ საზოგადოება, რომელიც თვით არ მოქმედებს, თვით საკუთარის თაოსნობით ჭირს არ ებრძვის, თავის სვე-ბედს თვით არ ეტანება, თავის სვე-ბედსა თვითონ არ იურვებს, იგი ტვირთია, იგი მეტი ბარგია ამ ქვეყნიერობაზედ ... იგი ქვეყანაა უფრო ბედნიერი, უფრო ღონიერი სულითა და ხორცით, რომელსაც

> თვითმოქმედება გაძლიერებული აქვს ... საცა ეს თვითმოქმედება გაღვიძებული არ არის, იქ კერძო კაციც და საზოგადოებაც საერთოდ უღონოა. თვითმოქმედებას არამც თუ მარტო პირდაპირი სარგებლობა მოაქვს ხორცისათვის, ამასთან იგი იმისთანა სკოლაც არის, საცა იწურთნება ყოველი მოზარდი, იზრდება ახალი თაობა ... ამ მხრივ, თვითმოქმედება ცალკე კაცისა, თუ საზოგადოებისა უებრო რამ არის და ვერაფერი ვერ აღემატება.

თვითმოქმედების სანიმუშო მაგალითად დასახელებულია თბილისის და ქუთაისის ბანკები და მათი თაოსნობით დაარსებული სათავადაზნაურო სკოლები (# 102). საზოგადოების თვითმოქმედების განვითარებაზე ზრუნვა, ცხადია, სამოქალაქო საზოგადოებისაკენ სწრაფვას ნიშნავს, რაც, თავის მხრივ, სოციალური ერთგვაროვნების გარეშე შეუძლებელია ჩამოყალიბდეს.

თუმცა საადგილმამულო ბანკების საზოგადოებრივი თვალსაზრისით სასიკეთო მნიშვნელობა ერთნაირად არ იყო ქართულ საზოგადოებაში აღქმული. როგორც 103-ე ნომრის *მეთაური წერილიდან* (ავტორი ილია ჭავჭავაძე) ვიტყობთ, რომ ბევრ მითქმა-მოთქმას ჰქონდა ადგილი. ზოგის აზრით, ბანკებმა სესხის გაადვილებით მაცდურების კარი გაუღო ხალხს და სესხის დროზე გადაუხდელობის შემთხვევაში მამულებს უყიდდა ბანკი, ზოგი აღნიშნავდა, რომ 'ბანკებმა დაუგირავებელი მამულები არ უნდა ჰყიდოსო და ისე ამოქმედოს საადგილმამულო კრედიტიო'. შესაბამისად კრიტიკული შეფასებები აუცილებელ პასუხს მოითხოვდა. *ივერიის* ფურცლებზე ხშირად ვხვდებით მსჯელობას საბანკო საკითხებთან დაკავშირებით, სადაც თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ბანკის საქმიანობა, მასთან დაკავშირებული ურთიერთსაპირისპირო შეხედულებები. პირველ ხანებში თუ ბანკის საქმეებს თითო-ოროლა კაცი ადევნებდა თვალ-ყურს, ახლა უკვე მან საზოგადოების დიდი ყურადღება დაიმსახურა და ხშირად გულისტკივილის მიზეზი გამხდარა. ამის ნათელი დასტურია ფართო საზოგადოების ზრუნვა ბანკის გაუმჯობესებაზე, მისი ნაკლის და ღირსების ანალიზი. აღნიშნული თვალსაზრისით საყურადღებოა ჭავჭავაძესა ყიფიანს შორის გამართული პოლემიკა. დ. ყიფიანი სამდურავს გამოთქვამს ბანკის თაობაზე. აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ბანკმა გლეხს შეუმსუბუქოს სესხის ვალდებულება, ე.ი. შესაძლებელია სესხის სარგებლის გაიაფება. საპასუხოდ ილია რამდენიმე წერილს აქვეყნებს იმის განსამარტავად, რომ საბანკო საქმე მეტად რთულია და

სარგებლის გაიაფება ბანკის დამფუძნებელთა სურვილს არ ექვემდებარება. წერილებში გამოკვეთილია, რომ ბანკი კლიენტის წარმომადგენელია ფულის პატრონის წინაშე და მისი თავმდებიცაა. მისი კლიენტია სესხის ამღები, რომელიც ფულიანს კაცს ეძებს, რომ ფული ისესხოს და ფულის პატრონი, რომელიც სანდო კაცს და სანდო პირობას ეძებს, რომ ფული ასესხოს. მათ შუა მოქმედებს ბანკი, როგორც მოციქული და თავმდები. იმისათვის, რომ ორივესთან შეძლოს თანამშრომლობა ბანკმა, თავის კლიენტებს უნდა შესთავაზოს მყარი გარანტიები, რომ ფულის პატრონი მიენდოს და ბანკის შემწეობით და თავდებობით ფული სესხის ამღებს გადასცეს.

> ერთი ქვაკუთხედი ამ საადგილმამულო საძირკვლისა ისაა, რომ სესხის ამღები ვალის მოსაშორებლად ვადაზედ შემოიტანს ბანკში, რაც შემოსატანია და ბანკიც გადასცემს ფულის პატრონს. მეორე ისაა, რომ ფულის პატრონი დარწმუნებულია წინადვე, თუ ვადაზედ ფულის ამღებმა ვერ შემოიტანა დაწინდული, დაგირავებული მამული გაიყიდება და გაყიდულის ფასით აღუდგება ნასესხები. თუ ამითაც ვერ გაისწორა ანგარიში, იმედი აქვს, რომ მთელი ქონება ბანკისა, როგორც თავმდებისა, მისი პასუხისმგებელია. ამ სამს უსათუო პირობაში ერთი რომელიმე რომ გააუქმოთ, ვერც ბანკი და ვერც თვითონ თქვენ გროშსაც ვერ იშოვით სასესხებლად.

ივერია ყურადღებას ამახვილებდა თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებზე. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოს ისტორიის წყაროები მიმოფანტულია და მოითხოვს მობიება-შესწავლა-დაცვას. რუბრიკაში *ნარკვევები* მოხმობილია გაზეთში *Русский курьерь* გამოქვეყნებული წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ერის ისტორიის საუკეთესო წყაროს წარმოადგენს ხალხის ნაწარმოები. საქართველოს ისტორიას, რომელიც სრულიად შეუსწავლელია დიდ დახმარებას გაუწევს ერის გონებითი ნაწარმოების – ლექსებს, ანდაზებს, არაკებს და სხვა, შესწავლა: 'ეს მოვალეობა უნდა იკისროს, ჩვენი აზრითაო, *ტფილისის ისტორიისა და არხეოლოგიის საზოგადოებამ*, რომელმაც უნდა იზრუნოს, რომ დაწვრილებით გამოკვლეულ იქმნას ქართველების ძველი დროის ისტორია, ყოფა-ქცევა, ჩვეულება და ადათი' (# 102).

საკვირაო სხარტულაში საუბარია საზოგადოებრივ ცხოვრებაში გავრცელებულ არასასიამოვნო მოვლენაზე. ავტორი "ახალ-მოდურ პატრიოტებს" ღორ-მუცელა სულიერს, თავის კუჭის ყურ-მოჭრილ

ყმას უწოდებს, რომელიც კუჭის-სანაცვლოდ მზადაა შესწიროს ის, რასაც სხვა არათუ პირად სარგებლობას, სიცოცხლესაც კი სწირავს ხოლმე. ავტორი ჰკიცხავს ერთ-ერთ გაზეთში "კრუჟოკის" წევრთა კრების განსადიდებლად გამოქვეყნებული სტატიის ავტორს (# 111).

127-ე ნომრის *მეთაურ წერილში* პროტესტია გამოთქმული *Новое обозрение*-ში თაქთაქიშვილის მიერ ბეჟანოვის მკვლელობის ფაქტზე გაკეთებულ კომენტართან დაკავშირებით. ეს მედია საშუალება თურმე მიუთითებდა, რომ 'საზოგადოება, სადაც დაიბადა და აღიზარდა თაქთაქიშვილი, ველურია და შეუწყნარებელია, რომ მისი აზრი და ზნეობა შესაძლოდა ჰხდის თაქთაქიშვილისთანა ბოროტის ჩადენას'.

ჩვენ გვინდა ამ პუბლიკაციაზე რამდენადმე ვრცლად შევჩერდეთ, რადგან იგი შეიცავს სრულიად უნიკალურ ინფორმაციას ილიას მსოფლხედველობის გასაგებად და, სხვათა შორის, პოლემიკის ხელოვნების – უმწვავესი აზრის ტაქტიანად გამოთქმის – თვალსაზრისითაც ძალიან საგულისხმოა.

წერილი 1886 წლის 14 ივნისით თარიღდება, გამოქვეყნებულია გაზეთის 15 ივნისის გამოშვებაში. რადგან მეთაურია, სრულიად აშკარაა, რომ გაზეთის რედაქცია მასში გამოხატულ პოზიციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

წერილი იწყება საქმის არსის მკითხველისათვის გაცნობით:

> ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებთ ყოვლად სამწუხარო ამბავი, რომ თაქთაქიშვილს ბეჟანოვი მოუკლავს. თუმცა ჯერ საქმის გარემოება და ამ უწყალო ქცევის მიზეზი დაწვრილებით არავინ იცის, მაგრამ, რაკი კაცის კვლაა, აქ ყოველის რიგიანის ადამიანის გრძნობა შეძრწუნებულია და აღშფოთებული ამ საუბედუროდ ჩადენილის ბოროტის გამო. სიცოცხლე ადამიანისა მეტად ძვირფასი რამ არის და მისი ასე თუ ისე წართმევა დიდ ცოდვად მიაჩნია კაცობრიობის წინაშე ყოველს ადამიანსა. ჯერ როცა თვით მიუდგომელი მართლმსაჯულება სჯის ადამიანს სიკვდილითა, მაშინაც კი იმღვრევა და ძრწის ადამიანთა გრძნობა და რაღა ითქმის მაშინ, როცა ამისთანა საქმეს სჩადის ცალკე კაცი. რაც უნდა პატივსადები მიზეზი

> მიუძღოდეს კაცისმკვლელს, ყოველი განათლებული ქვეყანა, ყოველი პატიოსანი კანონი სდევნის და დაუსჯელად არ უშვებს.[41]

ამგვარად, წერილის დასაწყისშივე, ილია გადაჭრით, უპირობოდ გმობს კაცის კვლას, თვით მართლმსაჯულების მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი მას მიაჩნია ადამიანისათვის შემაძრწუნებლად.[42] სხვაგვარად ალბათ არც იყო მოსალოდნელი იმისაგან, ვინც აღიარებდა უფლის მცნებებს და, მათ შორის, ერთ-ერთ მთავარს: 'არა კაც კლა'.

კაცის კვლა არ შეიძლება არავითარი მიზეზით. მაგრამ ის რომ ეს ქმედება ბოროტებაა, ილიას აზრით, არ ათავისუფლებს მართლმსაჯულებას არსებითად გამოიძიოს საქმე, გაარკვიოს არა მარტო გარეგანი გარემოებანი, არამედ მკვლელის სულიერი მდგომარეობაც ანუ მოტივაცია. ასე აგრძელებს თავის პირველ დებულებას ილია:

> ამიტომაც კანონი ითხოვს, რომ ყოველივე გარემოება, გარეგანი და შინაგანი, ამ საშინელის დანაშაულისა იქმნას პირუთვნელად და მიუდგომელად, შეძლებისამებრ აღმოჩენილი იყოს და ყველაფერი, რაც კი ასე თუ ისე შუქსა ჰფენს, არამც თუ დანაშაულის გარეგანს სახესა, არამედ დამნაშავის სულისა და გულის მოძრაობასაც დანაშაულის ჩადენის დროს და ყოველივე ეს უტყუარის საბუთებით შემოწმებულ იქნას.[43]

---

[41] ვიმოწმებთ შემდეგი წიგნის მიხედვით: ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად. ტომი VIII – პუბლიცისტური წერილები, 1886 წლის მაისი–დეკემბერი (მთ. რედ. გ. ბენაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 117.

[42] 'ნიშანდობლივია, რომ თავისი პირველი გამოსვლა სახელმწიფო დუმაში (სავარაუდოდ – 1907 წლის 17 აპრილს ...) ილიამ მიუძღვნა სიკვდილით დასჯის აკრძალვას. აქ, რაღა თქმა უნდა, კვლავ მისი *სარჩომელაზედ* გვახსენდება. ილიას არგუმენტები ითვალისწინებდა არა მარტო ქრისტიანულ გულმოწყალებას, არამედ იმასაც, რომ სასჯელის სიმკაცრეს ზნეობის საყოველთაო გაუხეშება მოსდევდა და დამნაშავეობის ეს მოჯადოებული წრე დამღუპველი აღმოჩნდებოდა თვით საზოგადოებისათვის'. – იხ. ზ. აბზიანიძე. ილია ჭავჭავაძე (ლიტერატურული პორტრეტი). ილია ჭავჭავაძე – 170 (საიუბილეო კრებული). თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2007, გვ. 31.

[43] ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად. ტომი VIII – პუბლიცისტური წერილები, 1886 წლის მაისი–დეკემბერი (მთ. რედ. გ. ბენაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ.117-118.

მერე ილია გადადის მედია საშუალებით მკვლელობის გაშუქების საკითხზე. *Новое обозрение*-ს, როგორც აღინიშნა, გამოუთქვამს თავისი მსჯავრი. ილიას, როგორც მართლმსაჯულების საკითხებში გარკვეულ პიროვნებას, მედია საშუალების ამგვარი ქმედება არ მიაჩნია მართებულად – მსჯავრის გამოტანის ნება მხოლოდ სასამართლოს აქვს და მას არ უნდა დაასწროს საგაზეთო პუბლიკაციამ:

> *Новое обозрение*-მ კი გუშინწინდელს ნომერში თავისი განაჩენი წარმოსთქვა კიდეც თაქთაქიშვილის და ბეჟანოვის საქმის თაობაზედ. რასაკვირველია, ამით ბევრი არა დაუშავდება თვითონ საქმეს და ბოროტის მოქმედს მართლ-მსაჯულება თავის ღირსებისამებრ მიუწყავს, მაგრამ ჩვენ გვაკვირვებს რად მოუსურვებია პატივცემულს გაზეთს სიტყვის დასწრობა ამ შემთხვევაში? წინ რად უსწრო სამართალსა, რომელიც ერთადერთი თავმდებია ჭეშმარიტებისა და მართლისა ამ შემთხვევაში?[44]

სრულიად აშკარაა, რომ ილიამ იცის რა არსებით კანონდარღვევაზე მიუთითებს *Новое обозрение*-ს და გამგებმა უნდა გაიგოს, მაგრამ აქ ვითარებას თავად არ ამძიმებს, საკითხს სამართლებრივ სიბრტყეში არ განიხილავს: ამ ნაბიჯს ადამიანური სისუსტეზე მითითებით უძებნის კიდევაც ახსნას: გამოთქვამს ვარაუდს, რომ მედია-საშუალებას გზა-კვალი დანაშაულის საშინელებამ აუბნია და გულსწრაფობისაკენ უბიძგა. მაგრამ ამის შემდგომ ილია წარმოთქვამს თავის მთავარ ბრალდებას *Новое обозрение*-ს მისამართით: რატომ ჩაურთავს ამ მკვლელობის საქმეში გაზეთს მთელი საზოგადოება?! რატომ მიუჩნევია ერთი კაცის მიერ ჩადენილი დანაშაული მთელი საზოგადოების დანაშაულად?! –

> ჩვენ გვაკვირვებს ამ თაქთაქიშვილის საქმეში რაზედ ჩაუთრევია და ჩაუბამს ჩვენი საზოგადოება პატივცემულს გაზეთსა. აქაური საზოგადოება რა შუაშია, რომ თაქთაქიშვილმა ბეჟანოვი მოჰკლა? სად საზოგადოება, სად თაქთაქიშვილი და ბეჟანოვი?[45]

---

[44] ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად. ტომი VIII – პუბლიცისტური წერილები, 1886 წლის მაისი–დეკემბერი (მთ. რედ. გ. ბენაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ.118.

[45] ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად. ტომი VIII – პუბლიცისტური წერილები, 1886 წლის მაისი–დეკემბერი (მთ. რედ. გ. ბენაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ.118.

ილია კიდევ უფრო ამძაფრებს შეტევას იმით, რომ *ივერიის* მკითხველის სამსჯავროზე გამოაქვს *Новое обозрение*-ს თვალსაზრისი საზოგადოების შესახებ:

> გაზეთის სიტყვით, იგი საზოგადოება, საცა დაიბადა და აღიზარდა თაქთაქიშვილი, იმოდენად ჯერ კიდევ ველურია და შეუწყნარებელი, რომ მისი აზრი და ზნეობა არამც თუ შესაძლოდა ჰხდის თაქთაქიშვილისთანა ბოროტის ჩადენას, არამედ ამართლებს კიდეცაო.[46]

ამასთან დაკავშირებით, ილია პასუხი *Новое обозрение*-სადმი კიდევ უფრო მკაცრდება:

> ღმერთო, გვიხსენ ამისთანა გამკითხველისაგან! მაშ, ამას ამას იქით, საცა კაცმა მოჰკლას კაცი, იქაური საზოგადოება ველურ საზოგადოებად უნდა ჩაითვალოს? თუ ესე ვიარეთ, მაშინ მთელი ევროპა, მთელი ქვეყანა ტყის ნადირთა სადგურად გარდიქცევა *Новое обозрение*-ს მანქანებით. მადლობა ღმერთს ეს ესე არ არის და *Новое обозрение*-ს მანქანება ესე ძლიერ და ხელაღებით არ სჭრის.[47]

ამგვარად, ილია *ივერიის* მკითხველს განუმარტავს, რომ კაცის კვლა დაუშვებელია, რომ ამ დანაშაულისათვის სათანადო გამოძიების შემდეგ სათანადო სასჯელი უნდა მიეზღოს დამნაშავეს. ამავე დროს იგი მიუთითებს, რომ, მართალია, მკვლელობას გამართლება არცერთ შემთხვევაში არა აქვს, მაგრამ ამგვარი ფაქტები ხდება ყველგან, მათ შორის, ევროპაში და მათ გამო მთელი საზოგადოების ველურად მიჩნევა არავის მოსდის თავში აზრად.

ამ პუბლიკაციას აქვს თავისი ქვეტექსტი, რომლის გათვალისწინება აუცილებელია მისი მთავარი მესიჯის სწორედ გასაგებად.

Новое обозрение-ს იმდროინდელი რედაქტორი (და მისი დამაარსებელიც) იყო ა. ვ. სტეფანოვი ანუ ეთნიკურად სომეხი პირი.

---

[46] ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად. ტომი VIII – პუბლიცისტური წერილები, 1886 წლის მაისი–დეკემბერი (მთ. რედ. გ. ბენაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ.118-119.

[47] ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად. ტომი VIII – პუბლიცისტური წერილები, 1886 წლის მაისი–დეკემბერი (მთ. რედ. გ. ბენაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ.119.

ამგვარად, *Новое обозрение* (ამ პერიოდში მაინც) არა მარტო არაქართულენოვანი გაზეთი იყო, არამედ ანტიქართულიც, რადგან, როგორც ითქვა, საქართველოში მცხოვრები სომხები ამ დროს, წარმოადგენდნენ რა ქართველთა შინაურ "მნიშვნელოვან სხვებს" ყოველივე ქართულს ეწინააღმდეგებოდნენ. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაცია ამ ეთნიკური ჩვენ-ჯგუფისათვის ცალსახად მიუღებელი იყო, რადგანაც ქვეყნის კონტროლისაკენ თავად ისწრაფვოდა.

Новое обозрение-ს მიხედვით, მკვლელი და მსხვერპლი, საფიქრებელია, ხსვადასხვა ეთნიკური იდენტობის მქონენი იყვნენ. ამაზე მიუთითებს მათი გვარები. თაქთაქიშვილი ქართული ერთობის წარმომადგენელი ჩანს, ბეჟანოვს კი, საფიქრებელია, რომ არ ჰქონდა ქართული იდენტობა.

Новое обозрение-ს პუბლიკაციაში "საზოგადოება" აშკარად ეთნიკური ნიშნით მარკირებული ერთობის აღმნიშნელი სიტყვაა. წინააღმდეგ შემთხვევაში თაქთაქიშვილისა და ბეჟანოვის წარმომშობი საზოგადოება ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო, რაც პუბლიკაციის მიხედვით, აშკარად არ ივარაუდება. თაქთაქიშვილის წარმომშობი საზოგადოება უდრის ქართულ ერთობას ანუ ქართველ ერს. ამგვარად, მართალია, პირდაპირ არა, მაგრამ საკმაოდ არაორაზროვნად, *Новое Обозрение*-ს პუბლიკაციაში ქართველი ერია გამოყვანილი ველურად და უზნეოდ. მთელ ქართველობას სრულიად უმართებულოდ უზნეობაში ედება ბრალი ეთნიკური არაქართველის თუ ქართველობისადმი არაკეთილმოსურნე პუბლიცისტის მიერ. აი, რა იწვევს *ივერიის* აღშფოთებას და რას პასუხობს ილია ასეთი თავშეკავებული მრისხანებით.

მაგრამ *ივერიისა* და *Новое обозрение*-ს აღნიშნულ პუბლიკაციებს აქვთ უფრო ვრცელი კონტექსტიც, რომლის გათვალისწინებაც მათი შინაარსის სწორად გაგებისათვის, აგრეთვე, აუცილებელია.

საქმე ისაა, რომ ამ დროს, როცა ისინი გამოქვეყნდა, მიმდინარეობდა იოსებ ლაღიაშვილის სასამართლო პროცესი. ი. ლაღიაშვილი, როგორც ცნობილია, იყო თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფე, რომელმაც 1886 წლის 24 მაისს ანუ სულ რაღაც ოციოდ დღის წინ ამ პუბლიკაციებამდე, ხანჯლით განგმირა სემინარიის რექტორი პავლე ჩუდეცკი.

სემინარია წარმოადგენდა საქართველოში ერთ-ერთ მთავარ ინსტიტუციას ველიკორუსული შოვინისტური პოლიტიკის გატარებისათვის. აქ გამეფებულული "იეზუიტური" (ი. სტალინის შეფასებაა, რომელიც, როგორც ცნობილია, აგრეთვე, სემინარიაში სწავლობდა) ატმოსფერო სულისშემხუთავი იყო ქართველი ახალგაზრდებისათვის. ქართული ენა ამ პერიოდში საჯარო სარბიელიდან, სასწავლებლებიდან ყველგან სასტიკად იდევნებოდა. სემინარია, ამ მხრივ, გამონაკლისს, ცხადია, არ წარმოადგენდა. რექტორის მიერ ლაღიაშვილის გაკიცხვისა და სასწავლებლიდან გარიცხვის ერთ-ერთი მიზეზი იყო სწორედ ის, რომ მას აღმოაჩნდა ხელნაწერი ქართულენოვანი ჟურნალი, რომელსაც სემინარიის მოსწავლეები ამზადებდნენ. უსამართლო დამოკიდებულებით აღელვებულმა ახალგაზრდამ მოკლა რექტორი. თუმც მკვლელობა მოხდა აფექტის ნიადაგზე, თბილისის სასულიერო სემინარიის აღსაზრდელებში საძულველ რუს მოხელეთა მკვლელობის შესახებ აზრი ადრევე მუშავდებოდა. სახელმწიფოსთან ურთიერთობის მოგვარების ამგვარი გზისაკენ სემინარიელებს უბიძგებდათ გარკვეული იდეოლოგია. კერძოდ, ისინი განიცდიდნენ ხალხოსნების გავლენას, რომელთა რადიკალური ნაწილის მიერ, როგორც ცნობილია, ტერორი ბრძოლის მნიშვნელოვან და დასაშვებ იარაღად მიიჩნეოდა.

თავისთავად ეს ფაქტი ანუ რექტორის მკვლელობა, ცხადია, არ იყო ჩვეულებრივი საზოგადოებრივი მოვლენა. მაგრამ იგი კიდევ უფრო არაორდინალური გახადა მოვლენებმა, რომლებიც მას მოჰყვა: მოკლულის გასვენების დღეს ეგზარქოსმა პავლემ დაწყევლა ქართველი ერი. ყოველ შემთხვევაში ეს იგულისხმებოდა ლაღიაშვილის აღმზრდელი გარემოს მიმართ გამოთქმულ მის წყევლა-კრულვაში. რადგან ეგზარქოსი ადრევე იყო შემჩნეული ანტიქართულ ქმედებებში, მისი ნათქვამის არსის გაგება არავის გასჭირვებია რუსული შემტევი ნაციონალიზმისაგან შეიწროებული ქართველობა ეგზარქოსის ამ გამოხდომამ უკიდურესად დაძაბა. იმდროინდელი ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის სულიერი მდგომარეობის გამომხატველად მიგვაჩნია დიმიტრი ყიფიანის, წერილი ეგზარქოსისადმი, რომელშიც დიმიტრი ყიფიანი მისგან ქვეყნის დატოვებას მოითხოვდა იმ შემთხვევაში თუ იგი თავად დაადასტურებდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მან თავისი სამწყსო ანუ ქართველ ერი მართლაც დაწყევლა. ეს მიმართვა, როგორც

ცნობილია, თავად დიმიტრი ყიფიანს დაუჯდა სიცოცხლის ფასად. იგი გადაასახლეს და გადასახლებაში მოკლეს.[48]

ქვემოთ მოგვყავს ეს წერილი, რომელიც ხშირად განიხილება, როგორც ქართველ პატრიოტთა ბრძოლის გამოხატულება რუსული რეჟიმის პირობებში:

> თქვენო უსამღვდელოესობავ! მოიღეთ მწყემსმთავრული მოწყალება და თუ, – დაუჯერებელ ხმებს აყოლილი, – ვცოდავ თქვენს წინაშე, განმიტევეთ ჩემი დიდი შეცოდება. მაგრამ ეს ხმები მოგაწერენ, თითქოს თქვენ დასწევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც სამწყსოდ ხართ მოწოდებული და რომელიც, ამდენად

[48] აღნიშნული ისტორია, რომელიც სკოლის მერხიდან კარგად იცის ყველა ქართველმა, არაერთხელ ყოფილა გადმოცემული ქართულ ისტორიოგრაფიაში. შთაბეჭდილების სისრულისათვის ჩვენ ქვემოთ მაინც მოგვყავს იგი დანახული ს. კაკაბაძის თვალით: 'ამ დროს საკმაოდ ბლომად იყვნენ თბილისის სემინარიიდან სასულიერო უწყებისათვის არა კეთილ-საიმედობის მიზეზით დათხოვნილი მოზრდილი ქართველი ახალგაზრდანი. მათ შორის იყვნენ ნაროდნიკული იდეებით განსჭვალულნი პირნიც. მათში გაჩნდა აზრი მოეკლათ მზრუნველი იანოვსკი, ეგზარქოსი პავლე ანდა თბილისის სემინარიის რექტორი ჩუდეცკი. პირველი ორის მოკვლა არ მოესწრო ან არ მოხერხდა, როდესაც ამავე წრის მონაწილემ ახალგაზრდა იოსებ ლაღიაშვილმა ხანჯლით მოკლა სემინარიის რექტორი ჩუდეცკი (1886 წ. მაისში). მოკლული ჩუდეცკის გასვენებაზე თბილისის სიონის ტაძარში ეგზარქოსმა პავლემ მთავარმმართებლის და მაღალი მდგომარეობის პირთა თანდასწრებით სთქვა სიტყვა, რომელშიც წყევლით მოიხსენია ის წრე-გარემო, საიდანაც ჩნდება ლაღიაშვილისთანა ადამიანებიო. სიტყვა, მაშინ არსებულ დაძაბულ მდგომარეობის გამო, გაგებულ იქნა, როგორც ქართველი ხალხის მიმართ წარმოთქმული წყევლა. ქართველობა თბილისში და აქედან ყველგან მოიცვა მითქმა-მოთქმამ. დიმ. ყიფიანმა მისწერა წყრომით სავსე წერილი ეგზარქოს პავლეს და მოსთხოვა მას, როგორც ქართველი ხალხის დამაწყევარს, საქართველოდან წასვლა. მაგრამ რადგანაც ოფიციალურ გაზეთში *კავკაზში* დაბეჭდილი სიტყვა ეგზარქოსისა პირდაპირ წყევლას არ შეიცავდა, ამიტომ დიმ. ყიფიანის ეს გამოსვლა მთავრობის მიერ შეფასებულ იქნა როგორც ადგილობრივი მართებლობის საწინააღმდეგო კიდევ ერთი დემონსტრაცია, რის გამოც ის იმპერატორ ალექსანდრე მესამის განკარგულებით გადაყენებულ იქნა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლობიდან და გადასახლებულ იქნა ჩრდ. კავკასიაში ქ. სტრავროპოლში (1886 წ. ოქტ.)'. – იხ. ს. კაკაბაძე. ქართველი ხალხის ისტორია (1783–1921). თბილისი, ნეკერი, 2003, გვ. 203-204.

> თქვენგან, როგორც ქრისტეს პირველმსახურისა და წარმომადგენლისაგან, მარტოოდენ სიყვარულსა და მოწყალებას მოელოდა. იგივე ხმები არა სჯერდებიან თქვენი ღირსების შეურაცხყოფას და იმასაც მოგაწერენ თითქოს სამწყსოს წინაშე ბოდიშის მოხდას აპირებდეთ თქვენ მიერ წარმოთქმული სიტყვების უზომო ცოდვიანობის გამო. თუ ეს ყოველივე მართალია, მეუფეო, თქვენი წოდებრივი ღირსების გადარჩენა იმასღა შეუძლია – შეურაცხმყოფელი დაუყონებლივ უნდა გავიდეს შეურაცხყოფილი ქვეყნიდან. ამას წრფელი გულით მოგახსენებთ თქვენივე სამწყსოს ერთი წევრი, რომელსაც სურს ქვეყანას მორიგი განუზომელი ცოდვა ააცილოს. ხოლო თუ ყოველივე ეს მართალი არ არის, შემინდეთ და მოიღეთ ჩემზე თქვენი მწყემსმთავრული ლოცვა-კურთხევა. თქვენი უსამღვდელოების მორჩილი მსახური დიმიტრი ყიფიანი.[49]

ჩვენ არ ვდაობთ იმაზე, რომ ეგზარქოსის სამიზნე ქართველები იყვნენ. ამას ყველა მაშინვე მიხვდა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ იგი ამას პირდაპირ არ ამბობდა. სწორედ აქ არის დ. ყიფიანის შეცდომა. ეს შეცდომა, როგორც ვნახეთ ზემოთ, ილიას არ მოუვიდა. *Новое обозрение*-ც პირდაპირ როდი ამბობდა, რომ ქართველ ერს ეხებოდა. ილიამ არც კი შეიმჩნია, რომ კარგად ამოიკითხა სტრიქონებს შუა დაწერილი და მხოლოდ იმის გამო გააკრიტიკა, რასაც აშკარად ამბობდა გაზეთი. მიუხედავად ამისა, მან, როგორც ვნახეთ, მაინც შეძლო თავისი მთავარი სათქმელის მკითხველამდე მიტანა: ერთის დანაშაულის გამო არ შეიძლება მთელი ერი დამნაშავედ იქნას მიჩნეული. იგივეს თქმა სურდა არსებითად დ. ყიფიანსაც, მაგრამ მას ხისტად ნათქვამი გამოუვიდა. ეს ყველაფერი მიუთითებს ამ პერიოდის დიმიტრი ყიფიანის სულიერ კრიზისსა და დაბნეულობაზე[50] და გარკვეული აზრით იმ უაღრესად მძიმე სულიერ მდგომარეობაზე, რომელიც სუფევდა მთლიანად ქართულ საზოგადოებაში.

‘ლაღიაშვილი ჩვენს წარმოდგენაში გმირი გახდა. მან ერთმა დაიხსნა სემინარია ასეთი ტირანისგან’, ვკითხულობთ ფ. მახარაძის

---

[49] დიმიტრი ყიფიანი. წერილები – ილიას ბიბლიოთეკა (წინასიტყვა რ. ამაღლობელისა). თბილისი, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი, 2010, გვ. 63-64.

[50] საინტერესოა, რომ სწორედ ამ პერიოდში ანუ 1886 წლის მაის–ივლისში ილიასა და დ. ყიფიანს შორის მიმდინარეობს პოლემიკა ბანკის საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ასევე აჩვენებს დ. ყიფიანის მიერ მოვლენების არაადექვატურ აღქმას.

მოგონებაში.[51] მაგრამ აშკარაა, რომ ლაღიაშვილი არ იყო ილიას გმირი. ის თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ილიას მკვლელობისადმი, უკვე ვნახეთ ზემოთ განხილული მეთაური წერილის მაგალითზე.[52] ახლა ილია თავის დამოკიდებულებას ლაღიაშვილის ქმედების მიმართ ირიბად გამოხატვდა.

პირდაპირ *ივერია* მხოლოდ რუბრიკაში *სასამართლოს მატიანე* ეხება აღნიშნულ მკვლელობას. ეს არის ფაქტების მშრალი კონსტანტირება. კერძოდ, გაზეთი იუწყება: სასამართლო განხილვისას გამოირკვა, რომ მკვლელს, სემინარიის შეგირდს ი. ლაღიაშვილს, სანამ იგი სასტიკად გაუსწორდებოდა რექტორს, აღმოუჩინეს დღიური, რომელიც ადასტურებდა მის შეუწყნარებელ მიმართულებას, რისთვისაც შეუწყვიტეს სახელმწიფო ხარჯი. ეს მიმართულება იმაში გამოიხატებოდა, რომ არაფრად აგდებდა სასულიერო პირთა და საეკლესიო მოძღვრებათ, მძულვარებით იხსენიებდა თავის დღიურში ერთ-ერთ მასწავლებელს. სახლის გაჩხრეკისას ინსპექტორ სტეფანოვს დღიური და რაღაც წიგნები წაურთმევია და სემინარიიდან გაურიცხავთ, რისთვისაც ი. ლაღიაშვილმა მოკლა სემინარიის რექტორი პ. ჩუდეცკი. სასამართლომ ი. ლაღიაშვილს მიუსაჯა 20 წლით კატორღა (# 129).

მომდევნო ნომრის *სასამართლოს მატიანეში* ასევე, ფაქტების მშრალი კონსტანტირებაა. ამჯერად გადმოცემულია ი. ლაღიაშვილის სიტყვა. აღნიშნულია, რომ რექტორმა გაკიცხა იგი იმ ხელნაწერ ჟურნალში მონაწილეობისთვის, რომელიც ქართულ ენაზე გამოდიოდა (# 130).

---

[51] ა.ი. ხუნდაძე. რექტორ ჩუდეცკის მკვლევი იოსებ ლაღიაშვილი. თბილისი, 1933, გვ. 3.

[52] ზოგჯერ სპეციალურ ლიტერატურაში არამართებულად არის დაკავშირებული ი. ლაღიაშვილის ქმედება ი.ჭავჭავაძის იდეებთან: 'საერთოდ თერგდალეულების და კერძოდ ილია ჭავჭავაძის ეროვნული კონცეფცია, სამოქმედო პროგრამა ფართოდ გავრცელდა ქართველ ხალხში. იგი აიტაცეს. იგი აიტაცეს საქართველოს სამუალო სკოლის მოსწავლეებმა და რუსეთის უნივერსიტეტთა ქართველმა სტუდენტებმა. იმ ხანებში, როცა იოსებ ლაღიაშვილმა დიდმპყრობელი შოვინისტი და რუსიფიკატორი, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი ჩუდეცკი განგმირა ...' (იხ. ა. ბენდიანიშვილი. ილია ჭავჭავაძის ეროვნული კონცეფცია. ანალები (ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიისა შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი). თბილისი, მემატიანე, 2008, გვ. 72 (ელექტრონული ვერსია). აქ პირდაპირ არაა მითითებული ლაღიაშვილის მოქმედებასა და ილიას იდეებს შორის კავშირი, მაგრამ კონტექსტი ამგვარ შთაბეჭდილებას ქმნის.

ამგვარად, *ივერია* ოფიციალური ქრონიკის რუბრიკის მეშვეობით წარმოაჩენს ი. ლაღიაშვილის დევნის მიზეზს: მის ქართველობას[53] (# 111).

ი. ლაღიაშვილის ქმედება ბევრ კითხვას სვამდა საზოგადოების წინაშე. უმძიმესი ცენზურის პირობებში ამ საკითხებზე ღიად საუბარი შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, ილიამ მოახერხა თავისი სათქმელის მკითხველამდე მიტანა: ტერორი არ არის ბრძოლის მისაღები ფორმა ეროვნული თავისუფლებისათვის. არავითარი მოტივით კაცის კვლის გამართლება არ შეიძლება. ასე რომ, ლაღიაშვილი არ უნდა იყოს მიჩნეული მისაბაძ მაგალითად პატრიოტებისათვის; მაგრამ ამასთან ერთად, ი. ლაღიაშვილი თანაგრძნობას იმსახურებს, იგი ჩვეულებრივი კრიმინალი არ არის. ის იდევნებოდა ეროვნული სიმპათიების გამო. ამასთან მთელი ერის ძაგება მისი ცალკეული წევრების დანაშაულის გამო დაუშვებელია.

მეთაური წერილი დიდებით იხსენიებს მეფე ლუარსაბს, რომელიც ეწამა ქრისტეს რჯულისთვის. 'მხოლოდ დიდბუნებიანთა კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თვის სიცოცხლის საგნად და მას ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება და თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თვისიცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უღირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე'. ასეთი გმირის გახსენებას თვლის აუცილებელ საჭიროებად ავტორი. მან გამყიდველ თავადს შარიდან ბარათაშვილს (მამამძუძე იყო მისი) უთხრა: 'რა მადლია თავი გადავირჩინო და ჩემი ქვეყანა მტერს ავაოხრებინოო, წავიდა და წამებულის გვირგვინით შეიმოსა თავი ქვეყნისა და ქრისტეს სახელით' (# 133). ნაციონალური იდენტობა შეუძლებელია ჩამოყალიბდეს ნაციონალური გმირების გარეშე. ეს სტატია ამ კონტესტში უნდა განვიხილოთ.

---

[53] საინტერესოა, რომ ი.ლაღიაშვილის ეროვნულ იდენტობას ანუ ქართველობას ილიას თვალში ვერ ცვლის *ივერიისვე* შენიშვნა მის წარმომავლობით ოსობაზე. აღნიშნულის თაობაზე მითითებულია 25 მაისს მკვლელობის შესახებ *ახალი ამბავის* რუბრიკაში (ამ რუბრიკას ილია უძღვებოდა) გამოქვეყნებულ ინფორმაციაში: 'გუშინ სემინარიაში ერთი უბედური შემთხვევა მოხდა: ერთს სემინარიიდან გამორიცხულს შეგირდსა ლაღიევს, მოდგმით ოსსა ხანჯალი დაუცია რექტორისათვის და ძალიან მძიმედ დაუჭრია მუცელში და კისერში'. ამ პერიოდის ქართულ სინამდვილეში ნაციონალურ და ეთნიკურ იდენტობათა პერცეფციების შესწავლის თვალსაზრისით ეს უაღრესად საინტერესო ფაქტია.

მეთაური წერილი ამჯერად ყურადღებას ამახვილებს ქუთაისის თეატრის გამო შექმნილ ვითარებაზე, ერთი მხრივ, სასიამოვნოა ის გარემოება, რომ ეს საკითხი ფართო მსჯელობის საგანი გამხდარა და საზოგადოებას უცვნია თეატრის ჭეშმარიტი დანიშნულება. მაგრამ, მეორე მხრივ, სავალალოა ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილება თეატრის აშენებაზე უარის თქმის თაობაზე (# 135).

ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვაქვს, რომ ქართული კულტურის საგანძური მიმოფანტული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რომელთა მოძიება-გადარჩენა-შენახვაზე ზრუნვა დროის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა. *ივერია* გამოდის ინიციატივით ეკლესია-მონასტრებში დაცული საისტორიო წყაროების სიების შედგენის აუცილებლობის თაობაზე. მიმართავს საზოგადოებას, სასულიერო პირებს, რომელთაც აბარიათ ეკლესია-მონასტრების განძები, იზრუნონ მათ გადასარჩენად, შეადგინონ კატალოგები იმ განძისა, რაც მათდამი მინდობილ ტაძარშია დაცული; ისინი ამით დიდ სამსახურს გაუწევენ ჩვენს ქვეყანას (# 159). *ივერია* იწყებს საქართველოს სხვადასხვა ტაძრებში დაცული საგანძურის სიების გამოქვეყნებას.

ასევე ფართო მსჯელობაა წარმოდგენილი სოციალურ საკითხებზე. *მეთაური წერილების* (ავტორი ილია ჭავჭავაძე) ინტერესის სფეროში ექცეა "ხიზნობის" საკითხი (# 168):

> რომელი ერიც გინდა აიღოთ მთელს ქვეყნიერებაზედ, ჰნახავთ, რომ ყველა ერის ეკონომიური ცხოვრება იმის ბრძოლაში დალეულა და ილევა დღესაც, ან ერთი ნაწილი საკუთრებისა აუფლოს ქვეყანაზედ და ან მეორე, მთელი არსება მიწათმფლობელობის საქმისა, რომელიც შეადგენს დღევანდელს ტკივილს ყველა ერისას და ყველა სახელმწიფოებისას, იმაში მდგომარეობს თუ, რომელი ნაწილი საკუთრებისა გაძლიერდეს და გაუფლდეს კაცთა ეკონომიურს ცხოვრებაში: პირადი თუ ზოგადი. ეს ორი ელემენტი იბრძვის დღეს ქვეყნიერობაზედ და ეგრედ წოდებული საადგილმამულო, სამიწაწყლო საქმე მარტო ეგ ორია (# 169).

ილია მომდევნო ნომერში ცდილობს საზოგადოებას დაანახოს ის მიზეზები, რამაც განაპირობა ჩვენში "ხიზნობის", როგორც მოვლენის, გაჩენა. ამ მოვლენამ განაშორა მუშა ხელი სამოქმედო საგანს – მიწას, რამაც დიდად შეარყია ეკონომიკური ცხოვრების მსვლელობა: ერთი მხრივ, დარჩა მუშახელი უმიწოდ, ხოლო მეორე მხრივ, მიწა –

უმუშახელოდ. ამ გარემოებამ აიძულა მიწათმფლობელები და მუშახელი ერთმანეთს შეჰყროდნენ და მორიგებულიყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მიწაც უქმად დარჩებოდა და მისი დამმუშავებლიც. აქედან იღებს სათავეს სხვისი მიწის მოხმარების ყოველგვარი წესი – აი ასე ხსნის ი. ჭავჭავაძე ხიზნობის გაჩენას ჩვენში (# 170).

ავტორი მიუთითებს "ხიზნობის", როგორც მოვლენის, საყოველთაო ხასიათზე. სხვა ქვეყნების ისტორიის დამოწმებით აღნიშნავს, რომ სხვაგანაც ყოფილა ის გავრცელებული და წარმომდგარი ყოფილა მიწისა და მუშახელის განცალკევებით. ზოგჯერ ერთი ერის ჩვეულებად წარმოდგენილი წესები სხვა ერის ცხოვრებაშიც გვხვდება, სხვაგანაც ყოფილა გავრცელებული და მათი ზემოქმედება გამოუვლიათ. ამიტომ ავტორი მიმართავს ევროპელი მეცნიერის ჰენრიხ მენის რჩევას რჯულიერების სათავის ასახსნელად შედარებითი ისტორიული მეთოდის გამოყენების თაობაზე:

> მაშინ ცხადი იქნებოდა, რომ რჯული, კანონი ადამიანის თვით-ნებობისაგან კი არ არის წამომდგარი, არამედ რომელთამე ეკონომიურ მოთხოვნილებათაგან ერთის მხრით და მეორე მხრით იმ სიმართლის მცნებისაგან, რომელიც წარმომდინარებს ზნეობრივისა და რელიგიურის გრძნობისაგან, ეგ მოთხოვნილებანი, ეგ იდეები, ეგ გრძნობანი ყველგან ერთი და იგივენი იყვნენ და ერთნაირად მოქმედებდნენ ყველა საზოგადოებაზედ მის განვითარების რომელსამე ხანაში. ხოლო არა ყველა ერი მიდიოდა ერთისა და იმავე ბიჯით განვითარების გზაზედ (# 173).

ილია ფაქტობრივად აქ ლაპარაკობს კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე საქართველოს სოფელში: მას სურს, რომ მიწისმფლობელები კაპიტალისტებად გარდაიქმნან, ხოლო ხიზნები – დაქირავებულ მუშახელად. კერძო საკუთრება მისთვის წმინდათა წმინდაა. სამართლიანობა ვერ დამყარდება მიწის ერთისათვის წართმევითა და მეორესათვის გადაცემით.

ივერიაში არაერთხელ არის აღნიშნული, რომ ხალხი ნაკლებად იცნობს საკუთარ ისტორიას. ამ ნაკლის აღმოფხვრის მიზნით, გაზეთი რუბრიკაში *საისტორიო თუ საბიბლიოგრაფიო წერილები და შენიშვნები და ბიბლიოგრაფია* აქვეყნებდა მასალებს და ეწეოდა პროპაგანდას ხალხში. ასეთია რუბრიკაში *ბიბლიოგრაფია* გამოქვეყნებული ინფორმაცია (ავტორი დ. ბაქრაძე) პ. უმიკაშვილის მიერ გამოცემული

ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის *დასტურლამალის* შესახებ. გარდა ამისა, აქვე ავტორი მოუწოდებს საზოგადოებას იზრუნოს ძველი მწერლობისა და სიგელ-გუჯრების შეკრება-გამოცემაზე (# 173).

ქართულ ენაში უცხო ელემენტის გაჩენას შეეხება ი. მეუნარგიას წერილი *სავით* (უძღვნის 'დავით ერისთავს, პეტრე მირიანოვს და მებრვე სხვათა პურისტთა'). წერილი იბეჭდება რედაქციის შენიშვნით, რომ 'ვბეჭდავთ ამ საყურადღებო წერილს, თუმცა არ ვეთანხმებით-კი ავტორის ზოგიერთს აზრებს'. ავტორი ეკამათება მათ, ვინც მედგრად იცავდა რუსთაველის ენას. თოთხმეტი საუკუნის წინად დაწერილ სახარებას დღეს უფრო ადვილად კითხულობს კაცი ვიდრე თელავიდან გამოგზავნილ კორესპონდენციას. მაგრამ მოვიგეთ ამით რამე? კითხულობს იგი და თავადვე პასუხობს: ენა დარჩა ცოცხალი, მაგრამ დარჩა უძრავი და უცვლელი. ათას-ოთხასი წელიწადი ეს ენა ისევ იმ ერთს ადგილზე სდგას, სადაც მოასწრეს იმას ოთხთავის მთარგმნელთ მამათ, არც წარმატება, არც წინ-წაწევა, არც განახლება! ახალმა დროებამ, რომელმაც თითქმის ყველაფერს აუთამაშა ფეხი, ყველაფერი ააჩქარა, ვერ შემუსრა ენის ერთგულთა გარდამეტებული გულს-მოდგინეობა ... დროებამ და გარემოებამ ტყუილად მოსთხოვეს მათ ახალი სიტყვები და ფორმები; იმათ ყურში ბამბა დაიცვეს და იერემიის გოდება გააბეს იმ წმინდა მოკამკამე რუსთველის და პეტრიწის ენის დაკარგვაზე, რომლისთვისაც არავის ფიქრადაც არ მოსვლია ყელის გამოჭრა. ასე ამგვარად დღესაც "ნამდვილ ქართველნი", მწერალნი თუ არა-მწერალნი, ებუტებიან ყოველგვარ ახალ ნიშანს ქართულ ენაში ... ყოველის ენის მზრდელი ელემენტი არის ერი, ე.ი. სოფლის მოსახლობა, პროვინცია, და რომ ამ პროვინციის უარყოფა არის თვით მწერლობის აღორძინებისა და განვითარებისა უარ-ყოფა; რომ ენა იგივე ტომია, რომელიც მოგებაში რჩება, როდესაც უკავშირდება სხვა ტომსა ... მაგრამ ამ ენის გუშაგთათვის ცოდნა სხვაა და ცოდნის საქმეში გამოყენება სხვა. ნახეთ რა დღე დაათიონ ამ ბატონებმა, თუ მამა-პაპისეულ ქართულ კილოს თქვენს კალმის ქვეშ სხვა ენის ხელი რამ დაეტყო ამ შემთხვევაში მათ მრისხანებას სამზღვარი არ ექნება. "სავით" ძალიან გავრცელებული ყოფილა გურიაში, რომელსაც როგორც ავტორი გადმოგვცემს იყენებდნენ ორი საგნის ერთმანეთთან შესადარებლად, ე.ი. შესადარებელ საგანს უმატებდნენ სუფიქსსა და თანდებულს "სავით". თუ გნებავთ, ამ გვარი წამება ენისა უღმერთოობაა, ბარბაროსობა, მაგრამ ამ შემთხვევაში

თვითონ განზრახვა არის კარგი "სავით"-ის ავტორებისა ... კარგს, დარბაისელს ქართულს ენას, იმ ენას, რომელზედაც ლაპარაკობდნენ გიორგი მთაწმინდელი და იოანე, მაშასადამე საუკუნოებით უცვლელად შენახულ ქართულ ენას, მე მირჩევნია შეცდომით და უკანონოებით ალსავსე ახალგაზრდა ენა, რომელიც დროთა განმავლობაში შეცდომას გაისწორებს და მწერლობას დაასაჩუქრებს ახალის გონებითის განვითარების ნაწარმოებით (# 174).

აქ, როგორც ვხედავთ, ქართული ნაციონალიზმისათვის ფუნდამენტური საკითხებია დასმული: ენის მზრდელი არის ერი, რომელიც გაიგივებულია სოფლის მოსახლეობასთან. ტომთა ექსკლუზიურობა არ არის მომგებიანი მათი განვითარებისათვის. კლასიკური ქართული კარგია, მაგრამ თანამედროვე საქართველოსათვის აღარ გამოდგება.

ილია ამ თვალსაზრისს, რომელიც ენის განახლებას შეეხება იზიარებდა. მან ხომ თავად დაიწყო ეს მოძრაობა. მაგრამ სიფრთხილით მიუთითებს, რომ ყველაფერს არ იზიარებს. ამ დისკურსის არსი არის იმის წარმოჩენა, რომ ენის ნორმების კანონმდებელი არის ხალხი.

მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ენის დემოკრატიზაცია *ივერიას* არ ესმის, როგორც ავლაბრული ქართულის დანერგვა მწერლობაში. "ავლაბრულ ქართულს" ქმნის არაქართველი მოსახლეობა, *ივერიას* კი სოფლად შექმნილი ქართული უნდა, რომლის შემოქმედი არის ეთნიკური ქართველობა.

ნათქვამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს *ნარკვევი* ჟურნალ-გაზეთებიდან, რომელშიც გაკრიტიკებულია ქართულ გაზეთში გამოქვეყნებული ლექსი. ამ ლექსის ენას "ავლაბრულს" უწოდებს პუბლიკაციის ავტორი. ეს არის *კინტოური ლექსი*, რომელიც როგორც ცუდი ენის ნიმუში, მთლიანად მოჰყავს *ივერიას*:

> გამარჯობა, პარენ, სულის ჭირიმე! ...
> ვა! არ გესმის რამოდენას ვყვირი მე?!
> ხომ არა გსურს თითო მუშტი გვერდებში?
> – მითომ ჯერ მე არ მიცდია ჩემს დღეში! ...
> განზე, განზე, ჩემი ტოლი არა ხარ,
> მე საწყალი – შენ კი დიდი ვინმე ხარ!
> ვა, ნი ვი სკაზალ: 'კვირას ჩემთან პოიდომო,
> ვიპიემ კახურ, ჩემი სულის მალამო!'

მეც გითხარი: გმადლობ სულის ჭირიმე! ...
ვა, არ გესმის რა გრომკათა ვყვირი მე?!
განზე, განზე, ჩემი ტოლი არა ხარ,
მე კინტუა – შენ კი გოსპოდინა ხარ!
რას ტრაბახობ, ჩემო კარგო კნიაზო,
ენ როდემდე უნდა აგრე ინაზო?
მე რომ შენებრ გემნაზისტკა არა ვარ,
მითომ ამით შენებრ ბრიყვი რადა ვარ?
განზე, განზე, ჩემი ტოლი არა ხარ,
მე ეშექი – შენ კი პროფესორი ხარ! ...
შენც კაცი ხარ, მეც კაცი ვარ ალალი,
მენეც ბოღი, ვამაც ბოღი ზდელალი ...
ვი დუმიშ შტო, ვი პაიდოშ სამოთხეს
მე კი პანჩურს შიგ შუა ჯოჯოხეთს?!
არა, პარუნ, ჩემი ტოლი არა ხარ,
მოა გრეშნი შენ კი უცოდველი ხარ! ...
ეჰ, კნიაზ ნა ვაშ სერცე ჩორტ სიდიტ,
ონ სტო ღლაზ იესტ კრუგომ ჩუჟოი ვსე ვიდიტ!
ჩემს გულში კი ღმერთის ანგელოზი ზის,
ფიქრში, სულში მე ყოველთვის ის მიზის! ...
განზე, განზე, ჩემი ტოლი როდი ხარ,
შენ ბარიშნებს მე გოგოებს ვუყვარვარ!
ეჰ! გეტყოდი, მაგრამ არა მცალიან,
ჟდიოტ ტავარიშჩ, ღვინო მწყურის ძალიან ...
ხოჩიშ პაიდომ, რადი ბუდემ მი ვსეღდა,
კადა სნამი ტაკოი კაკ ვი ღოსპოდა! ...
მაგრამ განზე, ჩემი ტოლი არა ხარ,
შენ მუდრიცა მე კი ლოთი – ფაშა ვარ! (# 174)

217-ე ნომრის *მეთაური წერილი* იუწყება *დროების* რედაქტორის ი. მაჩაბელის სასამართლო პროცესის შესახებ. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ იგი არ ერიდებოდა გაზეთში პოლიტიკური რეჟიმისადმი აშკარად საწინააღმდეგო წერილების გამოქვეყნებას. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ი. მაჩაბელს ერთ-ერთმა მოხელემ, რომელმაც *დროებაში* გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში თავისი თავი ამოიცნო, სასამართლოში უჩივლა. მეთაური წერილი იუწყება, რომ სასამართლომ გამოარკვია რედაქტორის და გაზეთის უდანაშაულობა. მაგრამ ეს ამბავი, როგორც ვიცით, ძვირად დაუჯდა *დროებას*. აქვე ილია

ჭავჭავაძე იმ გარემოებაზე მიუთითებს, თუ რაოდენ სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა ამ ამბავს სასამართლოს, რომ საპირისპირო გადაწყვეტილება გამოეტანა. ასეთი გადაწყვეტილება თავზარდამცემი იქნებოდა მთელი ლიტერატურისათვის, რადგან ლიტერატურა თავის საგანს ადამიანთა ცხოვრებიდან იღებდა.

3. *ივერიის* 1887–1891 წლების ნომრები

სათაურში მითითებული დროის მონაკვეთი თავისებური ფაზაა ქართული ერთობის იდენტობრივი განვითარების ისტორიაში. იგი გარკვეულად მარკირებულია "დიდი სიკვდილით". მხედველობაში გვაქვს გადასახლებაში მყოფი დიმიტრი ყიფიანის 1887 წელს ძალადობრივი გზით სიკვდილი.

დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალება იყო ეროვნული მნიშვნელობის მქონე პირველი "დიდი სიკვდილი". მან სათავე დაუდო "დიადი გარდაცვლილების" ნაციონალურ კულტს.

ახალი წმინდანების განსვენების ალაგად შერჩეული მთა, წმინდა ადგილს წარმოადგენდა წინა მოდერნის ეპოქიდანვე, თუმც ნაციონალური მობილიზაციის დროს მისი საკრალიზმი ფართოდ აღქმადი ფაქტი გახდა სრულიად საქართველოს მასშტაბით. სიწმინდეს განაპირობებდა არა მარტო ადგილის ოდინდელი საკრალურობა, არამედ სამშობლოსათვის თავდადებულთა საფლავებიც. პირველი ასეთი საფლავი დიმიტრი ყიფიანისა იყო.

აქ დაკრძალულთა წმინდანობა იგულისხმებოდა თავიდანვე: მთაწმინდა ალიქმებოდა, როგორც ერისათვის (=უფლისათვის) თავშეწირულ მამულიშვილთა (=წმინდანთა) განსასვენებელი.[54]

დ. ყიფიანის დაკრძალვა, როგორც ცნობილია, იქცა თავისებურ ანტისამთავრობო დემონსტრაციად ანუ ეს ფაქტი, როგორც ქართული იდენტობის ისტორიაში განსაკუთრებული ნიშნული, თავიდანვე გაცნობიერებული იყო. თუმც უკვე დასრულებული ნაციონალისტური კონცეფციის სახით იგი პოეტურად წარმოგვიდგინა აკაკი წერეთელმა

[54] როგორც ცნობილია, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქული ეკლესიის მიერ მიმდინარეობს კიდეც პროცესი მთაწმინდის "ბინადართა" კანონიზაციისა.

დ. ყიფიანის გარდაცვალებიდან რამდენიმე ხნის შემდგომ, კონკრეტულად, კი 1892 წელს, ლექსში *განთიადი*. აი, ეს სტროფებიც:

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.
დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა:
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა ...
მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს.

რას გვეუბნება პოეტი? პროზაულად ანუ იდენტობის ისტორიკოსის ენით რომ ვთქვათ, აქ თქმული შემდეგია: მთაწმინდა ცას შეჰყურებს და ზეცის თვალიც მასზეა მოპყრობილი. ეს ხომ ჩვეულებრივი მთა არ არის, ეს სამშობლოსათვის თავდადებულის, ეროვნული გმირის, დაფლვის ადგილია; ეს სამარეცა და ეს გმირიც კუთვნილებაა კოლექტივის, რომელიც მარტო ცოცხლებს კი არ გულისხმობს და აერთიანებს, არამედ მომავალი, შესაძლოა, ჯერაც არშობილი შვილიშვილების თაობასაც. სწორედ ასე აღქმული დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და აღსრულების ისტორია, როგორც ვიცით, ქართული ნაციონალური ისტორიოგრაფიული ნარატივის ერთ-ერთ მთავარი "სამშენებლო ბლოკი" ხდება.

ცენზურის გამო *ივერიის* გამოხმაურება აღნიშნულ ფაქტზე ძალიან თავშეკავებული იყო, თუმც კი მყისიერი. გაზეთმა მოახერხა თავისი სათქმელი ეთქვა. კერძოდ, მან მიუთითა, რომ დ. ყიფიანი სრულიად განსაკუთრებული დამსახურების ადამიანი იყო, რომ საეჭვოა მისი გამარცვის მიზნით მკვლელობა, რადგან სულიერი სიმდიდრის გარდა მას არაფერი არ გააჩნდა. ამას ხაზს უსვამს ილია თავის წერილში აშკარად იმის მისათითებლად, რომ საქმე არა გვაქვს უბრალოდ კრიმინალურ ფაქტთან, არამედ პატრიოტობისათვის ანგარიშსწორებასთან. ილიას მიხედვით, დ. ყიფიანს ადგას წამებული გვირგვინი და შარავანდი:

> თავზარის დაცემამდე შემაძრწუნებელი ამბავი დიმიტრი ყიფიანის უბედურად გარდაცვალებისა ჯერ განმარტებული არ არის დაწვრილებით, ვრცლად ჯერ არაფერი ახალი არ შეგვიტყვია. მხოლოდ ეს ვიცით, რომ მოჭირნახულე პატიოსანი მოხუცი მოკლულ იქმნა ბორიტმოქმედთაგან თავის სადგურში, ქალაქს სტავროპოლს. რა უნდოდათ? რას იხარბებ? რას მოელოდნენ ამ ყოვლად გაღარიბებულის და დღემილეული კაცისაგან! მისი სიმდიდრე მარტო ის ორიოდე დღელა იყო, რომელიც ღრმად მოხუცებულს კვლავ დარჩენოდა და ბოროტმოქმედთა თითქოს ესეც შეშურდათ და წაართვეს. ჰქონდა სხვა სიმდიდრეცა, მაგრამ იგი სიმდიდრე წასართმევი და მოსატაცებელი არ არის. ეგ სიმდიდრე მისი სამსახური და ღვაწლია. ეს სიმდიდრე მაგარს ციხეშია და ამ ციხეს ხსოვნა ჰქვიან. ვერავინ შეამტვრევს, ვერავინ შეანგრევს. მაშ, რას დაჰხარბდა სხვას ბოროტმოქმედება ავაზაკისა! მის გახუნებულს და დაძველებულს ტანთსაცმელს? მაგისთვის გაიმეტა ბოროტებამ სიხარბისამ პატივსადები, პატივსაცემი მოხუცებულობა, რომლის წინაშე აფთარიც კი მოწიწებით მუხლს მოიდრეკდა! ... თვალწინ გვიდგა იგი წარმოსადეგი მოხუცი წამებულის გვირგვინითა. მის დიდად მეტყველს და მხნეობით სავსე სახეს ზედ დაჰფენია შარავანდი ტანჯვით მოკლულისა. მისი სამსახური და ღვაწლი ყველას ანდერძსავით აქვს.[55]

ეს წერილი გამოქვეყნებულია 28 ოქტომბერს ანუ გარდაცვალებიდან (25 ოქტომბერი) ორიოდ დღეში და დაკრძალვამდე (8 ნოემბერი). როგორც ვხედავთ, ქართული ნაციონალიზმის მთავარი იდეოლოგის მიერ დ. ყიფიანი თავიდანვე სახელდებულ იქნა წმინდანად და შეიქმნა მისი სიტყვიერი ხატი: "მეტყველი და მხნე სახე" და "შარავანდი", რომელზეც მიუთითებს ილია, არის სწორედ წმინდანის ატრიბუტები. [56] 31 ოქტომბერს გაზეთი აქვეყნდებს ფრაგმენტებს დ. ყიფიანის მოგონებებიდან, საიდანაც ჩანს, რომ განსვენებული ცარიზმის რეჟიმთან შეურიგებელი ყოფილა სიყრმიდანვე. აღნიშნული პუბლიკაციებით *ივერია* ახალი დროის გმირის სახის ჩამოყალიბებაში ეხმარება ქართველობას. და ეს ასეა, მიუხედავად

---

[55] ციტატი მოგვყავს შემდეგი გამოცემის მიხედვით: ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად. ტომი IX, პუბლიცისტური წერილები –1887 (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ც. ყიფშიძემ). თბილისი, ილიას ფონდი, 2006, გვ. 594-595. შდრ. *ივერია*, 1887, # 223.

[56] 2007 წელს ანუ ზუსტად 120 წლის შემდგომ დ. ყიფიანი კანონიზებულ იქნა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ.

წინა წელს მისი რედაქტორის და დ. ყიფიანის მძაფრი დაპირისპირებისა საბანკო საქმეებთან დაკავშირებით.

ქართული იდენტობის სხვა ნიშნულებიც მკვეთრდება ამ დროს. გრძელდება კულტურული უნიკალობის მარკირება. ერთ-ერთი უმთავრესი არტეფაქტი, რომლის გამოყენება ხდება ამ მიზნით, არის *ვეფხისტყაოსანი*. ნაციონალური მობილიზაციის პროცესში ი. ჭავჭავაძე შეუცდომლად ანიჭებს ეთნიკური წარსულიდან დანატოვარ ამ ძეგლს აღნიშნულ მნიშვნელობას. ნაციონალური კონსოლიდაციის ეპოქისათვის დამახასიათებელი კატეგორიული იმპერატივით ილია გამორიცხავს აზრთა სხვადასხვაობას ამ ქმნილების შეფასებისას: *ვეფხისტყაოსანი* ეროვნულია და საკაცობრიოა, *ვეფხისტყაოსანი* ქართველებს მოსწონთ, მაგრამ იგი რეალურადაც შედევრია, ეს აზრი უნდა გააცნობიეროს და გაიზიაროს ყველა ქართველმა. ასეთია ქართული ნაციის "მშენებლის" შეუვალი პოზიცია.

ვეფხისტყაოსანზე მსჯელობისას ილია ჭავჭავაძე არავის არ უთმობს იოტისოდენს. *ვეფხისტყაოსანი* ქართველთა ეროვნული სიამაყის საგნად აქვს მოაზრებული და მისი დაკნინების უფლებას არავის აძლევს. ამ შემთხვევაში მისი სიტყვა სუსხიანია აკაკი წერეთლის მიმართაც, რომ აღარაფერი ვთქვათ, ივანე ჯაბადარზე. ეს უკანასკნელი ილიას მკაცრი განსჯის ობიექტი ხდება.

როცა ვეცნობით ამ, მართლაც სასტიკ კრიტიკას, ვხვდებით, რომ ეს არაა ლიტერატურის ავკარგიანობაზე ან ისტორიაზე ჩვეულებრივი საუბარი. ილია აშკარად მიიჩნევდა, რომ ცდილობდნენ ქართული ნაციის "შენობისათვის" საძირკვლის გამოცლას. მას კი ეს "შენობა" რუდუნებით ჰქონდა ნაგები, მდიდარი ეთნიკური წარსულიდან მოღწეული "სამშენებლო მასალა" კი – საგანგებოდ შერჩეული. ამიტომაა, რომ ამ "შენობის" არათუ ხელყოფის, ხელის უდიერად ხლების ნებასაც არავის აძლევდა.

ამ პერიოდში არ წარმოშობილა განსხვავებულობა დასებს შორის, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინო კი სწორედ ამ დროს გახდა, რომ "თერგდალეულობა" არ იყო ერთიანი მიმდინარეობა. ე.წ. პირველ და მეორე დასების განმასხვავებელ მრავალ ნიშანზე მიუთითებენ მკვლევრები. აზრთა სხვადასხვაობა სპეციალურ ლიტერატურაში, ვფიქრობთ, აჩვენებს არა ამ ორი მიმართულების მკაფიო დელიმიტაციის შეუძლებლობას საზოგადოდ, არამედ ამ ეტაპზე საკითხის სათანადო

შეუსწავლელობას. საქმე ისაა, რომ დასელთა მსოფლმხედველობა მოიცავდა მრავალ ასპექტს. ამიტომაც ძნელდება შერჩეულ იქნეს ის არსებითი, რომლითაც მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ნაციონალისტები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. აი, მაგალითად, როგორ მსჯელობდა მეორე დასის მსოფლხედვაზე საურმაგ კაკაბაძე:

> თავადაზნაურობას ეს მიმართულება უყურებდა მეტად უარყოფითად. მეორე დასისათვის დამახასიათებელია 1873 წელს გიორგი წერეთლის მიერ *კრებულში* დაბეჭდილი წერილი, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ არცერთ წოდებას წარსულში ჩვენი ქვეყნის წინაშე არ გამოუჩენია იმდენი ღალატი და უზნეობა, რამდენიც ქართველ თავადაზნაურობას აქვს ჩადენილი. ძველი დროიდან ჩვენს ქვეყანას ღუპავდა ამ ბოროტი წოდების უსამართლობა, რომ თავადაზნაურობას არა აქვს არც განათლების უნარი, ამიტომ ღარიბდება და კარგავს ფეხქვეშ ნიადაგს. თავადაზნაურობის დასუსტება გიორგი წერეთელს მიაჩნდა თავისი დროის ერთ-ერთ აუცილებელ მოვლენად. მთელ თავის იმედს ის ამყარებდა მშრომელ ხალხზე და განათლებულ ახალგაზრდობაზე.[57]

დამოკიდებულება თავადაზნაურობისადმი, მართლაც, შეიძლება მნიშვნელოვან განმსხვავებლად ჩავთვალოთ დასების დახასიათებისას. შდრ. აბელ კიკვიძის თვალსაზრისი:

> ილ. ჭავჭავაძე და გ. წერთელი ერთმანეთს სცილებოდნენ ეროვნული წამყვანი ძალების გაგების საკითხში. მაშინ როცა გ. წერეთელი უარყოფდა თავადაზნაურობის მნიშვნელობას ერის ცხოვრებაში და გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა მესამე წოდებას, ი. ჭავჭავაძეს შესაძლებლად მიაჩნდა თავადაზანაურობის მრეწველებად გადაქცევა და, ამრიგად, ერის მოთავე განათლებული კაპიტალისტური წყობილების მესაჭე ახალი ძალების წარმოშობა თავადაზნაურობის წრიდან, თუმცა იგი არ უარყოფდა ამავე დროს "მშრომელი ხალხის" ძალას და მნიშვნელობას.[58]

აი, როგორ ხედავს იგივე საკითხს სტივენ ფ. ჯონსი:

---

[57] ს. კაკაბაძე. ქართველი ხალხის ისტორია (1783–1921). თბილისი, ნეკერი, 2003, გვ. 192-193.

[58] ა. კიკვიძე. საქართველოს ისტორია, II. თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1959, გვ. 77.

წერეთლის ტიპოლოგიის სისუსტის მიუხედავად, თერგდალეულებს შორის მაინც შეიმჩნეოდა "გზების გაყრა". ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი სხვებთან ერთად ცარისტული რეჟიმის უფრო მკაცრი კრიტიკოსები იყვნენ. ისინი არ ეთანხმებოდნენ იმას, რომ ილია ჭავჭავაძეს სოციალურად შეგნებული არისტოკრატიის იმედი ჰქონდა და მოითხოვდნენ ახალი ინსტიტუტების, მაგალითად, "ინდუსტრიული ბანკების" დაარსებას სათავადაზნაურო-სააგდგილმამულო ბანკის ნაცვლად.[59]

შდრ. რ. სუნი:

ნიკოლაძე მოძრაობდა ორთოდოქსული ლიბერალიზმის მიმართულებით და მხარს უჭერდა საქართველოს კაპიტალისტურ განვითარებას, ჭავჭავაძე ცდილობდა შეეჩერებინა ქართველი თავადაზნაურობის შემდგომი განადგურება და აეღორძინებინა ინტერესი ქართული კულტურისადმი.[60]

და კიდევ იგივე მკვლევარი:

ნიკოლაძის მსგავსი ლიბერალებისათვის ქართველ თავადაზნაურობას აღარ ძალუძდა შეესრულებინა რამე ისტორიული როლი.[61]

განსხვავებული ხედვა ერის სოციალური არსისა, ვფიქრობთ, მართლაც სპეციფიკური ნიშანია ამ ორი დასის განსაზღვრისათვის. მაგრამ ჩვენი აზრით, მთავარი მაინც ისაა, რომ ამ დასების მეთაურები სხვადასხვაგვარად აფასებდნენ ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის მიმდინარე ეტაპს. ჩანს, ილია, თვლიდა, რომ ქართული ნაციონალური იდენტობის ფორმირება არ იყო დასრულებული და განაგრძობდა მოქმედებას ნაციონალიზმის სამი ფუნდამენტური იდეალის ხორცშესასხმელად: იგი ესწრაფვოდა, რომ საქართველოს ჰქონოდა სრული კულტურული და ნაწილობრივ პოლიტიკური ავტონომიურობა იმპერიის ფარგლებში, ხოლო ქართველობა თავად

[59] ს.ფ. ჯონსი. სოციალიზმი ქართულ ფერებში. სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა. 1883–1917. თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007, გვ. 55-56.

[60] R.G. Suny. The Making of the Georgian Nation (Second Edition). Indiana, Indiana University Press, 1994, p. 132.

[61] R.G. Suny. The Making of the Georgian Nation (Second Edition). Indiana, Indiana University Press, 1994, p. 134.

ერთიანი ყოფილიყო. განსხვავებანი წოდებრიობაში, განათლებაში, სქესში, ქონებაში არ ყოფილიყო დამაბრკოლებელი "ეროვნობისათვის". ამგვარ ჰარმონიულად მოქმედ (თუმცაღა სოციალურად სულაც არა ერთგვაროვან) ჩვენ-ჯგუფს ჰქონოდა ნათელი წარმოდგენა საკუთარი "ვინაობის" შესახებ. ეს ვინაობა (იდენტობა) გულისხმობდა ქართული ერთობის ხანგრძლივ ისტორიას და უნიკალურ კულტურას. ამ მარკერების ფორმირება, როგორც ცნობილია, შეუძლებელია უკიდეგანო პლურალიზმის და ეროვნული ნიჰილიზმის ვითარებაში. ნაციის ეთნიკური ერთობის ხატის შესატყვისად ქმნადობის პროცესი (ნაციის ეთნოცენტრული პროექტი) შიდა აზრთა სხვადასხვაობის მიმართ შეურიგებლობით ხასიათდება. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ილია არ იწყნარებდა იდენტობრივი დელიმიტაციისათვის ფუნდამენტურ საკითხებში აზრთა სხვადასხვაობას.

მეორე დასელები კი, ჩანს თვლიდნენ, რომ ნაციონალიზმის იდეალები მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისათვის განხორციელებული იყო ანუ მათ ქართული ნაცია არსებითად ჩამოყალიბებულად მიაჩნდათ და ზრუნავდნენ კონსოლიდაციის პროცესის ახალ ფაზაზე გადასვლისათვის. ეს მაშინ, როცა ილია, როგორც ვთქვით, ნაციის საძირკველს უბრუნდებოდა განუწყვეტლივ, რათა საერთო ფასეულობები სიმბოლოები, მახსოვრობანი კიდევ უფრო მეტად და განსაკუთრებული სიცხადით გამოეკვეთა, ხოლო ახლად ამოყვანილი იდენტობრივი "კედლებისათვის" დამატებითი გამძლეობა მიენიჭებინა.

შეიძლება ილია ცოტა მეტად ყოვნდებოდა, შეიძლება, მეორე დასელები ცოტა მეტად ჩქარობდნენ. ეს ახლაც ძნელი გასაგებია და, მითუმეტეს, ძნელი მისახვედრი უნდა ყოფილიყო პროცესის უშუალო მონაწილეთათვის. ასეა თუ ისე, ვიმეორებთ, მთავარი სხვაობა პირველ და მეორე დასს შორის, ჩვენი აზრით, სწორედ ეს იყო ანუ ილიას განმტკიცება სურდა შედეგის და პროცესის დაღვინება. ამის შედეგი იყო მისი აქტიური ლოდინის პოზიცია. მეორე დასელები კი ახალი საკითხების დასმასა და მათ ქმედითი ღონისძიებებით გადაჭრისაკენ სწრაფვას მიიჩნევდნენ მომენტის ამოცანად.

სწორედ იდენტობრივი განვითარების ეტაპის შეფასებიდან გამომდინარე ილია უფრო ექსკლუზიურ ერთობას ქმნიდა, რადგან ერთობის დადგინების ეტაპი (და ის თვლიდა, რომ სწორედ

განვითარების ეს ეტაპია) ჯგუფის ჩაკეტილი განვითარების დროა. უფრო ღია ერთობას მოიაზრებდნენ მეორე დასელები.

ერის კონცეპტუალიზაციისას თავადაზნაურობის ადგილის განსაზღვრის საკითხი ძალიან არსებითი საკითხი იყო ქართველი ნაციონალისტებისათვის. ამ წოდების ისტორიული როლის უარყოფით, მეორე დასელები, ფაქტობრივ, ქართული ერთობის წარსულს უარყოფდნენ, რადგან, რაც არ უნდა დიდი ნაკლოვანებები ჰქონოდათ ამ წოდების წარმომადგენელთ, რაზეც ყურადღებას ამახვილებდა გ. წერეთელი, ფაქტი რჩებოდა ფაქტად: ქართული ეთნიკური კულტურა უნიკუმების დონეზე ქართული არისტოკრატიის კულტურა იყო.

ამ პერიოდში (1889 წელს) არის შექმნილი და გამოქვეყნებული ილიას *აი ისტორია*. ჩვენი აზრით, სწორედ ესაა ყველაზე კარგი წყარო აღნიშნული დასების დეფინიციისათვის.

როგორც ცნობილია, *აი ისტორია* წარმოადგენს კრიტიკული წერილების სერიას. მისი უშუალო ადრესატი ივანე ჯაბადარია, მაგრამ მთავარი სამიზნე, ვფიქრობთ, მეორე დასია. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ არანაკლები მწვავე სიტყვები ილიამ ამ პოლემიკის დროს გამოთქვა *Новое Обозрение*-ს პუბლიკაციების მისამართით, რომლის რედაქტორი, როგორც ცნობილია, ამ დროს მეორე დასელთა ერთ-ერთი მეთაური – ნიკო ნიკოლაძე იყო. ი. ჯაბადართან დაკავშირებით *Новое Обозрение*-ს კომენტარი ილიას აღაშფოთებს სწორედ ეთნიკური ისტორიისადმი მისი ინდიფერენტიზმის გამო:

> ჩვენი "წყაზარი გაზეთი" გულმტკივნეულობით ამბობს, რომ ჩვენს დღევანდელ ჭირსა და ბოროტს რიგიანი კაცები არა ჰყავს გასაძღოლადო და ამ კაცების უყოლობაში იმისთანა ძვირფას დროის და ღონის პატრონი, როგორიც "ნარ-დონია", როდი უნდა მოსცდეს რაღაც ძველ-ძულების ძონძებისთვისაო და თუ მაინდამაინც მოსცდება, კიდევ მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის ისტორია საქართველოსი მიეტევებაო, რომ გამოიძიოს და გამოარკვიოსო. როგორ? სხვა საუკუნოებიღა რად უნდა მიგვაფუჩეჩებინონ, რაკი ჩვენის ისტორიის კვლევასა და გამოძიებაზეა საუბარი. ორში ერთია: ან ის სხვა საუკუნოები სულ არა ყოფილან, თორემ რა სათქმელია, სამი ათასის წლის ისტორიაში მარტო ორის უკანასკნელის ავკარგიანობა გეპატიება, რომ იკვლიო და იცოდეო? [62] (## 375, 376)

[62] ციტატი მოგვყავს შემდეგი გამოცემის მიხედვით: ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტომი 9. პუბლიცისტური წერილები. 1887..

ქართული საზოგადოების ჯაბადარის პუბლიკაციისადმი ყურადღების პროვოცირება ილიას შემწეობით მოხდა. თავისი ზერელე მიდგომით საკითხისადმი, დაუსაბუთებელი დასკვნებითა და ზოგჯერ აშკარა ფაქტობრივი შეცდომებით, ჯაბადარი კარგი საშუალება აღმოჩნდა, იმისათვის, რათა ილიას თავისი სათქმელი განსაკუთრებით შთამბეჭდავად და რეზონანსულად ეთქვა.

ცარიზმის შეტევა ქართული ენის წინააღმდეგ გრძელდება ამ პერიოდშიც. ამ შემოტევებს თავის პუბლიკაციებს უპირისპირებს *ივერია*. გრძელდება ბრძოლა "შინაურ სხვებთანაც".

1888 წელს ქვეყნდება ილიას *ოთარაანთ ქვრივიც*, რომელიც, აგრეთვე, ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგიის უმნიშვნელოვანეს ტექსტს წარმოადგენს. მასში ისმის ნაციონალური კონსოლიდაციისათვის უაღრესად საჭირბოროტო საკითხი: ესაა ქართველი ერის შემადგენლობის საკითხი. ვინ წარმოადგენს ქართველ ერს? ილიას მიხედვით, ესაა მუყაითი და ზნეობრივი, ტრადიციის შემნახველი ქართველი გლეხი და ევროპულად განათლებული, ჰუმანური, ახლებურად მოაზროვნე ქართველი თავადაზნაურობის ახალი თაობა. ეს წოდებები ერთი ერის ორი ნაწილია, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მათ შორის დამაკავშირებელი ხიდი ჩატეხილია.

1887 წელი

რედაქტორ-გამომცემელია ილია ჭავჭავაძე.

გამოდის იმავე პროგრამით, როგორც 1886 წელს გამოდიოდა.

ხოლო თუ რა მდგომარეობა იყო საჯარო კულტურის განვითარების მხრივ ჩვენში, ამაზე მეტყველებს მესამე ნომერში იაკობ სვიმონიძის (ი. გოგებაშვილი) ავტოროზით გამოქვეყნებული წერილი. მისი სათაური *ჩვენი სისუსტე* მიგვანიშნებს, რომ საქართველოში აღნიშნული თვალსაზრისით არც თუ სახარბიელო მდგომარეობა ყოფილა. კორესპონდენტი შეეცადა დაედგინა თუ რამდენი მკითხველი ჰყავდა *ივერიას* საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. გამოირკვა, რომ სხვადასხვა კუთხეში მოთხოვნილება სხვადასხვაგვარი იყო. ეს მონაცემები, ავტორის აზრით, საინტერესოა, ერთის მხრივ, ჩვენი

მთავარი რედაქტორი გ. ბენაშვილი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ც.ყიფშიძემ. ილიას ფონდი, 2006, გვ. 375-376.

ქვეყნის გონების მოძრაობის ხარისხის წარმოსაჩენად; მეორე მხრივ, იმის გასარკვევად თუ რომელი კუთხეა ჩამორჩენილი განათლების თვალსაზრისით.

ყველაზე მცირე მკითხველი *ივერიას* რედაქტორის მშობლიურ კუთხეში, კახეთში ჰყოლია. ასეთი შედეგის მიზეზად დასახელებულია შინაგანი მოთხოვნილების ნაკლებობა, ვინაიდან კახეთში ასევე ნაკლები ყოფილა სასკოლო წიგნებზე მოთხოვნილებაც. ასევე მცირე მკითხველი ჰყოლია *ივერიას* ქუთაისის გუბერნიაში, ზუგდიდში, ბათუმში. თუმც, შენიშნულია, რომ ქართულ წიგნებზე ზუგდიდში დიდი მოთხოვნილება იყო. აქ დიდი და პატარა გონებრივ საზრდოს ეტანებაო, – აღფრთოვანებით აღნიშნავს ავტორი და დასძენს, კარგი იქნებოდა, რომ ქუთაისსა და ბათუმს ზუგდიდიდან აეღოთ მაგალითი.

ცხადია, ეს აქცენტი ზუგდიდზე არ არის შემთვევითი. 80-იან წლებში, როგორც ცნობილია, ცარიზმის პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას საქართველოში წარმოადგენდა დანარჩენი ქართველობისაგან მეგრელების მოწყვეტა. ამას ის, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის ამოძირკვით ცდილობდა ამ კუთხეში. ამიტომაც ი. გოგებაშვილი საჭიროდ მიიჩნევს ხაზი გაუსვას, რომ ქართული წიგნის კითხვის თვალსაზრისით ზუგდიდი სამაგალითოა.

ყველაზე მეტი დაინტერესება *ივერიით* გამოვლენილა ქართლში, რომელიც ასევე გამორჩეული ყოფილა ქართული ლიტერატურაზე მოთხოვნილებითაც და აქაური თავადაზნაურობის მონდომებითაც, რომელსაც სწავლა-განათლების შემწეობისათვის 20000 თუმანი გაუღია, მაშინ, როცა ამ თვალსაზრისით ლიხთიმერი ლაპარაკსაც ვერ ბედავს, ხოლო კახეთი 2000 თუმანს თუ იმეტებსო. საყურადღებოა, რომ ამ დროისათვის რუსეთის უნივერსიტეტებში შვიდი ქართველი ყოფილა პროფესორად და თითქმის ყველა ქართლელი.

თუმცა ქართლი გამორჩეული ყოფილა გაზეთის ხელმომწერებით და ლიტერატურის მოთხოვნილებითაც, მაგრამ საერთო სურათის გამორკვევით თვალსაჩინო გახდა ქართველთა გონებრივი მოძრაობის სავალალო მდგომარეობა. კორესპონდენტი გულისტკივილით კითხულობს: 'რას გააწყობს რამდენიმე ასი ცვარი წყლისა უდაბურს სახარაში? რა სულის ჩადგმა შეუძლია ლიტერატურისათვის ამ პაწია გუნდს მკითხველებისა?' (# 3).

ამ წერილის სათაურიც იპყრობს თავად ყურადღებას. ქართული ერთობა არის "ჩვენ", რომელსაც აქვს ხასიათის საერთო ნიშანი, კერძოდ, "სისუსტე".

ამავე მიზანს ანუ საერთო ქართული ხასიათის წარმოჩენას ემსახურება სხვა პუბლიკაციაც. *ივერია* ილაშქრებს *დროებაში* გამოქვეყნებული მასალის წინააღმდეგ. ირონიით არის გადმოცემული ერთი შემთხვევის ისტორია. *ივერიის* ერთი უწყინარი შენიშვნა, რომ "Нашатырь" "ქაფური" არ არის, "Купоросъ" – "კვიპაროსი" და "ქარი" – "ხოლერა", *ცისკარს* შურიანობად მოუნათლავს: აი, ქართველები სულ ასეთები ვართ! ჩვენ რა ეშმაკი გაგვასწორებს! ერთმანეთს ორმოს ვუთხრითო, – *ივერიას* საყვედურობდა თურმე *ცისკარი*. ამის პასუხად *ივერიის* პუბლიკაციაში მთელი სიმძაფრით არის წარმოჩენილი ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული უზნეობა და გულისტკივილით შენიშნულია, რომ ჩვენი უბედურების მიზეზი ჩვენივე უკეთურებაა. მაშინ, როდესაც ირგვლივ ასეთი უქონლობა და უღონობაა, თეატრი, სკოლები შემწეობას ითხოვენ, თავს არავინ იწუხებს ქვეყნის კეთილდღეობისათვის და თუ ვინმე იწუხებს, იმასაც დასცინიან (# 2).

მედია-საშუალებებთან ერთად, საჯარო განათლების ამაღლებაში მნიშვნელოვანი როლი სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრებს უნდა შეესრულებინათ. *ივერიაში* კვლავ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-განათლების საკითხთან დაკავშირებულ პრობლემებს. როგორც აქ გამოქვეყნებული მასალებიდან ვიგებთ, ბევრი ხელისშემწყობი ჰყავდა ამ მიმართულებით გაშლილ საქმიანობას, იხსნებოდა ახალი სასწავლებლები, საზოგადოება სწირავდა თანხას სწავლა-განათლების საქმეს. შეძლებული ქართველები თვლიდნენ, რომ მათ საზოგადო მოვალეობაც ეკისრებოდათ. ხაზგასმულია, რომ ერი მაშინ არის ბედნიერი, როდესაც მის სამუდამო საქმეებს ბევრი თანამგრძნობი ჰყავს. საუბარია იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო გაბრიელის, წინამძღვრიშვილის, სამეგრელოს თავადის ნიკოლოზის, გიორგი ქართველიშვილის, იულია კალატოზიშვილის კეთილ, სამაგალითო, საქმეებზე (# 4).

ერის წევრობა, ერისათვის თავდადება, მისი "სამუდამო" საქმეების კეთება სრულიად განსაკუთრებულ საზრისს ამლევს ქართული ერთობის წევრთა ცხოვრებას.

დიდი მოძრაობა იყო გაჩაღებული ხალხში ცოდნის ამაღლების თვალსაზრისით. 'ყველანი სიხარულით გაიძახოდნენ ჩქარა დავუახლოვდებით განათლებულ ერსაო', – აღნიშნავს მეექვსე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში კორესპონდენტი ა. ჯუღელი სოხუმიდან. მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, რომ სასწავლო დაწესებულებები საზოგადოების გულშემატკივრობას მოკლებულნი, ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ბეჭდურმა მედიამ თავის თავზე აიღო სასწავლებლების ხელშეწყობისათვის პროპაგანდა. *ივერია* ისევ ქართველთა სიფხიზლის სადარაჯოზე დგას და მიძინების უფლებას არ აძლევს ქართველ საზოგადოებას. მოუწოდებს სრულიად ერს, ვისაც სწავლა-განათლებაზე გული შესტკივა, სკოლების გასაუმჯობესებლად შესაბამის ღონისძიებებს მიმართონ (# 5).

ინტელექტუალურმა ჩამორჩენილობამ დააფიქრა და შეაშფოთა საზოგადოება. ნელ-ნელა იმატა საქვეყნო საქმეებისათვის დახმარების სურვილმა. ერთ-ერთ მომდევნო ნომერში ვხვდებით სასწავლებლების შემწეობისათვის გამართული წარმოდგენების შესახებ ინფორმაციას. მაგალითად, მერვე ნომერში გამოქვეყნებულია წერილი *ხმა პროვინციიდან*, რომელიც გვატყობინებს წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის შეწევნისათვის გორში გამართული წარმოდგენის შესახებ. ავტორი ფსევდონიმით "პროვინციალური მეთვალყურე"[63] ამავდროულად ფრიად საინტერესო საკითხსაც ეხება. სტატიაში, ერთი მხრივ, მადლიერებაა გამოთქმული სწავლა-განათლების შემწეობისათვის გამართული წარმოდგენების გამო, ეს თავისთავად საყურადღებო ფაქტია; მაგრამ, მეორეს მხრივ, ავტორი აღშფოთებას გამოხატავს იმის გამო, რომ ასეთი წარმოდგენების გამართვამ შეიძლება ზიანი მოუტანოს საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებას, რადგან წარმოდგენებმა თავისი მაღალი დანიშნულება უნდა შეასრულოს – ესთეტიკური გრძნობათა აღზრდის როლი უნდა იკისროს თეატრმა. კონკრეტულად, ავტორის გაკიცხვის საგანია გორში წარმოდგენილი ვოდევილები, რომლებიც მხოლოდ საზოგადოების თვალის და ყურის გართობის ფუნქციას ასრულებს და, საბოლოო ჯამში, ზიანს აყენებს ამავე საზოგადოებას – იწვევს აზრისა და გონების უმოძრაობას და მიძინებას.

[63] სოფრომ მგალობლიშვილის ფსევდონიმი იყო პროვინციელი მათვალიერებელი.

ავტორი მოუწოდებს თეატრის მესვეურებს, რომ ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან აღებული სცენები წარმოუდგინონ საზოგადოებას (# 8).

როგორც არაერთხელ გვქონდა აღნიშნული, თეატრს განსაკუთრებული ადგილი უკავია ნაციონალისტური რენესანსის დროს, რადგან ნაციონალური ენის საჯარო გამოყენების საშუალებას იძლევა. 1887 წლისათვის ქართულ სასცენო ხელოვნებას მნიშვნელოვანი ტრადიცია ჰქონდა, უკვე დადგმული იყო დ. ერისთავის *სამშობლოც* (1882 წელს). ასე რომ, სრულიად ბუნებრივია, რომ *ივერიის* კორესპონდენტს არ აკმაყოფილებს მარტოოდენ ის, რომ საქველმოქმედო სპექტაკლები ქართულენოვანი იყო, მას სურს, რომ ისინი შინაარსითაც ქართული იყოს და ერის წრთობასაც ემსახურებოდეს. თეატრის, როგორც გართობის, უბრალოდ დასვენების საშუალების გაგება (ასე ბუნებრივი დღეს) უცხო იყო მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ნაციონალისტებისათვის, რომელთაც წილად ხვდათ ყოფილიყვნენ ქართული ერთობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესის აქტორები.

აქვე იბეჭდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გაწეულ საქმიანობაზე – ინფორმაცია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართული წიგნების გავრცელების შესახებ. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღფრთოვანებას ვერ ფარავს ბათუმელი კორესპონდენტი, რადგან მოძრაობის მიზანი ქვეყანაში არსებული უწიგნურობის დაძლევა იყო.

ცოდნის "მადლიანობის" თემა გრძელდება მეათე, მეთორმეტე, მეცამეტე, მეთექვსმეტე, მეთვრამეტე ნომრების რუბრიკაში *ფელეტონი* წერილების სერიით *ძმური სიტყვა* (ავტორი ხელს აწერს ფსევდონიმით მაჩხანელი – დიმიტრი ნადირაძე), სადაც ხალხის გაუნათლებლობა მიჩნეულია ყოველგვარი გაჭირვების სათავედ. უმეცრების მსხვერპლად კი ძირითადად გლეხებია დასახელებული, რომელთა შორისაც სათანადო ცოდნის უქონლობის გამო ათასგვარი უაზრობა ყოფილა გავრცელებული. მათ ატყუებდათ ყველა განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა: ვაჭარი, მოხელე, აზნაური თუ მღვდელი. გარდა ამისა, სხვა საშინელი სენიც ყოფილა გავრცელებული გლეხობაში: ისინი ადვილად მოექცეოდნენ მკითხავის გავლენის ქვეშ, ცრუ-რწმენები არსებობდა სხვადასხვა ავადმყოფობასთან (ბატონები, მუხლის ქარი, ასევე, სუბსარქისის მარხვის წესი) დაკავშირებით (## 10, 12, 13, 16, 18).

აღნიშნული სერიის ერთ-ერთი წერილი ვაჭრების საქმიანობას შეეხება. მოთხრობილია რამდენ სისაძაგლეს ჩადიოდნენ ფულის დაგროვების მიზნით. ვინ სასწორში და ანგარიშში იტყუებოდა, ვინ მკვიდრთა უმეცრებას იყენებდა.

'აქაურს, რომ ჭკვა ჰქონდეს, ჩვენი კაცი მშიერი მოკვდება ... ერთი ისეთნაირად გაღლეტილი და გასაფუჭებელი რამ ვიყავ, რომ თვითონ ანტიქრისტეც ვერ მოდიოდა ჩემი ოხტიდან. რას იქმ ძმავ, თუ ვაჭარი ხარ ნამდვილი ვაჭარი უნდა იყო ... მაშ როგორ გგონია ის ატაჟები რომ წამოვჭიმე ლუკმის ნატრულისშვილმა ...' – მაჩხანელი აწვდის მკითხველს ნაწყვეტებს სხვადასხვა ვაჭრის მონათხრობიდან, რათა ნათლად წარმოუდგინოს მათი არასიმპათიური სახეები. ვაჭრების უსინდისობა იმდენად ფეხმოკიდებულად მიაჩნია ავტორს, რომ ადამიანს აფიქრებინებს, რახან სხვა რჯულისანი იყვნენ, ამიტომ იქცეოდნენ ასეო. მაგრამ, ავტორის განმარტებით, აქ რჯულის სხვადასხვაობა არაფერ შუაში იყო. ვაჭრები განა მარტო ქართველებს ატყუებდნენ, თავიანთი რჯულის ხალხს უფრო უარეს დღეში აყენებდნენ.

ამასთან ავტორი შენიშნავს, რომ თუ ისინი სომხები იყვნენ, ჩვენი ქართველი მოხელეები რად ჰღალატობდნენ ღმერთსაც და კაცსაც და რად აღუპინებდნენ საცოდავ მოძმე გლეხებს. არც რჯული და არც გაუნათლებლობა იყო ამის მიზეზი. მიზეზი ის იყო, რომ არ იყვნენ ღვთის მოშიშები, პატიოსნები და კაცთმოყვარე (# 24).

მოხელეების უზნეობა, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. ამიტომ *ივერია* ხშირად ეხებოდა მათ საქმიანობას, ამჯერად, განხილვის საგანს წარმოადგენენ სასამართლო მოხელეები. აღტაცებით გვიყვება ილია *მეთაურ წერილში* სახელმწიფო მოხელის მისაბაძი მოღვაწეობის შესახებ. თავადი იასე ანდრონიკაშვილის საზოგადო საქმისადმი პატიოსანი და კეთილსინდისიერი, დაუზარელი და უანგარო სამსახური სხვათათვის მაგალითი უნდა ყოფილიყო (# 7). და ეს მაშინ, როცა *ივერიისავე* მონაცემებით ირგვლივ საშინელი უსამართლობა იყო გამეფებული.

იმავე ნომერში ჩვეული სარკაზმით არის აღწერილი სასამართლო საქმიანობა კორესპონდენციაში *წერილი კუდიანეთიდან*. მას ხელს აწერს ფსევდონიმით "საფამფსოფონიფი" (სამსონ ყიფიანი). სასამართლო უწყების მოღვაწეობა წარმოდგენილია კუდიანეთში გურჯეთიდან მობრძანებული სულების აღსარებით. ცხოვლად არის აღწერილი

გურჯი ადვოკატის აღსარება, ის თუ როგორ იქცა იგი კუჭის მონად, როგორ დაივიწყა ნათესავი, მეზობელი, ერი, საზოგადოება, სანაცვლოდ როგორ დაიწყო ღმერთის გმობა და *ათი მცნების* პირველი სტრიქონის შებრუნებულად შესრულება – 'ყოველთვის გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა' (# 7).

ქართული ერთობის ნაციონალური კონსოლიდაციის, "შემსჭვალვის", პროცესების გასაგებად საყურადღებო ისტორიული წერილებია გამოქვეყნებული *ივერიაში.* ქართული ერთობის ისტორიული ფესვების კვლევის თვალსაზრისით აღსანიშნავია, გაზეთში *Сборник газ. Кавказъ* გამოქვეყნებული ს. ბარათაშვილის წერილი *ისტორიული შენიშვნა*, რომელიც დაბეჭდა *ივერიამ.* წერილში აღნიშნულია, რომ საქართველო ოდითგანვე მდიდარი ქვეყანა იყო, გამორჩეული, როგორც ადგილ-მდებარეობით, ასევე, მდიდარი ბუნებით. საქართველოში ხვნა-თესვა იყო გავრცელებული, ამიტომაც ამ ქვეყანას უცხოელებმა "გიორგია" დაარქვეს და ქართველს "გიორგიელი" (მიწის მხვნელი) უწოდეს. ავტორი აღნიშნავს, რომ ბუნების და ჰავის არაერთგვაროვნებამ ვერ შეძლო ქართლოსიანთა მოდგმის დაშორება-დაცალკავება. ქართლოსიანთა მოდგმას ემჩნევა ერთნაირი ბუნებრივი სახე, შეუნახავს ერთი და იგივე ჩვეულება, წადილი, მიდრეკილება. აქვეა საუბარი ფარნავაზის დროინდელ ქართული საზოგადოების სოციალურ სტრატიფიკაციაზე. ავტორის თვალსაზრისით, მაშინ დიდი სხვაობა არ ყოფილა წოდებათა შორის. ქართველთა ყოველი წოდების შემაერთებელი ძალა იყო: ერთგვარი ზნე-ჩვეულებანი, რჯული და ენა (# 9).

როგორც ვხედავთ, ნაციონალურ მარკერთა სიაში შემოყვანილია "რასობრივი" ნიშნებიც: ქართველობა ეს არის მოდგმა, რომელსაც აქვს უძველესი დროიდან მომდინარე საერთო ნიშნები. აღნიშნული მიდგომა, ცხადია, პრიმოდიალური მიდგომაა, მაგრამ საზოგადოდ ნაციონალისტის მიერ მშობლიური ერთობის მოაზრება, როგორც წესი, პრიმორდიალურია.

ამგვარი ნაშრომების გამოქვეყნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლამ უარყოფითად იმოქმედა ისტორიის წერის ტრადიციის განგრძობადობაზე. შეწყდა *ქართლის ცხოვრების* გაგრძელება. ეს მოვლენა *ივერიაში* ახსნილია იმ გარემოებით, რომ საქართველოს ისტორია რუსეთის ისტორიას შეუერთდა და საქართველოს მემატიანის მოვალეობა

რუსეთის მემატიანეზე გადავიდა. რუსი მემატიანენი კი თავიანთ ისტორიებში საქართველოს ისტორიას მცირე ადგილს უთმობენ, რაც, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებდა ქართულ ინტელიგენციას. ამიტომაც *ივერია* იწყებს საქართველოს შესახებ საისტორიო თხზულებების გამოქვეყნებას *საისტორიო საბიბლიოგრაფიო წერილების* სერიით. ამ განყოფილებას უძღვება მ. ჯანაშვილი. გაზეთის მეთვრამეტე ნომერში მოცემულია დ. ბაქრაძის ნაშრომის *არქეოლოგიური მოგზაურობა გურია-აჭარაში* განხილვა.

მ. ჯანაშვილი აზრით, მნიშვნელოვანია რომ დ. ბაქრაძის ნაშრომში ხაზგასმით არის საუბარი საქართველოს ტერიტორიაზე; კერძოდ, განმარტებულია, რომ საქართველოდ იწოდებოდა: ალბანია, ივერია, კოლხიდა, მესხეთი და ტაოს-კარი. ოდითგანვე საქართველო გარშემორტყმული იყო ბარბაროსებით. მიუხედავად ამისა, მან დაიცვა თავისი წყობილება, ჰქონდა საკუთარი მმართველობა, საკუთარი სამართალი, თავისი წოდებრივად მოწყობილი აგებულება, თავისი საერო და ეკონომიკური ყოფა-ცხოვრება, სკოლა-სასწავლებლები. იმის გამო, რომ ერი საოცრად სიცოცხლისუნარიანი იყო, ქართველნი იტანდნენ ყოველგვარ უბედურებას და დიდი ხალისით ეკიდებოდნენ განათლებას (# 18). რეცენზენტი ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ დ. ბაქრაძის გამოკვლევაში მოცემულია პასუხი სომეხი მეცნიერების იმ შეხედულებაზე, რომლის მიხედვით მთელი ჭოროხის ხეობა სომხეთის პროვინციებს შეადგენდა. მკვლევარი ქართული სახელწოდებების არსებობას აჩვენებს მთებისა, ადგილებისა, ქალაქებისა და ტაძრების ქართული სახელწოდებების, წარწერების მიხედვით; რისთვისაც ეპიგრაფიკული მასალის გარდა იყენებს სიგელ-გუჯრების მონაცემებსაც (# 26).

სახელდახელო – ყბად-ასაღები – წყალ-წასაღები ამბავი ქალთა საკითხს ეხება. მეორე ნომერში ქვეყნდება არტემ ახნაზაროვის (ორანის ფსევდონიმით) გამოხმაურება *ივერიის* ფელეტონისტის მიერ გაკიცხული ქალების თაობაზე. ჩვეული იუმორითაა აღნიშნული, რომ მაშ, რა ქნას დედაკაცმა თუ მთელი თავისი ყურადღება თავის გარეგნობას არ მიაქციოს, როდესაც ცხადად ხედავს, რომ მარტო იმის თვალებსა და "ფეფეებზეა" კაცების ყურადღება მიქცეული. აქვეა ჩართული ამერიკელი ქალების მიერ *დაბადების* ახალი თარგმანის წამოწყების ინიციატივის შესახებ ინფორმაცია. წერილი

მთავრდება ირონიული შეკითხვით: საკვირველია ამ მოძღვრებას (ქართველი ქალებისას) თუ როგორ გაქცევიან ამერიკის ქალები და მართლა ადამიანური საქმისთვის როგორ მოუკიდნიათ ხელი (# 2).

ქალები გაკრიტიკებულია მეთვრამეტე ნომერშიც, კერძოდ, წერილში *ძმური სიტყვა*, სადაც ქალების გართობა-მხიარულებისკენ მისწრაფება ახსნილია მათი გაუნათლებლობით და უცოდინარობით (# 18). ვინაიდან ქალი ოჯახის ბურჯს წარმოადგენს და მასზეა მეტწილად დამოკიდებული ოჯახის წინსვლა და წარმატება, აქედან გამომდინარე, აღნიშნული წერილის დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ ქალთა განათლების საკითხი საზოგადოების დაფიქრების და განსჯის საგნად ქცეულიყო. ქალთა ემანსიპაციის საკითხი, რომ ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესთან დაკავშირებული საკითხია, ამაზე ზემოთ უკვე ითქვა. აქ სხვა მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას: "გართობა" კვლავ დაგმობილია. ამ ეპოქაში, ეს ფუფუნებაა, რომლის უფლება მორალურად ქართველობას არა აქვს. ცხოვრების საზრისია არა სიამოვნება, არამედ ერის სამსახური.

ქალის თემა, სხვა საყურადღებო საკითხებთან ერთად, გრძელდება რუბრიკაში *ფელეტონი.* აღნიშნული რუბრიკის *ეთნოგრაფიული წერილებში* წარმოდგენილია საქართველოს კუთხეების მიმოხილვა. ამჯერად მერვე, მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე ნომრების რუბრიკა ეძღვნება ხევსურეთს, აქ გავრცელებულ ჩვეულებებს, ტრადიციებს. წერილიდან ირკვევა, რომ ამ კუთხის მცხოვრებთა შემაკავშირებელ ძალას თემობა წარმოადგენდა და სარწმუნოებრივი მიმართულება ახასიათებდა, რომლის გადმონაშთები საკმაოდ ძლიერი ყოფილა ამ დროისათვისაც. რადგან სათემო კავშირს დიდი გავლენა აქვს ხევსურის ცხოვრებაზე და მის ოჯახობაზე, ყურადღება გამახვილებულია საოჯახო რჯულ-ჩვეულებაზე. შენიშნულია, რომ ხევსურის ოჯახი უფრო ეკონომიკური კავშირია, ვიდრე ზნეობრივი, ეკლესიური. წერილი საინტერესოა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თემის ქალისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისითაც. ხევსურეთში თემი ქალის მფარველია, დიდ პატივს სცემს ქალის მანდილს. ორ თემს შორის შუღლის დროს თვით ძლიერი თემიც კი მუხლს იდრეკს მანდილის წინ. აქვე მოცემულია ხევსური ქალის ხასიათი – მამაცი, ძუ ლომს არის შედარებული, მის ყოველ მოძრაობაში ამპარტავნება, თავისთავზე მსასოებლობა იხატება. ის ისეთივე მრისხანეა, როგორც ბუნება,

რომელიც მას გარშემო არტყია. ავტორის ყურადღებას იქცევს ფშაველი ქალის გარეგნობაც, ახოვნება, გმირული სახისმეტყველება. 'მას უმიზეზოდ ვერას გაუბედავთ, ქალის შეურაცხყოფა ადვილი საქმე როდია. თვითონ ქალი გაგცემთ პასუხს'. ეთნოგრაფიულ წერილში საუბარია ხევსურულ სამართალზეც. აქაც ჩვეულებითი სამართლის დომინანტობაა ხაზგასმული. ამის მიზეზად დასახელებულია ხალხის იურიდიული აზრის განუვითარებლობა (## 8, 14, 15).

როგორც ადრე მივუთითებდით, მთა, ხევსურეთი არის ის ადგილი სადაც ქართველ ნაციონალისტს ეგულება ქართველობის ფესვები, მისი თავდაპირველი საუნჯე. ამიტომაც მიაპყრობს ამ კუთხეს მზერას დროდადრო.

გაზეთის ერთ-ერთ რუბრიკას, როგორც ითქვა, წარმოადგენს *დაბა და სოფელი*, სადაც მკითხველს მიეწოდება ინფორმაცია საქართველოს სხვადასხვა სოფლების ყოფით ცხოვრებაში არსებული პრობლემების შესახებ. ასე მაგალითად, მეოთხე ნომრის კორესპონდენციის მაგალითზე ვიგებთ დაბა სურამში სკოლის არარსებობის შესახებ. აქვე დასმულია საკითხი ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ხალხში განათლების გავრცელების საჭიროებაზე (# 4).

მომდევნო ნომრის აღნიშნული რუბრიკა კი ლეჩხუმის მაზრაში არსებულ პრობლემებს, სვანეთში გავრცელებული სისხლის აღების ტრადიციის მოშლის აუცილებლობას შეეხება. როგორც ვხედავთ, მკვლელობის ფაქტის უარყოფა ხდება მიუხედავად მრავალ წერილში მთის იდეალიზაციისა. საუბარია სასოფლო გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის გახსნის საჭიროებაზე, რომლის ინიციატორად დასახელებულია ალიშბაია (# 5).

სიღნაღის მაზრის მაგალითზე კი ნაჩვენებია ქართულ სინამდვილეში არსებული მოვლენის – ოჯახების გაყრის – უარყოფითი შედეგები. გაყრა მიჩნეულია ქართული ოჯახების ცხოვრების დონის დაცემის უმთავრეს მიზეზად. ამის დასადასტურებლად მოხმობილია ზემო მაჩხაანში მცხოვრები გოგიშვილების გაუყოფელი ოჯახის სიძლიერე. როგორც ჩანს, ამ მოვლენამ იმდენად ცუდად იმოქმედა გლეხკაცთა ყოფა-ცხოვრებაზე, რომ მთავრობამ აკრძალა სოფლის ყრილობის ნება დაურთველად ოჯახების გაყრა (# 21). თუმცა რეალურად ამ გადაწყვეტილების გატარება ჭირდა. ამიტომაც *ივერიამ* განგაში ატეხა საზოგადოებისათვის ამ მავნე სენის გავრცელების გამო და მოუწოდა

მთავრობას დროულად აემოქმედებინა გაყრის თაობაზე მიღებული დადგენილება.

გაზეთის ფურცლებზე ცხოვლად არის წარმოდგენილი საქვეყნო საქმეებზე ზრუნვას მოკლებული საზოგადოების წევრები. მეთვრამეტე ნომერში გამოქვეყნებული წერილში *რა ვარ მე* ნათლად არის წარმოჩენილი "მე", რომელსაც ყოველგვარ საზოგადო საქმის ზრუნვაზე ხელი აუღია და მხოლოდ პირადი სიმდიდრის გაზრდით არის დაინტერესებული. საკუთარ "მე"-ში ჩაკეტილი ადამიანის თემა გრძელდება მეცხრამეტე და მეოცე ნომრების ფელეტონში *თავადი იერონიმე* (ავტორი ს. მგალობლიშვილი). აქ გაკიცხულია ადამიანი, რომელიც სიმდიდრის დაგროვებაზე ზრუნვამ პირსისხლიან არსებად აქცია. თავადი იერონიმე ისე იყო გადაგვარებული, რომ ადამიანთა კვნესა მისთვის სულის შვება იყო, ხოლო ადამიანთა სულის შვება მისთვის კვნესა. იგი მისტიროდა ბატონყმობას. სახლში ის სურათი ჰქონდა ჩამოკიდებული, სადაც აღბეჭდილი იყო თუ როგორ აძრობენ ტყავს მონას. იხსენებს, თუ როგორ სცემა ახალგაზრდობაში ნადირობისას შეხვედრილი გლეხი ცხენიდან ჩამოუსვლელად მისალმებისათვის. ერთხელ იერონიმე ყრილობაზე მოხვდა, სადაც სწავლის საჭიროების განხილვა მიმდინარეობდა. ყრილობის მონაწილეები მიესალმნენ წარმოდგენილ საკითხს და უხვად გაიღეს შემწეობისათვის თანხები. სწავლამ დაღუპა ქვეყნიერებაო, – გაიძახოდა იერონიმე. საბოლოოდ კრებიდან გაიპარა, რადგან მხარდამჭერები ვერ ჰპოვა, შერცხვენილი იერონიმე ხალხმა შემდეგი სიტყვებით გააცილა დარბაზიდან 'და ილტვოდნენ სირცხვილით ურიანი' (# 19, 20).

ამ პუბლიკაციის მოტივაციაც გამჭვირვალეა: ჩამოყალიბდეს საერთო, საზოგადო საქმით შეკრული ნაციონალური ერთობა, რომლის წევრებს გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი ვალდებულება დანარჩენების მიმართ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გაზეთის მეთაური წერილები. ამ რუბრიკაში რედაქტორის განსჯის საგანს წარმოადგენს ქვეყნის საზოგადო ცხოვრება და უცხო ქვეყნის მაგალითით სასარგებლო რჩევებს სთავაზობს საზოგადოებას. მოცემულია მოსაზრება, თუ როგორ შეიძლება თავი დააღწიოს საქართველომ უკიდურეს გაჭირვებას, რამ შეიძლება წინ წასწიოს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა. ასე მაგალითად, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ნომრებში წარმოდგენილია

სამიწათმოქმედო კულტურის, კერძოდ, პურის მოსავლის შესახებ მსჯელობა. საუბარია ამ თვალსაზრისით სხვადასხვა ქვეყნების დაწინაურების შესახებ, რაც განპირობებული იყო სამეურნეო მანქანების, განათლების, ტრანსპორტირების საკითხის მოგვარებით. აქვე განხილულია ვაჭრობის საკითხიც. აღნიშნულია, რომ წარმატებულ ქვეყნებში მოსავალიც დიდია და აღებ-მიცემობაშიც პატიოსნებაც დიდ საქონლად მიაჩნიათ, სამერმისოდ საქმეს არ იფუჭებენ. განსხვავებულია ქართველი ხალხის ვაჭრობისადმი დამოკიდებულება. მითითებულია, რომ ჩვენში ვაჭრობა მოტყუებაზეა დამყარებული და არა საქონლის სიკეთით და სიიაფით მუდმივი მუშტრის გაჩენის ზრუნვაზე, რაც კიდევ ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად არის დასახელებული ჩვენი პურის მსოფლიო ბაზარზე გასატანად. საყურადღებოა, რომ მარტო ის არ არის მთავარი მიაღწევს თუ არა წარმატებებს ამა თუ იმ დარგში ქვეყანა, ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ ზნეობა და პატიოსნება არ დაკარგოს ქართულმა საზოგადოებამ, მხოლოდ ზნეობის და პატიოსნების ძლიერებით შეძლებს ქვეყანა წინსვლას. ავტორი ამ ყველაფრის გათვალისწინებით ურჩევს ქართველობას უფრო სასარგებლო საქმეს მოჰკიდოს ხელი, აწარმოონ ისეთი პროდუქცია, რომლის გამოდევნასაც ვერ შეძლებენ წარმატებული ქვეყნები. მაგალითად, დასახელებულია ღვინო, ბამბა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი წარმატება მოუპოვოს ქვეყანას, ქართველ ხალხს ამოსუნთქვის საშუალება მისცეს (## 4, 5, 6).

ი. ჭავჭავაძეს ერის მატერიალური კეთილდღეობის პარალელურად ერის ზნეობრიობაზე ზრუნვა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ეჩვენება. ამ ორ მომენტს უთმობდა თანაბარ ყურადღებას. მიუხედავად პრაგმატიზმისა, იგი იდეალისტი იყო, იმ გაგებით, რომ ზნეობრიობის გარეშე ერის კეთილდღეობა ვერ წარმოედგინა. მისმა სწორედ ამგვარმა ხედვამ, ჩვენი აზრით, განაპირობა ის, რომ ქართულმა ერთობამ ნაციად ჩამოყალიბება შეძლო. ერს, როგორც მივუთითებდით სპეციალურ ლიტარატურაზე დაყრდნობით, ქმნის არა მძლავრი ეკონომიკა, არამედ უპირველეს ყოვლისა, მისი წევრების მიერ თავის წარმოდგენა გარკვეული ზნეობრივი ვალდებულებების მქონე ერთობად. ილიას "ჰუმანიტარული მიმართულება" იყო გადამწყვეტი.

ამავე რუბრიკის მეთორმეტე, მეცამეტე, მეთოთხმეტე ნომრების *მეთურ წერილებში* (ავტორი ილია ჭავჭავაძე) გრძელდება ქვეყნის ეკონომიკური გაჭირვებიდან გამოყვანის გზებზე მსჯელობა. ბუნებრივი

რესურსებით იმდენად მდიდარია ჩვენი ქვეყანა, რომლის ხეირიანი გამოყენებით ხალხი გაჭირვებას თავს დააღწევდა. ამჯერად ნავთობის სარგებლობაზეა საუბარი არა მარტო საქართველოსთვის, არამედ საზოგადოდ, კავკასიისათვის. აღმოჩნდა, რომ საქართველოსა (კახეთში) და აზერბაიჯანში (ბაქოში) ნავთი დიდი რაოდენობით მოიპოვება. მაგრამ უცოდინრობის, მოუხმარებლობის, ნავთის ბაზარში გატანის სახსრის უქონლობის გამო, ჩვენში საერთოდ ვერ მოიკიდა ფეხი ნავთის მრეწველობამ, ღვთით ბოძებული სიმდიდრის ათვისება ვერ შეძლო ქართველობამ. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს: 'ვერც რუსეთმა შეძლო, ნავთის ნახადი იმ მრავალგვაროვნობით მოიხმაროს, როგორც ამერიკა, რომ თვითონვე სარგებელი ნახოს თავისი საკუთარი სიმდიდრით. სანამ რამეს მოიფიქრებენ ნავთის ათვისების თვალსაზრისით მწარმოებლები, სული ეხუთებათ და სიმდიდრის ტბებში მცურავთ ლამის შიმშილისაგან სული ამოუვიდეთო' (## 12, 13, 14).

რუბრიკით *წარკვევი* მკითხველს მიეწოდება უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სხვადასხვა ცნობების მიმოხილვა. რასაკვირველია, ყველა ინფორმაცია თანაბრად საყურადღებო ვერ იქნება ჩვენი მიზნებისთვის, მაგრამ საყოველთაო მნიშვნელობის პრობლემების ანალიზის დროს ვხვდებით ძალიან საინტერესო ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით თუ რა განაპირობებს ერის სიძლიერეს. მაგალითად, მესამე ნომერში ვეცნობით გერმანული გაზეთის *Kreuz Zeitung* მსჯელობას ევროპის მშვიდობიანობის თაობაზე. აღნიშნულია, რომ ევროპის სახელმწიფოები საუბრობენ მშვიდობიანობაზე, თან ამავდროულად, ომისათვის გაცხარებულ მზადებაში არიან. გერმანია მშვიდობის მომხრეა, მაგრამ რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს, გაურკვეველია. რადგან მოხუცი იმპერატორი მოხალისედ ეწერება სამხედრო სამსახურში და მამაცურად ივლებს ხელს ხმალზე. მზად არის უშიშრად შეებას ყველას, ვინც მშვიდობიანობის დარღვევას მოინდომებს. 'განა მოიპოვება ისეთი ერი, რომ აღტაცებაში არ მოვიდეს, როდესაც თვალწინ უდგა ასეთი სამაგალითო გმირი, გმირი, რომელიც ასე წმინდად ასრულებს თავის მოვალეობას' (# 3).

როგორც ვხედავთ, მკითხველის ყურადღება მიიქცევა ნაციონალური ერთობისათვის უმნიშვნელოვანეს ელემენტზე – მამულზე, მისდამი სიყვარულზე და თავდადებაზე. მასალიდან

მოხმობილი აღმაფრთოვანებელი ფრაზები ემსახურება მამულისადმი პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

მეათე ნომრის იმავე რუბრიკაში ყურადღება გამახვილებულია რუსეთის მთავრობის მოთხოვნაზე: სასამართლოში საქმეების საჯარო განხილვის მოსპობის შესახებ. იმ მიზეზით, რომ სასამართლოში თავმოყრილი ხალხი ხელს უშლის მსაჯულებს სამართლიანი განაჩენის გამოტანაში. *ივერია* უარყოფითად ეკიდება ამ ფაქტს. ვინაიდან სამართალი ყოველთვის უკეთ იწარმოებს, როცა საზოგადოება თვალს ადევნებს. მაგრამ თუ საჯარო განხილვა მოისპობა სასამართლოში, მაშინ აღარც "ჟურნალ-გაზეთობას" ექნება შესაძლებლობა იქონიოს მსჯელობა სასამართლოში გასარჩევ საქმეებზე. ამან საგონებელში ჩააგდო *ივერია* იმ გარემოების გამო, რომ მომრავლებულ უსამართლობას, დახურულ კარს მიღმა საერთოდ საზღვარი არ ექნებოდა (# 10).

ივერია დიდი ეროვნული მნიშვნელობის მქონე პირების გვერდით, ადგილს უთმობდა საზოგადო კეთილდღეობისთვის მზრუნველ ადამიანთა ბიოგრაფიებს. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული საზოგადო მოღვაწე იყო მეჩუქურთმე, ქართული მწიგნობრობის და ჟურნალ-გაზეთობის მოყვარული პოეტი იოსებ დავითაშვილი. 'კიდევ ერთი "ჩვენგანი" შეიწირა ყოველმა შემწირველმა წუთის-სოფელმა!' – ამბობს ილია ჭავჭავაძე და აქვე იძლევა განმარტებას თუ რატომ უწოდებს მას "ერთ ჩვენგანს". ბევრი კვდება ჩვენში ყოველ დღე, მაგრამ ამ ბევრში ყველაზედ არ ითქმის "ჩვენგანიო" – ამბობს იგი, ერი თუ საზოგადოება მარტო იმას უნდა ეძახოდეს "ჩვენგანს", ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის სიტყვით თუ საქმით. იგი რჩეულია მრავალთა შორის და ეს რჩეულობა არის სამართლიანი მიზეზი, რომლის ძალითაც ერს შეუძლია თავ-მოწონებით სთქვას: ეს კაცი ჩვენგანიაო. ერთი ამ რჩეულთაგანი იყო იოსებ დავითაშვილი, რომელსაც გლეხური წარმომავლობა ჰქონია. ილია მისივე ლექსებზე დაყრდნობით ასეთ შეფასებას აძლევს იოსებ დავითაშვილს 'ცოტად თუ ბევრად განწმენდილი ჰქონდა თვალნი გლეხთა გულის საიდუმლოთა მნახველად, ყურნი – გლეხთა გულის ძგერის უცნაურთა ხმათა მსმენელად, ხელნი გლეხთა მაჯის ცემის შემტყობად და ენა ყოველ ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად. გული ერისა იგივ ზესკნელი და ქვესკნელია და ამიტომაც თვალისა, ყურისა და ხელის იქამდინ მიწვდენა, – მხვედრია მარტო რჩეულის კაცისა' (# 61).

ამავე ნომერში პ. უმიკაშვილი საერთო, საქვეყნო სატკივარად აცხადებს პოეტის გარდაცვალებას 'ნუ დავიძრახებით ამ სიტყვაზე, ახალ საფლავთან თუ ცრემლის სიმწარეს ერევა მადლის და მადლობის ცრემლი; მწუხარების ცრემლი ნათესაობისაა, ნელდება ხოლმე და მადლისა კი არასოდეს; იმიტომ რომ იგი ბევრისაა, საერთოა, ქვეყნისაა'.

ილია ჭავჭავაძეს მეთაურ წერილებში წარმოდგენილი აქვს მსჯელობა მეღვინეობის განვითარების საკითხზე. მისი აზრით, გონივრულად უნდა ჩავუკვირდეთ ჩვენს ეკონომიურ ყოფა-ცოვრებას, ყოველი ღონე მივმართოთ მის გასაძლიერებლად და ამისათვის ვეძიოთ საფუძველი ჩვენს ისტორიულ გამოცდილებაში. 'როცა ჩვენებურ ღვინის კეთების ავ-კარგიანობაზედ ჰლაპარაკობენ, ჩვენი დრტვინვა და ჩივილი მარტო ის არის, რომ მიზეზთა და საბუთთა გაჩხრეკასა და გამორკვევაზედ არ არის დამყარებული ჩვენთა წუნ-მდებელთა წუნი. ეს მეტის-მეტი კადნიერებაა მთელის ერის წინაშე, ნამეტნავად, როცა ერისაგან შეთვისებულს და წარმოებულს საქმეს მთელის ათასის წლის ისტორია აქვს და მაშასადამე მთელის საუკუნოების გამოცდილება წინ უდევს' (# 62).

კულტურული უნიკალობის მარკირების თვალსაზრისით *ივერიაში* ფართო დისკუსიაა წარმოდგენილი *ვეფხისტყაოსნის* მაგალითზე. მეთაურ წერილში წარმოდგენილია ა. წერეთლის *ვეფხისტყაოსნის* შესახებ წაკითხულ ლექციაზე კრიტიკული გამოხმაურება. ი. ჭავჭავაძე არ ეთანხმება ა. წერეთლის იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით, რუსთაველმა პოემაში გამოსახა საქართველოს სამი სხვადასხვა კუთხის ქართველი თავისი მახასიათებელი თვისებით: მისი მითითებით, ტარიელი, რადგანაც ზარმაცია, ქართლელია, ავთანდილი, რადგანაც წინდახედულია – იმერელი და ფრიდონი – ზღვის-პირის ქართველი.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ეთნოგრაფიულ აღწერილობაზე *ვეფხისტყაოსნის* დაყვანა, ამ გენიალურ პოემას აუფასურებს, რომელიც არათუ კუთხური ან თუნდაც ქართული, არამედ ზოგადსაკაცობრიო იდეალების ამსახველია (# 75). ი. ჭავჭავაძის გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ა. წერეთელს ვიწრო ფარგლებში მოუქცევია ეს დიდებული შედევრი:

> იქნებ ბ-ნმა ლექტორმა რუსთაველის განდიდებისთვის მოიწადინა, რომ ტარიელი უსათუოდ ქართლელი ყოფილიყო, ავთანდილი იმერელი და ფრიდონი – ზღვის-პირის ქართველი? ... რუსთაველის ტიპებს იმ პატარა

ჯუჯრუტანიდან სინჯვა კი არ უნდა, საიდამაც მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელ-წოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელ სარკმლიდან, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადაეცლებოდეს მის სრულ სიგრძე სიგანესა სიღრმე-სიმაღლეზე.

ამ პოლემიკაში საყურადღებოა ის გარემოება, რომ ორივე აზრი ხელს უწყობდა ქართული კულტურის პროპაგანდას და პოპულარიზაციას საზოგადოებაში. ა. წერეთლის ამგვარი მსჯელობა იმ გარემოებამ განაპირობა, რომ ზოგიერთები პოემის არაქართული წარმომავლობის დასაბუთებას ცდილობდნენ (# 77).

ასევე არ ნელდება ქართული დამწერლობის საკითხებისადმი ინტერესი. იბეჭდება მ. ჯანაშვილის წერილი *როგორ მოიგონეს ანბანი.* ავტორის მითითებით, 'ანბანი არის უპირველესი იარაღი ერის განათლებისათვის. უანბანოდ კაცობრიობის აწინდელი კულტურა ანუ წარმატება, უეჭველია, დაბლა იდგებოდა და ნახევარს გზასა ვერ გაივლიდა' (# 86). ქართული ანბანის წარმოშობის საკითხებზე მსჯელობა გრძელდება ი. ოქრომჭედლიშვილის (*ვინ მოიგონა ქართული ანბანი*, # 116) და მ. ჯანაშვილის (*რა დროს და საიდან შემოიღეს ქართული ანბანი*) წერილებში. მ. ჯანაშვილი ქართული ანბანის წარმოშობის თაობაზე ეპაექრება ი. ოქრომჭედლიშვილს. უარყოფს რომელიმე სახელმწიფოს მარტო პოლიტიკური გავლენის საკმარისობას ანბანის გადმოღებისათვის: 'თუ ნიადაგი არ არის მომზადებული თვით ერში, რაც უნდა კარგი ანბანი შემოვიღოთ, მაინც მწიგნობრობა ფეხს ვერ მოიკიდებს. ამის უტყუარი მაგალითია ოსეთი, სადაც ოსური ანბანი ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში იმდენად ვერ გავრცელდა, რომ ხუთმა და ოცმა ოსმა ძლივს შეისწავლა იგი. ისტორიული რეალიების მოხმობით გამორიცხავს სპარსეთიდან ანბანის შემოღების თვალსაზრისს. მიუთითებს სპარსელთა გავლენის შესუტებას ალექსანდრე მაკედონელის მიერ; აქვე აღნიშნულია, რომ, მართალია, ფარნავაზი სპარსთა მეფეების ნათესავი იყო მაგრამ მათთან მეგობრობა ვერ ექნებოდა, რადგან ისინი ქართველებს სულ მუდამ მტრობდნენ. არ მიიჩნევს დამაჯერებლად ზენდურ ანბანთან ქართულის მსგავსების დამადასტურებლად ი. ოქრომჭედლიშვილის მიერ მოხმობილ მაგალითებს. ასევე გამორიცხავს ქართული ანბანის მესროპის მიერ შექმნის შეხედულებას და საერთოდ მესროპის იბერიასა და ალბანეთში მოგზაურობის შესახებ ცნობას გამოგონილად მიიჩნევს (# 117).

ავტორი ქართული ანბანის შემოღებას ფარანავაზის მეფობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე პერიოდს უკავშირებს. იგი იზიარებს მეცნიერებაში მიღებულ აზრს, რომლის 'თანახმადაც, ანბანის შემოღება მაშინ ხდება, როდესაც რომელიმე ერი გამრავლდება, გარეულ მდგომარეობიდან გამოვა, განვითარდება კულტურულად და წარმატების გზას დაადგება' (# 118).

მკვლევარი მსჯელობს ქართული ანბანის სამი სახეობის წარმოშობის კონკრეტულ პირობებზეც:

> ჩვენი ანბანები ქართველთა ტომის ყველა წარმომადგენელთ მოგვაგონებს: ასო-მთავრულები – მძიმე, დამჯდარ და დალაგებულ ქართლელსა, შნოიანი მხედრულები იმერთა (ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: ზრდილნი არიან იმერნი, მტერთა მიმცემი რისხვისა), ხუცური ჩვეულებრივი – დარბაისელ მესხთა და მეგრელთა და გაკრული ხელი (ნუსხური) სწრაფ და მარდ გურულთა, თუშთა ფშავთა და სხვათა (# 128).

გაზეთი ზრუნავს ჯანსაღი ქართული საზოგადოების შექმნაზე. ამიტომაც ქართულ საზოგადოებაში გაჩენილი მავნე თვისებების მიზეზების გამორკვევის თვალსაზრისით *მეთაური წერილში* მოცემულია მსჯელობა თავადაზნაურთა წოდების მნიშვნელობის შესახებ წარსულსა და აწმყოში. ავტორია ა. ნანეიშვილი:

> ჩვენი თავადაზნაურობა იყო ღვიძლი შვილი ჩვენის წარსული ისტორიისა, რადგანაც იგი წინ წამოაყენა და სხვადასხვა უპირატესობით შეამკო თვით ხალხმა, რომელსაც ეჭირვებოდა წინამძღოლი და ფარ-ხმალი მტერთა მოსაგერიებლად. როგორც ყოველ საზოგადოებამ, რომელიც ისტორიულ საზოგადოებად არის ცნობილი, ისე ჩვენმაც დაუთმო პირველი ადგილი ცხოვრების მოედანზე იმათ, ვინც ან გონებით, ან ზნეობით და ან ზოგჯერ მარტო შემთხვევის წყალობითაც, თავი იჩინეს ცხოვრებაში და რაიმე სამსახური გაუწიეს ქვეყანას ... ისტორია რომელისამე ხალხისა ბრძოლაა შემაფერხებელ გარემოებათა წინააღმდეგ და ამ ბრძოლის უცილობელს ნაწილს შეადგენს ბრძოლა მტერთან; ამ გვარის ბრძოლისათვის აუცილებლად საჭირო იყო რომელიმე დასი ხალხისა ... ჩვენი წარსული სამხედრო თვისებისა უნდა ყოფილიყო, რადგანაც ხელის გულის ოდენა საქართველო, ძლევა-მოსილ მტერთა-შუა მოქცეული, იძულებული იყო მრავალ საუკუნოთა განმავლობაში შეუპოვრად ებრძოლა მტერთან ... თვით მაღალი წოდება მუდმივი ბრძოლისაგან თითქმის იმ ზომამდე დაილია, რომ გამოეცალა ნამდვილი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ქვეყანას მოვლა და

> გაძღოლა ... გადაავლეთ თვალი უკანასკნელ საუკუნეთა ისტორიას და აშკარად დაინახავთ, თუ რაოდენს განსაცდელს და უბედურებას აყენებდნენ ქვეყანას და ერსა ზოგიერთნი წარმომადგენელნი მაღალი წოდებისა. დიაღ, მუდმივმა ბრძოლამ აღზარდა მათში მხოლოდ მხნეობა და არა მოქალაქობრივი გრძნობა, ურომლისოდაც ქვეყნის მოვლა და გაძღოლა შეუძლებელი საქმეა (# 133).

ამ ეპიზოდში საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ისტორიულად წინამძღოლის როლი ქართველ თავადაზნაურობას სწორედ ხალხის ხელდასმით ერგო, ანუ ხალხია ისტორიის მთავარი აქტორი.

ავტორის აზრით, ახალმა ხანამ სრულიად შეცვალა მაღალი წოდების მნიშვნელობა ერისა და ქვეყნის ცხოვრებისათვის. ჩვენი მაღალი წოდება ვერ შეეთვისა ახალ გარემოებას, რომელიც თხოულობდა გონებითს ზნეობრივ და ეკონომიურს წარმატებას. ამის მაგივრად თავადაზნაურობამ უპირველეს მიზნად გაიხადა ეცხოვრა სხვის გარჯაზე და ზრუნავდა მარტო საკუთარ კეთილდღეობაზე (# 135).

მომდევნო ნომერში *ივერია* ისევ მოხელეთა – ამ შემთხვევაში მომრიგებელ-მოსამართლეთა უსამართლობას აქცევს ყურადღებას. *მეთაური წერილი* აღნიშნული მოხელეების მიერ კანონის შეუსაბამო გადაწყვეტილების საკითხს შეეხება, რომელთაც სახასო გლეხთა მამულები ვაჭრობის საგნად გაუხდიათ და ვალში უყიდდნენ. *ივერიის* აზრით, მათი გადაწყვეტილება კანონთან შეუსაბამო ყოფილა. ამგვარი გადაწყვეტილების მიღების უფლებას კანონი არ იძლეოდა. სახასო ანუ სახელმწიფო მიწებზე გაშენებული ვენახების გაყიდვის უფლება არსებობდა მხოლოდ მაშინ, როცა შემსყიდველი თვითონ სახელმწიფო გლეხი იყო, სხვა წოდების კაცს არ ჰქონია უფლება შესყიდვით დაენარჩუნებინა სახელმწიფო მიწაზე გაშენებული ვენახი. კანონისათვის გვერდის ასავლელად მომრიგებელ-მოსამართლეებს ასეთი "ხრიკი" მოუგონიათ: შესაძლოა გლეხის ვენახი გაიყიდოს, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ მიწა არ მიეკუთვნოს მყიდველს და მარტო ვაზი და რაც მიწაზე დგას, გასაყიდ საგნად გახდეს. ამ ხერხით დაუწყიათ სახასო მიწაზე გაშენებული ვენახების გაყიდვა. 'ნეტა ვიცოდეთ: როგორ გაუძღვებოდა სამართალი, რომ ეხლა კაცმა უთხრას იმ ვენახების მსყიდველებს: თქვენ თქვენი ნასყიდობის სიგელის ძალით, გიყიდნიათ მარტო ვაზები ვენახისა და მიწა-კი არა; მაშ ამოთხარეთ თქვენი ვაზები და საიდანაც მოსულხართ, იქ წაბრძანდითო, მიწასთან

ხელი არა გაქვთო?' მეტად საყურადღებო საქმე იქნებოდა, რომ ვინმემ მოიწადინოს ამ გზით გამრუდებული სამართალის გასწორება, მითითებულია წერილში (# 137).

ქართულ საზოგადოებაში ჩნდება მნიშვნელოვანი პრობლემა როგორ მოეგვარებინათ, რომ მიწა და მუშახელი ანუ გლეხი 'არ დასცილებოდა' ერთმანეთს და გასაყიდად დაძრული მამულები გლეხისთვის მიუწვდომელი არ დარჩენილიყო. ეს საკითხი, როგორც კორესპონდენციიდან ჩანს, საზოგადო მსჯელობის საგნად ქცეულა. გაზეთის *მეთაური წერილი* შეეხება ერთ-ერთ რუსულ გაზეთში – *Новое Обозрение-ს* ასევე მეთაურში გამოქვეყნებულ წერილს, სადაც საკითხის გადაწყვეტის გზად დასახელებული ყოფილა 'საგლეხკაცო ბანკის' დაარსების აუცილებლობა და კრედიტის აღების პროცედურის გლეხისათვის მოსახერხებლად მოწყობა. საადგილმამულო ბანკებს კრედიტის გაცემა ისე უნდა მოეწესრიგებინათ, რომ გლეხკაცისათვის იგი ხელმისწვდომი ყოფილიყო (# 146). რადგან, როგორც მომდევნო ნომრის *მეთაური წერილიდან* ვიტყობთ, ქართველი გლეხისათვის მამა-პაპური საცხოვრისი ანუ მამული უფრო მეტია, ვიდრე უბრალო სახნავ-სათესი მიწა.

> ჩვენებური გლეხი ბინადარი კაცია, საცა დაბადებულა იქ მკვიდრად ფეხ-მოკიდებულია და ღრმად ფესვ-გადმული. იგი თავის მამა-პაპეულ ბინაზედ დამოკიდებულია მარტო საეკონომიო ანგარიშით-კი არა, სულითაც და გულითაც, ესე იგი ზნეობითადაც შემსჭვალული. მისი სოფელი მისი სამკვიდროა, თვითონ "მკვიდრია" თავისი სოფლისა და სხვა თავ-მოსაწონებელი სახელი არ იცის. მისი სოფელი მისთა მიცვალებულთა სავანეა, მისთა, მამა-პაპათა საფლავია, სალოცავია, საგონებელია. იგივ ამავე დროს საცხოვრისია, სადგურია მისთა ცოცხალთა თვის-ტომთა, ნათესავთა და მახლობელთა. აი ძნელად გადასალახი ძარღვი, რომლითაც იგი მაგრად დაბმულია სულითა და ხორცით იმ ადგილზედ, საცა დაბადებულა.

ხაზგასმულია, რომ გლეხი უფრო ადვილად მოითმენს უმამულობას, ვიდრე მამა-პაპეული ბინის დაკარგვას, ვიდრე თავის მშობელ სოფელთან გამოთხოვებას. გლეხის საკუთარ მამულთან მიჯაჭვულობა ძლიერ დასაფასებელი მოვლენაა *ივერიისთვის*, ამიტომ მამულების ყიდვა-გაყიდვის საქმეში საზოგადოების უწმინდეს მოვალეობად ასახელებს იმას, რომ ააცილოს გლეხს, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება,

მამულის ყიდვისას წარმოქმნილი დაბრკოლებები (# 149). ამ თვალსაზრისით ზრუნვის მაგალითს წარმოადგენს საადგილმამულო ბანკის აზრი მამულების შესასყიდლად საგლეხკაცო კრედიტის შესახებ, რომელიც ამ კრედიტის გაიაფების აუცილებლობაზე იყო ორიენტირებული (# 150).

უკანასკნელად განხილულ პუბლიკაციებს (ისევე, როგორც ბევრ უფრო ზემოთ ან მომდევნოდ გაანალიზებულთ) აერთიანებთ ინტერესი "საგლეხკაცო" პრობლემებისადმი. სრულიად აშკარაა, რომ ქართველი გლეხი, მოიაზრება, როგორც "ქართველობის" საფუძველი. მიუხედავად არასრულყოფილებისა, იგი აშკარად არის "ქართული ავთენტურობის საცავი" და შესაბამისად, ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგიის ცენტრალური ფიგურაც. ამიტომ მომენტის ამოცანას წარმოადგენდა ზრუნვა მისი ეკონომიურ კეთილდღეობაზე, განათლებაზე, ზნეობაზე. ამასთან ერთად, გლეხის კონცეპტუალიზაცია უკავშირდება მშობლიური მიწის, როგორც იდენტობრივი მარკერის, კონცეპტუალიზაციას.

გაზეთის *მეთაურში ვხვდებით* მსჯელობას (ავტორი ხელს აწერს ფსევდონიმით ა. ნა-ლი (ალექსანდრე ნანეიშვილი?) ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის რეალურ აქტორზე – ინტელიგენციაზე, მის ხასიათსა და დანიშნულებაზე, ერის ფორმირებაში მის წამყვან როლზე:

> ინტელიგენცია არის ერთიანი კრებული საზოგადოების იმისთანა ნაწილებისა, რომლებშიაც განხორციელებულია, მოთავსებულია და შეკრებილი გონებრივი და ზნეობრივი შემძლებლობა მთელის საზოგადოებისა ... ყოველ ადამიანთა კრებული, საზოგადოება, წარმატების გზაზედ მავალი, ისეთი საზოგადოება, რომელიც ისტორიულ საზოგადოებად საცნობელია, ჰსაჭიროებს ერთს უფრო უმთავრესს საშუალებას ადამიანთა წარმატებისას. ეს უმთავრესი საშუალება ზნეობრივი და გონებრივი ძალ-ღონეა, რომელიც საზოგადოებამ უნდა შეიმატოს, მოიკრიბოს და განაძლიეროს, ადამიანთა ყოფა-ცხოვრების წარმატებისა ვითარცა უმთავრესი მოქმედი ღონე. ადამიანთა ყოფა-ცხოვრება-კი ჯერ-ჯერობით ისეა მოწყობილი, რომ ყველანი ერთად ვერ მიიღებენ მონაწილეობას ერისა და საზოგადოების გონებრივს და მაშასადამე ყოველ-მხრივ წარმატებაში. ამიტომაც ყოველი ერი, საზოგადოება, წინ წამოაყენებს ისეთს დასს, რომელიც მის გონებრივს და ზნეობრივს ძალ-ღონეს შეადგენს, რათა ეს ძალ-ღონე ნაღვლობდეს და სცდილობდეს მთელის ერის ან საზოგადოების წარმატებისათვის და შეძლებისამებრ თვისს გონებრივ სხივებს სხვებსაც ჰფენდეს და ამით ცხოვრების გზას ნათელს

> აყენებდეს ... რამდენადაც უფრო ღონიერი და გამრჯელია ინტელიგენცია, მით უფრო ჩქარია ერის წინ-მსვლელობა, იმდენად უფრო განათლებული და განვითარებულია მთელი ერი, რადგანაც რიგიანი ინტელიგენცია ყოველთვის მოწადინებულია თვისის მოღვაწეობით, მოძღვრობით და მოქმედობით დაიახლოვოს და დააყენოს იგი იმ დონეზედ, რა დონეზედაც თვითონაც დგას.

აღნიშნულია თუ რაოდენად საყურადღებო და საგულისხმოა ინტელიგენციის მოღვაწეობა და მოძღვრობა საზოგადოებისათვის (# 152). ეს რაც შეეხებოდა ზოგადად ინტელიგენციის მნიშვნელობას. მომდევნო ნომერში ავტორი შეეხება საკუთრივ ქართულ ინტელიგენციას და კრიტიკულად აფასებს მის თანამედროვეთ, ავტორის აზრით, იგი საქვეყნო საქმეს მხოლოდ მაშინ ჰკიდებდა ხელს, როცა საქმეს ზედ წააწყდებოდა. უმეტესმა ნაწილმა გაწყვიტა კავშირი თავის ქვეყანასთან. არც სწავლა-განათლების და არც მწერლობის საქმეში შესაფერისი სამსახური არ გაუწევია მისთვის.

> ნუ თუ დიდი, შეუწყნარებელი დანაშაულობა არ არის, როცა ეგრეთ წოდებული ინტელიგენცია განზე გაუდგება იმ საგანს, რა საგანსაც მწერლობა მისდევს, ე.ი. ერისა და ქვეყნისათვის სამსახურსა და გონებითის საზრდოს მიწვდენასა; როცა იგი ინტელიგენცია ხელიდან უშვებს ისეთს პატიოსანს და შემძლებელს სახსარს ქვეყნის სამსახურისას, როგორიც მწერლობაა? ... გადასჩხრიკეთ რომელიც გინდა საზოგადო საქმე, რომელსაც ინტელიგენცია მიჰკარებია, გამოელაპარაკეთ იმავე საქმის შესახებ, და თქვენ დაინახავთ, რომ მას არც არავითარი გამორკვეული აზრი აქვს საქმისა, არც მიმართულება და საჭირო გულ-მოდგინეობა, მოქალაქობრივი მხნეობა და ბეჯითობა, ურომლისოდაც ვერავითარი საქმე ვერ იხეირებს და წინ ფეხს ვერ წასდგამს ... რას უნდა მიეწეროს, რომ ესე სუსტნი და უძლურნი არიან იმ ქართველთა წარმომადგენელნი, რომელთაც ამოდენი მაცხოვრობის ძალი და მხნეობა გამოიჩინეს წარსულში და თავისი გონებისა და ხელობის ნამოქმედარით გადმოგვცეს მაგალითები თვისის სულიერის ძლიერებისა და მხნედ და მამაცად იღწვოდნენ, რომელთაც ერთ ხელში წმინდა სახარება და ჯვარი ეპყრათ და მეორე ხელში ბასრი ხმალი და თვისი სასოება და იმედი მიმართული ჰქონდათ, იმისაკენ, ვინც ყველა დავრდომილთა და ტანჯულთა მანუგეშებელი და მხსნელია, იგი წარმომადგენელნი, ვამბობთ ჩვენ, სრულიად უძლურნი და გონებით და ზნეობით ფუჭნი გამოდგნენ ისეთ დროს, როცა ეხლანდელ დროს ფართო ასპარეზი უნდა დაემკვიდრებინა წარმატებისთვის (# 154).

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ *ივერია* განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქართული ენის შესწავლისადმი მიძღვნილი ნაშრომების პუბლიკაციას. ამჯერად ქვეყნდება ი. ოქრომჭედლიშვილის წერილები მ. ბროსეს ნაშრომების თაობაზე. იგი ეკამათება მ. ბროსეს ქართული ენის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც იმოწმებდა შემდეგ ცნობას: 'აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს ხოლო ესე შემოკრბნეს ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური და ამათ ყოველთაგან შეიქმნა ენა ქართული'.

მ. ბროსეს, როგორც ავტორი ფიქრობს, უსარგებლია *ქართლის ცხოვრების* რუმიანცევის მუზეუმის, ფარნავაზ ბატონიშვილის და საკუთარი ხელნაწერებით. რუმიანცევის მუზეუმის და ფარნავაზ ბატონიშვილისეული ხელნაწერები მცირედი განსხვავებით გადმოგვცემს ამ ფაქტს 'აქამომდე ქართლოსიანთა ენა იყო მხოლოდ ქართული, რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაც გარყვნეს ენა თვისი და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა მორთული'.

ფარნავაზ ბატონიშვილის ხელნაწერში ასევე ყოფილა ეს ადგილი აღწერილი მხოლოდ სიტყვა "მორთულის" ნაცვლად მოხსენიებული ყოფილა სიტყვა "რთული". ავტორი აღნიშნავს, რომ მ. ბროსეს ნატყუარი წყაროთი უსარგებლია და ეს წყარო სომხური ქრონიკა ყოფილა. სომხური წყაროები კი დროთა ვითარების გამო (და არა მარტო დროთა ვითარების გამო: სომეხი მემატიანეები, ავტორის აზრით, განზრახაც ცვლიდნენ ცნობებს) შერყვნილია. ამგვარი წყაროთი უსარგებლია მ. ბროსეს *ქართლის ცხოვრების* მონაცემის გასასწორებლად, რაც გამხდარა *ქართლის ცხოვრებაში* "უგვანი" აზრის გაჩენის მიზეზი (## 194, 197).

ქართული უნიკალური კულტურის მარკირების მიზნით ამჯერად წარმოდგენილია ა. გარსევანიშვილის წერილი *აგიოგრაფია როგორც ისტორიული მასალა*. ამგვარი ნაშრომის გამოქვეყნება ერთი მხრივ, შუქს ჰფენს ერის წარსულს, მეორეს მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აწმყოში საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

ჰაგიოგრაფია თავდაპირველად მარტივი ბიოგრაფიის აღწერით შემოიფარგლებოდა. მაგრამ შემდგომში იგი იძენს უფრო ფართო ხასიათს. ჩნდება იმგვარ მამათა ცხოვრების აღწერა, რომელთაც 'აზრად ჰქონდათ უფრო ისტორიული საგანი, მისი სინამდვილე, ვიდრე

ზნეობრივი ჭეშმარიტებანი, იმ მოღვაწე წმინდა მამების მოღვაწეობა, რომელთაც სამშობლოს ღვაწლი დასდვეს. აგიოგრაფნი აღწრდნენ იმგვარ ამბებს, რომლებიც საზოგადოებას უფრო შეეხება, ვიდრე კერძო კაცს. აგიოგრაფი მწერლები თანდათან ცდილობენ ისტორიულ ასპარეზზე მოქმედნი დაგვიხატონ, როგორ ზრდის საზოგადოება იმათ, ვინც სადმე უდაბნოში მონასტრებს აშენებს' (# 224). ზემოთქმულიდან გამომდინარე, თვალსაჩინოა, რომ ჰაგიოგრაფიული ქმნილებების, ღირსსახსოვარი წინაპრების ნაღვაწის გადმოცემა გამიზნული იყო ზნეობრივი ერთობის, საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

ჯერ კიდევ 1878 წლის ნომრების განხილვისას მივუთითებდით, რომ ქართული ხალხური სიტყვიერების იდეალიზაცია, მისი შეგროვებისათვის ზრუნვა იღებს ინტენსიურ ხასიათს. ამ მოწოდებიდან დაახლოებით ათი წლის გასვლის შემდგომაც კვლავაც აქტუალურია აღნიშნული საკითხი. ამას ადასტურებს 270-ე ნომრის *მეთაური წერილი*. საუბარია, რომ საზოგადოებამ ხელი მიჰყო ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებისათვის მნიშვნელოვან საქმეს – ხალხური ლექსების შეკრებას და ბეჭდვას. თუმცა აქვე მითითებულია ხალხური სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისას თავჩენილი ცალმხრივი გატაცების შესახებაც. როგორც ჩანს მხოლოდ სახალხო ლექსები იბეჭდებოდა და სხვა დანარჩენი უყურადღებოდ იქნა დატოვებული. არადა, ხალხის გონებითი თუ სხვაგვარი საუნჯე უხვად არის ასახული ისეთ ნაწარმოებებში, რომლებიც არ ეკუთვნიან პოეზიას. ამგვარ მაგალითად დასახელებულია ხალხის ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებიან ეკონომიურ და იურიდიულ ცხოვრებას. ხალხში საკუთარი ეკონომიური წეს-წყობილება და იურიდიული ჩვეულებანი არის დამკვიდრებული. ხალხი ჩვეულებითი სამართლით ხელმძღვანელობს და ფრიად სასარგებლო იქნება იმის გამორკვევა თუ იურიდიული და ეკონომიური ურთიერთობის რომელ ჩვეულებებს მისდევს ხალხი. აქვე დასძენს ავტორი, რომ მარტო პოეზიის მიხედვით დასკვნა და მსჯელობა ხალხის ცხოვრების საჭიროებაზე და მის მოთხოვნილებაზე შეცდომა იქნება და ამ შეცდომას საზარალო შედეგი უნდა მოჰყვეს. წერილის დედააზრი სწორედ ეს არის: ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და ჰარმონიულად უნდა იქნას შესწავლილი, იმისი ყოველგვარი გონებითი ნაწარმოები უნდა შეიკრიბოს (# 270).

როგორც უკვე ითქვა, ისტორიული მახსოვრობა არის ერთ-ერთი უძლიერესი იდენტობრივი მარკერი. ხალხური შემოქმედებით მის აქტუალიზაციას ორმაგი მნიშვნელობა აქვს ნაციონალური მობილიზაციის დროს: ერთია იდენტობის განგრძობადობის დაფიქსირება, მეორეა, ხალხის, როგორც ავთენტური კულტურის შემნახველის, პერცეფცია.

ივერიაში ხშირად ვხვდებით მადლიერების წერილებს კონკრეტული პირების მიერ კეთილი საქმისათვის ფულის გამოგზავნის გამო. ამგვარი წერილების გამოქვეყნებით გაზეთი ცდილობდა ეჩვენებინა, რომ კეთილ საქმეს ბევრი მომხრე ჰყავდა.

1888 წელი

რედაქტორ-გამომცემელია ილია ჭავჭავაძე. *ივერია* გამოდის იმავე პროგრამით როგორც წინა წელს.

ქართული იდენტობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მარკერის სარწმუნოების როლსა და მნიშვნელობაზე ქვეყნის ცხოვრებაში ამახვილებს ყურადღებას *მეთაური წერილი.* შეეხება რა ქართველთა განმანათლებლის, წმიდა ნინოს, ღვაწლს, იგი მკითხველებს შეახსენებს იდენტობის სამი უმნიშვნელოვანესი მარკერის – მამულის, ენის, სარწმუნოების – დაცვის აუცილებლობას:

> ჩვენი ცხოვრების დედა-ძარღვი ერის კულტურა, ზნეობრივი და სულიერი სიმტკიცეა, რომლისგანაც არის წარმომდგარი ჩვენი მხნეობა, ვაჟკაცობა და მამულის სიყვარული. ყოველივე ეს კი გასხივოსნებულია იმ ნათელით, რომელიც *ძელმა ჯვრისტებისამ* წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოჰფინა მთელ ჩვენს ქვეყანას. ქართველმა ქრისტიანულ სარწმუნოებას შეუერთა ძველი აღთქმიდან ყოველივე რაც არასდროს დაძველდება – მამული და ეროვნება. ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგანი ისე ჩაიწნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა მამულის ანუ საქართველოს დაცვად და მამულის დაცვა რჯულის დაცვად გარდაიქმნა. ქრისტიანობა ქრისტეს მოძღვრების გარდა, ნიშნავდა საქართველოს მიწა-წყალს, ქართველობას. ქართველი და ქრისტიანი ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან, გაქრისტიანებას გაქართველებად მოიხსენიებდნენ.

ილიას აქვე აქვს წარმოდგენილი მსჯელობა უწინდელი სამღვდელოების უფლისა და ერის წინაშე ღვაწლი შესახებ. ხაზგასმით მიუთითებს, რომ ჩვენს სამღვდელოებას ძველად გააზრებული ჰქონდა,

რომ მამული და ეროვნება რჯულთან ერთად შეერთებული უძლეველი ხმალია მტრის წინაშე და ამაში პოულობდა თავის სულიერ და ხორციელ ღონეს. ასე დამოძღვრილმა ერმა ეს წმინდა სამება წაიმძღვარა წინ და ასე შემოუნახა ქართველებს მამული და ქართველობა. ქრისტიანობამ ქვითკირივით შეგვკრა და გაგვიძღვა მამულისა და ეროვნების შენარჩუნებისათვის (# 9).

ჩვენი ქვეყნისათვის სარწმუნოების მნიშვნელობაზე საუბარი გრძელდება ამავე ნომრის ფელეტონში წერილით *წმინდა ნინო საქართველოს განმანათლებელი* (ავტორი ხელს აწერს, როგორც გ. ყ-ძე – გრიგოლ ყიფშიძე). 'ქრისტეს სარწმუნოებით განბრძობილმა და განმტკიცებულმა ერმა ჯვართან ერთად, სარწმუნოებასთან ერთად, დაიცვა მტკიცედ ის ენაცა, რომლითაც დაიწერა საქრისტიანო სწავლა და მოძღვრებანი ქართველებისათვის, რომლითაც დაიწერა სახარება ქრისტესი. ნინოს სარწმუნოებამ და ნინოს ჯვარმა დაჰფარა დიდი საუნჯე ქართველებისა: ენა ქართული და მიწა-წყალი საქართველოსი' (# 9).

ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგიის უმნიშვნელოვანეს ტექსტს წარმოადგენს ი. ჭავჭავაძის მოთხრობა *ოთარაანთ ქვრივი*. მოთხრობა იბეჭდება რუბრიკაში *ფელეტონი*, სადაც თვალსაჩინოდ არის წარმოჩენილი ბატონყმობის გაუქმების შედეგად გლეხთა და თავადაზნაურთა მიერ საკუთარი ვინაობის გააზრებაში მომხდარი ცვლილებები. თუ მანამდე გლეხი თავის თავს არ ეკუთვნოდა და ბატონის საკუთრებად ითვლებოდა, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, გაჩნდნენ თავისუფალი პიროვნებები, რომლებიც პიროვნულ თავისუფლებას უხამებენ შრომისმოყვარეობას და ცხოვრების სახსარსაც შოულობენ. მოთხრობაში ამ ფენას წარმოადგენს ოთარაანთ ქვრივი და მისი ვაჟი გიორგი. ავტორი მათ მაგალითზე გვიჩვენებს, რომ ამ პირობებში თუ გლეხი იშრომებს, მისი შრომა შედეგს აუცილებლად გამოიღებს და ლუკმა პურის ნატრული არ იქნება. ავტორი აჩვენებს მკითხველს "ავთენტური" ქართველის ტიპებს, რომელსაც ინახავს გლეხობა: აღსავსეთ ჭკუა-გონებით, მშრომელთ, ზნეკეთილთ. ავტორი გვიჩვენებს, რომ ეს უკანსკნელი თვისება ანუ "ნამუსიანობა" არ იფარგლება მარტო წოდებრივი ჯგუფით, იგი ზოგადეროვნულია. მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი – ქვრივის ვაჟიშვილი გიორგი, რომელიც მოჯამაგირედ დაუდგა მეზობელ თავადიშვილს არჩილს ამ უკანასკნელის დის, კესოს სიყვარულის გამო

(ეკონომიკურად მას ამის საჭიროება არა აქვს), სხვის ანუ თავადის ქონებასაც ისევე უფრთხილდებოდა, როგორც თავისას. თუკი სადმე გლეხისაგან საქმისადმი უპატიოსნო დამოკიდებულებას წააწყდებოდა, არ დაგიდევდათ წოდებრივ სოლიდარობას და უქნარას ამხელდა, ცდილობდა ან თვითონ გამოესწორებინა წამხდარი საქმე ან ჩამდენს გაასწორებინებდა. ამგვარ ფაქტთან დაკავშირებით აღფრთოვანებული არჩილის კომენტარი შემდეგია: 'ნამუსი ჰქონია, ნამუსი! ... ის დიდი ნამუსი, რომელიც სხვისასაც ისე ერჩის, როგორც თავისას'.

ამ შემთხვევაში არჩილს ხაზგასმის ღირსად ისიც მიაჩნია, რომ გიორგის ზნეობა ("ნამუსი") ჭკუით-კი არ არის "ახილებული" (გიორგი გლეხია და იგულისხმება, რომ უსწავლელი კაცია. – მ.ჩ., ქ.მ.), გულით "გამოკვებულია": 'მარტო გულით. მინამ ჭკუა იტყვის ანუ ჭკუა ურჩევს, გულმა იცის რა ქნას. გულმა არ მოუსვენა ცხენი რომ მოუვლელი ჰნახა და მეჯინიბე არხეინად მწოლარე'.

ანუ გლეხის ზნეობა თვითნაბადია, ნამდვილია. არჩილი აშკარად აიდეალებს გლეხობას და აცხადებს, რომ სურს გიორგის შეგირდად, მიებაროს (# 12).

თუმც ავტორი, მიუხედავად იმისა, რომ მას ქართული თვითობის დამწარჩუნებლად ქართველი გლეხი მიაჩნია, შორს არის ამ წოდების ყველა წარმომადგენლის გაიდეალებისაგან. ნაციონალიზმისათვის საზოგადოდ დამახასიათებელ იდეალიზაციას გლეხისას, ქართულ სინამდვილეში გარკვეულად აბალანსებს მოთხრობის სხვა პერსონაჟი, კერძოდ, კესო, რომელიც ძმის აღფრთოვანებას კრიტიკულ პოზიციას უპირისპირებს.

ი. ჭავჭავაძეს ძალიან აფიქრებდა ხიდჩატეხილობა ქართველთა ორ უმთავრეს სოციალურ ფენას შორის. როგორც ჰუმანისტი, ის, ცხადია, არცერთი წოდების ფიზიკურად მოსპობის მომხრე არ იყო. ამავე დროს არც წოდებრიობის გაუქმება წარმოედგინა (ისევე, როგორც, კერძო საკუთრების). მაგრამ, მეორეს მხრივ, როგორც ქართული ნაციის იდეის ჩამომყალიბებელს, ესაჭიროებოდა სოციალურად ჰომოგენური ნაციონალური ერთობის მოაზრება.

იგი თვლიდა, რომ ქართული ჩვენ-ჯგუფის ერთიანობის მიღწევა სხვადასხვა წოდების წარმომადგენელთა მიერ ერთმანეთისადმი გადადგმულ შემხვედრ ნაბიჯებით სავსებით შესაძლებელი იყო. განათლებას შეეძლო წოდებათა შორის არსებული სოციალური

ტიხრები ურთიერთგამავალი გაეხადა და ფაქტობრივი თანასწორობა დაემყარებინა. ნაციის იდეა გულისხმობს სოციალურად ჰომოგენურ ერთობას. აქედან გამომდინარე ილიას სურდა წოდებათა ჰარმონიული თანამშრომლობა, ჩამოყალიბება სოციალურად და ეკონომიურად არაერთგვაროვანი, მაგრამ მამულის იდეით გაერთიანებული, საზოგადოებისა.

ეს სურვილი და მიზანი სავსებით შეესაბამება ნაციონალიზმის უნივერსალურ ფუნდამენტურ იდეალებს, თუმც სხვა საკითხია, რამდენად მიღწევადი იყო ის ილიასდროინდელ საქართველოში.

თავიდან ილიას, ამ თვალსაზრისით, აშკარად მეტი ოპტიმიზმი ეტყობოდა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ შესაძლებელი იყო წოდებრივი ტიხრების გადალახვა ნაციის მაკონსოლიდებელი იდეის მეშვეობით, მაგრამ 80-იანი წლების მიწურულისათვის მისთვის, ისევე როგორც ყველასათვის, საქართველოში, აშკარად ცხადი შეიქმნა, რომ წოდებრივი კარჩაკეტილობა სერიოზული გამოწვევა იყო ერთიანობისათვის. შემაკავშირებელი ხიდი არ არსებობდა. ახლა, როგორც ადრე, ისე ნათელი აღარ იყო, თუ როგორ უნდა მომხდარიყო მისი შექმნა (ილიას აზრით, აღდგენა).

როგორც რეალისტი მწერალი, ილია ზუსტად აფიქსირებს არსებულ ვითარებას, მაგრამ ამავე დროს მისთვის ცხადი არ არის, როგორ უნდა დაძლეულიყო "ხიდჩატეხილობის" პრობლემა.

არჩილმა თავის თავზე აიღო გიორგის დაკრძალვის ყველა ხარჯი. გლეხობიდან ზოგმა მოუწონა და-ძმას თავმდაბლობა და "გაპატიოსნება" მიცვალებულისა. ზოგი-კი იძახოდა: 'კაცი მოიდნეს და ქვეყანას ახლა ამით უბმენ თვალსაო'. ამგვარი დამოკიდებულებით გულდაწყვეტილ კესოს ასე მიმართავს არჩილი:

> ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი-კი შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი-კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის, და ბუნება, ხომ იცი, რა ოსტატია!

ასეთ დასკვნამდე მიდის არჩილი. მან საკუთარი თვალით ნახა ის უფსკრული, რაც აშორებდა თავადაზნაურთა წოდებას გლეხობისაგან. იგი გლეხთა უსამართლობით გულდაწყვეტილ დას ასეთი სიტყვებით ამშვიდებს:

> ნუ გიკვირს ... საკვირველი ის იქნებოდა, რომ ეგ არ ეთქვათ. ისინი თავის მხრივ მართალნი არიან. ჩვენ შუა ხიდია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დარჩნენ, ჩვენ აქედ. შორი-შორსა ვართ და თვალნი ერთმანეთისათვის ვეღარ მიგვიწვდენია, თვალნი მართალი და უტყუარი ... ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვა-და-სხვა ქვეყანაა. შორი-შორსა ვართ-მეთქი ... იმათს ტირილსა და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ვეღარ მიგვიკარებია, ვეღარ მოგვიხვედრებია. გული ქვეყანაზედ აღარ არის! ... მოჰკვდა, გამოეცალა ადამიანს.

არჩილი დააფიქრა ხიდჩატეხილობის პრობლემამ და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქვეყნის წარმატება ამ პრობლემის დაძლევაზე იყო დამოკიდებული. მაგრამ აუცილებელი იყო არჩილთან ერთად იმ ადამიანებს გაეცნობიერებინათ საკითხის დიდმნიშვნელოვნობა, რომლებსაც ის უწვდიდა დახმარების ხელს. ავტორი მიგვანიშნებს, რომ აუცილებელია არჩილის ცოდნის გიორგის ხასიათით გაჯერება და გიორგის ხასიათის არჩილის განათლებით შევსება, რათა ამგვარად შექმნილმა საზოგადოებამ წარმატებამდე მიიყვანოს საქართველო. გიორგი და ოთარაანთ ქვრივი განასახიერებენ ტრადიციულ საქართველოს, არჩილი და კესო – ახალ საქართველოს. მომავლის საქართველო ამ ორი საქართველოს შეერთებით უნდა შეიქმნას. ქართული ავთენტური, საუკუნეობრივ-ტრადიციული უნდა შეუჯვარდეს მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევებს, მორალს.

ოთარაანთ ქვრივის გამოქვეყნებას დიდი რეზონანსი მოჰყვა. დაიბეჭდა არაერთი წერილი, რომელიც წარმოადგენდა თხზულების განხილვას. რუბრიკაში *ფელეტონი* წარმოდგენილია რეცენზია, რომლის ავტორი (მიხეილ ხელთუფლიშვილი) კრიტიკულად აფასებს მოთხრობას. სქოლიოში ავტორი გამოთქვამს თავისავე რეცენზიისაგან სრულიად განსხვავებულ აზრს ი. ჭავჭავაძეზე:

> შეიძლება, თქვენ არ გეხერხებოდეთ თავის გაზეთში ჩემი შენიშვნების იმ გაგებით დაბეჭდვა, სადაც მე ქებით მოგიხსენიებთ თქვენ, მაგრამ საჭიროა, არ დავივიწყოთ, რომ *ივერია* ერთადერთი ქართული გაზეთია, და რომ იქაც არ შეიძლებოდეს თქვენზე როგორც ავის, ისე კარგის თქმა, მაშინ ჩვენ თითქმის იძულებულნი ვიქნებოდით სრული მართალი არასოდეს არ გვეთქვა (# 58).

ეს შენიშვნა ჩვენთვის საინტერესოა არა იმდენად თუ რა აზრს გამოთქვამს მისი ავტორი მოთხრობის შესახებ (საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქმნილებამ თავისი საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართული კულტურის საგანძურში), არამედ იმდენად, რამდენადაც ხაზგასმულია, რომ *ივერია* ერთადერთი ქართული გაზეთია და ეს მას ავალდებულებს ასახოს საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა აზრი.

107-ე ნომერში ქვეყნდება სანოს (ამ ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს *ივერიაში* სტეფანე ჭრელაშვილი) წერილების სერია სათაურით *მცირე შენიშვნა "ოთარაანთ ქვრივის" გამო*. სანო ეპაექრება *ოთარაანთ ქვრივის* შესახებ გამოქვეყნებული ზემოთ აღნიშნული კრიტიკული წერილის ავტორს მიხეილ ხელთუფლიშვილს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ *კაცია ადამიანი, გლახის ნაამბობი* და *ოთარაანთ ქვრივი* არის ჩვენი ცხოვრების ისტორია, მათში თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი 'რანი ვიყავით გუშინ-წინებში, რანი შევიქენით გუშინ და ვინა ვართ დღეს'. ეს არის ერთ-ერთი წყარო ჩვენი ცხოვრების გამოსარკვევად. მოთხრობის ავტორი გვეუბნება: მართალია, ჯერ ძალიან დაბლა ვდგავართ, ძლიერ დაქვეითებულნი ვართ, მაგრამ ღვთის მადლით ლუარსაბობა გადავარდაო, სასიკეთო და ფრიად საყურადღებო ცვლილებები შეიმჩნევა ლუარსაბსა და არჩილს შორის. ცხოვრების ხორც-მეტად ქცეული ლუარსაბები და დარეჯანები ადგილს უთმობენ არჩილსა და კესოს, ხოლო ლამაზისეულის ადგილს იკავებენ ოთარაანთ ქვრივები და გიორგები (# 107).

სანოს მიაჩნია, რომ ამ დროს გაიღვიძა გლეხის გონებამ. თუ მანამადე იგი დარწმუნებული იყო, რომ გლეხის გაჩენაში ღმერთი არ ურევიაო, და ამიტომ ფიქრიც კი უკეთესის წეს-წყობილობისა უაზრობად მიაჩნდა, ახლა ღრმად ჩაფიქრდა საკუთარ ცხოვრებაზე. სანო მიიჩნევს, რომ გლეხმა საკუთარი თავი იცნო კაცად, რასაც მისი პიროვნების აღიარება უნდა მოჰყოლოდა აუცილებლად; *ოთარაანთ ქვრივი* საბუთია იმისა, რომ ავტორმა ჩაიხედა ქართველის გულში და იქ ამოიკითხა ჩვენი ვინაობა:

> ორი ხელით დაეჭიდა გლეხი ქონებრივ გაძლიერებას, რომელიც შეადგენდა უმთავრეს საგანს მის დღევანდელ სიცოცხლისას. გლეხი ხედავს, რომ რამდენიც მეტს გაირჯება, იმდენი უფრო ზურგი მაგარი ექნება, და რა-კი ერთი ფეხს მკვიდრად მოიკიდებს ... სახელმწიფო და სამოქალაქო

> მოვალეობასაც ადვილად გაუძღვება ... ვაჭარსაც აღარ ჩაუვარდება ხელში და აღარც ვალი და ვახში გაუჭირებს საქმეს.

ესაა უმთავრესი, რამაც, შეიძლება წარმატება მოუტანოს ქართველ გლეხს, რომელიც, ისევე როგორც ილიას აზრით, სანოს შეხედულებითაც, წარმოადგენს ქართველობის ბურჯს:

> მთელი ჩვენი ძალა დიდება ქვეყნისა დღეს მხოლოდ გლეხია, იგი ინახავს ჩვენს ეროვნობას, ჩვენს ენას, იგი კვებას თავის თავსა და გვკვებავს ჩვენცა ... მაგრამ თუ გლეხი დაჯანდაგდა დანარჩენი ნაწილი ჩვენი ხალხისა ხომ მიწასთან გასწორდება-და-გასწორდება ... დაჯანდაგდება მთელი ჩვენი ერი, დასუსტდება და დაუძლურდება ჩვენი ვინაობა, დასჭკნება შემოქმედებითი ძალა ქართველის ჭკუა-გონებისა, დაეცემა ჩვენი ზნე-ხასიათი, დაუძლურდება საზოგადოდ ქართველი კაცი (# 115).

> ჩვენი ძალა გუთანი და ვენახია. ინტელიგენციაც, თუ შეგნებული აქვს საგანი ქვეყნის სამსახურისა, უნდა მიეშურებოდეს სოფლისაკენ და თავისი სიყვარული ხალხის მიმართ იმითი-კი არ უნდა გამოხატოს, რომ თვითონ ჩამოვიდეს ხალხის ნაკლულევანებამდე როგორც დღევანდელ უსუსურსა და მოუმზადებელს ინტელიგენციას ემართება, არამედ ხალხი ასწიოს მეცნიერებისა და განათლებულ გულის სიმაღლემდე (# 123).

ქართული ერთობის "შემსჭვალვის" თვალსაზრისით *ივერიაში* ყურადღება გამახვილებულია ისტორიის ცოდნის აუცილებლობაზე. *მეთაურ წერილში* გამოქვეყნებულია ი. ჭავჭავაძის შეხედულებები ისტორიის შესახებ:

> ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან მომასწავებელია ერის სულითა და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისა. წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვა-და-სხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გამოუცნობი და გაუგებარია ... შვილმა უნდა იცოდეს სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა ... როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისე

> ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავის ისტორია არ ახსოვს? იგია მთხრობელი მისი თუ, – რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის ფიცარზედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა როგორც სარკე, გვიჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერს დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის ... ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიანს სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავისი დიდებულ და დიდბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი.

შთამომავლობა ვალდებულია დავიწყებას არ მიეცეს უკეთესნი და უდიდესნი მოქმედნი ერისა. ი. ჭავჭავაძე ახსენებს საზოგადოებას, რომ ყველა ცნობიერი ერის მოვალეობაა ქვეყნისათვის ერის გამორჩეული შვილების ღვაწლის პატივისცემით მოხსენიება და მათი დროგამოშვებით ღირსეულად მოგონება:

> თუ ერს კიდევ ერობა სურს და დედამიწის ზურგიდან მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი საკუთარი ვინაობის დავიწყებაა ... ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს.

ასეთი დიდბუნებოვანი გმირი ჰყავდა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახით. *ივერია* მისი ხსენების დღეს, 24 იანვრის ნომერში წერილს უძღვნის ერის დიდებას და შეახსენებს ერს მის დიდ ღვაწლს. ამ მართლა, დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას, აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა. ამასთანავე დავით აღმაშენებელი იყო დიდ-ბუნებოვანი ადამიანი:

> იგი, თავ-გადადებული თავის ეროვნობისა და მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისა, დიდი პატივის-მცემელი იყო სხვის ეროვნობისა და სარწმუნოებისაც ... აი ამისთანა კაცის ხსენებაა გამაცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არ ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გამოზარდა (## 17, 237).

ენის როლისა და ფუნქციის განსაზღვრა, რომ საზოგადოებრივი განსჯის საგანს წარმოადგენდა, ამას მოწმობს მეთვრამეტე ნომრის კორესპონდენციაც, სადაც საუბარია ოდესის ქართველთა შეკრების

თაობაზე. კორესპონდენციაში წარმოდგენილია შეკრებაზე მყოფი ერთ-ერთი ექიმთაგანის ენის ფენომენის ფუნქციის გაგება "ორგანული" (ორგანიცისტული) თეორიის ჩარჩოებში: კერძოდ, მის თვალსაზრისში გამოკვეთილია, რომ ერის ცხოვრებაში სხვადასხვა საზოგადოებრივი ელემენტები ისეთივე სასიცოცხლო ფუნქციას ასრულებენ, როგორსაც ორგანიზმისათვის თითოეული ორგანო:

> სხვადასხვა ისტორიულის მიზეზებისა გამო ქართული ენა უფსკრულის ნაპირზედ დგას. მეტად უძლური და ძალამიხდილია ენა, თვით ერი იმას არაფერს ფასს არა სდებს და სხვა ენას ეწაფება, რადგან ამ სხვა ენაში ხედავს ცხოვრების ერთადერთ სახსარს ლუკმა პურის მოსაპოვებლად და წაბაძვით გატაცებული, მოდასავით მისდევს, მეორეს მხრით, თუკი ამ არასახარბიელო მოვლენას ის გარემოებაც დაემატა, რომ ინტელიგენციას არ შეუძლია სამეცნიერო ნიადაგი მოუმზადოს ენას, შექმნას სამეცნიერო მწერლობა და დაბადოს მეცნიერებაც სამშობლო ენაზედ, მაშინ ხომ სულ არასაიმედო სურათი იხატება ამგვარი საზოგადოება კერძოდ, და ასეთი ცხოვრება ანუ ერი საზოგადოდ, არის, როგორც ძალამიხდილი სნეული; იმის სხეულს ღრმადა აქვს გამჯდარი სხვადასხვა სენი, ასე, რომ იმისი ბედი სასწორზედ არის და ღმერთზედ ჰკიდია.

ექიმის ამგვარ მსჯელობას შეკამათებია შეკრებაზე მყოფი უფრო ოპტიმისტურად განწყობილი პროფესორი, რომელსაც გამოუთქვამს შემდეგი აზრი: როგორც სხვა დაწინაურებულის ეროვნების ვითარების ისტორია, აგრეთვე ჩვენი საკუთარიც ცხადად გვიმტკიცებს, რომ ენა, ზნე, ჩვეულება, მთელი კულტურა ერისა თუმცა ხშირად ყოფილა ხოლმე სხვა კულტურის გავლენის ქვეშ, ხშირად უწევია მეტად მძიმე და სასტიკი უღელი, მაგრამ ენა მაინც ენად დარჩენილა, თუმცა შესაძლებელია სხვა უცხო ფორმები და ელემენტები შეემუშავებინოს და შეეთვისებინოს. საზოგადოდ შენიშნულიაო, რომ უცხო ენა და კულტურა, რომლის გავლენის ქვეშ არის რომელიმე ერი, ადამიანს გაიტაცებს ხოლმე, როგორც ახალი ხილი, როგორც მოდა. მაგრამ ამ გატაცებას და ბაძვას თავისი საზღვარი აქვს; მიაღწევს თუ არა ამ უკიდურეს ზღვარს ერი, იღვიძებს, ცნობიერებაში მოდის, იფშვნეტს თვალებს და, რაკი ხედავს, რომ დიდი მანძილი გამივლია და უფსკრულს მივახლოვები ვარო, მაშინვე იწყებს უკან ხევას, სანამ იმ ადგილამდე არ მივა, საიდგანაც ცნობადაკარგულმა სვლა დაიწყოო.

თუმცა ეს გამომსვლელი, როგორც თავადაც შენიშნავს, კარგად აცნობიერებდა იმ სხვადასხვა სენს, რომელიც ჭიასავით შესჩენოდა ქართველთა ცხოვრებას, მაგრამ იგი მაინც უკეთესი მერმისის იმედს გამოხატავდა (# 18).

ამავე ნომრის რუბრიკაში *ნარკვევი ჟურნალ-გაზეთებიდან* იბეჭდება ინფორმაცია რუსული გაზეთების მსჯელობაზე მეცნიერების დანიშნულებასთან დაკავშირებით. ამ საკითხზე საზოგადოებაში ორი აზრი ყოფილა გამოკვეთილი: მეცნიერების ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ხასიათი. გაზეთი *Московские ведомости* გამორიცხავდა, მეცნიერების ეროვნულ ხასიათს, უმთავრეს საგანად ჭეშმარიტების ძიებას ასახელებდა. საწინააღმდეგო აზრის ავტორები არ გამორიცხავენ მეცნიერების საერთაშორისო ხასიათს, მაგრამ ამასთან ხაზგასმით მიუთითებენ ეროვნული ხასიათის განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც (# 18).

ფელეტონის რუბრიკით გამოქვეყნებულია წერილი *გურჯები (ქართველები) ოსმალეთში* (ავტორი ხელს აწერს პ. ინიციალით – პეტრე უმიკაშვილი), რომელშიც აღწერილია ოსმალეთში გადასახლებული ქართველების სავალალო მდგომარეობა, კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ ჩვენმა თანამოძმეებმა ოსმალეთში უბრალო წერა-კითხვაც კი არ იციან და ჩვენს უცილობელ დახმარებას საჭიროებენ. გულისტკივილით არის შენიშნული ქართული საზოგადოების უყურადღებობა. პეტრე უმიკაშვილი მოუწოდებს მათ იზრუნონ ჩვენივე თანამოძმეების საკეთილდღეოდ, დაეხმარონ ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტაში, როგორიცაა სკოლების გამართვა და დედა-ენაზე სწავლა-განათლების მიღება, წიგნებით მომარაგება. აქვე მოყვანილია სომხების მაგალითი, მითითებულია თუ როგორ ზრუნავენ ისინი ქვეყნის გარეთ მცხოვრებ თავიანთ თანამოძმეების დასახმარებლად, მართავენ სკოლებს, აშენებენ ეკლესიებს, უგზავნიან გაზეთებს და წიგნებს, რის შედეგადაც ოსმალეთში მყოფი სომხობა სწავლა-განათლებას დედაენაზე იღებს (# 21).

შეიძლება ითქვას, აღნიშნული თემის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს მომდევნო ნომერში გამოქვეყნებული სასოფლო სკოლების ფუნქციის თაობაზე მსჯელობა. ჩვენ აღნიშნული გვქონდა, თუ როგორ პროპაგანდას ეწეოდა *ივერია* მეტი და მეტი სკოლების გახსნის აუცილებლობის შესახებ და იხსნებოდა კიდევაც სასოფლო სკოლები

საქართველოს ყველა კუთხეში. მაგრამ სკოლების მომრავლება განათლების პრობლემას ვერ წყვეტდა. საგანმანათლებლო დაწესებულებები სოფლებს და საერთოდ ერს წერა-კითხვის ცოდნის მეტს ვერავითარ სხვა განათლებას ვერ ამლევდნენ. კორესპონდენციაში წუხილია გამოთქმული იმის გამო, რომ გონების გახსნის თვალსაზრისით ეს ძალიან ცოტაა, რაც საზოგადოების ყველა ფენას ჰქონდა გაცნობიერებული. ერის მოზარდი თაობისათვის აუცილებელია სასწავლებელმა მისცეს მეტი ცოდნა, რათა ერის შრომა და გარჯა უფრო ნაყოფიერი იყოს (# 18).

ამ თემის განხილვის გაგრძელებას ვხვდებით გაზეთის სხვა ნომრებშიც, სადაც აღნიშნულია, რომ ერის განათლება ერის მეტ ნდობას მოიპოვებს, თუ ის ხალხის მდგომარეობასთან იქნება შეთანხმებული. სასოფლო სკოლებმა ისეთი ცოდნა უნდა მისცეს მოზარდს, რომელიც ხალხს ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოადგება (# 29).

საგანმანათლებლო სივრცეში შექმნილ პრობლემებს შეეხება ამავე ნომრის *მეთაური წერილიც.* ამჯერად საუბარია განათლების შემაფერხებელ გარემოებებზე. სასწავლო სფეროს ხელმძღვანელობას ("სამოსწავლო მთავრობას") განუზრახავს გააუქმონ გიმნაზიის პარალელური კლასები. ამ გადაწყვეტილებას საგონებელში ჩაუგდია ქართველი თავადაზნაურობა, რომლებიც შეკრებილან, რათა შემწეობა აღმოეჩინათ სწავლა-განათლებისთვის, რომ მათი შვილები უსწავლელი არ დარჩენილიყვნენ. რაც დრო გადიოდა, ქართული საზოგადოება აცნობიერებდა იმ გარემოებას, რომ თვითონ უნდა ეზრუნა საკუთარი შვილების ბედზე, მათ კეთილდღეობაზე. როგორც კორესპონდენციიდან ჩანს, ამ საკითხზე მსჯელობისას ორი აზრი გამოიკვეთა: ან ხელი შეუწყონ სათავადაზნაურო სკოლის გაფართოებას, ან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამეურნეო სწავლებას, რაც ასე აუცილებელი იყო ქვეყნის სოციალური თუ ეკონომიკური განვითარებისათვის (# 26). როგორც გაზეთის ფურცლებიდან ვიტყობთ, ქართულ საზოგადოებაში სამეურნეო სწავლა-ცოდნის აუცილებლობის შესახებ აზრი უფრო და უფრო მწიფდებოდა. მეთაური სვეტი იუწყება (ხელმოწერილია ინიციალით ს-ი – ალექსანდრე სარაჯიშვილი) სამეურნეო საზოგადოების კრების ანგარიშში მითითებულ საინტერესო ინფორმაციაზე – სასოფლო სკოლებს მიეცეს სამეურნეო სწავლა-ცოდნის გავრცელების შესაძლებლობა (# 29). მომდევნო ნომრებშიც არაერთხელ ვხვდებით ამ საკითხზე გამართულ მსჯელობებს.

აშკარაა, რომ *ივერია* ამ პულიკაციებით ახალისებდა ქართული ერთობის ტრადიციულად ლიდერი წოდების – თავადაზნაურობის – საზოგადოებრივ აქტივობას.

ამავე ნომრის რუბრიკაში *დაბა და სოფელი* საუბარია ქუთაისის ქალაქის თავის არჩევნების შესახებ. ავტორი კარგარეთელის [64] მითითებით აღნიშნულ არჩევნებში წინანდელისაგან განსხვავებით ფული ნაკლებად მუშაობდა, მაგრამ ყურადღებას აქცევს იმ ვითარებას, რომელიც ყოფილა ჩვენში მიღებული საყოველთაო არჩევნებში: ეს იყო სიცრუე და უსამართლობა (# 29).

1887 წლის 270-ე ნომრის განხილვისას ჩვენ აღვნიშნავდით, რომ *მეთაური წერილი* სახალხო პოეზიის ნიმუშების შეკრება-გამოქვეყნებასთან ერთად საზოგადოებას მოუწოდებდა ხალხის ცხოვრების ყოველმხრივ შესასწავლად, შეეგროვებინათ ხალხური შემოქმედების ყოველგვარი გამოვლინება ('ყოველგვარი გონებითი ნაწარმოები'). მაგალითისთვის დასახელებული იყო ორი სფერო იურიდიული და ეკონომიკური ცხოვრება. ამ წერილს ეხმიანება 1888 წლის 29-ე ნომრის ხელმოუწერელი ფელეტონი და აღნიშნულ კრიტიკას "უსაფუძვლო დაფოლებას" უწოდებს. ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება მავნებელი შეიძლება აღმოჩნდეს ამ ახლად ფეხადგმული საქმისთვის. ამიტომაც კორესპონდენცია ერთგვარი მიმართვაა ამ საქმით დაინტერესებული პირების მიმართ, რომ ეს არის ფრიად საშური წამოწყება და არ უნდა შეწყვიტონ ერის საგანძურის შეკრება-გამოქვეყნების საქმე.

მოკლედ, ამგვარად თუ იმგვარად, საკუთარი პოზიციის დაფიქსირებით თუ ამ პოზიციის კრიტიკით, *ივერია* არ წყვეტს სუბარს ხალხური შემოქმედების, როგორც უმნიშნელოვანესი კულტურული საგანძურის, შესახებ.

ამავე რუბრიკაში ყურადღება გამახვილებულია ჩრდილოეთ კავკასიის შავი ზღვის ნაპირების დაუსახლებელი ადგილების უფლებამოსილებაზე. ეს დაუსახლებელი ადგილები დიდი ხანია მთავრობის ზრუნვის საგნად ქცეულა. ამ საკითხისადმი

[64] რამდენიმე მოლვაწეა ცნობილი ამ ფსევდონიმით. ეს უნდა იყოს კირილე ლორთქიფანიძე ანუ თომა კარგარეთელი იგივე "ქართველი არისტიდი", როგორც არის კიდეც შენიშნული სპეციალურ ლიტერატურაში.

განსაკუთრებული ყურადღება ახსნილია იმ გარემოებით, რომ ერთი მხრივ, ამოქმედებულ იქნას იქაური გავერანებული ადგილები, მეორე მხრივ, უნდა შეექმნათ პოლიტიკური თვალსაზრისით საიმედო ვითარება. ეს უკანასკნელი შეხედულება დომინირებდა მთელ მსჯელობებში. მაგრამ ვერა და ვერ გადაუწყვეტიათ რა ჯურის ხალხი დაესახლებინათ ისე, რომ ჩასახლებულთ შეძლებოდათ აეთვისებინათ გავერანებული ადგილები და თან პოლიტიკურადაც საიმედონი ყოფილიყვნენ. ამ საკითხზე შედგენილმა სპეციალურმა კომისიამ წამოაყენა აღნიშნულ ადგილებში კაზაკების დასახლების წინადადება. მედია-საშუალებები (მაგ. *Новости*) მიუთითებდა კაზაკების დასახლების არამართებულობაზე, რადგან ისინი ეკონომიკურად ქმედით ძალას არ წარმოადგენდნენ: რუს გლეხთან შედარებით განვითარების დაბალ საფეხურზე მდგარან.

საკითხზე მოწვეულ საგანგებო კრებაზე დიდი კამათი გამართულა. საგანზე მსჯელობის ოფიციალური უფლება მიუციათ შავი ზღვის პირების ადგილ-მამულებზე მოღვაწე პირებისათვის: დუკმასოვის, იურევიჩის და ეროპკინისთვის. დუკმასოვი კაზაკების დასახლებას ემხრობოდა. იურევიჩმა გამორიცხა მათი გამოსადეგობა ამ საქმისათვის და წამოაყენა ამ ადგილებში ქართველების, იმერლების და მეგრელების დასახლების წინადადება. მართალია, რუსი მოხელე ქართული ეთნოსის დასახლებას უჭერს მხარს ამ ადგილებში, მაგრამ საინტერესოა ის თვალსაზრისი, რომ ის იმერლებსა და მეგრელებს მიჯნავს ქართველებისაგან.

ეროპკინი დაეთანხმა იურევიჩს კაზაკების ჩასახლების უსარგებლობის თაობაზე, მაგრამ ემხრობოდა რუსების დასახლების თვალსაზრისს. კრება საბოლოოდ ღებულობს ამ ადგილებში რუსების დასახლების გადაწყვეტილებას. თუმცა აღნიშნავდნენ, რომ საკითხის გადაწყვეტისას ეკონომიურ ფაქტორს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ამ უკანასკნელის არგათვალისწინებას მოწმობს. აღნიშნული საკითხების ასე ვრცელი მიმოხილვა *ივერიის* ფურცლებზე განპირობებული იყო იმით, რომ მკითხველში აღძრას 'გაკვირვება ამ ღირსსაცნობმა საგანმა' ანუ რუსების ჩასახლებამ აღნიშნულ მხარეში (## 33, 37).

სასულიერო წოდებაში გავრცელებული სენი – ზნეობრივი გახრწნილება – საზოგადო საფიქრალის საგანი გამხდარა. ჩვენ ამ

თვალსაზრისით საინტერესო *ივერიიდან* მოყვანილ მასალაში არაერთი ფაქტი გვაქვს მითითებული, სადაც თვალსაჩინოდ არის წარმოჩენილი არსებული არასახარბიელო ვითარება. დაცემული ზნეობის აღდგენის მიზნით გაზეთი აგრძელებს სასულიერო წოდების ისტორიული ღვაწლის შესახებ წერილების პუბლიკაციას. ქართული საეკლესიო სამართლის ნიმუში *ძეგლისწერის* გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ნ. ურბნელი (ნიკო ხიზანიშვილი) ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ *ძეგლისწერა* ამავდროულად სავალდებულო კანონიც იყო მთელი ერისათვის დამტკიცებული 'წმინდა და ღვთივ შეკრებულ კრებაზე, ჩვენი საკუთარი აზროვნების ნაყოფი, ძლიერი ქართული სიტყვა ბოროტების მოსასპობად'. *ძეგლისწერა* შეიქმნა მაშინ, როდესაც საქართველოს ურთულესი პერიოდი ედგა პოლიტიკური თუ კულტურული თვალსაზრისით. ქვეყნის პოლიტიკურ თავისუფლებასთან ერთად, აუცილებელი იყო ზნეობრივი განახლება. ამიტომაც ხალხის დაცემული ზნეობის აღგენით დაიწყო მეფემ ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლა.

წერილში ხაზგასმულია, რომ *ძეგლისწერა* არის საეკლესიო წეს-წყობილების განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მის შიგნით გავრცელებულ უზნეობას. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ძველ დროში ეს წოდება მჭიდროდ იყო შეკავშირებული მთელ ერთან. ამ მხრივ, საყოველთაო ანუ საზოგადო მნიშვნელობაც ჰქონდა. იგი არსებითად კანონი იყო მთელი ერისათვის (# 38).

აქ, როგორც ვხედავთ, ტერმინი "ერი" წინა მოდერნის ეპოქის რეალიების დასახასიათებლადაც არის მოხმობილი.

83-ე ნომრის *მეთაური წერილში* საუბარია სისხლით ნათესაობის როლზე ადამიანთა ერთობისათვის:

> სისხლით ნათესაობა და ნათესავური სიყვარული ადამიანთა ერთობისა და წარმატების უძველესი და უმთავრესი საფუძველია, და ოჯახი, რომელიც სულდგმულობს შთამომავლობის სიყვარულითა, არის დვრიტა და გული ყოველის საზოგადოებისა, ერისა. იმ ნათესავურს გრძნობასა და სიყვარულზე რომელიც ასულდგმულებს ყოველს კრებულს ადამიანისას, აგებულია საზოგადოდ კაცთ-მოყვარეობაცა ... თუ გადავხედავთ კაცობრიობის წარსულს და აწმყოს შევნიშნავთ, რომ ყველგან და ყოველთვის ღვიოდა ნათესავური სიყვარული.

ადამიანი ცოტა თუ ბევრად მოწადინებულია თავისებურად ბედნიერება დაუმკვიდროს შთამომავლობას, რომ ადამიანი მერმისითაც ცხოვრობს და სულდგმულობს. აქ ჩართულია სამაგალითო ფაქტი. შვეიცარიაში ვაჭარ დანიელ რენიეს დაუარსებია საოჯახო კასა, რომლის მიზანს შეადგენდა დამაარსებლის შთამომავლობისათვის სწავლა-განათლების მიცემა და მოხუცებულებისათვის შემწეობის აღმოჩენა (# 83).

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ნაციონალიზმს ამბივალენტური დამოკიდებულება ჰქონდა სისხლით ნათესაობის, როგორც ნაციონალური მარკერის (ისევე როგორც რელიგიის), მიმართ. ზოგჯერ ის არ აქცენტირდებოდა, ზოგჯერ კი წამოიწევდა წინა პლანზე. ქართველ ნაციონალისტთა მოწოდებები ხშირად მიემართებოდა ექსკლუზიურად ეთნიკურ ქართველობას, მაგრამ ამავე დროს, რეალურად ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესი არ მოიცავდა მხოლოდ ეთნიკურ ქართველობას.

85-ე ნომერში გამოქვეყნებულია ა. გარსევანიშილის წერილი *საკვირველი ომი ასპინძისა*. როგორც ვხედავთ, ერეკლე მეორის ეპოქის ფაქტებისადმი *ივერიის* ინტერესი წლების მანძილზე არ ნელდება. უკანასკნელად, აღნიშნული წერილის ავტორის შენიშვნით, ეს ბრძოლა ერეკლე მეფის თანამედროვეთა მიერ არის აღწერილი. ზაალ ბარათაშვილი ერეკლეს მდივან-ბეგი, რომელიც განუშორებლად მეფესთან იყო, მოგვითხრობს ამ ომის ამბავს. ხოლო ის, რაც მოხდა გიორგი ბატონიშვილის ფლანგზე, გიორგი ფალავანდიშვილმა აგვიწერა – იგი თან ახლდ აგიორგის. ორივე ეს მოთხრობა მოხსენიებული ყოფილა ა. ორბელიანის წერილში *ასპინძის ომი*. აქ ისევ საუბარია იმის შესახებ, რომ გიორგი მეფე არ დაეხმარა ერეკლე მეორეს ასპინძის ომში. საინტერესოა ავტორის დასკვნა ომში ქართველთა წარმატების მიზეზის შესახებ:

> ირაკლი მეფის დროინდელთა აზრით, ქართველების დამარცხება ასპინძის ომში შეუძლებელი იყო, რადგან აქ იბრძოდნენ საქართველოს უკეთესნი შვილნი, განურჩევლად წოდებისა: ამ დაუვიწყარ გმირთა დაქცეულის სისხლით ქართველებმა შეისყიდეს ძლევა-მოსილი გამარჯვება.

პუბლიკაციაში *ფიქრი და შენიშვნა გარეთყოფილისა* (ავტორი ხელს აწერს ნ. გ-ლი ინიციალით // წინია გარეჯელი[65] – ივანე ჯაბადარი[66]) წარმოდგენილია ორი თაობის ინტელიგენციის – თერგდალეულთა და მისი შემდგომი თაობის ღვაწლი და დამსახურება ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში. თერგდალეულთა თაობა როგორც ცნობილია, აღიზარდა რუსულ მწერლობასა და მეცნიერებაზე და რუსეთის განათლებული საზოგადოების აზრებით შესისხლხორცებული დაბრუნდა სამშობლოში. ავტორი თერგდალეულთა დამსახურებად საზოგადოებაში ნათელი აზრების გავრცელების გარდა, ასახელებს ქართული ენის შენახვა-დაცვა-გამდიდრებას. მათ წარმატებას ხსნის იმ გარემოებით, რომ აღნიშნულმა თაობამ 'იმ დროის ნათელი აზრები მართლაც შეითვისა და განიხორციელა'. თერგდალეულთა თაობისგან განსხვავებით ვერაფერს სანუგეშოს ხედავს ავტორი ახალ თაობაში. 'სამწერლო თუ საზოგადო სარბიელზე გამოვიდა სულით და გულით ფუჭი და უღონო, გონებით გაუხსნელი და დროის შესაფერად მოუმზადებელი თაობა ... იმათ სახეზედ არ არის გამოხატული არც ძმობის, ამხანაგობის და მეგობრობის გრძნობა, არც საზოგადო საქმისადმი გულმხურვალება; გულგრილობა და გულქვაობა იმათის შუბლის ბეჭედია' – აი ასეთ შეფასებას აძლევს მათ ავტორი და სვამს კითხვას – როგორ მოხდა, რომ თერგდალეულთა თაობამ ვერ აღზარდა კარგი, მხნე და გონიერი თაობა ან აღზარდა ისეთი უშნო და გულსაკლავი თაობა, როგორიც დღევანდელია? სად არის იმის მიზეზი, რომ დღევანდელი თაობა, რომელსაც აღმზრდელად კარგი თაობა

[65] იხ. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. III., ნაკვ. I. თბილისი, ცოდნა. 1963; ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად, V – ვარიანტები, შენიშვნები, კომენტარები. თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 676.

[66] წერილი ასე იწყება 'დიდი ხანია, კარგა დიდი ხანია, რაც ჩემმა ავმა თუ კარგმა ბედმა ჩემს სამშობლოს მომაშორა და შორს გადამაძევა ...'. ეს შენიშვნა ერთგვარად ამყარებს თვალსაზრისს წერილის ივანე ჯაბადარის ავტორობის შესახებ. ხალხოსნური მოძრაობაში მონაწილეობისათვის ათი წლით გადასახლებული ივანე ჯაბადარი 1889 წელს ბრუნდება ციმბირიდან საქართველოში. იხ. ვ. წერეთელი. ლიტერატურული წერილები. მემუარები (კრებული შეადგინა და წერილები დაურთო პროფ. დ. თევზაძემ). თბილისი, მერანი, 1998, გვ. 207.

ჰყოლია, რომელსაც თვალწინ ჰქონდა მდიდარი, უფრო ადვილად ხელმისაწვდომი რუსეთის, საფრანგეთისა თუ გერმანიის მწერლობა, ასე უძლური და უფერულია და არაფრით არა ჰგავს წინა თაობას? ამგვარი შედეგის მიზეზად ასახელებს იმ გარემოებას, რომ ახალი თაობა უაზროა და უსაგნოა.

ი. ჯაბადარის აღნიშნულ წერილს დიდი გამოხმაურება მოჰყვა *ივერიის* ფურცლებზე. გამოქვეყნდა რამდენიმე კრიტიკული წერილი. ზემოთ აღნიშნულ შეხედულებებს პირველ კრიტიკულ განხილვას უძღვნის ილია ჭავჭავაძე *მეთაურ წერილებში* (## 101, 102, 104, 105). მას ხაზგასმით აქვს აღნიშნული თერგდალეულთა უმთავრესი მიზანდასახულობა: ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო ნათელი აზრების გავრცელება და საკუთარი ვითარების შესწავლა. აღნიშნული თაობა ჩაუკვირდა ჩვენს ცხოვრებას, აღმოაჩინა ზოგი იმისი ღირსება-ნაკლულევანება და ამით აღძრა იმ დრომდე მიძინებული საზოგადო აზრი. საზოგადოებამ გააცნობიერა საკუთარი ვითარების გამორკვევის აუცილებლობა. ამის ნაყოფი იყო ისიც, რომ ჩვენმა მწერლობამ ხელი მიჰყო ძველის ვითარებისა და მწერლობის შესწავლას. ამგვარი მსჯელობით ი. ჭავჭავაძე შეეცადა დაედგინა შინაგანი კავშირი ეხლანდელი მწერლობისა ძველ მწერლობასთან და თუ ახალ თაობას უსაყვედურებს ივანე ჯაბადარი 'ძველისა და ახალის მწერლობით გატაცებას, არც ის უნდა დაევიწყნა, რომ ეს დანაშაულობა ძველის, თერგდალეულთა თაობის საქმეა. ამიტომაც საბუთი არავისა აქვს სთქვას, ვითომ ახალის თაობის მწერლობას ნათესაობა არა ჰქონდეს ძველს მწერლობასთან. როგორც ჰხედავს მკითხველი, ძველის თაობის მწერლობამ თავისი ფერი დასდო ახალსაც, შესამჩნევი გავლენა იქონია ახალზე და ამ გავლენას ვერასგზით ვერ მივიჩნევთ მავნებელ გარემოებად. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ საკუთარის ვითარების საფუძვლიანად შესწავლა ჩვენში ნელის ნაბიჯით მიდის წინ'.

ილია არამართებულად მიიჩნევს ი. ჯაბადარის საყვედურს ახალი თაობის საკუთარი მწერლობით გადაჭარბებული გატაცებისა და უცხო მწერლობისადმი უყურადღებობის თაობაზე:

> არც პირველში გადაგვიჭარბებია იმ ზომამდე, რომ ვინმემ გვისაყვედუროს და არც მეორეში შეუძლიან ვისმე შეგვწამოს, ვითომ საკუთარს ქერქში გამოეხვეულიყოთ და სინათლისა გვეშინოდეს. ჩვენ კი იმ აზრისანი ვართ, რომ ერთისა და მეორის შესწავლა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა,

> მხოლოდ იმ პირობით კი, რომ რაც შეიძლება მეტი ძალ-ღონე მოვახმაროთ ჩვენს მწერლობას და საკუთარის ვითარების შესწავლა გავიხადოთ ქვაკუთხედად ყოველისავე ცოდნისა. ჩვენის ფიქრით, თუ ამ გზას დავადგებით, მაშინ, იმედია, შემდეგი თაობა ზოგში მაინც არ იქნება ისე დასეტყვილი და დანაცრული, როგორც დღევანდელია.

კვლავაც აქტუალური რჩებოდა სწავლა-განათლების საკითხი *ივერიის* ფურცლებზე. 126-ე ნომერში ქვეყნდება პ. უმიკაშვილის წერილი *სწავლა თუ არ სწავლა უმრავლეს ჩვენს სოფლებში*, რომელშიც საუბარია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრებაზე მოძრავი სკოლების გამართვის აუცილებლობის შესახებ ავტორის მიერ გამოთქმული თვალსაზრისის თაობაზე. წერა-კითხვის გავრცელებას დიდი დაბრკოლება შეხვდა მრავალ სოფელში მოსახლეობის სიმცირის სახით. ღარიბ და პატარა სოფელს არ შეეძლო სკოლების შენახვა. ამ სოფლებისათვის ერთადერთი სახსარი სწავლა-განათლებისა მოძრავი სკოლაა, რომელიც დიდ ხარჯს არ მოითხოვდა (# 126). ამგვარი სკოლის სარგებლიანობის თაობაზე საუბარია 133-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში *მოძრავი სკოლების გამო* (ავტორი ხელს აწერს ფსევდონიმით გ. წყალტუბელი – გიორგი იოსელიანი). როგორც წერილიდან ვიტყობთ, ვერაფერს სანუგეშოს გვაძლევს ამ თვალსაზრისით ევროპის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილება, რადგან მოძრავმა სკოლებმა ვერ დაიმკვიდრა ჯეროვანი ადგილი. მართალია, ჩვენი მდგომარეობა არ გვაძლევდა ყოველ სოფელში სკოლის გამართვის შესაძლებლობას, მაგრამ ავტორი უფრო მართებულად მიიჩნევს, რამდენიმე სოფლის შუაში ერთი სკოლის დაარსებას, ვიდრე მოძრავი სკოლების გახსნას. აქვე სკოლაში ბავშვების არგაგზავნის მიზეზად ასახელებს არა სოფლის სიშორეს, არამედ გლეხების მიერ სწავლის სურვილის არქონას (# 133).

წერილს ეხმიანება კორესპონდენცია ქსნის ხევიდან, სადაც მითითებულია, რომ შვილის სკოლაში მიბარება გლეხს ძალიანაც უნდა, სწავლის დიდ საჭიროებასაც გრძნობს, მაგრამ რა ჰქნას, როდესაც სკოლა არ აქვს. ეს კორესპონდენცია ადასტურებს ზემოთაღნიშნული აზრის უსაფუძვლობას ვითომ, 'ზოგიერთს ჩვენს გლეხს ეზოშიაც, რომ გაუმართოთ სკოლა, მაინც არ მიაბარებს ყმაწვილსაო' (# 154).

არასამართლიანადაა მიჩნეული წყალტუბელის შეხედულება ჩვენს გლეხობაზე პ. უმიკაშვილის წერილშიც *ჭამა ქონებაზე ჰკიდია* (*პასუხი გ-ნს წყალტუბელს* (გიორგი იოსელიანი). აქაც ხაზგასმულია

თვალსაზრისის არამართებულობა თითქოს სწავლის საჭიროების გაგებას არ გაუდგამს მათში ფესვი. ამის თქმა არასწორია იმ გლეხკაცობაზე, რომელიც თავისის ხარჯით ინახავს ასობით სასოფლო სკოლას' (# 160). [67]

საზოგადოების ერთ-ერთ საფიქრალს წარმოადგენს ასევე ჯანსაღი საზოგადოების მზრდელი ელემენტის – ოჯახის ღირსების დაბრუნება. 127-ე ნომერში ივანე ჯაბადარის[68] (ნ. გ-ლის ინიციალით) ავტორობით გამოქვეყნებული წერილი *ჩვენი ოჯახი* მოცემულია სწორედ ჩვენი ცხოვრების დაცემის მიზეზებზე მსჯელობა. პირველ რიგში ეხება იმ საკითხს, რომ ოჯახს გაცნობიერებული არ აქვს თავისი დიდი მოვალეობა ღვთისა და ერის წინაშე, რომ ჩვენი მომავალი ცხოვრების ავკარგიანობა დამოკიდებულია მისგან აღზრდილ შვილზე. ბავშვს ოჯახში ეძლევა გონებისა და ზნე-ხასიათის საფუძველი, რაც არ უნდა ზნეობის სამოთხეს წარმოადგენდეს სკოლა, მაინც ვერ იმოქმედებს

[67] მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ წერა-კითხვის უცოდინარია. დაწყებითი სკოლების ქსელი სოფლად მეტად განუვითარებელი იყო. სოფლის მოსახლეობას განათლების მიღების დიდი სურვილი კი გააჩნდა, მაგრამ არსებული სოციალური ვითარება მას ამის საშუალებას არ აძლევდა. ასეთ ვითარებაში ქართველი ინტელიგენციის ნაწილი მივიდა იმ აზრამდე, რომ წერა-კითხვის გავრცელებისათვის სხვა ტიპის სკოლა უნდა დაეფუძნებინათ, რომელიც უფრო იაფი იქნებოდა შესანახად. ეს იდეა წამოაყენა რ. ჯაჯანაშვილმა 1881 წელს გაზეთ *დროებაში* (# 256) დაბეჭდილ წერილში *მოძრავი სკოლები*, რომელშიც გატარებული იყო აზრი დროებით ამგვარი ანუ მობილური საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნის შესახებ და გამოთქმული იყო სურვილი, რომ ამ პროექტისათვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელების საზოგადოებას მხარი დაეჭირა. ამ იდეას ქართულ პრესაში მოჰყვა დიდი დისკუსია, რომელიც არ წყდებოდა წლების განმავლობაში. წერდნენ მომხრეებიც და მოწინააღმდეგენიც. დისკუსიის ამსახველი მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნებულია სწორედ *ივერიაში*. ვრცლად იხ. თ. დოგრაშვილი. რაჟდენ ჯაჯანაშვილის პედაგოგიური შეხედულებანი (სადისერტაციო ნაშრომი განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად). ქუთაისი, 2010, გვ. 98-105.

[68] ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფის მიხედვით ნ. გ-ლის ინიციალით გამოქვეყნებული ამ წერილის ავტორია ივანე ჯაბადარი (იხ. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. III, ნაკვ. I. თბილისი, ცოდნა, 1963).

იმდენად ძლიერად, რადგან ჩვენი ოჯახის შინაური ცხოვრება შეუწყვეტელ და ხანგრძლივ გავლენას ახდენს. მაგრამ თუ ოჯახს გაცნობიერებული არა აქვს თავისი მოვალეობა, რასაკვირველია, გაუჭირდება აღზარდოს ისეთი შვილი, რომელსაც მოვალეობად მიაჩნდეს მამულის კეთილდღეობა. ამიტომაც აუცილებლობად არის დასახელებული საზოგადოებამ ყოველ ღონისძიებას მიმართოს, რათა ჩვენს ოჯახებს დაუბრუნონ თავისი შინაგანი ღირსეულობა (# 127).

ივანე ჯაბადარის კრიტიკულ მსჯელობას ოჯახზე ეხმიანება 135-ე ნომრის ფელეტონში ნიკო ხიზანიშვილი წერილით *უსამართლო გაწყრომა*. როგორც სათაური მეტყველებს ნ. ხიზანიშვილი არამართებულად მიიჩნევს ი. ჯაბადარის გამოთქმულ თვალსაზრისს ქართული ოჯახის დაცემასთან და მიზეზებთან დაკავშირებით. მაგრამ ამ დისკურსიდან ერთი მნიშვნელოვანი აზრი იკვეთება, როგორც ი. ჯაბადარი, ასევე ნ. ხიზანიშვილი სწავლა-განათლების აუცილებლობაზე მიუთითებენ.

ნაციონალური მობილიზაციის დროს, როგორც ითქვა, სხვადასხვა ფაქტების, საზოგადოებრივი წარმონაქმნების საკრალიზაცია ხდება. თავისებური საკრალიზაციის ობიექტად არის ქცეული ოჯახიც. საზოგადოების ამ ერთეულში ნაციონალისტები ხედავენ უფლის და ერის წინაშე აღსასრულებელ საკრალურ მისიას. უფალი და ერი ერთ სიბრტყეზეა. ოჯახი ყველაზე მნიშვნელოვანი სკოლაა ადმიანისათვის. ესაა ზნეობის აღზრდის ადგილი.

134-ე ნომრის მეთაურ წერილში საუბარია წინამძღვრიშვილის სამეურნეო სკოლის მდგომარეობის შესახებ (ავტორი ა. ნა-ლი). წერილში აღნიშნულია, რომ თითოეული ქართველი ვალდებულია დახმარება გაუწიოს სკოლას, რომელმაც შესაძლოა უსახსროობის გამო არსებობა შეწყვიტოს. შეიძლება დაიხუროს სკოლა, რომლის დასაარსებლად თავის დროზე მთელი თავისი ენერგია და ნივთიერი საშუალება არ დაიშურა ბატონმა წინამძღვრიშვილმა და ეს სკოლა უძღვნა მთელ ქართველობას, რომელსაც ეგოდენ ესაჭიროება სამეურნეო სწავლა-ცოდნა:

> ამ ერთმა კაცმა გვიჩვენა და დაგვიმტკიცა თუ რა შეუძლიან ერთის კაცის მხნეობასა და თავდადებულებას, იქაც-კი, სადაც საზოგადოება შეჩვეული არ არის თვით-მოქმედებას, სადაც თვითეულის საზოგადო საქმის წარმატება დამოკიდებულია კერძო კაცის ან დასის მხნეობასა და გამჭრიახობაზე.

ავტორი მკითხველის ყურადღების ცენტრში აქცევს საზოგადოების ნაწილის მიერ თავისი ვალდებულის გააზრების ფაქტს სკოლისთვის შემწეობის გაწევის თაობაზე. ამის ერთ-ერთი მაგალითი იყო წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ ცხინვალელი ქართველების მიერ გამართული წარმოდგენა. მაგრამ ცალკეული მაგალითები არ იყო საკმარისი სკოლის ფეხზე დასაყენებლად, მთლიანად ქართველობა უნდა ჩართულიყო ამ საქმეში (# 134).

135-ე ნომრის ფელეტონის რუბრიკაში ქვეყნდება ა. ხ.-ს (ალექსანდრე ხახანაშვილის) *კვალი საერო პოეზიისა ქართლის ცხოვრებაში*. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ *ქართლის ცხოვრებისადმი* ნიჰილისტური შეხედულებების გასაქარწყლებლად *ივერიაში* არაერთი წერილი გამოქვეყნდა. ა. ხახანაშვილის წერილი ამ მხრივ კიდევ ერთი მაგალითია. *ქართლის ცხოვრების* ავთენტურობის და სანდოობის დასადასტურებლად განიხილება თხზულების დასაწყისი ნაწილი, რომელიც, ავტორის აზრით, დამყარებულია ერის გადმოცემებზე და ტრადიციებზე. საერო ელემენტების კვალის დადასტურება ერთ-ერთი საუკეთესო საბუთია ჩვენის ისტორიის სიძველისათვის. ამიტომ ისახავს მიზნად წერილის მის შესწავლას თხზულებაში:

> ისტორია ყოველის ერისა იკარგება ძნელად გამოსაკვლეველ წყვდიადში. იგი იწყება ბევრით ადრე ისტორიულ ნაწერებზე და ცნობებზედ, რომელნიც თვით ერს, ან იმის განათლებულს მეზობლებს გადმოუციათ შთამომავლობისათვის წარსულის ცხოვრების შესახებ. როცა ერი მიაღწევს განვითარების უმაღლეს ხარისხს, როცა იღვიძებს ნაციონალური თვით-ცნობელობა, მაშინ იმის წარმომადგენელთ ებადებათ სურვილი და მოთხოვნილება წარსულის გაცნობისა, თავის დასაწყისის ცოდნისა.

ერის პირველი ისტორიკოსები ეროვნული წყაროების უქონლობის გამო, იძულებულნი არიან, ერთი მხრივ, მოიშველიონ მეზობელთა ცნობები ერის ისტორიის აღსადგენად; მეორე მხრივ, თვით ერის მახსოვრობა. ერს ბუნდოვნად ახსოვს თავისი ჩამომავლობა. გადმოცემები ჩვენი გმირული წარსულისა ცოტა თუ ბევრად შეცვლილი გადაეცემოდა თაობიდან თაობას. *ქართლის ცხოვრებაში* დაცული საერო ელემენტის კვალის აღმოჩენა საუკეთესო არგუმენტი იქნება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ხელაღებით უარყოფდნენ ჩვენი ისტორიის სიძველეს და ჭეშმარიტებას.

ქართლის ცხოვრების ბროსესეული და რუმიანცევისეული ნუსხების დასაწყისი ნაწილის შედარებითი ანალიზით მკვლევარი ცდილობს დაადგინოს ქართლოსისა და ჰაოსის ურთიერთმიმართებისა და ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი (# 135).

პუბლიკაციაში წარმოდგენილია სახელ "ქართლის" ანალიზი. ავტორი მიუთითებს, რომ ქართლის სახელმა გააპიროვნა არარსებული წინაპარი. რომ არ ყოფილიყო "ქართლი", არ იქნებოდა "ქართლოსი". ერმა იცოდა უხსოვარი დროიდან არსებობა ქალაქ ბარდავის და მისმა ფანტაზიამ ამ ქალაქს მისცა აღმაშენებელი, სახელად ბარდოს, რომელიც გამოყვანილია ქართლოსის ძმად. ასევე ქალაქი მოვაკანი თხოულობდა თავისი ვინაობის ახსნას, ერმა გააპიროვნა იმისი აღმაშენებელიც და მიაწერა ქართლოსის მეორე ძმას – მოვაკანს. ხალხმა გააპიროვნა ქალაქების აღმაშენებელნი, სწორედ ხალხის წარმოდგენამ წარმოშვა ლეკოს, ეგროს, ჰეროს და სხვა. იმიტომ რომ დაარსებული ქალაქები თხოულობდნენ თავიანთ დამაარსებელთ. ხალხმა ყველა რაიმე თვალსაზრისით ღირსშესანიშნავ ქალაქს ან მხარეს დაუწესა თავისი აღმაშენებელი. ტოპონიმების ასეთმა ახსნამ იქონია თავისებური გავლენა მატიანეს დამწერზე და ამ უკანასკნელმა შეიტანა ხალხური ინტერპრეტაციები *ქართლის ცხოვრებაში* (# 214).

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, კიდევ ერთი პუბლიკაცია – 149-ე ნომერში სანოს (სტეფანე ჭრელაშვილი) ავტორობით გამოქვეყნებული წერილების სერია *ძველი და ახალი თაობა* მიეძღვნა მე-100 ნომრის სტატიის *ფიქრი და შენიშვნა გარეთყოფილისას* კრიტიკას. ეს წერილების სერიაც ყურადღებას ამახვილებს ძველი და ახალი თაობის შინაგან კავშირებზე და ადანაშაულებს ივანე ჯაბადარს ახალი თაობის მკაცრ შეფასებაში, რაც ფაქტობრივად ძველი თაობის კრიტიკას ნიშნავდა.

ავტორი ასეთნაირად მსჯელობს ახალი თაობის ძველ თაობასთან დამოკიდებულების შესახებ:

> ხალხის ცხოვრება მაშინა სდგას მკვიდრად წარმატების გზაზე, როდესაც მოზარდი თაობა ჭკუასა სწავლობს თავის მამებისაგან, აკვირდება და ითვისებს იმათს ცოდნას, გამოცდილებას, ხერხსა და ამ სახით გამოდის მოედანზედ სრულებით დამზადებული იქამომდე, რომ შეუძლიან მამათა მაგიერი ადგილი დაიჭიროს საქმის წარმოებასა და გაძღოლაში (# 149).

> არის ხოლმე ისეთი გარემოება, როდესაც შვილს აღარ ესმის მამის ლაპარაკი, ყოველი იმისი გონიერი სიტყვა მიაჩნია მტკნარ სისულელედ და ამიტომ სრულიად უკუღმართად ჰმართავს თავის გზა-კვალს. ამისთანა შვილის შემყურებელი მამა, რაც უნდა მაღალი აზრისა იყოს, რასაკვირველია, გატყდება და წელში მოიხრება, რადგანაც ხედავს, რომ იმისი მეცადინეობა შვილის მიმართ უნაყოფო და უშედეგოა. ამისთანა გარემოებაში შვილს აღარა სწამს მამა და მამას დაკარგული აქვს კარგი მომავლის იმედი (# 154).

ავტორი ვრცლად შეეხება თერგდალეულთა ღვაწლს, დამსახურებას ერის წინაშე: რუსეთში განათლების მიღების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა თერგდალეულთა თაობამ დაიწყო ახალი იდეების გავრცელება ხალხში, რასაც მოჰყვა მათი დაპირისპირება ძველი თაობის წარმომადგენლებთან. ისინი ბატონყმობის მავნებლობის პროპაგანდას ეწეოდნენ ხალხში. ამიტომ ყოველი ქართველი, მსურველი ყმების განთავისუფლებისა, თაობის წარმომადგენლების თვალში, რომელთა თვალსაზრისით ბატონყმობაზე ბრძნული წყობილება სხვა არ ეკურთხებინა განგებას, უნდა გამხდარიყო მტერი ქვეყნის, ღვთის და კანონის. აქ ავტორი ყურადღებას ამახვილებს თავისუფლების გრძნობის გაძლიერებაზე "თერგდალეულთა" თაობაში. ადარებს რა ორი თაობის წარმომადგენლების შეხედულებას, აღნიშნავს:

> მაშინ, როდესაც თერგდალეულთა წინაპართ არ იცოდნენ, როგორ უნდა გაეხმრიათ ხელი, და თვით მამულის სიყვარულის საქმეებში იმის მეტს არასა თხოულობდნენ, რომ ქართველ ხალხს ჰყვარებოდა სამშობლო და გულში სცოდნოდა, რომ იგი ქართველის შვილია. იმ დროს გათამამებული თერგდალეული არა თუ ჰგრძნობს, რომ იგი ქართველია და მამულის სიყვარული აუცილებელია მისთვის, არამედ იგი თავისუფალი მოაზრეა და თავის საგნად გაუხდია საზოგადო საქმე, ქვეყნის სამსახური (# 181).

ისეთ რთულ ვითარებაში როგორშიაც საქართველო აღმოჩნდა რუსული რეჟიმის შედეგად, თერგდალეულთა დაბრუნება ნამდვილი მისწრება იყო. თერგდალეულის აზრმა და გონებამ დაუარა ქართულ საზოგადოებას და მათ გულებში უპირველესი ადგილი მამულის სიყვარულმა დაიჭირა.

165-ე ნომერში იწყება პუბლიკაცია წერილების სერიისა სათაურით *აფხაზეთი და აფხაზები*, რომლის ავტორია პ. გიორგიძე (ესაა პეტრე ჭარაია). აქ კერძოდ, მითითებულია, რომ:

> სხვა-და-სხვა გვარს ცოდნასა და მეცნიერებათა შორის ნაკლების ყურადღების ღირსი არ არის ის რთული მეცნიერება, რომელიც კაცს თავის თავს გააცნობს, თავის თავს ასწავლის: დღევანდელს ყოფას თვალწინ დაუყენებს, წარსულს ცხოვრებაში ჩაახედებს, შეატყობინებს, რა ხორცისა და სულისაა, რა ენა აქვს, ანუ რა ზნე და ჩვეულება კერძოდ ერთს თუ იმის ნათესავთა კრებულს.

პუბლიკაცია რვა კარისაგან შედგება, ყოველ კარში მრავალი ცალკე თემა და საკითხია განხილული: ხასიათი, ძარცვა, ქურდობა, მჭევრმეტყველება, სისხლის ძიება, პატრიოტიზმი, სტუმარ-მასპინძლობა, ხალხური პოეზია და სხვ.

წერილი საინტერესოა ჩვენთვის გამოყენებული ტერმინოლოგიის კუთხითაც. ავტორი აფხაზური ერთობის აღსანიშნავად იყენებს ხან ტერმინ "ტომს", ხან "ერს", ხან "აფხაზთა ტომის ერს". ჩანს, ასე უნდა გავიგოთ მისი ნათქვამი: აფხაზური ეთნიკურობის (ანუ წარმომავლობის) ერთობა (ხალხი). ავტორის მითითებით, შავ ზღვას, კავკასიონის ქედსა და სამურზაყანოს შორის მდებარე ტერიტორიას ეწოდება აფხაზეთი, რომელიც დასახლებული იყო 'აფხაზთა ტომის ერითა'.

წერილში აღნიშნულია, რომ აფხაზებს ვაჟკაცობის უმთავრეს ნიშნად ქურდობა მიაჩნდათ: ქურდობა 'ყველას მოხუცებულებიდამ პატარამდის, ქალიდამ კაცამდის ძვალსა და რბილში აქვს და მაღალ წოდებას ხომ პროფესიად გადაუქცევია. დრო და გარემოება იცვლება, თაობა თაობას მოსდევს, მაგრამ ქურდობა ისევ ერთსა და იმავე დონეზე დგას აფხაზეთში' (# 165).

მეორე ჩვეულება, რომელიც აფხაზეთში ყოფილა გავრცელებული არის სისხლის აღება. მათ მიჩნდათ, რომ 'სისხლის ძიება ღვთაებრივი და წმინდა მოვალეობაა ადამიანისა, იმისი გადაუხდელობა, კაცს საუკუნოდ სირცხვილეულ ჰყოფს დედამიწაზე. ამ აზრზეა ყველა, ქალი და კაცი, დიდი და პატარა'.

ამ აშკარად უარყოფითი მარკერების დაფიქსირების პარალელურად ავტორი წარმოაჩენს აფხაზთა დადებით მხარესაც. იგი აფხაზს ქვეყნის სიყვარულით გულანთებულს გვიხატავს. მათთვის დამახასიათებელი ყოფილა 'სამშობლოს ქება და ლოცვა: "აფსნზე" უკეთესი ალაგი დუნიაზე არ არის; ღმერთო აფსნს ნუ დაკარგავ'-ო, ეს მუდამ ენაზე ადგია, ჭირშიაც და ლხინშიაც', მიუთითებს ავტორი. საინტერესოა, სქოლიოში ჩატანილი ტერმინ "აფსნის" მისეული განმარტებაც: 'თავის სამშობლო ქვეყანას აფხაზები უწოდებენ: აფსნ. სიტყვა შესდგება, ჩემის

აზრით, შემდეგ სიტყვათაგან: აფსუა – აფხაზი და ან – დედა; აფსუ ან აფსნ – აფხაზის დედა სამშობლო, აფხაზეთი' (# 167).

"შინაური სხვების" ისტორია და ჩვეულებები, როგორც ითქვა, მუდმივად იპყრობდა *ივერიის* ყურადღებას.

პ. მირიანაშვილის წერილში *საერო ენა და სათემო კილო* წარმოდგენილია საქართველოს სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საკითხის გარკვევის მცდელობა. წერილი იწყება საფრანგეთის მაგალითის მოხმობით იმის თაობაზე, რომ საფრანგეთის ერის მოქალაქეობრივმა ცხოვრებამ დაბადა უტყუარი ჭეშმარიტება: 'პოლიტიკის ერთობას ენის ერთობაც მოჰყვებაო' და ამის გათვალისწინებით მიუთითებს, რომ ჩვენი პოლიტიკური ერთობის უქონლობას ჩვენი სალაპარაკო ენის სხვადასხვაობა ადასტურებს. სალიტერატურო ენის ბედს უკავშირებს თემის ბედს, რადგან თვლის რომ რა თემშიაც დაიწყო პირველად მოქალაქეობრივი ცხოვრება, იმ თემის კილოც საზოგადო, სამწერლო ენა ხდებოდა. ავტორის აზრით, ასე მომხდარა ჩვენშიაც. ზემო ქართლიდან გამოსულა პოლიტიკა და იმისი ენაც გამთავრებულა საქართველოს დანარჩენ თემთათვის. აქვე მიუთითებს, რომ ზემო ქართლი მესხეთსაც მოიცავდა, რომლის კილო დაედო, მისი აზრით, საქართველოს სალიტერატურო ენას საფუძვლად; მართალია, პირველად ქართლში გაჩნდა სახელმწიფო ცხოვრება, მაგრამ ლიტერატურა ჯერ არსად იყო და თუ მესხეთის კილომ მწერლობაში მოქალაქობა დაისაკუთრა, ამის მიზეზს წარმოადგენდა განათლება და პოლიტიკური ძლიერება; ავტორის მითითებით, პირველი მთარგმნელებიც მესხები იყვნენ და განათლებაც მესხეთში დაიწყო. ბაგრატიონებიც მესხეთიდან არიან გამოსულები და 'ამ გვარმა თავის ახალ საბრძანებელს ენაც მიაღებინა. ამ გარემოების წყალობით მესხეთის ენას მიენიჭა მოქალაქობრიობა მწერლობაში' (# 167).

პ. მირიანაშვილის ზემოთ აღნიშნულ თვალსაზრისს კრიტიკული წერილები უძღვნა ნ. ურბნელმა *მეთაურ წერილში.* იგი აღნიშნავს, რომ

> ენის გაჩენა და განვითარება, ისტორია ენისა თავისს საკუთარს კანონებს ექვემდებარება და ამ კანონებს კი არვითარი საერთო არა აქვს ხალხის ერთობასთან ... რადგანაც ენა თავისებური, თვითმომქმედი ორგანებური სხეულია და საკუთარი, განცალკებული ადგილი უჭირავს ხალხის ცხოვრებაში. ერთობას ზემოქმედება აქვს ენის ერთობაზედ, მაგრამ ენის ერთობა ამის ლოგიკური შედეგი როდია.

ავტორის შენიშვნით, საქართველოში ისტორიულად ერთი სამწიგნობრო ენა იყო იქაც კი სადაც სათემო ენა (სამეგრელოში) მეტად განირჩეოდა სახელმწიფო ენისაგან, რომ ენის სხვადასხვაობა სრულიად არ არის დამოკიდებული ერთობის უქონლობაზე. სათემო კილოს სხვადასხვაობა არასოდეს არ არის მაზარალებელი საერთო სამწიგნობრო ენისათვის. საერთო ენა, რაც-კი კარგი და მშვენიერია სათემო ენაში, იმას ითვისებს. სხვათა შორის, ამ შეთვისებაზედ არის დამოკიდებული საერთო ენის აღორძინებაც. და თუ ჩვენმა ლიტერატურულმა ენამ ძველს დროს დიდ წარმატებამდე მიაღწია, ამისი მიზეზი ისიც იყო, რომ მან შეითვისა და შეიხორცა, რაც კი მშვენიერი რამ მოეპოვებოდა სათემო კილოს. საერთო ენაც მაშინ შედის წარმატებაში და ყოველთვის განკარგების გზას ადგას, როცა კავშირს არ წყვეტს ხალხის ცოცხალ ენასთან, სათემო ენასთან (# 169).

ცნობიერი ისტორიული ცხოვრება პირველად ქართლმა დაიწყო. სახელმწიფოს დაარსებას უნდა მოჰყოლოდა საერთო ენაც ურომლისოდ სახელმწიფო ცხოვრება შეუძლებელი იყო. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მესხეთი თვითმოქმედ ძალას არასოდეს წარმოადგენდა და თუ თავი იჩინა სახელმწიფო ცხოვრებაში, მხოლოდ მაშინ, როცა მთელ საქართველოსთან ერთად "შეება უღელში".

ნ. ურბნელი ეკამათება პ. მირიანაშვილს იმ საკითხშიც, რომ პირველი მთარგმნელები მესხეთიდან იყვნენ და მერვე საუკუნიდან იწყება მათი მოღვაწეობა. ნ. ურბნელი ახსენებს ისტორიულ ჭეშმარიტებას, რომ მირიან მეფის შვილმა ბაქარმა ბერძნული ენის მაგივრად შემოიღო ქართულად წირვა-ლოცვა, გადაათარგმნინა ბერძნულიდან და ასურულიდან საეკლესიო წიგნები ქართულ ენაზე. მეხუთე საუკუნეში გამოჩენილმა მთარგმენელებმა: დავითმა, სტეფანემ და სხვებმა იერუსალიმის მონასტერში სთარგმნეს ბევრი საეკლესიო წიგნი ქართულად. მეფე მირდატ I-მა ათარგმნინა წმ. სახარება. ამ მაგალითების მოხმობით ავტორი ასაბუთებს იმ აზრს, რომ როცა მესხეთი გამოვიდა განათლების მოედანზე, ქართლში უკვე არსებობდა სალიტერატურო ენა (# 170).

აღნიშნავს, რომ ერთობას ისტორიულად გვერდით ედგა თემი და ერთმანეთს ხელს არ უშლიდა. ერთობის დროსაც თემს ისეთივე ძალა ჰქონდა, როგორც ერთობის მოსპობის შემდეგ და ამ ვითარებას არავითარი გავლენა არ მოუხდენია სალიტერატურო ენაზე. სხვა ზემოქმედება მოახდინა ერთობის დარღვევამ ენაზე. ერთობასთან ერთად ჩვენი ენის და

გონების ზრდა შეჩერდა. მწერლობამ საეკლესიო, სალვთისმეტყველო ხასიათი – ბიზანტიის ქრისტიანობრივი ფილოსოფია და დოგმატიზმი შეიძინა, შესაბამისად ენამ საეკლესიო კილო მიიღო (# 171).

ქართული ნაციის "მშენებლები" ბუნებრივია, ფიქრობდნენ ქართული ერთობის შემადგენლობაზე, ნაციონალური და რეგიონალური იდენტობების იერარქიაზე. რა გავლენას ახდენს რეგიონალური იდენტობა ნაციონალურ ერთობაზე? ამ კითხვას, როგორც ვხედავთ, ისინი სვამდნენ და პასუხობდნენ კიდეც, თუმც თუ გავიხსენებთ თანამედროვე დებატებს ქართველურ ენებთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ ეს კითხვა კვლავ ისმის დროდადრო ქართველთა ერთი ნაწილის წინაშე.

ავტორი მიუთითებს, რომ ახალმა ქართულმა მწერლობამ უარყო საეკლესიო ენა და მიმართა სახალხო ენას. მაგრამ საეკლესიო ენას იმდენად ჰქონდა ფესვები გადგმული, რომ ახალი დროის მწერლობაშიც კი იჩინა თავი და ძველი და ახალი ერთმანეთში აირია. იგი ძველ ენას ახლისთვის შეუფერებლად ასახელებს, ხოლო ახალს განუვითარებლად, რამაც განაპირობა, მისი აზრით, მათი შერწყმა. ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას ავტორი ახალი ქართული სალიტერატურო ენის მდგომარეობაზე მსჯელობისას: რუსეთთან შეერთებამ საქართველოს გაერთიანებასთან ერთად, ახალი სახელმწიფო ენის შესწავლის აუცილებლობის წინაშე დააყენა ქართველობა, რამაც შედეგად რუსიციზმების გაჩენა განაპირობა ქართულ ენაში (# 177).

წერილით *მცირე შენიშვნა* პ. მირიანაშვილის მიერ გამოთქმულ შეხედულებებს ამჯერად ვაჟა-ფშაველა ეხმურება. იგი მიუთითებს ენაში სახალხო ფორმების აუცილებლობის თაობაზე:

> ეხლანდელი ლიტერატურული ენა ახალია და სიახლის გამო ბევრს ფორმებს, ბევრ სიტყვებს მოკლებული არის. ყველა ეს ფორმები და სიტყვები ხალხშია დამარხული. ხალხი, ერი დედაა ენისა, იგი ჰბადებს და ჰზრდის ენას, როგორც დედა შვილს.

აქ ვაჟა-ფშაველა ყურადღებას ამახვილებს ენის ბუნებასა და ხასიათზე, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს შენარჩუნებული მისი არსებობისა და წარმატებისათვის. პ. მირიანაშვილის შენიშვნას ფშაურ კილოსთან დაკავშირებით, რომელსაც იგი 'უკან ჩამორჩენილ გრამტიკებრივის' ფორმებს და "ხორცმეტ" სიტყვებს უწოდებს,

არამართებულად მიიჩნევს, რადგან ფშაური საუბრის კილოს და გრამატიკულ ფორმებს ვაჟა ამსგავსებს ძველი მწერლების ნაწერებს:

> მართალია ენა წარმატებაში შედის, წინ მიდის, მაგრამ ისე-კი არა, რომ ბუნებასა და ხასიათს იცვლიდეს, თუ ეს მოხდა, მაშინ ენაცა კვდება, წინ წასვლა ენისა და წარმატება მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ ენა მდიდრდება ახალი სიტყვებით (# 192).

ივერია აგრძელებს აღებულ გეზს, ყურადღების მიღმა არ რჩება ახალ გამოცემული ქართული მწერლობის ნიმუშები. ამ ჯერზე *ფელეტონში* იბეჭდება გამოხმაურება *ორნი არიან ტოლნი არიან ანუ აგანგალა, განგალა, შავროვი და სანდალა* [69] (## 191, 192, 193) ზ. ჭიჭინაძის წიგნზე *წერილები ქართულ მწერლობაზე.* ეს წიგნი ზ. ჭიჭინაძეს გამოუცია სანდალას ფსევდონიმით. როგორც განხილვიდან ჩანს, წიგნში გამოთქმული ყოფილა კრიტიკული თვალსაზრისი ქართული მწერლობის შესახებ. ილია განხილვაში კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს აღნიშნულ წიგნს:

> რა უკადრისობა, რა ლანძღვა-თრევა, რა უწმაწურობა არ აკადრა ჩვენს საწყალს მამებს, ჩვენს მამა-პაპას, ჩვენს წარსულს, სასიქადულო-საისტორიო კაცებს, ჩვენს თავმოსაწონებელს ძველ თუ ახალს მწერლებს! ყველა ესენი მუხანათები, მოღალატენი იყვნენო, ავაზაკები, ქვეყნის, – უკაცრაოდ არ ვიყვნეთ, – მღლეტავნი და მძარცველნიო, უნამუსონი და ათასი ამისთანა. ასე გაუპატიურებული, ასე შეგინებული, ასე უშვერად და ურცხვად ავადხსენებული ჯერ არავისაგან არ ყოფილან ჩვენნი წინაპარნი, ჩვენი წარსული, ჩვენი "წმიდათა-წმიდა".

იმავე ნომერში, რომელშიც ამთავრებს ილია საფელეტონო განხილვას ზ. ჭიჭინაძის ნაშრომზე, ქვეყნდება მისივე პოლემიკური წერილი ამავე ნაშრომზე სათაურით *სანდალას წიგნის გამო.* ილიას გულისწყრომას იწვევს ის გარემოება, რომ ზ. ჭიჭინაძე გლეხისშვილობის სახელით გამოდის. ილია ამბობს:

---

[69] ამ საფელეტონო წერილს ილიას აკუთვნებენ მისი თხზულებათა კრებულის ოცტომეულის გამომცემლები (იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად, V – კრიტიკა. თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 428-446).

ნუთუ ჩვენი პატიოსანი და ნამუსიანი გლეხობა იგი ხეა, რომელიც ამისთანა ხილს ისხამს! ვაი გლეხისშვილობავ, თუ შენს სისხლ-ხორცს ამისთანა კაცი უჩენია! ჩვენ არა გვჯერა ეს და ღმერთმაც ნუ ჰქმნას. არავინ გლეხი, როგორც არავინ კაცი, ასეთის ლანძღვით და თრევით თავის მამა-პაპას საფლავიდამ არ ამოიღებს, ასე არ გაუპატიურებს თავისს დედ-მამის ხსენებას, ასე არ მოსთხრის და არ მოსვრის ყველაფერს, რაც კი "წმიდათა-წმიდას" შეადგენს ადამიანისათვის. ვინც არ უნდა იყოს, გლეხი, თავადი, ერი თუ ბერი, ისტორია ყველას ღვაწლია, საერთოდ მთელის ერის ნამოქმედარია და იგი მამა-პაპა, რომელსაც თავისი სახელი ისტორიაში ასე თუ ისე მოუქცევია, ყველას მამა-პაპაა საერთოდ და განუყოფელად, იმიტომ რომ საისტორიო კაცი ხორცია ხორცისაგან მთელის ერისა და ძვალი ძვლისაგან. ამიტომაც ისტორიაში მომქმედ მამა-პაპის ავად ხსენება გლეხის მამა-პაპის ავად ხსენებაც არის და ამას გლეხი, ვით შვილი ერთისა და იმავე ქვეყნისა, ერთისა და იმავე ერისა, თავის დღეში არ იკადრებს, თუ სანდალასავით ღმერთგამწყრალი და თავში დაკრული არ იქნება. მართლადა გლეხის სახელი და ერთობ ერი უნდა ჰგმოს კაცმა, რომ ამისთანა ურცხვობამდე მივიდეს ... ვაი სანდალას და უფრო ვაი იმ საზოგადოებას, იმ ერს, იმ ქვეყანას, საცა სანდალასავით მზღაჯნავები შესაძლებელნი არიან! აი რას უნდა დაუფიქრდეს კაცი, აი რაზედ უნდა ივალალოს და ივაგლახოს!

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ ი. ჯაბადარის თვალსაზრისთან დაკავშირებით ნ. ხიზანიშვილის საპასუხო წერილის თაობაზე. ამჯერად ნ. ხიზანიშვილის გამოხმაურებას ი. ჯაბადარი უძღვნის საპოლემიკო წერილს *ჩვენის ოჯახის შვილი და იმისი უმეცრების მჭვალი* (ავტორია ნ. გ-ლი ანუ ივანე ჯაბადარი[70]). აქ წარმოდგენილია პრიმორდიალური თვალსაზრისი ერის შესახებ, კერძოდ, ნათქვამია, რომ ვიდრე რომელიმე ერი წოდებებად დაიყოფებოდა, დიდძალმა ისტორიულმა ხანმა გასტანა. ამ ხანგრძლივ ცხოვრებაში მთელმა ერმა თავისი განსაკუთრებული სულიერი თვისება შეიძინა; თუმცა უკანასკნელ დროს ერი წოდებებად დანაწილდა და ამ განცალკევებას ცხოვრების მეტ-ნაკლებობა ჰქონდა საფუძვლად, მაგრამ უწინ საუკუნეთა განმავლობაში შეძენილი ნაციონალური თვისება ყოველს ცალ-ცალკე წოდებას თითქმის მთლად და დაურღვეველად დარჩა. ყველგან და ყოველთვის ეროვნული თვისება

[70] ფსევდონიმის გახსნისათვის იხ. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. III, ნაკვ. I. თბილისი, ცოდნა, 1963.

ერის ბუნებურ თვისებად იგულისხმება. ქონებრივი მეტ-ნაკლებობა მხოლოდ ფერს აძლევს ერის სხვადასხვა წოდების ზნე-ხასიათს და მისს ცხოვრებას და შინაგანი ღირსეულობა კი ყველგან ერთი და იგივე რჩება, ესე იგი ეროვნული: ქართველი, როგორც ჭკუისა, გულისა, სულისა და ზნე-ხასიათის წარმომადგენელი, მაინც ქართველია, გინდ თავადი იყოს, გინდ გლეხი.

ევროპის ქვეყნების მაგალითით ნაჩვენებია ერის საჭიროებისა და ვითარების შესაბამისად სწავლების შეთანხმება, სადაც ამგვარმა ცდამ როგორც კორესპონდენციიდან ირკვევა, ნაყოფი გამოიღო. სკოლის რიგიანად და გონივრულად მოწყობამ ფეხზე დააყენა მრეწველობა, ხელოსნობა, მეურნეობა (# 212).

231-ე ნომრის *მეთაური წერილი* (ავტორი ილია ჭავჭავაძე) ყურადღებას ამახვილებს რა წოდებათა თანამშრომლობაზე, მიუთითებს, რომ ერის წარმატება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ,

> როცა ერი წოდებათა დაუყოფელად, დიდ-პატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს ... ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღლისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, მარტო თავის თავის ხსოვნა და სხვის დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეს საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რასაც ერი ჰქვია'.

როგორც ვხედავთ, ერის როგორც ჰომოგენურ ერთობად გააზრების საკითხში ილიას და ივანე ჯაბადარს მსგავსი შეხედულებები აქვთ. ეს სულაც არ შეუშლის ილიას ხელს მკაცრად გააკრიტიკოს ივანე ჯაბადარი საქართველოს ისტორიაზე მისი თვალსაზრისის გამო.

1889 წელი

რედაქტორ-გამომცემელია ილია ჭავჭავაძე. *ივერია* გამოდის იმავე პროგრამით როგორც წინა წელს.

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, რუსეთში ავტორიტარული რეჟიმის გამკაცრებამ, განაპირა მხარეებში "შემტევი ნაციონალიზმის" სახე მიიღო, რასაც მოჰყვა ეროვნული თავისებურებების სრული ნიველირების მცდელობა. დაიწყო ქართული ენის დევნა სკოლებიდან,

ოფიციალური დაწესებულებებიდან და მისი ჩანაცვლება. ერთ-ერთი ასეთი მცდელობის მაგალითი ასახულია ამ წლის მეოთხე ნომრის *მეთაური წერილში*, რომელიც შეეხება მეგრული ანბანის შემოღებას აშორდიას მიერ. საუბარია იყო თუ არა საჭირო მეგრული ანბანისა და დამწერლობის შემოღება და რა მიზანს ემსახურებოდა მეგრული მწერლობის დაფუძნება. ავტორია ა. ნანეიშვილი, რომელიც ა. ნა-ლის ფსევდონიმით აწერს ხელს. იგი, კერძოდ, აღნიშნავს, რომ სამეგრელოში თავადაზნაურობა, სამღვდელოება თუ გლეხკაცობა ყველანი ქართულად ლაპარაკობენ. მეტიც:

> თუ გინდათ ნამდვილი, სუფთა, დარბაისლური, მწიგნობრული ქართული მოისმინოთ, მეგრელი თავადაზნაურის ოჯახში უნდა მიბრძანდეთ. იქ უცხო ენის გავლენას სრულიად ვერ შენიშნავთ და მხოლოდ გესმით ნამდვილი ქართული სიტყვა-პასუხი.

ავტორი აღშფოთებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ მეგრელ "წმინდა მამებს" განუზრახავთ *საღმთო წერილის* მეგრულ ენაზე გადათარგმნა. ადრეც უცდიათ *საღმთო წერილის* თარგმნა, მაგრამ მეგრულად შესრულებული წირვა-ლოცვა ხალხს ლანძღვით მიუტოვებია და გამოსულა ეკლესიიდან. ახალ მთარგმნელებს ისე შეუცვლიათ ტექსტი, რომ არც ერთი ქართულის მსგავსი სიტყვა არ დაუტოვებიათ, სამაგიეროდ, ახალი მეგრულით წაუხდენიათ ტექსტი, რასაც როგორც წერილიდან ჩანს, აღუშფოთებია მოსახლეობა და საჩივრით მიუმართავთ გაზეთისათვის. აქვე ჩართულია ნიმუში იმის საჩვენებლად, რამდენად მიუღებელი იყო ეს თარგმანი ("წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავი" ასე უთარგმნიათ „ტატალი ღორონთი, ტატალი შეძლებუამი, ტატალი უღუროუ").

ავტორი შენიშნავს, რომ 'ამ გვარი თარგმანი ერის გრძნობა-გონებას შეჰბღალავს და შეჰლახავს და ამ მომაკვდინებელ ცოდვას არ შეუშინდნენ აშორდია-გამშორდიები' (# 4).

ამავე ნომრის ფელეტონი იუწყება, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისათვის ბ-ნი მესხიშვილის მიერ შეწირულ წიგნებს შორის აღმოჩნდა საქართველოს ისტორიისათვის ფრიად საყურადღებო ახალი ხელნაწერი, დათარიღებული მეცხრე საუკუნით, რომელიც შეიცავს *მოქცევაჲ ქართლისაჲს*. მასალას აქვეყნებს თ. ჟორდანია "ეგრის" ფსევდონიმით (# 4).

მეთაური წერილი აგრძელებს მსჯელობას "საგლეხკაცო" ბანკის სარგებლიანობის თაობაზე. ბანკის დაარსების ერთადერთი დედააზრი იყო გლეხობისათვის მამულების შეძენის გაადვილება. მაგრამ თუ გლეხკაცი ბანკში შესატან ფულს თავის დროზე არ შეიტანდა, "საგლეხკაცო" ბანკი ჰყიდდა გლეხისაგან გირაოდ მიღებულ მამულს. ამიტომაც აუცილებელი იყო მკითხველის გათვითცნობიერება ბანკის დანიშნულების, მოვალეობის, ფუნქციის შესახებ. ამ როლს ასრულებდა *მეთაური წერილიც*.

საუბარია, თუ რა შეღავათები შეიძლებოდა ჰქონოდა გლეხს. მომდევნო ნომრებში "საგლეხკაცო ბანკის" უმთავრეს ნაკლად დასახელებულია ის გარემოება, რომ გლეხისათვის სესხის აღება მეტად გაჭიანურებული იყო (## 7, 8).

გლეხი და მისი პრობლემები მუდმივად არის *ივერიის* ყურადღების ცენტრში.

ივერია ასევე მუდმივად აქცევს განხილვის საგნად ქალთა სწავლა-განათლების სრულყოფის აუცილებლობას. ქვეყნის ზნეობრივად და ქონებრივად დაქვეითების უმთავრეს მიზეზად ქალების გაუნათლებლობას მიიჩნევს:

> ქალი ბურჯია ოჯახისა და საზოგადოებისა და თუ გინდა, რომ ქალი პირნათლად გაუძღვეს თავის მოვალეობას, ეცადეთ სულითა და გულით, გრძნობითა და გონებით განსპეტაკებული ქალები დაზარდოთ.

აღნიშნულია, რომ საზოგადოებას გაუცნობიერებია ქალების განათლების აუცილებლობის საკითხი. აღფრთოვანებით გადმოგვცემს მეთაური წერილის ავტორი (ა. ნანეიშვილი ხელს აწერს ინიციალით ა. ნა-ლი) ქართველ ქალთა მონდომების თაობაზე; ახალი, ერისა და ქვეყნის ყოფა-მდგომარეობისა და საჭიროების შესაფერისი ქალთა სკოლის გამართვის შესახებ (# 47).

ქალთა განათლების საკითხს შეეხება ამავე ნომრის ფელეტონიც *ქართველ ქალთათვის განზრახული სკოლის გამო* (ავტორი ხელს აწერს ფსევდონიმით "ქართველი ქალი"[71]):

---

[71] ამ ფსევდონიმს ატარებდა ამ პერიოდის რამდენიმე ქალბატონი. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მიხედვით (ტ. III, ნაკვ. I. თბილისი, ცოდნა, 1963) ამ წერილის ავტორია ელისაბედ ჩერქეზიშვილი.

> ქალი ისეთი ძალაა, რომელსაც თუ ხეირიანისა და კარგი მიმართულებისაა, შეუძლიან დიდი სარგებლობა შესძინოს საზოგადოებას; პირ-იქით, თუ ცუდის მიმართულებისაა, მაშინ ხომ დიდად მავნე და დამღუპველი იქნება. ქალს, როგორც ცოლს, როგორც დედას და როგორც დას საზოგადოებაში ისეთი ადგილი ეკუთვნის, რომ შეუძლებელია გავლენა არ იქონიოს საზოგადოებაზე. საზოგადოება შესდგება იმ ნაწილებიდგან, რომელსაც ოჯახს უწოდებენ, და ამ ნაწილების ავ-კარგიანობაზეა დამყარებული მთელი საზოგადოების ავ-კარგიანობაც. ოჯახის ავ-კარგიანობა-კი უფრო მეტად ქალზედ არის დამოკიდებული.

ხაზგასმულია, რომ თავისი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესასრულებლად ქალს ესაჭიროება სპეციალური განათლება, რომელსაც ჩვენში არსებული ქალთა სასწავლებლები ვერ იძლევიან, რადგან აღნიშნული სკოლების პროგრამა შედგენილი არ ყოფილა ჩვენი ყოფა-მდგომარეობის და საჭიროების შესაბამისად. ქართველ ქალთა წრეს გაუცნობიერებია ერის წარმატებისათვის აუცილებელი საჭიროება: ‘ძველის ქართულის ქალის გრძნობა შეერთებული ეხლანდელ განათლებასთან ერთად მისცემს ქალს ისეთს ძალას, რომელსაც შეუძლიან საზოგადოება ფეხზე დააყენოს და მოასულიეროს’ (# 49).

ქალთა განათლების საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა გრძელდება *მეთაურსა* და “ქართველ ქალის” ხელმოწერით გამოქვეყნებულ წერილებში. *მეთაურ წერილში* აღნიშნულია, რომ ქალთა მიმართ დამოკიდებულება არ შეცვლილა და უწინდელივით მსჯელობენ ‘მარტო სახელითა დედობისათა, ცოლობისათა და დობისათა’. განიხილავენ მათ ფუნქციას და გაკრიტიკებულია ამგვარი შეხედულების ავტორები, მათ შორის, საპასუხო წერილის ავტორი, “ქართველი ქალი” (ელისაბედ ჩერქეზიშვილი). ‘თითქოს დაავიწყდათო – აგრძელებს *მეთაური*, რომ დედაც კაცია, ადამიანია და მარტო კაცისა და ადამიანის სახელით დედათა უფლების საქმე საჭიროებს წარმართვას’. ავტორის აზრით, ვერაფერ სამსახურს ვერ უწევენ ქალებს ისინი, ვინც ამ საქმეს მოკლე ფარგლით უზომავენ ადგილს და დედაკაცი ადამიანობიდან ჩამოჰყავთ, რომ მარტო დედობის, ცოლობისა და დობის უღელი გააწევინონ (# 57).

ამავე ნომრის საპასუხო წერილში *შენიშვნა ქალების აღზრდა-განათლების შესახებ ჩვენში* (ავტორი ქართველი ქალი – ელისაბედ ჩერქეზიშვილი), შენიშნულია, რომ ქალი დედობის, ცოლობის და

დობის მოვალეობის აღსრულებით ხელს შეუწყობს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას. დაეხმარება ოჯახს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, რადგან ახლა ქონების გაფლანგვის ნაცვლად, რისი მაგალითებიც გახშირებული იყო ამ დროისათვის, შეეძლება დაეხმაროს მამულის მოვლასა და გაუმჯობესებაში. ამისთვის მარტო "კაი დედაკაცობა", "კაი ადამიანობა" არ არის საკმარისი, ამისათვის ცოდნაა საჭირო. მომავალში, რომ უკეთესი თაობა აღიზარდოს, ამისთვის მათ განათლებაზე ზრუნვა იყო საჭირო. ამ თვალსაზრისით მთავარ როლს დედა და სკოლა ასრულებს. დედა და სკოლა შეერთებული ძალით აძლევენ ყმაწვილს ზნეობით და გონებით ძალას, მიმართულებას. შვიდ წლამდე დედაზე არის დამოკიდებული ყმაწვილის ავკარგიანობა მომავალში. შვიდი-რვა წლის შემდეგ კი, უმთავრესად სკოლასა და დედას შორის არის განაწილებული აღმზრდელობითი ზემოქმედება. 'ადამიანური დედობა ხომ მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოვება არისო', შენიშნავს *მეთაური წერილში* გამოთქმული აზრის გამო ავტორი, მაგრამ იქვე აღნიშნავს გაკვირვებას იმის თაობაზე როგორ გაჩნდა საპირისპირო აზრი იმავ წერილში 'დედობა დიდი საქმე არ არისო'. 'არა, ბატონო, დედობა დიდი საქმეა, დიდი მეცადინეობა სწავლა სჭირია იმ ქალს, რომელსაც სურვილი აქვს დედის მოვალეობა სინდისიერად შეასრულოს და მისცეს საზოგადოებას ის "კაი ადამიანები" "კაი დედაკაცები", "კაი კაცები", რომელსაც ავტორი ნატრულობს. შეიძლება ქალი თავის თავად "კაი დედაკაცი" იყოს და ბევრი კარგი სურვილი ჰქონდეს, მაგრამ ეხლანდელი დროის შესაფერად შვილებს მაინც ვერ გამოზრდის, რადგანაც ამას, სურვილს გარდა, სწავლა და ცოდნა უნდა და არა მხოლოდ "კაი დედაკაცობა" ... ყოველი კარგი დედა მასთანავე უსათუოდ "კაი დედაკაციც", "კაი კაციც" არის და თუ ეს არ არის, მაშინ ის კარგს დედობას ვერ მოახერხებს. ავტორი მიუთითებს, რომ, როცა ჩვენ ვნატრულობთ კარგს დედებსა და ცოლებს, ამ ნატვრაში კარგი დედაკაცების ნატვრაც იგულისხმება (# 57).

გენდერულ საკითხს კიდევ არაერთი წერილი მიეძღვნა შემდგომში *ივერიის* ფურცლებზე. ასე მაგალითად, პუბლიკაცია *დედათა უფლების საქმე* მკითხველს წარმოუდგენს ქართველი ქალის ყოფა-ცხოვრებას 'ჩვენი სამშობლო ძველადგანვე ცნობილია, როგორც ქვეყანა ქალთა დევ-გმირობისა, ქალთა თაყვანებისა და გაღმერთებისა'. ავტორი მიმართავს ქართულ კანონებს – გიორგი ბრწყინვალის

ძეგლისდებას, აღბუღას სამართალს, ვახტანგის კანონებს ქალის საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნულ წყაროებში დაცული მონაცემების საფუძველზე შენიშნავს, რომ კანონის წინაშე ქალისა და მამაკაცის თანასწორობა არ ყოფილა გამოკვეთილი (# 92).

საერთო მოძრაობამ დიდი გავლენა მოახდინა ქალის მდგომარეობაზე. მართალია სრულიად ვერ გადაწყვიტა ქალისა და მამაკაცის უფლებრივი გათანასწორების საკითხი 'ჯერ კიდევ დაბლა იდგა მამაკაცზედ ქონებრივადაც და პიროვნულადაც, არ იყო თანაბარი მონაწილე ძმის სამემკვიდრო ქონებაში, ცოლ-ქმართა გაყრაში კაცს ბევრ გვარი უპირატესობა ჰქონდა და დედაკაცი-კი ბევრნაირად იყო შეხუთული'. მიუხედავად ამისა, მაინც ქალი უკეთ გრძნობდა თავს, უფრო თავისუფალი იყო, ყურადღება მიექცა ქალთა განათლებას, ქალები ჩაერთნენ საზოგადო საქმიანობაში. მაგალითად, ამერიკელი ქალი გარდა განათლებისა, მოითხოვდა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. *ივერია* იუწყებოდა, რომ ჯერ კიდევ 1848 წელს ოჰაიოს შტატში დაარსდა *საზოგადოება ქალების მამაკაცებთან გათანასწორებისა და გათანაბრებისა*, რომელმაც დაადგინა, რომ გაუქმდეს ყოველგვარი განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის. მასაჩუსეტის შტატში პოლინა დევისის თავმჯდომარეობით გაიმართა ნაციონალური კონვენტი, რომლის საზოგადოების წინაშე წარმოთქმულ შთამბეჭდავ სიტყვაში თვალსაჩინოდ ყოფილა გამოკვეთილი, რომ 'დედათა უფლების საქმეს და იმის რიგიან დაყენებას ერთობ მტკიცე კავშირი აქვს ქვეყნის ეკონომიურ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ რეფორმებთან, რომ პირველი საგნის ასე თუ ისე გადაწყვეტაზე არის დამყარებული მთელი ქვეყნის ბედნიერებაცა და წარმატებაც'.

კანზასის შტატის ერთ ქალაქში ქალებს ჰქონიათ ხელში ქალაქის მმართველობა და სინდისიანად მოღვაწეობდნენ. როგორც ჩანს ამერიკელი ქალი მომზადებული ყოფილა საზოგადო საქმიანობისათვის. ავტორმა ისტორიული მიმოხილვა წარმოგვიდგინა, რომელშიც ნაჩვენებია, რომ ქალის მდგომარეობას ისტორიაში ეტყობოდა წინსვლა, ცხოვრებასთან ერთად დედათა საქმე თანდათან წინ მიდიოდა. ნაშრომში წარმოდგენილია ევროპელ ქალთა დამსახურება. ერთ-ერთი გამორჩეული იყო დანიელი მატილდა ფიბიგერი, რომელმაც თავის რომანში ისეთი სისრულით დაასურათა დედათა უფლების საქმე, რომ

დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და ხელი შეუწყო ფართო დისკუსიის გამართვას საზოგადოებაში, რისთვისაც მას "დედათა უფლების საქმის დედა" ეწოდა. მაგალითები ავტორს იმის დასადასტურებლად მოჰყავს, რომ აჩვენოს, ისტორიაში ცნობილია გამოჩენილი ქალები არ ჩამოუვარდებოდნენ მამაკაცებს გონებრივი მონაცემებით. ასკვნის, რომ

> ქალს არა უშლის-რა დაიჭიროს კაცთა ცხოვრებაში ნამდვილის ადამიანური ადგილი, არც იმის ბუნებაში, არც იმის ისტორიაში არ ვხედავთ იმ აზრის დამტკიცებას ვითომ ქალი იყოს უფრო მდაბალი არსება, ვიდრე მამაკაცი ... პირიქით, ისტორია ამ აზრის სიცრუეს გვიმტკიცებს, ამიტომ, რაც უფრო მალე შეიგნებს კაცობრიობა დედათა უფლების საქმის ვითარებას, რაც უფრო ჩქარა დაემორჩილება იგი დროსა და ჟამის მოთხოვნილებას და აღმოუჩენს ქალს ყოველსავე ღონისძიებას სულისა და გონების ამაღლებისას, მით უფრო ბედნიერად იცხოვრებს იგი და უფრო სწრაფი ნაბიჯით ივლის წარმატების გზაზე: ზნეობრივი და გონებრივი წარმატება მამაკაცებისაო, ამბობს ფრიად გამოჩენილი მეცნიერი ჯონ სტიუარტ–მილლი; თუ არ წავა უკან-უკან, შეფერხდება მაინც საგრძნობელად, თუ ვინიცობაა ქალთა გონებრივი და ზნეობრივი განვითარება მეტად შეხუთული იქმნაო. ამიტომაც ქალის ყოფა-ცხოვრებას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. ჩვენ შევხვდებით ცხოვრების ორ დიდს სფეროში: ჯერ მას ვიცნობთ ვითარცა წევრს ოჯახისას, მეორეთ როგორც წევრს საზოგადოებისას.

ქალმა რომ ორივეს შესაფერისი სამსახური გაუწიოს აუცილებელია შესაფერისი განათლება ჰქონდეს, მიიჩნევს ავტორი გ. მ-შვილი – (გიორგი მაიაშვილი ანუ ზდანევიჩი) (# 97).

გრძელდება გმირული ისტორიული ცხოვრების შესახებ მასალების პუბლიკაცია. ამჯერად პუბლიკაცია საქართველოს ისტორიის ურთულეს ხანას – გიორგი V-ის მეფობის პერიოდს შეეხება (ავტორი ნ. ურბნელი – ნიკო ხიზანიშვილი):

> იმ დიდსა და გრძელს სივრცეზედ, რომელიც მონღოლების მფლობელობას უჭირავს, გიორგი V განმარტოებით სდგას და აღმოსავლეთის ვარსკვლავივით ჰბრწყინავს, ელვარე სხივსა ჰფენს წინაპართა სამეფო გვირგვინს. მთელს ოც-და-რვა წელს სამეფო ტახატიდგან ეს ვარსკვლავი აცისკროვნებდა სამშობლოს და ამ დროის განმავლობაში თვით სამშობლოც ფენიქსებრ განახლდა, განსპეტაკდა, პატივი და დიდება მოიხვეჭა. კრძალვით და მოწიწებით ვუმზერთ ამ დიდ-ბუნებოვანის მეფის ცხოვრებას, იმის მოღვაწეობას და ვიცით, რა უფრო უნდა მეტად გვაკვირვებდეს, იმისი

> ძლიერება თუ სიბრძნე-გონიერება და მეცნიერება ... მემატიანესაც ისე ღრმად ჰხიბლავს მეფის სიდიადე, ისე ანცვიფრებს იმისი დიდ-ბუნებოვნება, რომ თითქოს ენა ჩავარდნია და დასდუმებიაო.

მონღოლთა ბატონობამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოზე. დაშლის მიზეზადაც ავტორი მონღოლთა ბატონობას ასახელებს. აქ, ამ ბატონობაში, ჩაისახა ბოროტება, რომელმაც საფუძველი გამოაცალა ჩვენს ერთობას:

> რაკი ერთხელვე საქართველოს პოლიტიკური მაჯა ყარაყურუმში სცემდა და ამიერთა და იმიერთ ბაგრატოვანი ჩინგიზ ყაენის ტახტის ყმა გარდაიქცა, რაკი ტფილისსა და ქუთაისში განჰქრა სახელმწიფოებრივი თვით-მპყრობელობა, მაშინ ცხოვრება ერთსა და იმავე დონეზედ დადგა და ფეოდალობასაც ფრთები ვერ შეეკვეცებოდა. ასე და ამგვარად პოლიტიკურმა მორჩილებამ, ვასალობამ დაჰბადა ფეოდალური ურჩობა. ერთმა და მეორემ კიდევ სულ ბოლოს საქართველო დაამხო, დაჰქსაქსა ... აი სად უნდა ვეძიოთ იმისი მიზეზი, რომ XV საუკ. *სრულიად საქართველომ* თითქმის ყოველივე მნიშვნელობა დაჰკარგა მეზობელ ერთა შორის (# 62).

ავტორს მიაჩნია, რომ ქართველთა "თვით-არსებობა" მოისპო ამ ბატონობის წყალობით. მოიშალა ერის ყოველი ძარღვი, შეირყა და დაირღვა ერის ყოველი წმიდათა-წმიდა ნიშან-თვისება,ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება. მხოლოდ გიორგი ბრწინვალემ შეძლო ორ სამეფოდ გაყოფილი საქართველოს გაერთიანება, შინაური მტრების დამშვიდება და დამორჩილება, სჯულის და სამოქალაქო წესების აღდგენა.

საყურადღებოა, ერთი ეპიზოდი, სადაც საუბარია გიორგი ბრწყინვალის მიერ ოსთა საკითხის გადაწყვეტაზე. ნ. ურბნელი გარეშე მტრებს უწოდებს ოსებს. აღნიშნავს, რომ გიორგი მეფემ პირდაპირ ძალითა და მახვილით გააძევა ისინი ქართლიდან თავიანთ ქვეყანაში, კავკასიონის მთაში "შელალა", საიდანაც ისინი შემოესეოდნენ ქართლს. ვასალობა თავიდან მოიშორა და გახდა თვითმპყრობელი (## 66, 67).

აღდგენილ სამეფოს შინაგანი განახლება და განწყობა ესაჭიროებოდა და ამ საქმესაც მიაქცია ჯეროვანი ყურადღება. სხვისი ბატონობის მავნებელი გავლენა აისახა ქართველთა ზნე-ჩვეულებაზე. გიორგი ბრწყინვალემ სულიერადაც განაახლა 'ყოველი საქართველო': საკეთილო წეს-წყობილება შემოიღო და ახალი სჯული მისცა თავის ერს. ორგვარი მიმართულება და ხასიათი ცხადად ეტყობა მეფის სულიერს შემოქმედებას,

მის სასჯულთამდებლო ღვაწლს. მეფისათვის საკმაო არაა მარტო საქმე, იგი თეორიულადაც იღწვის, საქმესა და აზრს, ცხოვრებასა და თეორიულს სჯულმდებლობას აერთებს, ერთურთს უმორჩილებს, სწორედ ისე როგორც სახელმწიფოს შესაკრებლად აზრი და მოქმედება ერთმანეთს შეუფარდა და შეუსაბამა. შემოიღო საეკლესიო და საერო სჯულმდებლობა, ხელი მიჰყო ეკლესია-მონასტრების განახლებას.

71-ე ნომრის ფელეტონის რუბრიკაში იწყება ილიას *აი ისტორიის* პუბლიკაცია, სადაც წარმოდგენილია რუსულ ჟურნალ *Северный вестникь*-ში ივანე ჯაბადარის ავტორობით გამოქვეყნებული წერილების სერიის *Письма о Грузии* განხილვა. ილია ძალიან გულისყურით მოეკიდა მის კრიტიკას. მოთმინებით იხილავდა ყოველ აქ წამოყენებულ დებულებას. ამ პერიოდში, როცა ამ პასუხებს ამზადებდა, მეთაურ წერილებსაც კი არ წერდა გაზეთისათვის. იგი ცდილობდა, თავისი შეხედულებები საქართველოს ისტორიის შესახებ უახლეს სამეცნიერო გამოკვლევებზე დაეფუძნებინა. ეს რამდენად იყო ყოველთვის შესაძლებელი, სხვა საკითხია, მაგრამ თავისთავად ეს მცდელობაა მნიშვნელოვანი. ნაციონალური ისტორია, განსხვავებით ეთნოისტორიისგან, უნდა ყოფილიყო თავისი არსით მეცნიერული.

ამასთან, ილია ერიდებოდა საქართველოს ისტორიის იდეალიზაციას. მაგალითად, საკმაოდ მუქ ფერებში ახასიათებს ქართული ენის მდგომარეობას, მის განუვითარებლობას. არის სხვა საკითხებიც, სადაც არ ჰყვება ცდუნებას, რომ რაღაც ლამაზი შტრიხი შესძინოს ქართველი ერის წარსულს. თუმც ხაზს უსვამს ქართველი ერის ღრმა ისტორიულ ფესვებს. *აი ისტორია* კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ისტორიული მახსოვრობის ჩამოყალიბებას. მართალია, ამ დროს უკვე იყვნენ ქართველი პროფესიონალი ისტორიკოსები, რომლებიც ქართული ნაციონალური ისტორიოგრაფიული ნარატივის შესაქმნელად სათანადო მასალას ამზადებდნენ, მაგრამ მაინც საჭირო იყო პუბლიცისტური დისკურსი, იმისათვის, რათა სამეცნიერო სფეროში დაგროვილი ფაქტობრივი სიმდიდრე მთელი ერთობის მსოფლხედვის ნაწილი გამხდარიყო.

ფელეტონის რუბრიკაში ქვეყნდება წერილი *სხვა-და სხვა რაგინდარაე* (ავტორი, ფსევდონიმით სფირიდონ ჩიტორელიძე, არის ილია

ჭავჭავაძე[72]), რომელიც ისევ ისტორიის საკითხს შეეხება. წერილში გულისტკივილია გამოთქმული იმ ზნეობრივი ძარღვის მოშლის თაობაზე, რომელმაც შემოუნახა ერს ისტორია. 'სომხები ქართველთა გავლენის ქვეშ მყოფნი უფრო ქართველობენო, წერს აღშფოთებული ავტორი, ვიდრე თვითონ ქართველები. ჩვენი ხალხი ძალიან ადვილად იცვლის ჩვეულებას და მიიღებს სხვას, რაც მოეწონება' (# 85).

მედიის როლის გამოკვეთის თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა 90-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილი *ემილ ზოლას აზრი გაზეთებზე*. გაზეთების მომრავლებას როგორც ფაქტი, მოჰყვა ყველაფრის ცოდნის სურვილი, მკითხველისათვის დაწვრილებითი ინფორმაციის მიწოდება უმცირეს სატკივართან დაკავშირებითაც კი. ამიტომაც შეუძლებელია ძალაუფლების მოყვარე მთავრობა იმითი იწყებს უფლების გამოჩენას, რომ ალაგმავს ხოლმე გაზეთებს და ამითი ამშვიდებს ერს:

> ყველაფრის ცოდნის ციებ-ცხელებას ის ნაკლი აქვს, რომ მეტად უჩქროლებს ხალხს გულს დღეს მომხდარის ამბით და ხვალის მოლოდინით ამბებს მეტად გაზვიადებული მნიშვნელობა ეძლევა, ხალხი მოსვენებული არ არის. ერი, ის ავადმყოფი გამხდარა, რომელსაც ყოველდღე ატყობინებენ სენის სიავკარგეს, რომელიც თვითონვე ისინჯავს მაჯას, ორგანიზმის დაუძლურებას თვალ-ყურს ადევნებს ... მწერლობა ერს დიდ გარდაქმნას უქადის, ქვეყნის გადაკეთებას არის მოწადინებული ... ეჭვი არ არის დიდ ცოდნასთან მიგვიყვანს, დიდ ერთობასთან.

ივერიის ფურცლებზე, რომ კვლავაც აქტუალურია სწავლა-განათლების საკითხი, ამას ადასტურებს მომდევნო ნომრის კორესპონდენცია სოფელ მლეთიდან (# 91). აღნიშნული კორესპონდენცია იუწყება მამა ლეონიდეს და სამრევლო და მართლმადიდებელი

---

[72] მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ ეს იყო ილიას ფსევდონიმი, თუმც მეორე ნაწილის აზრით, აღნიშნული ფსევდონიმი უკავშირდება მიხეილ ზაალის ძე ყიფიანს. ილიას პუბლიცისტური წერილების უკანასკნელ გამოცემაში სფირიდონ ჩიტორელიძის მიერ ხელმოწერილი მსალა ცალსახად მიჩნეულია ილიასეულად. იხ. ლ.მეგრელიშვილი. ტექსტისათვის. – ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, VIII – პუბლიცისტური წერილები (1886 წლის მაისი–დეკემბერი). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 636-638. შდრ. *ფსევდონიმების ლექსიკონი* (ინტერნეტ-პუბლიკაცია), რომელიც არჩევანს არ აკეთებს და ამ ფსევდონიმის მატარებლად ასახელებს, როგორც ილია ჭავჭავაძეს, ისე მიხეილ ყიფიანს.

სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორის მიერ სოფლის სამრევლო სკოლაში სწავლის მიმდინარეობის შემოწმების თაობაზე. შემმოწმებლები მეტად კმაყოფილი დარჩენილან სოფლის სკოლის სწავლების დონით: 'ძალიან მოეწონა მშვენიერი ნაწერი, მეტადრე ქართული, შემდეგ მოისმინა იმათი ეკკლესიური გალობა', რომელიც შეუსრულებია მღვდელ ნ. ლეონიძის მიერ შეკრებილ ქართულ გუნდს. მამა ლეონიდეს გლეხებისთვის გრძნობით სავსე სიტყვებით მიუმართავს იმის თაობაზე, რომ სწავლა-განათლება არის ერთადერთი საშუალება, ერთადერთი წყარო მათის კეთილდღეობისა და სიკეთისა. მამა ლეონიდე თურმე ასე წარმოუდგენდა გლეხებს სწავლა-განათლების დიდ მნიშვნელოვნებას:

> რომ თქვენმა შვილებმა ცუდად არ მოგიხსენიოთ და აიცილოთ იმათი საყვედური, ნუ დაზოგავთ მათთვის ნურაფერს, ატარეთ ისინი განუწყვეტლივ სკოლაში და ნუ მოაცდენთ სწავლას ... იმათ სწავლა ბოლოს თქვენვე დაგიტკბებათო.

ეს ფაქტი 99-ე ნომრის *მეთაური წერილითვე* ღირსსაცნობ ფაქტად იქნა დასახელებული: მამა ლეონიდესა და მღვდელ ნ. ლიონიძეს ნამდვილი და უტყუარი აზრი შეუმუშავებიათ იმის შესახებ, თუ რა გზით და საშუალებით უნდა ემსახუროს სამღვდელოება ერს და ეკლესიას. ჩვენმა სამღვდელოებამ გულში უნდა ჩაიჭდიოს, რომ სწავლა-განათლება ერთად-ერთი სახსარია როგორც ერის თვით-ცნობიერების გასაწვრთნელად და გასაძლიერებლად, ისე ქრისტეს მოძღვრების განსამტკიცებლად. აქვე საუბარია იმაზე, რომ გაზეთებში იშვიათად მაგრამ მაინც ქვეყნდებოდა ზოგიერთი სასულიერო პირის მიერ ძველი მონასტრებისა და ეკლესიების განახლებისა და ერში სწავლა-განათლების გავრცელების თაობაზე ინფორმაცია. ყოველივე ეს ძალიან მნიშვნელოვნად არის მიჩნეული გაზეთის *მეთაური წერილის* მიერ, რადგან აღნიშნული ფაქტები მოასწავებდა სამღვდელოების გამოფხიზლებასა და გამოღვიძებას (# 99).

აშკარაა, რომ სამღვდელოების განწყობილება შეცვლილია. მათი სულ უფრო მეტი და მეტი ნაწილი იმსჭვალება ეროვნული იდეით.

გაზეთის ფურცლებზე თანაბრად ვხვდებით საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლის მამხილებელ წერილებს. ერთობის მსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი უჯრედი – ოჯახი მოშლილია და არ შესწევს ძალა შვილები კარგად აღზარდოს, სამღვდელოება თავის უზენაეს მისიას

ვერ ასრულებს, სწავლა-განათლება უმძიმეს დღეშია – მშობლიური ენის სწავლება ამოღებულია სასწავლებლებში. ერთობის საფუძველი მოშლილია. მოხელეების არაკეთილსინდისიერი საქმიანობა დადასტურდა რეგიონებშიც. მაგალითად, სვანეთში არსებული ვითარება ნათლად არის წარმოჩენილი *ფელეტონის* რუბრიკაში გამოქვეყნებულ წერილშიც *იალბუზის გარშემო.* ავტორია "თავისუფალი სვანი" (ბესარიონ ნიჟარაძე). სამხედრო გუბერნატორის მკვლელის სვანეთის მთავრის კონსტანტინე დადიშქელიანის სიკვდილით დასჯის შემდეგ მისი მამულები მთავრობის ხელში გადავიდა და მთავრობამ გადასახადების აღების საქმე ბოქაულებს ჩააბარა. ბოქაულებმა არ გაუმართლეს იმედები მთავრობას, მცირე შემოსავალი შეჰქონდათ სახელმწიფო ხაზინაში, რისთვისაც მამულები გადასცა თავად თენგიზ დადიშქელიანს (# 100).

ასევე არ შენელებულა ინტერესი საბანკო საკითხებთან დაკავშირებით. 104-ე ნომერში ქვეყნდება ქუთაისის თავადაზნაურთა ბანკის ორი თაობის კრების მასალები. ავტორია გ. წერეთელი. კრების მასალები კარგად წარმოაჩენს საზოგადოების გონებით და ზნეობით ზრდას. ეს მასალები მოუწოდებდა საზოგადოებას მხნეობით შესდგომოდა ქვეყნის კეთილდღეობისათვის შრომას:

> წლევანდელის მეგრელ-იმერელთა კრების კეთილშობილურს მოქმედებას, მის ქველ-მოქმედებისათვის მომწიფებულს სჯას ყოველი ჩვენი განათლებული ახალგაზრდა აღტაცებაში უნდა მოჰყავდეს. მას არ უნდა ეშინოდეს ამიერიდგან არც გარეშე დევნისა, არც ათასნაირი გაჭირებისა, რადგან მისი ღირსეული შრომა ადრე თუ გვიან უეჭველად დაჯილდოვდება ქართველთა ერის თანგრძნობით.

ამგვარი მოქმედების ნიმუშად მიაჩნია ავტორს სწორედ მოღვაწეობა ბანკში. თვალსაჩინოებისთვის იგი სათავადაზნაურო ბანკის მუშაობის ორ ეტაპს გამოჰყოფს: წარსულსა და აწინდელს. ბანკის დაარსებას წინააღმდეგობით შეხვდა საზოგადოების მცირე ნაწილი, რომელთა შორის იმყოფებოდა აკაკი წერეთელიც. ამ ფაქტმა გარკვეული გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე. მედიასაც გაუკრიტიკებია საბანკო პროგრამა და მისთვის "ჩაძირვა" უწინასწარმეტყველებია.

ბანკის მესვეურთა მიმართ ა. წერეთლის დამოკიდებულების საჩვენებლად ერთი საინტერესო პასაჟია ჩართული: ამ შესანიშნავი საქმის მესვეურთაგან ერთ-ერთი წევრი მოხუცებულობის გამო თურმე

სათვალეებს ატარებდა, მაგრამ თვალების მაგივრად მუდამ შუბლზე ჰქონია გაკეთებული. აკაკისთვის უკითხავთ: რა მიზეზია, რომ ის პატივცემული გვამი სათვალეებს მუდამ შუბლზე ატარებსო? იმისთვისაო, მიუგია აკაკის, რომ გონებითი მხედველობა აკლიაო. ამით გამოხატულია ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობდა ბანკის საქმიანობის საწყის ეტაპზე.

აქვე საუბარია ცამეტი წლის მუშაობის შედეგებზე და წარმატებულ საქმიანობაზე. სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე მსჯელობა დირექტორის არჩევნებთან დაკავშირებით აჩვენებს ქართული საზოგადოების არსებობას და მის ფასეულობათა შკალას. მაგალითად, მოყვანილია თავად გ. დ. აბაშიძის ნათქვამი:

> კაცის და, მაშასადამე, მთელი საზოგადოების ბუნების კეთილშობილური მხარე იმ გვარად არის მორთული, თუ ვისმე მისთვის რამე ამაგი უყვია სხვაზედ მეტი, მისის ინტერესების დაცვისათვის თავისი სიცოცხლე შეუწირავს და საერთო მის ბედნიერებაში დაუსახავს და უცვნია თავისი ბედნიერება, მაშინ უეჭველად იმას მომეტებულს სიყვარულს განუზიარებს და ეცდება სამაგიეროთ, შესაფერისი თუ არა, ოდნავი მაინც პატივისცემა და სამსახური აღმოუჩინოს ამ გვარის სანთლით საძებარს ადამიანს. თუ რომელიმე ერი დაიჩემებს ჩვენ ვყოფილვართ ამგვარი კაცებით მდიდარიო, იქ ჩვენც არა უკანასკნელს ადგილს დავიჭერთ და თამამად ვიტყვით ჩვენც გვყოლია და დღესაც რამდენიმე გვყავს, რომელნიც თავისის მოღვაწეობითა და ნიჭით გვამშვენებენ.

ასეთნაირად ხედავდა პიროვნებისა და სამშობლოს ურთიერთმიმართებას ბებურა ბებურიშვილიც: ‘დროა ისეთ კაცებს ვირჩევდეთ საზოგადო სამსახურისთვის და ვაფასებდეთ, რომელნიც თავიანთ ძალ-ღონეს, სულსა და გულს სწირავენ თავის სამშობლოს და მუდამ დღე ემსახურებიან თავის სამშობლოს’.

ორივე აკაკი წერეთელს ასახელებდა ამგვარ ადამიანად.

ავტორი ხაზს უსვამს, რომ ამგვარი ვითარებას ვერავინ წარმოიდგენდა ცამეტი წლის წინ: ის პაწია წრე, რომელშიაც მაშინ აკაკი წერეთელიც ირიცხებოდა, შეიცვლებოდა მთელ საზოგადოებად და მაშინდელი მწერლების აზრი და მიმართულება დღეს მთელი საზოგადოების გონებით საზრდოდ გადაიქცეოდა. თითოეულის ერის ცხოვრებაში ხშირი არ არის ასეთი კეთილშობილური გულის ძგერა. დიდად სანუგეშო

სურათს წარმოადგენდა აღნიშნული ბანკის კრების მოქმედება, ნათლად გამოკვეთა ერის ცოცხალი მაჯის ცემა, რომელიც იძლეოდა იმედს მომავალში უფრო გაძლიერებისა (# 104).

ბანკს, როგორც ცნობილია "ქართულ პარლამენტს" უწოდებდნენ. ამაში ის აზრი დევს, რომ ბანკი იმდროინდელი საქართველოსათვის არ იყო მხოლოდ ფინანსური დაწესებულება, ის იყო დაწესებულება, რომელიც წარმოადგენდა ყველაზე ხალხმრავალ საჯარო სივრცეს. საჯარო სივრცე სამოქალაქო საზოგადოების და, შესაბამისად, ნაციის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია.

რუბრიკა დაბა და სოფელი ბეჭდავს მასალას სამეგრელოს სკოლებში ამ დროისათვის სწავლა-განათლების და ენასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების შესახებ. თუ ზემოთ კორესპონდენციებში იშვიათ ნიმუშზე გვქონდა საუბარი სწავლის პროცესის კარგად წარმართვის თვალსაზრისით სოფელ მლეთის მაგალითზე, სრულიად განსხვავებულ ფაქტთან გვაქვს საქმე დაბა სუჯუნაში ახალი სკოლის დაარსების საკითხთან დაკავშირებით. საინტერესოა ხალხის დამოკიდებულება სკოლისადმი: მასწავლებელი ესაუბრება ხალხს სკოლის დაარსების აუცილებლობაზე. ერთ-ერთი გლეხი კი ასე მიმართავს მას: 'რა სკოლა, რის სკოლაო? მე ექვსს თვეს ვასწავლე ბავშვს წერა-კითხვა და რა ქაღალდიც უნდა მოუტანო, მშვენივრად კითხულობსო; თქვენს სკოლაში-კი სამი წლის ნასწავლმა ერთი სიტყვაც ვერ ამოიკითხა იმავე ქაღალდში'. მასწავლებელმა უთხრა, რომ შენ ქართულს ასწავლიდი ბავშვს, ჩვენ-კი რუსულს და მეგრულს ვასწავლითო. მეგრული ჩემს შვილს არ უნდა, ყველაფერი მშენიერად იცის ... ლაპარაკით ხომ ლაპარაკობს და წიგნი მეგრულად არ არსებობსო – მიაგებებს პასუხს გლეხი, რაზეც მასწავლებელს პასუხი ვერ გაუცია. ან რა პასუხი უნდა გაეცა, სიმართლეს ვერ უარყოფდა', შენიშნავს გ. წერეთელი. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ხალხის აზრის გათვალისწინებაზე. იქნებ ხალხს ჰკითხონ, მიუთითებს იგი, თუ არა ისე დაემართებათ როგორც ეს წირვა-ლოცვის მეგრულად აღვლენის დროს შეემთხვათო (ხალხმა, როდესაც მეგრულად გაუკუღმართებული წირვა-ლოცვა მოისმინა, ლანძღვა-გინებით აიკლო ტაძარი): 'უფრო რიგიანი იქნებოდა სამასწავლებლო მთავრობა დაჰკითხებოდა ხალხს მეგრულის შემოღებაზედ ქართულის მაგიერ' (# 110).

111-ე ნომრის *მეთაური წერილში* საუბარია რუსეთის მმართველობის სისტემის შესახებ. რუსეთის იმპერია, რომელიც მოიცავს მრავალ სხვა-და-სხვა ტომისა, სარწმუნოებისა და კულტურის ერს, ცდილობს გაავრცელოს და დაამკვიდროს რუსული ენა, როგორც ადმინისტრაციის, სასამართლოსა და სკოლებში მოსახმარი ენა.

113-ე ნომრის *მეთაური წერილი ტფილისის ქართველობა* (ავტორი პ. ინიციალით აწერს ხელს – ესაა პეტრე უმიკაშვილი) შეეხება თბილისის ქართველობის ყოფა-ცხოვრება, რა საერთო კავშირი აერთებთ, რა ცხოვრების აზრი ასულდგმულებს და აცოცხლებს, რა საერთო საგანი აქვთ აჩენილი საერთო მოქმედებისათვის. კორესპონდენციაში თბილისის ქართველობა შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: ქალაქი აჭრელებულია სხვადასხვა ტომის ხალხით; ასი ათას სულში მხოლოდ მეოთხედია ქართველობა; დაწინაურებული ნაწილი საზოგადოებისა დროის ტარებითაა გართული; რაც შეეხება ვაჭარ-მრეწველთა ფენას, ქართველობა როგორც ჩანს, ნაკლებად მისდევდა ამ საქმიანობას; დიდი ნაწილი ქართველებისა იყვნენ ხელოსნები, წვრილი მოსაქმეები, ღარიბ-ღატაკები; ეს ფენა, გარდა იმისა, რომ უქონელთა რიგებში იდგა, ქართველ საზოგადოებას დაშორებულიც ყოფილა, დღემუდამ მისი ზრუნვის საგანს მხოლოდ ლუკმა-პურის შოვნა შეადგენდა; ასევე უნუგეშო ყოფილა მათი შვილების მდგომარეობაც: 'შვილების ყოფა ამ ხელოსნებისა და მუშებისა ისეთს მდგომარეობაშია, რომ აღწერა ძნელია. იღუპებიან და იკარგებიან სამუდამოდ თავიანთვისაც და მშობლებისთვისაც'. პეტრე უმიკაშვილი ხაზს უსვამს ინტელიგენციის უმეტესი ნაწილის კერძო ინტერესებისადმი სწრაფვას და ურჩევს ჩვენს დაცემულ ვინაობას ყურადღება მიაქციონ, ერთი ისეთი საგანი ამოირჩიონ, რომელიც შეკრავს ყველა ქართველს და გამოიყვანს უფერული ცხოვრებიდან. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად ასახელებს სამრევლო მზრუნველობათა დაარსებას ეკლესიებთან (# 113).

ამ წერილში კარგად ჩანს, რომ ქართველი ერის იდეა, რომელიც შეიმუშავა ქართულმა კულტურულმა ელიტამ ჯერ მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილში იყო გავრცელებული. იგი არ მოიცავდა სრულად ინტელიგენციასაც კი, ფიზიკურად მშრომელ მასებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ისინი, თუმც გარეშე თვალისათვის აშკარად ქართველები იყვნენ, ქართველობის გამმაფრებული გრძნობა მათ ჯერ არ ჰქონდათ. ამგვარად, მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლების

მიწურულისათვის აღნიშნული იდეის ფართო კულტივაცია, მიუხედავად *ივერიის* მონდომებისა, ვერ მოხერხდა. *ივერიის* სიტყვა ამ დროს ვერ გადასწვდა მთელ ქართულ ეთნიკურ ერთობას.

პ. უმიკაშვილის აღნიშნულ წერილს გამოეხმაურა დ. მიქელაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ გადაჭარბებულია ავტორის აზრი თბილისის ქართველობის შესახებ და ასევე არ ეთანხმება იმ საკითხში თითქოს, რომელიმე ცალკე აღებულ დაწესებულებას, ამ შემთხვევაში სამრევლო მზრუნველობას სოლოლაკისა, შეეძლოს ემსახუროს იმ დიდ საქმეს, რასაც ხალხის სულიერი და ხორციელი საჭიროება ჰქვია. ავტორი აღნიშნავს, რომ სასურველია ყოველს საზოგადო ადგილზედ განათლებული და მაღალი ზნეობის კაცი იქნას დაყენებული. საგნის განსამარტებლად სრულიად საჭირო არ არის ვილაპარაკოთ იმაზე თუ რამდენად შეესაბამება ახლად არჩეული მზრუნველი თავის ალაგს ან ალაგი მას? უსათუოდ ყოველი კენჭის ყრა სამართლიანი და ღირსეულია, რადგანაც ეს არის ერთადერთი საშუალება საზოგადოების აზრის გამოსახატავად (# 117).

თუმცა პ. უმიკაშვილი არ თმობს თავის პოზიციას და კვლავაც მოუწოდებს ქართველობას თავი მოიყაროს სამრევლო მზრუნველობის საზოგადოებაში და გაუძღვეს სულიერ და ხორციელ საქმეებს. სამრევლო დაწესებულება განსაკუთრებული თანაგრძნობის ღირსი დაწესებულებაა, იმდენად რამდენადაც აქ ერთად მოიყრიდა თავს ხარისხისა და წოდების გაურჩევლად ყოველი ქართველი – სამღვდელო და ერი, თავადი და გლეხი, ვაჭარი და ხელოსანი, სწავლული და უსწავლელი, მდიდარი და ღარიბი. ეს იყო უმთავრესი მოტივი პ. უმიკაშვილის პოზიციისა (# 120).

კარგად ჩანს ამ პუბლიკაციითაც ქართველი ნაციონალისტების იდეალი: ერთიანობა საზოგადო საქმეში მიუხედავად სოციალური სტრატიფიკაციისა.

114-ე ნომერი წერილი *სანომ*[73] *მათქმევინა* (ავტორია მღვდელი დ. ჯანაშვილი) შეეხება საინგილოს ქართველებს, იქ არსებულ მდგომარეობას, ყურადღება გამახვილებულია მათი ეთნიკური კუთვნილების აღქმაზე სახელმწიფო მოხელეების მხრიდან. ავტორის გაღიზიანებას იწვევს უხბაშევის წერილი სტატისტიკური კომიტეტისადმი,

[73] სანო იყო სტეფანე ჭრელაშვილის ფსევდონიმი.

სადაც აღნიშნული ყოფილა ინგილოების არაქართველობა. ქართველებად ის მიიჩნევდა იმ ინგილოებს, რომელთაც ქრისტიანობა ჰქონდა მიღებული. მისი აზრით, 'ალიაბათელები, ინგიანელები, მოსულელნი, მაქსნელები, თასმალოელები, ზაგწელები და სხვანი არიან ინგილოები და არა ქართველები, ქართველები არიან კაკელები, ალიბეგლოელები და სხვ.'

ამ მიზნით სოფელი ყორაღანი ორ ნაწილად გაყოფილა. სოფელში მცხოვრები ინგილოელების ნახევარი ქრისტეს სჯულის აღმსარებელნი ყოფილან, მეორე ნახევარი – მაჰმადიანები, თუმცა გვარ-ტომობით ქართველები იყვნენ. ავტორი აღნიშნავს, რომ უზბაშევისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ინგილო ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხია, ხოლო ენა ინგილოებისა, მათი ზნე, ჩვეულება და ისტორიული წარსული ამტკიცებს, რომ ისინი შთამომავლობით ქართველნი არიან, 'მაგრამ ხსენებულს ადამიანს ინგილოები, ვინ იცის, რა მიზეზით თვალში ეჩხირება ეკალივით და ამისათვის გულითად მოწადინებულია მოსპოს მათი მნიშვნელობა მაზრაში'. უზბაშევი თავისი მიზნისთვის სარწმუნოებრივ აღმსარებლობას იყენებს. თუმცა ზოგჯერ აზრებს იცვლის, გადადის ერთი აზრიდან მეორეზე. მისი შეხედულებით, არც სარწმუნოებით შეიძლება რომელიმე ხალხის შთამომავლობის გამოცნობა. მაგალითად, ზოგს გაქრისტიანებულ ინგილოებს ის ქართველებად სცნობს, მაგრამ სოფელს თასმალოში მცხოვრებ ქრისტიან ინგილოების გვარტომობას, რომ შეეხება, ამბობს, რომ ისინი ინგილოები არიან და არა ქართველებიო. ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც საინგილოში ქართველები გამაჰმადიანებულან და ქართული ენა დაუვიწყნიათ. მაგალითად, სოფელ ყანდახში ყველანი ინგილოები ყოფილან, რომელთაც დაუვიწყნიათ მშობლიური ენა და მაჰმადის სჯული უღიარებიათ. ამის გამო უზბაშევს ისინი 'ადერბეიჯანის თათრის ტომისად' ჩაურიცხავს. ბევრი მათგანს კარგად სცოდნია ქართული, 'მაგრამ იქამდე გული გადაჰგვარებია, რომ ქრისტიან ინგილოსთან არ იჩენენ თავის ცოდნას, თავიანთ ოჯახში კი მომეტებულ ნაწილად, ისევ ქართულად ლაპარაკობენ'. მღვდლები არ ჰყოლიათ და მონათლულნი არ ყოფლან მაგრამ ფარულად ქრისტიანობდნენ თურმე და თათრებისა და ლეკებისაგან შორს ეჭირათ თავი. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მომხდარა ზაქათალის მაზრაში ქართველთა ეროვნების აღრევა. მაზრის რუსეთის მიერ დაკავების შემდეგ, სარწმუნოება შენარჩუნებულ ინგილოებს იმედი

გაუჩნდათ ამიერიდან მაინც არ იქნებოდნენ შევიწროებული და დაუბრუნდებოდნენ მამა-პაპეულ სარწმუნოებას. მათი იმედები არ გამართლდა, თავიდან გაჩაღდა აქტიური მუშაობა ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების მიერ: გაიხსნა სამრევლო სკოლები, გამაჰმადიანებული ინგილოები უბრუნდებოდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, მოიწვიეს მღვდლები, დაიწყეს ეკლესიების მშენებლობა. მაგრამ 1863 წელს მაზრაში დაწყებული მუსულმანთა არეულობა დაბრალდა ქრისტიანობის გავრცელებას. მაზრის დასამშვიდებლად მთავრობა აჩერებს სარწმუნოების გავრცელებას. ნება დაურთავთ ქრისტიანი ინგილოებისთვის მაჰმადიანობის მიღებისა. გაუნათლებელ ხალხს ნების დართვა ბრძანებად მიუღიაო, აღნიშნავს ავტორი, და ბევრი ინგილო მამაჰმადიანებულა და ლეკი, თათარი და ინგილო მაჰმადიანი გაუერთებია. აღსანიშნავია, ისიც, რომ 'მაჰმადიან ინგილოებში ქრისტიან ინგილოებს ბევრი ნათესავი ჰყავთ, ერთის გვარისანი არიან, არიან ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშილები, მაგრამ შეწყდა 1863 წ. შემდეგ მათ შორის ყოველივე კავშირი და მისვლა-მოსვლა'. ავტორი (დ. ჯანაშვილი) იმისათვის, რათა ნათქვამს მეტი დამაჯერებლობა შესძინოს, წერს, რომ თვითონაც ბევრი ნათესავი ჰყავს მაჰმადიანი, რომელთანაც გაწყვეტილი აქვს ყველანაირი კავშირი. ისინი ისე ექცევიან, ისე ეპყრობიან და უცქერიან, როგორც უცხონი და უცხო ტომის შთამომავალნი. წერილის მთავარი სატკივარი არის შემდეგი: 'გავა კიდევ რამდენიმე წელიწადი და სრულიად დაირღვევა, გაუქმდება ქართველობა მუსულმან ინგილოებს შორის'.

ზაქათალის მაზრაში ქართველთა რეზიდენციას კაკი წარმოადგენდა, რომლის მოსახლეობა ძალიან შეუვიწროებიათ მუსულმან ინგილოებს და არა მარტო მუსლიმან ინგილოებს, ლეკებს და თათრებსაც. მუსლიმური სასამართლოც ჩაგრავდა ქრისტიანებს, რადგან ოლქის სასამართლო დაფუძნებული იყო მაჰმადის სჯულის შარიათზე, რომელიც ნებას არ აძლევდა მუსულმანს ქრისტიანის მხარე დაეჭირა.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს გაზეთ *მეურნეში* საინგილოში გავრცელებული ქურდობის თაობაზე არამართებული ინფორმაციის გამოქვეყნების თაობაზე. კორესპონდენცია *სანომ მათქმევინა* მედიაში გაპარული უზუსტობის გამოსწორებას ისახავს მიზნად. 'ძალიან ცდება – ამბობს დ. ჯანაშვილი – როცა *მეურნის* წერილის შინაარს მთლად ინგილოებს მიაწერს'. მას სურდა აეცდინა ქრისტიანი ინგილოებისათვის

უმართებულო კიცხვა, რადგან შეუძლებელია ყველანი ქურდები ყოფილიყვნენ. ქურდები ინგილოებშიაც მოიპოვებოდა, მაგრამ ამისათვის მთელი ხალხის საქვეყნოდ ქურდად წოდება ავტორს გაუმართლებლად მიაჩნია (# 114).

საინგილოზე ყურადღების გამახვილება უკავშირდება კვლავ ერის შემადგენლობის დადგენის ანუ ვინაობის გარკვევის საკითხს. ამ შემთვევაშიც აშკარაა: რელიგია არაა მთავარი იდენტობრივი მარკერი. განსხვავებული რელიგიების ქონა ხელს არ უშლის ერის ერთიანობას.

115-ე ნომერში *მეთაურ წერილში* ქვეყნდება გაზეთ *მწყემსში* გამოქვეყნებული წერილი *მეგრულ ენაზე ლოცვებისა და წირვის გადათარგმნის გამო*. 'ყველა დროს და ყოველ შემთხვევაში მეგრელთ თავის დედა-ენად მარტო ქართული ენა მიაჩნდათ და დღესაც მიაჩნიათ. ამას ამტკიცებს გუჯრები და წერილები, დაწყებული იმ დროდგან, როდესაც ქართულს ენაზედ მწერლობა დაარსებულა. მიწერ-მოწერა და მოკითხვა ყოველთვის ქართულ ენაზე ყოფილა'. ავტორი კითხულობს, რა საჭიროება ითხოვს, რომ

> მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ხალხს უარი ათქმევინონ ქართულ ენაზედ და მეგრულად დაწყებინონ წერა-კითხვა? ... რა სარგებლობისათვის უნდათ, რომ მაინც და მაინც მეგრულად ალოცონ ეს ხალხი და მეგრული მწერლობა დაუარსონ? რით ვერ გაიგეს, რით ვერ შეიტყეს, რომ მეგრული ენა არ არის ისეთი განსხვავებული ენა ქართული ენისაგან, როგორც მაგალითებრ, ოსური, აფხაზური და სომხური, რით ვერ შეიტყეს, რომ მეგრული ენა იგივე ქართული ენაა გადასხვაფერებული? ორს მეგრელს ისე არ შეუძლიან ილაპარაკოს მეგრულ ენაზედ, რომ ლაპარაკის დროს მესამედი მაინც არ გაურიოს ქართული სიტყვები არ იხმაროს.

აქვე აღნიშნავს, რომ ამ მიზეზით ეადვილებათ მეგრელებს ქართული ენის შესწავლა. წერილის მიზანი მოსალოდნელი სამწუხარო მოვლენის სარწმუნოების შერყევის საშიშროების თავიდან აცილებაზე ზრუნვა. მეგრულ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღება სინოდის განკარგულება არ ყოფილა, ეს არ მომხდარა არც საქართველო-იმერეთის სინოდარული კანტორის გადაწყვეტილებით. ეს ცალკეული ერისკაცების ნება-სურვილით მომხდარა.

201-ე ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში *ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულობით* (ავტორი ვაჟა ფშაველა) ვაჟა წარმოადგენს ფშაველი დედაკაცის შესახებ არსებულ

ფშაველთა შეხედულებების განხილვას. ერთი კუთხის, კერძოდ, ფშავის მაგალითზე ნაჩვენებია იქ გავრცელებული შეხედულებები დედაკაცის "ვინაობის" თაობაზე. ცდილობს გაარკვიოს რამ განაპირობა ფშაველთა შორის დედაკაცის შესახებ არსებული წარმოდგენების გაჩენა: ოდითგანვე მომდინარეობდა დედაკაცის ეშმაკისაგან წამომავლობის თვალსაზრისი, რაც ავტორის ეპოქაშიც ყოფილა გავრცელებული. მიუთითებს, რომ დიდი წვლილი ამ აზრს გაჩენაში მიუძღვით თვითონ დედაკაცებს: "შევიწროებულის ცხოვრებისა და ყოფნისა თუ მოცლისა ან მეტის-მეტი მგრძნობიარობისა და ფანტაზიის აყოლის გამო, დედაკაცს ძველადგანვე დაუწყია ჩხირკედელაობა: ქადაგ-მკითხაობა, შელოცვა ან ექიმბაშობა ლოცვით და სხვა მრავალი ხრიკები, რითაც გაუეჭვიანებია მამაკაცი. ამიტომ მამა-კაცმა არც აცივა, არც აცხელა და ხელობა "კუდიანობისა" თითქმის მთლიანად ქალს გადაულოცა'.

ფშაველის ფიქრით, დედა-კაცი მამა-კაცზე ჭკუა-გონებით ნაკლებია, ცეტი, სულელი, ორ-პირი, ცბიერი, გაუტანელი. ავტორის აზრით, ზემოთ აღნიშნულ შეხედულებას გამოთქვამს ფშაველი, როცა მის გონებას გრძნობა ფარავს. პოეზიაში ფშაველი მამაკაცები სხვაგვარად მსჯელობენ. ლექსებში დედაკაცი გაღმერთებული ჰყავთ. თემის არსებობა ძველად დამოკიდებული იყო ვაჟკაცებზე, მამაკაცებზე. მათი გამამხნევებელი ბრძოლაში დედაკაცი იყო. ქალი თავისი პიროვნებით წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც ზნეობრივ სანქციას. ლაშქრიდამ გამოქცეული ღირსიაო, რომ ქუდი მოიხადოს და ჩიქილა დაიხუროსო. აი, სადამდის ამცირებს ქალი მხდალს, რომელიც მტერს სასტიკად არ უხვდება, რომელიც უსირცხვილოდ გამორბის ბრძოლის ველიდან.

1890 წელი

რედაქტორ-გამომცემელია ილია ჭავჭავაძე. გამოდის იმავე პროგრამით როგორც წინა წელს.

ივერია მკითხველის ყურადღებას აჩერებს დ.ბაქრაძის გარდაცვალებაზე. ნაციონალიზმის იდეოლოგიის შექმნაში, როგორც ითქვა, სრულიად განსაკუთრებული წვლილი მიუძღით ისტორიკოსებს. დ. ბაქრაძე უბრალოდ მეცნიერად არ აღიქმებოდა, ის იყო ადამიანი, რომელმაც მამულის მსახურებით გამოიჩინა თავი. მართლაც,

გამორჩეულია თავისი შთამბეჭდავობით ის სიტყვები, რომლითაც *ივერია* მიმართავს გარდაცვლილს:

> შენ წარხვედ და საქმენნი შენნი დაგვრჩნენ ჩვენ შენდა სახსოვრად. ჩვენ არ დაგივიწყებთ არც შენ და არც შენს ღვაწლს, არც შენს ამაგს, არც შენს თავდადებას ისტორიისათვის იმიტომ, რომ გვახსოვს სახელოვანის მიშლეს ნათქვამი: ისტორია აღდგომა არისო და შენ ისტორიით აღგვადგინე. არ დაგივიწყებთ იმიტომ, რომ არდავიწყება ისტორიისა, რომელსაც შენ შესწირე შენი სიცოცხლე, ანთებული კერაა მამულიშვილობისა, სამშობლოს სიყვარულისა და ეს კერა შენ აღგვინთე. არ დაგივიწყებთ იმიტომ, რომ მხოლოდ იმას შეუძლიან თვალი გაუსწოროს და უშიშრად უცქიროს მერმისს, ვინც იცის წარსული და ეს წარსული შენ გვაცოდინე. არ დაგივიწყებთ იმიტომ, რომ მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველს ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა და ეგ წარსული შენ მოგვეცი. *ივერიაში* უკვე ნათქვამია, რომ ვისაც ნამყო არა აქვს, არც აწმყო აქვს, ვისაც აწმყო არა აქვს, იმას არც მომავალი აქვს. იმ კაცმა, რომელსაც ჩვენ უკანასკნელად გამოვესალმენით, მთელი ორმოცი წელიწადი იღვაწა და დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ ნამყო გვქონდა, აწმყო გვაქვს და მომავალი გვექნება. იმედი ხვალისა მან მოგვამადლა ჩვენ. თვითონ წავიდა და ჩვენ ხელთ მოგვცა მწვანე შტო იმედისა, სასოებისა, რომელიც მან ხეს მეცნიერებისას და ცნობადისას მოჰკვეთა და ნოეს მტრედსავით მოგვიტანა და გვახარა: ნუღა გეშინისთ წარღვნისაო. სხვაგან ამისთანა კაცის საფლავი სალოცავია მამულისა. ახლა ხომ ცხადია, სად არის სათავე იმისი, რომ დღეს თითქმის მთელი საქართველო მისტირის დ. ბაქრაძეს, როგორც საუკუნოდ დადუმებულ მახარობელს ჩვენის იმედისას, ჩვენის სასოებისას (# 32).

როგორც ვხედავთ, ქართველი ნაციონალისტისათვის (ისევე, როგორც ყველა ქვეყნის ნაციონალისტებისათვის ნაციონალური მობილიზაციის ეპოქაში) მემატიანე მარტო იმით კი არ არის ძვირფასი, რომ წარსულისა და აწმყოს გაგებაში გვეხმარება, არამედ, უპირველესად ყოვლისა, იმით, რომ იგი თავისი გამოკვლევით საზოგადოებაში აჩენს მომავლის იმედს. ისტორიკოსი, ფაქტობრივად, წინასწარმეტყველია და არა უბრალოდ "მაცნე გარდასულ ეპოქათა".

მე-40 ნომერში ქვეყნდება დეკანოზ ბეგიაშვილის სიტყვა წარმოთქმული თავად ნ.ი. ვაჩნაძის დასაფლავებაზე, რომელიც შემოაკვდა მისსავე მოგვარეს სოფელ კარდენახში. ამ ფაქტობრივად კრიმინალურ შემთხვევას ეროვნული ჟღერადობა ეძლევა. დეკანოზის აზრით, ეს შემაძრწუნებელი ფაქტია, იმიტომ, რომ ეს ქართველებს

არ მოსდგამდათ. ეს დეკანოზი მთელი ქართველობის შემარცხვენელ ფაქტად განიხილავს ამ მკვლელობას. ჩვენ კარგად გვახსოვს, *ივერიის* წინა წლების პუბლიკაციები, როცა რედაქტორი აღშფოთებას არ მალავდა და საკადრის პასუხს აძლევდა მათ, ვინც იმის გამო, რომ ერთი ქართველი მკველელობაში იქნა ეჭვმიტანილი, მთელ ქართულ საზოგადოებას ადანაშაულებდა. ეს იყო ასე ვთქვათ, საგარეოდ სათქმელი. შინაურობაში ანუ ჩვენ-ჯგუფის შიგნით კრიმინალური ფაქტის განსხვავებული ინტერეპრეტაცია ხდება: კერძოდ, ერთი კაცის შეცოდება განიხილება როგორც შემარცხვენელი მთელი ერთობისა. განსახილველი პუბლიკაციის მთავარი და ამავე დროს აშკარად განუცხადებელი "მესიჯი" ისაა, რომ ქართული ერთობა დაუნაწევრებელი არსია, რომლის ცალკეული ნაწილაკი მთელს წარმოადგენს და ამ ნაწილაკით შეიძლება მთელზე მსჯელობა. ამ შემთხვევაში ხდება კოლექტივისტური ნაციონალიზმის გრძნობის კულტივირება. თუმც, როგორც ითქვა, ეს ქართული ნაციონალიზმის მხოლოდ ერთი მხარეა. ამის პარალელურად, ქართველ ნაციონალისტები აყალიბებენ ქართველი ერის იდეას ინდივიდუალისტური ანუ სამოქალაქო ნაციონალიზმის მატრიცის მიხედვით.

საინტერესოა, რომ ამ კერძო ფაქტს არა მარტო ჩვენ-ჯგუფის თანამედროვე წევრებს უკავშირებს დეკანოზი ბეგიაშვილი, არამედ წინაპრებასაც ანუ ქართულ ერთობას ხედავს როგორც თანამეგრობობას არა მარტო ჰორიზონტალურ ჭრილში, არამედ ვერტიკალურშიც:

> იმ, იარაღს, რომელსაც ჩვენი სახელოვანი წინაპრები სჯულის და სამშობლოს დასაცავად იყენებდნენ, ჩვენი თაობის წარმომადგენელნი ხმარობენ მხოლოდ მისთვის, რომ გაიმეორონ კაენის შემაძრწუნებელი ქმედება – კაცის კვლა. ვაი ჩვენს ასე ჭკუა-გონების დაქვეითებას, ვაი ჩვენს ასე ზნეობითს დაცემას, ვაი ჩვენს ასე ღირსებისა და სარწმუნოების დაკარგვას, ვაი ჩვენს ასე შიშისა და მსჯავრის დავიწყებას, ვაი ჩვენს ასე სირცხვილს და სინდისის დაკარგვას, ჩვენს ასე მთელს ქვეყანაში თავის მოჭრას, რომ ამ გვარად ჩვენი დროის კაენთ მეოხებით ჩვენ ერთობ ყოველნი ქართველნი შევიქმენით თითით და ზიზღით საჩვენებელი ... სად უნდა ვეძიოთ და ვპოვოთ სახსარი და საშუალება დასახსნელად ესეთი სამწუხარო ყოფა-მდგომარეობისა?

– კითხულობს დეკანოზი ბეგიაშვილი და იქვე დასძენს:

> ჩვენშივე, მსმენელნო ქრისტიანენო, ჩვენშივე ... მხილებით, საზოგადოებიდან გაძევებით, უკეთუ ჩვენ ყოველნი არ ვეცდებით ყოვლის ღონით, რომ მოზარდი თაობა აღვზარდოთ ადამიანურად, ზნეობითად და ქრისტიანულად, რომ იცოდნენ შიში ღვთისა და სიყვარული მოყვასისა, რომ არ ემსახურებოდნენ უგუნურს თავმოყვარეობას, არამედ ნამდვილსა და ჭეშმარიტს პატიოსნებას და ქველობას.

მეთაურ წერილში (ავტორია ა. ფრონელი – ალექსანდრე ყიფშიძე) სახელმწიფოს კეთილდღეობის ბურჯად დასახელებულია სოფელი. თუ სოფელი ეკონომიკურად დაქვეითებულია და უძლურია, მაშინ მთავრობაც უღონოა აასრულოს პირნათლად თავისი მოვალეობანი და მისცეს სწორი მსვლელობა სახელმწიფოს საჭიროებას. მთავრობას გაუცნობიერებია ეს ჭეშმარიტება და ამიტომაც ცდილობდა და ცდილობს უკეთ მოაწყოს სოფლის ცხოვრება. უპირველესი საჭიროება მხვნელ-მთესველი ქვეყნისათვის იყო ფული სოფლის მეურნეობის საწარმოებლად, ურომლისოდ მშრომელს, მიწისმოქმედს ხელი მოეცარება და წყალ-წაღებულს დაემსგავსება. ასეთ ვითარებაში მიმართავდნენ ისინი "სოფლის წურბელებს" ფულის სასესხებლად:

> სოფლის წურბელასაც, ამ სულთამხუთავ ობობას, ამ დროს უთენდება აღდგომა და იწყებს მკას იქ საცა არა უთესია-რა. ამგვარად ებმება მევახშის კლანჭებში და ვერ ახერხებს მათგან თავის დახსნას, პირიქით დღითიდღე უფრო ვალიანდება. მამასისხლად აღებული სესხი იბარტყებს ხოლმე და მთელი ქონება მოვალისა გადადის წურბელას ხელში. ხშირად ისეც ხდება, რომ მთელი სოფელი, ყველა მისი მკვიდრი ყურმოჭრილად შეიქნება ხოლმე ამ გვარის წურბელასი.

ასეთ მდგომარეობაში აღმოჩენილა ავტორის სოფელიც. აღნიშნულ ვითარებას ასახავს ამავე წლის 127-ე ნომერში გამოქვეყნებული კორესპონდენცია კახეთიდან. თვით სახელმწიფოს სარგებლობა თხოულობდა ამ პრობლემის მოგვარებას. სოფლის საკეთილდღეოდ რუსეთს იაფი კრედიტი შემოუღია, რათა სამედუქნეოდ არ გახდენოდა საქმე მშრომელთა ფენას. დაარსდა სასოფლო ბანკები, დეპოები, დამხმარე ამხანაგობანი, საგლეხო და სათავადაზნაურო ბანკები, საიდანაც იაფი სარგებლით შეიძლებოდა ფულის შოვნა. მაგრამ როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ფრთები შეკვეცოდა მევახშეების

საქმიანობას. იუსტიციის სამინისტროს შეუმუშავებია სპეციალური კანონი თუ როგორ გაბათილდეს ამგვარი შეთანხმებები (# 142).

ამ პუბლიკაციით კარგად ჩანს *ივერიის* დამოკიდებულება სახელწმიფოსადმი. მიუხედავად ყველაფრისა, ეს დამოკიდებულება დადებითია, რადგან ეს ინსტიტუცია გარკვეულ გარანტიას მაინც წარმოადგენს გაჭირვებული მოსახლეებისათვის, რომ მან სრული ფინანსიური კრახი არ განიცადოს.

ფელეტონში *წერილი მეგობართან* (ძმაო ექვთიმე – ასეთი მიმართავით იწყება) მოცემულია ახალგაზრდობის კრიტიკა. ავტორი ხელს აწერს ფსევდონიმით "შენი ერთგული მამუკა". ის პესიმისტურად საუბრობს ქართველ ახალგაზრდებზე. შენიშნავს, რომ შეუძლებელია მათი შედარება ევროპელ თუ რუს ახალგაზრდებთან, რადგან ისინი მეტ უნარს იჩენენ თავიანთი ქვეყნის სამსახურისთვის: 'ყველა იმითი აფასებს თავის თავს და უცხო ერებიც იმის მიხედვით ადგენენ განაჩენს ერის სიავ-სიკეთეზე ჰყოლია ერს ისტორიული ადამიანები, შესანიშნავნი პოლიტიკის ან ისტორიის ასპარეზზე, თუ არაო'.

ჩვენ შეგვიძლია თამამად ვახსენოთ ჩვენი სახელოვანი წინაპრების სახელები. მაგრამ დღეს არა გვყავს ასეთი ადამიანები. ამის მიზეზად ასახელებს იმას, რომ ჩვენ საკუთარი ცხოვრება არ გვაქვს, საკუთარი ინტერესი ჩვენი ქვეყნისა ჩვენ არ გვაბარია. ევროპაში თვითონ საზოგადოება უწყობს ხელს ასეთი ადამიანების გამოჩენას. უმთავრესი მიზეზი მათი სიკეთისა ეროვნული აღზრდაა:

> საკუთარ ისტორიას სიყრმიდანვე სწავლობენ. საკუთარი ქვეყნის ინტერესი სიყრმიდანვე აწუხებთ. საკუთარის მამულიშვილების კეთილთა საქმეთა სიყრმიდანვე გულში ინერგავენ და თავისი ქვეყნის სიყვარულს გულში დღითიდღე იზრდიან ... ჩვენში-კი ნასწავლი, განათლებული კაცი, როცა პირს სიბერისკენ იზამს, მაშინ მოვა ხოლმე გონს, მაშინ-ღა მოაფიქრდება და გაოცებული ეკითხება თავს: სად ვიყავი აქამდის? რას ვაკეთებდი, რას ვგრძნობდი და რას ვფიქრობდიო?

ასეთი არასასიამოვნო მდგომარეობის გამოსასწორებლად დასახელებულია ახალი თაობის წესიერად აღზრდის აუცილებლობა, დედა-ენაზე სწავლება, სამშობლო ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა. ეს ეროვნული გრძნობის განმტკიცებასთან ერთად, ხელს უწყობს ადამიანის ხასიათის გაუმჯობესებასაც:

> ყველა ერს აქვს წარსული, აქვს საკუთარი ისტორიული იდეალი ანუ ისტორიული ანდერძი ... წარსულის დროის სიკეთე, ქველობა თუ გმირობა აღაფრთოვანებს, ასულდგმულებს აწმყო დროის ერს ... დაღუპულია ის ერი, რომელსაც ისტორია არა აქვს, რომელსაც ხატად წინ არ უდგას საკუთარის ისტორიის ანდერძი.

ეს წერილი წარმოადგენს ერთგვარ გაგრძელებას პოლემიკური წერილების სერიისა *აი ისტორია*. აი, რაგვარ მსჯელობას ვხდებით ერის არსის შესახებ:

> ცალკე კაცის სიცოცხლე მოკლეა, რაც უნდა ეცადო და გაახანგრძლივო, ას წელს მაინც ხომ ვერ გადააბიჯებს, მაგრამ ერის სიცოცხლე კი დაუსრულებელი სიცოცხლეა, თუ-კი კარგ ვითარებაშია, თუ-კი მოვლა აქვს, თუ-კი ერის მეთაურნი ცდილობენ აიცდინონ მომაკვდინებელი სენი და ჭირი. ღირსეული წარსულის ერი თუ კვდება აუცილებლად აწმყოს უვარგისობისა გამო უნდა მოკვდეს, უნდა მოუვლელობა და დაუდევრობა გახდეს იმის სიკვდილის მიზეზი ... რაც არ უნდა ვეცადოთ შეუძლებელია ვაცოცხლოთ ადამიანი, მაგრამ თუ ერს ერობა სურს უნდა იცოდეს, ეცადოს, იზრუნოს, გააცნობიეროს ის პირობანი, რომელიც ერს აცოცხლებს სამარადისოდ. დიახ, წარსული ცხოვრება არის ფაქტი და ამასთანავე მიზეზი, რომელსაც მოუტანია ნაყოფი აწმყოსათვის ... ეს ფაქტი ამასთან შეიცავს თავის არსებაში ზნეობრივს მიმზიდველს ძალას, როგორც განყენებული, დიადი ქმნილება, როგორც სალოცავი ხატი. ყოველ ადამიანს სიხარულის და სიამაყის გრძნობა ეუფლება, როდესაც თავისი დიდებული თანამემამულის საქმეებს მოაგონებენ. ეს დიდებული კაცები არიან მასულდგმულებელნი ყველა ერისა და სამარიდამაც კი ისევ სამსახურს უწევენ თავის ქვეყანას ... ეს დიდებულნი კაცნი, როგორც სიცოცხლის, ისე სიკვდილის დროს, დედაბოძად უდგანან ერსა და იმის თვით-არსებობას ... ჩვენი ახალგაზრდობა დაქვეითებულია და ამისი მიზეზი ისაა, რომ ჩვენები მოკლებულნი არიან ეროვნულს აღზრდას, არ არიან სიყრმიდგანვე ამ ისტორიულს ანდერძზე აღზრდილნი. იმათს გულსა და გონებას არ უვარჯიშნია საკუთარის ისტორიის ანდერძისა, მის მოღვაწეთა საქმეების შეგნება-შესწავლაში.

ავტორი აღნიშნავს, რომ პირველ დაწყებითი სკოლა უნდა აძლევდეს ასეთ განათლებას და უღვიძებდეს ისეთ გრძნობას, რომ შემდეგ ეს ცოდნა აზრად ქცეული დროშად დაიჭიროს. ვიდრე ნორჩია მანამდე უნდა განიმსჭვალოს ქვეყნის სიყვარულით. არაერთხელ

გვქონდა აღნიშნული, რომ ამ პერიოდის ქართველი ნაციონალისტების აზრით, ჩვენი სკოლები არ ასრულებდნენ ამგვარ დანიშნულებას, ვერ ზრდიდნენ ღირსეულ შვილებს. ამიტომ წერილში მთელი იმედი ოჯახისკენ არის მიმართული. პირველი აღზრდა ოჯახისგან იწყება და მას სკოლაზე მეტი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ავტორი ხსნას ვერც აქ ხედავს. იგი დაღონებულია ქართული ოჯახი გამო: 'ჩვენი ოჯახი დღეს დუქანს დამსგავსებია – შენიშნავს იგი გულისტკივილით – იმას მხოლოდ "ანგარიში", "ხეირი", უხეიროდ გაგებული, აღონებს და აწუხებს. მოვალეობა, მოქალაქობრივი გრძნობა ჩვარში გახვეული ნაგვისთვის გაუტანებია, შვილებს მხოლოდ იმიტომ ზრდის, რომ სამსახურში შევიდნენ, კაი ჯამაგირი მიიღონ'. ასევე მძიმედ გვიხატავს აღზრდისა და ოჯახის მდგომარეობას:

> ჩვენებს ვერ შეუგნიათ, რომ ოჯახია თავი და თავი საფუძველი, საძირკველი ერისა და სახელმწიფოს ყოფა-მდგომარეობისა. ვერ შეუგნიათ, რომ თუ ოჯახი წახდა, მაშინ სკოლაც წამხდარია, უძლური, ძალ-ღონე გამოლეული. გონივრულად მოწყობილ ოჯახს შეუძლიან ვნება სკოლისა გააბათილოს, მაგრამ სკოლა-კი უძლურია ამ მხრით, იგი ვერას უშველის ოჯახისაგან გაფუჭებულს ახალგაზრდობას (# 147).

ფელეტონში *საერთო წყლული და მუწუკი* (ავტორი ხელს აწერს ფსევდონიმით ორ-ანი – არტემ ახნაზაროვი) გამოთქმულია წუხილი ქართულ ერთობაში მოქალაქის არარსებობის გამო. ავტორი აღნიშნავს, რომ ყველა ფენა მრავლად არის: ვაჭარიც, მოხელეც, თავადიც, აზნაურიც, მაგრამ მოქალაქე არსად არ არის. საინტერესო ასოციაციურ ბმას ქმნის ილიას წუხილთან იმის შესახებ, რომ არიან ცალკეული კუთხის შვილები, წოდებები და ქართველი კი არსად არის:

> იქ კი სადაც მოქალაქე არ არის, საზოგადოებაც არაა, სადაც საზოგადოება არ არის იქ ერსაც ძირი გამოხრული და გამოჭმული აქვს ... ერის, კაცთა კრებულის მაჯის ცემა, სიცოცხლის სისუსტე და სიძლიერე იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რა ყოფაშია ამ ერის დაწესებულებანი.

ავტორი იუწყება, რომ ამ ყოფაშია ჟურნალ-გაზეთობა, თეატრი, ქართული საერო ხორო, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დრამატული საზოგადოება. თუ დავუკვირდებით, სამწუხარო ვითარებას შევნიშნავთ. ყოველივეს მიზეზად იგი ერთობის არქონას ასახელებს:

> დიაღ, ერთობის არ-ქონაა ჩვენი გამათახსირებელი, უგულობაა ან როგორ იგულებს ის გული, რომელიც ქართულ ტაფაზე არ არის გამომცხვარი, ქართულ ნანას ხმაზედ არ გამოზრდილა, და რომელსაც ქართული ენისა და ერის სიყვარული არა აქვს გარშემო ფარად შემოხვეული (# 149).

მომდევნო ნომრის ფელეტონში ავტორი თვალსაჩინოებისთვის მკითხველებს აცნობს მცირე ერის ცხოვრებას. თუ რა შეუძლია ერს, კაცთა კრებულს, როცა გული გულობს, რათა მკითხველი დარწმუნდეს თუ რა შეუძლია ერის სიყვარულს, სამშობლოსათვის გულის ტკივილს და ერთობას. საუბარია ჩეხებზე. თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მეთვრამეტე საუკუნეში: სლავები გაგერმანელდნენ, ჩეხური ენა განდევნილ იქნა, ყველაზე მეტი გადასახადი მათ დაუწესეს, სამხედრო ხარჯსაც ისინი უძღვებოდნენ, ანადგურებდნენ ჩეხურ ლიტერატურას:

> ცხორება შესდგა და ობ-მოკიდებული უძრავად იყო, უსიცოცხლოდ უკან და უკან მიდიოდა, ვიდრე წინ; მთელი ერი ისე მოიცარა, რომ სამშობლო ენა-კი თითო-ოროლას გარდა, დავიწყებული ჰქონდა; მცირე სლავიანთა ერი ჩეხია, იმისი ისტორია, მისი ენა და ლიტერატურა უშველებელმა ავსტრია-ვენგრიის სახელმწიფომ შთანთქა.

მხოლოდ კანტი-კუნტად თუ მოიძებნებოდა ეროვნების აყვავების მსურველთა წრე, რომელთაგანაც იმატა და ნელ-ნელა შესდგა მთელი საზოგადოება. გამოჩნდნენ მწერლები, პოეტები, დრამატურგები, რომელთა მხოლოდ თავისი ქვეყნის გამოფხიზლება ჰქონდათ აზრად. ამ მცირე კრებულს ერმა მხარი მისცა, ერი აჰყვა ორიოდე წინამძღოლს, თანაუგრძნო სულიერად და მატერიალურად. თანაგრძნობის წყალობით იმატა ჟურნალ-გაზეთების რაოდენობამ, რომელიც ესაძირკვლა ცხოვრების აღდგენის სურვილს. რამდენიმე კაცის მიერ დვრიტა დადებულ საქმეს ერი აღტაცებით შეხვდა. დაარსეს საერო მუზეუმი, სადაც თავი მოუყარეს ერის წარსული დიდების დროინდელ ნაშთებს. ასე გაძლიერდა ჩეხთა შორის სამშობლოს სიყვარული. საზოგადოება საზოგადოებაზე არსდებოდა. ვრცელდებოდა საერო საგალობლების ხორო. მასობრივად ეწერებოდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრად. ამ დიდი მონდომების წყალობით ყოველმა ჩეხმა 80-იანი წლების დასაწყისში სრულიად ჩეხი ერი მშობლიურ ენაზე საუბრობდა. ასეთი ერთობის წინაშე თვით ავსტრიის მთავრობის

სურვილმაც კი კისერი მოიხარა და იძულებული გახდა თანდათან დაჰყოლოდა მთელის ერის საერთო ღაღადს. 1871 წლის რესკრიპტით კი აღიარებულ იქმნა "ჩეხთა სახელმწიფო უფლება". 1880 წლის 4 აპრილს გამოვიდა ბრძანება, რომ სახელმწიფო მოხელეებმა სხვადასხვა დასთან მიწერ-მოწერის დროს ის ენა იხმარონ, რომლითაც ის დასი ლაპარაკობსო. შედეგად ერთიანად განიდევნა გერმანული ენა "სლავიანთა და ვენგრიელთა" მიერ დასახლებულ ადგილებიდან. შემდეგ მოითხოვეს პრაღის უნივერსიტეტში გერმანულ ენასთან ერთად ჩეხურ ენაზე სწავლება შემოეღოთ (# 150).

ივერიის მიერ აღწერილი ეს სურათი ზუსტად ემთხვევა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის შესახებ კლასიკურად მიჩნეულ თეორიულ ნაშრომს, რომელიც ეკუთვნის თანამედროვე ჩეხ მეცნიერს, ჩვენ მიერ გამოკვლევის თეორიულ ნაწილში უკვე მოხსენიებულ, მიროსლავ ჰროჩს.

წერილი *მოგზაურობა კახეთში* შეეხება საეკლესიო გალობის საქმეს საქართველოში. თავის მოგზაურობის დროს ყოვლად სამღვდელო ბესარიონი დარწმუნებულა, რომ კახეთში გამქრალა საეკლესიო გალობა, მთელ მაზრაში არ მოიძებნება იმგვარი ეკლესია, სადაც კვირა უქმეს წირვის საგალობელი ითქმოდეს. ავტორი იმ სამწუხარო მოვლენაზე მიუთითებს, რომ ერთობ გახშირებულა "ღოსპოდი-პომილუი" – ასე მისალმებიან სოფელ კონდოლში ყოვლად სამღვდელოს. 128-ე ნომერში დაბეჭდილი წერილიც კასპიდან ამგვარ ფაქტს ადასტურებს.

ავტორის აზრით, გალობისადმი და მშობლიური ენისადმი ასეთი დამოკიდებულება აიხსნება ქართლ-კახეთის სამღვდელოების უკიდურესი დაცემით. ჩვენი სამღვდელოება, რომელსაც წარსულში ხელთ ეპყრა ჯვართან ერთად დროშა ეროვნების კეთილდღეობისა და რომელიც ყოველს გასაჭირში თავგანწირულად და ძლევამოსილობით უძღოდა წინ თავის ერს და ხშირად მისი წარმომადგენელნი გვირგვინს წამებისას და წმინდა მოწამისასაც დაიდგამდნენ ხოლმე ენისა და ერის გულისათვის, დღეს ისე დაძაბუნდა და მოეშვა სულითა და ხორცით, რომ გულგრილად შესცქერის და ხმასაც არ იღებს იმისთანა უკუღმართი გარემოების წინააღმდეგ როგორიც არის ხალხის ენის და გალობის გაქრობა! – "რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო", "გაჰქრა ენა, გაჰქრა ერიც".

ავტორი შეახსენებს სამღვდლოებას, რომ მათ ევალებათ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა და მათი სასიკეთო გზაზე დაყენება. წერილში იმედია გამოთქმული, რომ ყოვლად სამღვდელო ბესარიონის მოგზაურობა სასურველ შედეგს გამოიღებს და უღირსნი ტაძრიდან განიდევნებიან (# 160).

186-ე ნომრის *მეთაურ წერილში* (ავტორი ა. ფრონელი – ალექსანდრე ყიფშიძე) გამოთქმულია შენიშვნა კორესპონდენციების ერთფეროვნების თაობაზე, რომ უყურადღებოდ არის მიტოვებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა, მაგალითად, გლეხის ეკონომიკური მდგომარეობა და მემამულისა და მხვნელ-მთესველის დამოკიდებულება. ამიოს აღწერა უნდა შეადგენდეს ჩვენი ყოფა-ცხოვრების მეთვალყურის შესწავლის უმთავრეს საგანს. გამოქვეყნებული კორესპონდენცია არ უნდა შემოიფარგლებოდეს მარტოოდენ გეოგრაფიული მანძილებიკს, საზღვრების, მოსავლის ავ-კარგის, დარისა და ავდრის აღწერით და მხოლოდ ამაზე არ უნდა ამყარებდეს საზოგადო სარგებლობას. მოწერილი ამბების ერთგვაროვნებისა და უფერულობის მიზეზად იგი რედაქციას ასახელებს: აღნიშნავს, რომ პროვინციელი მეთვალყურესათვის ძნელია, შეეხოს ისეთ ამბებს, რომელსაც თვით რედაქცია ან სულ არ აქცევს ყურადღებას, ან არა და ძალიან ნაკლებად შეეხება. ამიტომაც კორესპონდენციაც, შესაბამისად, რედაქციის მიმართულებას მისდევს.

ივერიის კორესპონდენციების მისამართით გაკეთებულ აღნიშნულ შენიშვნაზე გამოხმაურებას ვხვდებით 217-ე ნომრის ფელეტონში წერილით *ხმა პროვინციელისა* (*წერილი რედაქციის მიმართ*). ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ *ივერია* არ ზღუდავდა საწინააღმდეგო აზრის გამოქვეყნებას, რადგანაც მიიჩნევდა, რომ ეს დიდად შეუწყობდა ხელს საზოგადო საქმიანობას. ერთ-ერთი ასეთ პუბლიკაციას წარმოადგენს პ. გ-ძე-ს ინიციალით გამოქვეყნებული წერილი.

ავტორი მიუთითებს, რომ ყურადღებით ათვალიერებდა უკანასკნელი წლების კორესპონდენციებს და არ შეხვედრია ფრონელის მიერ წამოყენებული საკითხების განხილვას. ასეთი მოწოდება რომ გაეკეთებინა რედაქციას, ის აუცილებლად ჰპოვებდა გამოხმაურებას. ამის მაგალითი გვქონდა. სახალხო ნიმუშების შეკრებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა (# 217).

კორესპონდენცია ნათელი დადასტურება იმისა, რომ რედაქცია არ ზღუდავდა თავისუფალ სიტყვას. ავტორს მხედველობის მიღმა დარჩა ის გარემოება, რომ ორი პუბლიკაცია ერთი და იმავე საკითხის თაობაზე რედაქციის ერთგვარი მოწოდებაა ყურადღება გაამახვილონ დასმული პრობლემის გადაჭრაზე.

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ საკითხები, რომლებზე მსჯელობის გამართვას სთხოვს ფრონელი რედაქციას, უცხო არ იყო გაზეთისათვის. გაზეთი ძირითადად მოსახლეობის მდგომარეობის ასახვაზე იყო ორიენტირებული. მაგ. ამავე ნომრის რუბრიკა *დაბა და სოფელი* შეეხება სოფელ კასპში არსებულ პრობლემებს, კონკრეტულად, წყლის პრობლემას. აღნიშნული კორესპონდენციების გამოქვეყნების მიზანი კი შემდეგი იყო: საზოგადოებისთვის მიენდო განსასჯელად თუ რამდენად სამართლიანია კრიტიკა *ივერიის* მიმართ.

როგორც ითქვა, "დიდი გარდაცვლილები" მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ ერის კონცეპტუალიზაციის პროცესში. შესაბამისად, *ივერია* საგანგებო ყურადღებას უთმობს გამოჩენილი მოღვაწეების გარდაცვალების ფაქტებს: მათი გარდაცვალების გარემოების აღწერას, საზოგადოების დამოკიდებულებას, დაკრძალვის ცერემონიებს. ამჯერად, *ივერიის* ყურადღების ცენტრშია ქართული თეატრის ამაგდარის დ. ერისთავის გარდაცვალება. გაზეთი თბილ სიტყვებს არ იშურებს მისთვის. ამბობს, რომ დ. ერისთავი

> გამუდმებით სცდილობდა, აეგო ის წმინდა ტაძარი, საცა იცინიან კიდეც და სტირიან კიდეც, მხოლოდ იმიტომ, რომ განიწმინდონ ავისა და ბიწისაგან, საცა ორივ ცრემლი, სიხარულისაცა და მწუხარებისაც, უკვდავების წმინდა წყაროდამ მომდინარეობს ჩვენდა გასაადამიანებლად, ჩვენდა გასაკეთილშობილებლად ... მისმა *სამშობლომ* არა თუ თეატრი დააყენა ცოტად თუ ბევრად ფეხზედ, არამედ თვით საზოგადოებაც გამოაფხიზლა და რამდენისამე საფეხურით მაღლა ასწია მისი ეროვნული ცნობიერება, მისი გრძნობა მამულისმოყვარეობისა.

ივერიის მითითებით, ვისაც უნახავს ამ პიესის პირველი წარმოდგენები ან ტფილისში ან ქუთაისში და ყოფილა მოწმე მის მიერ გამოწვეული მამულიშვილური აღფრთოვანების, ყველა გულითა და სულით გლოვობდა დ. ერისთავის გარდაცვალებას (# 219).

კორესპონდენცია *რამე-რუმე სხვათა შორის* (*წერილი მეგობართან*), რომელიც გამოგზავნილია მოსკოვიდან, ხელმოწერილია როგორც "შენი ძმა გრიგოლი". აქ საუბარია 60-იანელებისა და მომდევნო თაობის ღირსება-ნაკლოვანებებზე. ავტორი აღნიშნავს, რომ 'ეხლანდელი ჩვენი თაობა არაფრით არ ჩამოუვარდება მესამოცე წლების ეგრეთ-წოდებულ *თერგ-დალეულებს*'. იგი ჭეშმარიტებად მიიჩნევს აზრს, რომ ყველა ის ნაკლულოვანება, რომელსაც მიაწერენ ხოლმე ახალ თაობას, არის ახალი დროისა და აწინდელის ვითარების მიზეზით და სრულიადაც არ არის შედეგი მთელი თაობის უვარგისობისა ან ცალკეული მისი წარმომადგენლის უბადრუკობის. ნაკლულოვანებათა მიზეზი ცოტა მისი აღმზრდელიც არის, ე.ი. ძველი თაობა (# 219).

1891 წელი

რედაქტორ-გამომცემელია ილია ჭავჭავაძე. გამოდის იმავე ფორმატით როგორც წინა წელს.

რუბრიკაში *დაბა და სოფელი* წარმოდგენილი ინფორმაცია შეეხება თელავში, სოფელ ხოდაშენში ბერძენი არქიმანდრიტის ევგენიოსის მკვლელობას. ევგენიოსი გამოგზავნილი იყო ათონის ბერძენ-ბერებისაგან ყმა-მამულების გამგე-მოურავად. აქვე ახსნილია ის ფაქტი, თუ როგორ აღმოჩნდნენ ბერძენი ბერები ათონის მონასტრისთვის ბოძებული მამულების გამგე-მოურავებად საქართველოში. მოკლე ისტორია ასეთია: მეათე-მეთერთმეტე საუკუნეში ქართველებმა ათონის მთაზე ააგეს მონასტერი, რომელიც სწავლა-განათლების და მწიგნობრობის კერას წარმოადგენდა. აქ იგზავნებოდნენ ქართველი ყმაწვილები აღსაზრდელად. საქართველოს მეფეები დიდძალ ყმასა და მამულს სწირავდნენ, რათა ათონის მონასტერში მყოფი ქართველი ბერები და მოზარდი თაობა უზრუნველყოფილიყო. ათონის მონასტრის შესაწირავი მოფანტული იყო საქართველოს ყოველ კუთხეში: ქართლში, კახეთსა და იმერეთში. მაგრამ, როცა საქართველოს ბედი უკუღმა დატრიალდა და დამოუკიდებლობა შეირყა, შესუსტდა ქართველების მდგომარეობა ათონის მონასტერშიც. დრო იხელთეს ბერძენმა ბერებმა შეესივნენ ქართველ ბერებს, ძალით გამორეკეს ისინი და დაისაკუთრეს ათონის ქართველთა მონასტერი. როცა რუსეთის მთავრობამ თავისი კანონმდებლობა შემოიტანა საქართველოში, ათონის ბერძენმა

ბერებმა გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები საქართველოს მეფეთა სიგელ-გუჯრებით და დაეპატრონნენ მონასტრის მამულებს. ათონში ძალმომრეობით წართმეული მონასტრის ისევ ქართველებისათვის დასაბრუნებლად ბერძნებისთვის დავა გაუმართავს ათონში მყოფმა მამა ბენედიქტე ბარკალაიამ. მაგრამ მამა ბენედიქტე ბარკალაია დაიქანცა მარტო ბრძოლით. მას დახმარებისთვის მიუმართავს ქართველი თავადაზნაურებისათვის. თუმცა ამაოდ. აი ამ, საქართველოს მიერ შეწირულ, მამულ-დედულში ჰყავდათ ბერძნებს თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნილი. ერთ-ერთი გახლდათ თელავის მაზრის მამულების გამგე არქიმანდრიტი ევგენიოსი. არქიმანდრიტის მკვლელობის გამო დაუპატიმრებიათ სამი პირი – ორი ბერძენი (ერთი არქიმანდრიტი ნოფონი, რომელიც ევგენიოსის გამოსაცვლელად ყოფილა გამოგზავნილი და მეორე ნიფონის მხლებელი) და ერთი ზემო ხოდაშენშივე მცხოვრები გლეხი სოლომონ ებიტაშვილი, რომელიც მოკლულ ევგენიოსთან მოჯამაგირედ მდგარა (# 3).

ეს კორესპონდენცია საინტერესოა "სხვებთან" მიმართების თვალსაზრისით, ამჯერად ბერძნების მაგალითზე. აქ კიდევ ერთხელ დასტურდება მოწოდება ქართველი თავადაზნაურებისადმი არ იყვნენ ინდიფერენტულნი საზოგადო საქმისადმი.

საბიბლიოგრაფიო შენიშვნაში საუბარია 1864 წელს ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების მიერ თბილისში დაბეჭდილი *ლუმწუ ანბანის* (სვანური ანბანის) შესახებ. სვანური ანბანი პ. უსლარის ნაშრომის *კავკასიის ეთნოგრაფიის* წინასიტყვაობის მიხედვით, შეუდგენია ბართოლომეის, ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების მინდობილობით. აღნიშნულ საზოგადოებას განზრახული ჰქონია *ლუმწუ ანბანი* სახელმძღვანელოდ გაეხადა სამრევლო სკოლებში, რომელთა გამართვასაც აპირებდა სვანეთში. მაშინ ეს სკოლები არ დაარსებულა. მხოლოდ მოგვიანებით გადაწყდება სკოლების გამართვის საკითხი. ამიტომაც აუცილებლად მიაჩნია ავტორს ამ სახელმძღვანელოს ღირსება-ნაკლოვანებაზე საუბარი, რადგან ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას, შესაძლოა, განეზრახა სვანური ანბანის სწავლება. სახელმძღვანელოს ნახევარი უჭირავს "სვანურ ალფაბეტას", რომელსაც საფუძვლად უდევს რუსული ასოები. იმ 13 ასოს ასახსნელად, რომელნიც რუსულში არ მოპოვებოდა სვანური

ხმების გამოსახატავად უსლარს ქართული გამოუყენებია, რაც ასე განუმარტავს: ესა და ეს "გასვანებული" რუსული ასო უდრის ქართულს.

სახელმძღვანელოს უმთავრეს ნაკლად მითითებულია ის ფაქტი, რომ სვანურად თარგმნილი ლოცვები და საღვთო ისტორია არ ეთანხმება დედანს, ერთობ დამახინჯებულია. სწავლების ასეთი მეთოდის შემოღება უთუოდ არსასიამოვნო შედეგს მოგვცემს. სვანეთში ისედაც შესუსტებული ყოფილა ქრისტიანობა და დამახინჯებულად თარგმნილი ლოცვების სწავლება თვალსაჩინოდ შეაფერხებდა ქრისტიანობას, ამით კი წინააღმდეგობაში მოექცეოდა საზოგადოება იმ მაღალ დედააზრთან, რომელიც უნდა განეხორციელებინა მას (# 6).

როგორც ვხედავთ, *ივერია* საქმეს ისე წარმოგვიდგენს თითქოს მის ერთადერთ საზრუნავს, ის შეადგენს, რომ ამგვარი სახელმძრვანელოს მიზეზით სვანეთში რწმენის საკითხი დაზარალდება. აშკარად საგანგებოდ არა აქცენტირებულია ის პრობლემები, რომელნიც აღნიშნული წამოწყებით შეექმნებოდა ქართულ ენას.

ფელეტონის რუბრიკაში გამოქვეყნებული მ. ჯანაშვილი წერილი *მცირე შენიშვნა* მკითხველს სასიხარულო ინფორმაციას აწვდის *მოქცევაჲ ქართლისაჲს* აღმოჩენის შესახებ. ამ ძეგლის აღმოჩენამ გაფანტა აზრი საქართველოს ისტორიის უძველესი წყაროების არარსებობის შესახებ. ავტორი ყურადღებას ამახვილებს თხზულების მონაცემებზე ქართველთა წარმომავლობის შესახებ. იშველიებს რა ძველი ბერძენი და სომეხი ისტორიკოსების, ევროპელი მკვლევრების შეხედულებებს, გვთავაზობს ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ საინტერესო ვერსიებს. ცდილობს გაარკვიოს ემთხვევა თუ არა ქართველთა უძველესი საზღვრები თანამედროვე საქართველოს საზღვრებს. ასკვნის, რომ ქართველთა ტერიტორია უძველეს პერიოდში გაცილებით ფართო არეალს მოიცავდა. ეს საკითხი მჭიდროდ გადაჯაჭვულია სომეხთა განსახლების საზღვრების დადგენასთან. ავტორი განიხილავს სახელწოდებებს "არიან-ქართლი", "სომხითი", "ჰაიასტანი" და ცდილობს გაარკვიოს იქ მცხოვრებთა ეთნიკური კუთვნილება. მიუთითებს, რომ ჰაოსიანთა ისტორიკოსები შეცდომით მიიჩნევენ ალბანიას, გარდაბანს, გუგარკს და ისპირ-ტაოს ჰაიასტანის ნაწილებად. ეს ნაწილები ძველი არმენიის ნაწილებად ითვლებოდა. არმენია კი, ლენორმანის თვალსაზრისით, ქართველებით ყოფილა დასახლებული, რაც დასტურდება ადგილობრივი ქართული

გეოგრაფიული სახელებით. არა მარტო გეოგრაფიული სახელები, არამედ დ. ბაქრაძის მოწმობით, 'თვით იმ ადგილების ტაძარნი და ძველნი ძეგლნი ქართულის ზედ-წარწერით გვხვდებიან და დღესაც ბინადარი ერის უმეტესობა ქართულს ენაზე ლაპარაკობს'. ავტორის აზრით, 'რაკი "ხელმწიფება არმენიაში" მოიშალა და ბადლად "არმაზი გახელმწიფდა", ჰაოსიანთა "ხარკს" მოსახლე მოდგმამ მას შემდეგ შეიერთა არმენიაში უპატრონოდ დარჩენილი ქართველთა ერის ნაშთი და "სამარიტელთა" მაგვარად შეელია მას და შეილია იგი'. ეს აზრი ემთხვევა ბერძენი ისტორიკოსების (სტრაბონი და სხვ.) აზრს, რომ სომხეთი ადრე მცირე პროვინციას იყო და შემდეგში განივრცო იბერიის, ხალიბებისა და სხვათა პროვინციების დაპყრობით:

> და რადგან ჰაოსიანი, როგორც ერი ქართველთაგან შელეულ ძველ არმენთა მემკვიდრედ შეიქმნა არარატ-მასისის მიდამოებში, ამიტომაც ამ ჰაოსიანთა ისტორიკოსებმა ყოველნი ძველნი გადმოცემანი არმენთა და მათი ისტორიაცა და პროვინციებიც ახალ ჰაიასტანს მიაჩემეს და მიაწერეს.

ამგვარი აღრევა შეხებია აგრეთვე საქართველოს მდინარეებს მტკვარს, ღალისის, ჭოროხს, რომელთაც სომეხი ისტორიკოსები ჰაიასტანის მდინარეებად მიიჩნევენ. ამ აზრს ეთანხმება ქართული საისტორიო წყარო *ქართლის ცხოვრება*.

აქვე მოჰყავს *მოქცევაჲ ქართლისაჲს* მონაცემებიც და გვთავაზობს არიან-ქართლის ლოკალიზაციას. მისი თვალსაზრისით, "არანი" ანუ "რანი" საქართველოს აღმოსავლეთი მხარეა:

> ძველი დროიდგანვე ნაციონალური მისიის მტვირთველი ერი არანს გადმოსახლებული მთავარი ერი, აზონის შემწეობით, იპყრობს უფრო შეუვალ და მაგარ მცხეთას და აწესებს მას დედა ქალაქად, საიდანაც აზოს შემდეგ მეფეთა ხელმწიფობა ვრცელდება მთელს საქართველოზედ ტრაპიზონიდან ვიდრე გურგანის ზღვამდე (## 7, 13).

ეს წერილი ნათელი ილუსტრაციაა იმისა თუ როგორ იქმნება ქართული ნაციონალური ისტორიული მახსოვრობა, ისტორიოგრაფიული ნარატივის "სამშენებლო ბლოკები".

თვითმოქმედი ქართული საზოგადოების ჩამოყალიბების თვალსაზრისით ყურადღება მიიპყრო განცხადებამ, რომელიც საზოგადოებას ატყობინებდა საქველმოქმედო წარმოდგენის გამართვის

თაობაზე ღარიბთა ღამის გასათევის ასაშენებლად დაარსებული ფონდის სასარგებლოდ (# 23).

30-ე ნომერში რუბრიკაში *დაბა და სოფელი* მკითხველს მიეწოდება ინფორმაცია გურიაში სამრევლო სკოლების მომრავლების შესახებ. ამ დროისათვის ოცდახუთამდე სამრევლო სკოლა ითვლებოდა. ამასთან, კორესპონდენტის მითითებით (ავტორი ხელს აწერს ფსევდონიმით ლანჩხუთელი), თუ გავითვალისწინებთ საერო სკოლების და მცხოვრებლების რაოდენობას, თვალსაჩინო ხდება რამდენად ძლიერია სწავლა-განათლების სურვილი გურიაში. მაგრამ როგორც წერილიდან ჩანს, ეს სკოლები შესაფერის განათლებას არ იძლეოდნენ. მაგალითისათვის აღებულია ოზურგეთის სასულიერო სემინარია, რომლის კურსდამთავრებულები, ავტორის შენიშვნით, ვერ ახერხებდნენ სწავლის გაგრძელებას და იძულებულნი ხდებოდნენ სოფელში დაბრუნებულიყვნენ, თუმცა შრომას გადაჩვეულებს ეს არ ეპიტნავებოდათ. ისევ სასულიერო უწყებაში სამსახურს არჩევდნენ. თუმცა უცებ მღვდლობასაც ვინ მისცემდა, ასევე ძნელი იყო რაიმე სამოქალაქო სამსახურში მუშაობის დაწყება, რადგან საამისო მომზადება არ გააჩნდათ. ერთადერთი გზა რასაც მარტივად ახერხებდნენ, ავტორის შენიშვნით, ეს არის სამრევლო სკოლების დაარსება: 'ამისათვის ბევრი ფიქრი და სჯა არ არის საჭირო, ოღონდ ერთი "სერთუკი" იშოვეთ, ორიოდე წიგნი ხელში დაიჭირეთ და სოფელში გამოაცხადეთ, სკოლა დავაარსეთ-თქო და ეს სკოლა სამრევლო სკოლის სახელით მონათლეთ, მორჩა და გათავდა'.

ამის შედეგი იყო ის, რომ შესაფერის განათლებას არ იძლეოდა სკოლა. მასწავლებლები, რომლებიც თავად ვერ იყვნენ განსწავლულნი და ცხოვრების იოლად მოწყობის მიზნით მიმართავდნენ ამ ხერხს, ასეთი მასწავლებლები განათლების საკითხისა და სკოლის ავკარგიანობაზე ზრუნვისაგან შორს იდგნენ. სკოლების გახსნის საკითხში გამოვლენილმა ამგვარმა მიმართულებამ დიდად იმოქმედა სწავლა-განათლების ხარისხზე. ასეთ არასასურველ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სამრევლო სკოლები. სკოლების ამგვარი მიმართულების შეცვლა მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. ავტორი ამ კუთხით გადადგმულ პირველ ნაბიჯებზეც საუბრობს და იმედოვნებს, რომ სამრევლო სკოლები თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას დაიბრუნებენ. მცოდნე პირთ მოუკიდნიათ ხელი სკოლების დაარსებისათვის და მის

მკვიდრ ნიადაგზე დაყენებისათვის, რომელთაც მიზნად დაუსახავთ, ერთი მხრივ, შესაფერის განათლების მიცემა ახალგაზრდებისთვის, მეორე მხრივ, სოფელს დაუბრუნონ განათლებული ახალგაზრდობა, რომლებიც გაურბოდნენ სოფელს. ასეთი სკოლა დაუარსებიათ სოფელ სურებში. აქ ოთხი წლის წინ თუ წერილის კითხვასაც ვერ ახერხებდა ვერავინ, ახლა ყველას კარგად სცოდნია ქართულად წერა-კითხვა.

კორესპონდენცია უმთავრეს მიზანს, როგორც ირკვევა, წარმოადგენს თანაგრძნობა და მხარდაჭერა მოუპოვოს ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის წინსვლას და ეს მაგალითი ნიმუშად აქციოს იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც სოფელს გაურბიან და ქალაქებში მიისწრაფვიან. სოფლები კი ამ დროს ძალიან საჭიროებდნენ განათლებულ პირებს, რომლებსაც უნდა გამოედევნათ სკოლებიდან უვიცი მასწავლებლები, რათა სწავლა-განათლების საქმეს წარმატება მოეპოვებინა (# 30).

სოფელში გავრცელებულ ცრუმორწმუნოებასა და სწავლა-განათლების საკითხებს ასახავს 32-ე ნომრის მოთხრობაც *სურათი გურული გლეხის ცხოვრებიდან*. აქ ნაჩვენებია გლეხის დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი. ხშირ შემთხვევაში სიღარიბის გამო გლეხის შვილები ვერ ახერხებდნენ სწავლის გაგრძელებას. ამის მაგალითს წარმოადგენდა კორესპონდენციის მთავარი პერსონაჟის ესიკას შვილი, რომელიც კარგად სწავლობდა, მაგრამ უსახსრობის გამო სწავლას ვერ აგრძელებდა. საზოგადოდ ესიკა სწავლის წინააღმდეგი ყოფილა: 'საჭირო არ არის გლეხმა დიდი სწავლა-განათლება მიიღოსო და გადასაყარიც რომ მისცა ფულები, მაინც არ შეიყვანს ბესოიას ღემლაზიაში, ერთი-ორ კლასს მაინც გავათავებიებდე "გოროდის" კლასში ეს-კი ურიგო არ იქნებაო' – ფიქრობდა ესიკა. ამასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს: 'თუ აუსრულდა ნატვრა და ერთი ორი კლასი მაინც გაათავა მისმა ბესოიამ, მერე რაღა უჭირს ესიკას?! ... დადგება ბესოია სოფლის მწერლად და ერთი კალმის მოსობაში ხომ მრგვალ-მრგვალ აბაზიანებს აჰკრავს'.

სოფელში ძალიან გავრცელებული ყოფილა ცრუ-მორწმუნოება. სხვადასხვანაირი შელოცვა სცოდნიათ სოფელში. ძროხის დაკარგვის შემთხვევაში ნადირის პირის შესაკრავს შეულოცავდნენ თურმე. ბესოიამ ბებიას "უჩიტლის" ნათქვამი უთხრა 'სოფელში რომ სხვა-და-სხვა ნაირი შელოცვა იციან სულ ტყუილიაო'. თქვენ რომ აქ მაკრატელზე ილოცოთ, არ მესმის, ნადირს პირი როგორ უნდა შეეკრას?! ამაზე ბებია

პასუხობს: ‘რა იცის ბებია “უჩიტელმა”. ის რუსულად გამოზრდილი კაცია და ჩვენებური ადათი საიდან ეცოდინება. მე ეს გამოცდილებით ვიცი, ვინ იცის რამდენი სული საქონელი გადამირჩენია მგლის ბასრი კბილებისგან’.

საბოლოოდ გლეხის ოჯახი ავდრის მსხვერპლი ხდება. მეხი დაეცემა ქოხთან მდგომ მუხას, რომლის გადმონახეთქს ქვეშ მოჰყვება ქოხი. წერილი მაგალითია იმისა, თუ რამდენად იყო გავრცელებული ჩვენში, რაც მასობრივი გაუნათლებლობის შედეგი იყო (# 32).

გრძელდება მსჯელობა ქუთაისში თეატრის აშენების საკითხზე, საამისოდ საჭირო თანხის მოძიების გზებზე. გაზეთის ფურცლებზე ერთ-ერთ ასეთ გზად დასახელებულია ქართველი ქალების მონდომება და აქტიური ჩართვა ამ საქმეში. 66-ე ნომერში კორესპონდენტი კ. მესხი [74] მიმართავს ქალებს, რომ არ დაიშურონ თავიანთი მონდომება და გაისარჯონ სახსრების მოძიებისთვის.

მომდევნო ნომერში ამ მიმართვას კრიტიკულად განიხილავს “ვინმე ქალი” თავის წერილში *პასუხად ბ-ნ კ. მესხს*, რომელიც საერთოდ ქალების სახელით გამოთქვამს წყენას იმის თაობაზე, რომ ქალებს ასეთი ფორმით თხოვს თანხების მოძიებას: ‘რა შუაშია იქ ქალის სილამაზე, სადაც საზოგადო სასარგებლო საქმიანობაზეა ლაპარაკი’. ავტორი აღნიშნავს, რომ ბ-ნი კ. მესხი თავად გამოჩენილი მსახიობი ბრძანდება და ერთი საქველმოქმედო წარმოდგენაც კი არ გაუმართავს და ვინც თავად არ ყოფილა ქველმოქმედი, მას არც ქველმოქმედებაზე საუბრის უფლება აქვს.

წერილში საუბარია იმაზე, რომ ყველამ ერთად უნდა მოინდომოს ამ საზოგადო საქმისთვის ხელშეწყობა, უნდა გაიმართოს საქველმოქმედო წარმოდგენები და ღონისძიებები და ქალებთან ერთად ყველა ჩაერთოს ამ საშვილიშვილო საქმეში (# 67).

სათავადაზნაურო სკოლის გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ არაერთხელ იყო აღნიშნული *ივერიაში*. ქვეყნის კეთილდღეობაზე გულშემატკივარნი მსჯელობდნენ რთული მდგომარეობიდან გამოსავლის გზებზე. 113-ე ნომერში ქვეყნდება ი. გოგებაშვილის სიტყვა, წარმოთქმული სათავადაზნაურო საზოგადოების კრებაზე.

[74] კოტე მესხი, როგორც ცნობილია, იყო ქართველი მსახიობი და რეჟისორი. მან 1885 წელს ქუთაისში პროფესიული თეატრი დააარსა.

თბილისის გუბერნიის სასწავლებლები ძირითადად ქართველთა ფულით ინახებოდა, თუმცა ამ სასწავლებლებში სხვადასხვა ხალხის შვილები სწავლობდნენ, რომელთა შორის მცირე რაოდენობით იყო ქართველი ახალგაზრდობა. ამასთან ეს სასწავლებლები დაშორებული იყვნენ ყოველგვარ ეროვნულ ძალას, იმდენად გაწყვეტილი ჰქონიათ კავშირი სამშობლოს წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან, რომ მისი მოსწავლეები ხეირიანი წერა-კითხვის ცოდნასაც კი მოკლებულნი ყოფილან. ი. გოგებაშვილის სიმპათია არსებული ორი გვარის საშუალო სასწავლებლებიდან რეალურისკენ იხრებოდა, ვინაიდან ეს სისტემა მოსწავლეებს სამეურნეო ცოდნის სძენდა. იგი მიუთითებდა, რომ 'ამ ცოდნას უპირველესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რადგანაც მთელი საქართველო წარმოადგენს ერთ დიდ სოფელს, რომელიც მეურნეობით სცხოვრობდა, სცხოვრობს და იცხოვრებს'. ამიტომაც მოუწოდებს შეკრებილ საზოგადოებას ყველაფერი იღონონ საიმისოდ, რომ ამ კეთილ საქმეს შეუწყონ ხელი (# 113).

გ. მაიაშვილის (ზდანევიჩი) წერილის *ჩვენი დედაკაცები და ახალი დრო* მიზანია გამოერკვია 'ის საზოგადოებური და საეკონომიო ვითარება ახალი დროებისა, რომელმაც შეარყია წინანდელი მდგომარეობა დედაკაცისა'. ავტორი საუბრობს ქართველი ქალების გაუნათლებლობის შესახებ. იგი ამ ფაქტს ასახელებს მიზეზად იმისა, რომ მათ არ შესწევს უნარი იტვირთონ ის საზოგაროებრივი და ოჯახური მოვალეობანი, რომელთაც ცხოვრება აკისრებს (# 130).

მომდევნო წერილში გ. ზდანევიჩი განიხილავს ქორწინების საკითხს. იგი მოიხმობს ევროპის წარმატებული ქვეყნების მაგალითს, სადაც გასათხოვარი ქალების რიცხვი უფრო და უფრო მატულობდა, რაც საყოველთაო საეკონომიო გაჭირვების შედეგი ყოფილა ევროპელთა თვალსაზრისით, ე.ი. ეკონომიკური ვითარების გამო ეძნელებოდა მამაკაცს ოჯახის მოკიდება. ავტორი შენიშნავს, რომ ამ საქმეში შესაძლოა არა მცირედი მნიშვნელობა ჰქონდეს, სტატისტიკურ მონაცემებსაც, რომლებიც ყველა ქვეყანაში მოწმობენ დედაკაცების ცოტაოდენ მეტობას. მისი აზრით, ქორწინებათა შემცირება აიხსნება არა მარტო იმ მიზეზით, რომ ცხოვრება გაჭირდა და შეუძლებლობა ეღობება წინ ცოლ-ქმრობას, არამედ მრავალგვარი ისტორიული ვითარების წყალობით დიდი განსხვავება ჩამოვარდა ამჟამად მამაკაცსა და დედაკაცს შორის (# 140).

გ. ზდანევიჩის აზრით, ჩვენი ცხოვრების წინანდელმა და დღევანდელმა სოციალურმა ცვალებადობამ დაარღვია წინანდელი აგებულება ცხოვრებისა, რამაც განაპირობა სხვა ცვლილებებთან ერთად, დედაკაცის ცხოვრების ცვლილება. ქვეყნის საეკონომიო ცხოვრებაში, ქონებისა და დოვლათის წარმოებაში დედაკაცი დღეს მწარმოებელი კი არ არის, როგორც ეს ადრე იყო, არამედ მომხმარებელია, მფლანგავია იმ სიკეთისა, რომელიც არც მისი მოპოვებულია და არც მისი ხელით არის შეძენილი. დედაკაცები მოუმზადებელი აღმოჩნდნენ ახალი ცხოვრებისთვის. დედაკაცის ამ ჭაობიდან ამოსასვლელად საჭიროა შესაბამისი ცოდნა-განათლების მიღება (# 142).

ქართველი ინტელიგენცია დიდ მნიშვნელობას აქცევდა რუსულის, როგორც სახელმწიფო ენის, შესწავლას. სწავლების მეთოდიკა სპეციალური განხილვის საგანი იყო. რუსულის სწავლებას დედა ენა არ უნდა დაემცრო. პირიქით, მისი ცოდნა უნდა გაეღრმავებინა უცხო ენასთან შედარებას. ამგვარი მასალის ერთ-ერთ ნიმუშად გვესახება კრიტიკული წერილი *ჰედაგოგიური საკვირველება ანუ Курсъ русскаго языка для грузинскихъ начальнихъ школъ, годъ первий, составилъ Ф. Левитский* (ავტორი ი. გოგებაშვილი). აქ საუბარია აღნიშნული წიგნის ღირსება-ნაკლოვანებებზე. ეს კურსი ორი წლის წინად წარუდგენია ავტორს ადგილობრივი მთავრობისათვის განსახილველად, გასინჯვის შემდგომ წიგნი დაუწუნებია ადგილობრივ მთავრობას და მრავალი შენიშვნებით დაუბრუნებია შემდგენლისათვის. მაგრამ მცირეოდენი შესწორებების შემდეგ, წიგნის უბრალო დამხმარე სახელძღვანელოდ დაბეჭდვის ნება დაურთავს მთავრობას. რეცენზენტი განიხილავს სახელმძღვანელოს მიხედვით გათვალისწინებულ ენის სწავლების მეთოდს, მის მართებულობას. ერთ-ერთი მეთოდი, რომელზეც იგი ამახვილებს ყურადღებას, არის "წერა-კითხვის" მეთოდით ენის სწავლება. ამ მეთოდით სწავლების არამართებულობაზე მას ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის წინ გამოუთქვამს თვალსაზრისი და "კითხვა-წერის" მეთოდით სწავლება დაუსახელებია მისაღებ მეთოდად, რაც როგორც წერილიდან ჩანს, სხვა სახელმძღვანელოს ავტორს – ბუნაკოვს, რომელსაც "წერა-კითხვის" რიგზე ჰქონდა მოწყობილი რუსული ანბანი, ახალი გამოცემისას გაუთვალისწინებია და თავისი წიგნი "კითხვა-წერის" მეთოდზე შეუდგენია (# 142).

განსახილველად წარმოდგენილი წიგნი, კრიტიკის ავტორის აზრით, მაინც არ იყო ჯანსაღ მეთოდზე დამყარებული. რუსული ენის სწავლების მეთოდი ჩვენს სკოლებში ორ მნიშვნელოვან ბურჯზე უნდა იქნას დაფუძნებული: საგნის შინჯვაზე და დედა-ენაზე; ხოლო შუამავლად, მოციქულად უნდა იქმნას უმთავრესად ცოცხალი სიტყვა მასწავლებლისა; წიგნი უნდა იყოს მხოლოდ დამხმარებელი საშუალება. ამგვარი სწავლება მისცემს ბავშვს დაკვირვების უნარს და შედარების ნიჭს, რაც გაუმყარებს ცოდნას, რადგან ყოველ ნაბიჯზედ ეცდება შედარებას დედაენას რუსულთან, ამით გარკვევით შეიგნებს ორივე ენის ბუნებას' (# 177).

რუბრიკა *ფელეტონი* ფრიად საინტერესო წერილებს ბეჭდავს სათაურით *ქართველთა შორის* (ავტორია სანო ანუ სტეფნე ჭრელაშვილი), რომელიც, როგორც სათაური მოწმობს, ესწრაფვის ასახოს ქართული ერთობის ყოფა. ნათლადაა წარმოჩენილი ახალი დროის მოხელეები:

> მომეტებული ნაწილი ქართველ ეგრედ წოდებული ნასწავლი საზოგადოებისა მომწყვდეულია მრავალს სხვა-და-სხვა კანცელარიაში, ამოხუთული აქვს სული ათასნაირ „დელოების" წერითა და სინჯვით, ოთხად მოხრილია წელში, რომ ერთი ორი გროში გააგდებინოს თავისს უმადურს შრომას და როგორმე სული მოიბრუნოს ათასგვარ გაჭირვებაში. დანარჩენი ქართველი მოქალაქეობა ძლივს ვაი-ვაგლახითა შოულობს ლუკმა პურს ხელოსნის დღიურის მუშაობით. ასე დაქვეითებულია ქართველი საზოგადოება ქალაქებში და, რასაკვირველია, ვერა ვითარს კვალს ვერ ამჩნევს ვერ შეაქცსრა ქალაქის ცხოვრებაში და თვით ქალაქიც ვერასა ჰმატებს ქართველობას და მის წარმატება.

ავტორი წარმოაჩენს სოფლის ავკარგსაც:

> ჩვენი მამულ-დედული, რომელიც ერთ დროს ჰკვებავდა, ზოგის ანგარიშით, თითქმის თხუთმეტს მილიონს ხალხს, დღეს ღარიბულს წლიურ სარჩოსაც ვერ აძლევს თავის დაცოტავებულს ღვიძლს შვილებს ... იშვიათს სოფლის მცხოვრებს თუ დაასახელებთ, რომელსაც თავისი მამული აძლევდეს უნაკლულოდ მთელის წლის შემოსავალს პურით, ღვინითა და საკლავით, რომ თანაც დაიკმაყოფილოს სხვა უმთავრესი საჭიროებანი – სუფთად ჩაიცვას და დაიხუროს, არ აალაპარაკოს მღვდელი, ხაზინა და სოფელი, გაისტუმროს მოვალე და მოვახშე.

სოფლის უნუგეშო მდგომარეობის ჩვენებით იგი მოუწოდებს საზოგადოებას, რომ აუცილებელია ზრუნვა ეკონომიკურ გაძლიერებაზე, რათა თავიდან იქნას აცილებული მოსალოდნელი საშინელი სიღატაკე და სამშობლოს დაკარგვა (# 149).

ნარკვევი ჟურნალ-გაზეთებიდან (ხელმოუწერელია) წარმოდგენილია რუსული გაზეთში *Русский вестникъ* გამოქვეყნებული წერილის მოკლე შინაარსი. წერილის ავტორი ბოროზდინი შეეხებოდა კავკასიაში ჩამოსახლებულთა საკითხს. იგი უკმაყოფილოა პასკევიჩის ქმედებით, რადგან ერმოლოვისაგან განსხვავებით, რომელსაც კარგად ესმოდა ამიერკავკასიაში კაზაკები ჩასახლების მნიშვნელობა, სრულიად დაუვიწყნია რუსეთის ერი და ცდილობდა ოსმალეთიდან და სპარსეთიდან სომხები გადმოესახლებინა. ამ საქმეში მას ხელს უწყობდა მისი მარჯვენა ხელი – სომხური წარმომავლობის ლაზარევი.

აქვე აღნიშნულია, რომ პასკევიჩის წყალობით ამიერკავკასიის თავისუფალ ადგილებში სომხების ჩასახლების საქმემ არ გაამართლა, რუსეთისათვის სასარგებლო არ აღმოჩნდა, რადგან ამის წყალობით გარუსების ნაცვლად გასომხდა ქვეყანა. მოგვიანებით, იწყებენ ფიქრს შავი ზღვის ნაპირების დასახლების შესახებ. იგზავნება სპეციალური კომისია: პოლკოვნიკი მურავიოვი, ხატისოვი და როტინოვი, რომლებმაც გადაწყვიტეს შავი ზღვის ნაპირებზე დასასახლებლად მოეწვიათ ანატოლიიდან სომხები და ბერძნები და ბურგანიდან გერმანელები. ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა კიდეც მთავარმა სამმართველომ. ევდოკიმოვის გეგმა, რომ გაეთვალისწინებინა მთავრობას, შავი ზღვის ნაპირები კაზაკებით იქნებოდა დასახლებული. მაშინ, როდესაც კავკასიის მთავრობა ასე ურიგოდ აწარმოებდა შავი ზღვის სანაპიროების საქმეს, ასე დაცალიერებული აფხაზეთი დაუკავებიათ მეზობელ მეგრელებს და მკვიდრად მოუკიდნიათ ფეხი.

ივერია აკეთებს ბოროზდინის მსჯელობის ციტირებას:

> საკვირველი ის არის, რომ ყოველის ღონით ცდილობს ეს შტო მრავალ-რიცხოვან ლაზთა, რომელნიც მცირე აზიაში არიან დასახლებულნი და თავისის ენით განსაკუთრებულს ეროვნებას შეადგენენ და რომელნიც უფრო ადვილად რუსდებიან, ვიდრე კავკასიის სხვა ტომნი, ქართველებად ვცნათ, თუმცა ქართველსა და მეგრელს შორის საერთო არა არის რა. იმის მაგიერ, რომ რუსული სასწავლებლები დავაარსოთ, მათ შორის ჩვენ, არ ვიცით რისთვის ქართულ სასწავლებლებს ვაარსებთ, არავინ იცის ისიც თუ

ასეთ უაზრობას როდის მოეღება ბოლო. დიდებული რუსეთის ერი საუკუნოდ ხომ არ იქნება კავკასიის სხვა-და-სხვა სარწმუნოების ხალხის მონად და თავისის ოფლით მონაგარს კაპიკს ამ ქვეყანას ხომ არ შეალევს იმად, რომ ასაზრდოოს ტენდენციები, ხელოვნებით გამოწვეული ამ უკანასკნელ 25 წელიწადს სხვა-და-სხვა სარწმუნოების ხალხთა სასარგებლოდ ჩვენისავე საკუთარის პოლიტიკით, დროა, ღონე ვიხმაროთ რამ და მკვიდრად დავეუფლოთ ამ ქვეყანას. უმთავრესი ღონე ის უნდა იყოს, რომ რუსები დავასახლოთ კავკასიაში. რუსები, რომელნიც მთავრობის გრანტის დაძვრას ელიან და სიამოვნებით გადასახლდებიან. ამ საქმეს იმ მიზეზმა არ უნდა შეუშალოს ხელი, ვითომ-და ეს ადგილები ჯერ გასინჯული არ არის და ადგილობრივ მკვიდრს სჭირია მიწაო. ეს მიზეზი წამოაყენა მთავარ-სამმართველომ კავკასიის მთავარმართებლისამ, როცა მოსკოვის ფულიან კაცებს ელდარისა და შირაქის მინდვრებზე ადგილები უნდა დაეჭირათ. მას შემდეგ აგერ 25 წელმა გაიარა და აქამდე ვერ გამოჯნეს ეს ადგილები, აშკარაა მთავარ-სამმართველომ განგებ მოიგონა ეს მიზეზი, რომ ხელი არ შეეწყო რუსეთის ამ ქვეყანაში გადმოსახლებისათვის. ამასობაში-კი სომხების მიერ ფულის მამა-სისხლად გასესხების გამო, ტფილისის გუბერნიის ქართველ მემამულეთა და ამათ გლეხთა მამულები სომხების ხელში გადავიდა, და თუ ამ გარემოების წინააღმდეგ საშუალება რამ არ იქნა ნაღონი, საქართველოს სრულიად შთანთქავენ სომხები. სჩანს, ამ ოც-და-სამი წლის განმავლობაში კავკასიის მთავრობა რაკი ნებას არ აძლევდა რუსებს გადასახლებისას ამიერკავკასიაში, სომხებს ჰქომაგობდა, იმათ უწყობდა ხელს და ამ ქვეყნის გასომხებას სცდილობდა. აი რა მოიტანა იმ აზრმა, რომ რუსები არ ვარგანან ამ განაპირა ქვეყნის დასასახლებლადაო. ჩვენ მხოლოდ ერთს ერს ვეხმარებით, რომ მეორე ერის შთანთქმა შეიძლოს (# 149).

როგორც ჩვენ მიერ განხილული არაერთი კორესპონდენცია მოწმობს, საქართველოში სამრევლო სკოლების დაარსების ნამდვილი ბუმი იყო. სკოლა სკოლაზე იხსნებოდა. მაგრამ გაზეთში გამოქვეყნებული წერილები ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ მრავალ სოფელში არ არსებობდა სკოლები. ამ და სხვა, სოფლის საყოფაცხორებო საკითხებს შეეხება რუბრიკა *დაბა და სოფელი* გურიის სოფლის საჯავახიოს მაგალითზე, სადაც ჯერ კიდევ არ იყო სკოლა გახსნილი. შესაბამისად, არც წიგნები იყიდებოდა გამართულ ბაზრობაზე. ამასთან კიდევ ერთი სამწუხარო ფაქტია დაფიქსირებული, რაც მიუთითებდა არსებული სწავლების მეთოდის უვარგისობაზე. წიგნების ყიდვის მსურველები მხოლოდ იმ სოფლის ყმაწვილები აღმოჩნდნენ, რომლებიც "პრიხოდის

კლასში" სწავლობდნენ. ერთ–ერთი ყმაწვილი ქართულ წიგნებს თხოვდა გამყიდველს. იგი გამყიდველის შეკითხვაზე იცოდა თუ არა ქართულად კითხვა, ასე პასუხობს: 'კითხვა-კი ვიცი მარა, დედაენაში ვიცი ... დედაენა სულ გავათავეთ. უჩიტელმა მითხრა ახლა ბუნების კარი გინდაო'. თუმცა *დედაენის* ცოდნას იჩემებდა, მაგრამ ყმაწვილი ქართულად კითხვას მხოლოდ *დედაენაში* ახერხებდა'. ეს იყო "უწუნოდ" მიჩნეული "პრიხოდის კლასების" სწავლების შედეგები, შენიშნავს ავტორი, რომელიც ხელს აწერს ფსევდონიმით "კალამი" (სამსონ ფირცხალავა) (# 150).

161-ე ნომრის ფელეტონის რუბრიკაში იბეჭდება ვაჟა-ფშაველას *სოფლის სურათები*. აქ ისევ სოფლის უნუგეშო მდგომარეობაა წარმოდგენილი. ავტორი ცდილობს გამოარკვიოს თუ რატომ არ აქვს სოფლის მცხოვრებთ სწავლის შეძენის სურვილი. აღნიშნავს, რომ მათ ლუკმა პურის საშოვნელად უწევთ ბრძოლა. თუმცა სოფელზე გულშემატკივარ კაცებზეც მიუთითებს, რომლებიც ზრუნავენ სოფლის კეთილდღეობაზე. ასეთად ასახელებს სოფლის მღვდელს და მასწავლებელს: 'მაშ მათე მღვდელი რადღა მოსწონს სოფელს? იმიტომ რომ ყოველ კვირა-უქმეს სწირავს და ქადაგებასაც იტყვის, ხალხს გონებაზე აყენებს, სოფლის ფიქრი მოძრაობაში მოჰყავს'.

მასწავლებელიც იმიტომ მოსწონდა ხალხს, რომ ხალხთან ახლოს იდგა, გული შესტკიოდა სოფლისათვის, ყველას ხელს უმართავდა. სოფელმა სკოლის აშენება უარყო. მაგრამ მასწავლებელმა არ დაიშალა, ფანჩატური გამართა და იქ ასწავლიდა ბავშვებს. სიცივისაგან გალურჯებული მასწავლებელ-შეგირდები თავისას არ იშლიდნენ და მხნედ თავიანთ საქმეს. როდესაც ავტორს უკითხავს რათ უნდათ სწავლა თუ დაიხოცებიანო. ამაზე მასწავლებელს უპასუხია: რა ვქნა, თუკი მეტი ღონე არ არის. ბავშვებს უსწავლელებს, უგუნურებს ხომ ვერ დავტოვებო.

შემდგომ გადადის სამოხელეო თანამდებობის პირის დახასიათებაზე. სოფელს არ ყვარებია მამასახლისი. ჩვენ არაერთხელ გვაქვს აღნიშნული მამასახლისების უზნეო საქციელის შესახებ. საინტერესოა ერთი დეტალი, რომელსაც ავტორი გადმოგვცემს. სანამ მამასახლისად აირჩევდნენ ჭკვიანი ცხვარივით ბიჭი იყო და ამიტომაც ამოირჩია სოფელმაო, აღნიშნავს, მაგრამ როგორც კი ამოირჩიეს, შეიცვალა: "შედგა მაღალ-ქუსლიან "აპოიკის" ჩექმებზე, დაიკერა ბუზმენტები ჩოხა-ახალუხზე, დაუჭერია ხელში მათრახი, ვინც ქუდს არ მოუხდის და როგორც ყეინს

სალამს არ მიართმევს, გადაუხტება და მათრახით ააჭრელებს'. დაუვიწყნია ხალხში დაცული ბრძნული ნათქვამი 'მე სოფლის თავსა ვესახლე და არა სოფელი ჩემს თავსა, რაც მე სოფლისთვის მინდოდა უწინ მოვიდა ჩემს თავსაო' (# 161).

245-ე ნომრის რუბრიკაში *ფელეტონი* ქვეყნდება ე. ნინოშვილის მოთხრობა *პავლიასტომის ტბა*, რომელშიც ასახულია გურული გლეხის ცხოვრების სურათები. მწერალმა ნათლად წარმოგვიდგინა ცხოვრებით დაქანცული გლეხის მძიმე ხვედრი ივანეს ოჯახის სახით, რომელიც ხე-ტყის დამუშავებითა და გაყიდვით ირჩენდა თავს. რა უნდა ქნას გლეხმა, როცა მებატონეს, მღვდელს, ხელმწიფეს, ოჯახს, მტერს, მოყვარეს ყველას პასუხი უნდა გასცეს. დღედაღამ, ზამთარ-ზაფხულ შრომით დაქანცულს მოსვენებისათვის დროც კი არ რჩებოდა.

ამ თავში განხილული მასალა, როგორც წინა ორი თავისა, არსობრივად მოიცავს ქართული იდენტობის ყოფა-ცხოვრების ამსახველ მრავალფეროვან სურათებს. როგორც ვხედავთ, ისევ აქტუალურია სწავლა-განათლების, ენის, კულტურული საგანძურის გადარჩენის, ერის ზნეობის ამაღლებაზე ზრუნვა.

ქართველი ერის იდეა და ილიას *ივერია*

წიგნის დასაწყისში ჩვენ ვისაუბრეთ ქართული ნაციონალიზმის წარმოშობაზე. ეს ნაკვეთი მიზნად ისახავს ქართული ნაციონალიზმის განვითარების უმთავრესი, ილია ჭავჭავაძის სახელთან ასოცირებული, საფეხურის დახასიათებას. კერძოდ, შევეხებით ილიას მოღვაწეობის იმ პერიოდის ამსახველ ფაქტებს, რომლებიც უკავშირდება *ივერიას*.

როგორც მკითხველმა ნახა, წიგნის ძირითად ნაკვეთში ჩვენ საკმაოდ დეტალურად წარმოვადგენდით მასალას *ივერიიდან*. ქვემოთ გამოთქმული მტკიცებულებებისათვის, ცხადია, ჩვენ ვეფუძნებით სწორედ ამ მასალას, თუმც აღარ ვიმოწმებთ მას იმ იმედით, რომ მკითხველს შესაბამისი მაგალითები კარგად ახსოვს. მაგრამ ზოგჯერ, მეტი სისრულისათვის, მოგვყავს დამატებით ციტატები *ივერიიდან*, განსაკუთრებით, ილიას მეთაური წერილებიდან, აგრეთვე, ილიასავე ადრინდელი ნაწარმოებებიდან, რომელთა გათვალისწინება აუცილებლად გვეჩვენება *ივერიის* გაანალიზებული პუბლიკაციების ადექვატურად გასაგებად. წინა ნაკვეთში ჩვენ მასალას წარმოვადგენდით ქრონოლოგიურ რიგზე, ამჯერად მას დავაჯგუფებთ თემატურად.

როგორც მივუთითებდით, ქართულ ისტორიოგრაფიაში, ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესი სათანადოდ არაა შესწავლილი. ჩვეულებრივ, მისი რეპრეზენტაცია ამოიწურება ძალიან მოკლე დისკურსით ნაციონალური ბაზრის ჩამოყალიბების, რუსეთ–თურქეთის ომის შედეგად გარკვეული მიწების შემოერთების და ქართველთა ეროვნული თვითცნობიერების გამოღვიძების შესახებ დისკურსით.

ერად ქმნადობას ყველა ქვეყანაში აქვს უნივერსალური ინდიკატორები. მკვლევართა აზრით, ერთ-ერთი ასეთი ნიშანია ნაციონალიზმის იდეოლოგია და აღნიშნული პროცესის ამ იდეოლოგიით განპირობებულობა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ეროვნული მობილიზაციაზე დაკვირვებისას, პირველ რიგში, აუცილებელია ნაციონალიზმის იდეოლოგიაზე დაკვირვება. ეს იდეოლოგია ამ პროცესის წარმართვის ერთგვარ გეგმას წარმოადგენს. ამიტომ სრულიად აშკარაა, რომ ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესის რეპრეზენტაცია

გაცილებით მდიდარი უნდა იყოს ფაქტებით, ვიდრე დღეს არსებული ისტორიული ნარატივია; და, რაც მთავარია: ეს ნარატივი სხვა თარგზე უნდა გამოიჭრას.

ტრადიციული რეპრეზენტაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი არის ის, რომ ეროვნული მობილიზაციის პროცესს ის საერთოდ არ განიხილავს აზროვნების ისტორიის კუთხით. ყურადღების მიღმაა დატოვებული ის გარემოება, რომ კოლექტიურ-კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ეთნიკური ერთობის (ერთობების) გარდაქმნას ერად წინ უსწრებს (თუმც შემდგომ პროცესის პარალელურადაც ვითარდება) მშობლიური ერის იდეა, რომელიც სხვა არაფერია თუ არა ნაციონალისტური იდეოლოგია. მშობლიური ერის იდეა არის დისკურსი პოტენციური ნაციის (ე.ი. იმ ერთობის, რომლის ნაციად გარდაქმნა ერთობის კულტურულმა ელიტამ ითავა) ისტორიული კონტექსტის, ძირითადი იდენტობრივი მარკერების და ნაციონალური ერთობის სამერმისო პერსპექტივის შესახებ.

რას წარმოადგენდა ქართველი ერის იდეა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ ერთობას შესთავაზა *ივერიამ*? აი, ამ კითხვას შევეცდებით ვუპასუხოთ ქვემოთ. მაგრამ მანამდე, ვიდრე კონკრეტულად ქართულ მაგალითს მივაპყრობდეთ მკითხველის ყურადღებას, ორიოდ სიტყვით კვლავ იმ ფენომენის შესახებ, რომელსაც "მშობლიური ერის იდეა" ვუწოდეთ.

კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებულ ერთობათა კონცეფციები არსებობდა წინა მოდერნის ხანაშიც. მხედველობაში გვაქვს ეთნიკური რჩეულობის მითები, წარმომავლობის მითები. არსებითად ნაციონალისტური მითოლოგიის ფორმას წარმოადგენს "მშობლიური ერის იდეაც". ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ სიტყვის "მითოლოგა" გაგება ამ კონტექსტში მოხდეს ადექვატურად.

ძველი მითების მსგავსად, ერთობის შესახებ ნაციონალისტური კონცეფციებიც მოგვეწოდება, როგორც სინამდვილის ამსახველი დისკურსები. თუმც, როგორც ახალი დროის ტექსტებში, მათში წარმოდგენილი მტკიცებულებები ემყარება არა ღვთაებრივ გამოცხადებას და ზებუნებრივი ძალების შემოჭრას პროფანულ სამყაროში, არამედ მეცნიერების მონაცემებს და რაციონალურ დასკვნებს. აღნიშნული გარემოება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამგვარი აზრობრივი სისტემები მკაცრად მეცნიერულ დისკურსს წარმოადგენს. მართალია,

მათი სამიზნე ერთდროულად არის ადამიანის გული და გონება, მაგრამ გული უფრო მეტად, ვიდრე გონება. მათი ინსპირაციის შედეგიც შესაბამისია: ემოცია განუზომლად უფრო მეტია, ვიდრე ფაქტობრივი მონაცემი. მტკიცებულებები ხშირად არ არის ცალსახა, პირიქით, ამბივალენტურია. არც ნაციონალური ნარატივებია ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული კოჰერენტული კულტურული ტექსტები, არამედ – შინაგანი ლოგიკური წინააღმდეგობის უხვად შემცველი კონცეფციები, რომლებიც მუდმივად ცვალებადობენ გამომდინარე სიტუაციიდან, რომელიც უნდა მართონ. მიუხედავად ამისა, ამ კონცეფციების სოციალური პოტენცია უდიდესია, ისინი ქმნიან ერებს, როდესაც მოსახლეობის დიდ მასას დაეუფლებიან.

ერთი და იმავე ერთობას შეიძლება სხვადასხვა დროს ჰქონდეს ეროვნული იდეის განსხვავებული, აგრეთვე, ერთი და იმავე დროს – ურთიერთდაპირისპირებული ვერსიები. ეს მრავალფეროვნება დამოკიდებულია ეროვნული კონსოლიდაციის პროცესში ჩართული სოციალური ჯგუფების ამბიციებზე თუ კრეატიულ შესაძლებლობებზე, მათ მიერ პროცესის განსხვავებულ ხედვაზე და ამ პროცესში მონაწილეობის სპეციფიკურ მოტივაციებზე.

როგორც ცნობილია, ნაციონალიზმის იდეოლოგია ინტელექტუალური მოვლენაა, მისი შემქმნელი ჯგუფი არის კოლექტივის კულტურული ელიტა, რომელიც ხალხის მასების ინსპირირებას ახდენს ნაციონალისტური იდეებით, თუმც მასის მხრიდანაც დიდად არის დავალებული სოციალური იმპულსებით. ამგვარ იდეებს ამუშავებს და თავდაპირველად თავის წრეში ავრცელებს ინტელექტუალ ნაციონალისტთა ჯგუფი ნაციონალიზაციის ეპოქის შესატყვისი მედიის საშუალებით და საგანმანათლებლო ქსელების გზით. შემდეგ ეტაპზე პროცესი მოიცავს მოსახლეობის უფრო ფართო ფენებს. ამგვარად ხდება ნაციონალისტთა რიგების მზარდი შევსება, მანამდე, ვიდრე ერის იდეას არ გაითავისებს ერთობის უმრავლესობა.

უნდა ხაზი გაესვას იმას, რომ არსებითად ეს პროცესი კულტურული, განმანათლებლური პროცესია, ის არ გულისხმობს ძალისმიერ ინტეგრირებას ერთობაში. ამიტომაა, რომ მშობლიური ერის იდეის ფორმირებას თან სდევს მუდმივი ზრუნვა შესაბამისი სოციალური არხების ჩამოყალიბებისათვის და იდეის გავრცელებაზე პასუხისმგებელი, სოციალური აგენტების აღზრდისათვის.

დასავლური ქრისტიანობის ქვეყნებში ეს პროცესი ემთხვეოდა სეკულარიზაციის პროცესს. ამიტომ სამღვდელოება, როგორც სოციალური აგენტი, ნაკლებად მოიაზრებოდა მასში. მართლმადიდებლური ქრისტიანობის და დემოტიკური ეთნიების ქვეყნებში სამღვდელოებამ შეინარჩუნა თავისი როლი განათლებაში. ამიტომ ნაციონალისტები ცდილობდნენ სასულიერი პირები და საეკლესიო სკოლები დაექვემდებარებინათ საკუთარი კონტროლისათვის. თუმც ნაციონალისტ ინტელექტუალებსა და მასას შორის კავშირის ძირითად რგოლად მაინც რჩებოდა საერო სკოლის მასწავლებელი, რომლის კვალიფიკაცია და ზნეობა ნაციონალისტთა ყურადღების ცენტრში ექცეოდა.

ქართველი ერის იდეის ჩამოყალიბება უკავშირდება ფაქტობრივად ილიას მოღვაწეობის დასაწყისს. ამიტომ *ივერიის* გამოცემის დროისათვის (ამ დროს ილია კი 40 წლისა იყო) კონცეფციის ჩარჩო უკვე მოხაზულია. ამის შემდგომ რაც ხდება ისაა, რომ რედაქტორი და *ივერიის* გარშემო შემოკრებილ ქართველ ნაციონალისტთა გუნდი, ამუშავებენ უკვე წარმოდგენილი იდეების დეტალებს, თუმც აღძრავენ ბევრ ახალ თემასაც. საბოლოო ჯამში აქ არის ყველაფერი, რაც უნდა იცოდეს ქართულმა ერთობამ საკუთარ თავზე.

როგორც ამ წიგნის თეორიულ ნაწილში მივუთითებდით, ეთნო-სიმბოლიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ე. სმითის აზრით, ერთობის საკრალიზება არის ნაციის წარმოქმნის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა.

სწორედ ეს ფაქტი ამოიცნო (აქ უფრო ზუსტი იქნება, ალბათ. სიტყვა "იგრძნო") ილიამ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ და დაიწყო ქართველი ერის, როგორც მორალური ვალდებულებებით შეკრული წმინდა ერთობის, კონცეფციის შექმნა. მან თავისი ადგილიც განსაზღვრა ამ ერთობაში: ის თავს განიცდიდა, როგორც პოეტი-წინასწარმეტყველი და პოეტი-მოწამე.

მოვიყვანთ ილიას რამდენიმე ადრეულ ლექსს, რადგან, ისინი გასაღებად მიგვაჩნია ქართველი ერის ილიასეული იდეის გასაგებად. ერთ-ერთი ასეთია ლექსი *ლოცვა*, რომელიც 1858 წლის 17 ივლისით თარიღდება:

მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენ წინა:
არც სიმდიდრის, არც დიდების პოვნა არ მინდა,

არ მინდა, ამით შეურაცხ-ვჰყო მე ლოცვა წმინდა ...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: 'შეუნდე, – არ იციან, ღმერთო, რას იქმნან'.

ამავე წელს, ერთი თვის შემდგომ, კერძოდ, 28 აგვისტოს ილია წერს კიდევ ერთ *ლოცვას*:[1]

ოდეს დემონი ურწმუნოების,
უკუ-თქმისა და მაცდუროების
საწამლავით თვის სავსეს თასს მაცდურს
წინ დაუდგამდეს ჩემს სულსა უძლურს,–
ნუ მანდობ, ღმერთო, ბედისა ტრიალს, –
ნუ დამაწაფებ დემონის ფიალს,
და უკეთუ არს შესაძლებელი
მე განმარიდენ იგი სასმელი.
მაგრამ თუ, ღმერთო, შენ ღვთაებას სურს,
რათა გამოცდა მით ჰქონდეს ჩემს სულს,
განჰქრნენ შენ ხმასთან სურვილნი ჩემნი
და იყავნ ნება, უფალო შენი!

ამ ლექსებს ეხმაურება 1860 წლის 28 ივლისით დათარიღებული, მაგრამ უკვე სულ სხვა ტონალობაში გადაწყვეტილი, კვლავ რუსეთში დაწერილი ლექსი *პოეტი*:

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
მე ფრინველმა გარეგანმა
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა.

[1] თითქმის მისტიკურია, რომ ამ სტრიქონების დაწერიდან 49 წლის შემდგომ სწორედ აგვისტოს ბოლოს (30 აგვისტოს) ილია მიიღებს მოწამებრივ გვირგვინს წიწამურთან.

დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში;
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული ...
მაშინ ციდამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა.

პოეტის ილიასეული პერცეფცია განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს აკაკის *პოეტის* ფონზე. აკაკი წერეთლის ლექსი, რომელიც 1886 წლით თარიღდება, ერთგვარ პოლემიკას წარმოადგენს ილიასთან:

ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,
ხან არც ისა ვარ, არც ისა!
გარემოების საყვირი,
არც მიწისა ვარ, არც ცისა.
ნუ მკითხავ, მნახო უგნურად,
ნურც გაიკვირვებ ბრძნობასა:
სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი
ამ ჩემს გონება-გრძნობასა.
ეს გული, სარკედ ქცეული,
ბუნების ნათავხედია,
მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ,
რასაც შიგ ჩაუხედია;
ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია,
ან თვალს უნახავს და ჭკუას
გაუზომ-აუწონია!
თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ,
სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა!
შუაკაცი ვარ უბრალო,
ხან მიწისა ვარ, ხან ცისა.

აკაკის პოეტი გარეშე დამკვირვებელია, რომელიც მხოლოდ ასახავს რაც მოხდა, იღებს იმპულსს და აძლიერებს. სხვა პასუხისმგებლობა მას არ გააჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ხან ცისაც არის. ილიას პოეტი კი ცის მოვლენილია, ღმერთთან მოსაუბრეა, რათა ერს გაუძღვეს.

საინტერესოა, რომ ასევე რუსეთში ყოფნის პერიოდით, 1858 წლის 23 ივლისით, თარიღდება ილიასეული თარგმანი ბაირონის ლექსისა *წინასწარმეტყველი*.

უფლისაგან მოვლენილი ან უფლის სიტყვის გამცხადებელი პიროვნება იპყრობდა ახალგაზრდა ილიას საგანგებო ყურადღებას ქართველი ერის შესახებ ფიქრის დროს. რომ სწორედ რუსეთში ყოფნისას იგი ქართველთა "ვინაობით" და "ეროვნობის"[2] საკითხით იყო დაკავებული, ამას კარგად არეკლავს მისი ადრინდელი შემოქმედება და, პირველ რიგში, *მგზავრის წერილები*.

რუსეთიდან სამშობლოსაკენ მომავალი პოეტის შეხვედრა ქართული ავთენტურობის შემნახველ მთიელთან და მასთან საუბარი აფიქსირებს ქართველი ერის დაცემულობის მთავარ მიზეზს: დამოუკიდებლობის დაკარგვას. შესაბამისად, საბოლოო მიზანიც ქართველი ნაციონალისტის აქტივობისა უნდა იყოს მშობლიური ერის დამოუკიდებლობის აღდგენა.

მგზავრის წერილები, რომ ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი ტექსტია, ყველასათვის კარგადაა ცნობილი. მაგრამ მაინც გავიხსენებთ ზოგიერთ ადგილს, კერძოდ, მათ, სადაც დამოუკიდებლობის კეთილისმყოფელ გავლენაზეა საუბარი. მგზავრ ილიასა და მოხევეს საუბარი ამჟღავნებს ყველაზე სანუკვარ ნაციონალისტურ სურვილს: "ჩვენობის" სუფევას. მოხევის აზრით, როცა იყო "ჩვენობა" ანუ ქართველთა დამოუკიდებლად ყოფნა, ყველაფერი კარგად იყო. როცა "ჩვენობა" აღარ არის, არსებობის საზრისი დაიკარგა, ადამიანის ცხოვრებას აღარ მსჭვალავს ერის სამსახურის უზენაესი მიზანი, ყველაფერი იყიდება. მშვიდობიანობა, რომელზეც მოხევესთან საუბარში ყურადღებას ამახვილებს მგზავრი ილია, ამის საზღაურად,

[2] ქვემოთ ჩვენ გზადაგზა ვისაუბრებთ ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგიის ლექსიკაზე, და, კონკრეტულად, *ივერიაში* დაფიქსირებულ ტერმინებზე. აქ უნდა გავაკეთოთ განმარტება სიტყვებთან "ვინაობა" და "ეროვნობა" დაკავშირებით. მათგან პირველი უნდა იყოს საზოგადოდ იდენტობის აღმნიშვნელი, ხოლო მეორე – ნაციონალური იდენტობის გამომხატველი.

არ მიაჩნია მოხევეს. მისი აზრით, ერისათვის გარეშე მტერი არაფერია, თუ "ერი ერობს". ეს დიალოგი აჩვენებს ახალგაზრდა და, შესაბამისად, მაქსიმალისტი პოეტის, პრეფერენციას: გადამწყვეტია ეროვნული თავისუფლება ანუ სუვერენობა.

ილიას მსოფლმხედველობაზე მსჯელობისას სპეციალურ ლიტერატურაში *მგზავრის წერილები* ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ დამოწმებადი ტექსტია. ამიტომ ნათქვამის საილუსტრაციოდ ამ მოთხრობიდან ციტატების მოყვანით მკითხველს თავს აღარ შევაწყენთ. მაგრამ სრულად გვინდა მოვიყვანოთ ილიას ერთი ადრეული ლექსი, რომელშიც საუბარია იმაზე, თუ პატარა ნავისათვის რამდენად საშიშია ზღვაში შესვლა, რომ ამას შეუძლია მენავის კვალიც კი წაშალოს. ფაქტობრივად, აქ გამოთქმულია შიში ქართული იდენტობის განქარვების გამო რუსულ იდენტობაში (დიდ ზღვაში) შესვლის შემთხვევაში. ამ ლექსს ეწოდება *სიმღერა*. იგი დაწერილია რუსეთში და თარიღდება 1858 წლის 4 ივნისით:

სად მიგყევარ მდინარევ
მოწყენილ სიცოცხლისავ!
ჩემს მცირე ნავს რას არხევ,
ზვირთო წუთისოფლისავ!
რას შემამთხვევ, ვინ იცის
აზრი შენი ცივის წყლის?
აწმყო კეთილს არ ამბობს
და წარსულიც მას თანხმობს.
შორს მომავლის ვარსკვლავი
თუმც არის უხილავი,
მაგრამ, ვგრძნობ, შეხვალ დიდ ზღვას
და იქ დაღუპავ ჩემს ნავს,
და მარდად შენი წყალი
წაშლის ჩემს ურგებს კვალსა ...
თუ ეს მაქვს გარდუვალი,
ვსწყევლი ჩემს შობის წამსა,
რად მინდოდა სვლა ქვეყნად,
თუ ეგ ბოლო მხვდა ხვედრად?
ვინც კი ეგრეთ მსვლელია,
შესაბრალებელია!
ორსა ობლად მცურავსა,
მე და ჩემს მცირე ნავსა,

ჰოი, გვედრებ, მდინარევ,
იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ!

როგორც ვხედავთ, უკვე ამ დროს ყალიბდება "პატარა საქართველოს" ("მცირე ნავის") სახეც.

ამგვარად, ილიასეულ ქართველი ერის იდეის უმთავრესი პოსტულატი იყო თავისუფლება ანუ სუვერენობა და აქედან გამომდინარე ავტონომიურობა. მართალია, *ივერიის* არსებობის პერიოდში ეს საკითხი მაქსიმალისტური ინტერპრეტაციით უკვე აღარ განიხილებოდა და არა პოლიტიკურ, არამედ კულტურულ ავტონომიურობაზე იყო საუბარი, მაგრამ ეს იდეალი ილიას მიერ დავიწყებული არ ყოფილა (შეუძლებელიცაა დავიწყება ამ იდეალის, რადგან ნაციონალიზმის არსი პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვაში მდგომარეობს სწორედ).

მოგვიანებით ილია ავითარებს ნაციონალური ერთობის, როგორც მადლით მოსილი კოლექტივის, შესახებ აზრს. ამ კუთხით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1887 წლის *ივერიაში* გამოქვეყნებული მეთაური წერილი, რომელიც გამომცემლების მიერ პირობითად დასათაურებულია, როგორც *ზნეობრივი სიჭმინდის მნიშვნელობა ერის მერმისისათვის*.

ის იწყება ე. რენანის სტატიის განხილვით, კერძოდ, რენანის იმ აზრს მიაპყრობს ავტორი ყურადღებას, რომლის მიხედვითაც გარკვეულ სათნოებათა არსებობა არის საზოგადოების განგრძობადობის მიზეზი. ილია თვლის, რომ ეს ანგარიშგასაწევი მტკიცებულებაა, რომ, თუმც სათნოებათა ქონა მექანიკურად ერის წარმოშობას ჯერ კიდევ არ ნიშნავს, მაგრამ სათნოებათა არქონა ცალსახად იმას მიუთითებს, რომ ერის დაღუპვა გარდაუვალია:

> ამ სათნოებათა არქონა კი უსათუოდ ნიშანია, რომ ერი ქვეყნის ზურგიდამ ასაგველად გადადებულია. თუ ამ სათნოებათა კანტი კუნტად ქონა ვერ შეძლებს ერი წინ წაყენოს გამოკეთების გზაზედ, არქონა კი უსათუოდ უკან დამწევი მიზეზია. ამიტომაც ერს, რომელსაც დღეგრძელობა და მერმისი სურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს: სათნოება დარგოს და ახაროს თავის გულში, თავის ოჯახში. ამისთვის საჭიროა ზნეობის ამაღლება და განწმედა ამაზედ უნდა მიექცეს მთელი ღონე ერის გულშემატკივარის კაცისა. იგი დედა, თუ მამა, რომელიც თავის შვილისათვის მზრუნველობას იმაზედ არ მიაქცევს, რომ კაცური კაცი გამოუვიდეს, იგი ჭიაა, რომელიც თავის ერს მერმისის ძირს უთხრის, უღრნის დღე მუდამ და იქნება არც კი ჰგრძნობდეს,

> რა ცოდვაში დგება: იგი ნელ-ნელა ჰლესავს დანას, რომლითაც ადრე იქნება თუ გვიან ყელი უნდა გამოჭრას მისვე შთამომავლობას, მისვე ერსა.[3]

ერის, როგორც საკრალური ერთობის, გააზრება, განაპირობებდა იმას, რომ ილიასათვის საზოგადოების გარდაქმნის ძალადობრივი გზა მიუღებელი იყო. ძალიან საინტერესოა ამ თვალსაზრისით მისი ერთი მეთაური წერილი, რომელიც არსებითად ხავერდოვანი რევოლუციის, როგორც დადებითი მოვლენის, შესახებ მოგვითხრობს. აი, როგორ იწყება ეს წერილი, რომელიც გამოქვეყნდა 1889 წლის 12 ნოემბერს:

> დეპეშებმა ერთი თითქმის მოულოდნელი ამბავი მოგვიტანა, იმისთანა ამბავი, რომელსაც, მართალია, პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს არც ევროპასთან, არც ევროპის პოლიტიკასთან და ჩვენ ხომ არასგზით არ მოგვეკარება; თუმცა ესეა, მაგრამ ზოგიერთს შორეულს მნიშვნელობას მოკლებული არ არის იმისთვის, ვინც ჩვეულია ცოტად თუ ბევრად დიდ საქმისაგან რაიმე გასაკვეთი გაიკვეთოს. ჩვენ ვამბობთ ბრაზილიაში მომხდარ ამბავისას. იქ მოხდა სისხლდაუღვრელი რევოლუცია, ჯერხანად მაინც წყნარი და მშვიდობიანი. მოხუცი იმპერატორი დონ-პედრო გადააყენეს და ბრაზილია, აქამდე იმპერიად წოდებული, რესპუბლიკად გამოაცხადეს. ყველამ შეიტყო დეპეშების წყალობით ეს ამბავი, მაგრამ იქნება ყველამ არ იცოდეს, რა არის ეს ბრაზილია, სად არის და რა ისტორია მიუძღვის. ჩვენ დღევანდელის წერილით მოვიწადინეთ მოკლედ მოვუთხრათ ჩვენს მკითხველებს ამ ქვეყნის ვითარება.[4]

ილია ჯერ მოკლე ინფორმაციას აწვდის მკითხველს ბრაზილიის ისტორიის შესახებ. მერე აღწერს რევოლუციურ ვითარებას. დიდი სიმპათიით საუბრობს უკანასკნელ იმპერატორ დონ-პედრო მეორეზე,[5]

---

[3] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, IX – პუბლიცისტური წერილები, 1887 (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ც. ყიფშიძემ; ტომის რედ. რ. კურსაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2006, გვ. 247-248.

[4] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. XI – პუბლიცისტური წერილები, 1889–1890 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს მ. ნინიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. გ. ჯამბურია). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 385.

[5] დონ-პედროს პიროვნების მიმართ ილიას დამოკიდებულების მაჩვენებელი საინტერესო მოგონება შემოუნახავს იონა მეუნარგიას: 'ვერ წარმოიდგენ ... მითხრა

რომელსაც მნიშვნელოვანი ღვაწლი ჰქონია ბრაზილიის აყვავებაში. რევოლუციასაც დაუფასებია ეს ღვაწლი, მართალია, იგი გადაუყენებიათ, მაგრამ ამ დროს არც ის, არც მისი ოჯახი არ დაზრალებულა:

> დონ-პედრო II-ეს მეტად საყვარელისა და ტკბილი კაცის სახელი აქვს დავარდნილი. თვითონ ბრაზილიაშიც ძალიან კარგი კაცის სახელი ჰქონდა და უყვარდათ კიდეც. იქნება ამ სიყვარულსაც ცოტათ თუ ბევრად უნდა მივაწეროთ ის ამბავი, რომ დონ-პედრო ტახტიდან გადმოაბრძანეს და ამასთანავე ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ არც თვითონ დონ-პედროს არც მის სახლობას არავითარი უპატიურება არ მიაყენონ რა, არაგზით არ ავნონ რა. დონ-პედრო სწორედ ღირსი იყო პატივისცემისა და სიყვარულისა. მის ხელში ძლიერ წინ წაიწია ბრაზილიამ. მოქალქეობრივი და პოლიტიკური თავისუფლება ერისა, რამდენადაც შესაძლოა, სრული იყო. ერს თავის კანონმდებლად და გამგებელად თავის მიერვე ამორჩეული წარმომადგენელნი ჰყვანდა. ერთი შესანიშნავი მუხლი ბრაზილიის კონსტიტუციისა იყო ის, რომ იმპერატორს შეეძლო არ დაემტკიცებინა წარმომადგენელთა განაჩენი, მაგარამ თუ იგივე განაჩენს შესწორებულს წარმოადგენდნენ აუცილებლად უნდა დაემტკიცებინათ. თავისუფლება ჟურნალ-გაზეთობის და ერთობ მწერლობისა სრული იყო. მარტო ერთს სატახტო ქალაქს რიო-დე-ჟანეიროში 80 ჟურნალ-გაზეთი გამოდის, მთელ ბრაზილიაში კი 529 ჟურნალ-გაზეთია.[6]

ილია განაგრძობს იმპერატორის დახასიათებას:

ერთხელ იმან, რაღაც შემთხვევის გამო, ბრაზილიის იმპერატორმა დონ-პედრომ შეუთვალა ვიქტორ-ჰიუგოს (აქ მგოსანი წამოდგა ზეზე და გამოიჭიმა მთელის მისის სიმაღლით): შენი ნახვა და გაცნობა მწადიანო. ამის პასუხად ჰიუგომ შეუთვალა მეფეს: მე სადარბაზოდ არავისთან არ დავდივარო. მაშინ იმპერატორმა და მისმა ტახტის მემკვიდრემ თითონ ინახულეს დიდი მგოსანი. ვიზიტის დროს, როცა მასპინძელმა სიტყვაზე "თქვენო უდიდებულესობაო" უთხრა მეფეს, მეფემ სიტყვა შეაწყვეტინა მგოსანს და უთხრა თავის მემკვიდრეს: Сын мой, помни, здесь нет другого величества кроме Виктора Гюго" ... ეს სიტყვები ილიამ დიდის ამბის-ყოფით წარმოსთქვა, ეტყობოდა სიხარული, რომ ქვეყნის მბრძანებელი ასეთ გვარად ემორჩილებოდა სიტყვისა და ლექსთა მეფეს, როგორიც იყო ვ. ჰიუგო'.

[6] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. XI – პუბლიცისტური წერილები, 1889–1890 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს მ. ნინიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. გ. ჯამბურია). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 387-388.

დონ-პედრო II დიდი მოყვარული იყო და მზრუნველი ერის განათლებისა ... არც გზები და სხვა სასარგებლო საქმენი დარჩნენ წარუმატებლად[7].

ყველაზედ უდიდესი საქმე დონ-პედროსი მონობის მოსპობა იყო ბრაზილიაში. 1888 წელს, როცა ის იყო ევროპაში, მისმა ქალიშვილმა იზაბელამ, რომელიც მის მოადგილედ დარჩა, სრულად ამოჰკვეთა მონობა ... ეხლა ამბობენ, რომ პლანტატორები, ე.ი. მონების პატრონები იყვნენ მიზეზნი დო-პედროს გადაყენებისაო ... ეს გულნატკენი პლანტატორები მიჰმხრობიან რესპუბლიკის მსურველთა და სამს ნოემბერს ბრაზილიის სატახტო ქალაქს რიო-დე-ჟანეიროს რევოლუცია მოუხდენიათ უსისხლო, წყნარი და მშვიდობიანი. დონ-პედრო დაუთხოვიათ იმპერატორობისაგან და რესპუბლიკა დაუწესებიათ ჯერხანად მაინც.[8]

სიკეთის დამკვიდრების ძალადობრივი გზა მისაღები არაა ილიასათვის. უსისხლოდ რომ დაფუძნდა ბრაზილიაში რესპუბლიკა, აი რა ხიბლავს მას ზემოთ აღნიშნულ ფაქტში.

ერის მადლმოსილების აუცილებლობა, მისი წინასწარმეტყველისა და მხსნელის ღმერთთან პირდაპირი კავშირის აუცილებლობა არის თემა, რომლის მნიშვნელობა ერის კონცეფციისათვის, ვერ შეაფასა ილიას ვერცერთმა ოპონენტმა. სწორედ ამიტომ მათი მარცხი გარდაუვალი იყო. ვგულისხმობთ, იმას, რომ ქართველი ერი არსებითად ილიასეული იდეის მიხედვით ჩამოყალიბდა.

სპეციალურ ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, განასხვავებენ მოქალაქეობრივ და ეთნიკურ ერებს. მიუხედავად ამ დაყოფის პირობითობისა, კონკრეტული ვითარების აღწერაში აღნიშნული სქემა მაინც გვეხმარება. ერის გააზრება ეთნიკური ერთობის ანუ საერთო წარმომავლობით შეკრულ ჯგუფის ხატად განსაკუთრებულ

[7] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. XI – პუბლიცისტური წერილები, 1889–1890 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს მ. ნინიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. გ. ჯამბურია). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 388.

[8] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. XI – პუბლიცისტური წერილები, 1889–1890 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს მ. ნინიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. გ. ჯამბურია). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 389.

მჭიდრო სოციალურ ბმებს უზრუნველყოფს. წინა მოდერნის ეპოქაში სწორედ ამ ნიადაგზე ხდებოდა ეთნიკური კონსოლიდება და ექსკლუზიური ჯგუფების ჩამოყალიბება.

ილია, რომელიც ერის არსებობაში ხედავს საღვთო ნებას, ეროვნულ ერთობას საერთო წარმომავლობით შეკრულ კოლექტივად აღიქვამს. ხანდახან მის მიერ ერის მიმართ გამოყენებული ატრიბუტები ერს ცოცხალ ორგანიზმად, მეტიც, ინდივიდად, კოლექტიურ პიროვნებად წარმოგვიდგენს. ერი განუყოფელია და მისი ერთი ნაწილაკი ატარებს მთელის თვისებას. ძალიან საინტერესოა ამ თვალსაზრისით ილიას მსჯელობა წარსულის გამოჩენილ გმირებზე, რომლებიც იმ იმედს აჩენენ, რომ ქართველობის წიაღი მომავალშიც გმირებს წარმოშობს. ამგვარი იმედი შეიძლება დაბადოს მხოლოდ ერთობის გენეტურ ერთად მოაზრებამ, რაც შთამომავლებში წინაპართა გარკვეული თვისებების გამეორებას განაპირობებს.

"ქართვლის ბუდე" – ილია იყენებს ამგვარ ტერმინს, რაც ქართული ნაციონალური ერთობის ეთნიკურად დასაზღვრულად მიჩნევის შესახებ აზრს წარმოშობს. ილიას მიხედვით, ერს აქვს "გვარტომობა" ანუ ეთნიკური წარმომავლობა და ეს ძალიან მნიშვნელოვანი მარკერია. კოლექტიური ისტორიული მახსოვრობა ანუ ისტორიის ერთობა ილიას აზრით, უპირატესია რელიგიურ ვინაობაზე, მაგრამ ისტორიული მახსოვრობა, როგორც მარკერი, "მუშაობს" არა ყველგან, არამედ საერთო გვარტომობით შეკრულ ერთობაში, რომელშიც სხვადასხვა კუთხის შვილები ერთმანეთს ენათესავებიან, საერთო სისხლი აქვთ, ძმები არიან.

ამგვარად, ერი საზოგადოდ, და, კონკრეტულად, ქართველი ერი, ილიას აზრით, არის ეთნიკური ინდივიდუალობის მქონე ორგანიზმი.

მაგრამ, ამავე დროს, ილიასავე აზრით, ორგანიციზმი ერის გაგებისას მცდარი თეორიაა. ერი არ წარმოადგენს განუყოფელ მთელს, არამედ ინდივიდთაგან შემდგარი ერთობლიობაა. აქედან გამომდინარე, ერთი პიროვნების დანაშაულის გამო მთელი საზოგადოების ანუ ერის გამტყუნება დაუშვებელია. გვარტომობაზე ანუ საერთო წარმომავლობაზე მეტად ერს კრავს პოლიტიკური ინსტიტუციები.

ამავე საკითხთან დაკავშირებით, ხაზგასასმელია, რომ ქართული ნაციონალური ერთობა ანუ ნაცია აღინიშნება ტერმინით "ერი" და არა "ნათესავი". როგორც ჩვენს ადრეულ ნაშრომებში არაერთხელ

გვქონდა მითითებული, ორივე ეს ტერმინი გამოიყენებოდა წინა მოდერნის ხანაში, ორივე – ჯგუფის მიმართ. როგორც ეს სახელწოდებიდანაც ჩანს, უკანასკნელის შემთხვევაში იდენტიფიკაციის საფუძველს წარმოადგენდა საერთო წარმომავლობა. კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე აღმოცენებული ერთობები აღინიშნებოდნენ სწორედ ამ ტერმინით. რაც შეეხება პირველ ტერმინს ანუ "ერს", მისი სპეციფიკა ის იყო, რომ იდენტიფიკაციის საფუძველს არ აჩვენებდა. ერი შეიძლება ყოფილიყო საერთო წარმომავლობით შეკრული ჯგუფი (როგორც ეს იყო "ნათესავის" შემთხვევაში), აგრეთვე, საერთო ტერიტორიით მარკირებული ჯგუფი, სოციალური პოზიციით მარკირებული ჯგუფი და ა.შ.

ანუ იმის თქმა გვინდა, რომ ქართველი ნაციონალისტების მიერ ქართული ერთობის აღსანიშნავად "ერის" გამოყენება, გვიჩვენებს: მართალია, ქართული ნაცია მოიაზრებოდა ეთნო-ნაციად, მაგრამ, ამასთან ერთად, ილია ერის შედუღაბებაში გვარტომობასთან შედარებით უპირატესობას პოლიტიკურ ინსტიტუციებს ანიჭებდა.

არსებითად წინააღმდეგობრივი ფაქტების თანაარსებობამ ილიასეულ კონცეფციაში, არ უნდა დაგვაბნიოს. როგორც ცნობილია, რეალურად, ერების ორი ტიპის გამოყოფა ძნელად ხერხდება. რადგან თითოეული მათგანი შეიცავს მეორესათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ამავე დროს, როგორც ითქვა, შინაგანი წინააღმდეგობანი ნაციონალიზმის იდეოლოგიისათვის საზოგადოდაა დამახასიათებელი. ნაციონალისტური დისკურსისათვის ისევე, როგორც, ვთქვათ, ეპოსისათვის, მთავარია ემოცია. ამიტომაა, რომ ნაციონალიზმი ზოგჯერ ერთგვარად დაუდევრადაც კი ეკიდება დისკურსის ლოგიკურად გამართულობის საკითხს.

ივერიის არაერთი პუბლიკაციის მსჯელობის საგანს წარმოადგენს საზოგადოება. მისი ზნეობრიობის საკითხი. ინდივიდების ზნეობრიობა ქმნის "საზოგადოებას", "საზოგადოება კი – "ხალხს", "ერს", ანუ საზოგადოების გარეშე ერი წარმოუდგენელია, რადგან საზოგადოება არის ეთიკური ვალდებულებების მქონე ერთობა. იგივე ანუ ზნეობრივი იდეალები, მადლითმოსილება არის, აგრეთვე, საფუძველი ნაციონალური კოლექტივისათვის.

ჩვენ ზემოთ *ივერიის* არაერთი პუბლიკაცია განვიხილეთ, რომლებშიც აღძრულია საზოგადოების პრობლემა. ილია და მისი *ივერია*

აშკარად ესწრაფვოდნენ საზოგადოების აღზრდას. ამ თვალსაზრისით ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ერთმა პატარა წერილმა, რომელშიც ქართულ თეატრში ხანძრის გაჩენის ფაქტის შესახებ არის საუბარი. გამომცემელთა მიერ წერილი შესაბამისად არის დასათაურებული *ხანძარი ქართულ თეატრში.* სტატიაში აღწერილ აღნიშნულ ჩვეულებრივ ყოფით ფაქტში ილია ცდილობს ადამიანთა აღზრდისათვის მნიშვნელოვანი მხარე წარმოაჩინოს და ამით საზოგადოების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყოს. ეს ისტორია ასეთია: ცეცხლი გაჩენილა თეატრში. მართალია, საშიში არაფერი ყოფილა, ყველაფერი კარგად დამთავრებულა, მაგრამ გასაოცარი ყოფილა ამ გარკვეულად ექსტრემალურ ვითარებაში ხალხის ქცევა. პანიკა კი არ დაწყებულა, არამედ თეატრი მშვიდად დაცლილა. აი, ამითაა საოცრად აღფთოვანებული ილია. იმდენად დიდია მისი აღრთოვანება, დღეს გაკვირვებასაც კი იწვევს. მაგრამ უნდა წარმოვიდგინოთ რა ვითარება იყო მაშინ, როგორი პრობლემა იყო ადამიანების კოლექტიური ქცევა და საზოგადოებრიობა. ქვემოთ მოვიყვანთ ციტატებს, რადგან მათ გარეშე შეუძლებელია წარმოიდგინოს მკითხველმა თუ რეალურად რა ემოციას ეხება საქმე. ისეა ვითარება აღწერილი თითქოს შეიარაღებულ მტერთან ომი გადაეტანოს ქართველობას. მაგრამ, ეს, ჩანს, მართლაც, იყო ბრძოლა საზოგადოებრიობის მშენებლობის გზაზე, ქცევის კულტურის ჩამოყალიბების გზაზე:

> ამ სიტყვებს "ცეცხლი გაჩნდაო" გამოუკითხველადაც თავისი ზარი აქვს და, ჩვენსა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ კვირა დღეს ამ სიტყვების ზარიც კი გაცუდდა, რაკი ქართველის კაცის გული დაჰხვდა წინ. ქართველმა აქაც იჩინა თავი და არ დაჰნებდა შიშის ზარსა: წარბშეუხრელად, გულმაგრად, აუჩქარებლად და დაწყნარებით მიიღო უეცარი ამბავი და გულში შიში ფიქრადაც არ გაიტარა. ამ ვაჟკაცურმა გულდინჯობამ სახსარი მისცა თეატრის გამგებელთა ხალხი ისე მშვიდობით და უვნებლად გამოეწვია თეატრიდან, რომ იმოდენა ხალხში ერთი მეორეს დაჯახებითაც არ დასჯახებია. არავითარი ურიგობა, არავითარი ხმაურობა და ჟრიამული არ მომხდარა, ისე აუჩქარებლად და ნელ-ნელა გამოკრიბა ხალხი! აი, სწორედ ამისთანა ვაჟკაცურს აუჩქარებლობასა და სიწყნარეზედ არის ზედგამოჭრილი ნათქვამი: "ზოგჯერ სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა". ამ ვაჟკაცურმა გულდინჯობამ და შეუდარებლობამ სწორედ გაგვაოცა და ცოდვა იქნებოდა ჩვენის მხრით, რომ შესაბამისი სიტყვით არ მოგვეხსენა. სხვამ რაც უნდა სთქვას და ჩვენ

> კი ამას ვიტყვით: "გულოვნის კაცის წესია / ფერხისა მაგრად დგომანი". ანუ "ჰხამს მამაცი გულოვნობდეს / ჭირსა შიგან არ დაჰღონდეს". რომ ჩვენები შიშს არ დაუღონდნენ და გულოვანის კაცის წესს არ უმტყუვნეს, კვირა დღეს ჩვენის საკუთარის თვალითა ვნახეთ ჩვენდა სასიამოვნოდ და ჩვენის საზოგადოების სასახელოდ.[9]

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდგომ, ვფიქრობთ, ადვილი წარმოსადგენია რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ *ივერიელები* საზოგადოების ფორმირების პროცესს, რომ ამ უმნიშვნელო (ყოველ შემთხვევაში დღევანდელი თვალთახედვით) ფაქტის შესახებ ამდენს და ამგვარად საუბრობს ილია.

ასევე, ერთი შეხედვით წვრილმან საკითხს ეხება 1887 წლის 25 ივნისის *ივერიის* ნომრის მეთაური წერილიც, რომელიც გამომცემელთა მიერ დასათაურებულია, როგორც *რა არის თავისუფლება*. აქ აღწერილია გერმანელი სოვდაგრის ისტორია, რომელსაც ტყუილუბრალოდ მიუსაჯეს ჯარიმის გადახდა. მართალია, ეს ჯარიმა სულ "ერთი მანათი და ერთი შაური" იყო, სოვდაგარმა დაიწყო სამართლებრივი გზით ბრძოლა უსამართლო სასჯელის წინააღმდეგ. ილია აღფრთოვანებულია ამ საქციელით. იმის მაგალითად მოჰყავს, რომ ფული კი არ არის მთავარი, არამედ ის ფაქტი, რომ პიროვნება არ ურიგდება კანონის დარღვევას. ეს მაშინ, როცა ილიას მითითებით, ქართველი კაცი და ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის ამ აზრამდე მისული:

> ცხადია მდიდარს სოვდაგარს ის კი არ ანაღვლებს, რომ ერთი მანათი ერთმევა, არამედ ის რომ, მისის აზრით, კანონი და სამართალი ირღვევა და კანონი და სამართალი კიდევ მისის თავისუფლების ციხე-სიმაგრე იმოდენად ძვირფასია, რომ განურჩევლად, განუკითხველად ხელს არავის ახლებინებს. აი, ნამდვილი ჭეშმარიტი მოქალაქობრივი თავგამოდება, აი, ჭეშმარიტი ქველობა კაცთა საზოგადოების წევრისა. ამოდენა დავიდარაბაში, სამს სამართალში საქმის გატარებაში ერთი მანათი კი არა, იქნება ასი მანათიც დაეხარჯოს, მაგრამ იგი ერისთვისაც იღწვის, მისთვის ყოველს ქონებაზედ უფრო ძვირფასია, კაცმა, მისის აზრით, უსამართლოდ მოაწვდინა

[9] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, VIII – პუბლიცისტური წერილები, 1886, მაისი-დეკემბერი (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაუთო ლ. მეგრელიშვილმა; ტომის რედ. ზ. ჭუმბურიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 611–612.

> მასზედ კანონის ხმალი და იგი იმავ კანონსა თავის კაცურის კაცობის ფასად წინ უყენებს და განკითხვას სამართლისგან ელის. კაცური, ადამიანური ცხოვრებაც ამას ჰქვიან: ამისთანა კაცთა შორის ყველა შეკრულია ბოროტისათვის და ყველა გზა ხსნილია სიკეთისათვის. თავისუფლებაც კაცთა სხვა არა არის რა, რომ ბოროტისათვის სრულად შეკრული იყოს და სიკეთისათვის უხვად გზაგახსნილი.[10]

თვითმოქმედობის წახალისება, ქველმოქმედების წახალისება *ივერიის* მხრიდან, აგრეთვე, უკავშირდება, საზოგადოების ზნეობრივ კოლექტივად, აქტიურ კოლექტივად წარმოდგენას და აღზრდას:

> თვითმოქმედება, თავით თვისით საქმის აჩენა, გაძღოლა და გატანა, ისეთი თვისებაა ადამიანისათვის, ურომლისოდაც იგი უფრო მონაა, ვიდრე ბატონი არც ცალკე კაცს, არც საზოგადოებას ერთად უამთვისებოდ არ ძალუძს სთქვას, მე ვარ და ვცხოვრობო.[11]

ზრუნვას საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის მჭიდროდ უკავშირდება ზრუნვა საჯარო სივრცეების შექმნისათვის. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა ილიას მიერ ბანკის კრების მნიშვნელობაზე მსჯელობა. მხედველობაში გვაქვს *ივერიის* მეთაური წერილი, რომელიც გამომცემელთა მიერ პირობითად დასათაურებულია, *როგორც თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მორიგე კრების გამო*. ილია მკითხველს ესაუბრება იმაზე, რომ ბანკის კრება არის დანიშნული და ამის გამო დიდი მზადება დაწყებულა. ადრე კი ყურადღებას არავინ აქცევდა ამ ფაქტს და წესდებით გათვალისწინებულ 50 კაცსაც ძლივს აგროვებდნენ. ამას რუსული გაზეთები, რომლებიც "ჩვენებურების" ხელში იყო, დასცინოდნენ და ბანკს მკვდრად შობილს უწოდებდნენ; ბანკის საქმე ყველას ამოჩემებული ჰქონდა. პირველ

[10] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, IX – პუბლიცისტური წერილები, 1887 (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ც. ყიფშიძემ; ტომის რედ. რ. ჯურსაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2006, გვ. 443–444.

[11] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, VIII – პუბლიცისტური წერილები, 1886, მაისი-დეკემბერი (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაუთო ლ. მეგრელიშვილმა; ტომის რედ. ზ. ჭუმბურიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 19.

ხანებში ბანკის საქმეს ცოტა ვინმე თუ ადევნებდა თვალყურს მის მომხრეებს კი სწამდათ, რომ ბანკი მოიპოვებდა ყურადღებას:

> ბანკის მომხრეთა სწამდათ, რომ ბანკი დღესა თუ ხვალ მოიპოვებს ყურადღებას და გულისტკივილს საზოგადოების მხრით: სწამდათ, რომ ბანკს, გარდა საკრედიტო მნიშვნელობისა ბევრი სხვა იმისთანა მნიშვნელობაც აქვს ჩვენთვის, რომელსაც არ შეიძლება არ ჩაუფიქრდეს ჩვენი საზოგადოება თავის დროზედ და რაკი ჩაუფიქრდება, ხელსაც ჩასჭიდებს მომეტებულის თანაგრძნობით და გულისტკივილითა. სწორედ ასეც მოხდა და ასეც ახდა ჩვენდა საკეთილოდ და ჩვენდა იმედად.[12]

ახალი ტიპის საჯარო სივრცეებზე კლუბისა თუ კაფესმაგვარი დაწესებულების თბილისში დაარსებაზე ილია სპეციალურადაც საუბრობს ერთ-ერთ თავის წერილში, რომელიც გამომცემლების მიერ შემდეგნაირად არის დასათაურებული: 'ისეთი დაწესებულების საჭიროება, სადაც შესაძლებელი იქნება გართობა, გასაუბრება, დასვენება'. ილია დანანებით მიუთითებდა, რომ შეხვედრის ადგილს მოკლებულია ქართული საზოგადოება, სადაც თან გაერთობა, თანაც აზრის გაცვლა-გამოცვლისათვის შესაფერი ვითარება იქნება:

> მეტადრე საშუალო და ნაკლების შემძლებისანი მოკლებულნი არიან იაფსა და აზრიანს დროსტარებასა. ასე გასინჯეთ, რომ არა აქვთ ისეთი ადგილი, სადაც ერთიერთმანეთთან გამოლაპარაკება შეეძლოთ, სადაც შესაძლებელია ბაასი ყველასათვის და სხვ. და სხვ. ... განა ძნელი საქმეა ისეთი რამ დაწესებულება დავაარსოთ, სადაც ყოველ ჩვენგანს შეძლება ექმნება მივიდეს და საზოგადოებაში გაერთოს, იბაასოს, იკითხოს, რაიმე რიგიანი სათამაშო ითამაშოს და სხვა. ისე ძნელი ხომ არ არის, რარიგადაც ძნელია რომელიმე სამეცნიერო ან სხვა დაწესებულების დაარსება ... მართალია, ჩვენს ქალაქებში მოიპოვება რამდენიმე ისეთი დაწესებულება, სადაც საზოგადოება თავს იყრის დროის გასატარებლად, მაგრამ საქმე ისაა, რომ ზოგი ამ დაწესებულებათაგანი უმრავლესობისთვის ხელმიუწვდომელია. ამას გარდა, ყველა ეს დაწესებულებანი იმრიგად არიან მოწყობილნი, რომ

[12] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, VIII – პუბლიცისტური წერილები, 1886, მაისი-დეკემბერი (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაუთო ლ. მეგრელიშვილმა; ტომის რედ. ზ. ჭუმბურიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 16.

> აქ გრძნობა-გონების დატკბობა ზოგთათვის ყოვლად შეუძლებელია ... ვერ დააკმაყოფილებენ აზრიანის დროის გატარების მსურველს ადამიანს.[13]

ამგვარად, ფაქტობრივად ილია საუბრობს ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომ საზოგადოების თავშეყრის ადგილზე.

ქვეყანა, ერი, საზოგადოება ილიასათვის მორალურობით მარკირებული ფენომენებია. ეს კარგად ჩანს *ივერიის* 1889 წლის 27 იანვრის ილიასეულ მეთაურ წერილში, რომელიც გამომცემელთა მიერ დასათაურებულია როგორც "პრესა და პირადობა". განხილვის საგანს წარმოადგენს პრესის დამოკიდებულება პიროვნებისადმი. სწორედ ამ კონტექსტში გვხდება მსჯელობა საზოგადოებისათვის, ერისთვის, ქვეყნისათვის უზნეო საქციელის დამღუპველობაზე. "ქვეყანა", "ერი", "საზოგადოება" აშკარად სინონიმებია ამ კონტექსტში:

> სავალალო და სამარცხვინო ის არის, რომ ზოგჯერ ტაშისკვრითა და ქება-დიდებით მივეგებებთ ხოლმე სხვის ნამუსის წამბილწველსა, სხვის პატიოსნების შემლახველსა. ამისთანა ყოფაში დიდხანს ვერ გასძლებს ქვეყანა, ერი, საზოგადოება. ეგ წინდაუხედავად შებღალვა ნამუსისა, კაცურის კაცობისა, ჭიაა, რომელიც ქვეყანას, ერს, საზოგადოებას შიგ გულში ჩასჯდომია და დღემუდამ ჰფქვავს, ჰღრღნის, მინამ ბოლოს არ მოუღებს. საცა ეგ არის, იქ ქვეყანას, ერს, საზოგადოებას ჭიანი გული აქვს და ჭიანის გულის სიცოცხლე ხანმოკლეა და უნაყოფო.[14]

როგორც ვხედავთ, ერი და საზოგადოება გაიგივებულია. ესაა საერთო ინტერესით შეკრული კოლექტივი.

ძნელი დასანახი არ არის, რომ ილიასეული ქართველი ერის იდეა ერთდროულად არის როგორც ეთნო-ერის, ისე მოქალაქეობრივი ერის კონცეფციაც. სიტუაციის მიხედვით, ხდებოდა ხან ერთი

---

[13] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, IX – პუბლიცისტური წერილები, 1887 (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ც. ყიფშიძემ; ტომის რედ. რ. ჯურსაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2006, გვ. 549–550.

[14] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. XI – პუბლიცისტური წერილები, 1889–1890 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს მ. ნინიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. გ. ჯამბურია). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 59.

მხარის, ხან მეორის აქტუალიზება. ეთნიკური პერცეფციების განვითარებისათვის მუდმივ წყაროს წარმოადგენდა საქართველოს ყოფნა მრავალეთნიკურ რუსულ იმპერიაში, აგრეთვე, ის, რომ ქართველი ერის ფორმირება ხდებოდა დემოტიკური ეთნიეს საფუძველზე. ეს ხელს უწყობდა ქართველთა ეთნო-კულტურულ მობილიზაციას. მაგრამ ამავე დროს, ილია და *ივერიის* გუნდი საზოგადოდ ერის კონცეფციის შექმნისას მოდელად კულტურულ დასავლეთს სახავდა.[15] დასავლური ლიბერალური იდეებისა და ნაციონალიზმის ლიბერალური დისკურსის იმპულსი დიდი იყო.

თავადაზნაურული წარმომავლობის მიუხედავად, ილია ბურჟუაზიული ლიბერალიზმის იდეების მატარებელი იყო. ილიას სოციალური პროფილის განსაზღვრისას, არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, მისი, როგორც ბანკირის, მოღვაწეობა. სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი ბურჟუაზიულ ფინანსურ დაწესებულებას წარმოადგენდა მიუხედავად მის დამფუძნებელთა კლასობრივი კუთვნილებისა. ბანკის მიერ შესრულებული როლიც შესაბამისი აღმოჩნდა. მან თავადაზნაურობა კი არ გადაარჩინა, როგორც კლასი, არამედ მის აქტიურ ნაწილს ბურჟუაზიად გარდაქმნის შესაძლებლობა მისცა. ოპონენტები როგორც ცნობილია, განქიქების მიზნით, *ივერიას* "ბანკირების გაზეთს" უწოდებდნენ სინამდვილეში ეს გაზეთისათვის კომპლიმენტად უნდა მივიჩნიოთ. ის იყო დაბადების პროცესში მყოფი ქართული ბურჟუაზიის გაზეთი, ახალი კლასისა,

[15] როგორც ვნახეთ, ილიაზე და ბევრ *ივერიელზე* ერის ცნების გაგებაზე დიდი გავლენა მოახდინა ე. რენანის ნააზრევმა და, შესაბამისად, ნაციის ქმნადობის ფრანგულმა მოდელმა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ე. რენანის თვალსაზრისი აშკარად არ იყო ერის ინტერპრეტაციის ორგანიცისტული მოდელი, მაგრამ ამავე დროს, არსებითად ის არც აბსოლუტურად ვოლუნტარისტული მიდგომას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვიმოწმებდით ე. სმითის თვალსაზრისს. ახლა გვინდა დავიმოწმოთ ლ. გრინფელდიც, რომელიც მიუთითებს, რომ ნაციის ქმნადობის ფრანგული გამოცდილება ხასიათდება ამბივალენტურობით: ფრანგული ნაციონალიზმი ერთდროულად არის კოლექტივისტურიც და მოქალაქეობრივიც. იხ. L. Greenfeld. Nationalism. Five Roads to Modernity (Paperback Edtion). Cambridge – Massachusets – London, Harward University Press, 1993, p. 14. ილიას მიერ ნაციის ფენომენის პერცეფცია დასავლური გამოცდილებებიდან ყველაზე ახლოს არის სწორედ ფრანგულ ამბივალენტურ შემთხვევასთან.

რომელიც პასუხისმგებლობას იღებდა ყველა ეროვნულ ფასეულობაზე, ფინანსებზე თუ კულტურაზე. *ივერია*, სწორედ ამ კლასის კულტურული ამბიციის გამომხატველი იყო. ამიტომ არის გადაჯაჭვული ქართული ბანკი და ქართული კულტურა ასე ერთმანეთს ამ პერიოდში. ბანკი კულტურას აძლევდა სახსარს, კულტურა კი ბანკის ინსპირაციის წყაროს და მისი მოღვაწეობის საზოგადოებრივ ლეგიტიმაციას წარმოადგენდა.

საქართველოში მოღვაწე არაქართული წარმომავლობის ბურჟუაზიამ საკუთარი ფინანსების ქართულ კულტურასთან დაკავშირება არ ჩათვალა საჭიროდ, ამიტომაც დარჩა ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის მიღმა.

როგორც ითქვა, ქართველი ერის შესახებ მთავარი თემა ანუ მისი საკრალური ბუნების საკითხი, უნდა განხილულიყო. იყო სხვა მნიშვნელოვანი, ოღონდაც აღნიშნულთან შედარებით მეორეხარისხოვანი, კითხვებიც. ერთ-ერთი ასეშეეხებოდა ქართველი ერის შემადგენლობას.

საქმე ისაა, რომ წინა მოდერნის ხანაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რეგიონალურ იდენტობებს. ისინი ხშირად პოლიტიკური იდენტობითაც იყო განმტკიცებული (მაგალითად, კახელობა კახეთის სამეფოთი, იმერლობა იმერეთის სამეფოთი და ა.შ). კუთხურობა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს რეალობაც იყო. კუთხური იდენტობის მიმართება ნაციონალურ იდენტობასთან მოითხოვდა განმარტებას. გარკვევას საჭიროებდა კითხვა რამდენად შეეძლოთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებთ ყოფილიყვნენ ქართული ნაციონალური ერთობის წევრები. ილია და მისი *ივერია* დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რეგიონალურ და ნაციონალურ იდენტობათა იერარქიულობის დაფიქსირებას და იმის ცხადყოფას, რომ ისინი ურთიერთს არ გამორიცხავს, კერძოდ, *ივერიის* პუბლიკაციები აჩვენებდნენ, რომ "ხევსურობა", "მეგრელობა", "სვანობა" და ა.შ. არ ნიშნავს "ქართველობისაგან" განსხვავებულ თვითიდენტიფიკაციას, პირიქით, ამგვარი რეგიონალური იდენტობის მქონე ჯგუფის წევრობა სწორედაც რომ გულისხმობს ქართველობას ანუ ქართული ნაციონალური ერთობის წევრობას. აღნიშნული განმარტება ემსახურებოდა ჯგუფის შიდა ბარიერების ელიმინაციის ამოცანას და, შესაბამისად, ნაციონალიზმის ერთ-ერთი ფუნდამენტური იდეალის – ერთიანობის იდეალის – განხორციელებას.

იგივე მიზანი ჰქონდა შიდა სოციალური საზღვრების მოშლას. ბატონყმობა, როგორც ბურჟუაზიული ლიბერალიზმისათვის მოუთმენელი სოციალური ინსტიტუტი, მოსპობილი იყო *ივერიის* გამოსვლამდე. მაგრამ წოდებრიობა კვლავ რჩებოდა საზოგადოების დამანაწევრებელ გარემოებად. ილიასა და *ივერიის* გუნდის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი იყო თავისებური და დაბალანსებული. წოდებრიობის მოსპობისაკენ ეს გუნდი არ მოუწოდებდა. წოდებათა ჰარმონიული ურთიერთობა და მათი თანამშრომლობა ერის საკეთილდღეოდ იყო ამ გუნდის იდეალი. ეს მაშინ, როცა ერის თანმიმდევრულ ბურჟუაზიულ კონცეფციებისათვის, წოდებრიობის გაუქმების მოთხოვნა ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია. ქართველ ნაციონალისტთა ზოგი სხვა დასი ამ საკითხს სწორედ ასე უდგებოდა. *ივერიის* დამოკიდებულება კი იყო არსებული ვითარებით ნაკარნახევი მეტად, ვიდრე საერთო მოდელით: ქართველი თავადაზნაურობა მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდა, ამავე დროს თავადაზნაურობა იმ ეპოქაში ჯერ კიდევ რჩებოდა კულტურულ ელიტად, პოლიტიკურ წრეებშიც დიდი იყო არისტოკრატიული წარმოშობის მოღვაწეთა წილი. ამიტომ, წოდებათა, და, კონკრეტულად, თავადაზნაურობის მოსპობის საკითხს ქართველი ერის ილიასეული კონცეფცია არ სვამდა. ილიას *ივერია* ცდილობდა ხელი შეეწყო თავადაზნაურობის გარდაქმნისათვის, რათა მას მთელი ერთობის პრობლემების გათავისება ესწავლა. ამით და გლეხობის განათლების გზით უნდა მომხდარიყო წოდებათა პოზიციების დაახლოება, და მათ შორის დამაკავშირებელი "ჩატეხილი ხიდის" გამთელება. ილიას *ივერიის* იდეალი იყო მთელი წინა მოდერნული ქართული ერთობის "უდანაკარგო" ტრანსფორმირება ქართველ ერში. თავადაზნაურობის "მოშორება", როგორც ითქვა, ნიშნავდა ქართული ერთობის ისტორიის და კულტურის უდიდეს ნაწილზე უარის თქმას, რადგან ისტორიის მთავარი აქტორი წინა მოდერნის ეპოქაში იყო სწორედ თავადაზნაურობა. ქართული კულტურული უნიკუმებიც ექსკლუზიურად ამ სოციალურ კლასს უკავშირდებოდა. ილიასა და *ივერიის* გუნდის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი კარგად ჩანს 1888 წლის 2 ნოემბრის მეთაური წერილიდან, რომელიც გამომცემლების მიერ დასათაურებულია როგორც *წოდებათა ურთიერთობა*:

ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფელად, დიდპატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლივ ერთიანის მეცადინეობით და გარჯით ჰცდილობს ცხოვრების გზა გაიკვლიოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად საყოველთაოდ. ცალ-ცალკე წევა წუთისოფლის უღელისა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, მარტო თავის თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებლია ხალხთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან. ტყულად ჰფიქრობენ, ვითომც კაცთა ურთიერთობაში შესაძლებელი იყოს რომელისამე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოფარგლოს და ამით რაიმე ხეირი და სიკეთე ჰნახოს საბოლოოდ ... ამისთანა წყობა და აგებულება საზოგადოებისა, თუ ერისა დიდხანს თავს ვერ დაიჭერს.[16]

ქვეყანაზედ მარტო იმ ერს გაუძლია, მარტო იმ ერს გამოუტანია თავი ათასგვარ განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზე შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელიმე წოდების წინ წამოწევა არაფრის მაქნისია თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა ... ვინც დღეს ამას ივიწყებს, ის ივიწყებს საკუთარ თავსა, საკუთარს ბედნიერებას სულიერსა და ხორციელს. ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენი თავადაზნაურობა ჯერ ამ მოძღვრებას ვერ მისწვდომია.[17]

ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელი ერისა და ამიტომავ თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მთელი ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე.[18]

---

[16] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ.შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 371.

[17] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ.შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 372.

[18] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები

ილიას და *ივერიელებს* სურდათ აემაღლებინათ თავადაზნაურობაში საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის განცდა, გარდაექმნათ ის აქტიურ სოციალურ კლასად, ცხადია, ბურჟუაზიად. ის, რომ თავადაზნაურობის გარდაქმნას ილიას გუნდი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, კარგად ჩანს *ივერიის* მრავალი პუბლიკაციიდან. ერთ-ერთი ასეთია 1888 წელს 15 მარტს გამოქვეყნებული ილიას მეთაური წერილი, რომელიც გამომცემელთა მიერ დასათაურებულია, როგორც *თავადაზნაურობის ფერისცვალება*. აქ საუბარია იმაზე, რომ ადრე საგუბერნიო კრებაზე წასვლას მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. თუ ყურადღებას მიაქცევდნენ მხოლოდ იმიტომ რომ თავისი ახლობელისათვის თანამდებობისაკენ გზა გაეკაფათ. ახლა კი მარშლებისა და მოხელეების ამორჩევის საქმეს გულისყურით ეკიდებიან, რადგან დაინახეს, რომ, საგუბერნიო კრების გადაწყვეტილებებს შეუძლიათ ბევრი რამის სასიკეთოდ შეცვლა, რომ შეუძლიათ ხელი შეუწყონ თავადაზნაურობის თვითმოქმედობას კანონით ნებადართულ ფარგლებში. ილია კმაყოფილებით შენიშნავს:

> რაკი ამისთანა საქმეებზედ ჩვენს თავადაზნაურობას, ღვთის მადლითა, თვალი აეხილა. რაკი თავადაზნაურობას გულში დაეძრა ყოვლის მხსნელი აზრი თავისთავის შველისა, მოხელეთა არჩევანსაც სულ სხვა რიგის თვალით უნდა დაუწყო ყურება დღეის იქით: ასარჩევნი კაცნი შეურჩიოს გასაძღოლი საქმის სიმძიმეს და სიძნელეს.[19]

თავადაზანაურობის გარადქმნის და დროის მოთხოვნათა ადექვატურ კლასად გადაქცევისაკენ მოწოდება ჩანს ამავე წელს 22 მარტს გამოქვეყნებულ ილიას მეთაურ წერილშიც, რომელიც ასეა დასათაურებული *თავადაზნაურობის უქმობით ჩვენი მიწა-წყლის დაკარგვა*. აი, როგორი დისკურსიაა აქ წარმოდგენილი:

დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ.შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 373.

[19] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ.შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ.135.

ადამიანის ცხოვრება, და ნამეტნავად ეკონომიური, გაუწყვეტელი ჭიდილია და გამარჯვებული მარტო იგია, ვინც მხნეა, საქმის კაცია და ხელიდამ რამ გამოსდის. ვისაც ეს ზნე არა სჭირს, იმას ჭიდილში ფეხზე არა დააყენებს ... მაგისთანა კაცს, როგორც უძირო ქვევრს, რაც გინდა ბევრი ჩააყაროთ, ვერა სიმდიდრე ვერ გაუძლებს. სიმდიდრე იმისთანა ბუნებისაა, რომ ყოველთვის მიურბის უუნაროს და უქმს და მიეზიდება უქნარიან და საქმიან კაცისაკენ. ეს ეკონომიური რკინის კანონია და ისე გარდაუვალი, ისე აუცილებელი, როგორც ყოველი კანონი.[20]

ვჩივით, რომ მამულები ხელიდამ მიგვდისო და ვიძახით, გვიშველეთო. გარედან შველა უქმის კაცისთვის იგივ ხავსია წყალწაღებულისათვის ... მამულები ხელიდან მიგვდისო, ვისგან ისმის ეს ჩივილია? აბა ამ ჩივილში გამოარკვიეთ თუნდაც ერთი ხმა იმისათანა წოდების კაცისა, რომელიც თავის შრომასა და გამრჯელობაზეა დამყარებული? გლეხი სჩივის ამას? არა. ვაჭარი, აღებ-მიცემობის კაცი სჩივის ამას? არა. მღვდელი, დიაკვანი ჰყვირის: გვიშველეთო? არა. ხომ ვერ დავუფიცავთ, რომ ამ ერთში ან ერთს, ან მეორეს ან მესამეს მამული არა ჰქონდეს. რატომ ესენი არა სჩივიან მამულები ხელიდან მიგვდისო? იმიტომ რომ მამულის ყადრი მის ეკონომიურ ბუნებისამებრ ამათ კარგად იციან, იმიტომ რომ ესენი თვითონ ირჯებიან, თვითონ მხნეობენ. მამულს უყვარს გამრჯელი ხელი და გამრჯელის ხელში დარჩენა და ყოფნა მამულის ეკონომიური ბუნებაა, იმისი დანიშნულებაა.[21]

მაშ ვიღა ჩივის მამულების ხელიდამ გაცლასა? მარტო თავადაზნაურობა. მაშასადამე, ჭირიც უქმობისა აქ არის დაბუდებული და დაბინავებული.[22]

---

[20] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ.შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ.145.

[21] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ.შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ.145,146.

[22] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ.შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ.147.

მაგრამ ნაციონალური კოლექტივის შიდა ერთიანობას და მის სოციალური ჰომოგენურობისაკენ სწრაფვას აქვს არა მარტო წოდებრივი, არამედ გენდერული ასპექტიც. ქართული ერთობის შიგნით ნაციონალური იდეის ცირკულაციას ხელს უშლიდა არა მარტო დაბალი წოდების უუფლებობა, არამედ ქალთა სოციალური უუფლებობაც. გაუნათლებელი და არათვითმოქმედი და, ამის გამო, სოციალურად მარგინალური ქალები ქართველი ნაციონალისტი იდეოლოგების იდეალს არ წარმოადგენდნენ. ილიას აზრით, ქალში მთავარია მისი საზოგადოებრიობა, ადამიანობა. ესაა სწორედ "დედაკაცობა" და არა ფუნქციები ოჯახში, ისეთიც კი, როგორიცაა დედობა.

დედობა, ცოლობა, დობა, ქალისათვის მეორეხარისხოვანი ფუნქციებია, როგორც მამაკაცისათვის მამობა, ქმრობა, ძმობა. ორივესათვის მთავარია ადამიანობა. ამგვარად, ილია და მისი *ოვერია*, ამკვიდრებდნენ აზრს სქესთა სრული თანასწორობის შესახებ. ქალი ისევე უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივად აქტიური, სიახლის შემომტანი, განათლებული, როგორც მამაკაცი იგი უნდა ყოფილიყო ეროვნული იდეების გავრცელებისათვის ხელშემწყობი.

მაგრამ ამავე დროს ქალი განიხილებოდა ტრადიციების უმთავრეს დამცველად და შემნახველად, იქამდეც კი, რომ ტრადიციის ერთგულებას სწავლა-განათლებაზე უპირატესი როლიც კი ენიჭებოდა. ნაციონალურ იდეოლოგიას ერთი მარადიული პრობლემა აქვს: ერთის მხრივ, უნდა აჩვენოს სიახლე, მეორე მხრივ, ტრადიციის განგრძოობადობა და, შესაბამისად, თავდაპირველი მოცემულობის უცვლელობა. *ოვერიის* ბევრ პუბლიკაციაში კარგად ჩანს ტრადიციის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამის საილუსტრაციო მასალა ზემოთ უკვე მოყვანილ იყო. ბევრ შემთხვევაში და განსაკუთრებით კი, ჩვენი აზრით, ილიას ერთ სტატიაში ეს ფაქტი პარადოქსულად არის გამოხატული. მხედველობაში გვაქვს ნინო ბაგრატიონის ნეკროლოგი.

ვიდრე უმუალოდ ნინო ბაგრატიონს შეეხებოდეს, ილია მსჯელობს ქართველი ქალების შესახებ ძველ და ახალ დროში. მიუთითებს, რომ, მართალია, მის თანამედროვე ქალებს აქვთ განათლება, მაგრამ აკლიათ ქართული ოჯახის ზნეობრივი აღზრდა. ქალების ძველი თაობის წარმომადგენლებმა შეიძლება არც კი იცოდენ სადაა პარიზი, მაგრამ მათ აქვთ ზნეობრივი აღზრდა მიღებული. ილიას მითითებით, ცხადია, კარგია ქალებს განათლებაც

ჰქონდეთ და ტრადიციული ზნეობაც, მაგრამ თუ არჩევანზე მიდგა საქმე, ტრადიციულ ზნეობას უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

თუ გავითვალისწინებთ რა მნიშვნელობას აძლევდა ილია განათლებას, გასაგები გახდება რა დიდია მისი დათმობა ამ შემთხვევაში ტრადიიციის სასარგებლოდ. რამდენიმე ციტატი გვინდა ამ პუბლკიაციიდანაც დავიმოწმოთ.

ნეკროლოგი იწყება გაბრიელ ეპისკოპოსის მოგონებით, რომელიც შეეხება ერთ-ერთ ეკლესიაში გამოხატულ ღვთისმშობლის ხატს: მასზე თითისტარიანი ღვთისმშობელი ყოფილა გამოსახული. გაბრიელ ეპისკოპოსი აღფრთოვანებით საუბრობდა თურმე ამ ხატზე:

> ჩვენმა სასიქადულო გაბრიელ ეპისკოპოსმა ერთელ ერთ თავის სახელოვან ქადაგებაში ბრძანა: მე თვითონ არ მინახავს, მაგრამ გამიგონია სარწმუნოთა კაცთაგან, რომ ერთ ძველ ეკლესიასა შინა კედელზედ არის დახატული ყოვლადწმინდა ღვთიმშობელი და მის წინ სძევს მატყლი, ხელში უჭირავს ტარი და ქსოვს მატყლსა, ნეტამც ჩემის თვალით მენახა ეს ხატი.[23]

როგორც ცნობილია, ძველ სამყაროში თითისტარი ქალის სიმბოლოს წარმოადგენდა. ეს იყო ქალის ტრადიციული საქმიანობა. დიაცი იყო "ქსლის მბეჭველი", პატრიარქალური წესებისადმი პროტესტი გამოიხატებოდა ჭიჭნაუხტის ნაცვლად სხვა რამისათვის ხელის მოკიდებაში, მაგალითად, როგორც ეს წმ. შუშანიკის შემთხვევაშია, საღვთო წიგნების კითხვაში.

ანუ სახე "ქალი თითისტარით" არის ტრადიციულობის სახე. ქრისტიანობამ მძლავრი დარტყმა მიაყენა ტრადიციულ საზოგადოებას, რევოლუციურად ააფეთქა ძველი შეხედულებები და მნიშვნელოვნად შეარყია პატრიარქალური საზოგადოების საფუძვლები. ქალები მამაკაცის თანაბრად იქნენ გააზრებულნი უფლის სიტყვის მიმღებლობის თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ პირველი ახალი ქალი ღვთისმშობელი იყო. მის ხელში თითისტარი იმიტომაც აღაფრთოვანებდა გაბრიელ ეპისკოპოსსა და ილია ჭავჭავაძეს, რომ ეს ნიშნავს ქალის

[23] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, VIII – პუბლიცისტური წერილები, 1886, მაისი-დეკემბერი (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაუთო ლ. მეგრელიშვილმა; ტომის რედ. ზ. ჭუმბურიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 499.

საზოგადოებრივი მნიშვნელობის ახლებურად გააზრებასთან ერთად მისი ტრადიციული როლის შენარჩუნებასაც, ტრადიციის აღიარება კი ძალიან მნიშვნელოვანია ილიასთვის, როგორც ყოველი ნაციონალისტისათვის:

> თუ ჩვენში სადმე არის ქალი, რომელსაც ცოტა თუ ბევრად თვალწინ უდგა მღვდელმთავრისაგან ასე მშვენივრად სიტყვით გამოსახული ხატი, თუ სადმე არის, – ისევ ჩვენს ძველს დედაკაცთა შორის. მართალია, იმ ძველ დედაკაცთა იქნება არ იციან, რომ პარიზი საფრანგეთის დედაქალაქია და პეტერბურგი ახლოა თუ შორს, მაგრამ იციან კი "იგი მოვალეობა, ღირსება და მნიშვნელობა", რომელსაც ჩვენი ქალებისათვის ასე სამართლიანად ნატრულობს ჩვენი ბრწყინვალე ეპისკოპოსი. ყოველივე ეს იმოდენად სწავლის შედეგი არ არის, რამოდენად ხასიათის, თვისების გაწრთვნილებისა და განმტკიცებისა. ამ ხასიათის, თვისების გაწვრთნაში ჩვენს ძველ ოჯახს ახლანდელი სკოლა ვერ შეედრება. უწინდელს ჩვენს გაწვრთნას ცოდნა აკლდა და ახლანდელს ჩვენს ცოდნას ხასიათის და თვისების გაწვრთნა აკლია. თქმა არ უნდა, რომ უკეთესი არა იქნებოდა რა, რომ ხასიათის გაწვრთნას ცოდნა ჰქონდეს და ცოდნას ხასიათის გაწვრთნა. იდეალი ადამიანის აღზრდისა ამ ორი საუნჯის ერთად შექსოვაა. მაგრამ როცა არ არის ერთად შექსოვილი, მაშინ მკითხველი მიგვიხვდეს, ამ ორში რომელი უფრო უნდა ამჯობინოს კაცმა. რომ მართლა ისევ ჩვენ ძველ დედაკაცთა შორის მოიპოვებიან ისეთნი გვამნი, რომელთაც ჩვენდა საბედნიეროდ გვირჩევს ბრწყინვალედ განათლებულნი გაბრიელ ეპისკოპოსი, ამის მაგალითი იყო კნეინა ნინო.[24]

ქალების სოციალური მარგინალობის მოსპობას მრავალი ასპექტი ჰქონდა. ეს კარგად ჩანს *ივერიის* სხვადასხვა პუბლიკაციაში. მაგალითად, ერთ-ერთ მეთაურ წერილში, რომელიც 1888 წლის 2 ივლისის ნომერში გამოვიდა, ილია მსჯელობს, რომ უფლებებს მოვალეობებიც მოჰყვება და ეს ქალებს სათანადოდ გაცნობიერებული არა აქვთ. მას მოჰყავს ამერიკელი ქალების ინიციატივიანობის მაგალითი და გამოთქვამს

[24] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, VIII – პუბლიცისტური წერილები, 1886, მაისი-დეკემბერი (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაუთო ლ. მეგრელიშვილმა; ტომის რედ. ზ. ჭუმბურიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 500–501.

სურვილს, რომ ქართველმა ქალებმაც მათ მიბაძონ და საზოგადო საქმეში ხალისი გამოიჩინონ.[25]

ასევე ერთ-ერთ მეთაურ წერილში, რომელიც 1888 წლის 12 დეკემბერს გამოქვეყნდა და, რომელსაც პირობითად ეწოდება *დედათა საქმე*, ილია ვრცლად განიხილავს ამ საკითხს, მიუთითებს მათ წინსვლას ბევრ სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით, ყურადღებას ამახვილებს არჩევნებში ხმის უფლებით მონაწილეობაზე. აქ მნიშვნელოვნად მიაჩნია ინგლისელ კონსერვატორთა იმდროინდელი მეთაურის პოზიცია, იმის შესახებ, რომ ქალებს მიენიჭოთ საარჩევნო უფლება. ამ ვითარების აღწერას ილია აჯამებს შემდეგი ფრაზით:

> თუ კონსერვატორთა მეთაური ასე ძლეულა დედათა საქმის სამართლიანობითა და ასეთის აზრით გამსჭვალულა ამ საქმის სასარგებლოდ და გასამარჯვებლად, სხვას ვისღა აქვს საბუთი სთქვას, რომ შორს არის ის დრო, როცა დედათა საქმე თავისას გაიტანს და მთელი ეს ნახევარი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისის კუთვნილის ადგილის დასაჭერად.[26]

როგორც ცნობილია, ნაციონალიზმის იდეოლოგიაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ავთენტურობას და ლოიალობის საფუძვლის განსაზღვრას ენიჭება. წინა მოდერნის ეპოქაში ლოიალობის ორიენტირს მეფე წარმოადგენდა. რომელიც იყო საკრალიზებული ფიგურა და იდენტობის პერსონიფიკაცია. ნაციონალიზმის იდეოლოგიაში მის ადგილს, როგორც ითქვა, იკავებს "ხალხი". საქართველოში ქართველებს მეფე თავად არ მოუკლავთ. ქართული მეფობა რუსეთმა მოსპო. ქართველთა ნაციონალური სენტიმენტების პირველი მანიფესტაცია სწორედ ამ ფაქტს უკავშირდება. ხშირად არის *ივერიის* ყურადღება მიპყრობილი ქართული წინამოდერნული სახელმწიფოებრიობის

[25] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ.შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 279, 281.

[26] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ.შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 428.

დასასრულისა ამ ფინალური ეპიზოდებისადმი. ნაციონალიზმი საქართველოში ჩაისახა არა მეფობის წინააღმდეგ ბრძოლით, არამედ მისი დაცვით. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ილია "ქართლის ცხოვრებას" იწუნებს მარტო მისი ინტერესით მეფეებისადმი, თავადვე აფუძნებს მეფე-გმირების კულტს. მართალია, ეს ფაქტი უკავშირდება ზოგადად წარსულის იდეალიზაციას, მაფრამ მაინც ეს არის მეფე-გმირების სახეები. სწორედ ილიასა და *ივერიის* პუბლიკაციების დამსახურებაა, რომ ეს სახეები ქართული ისტორიული მახსოვრობის ხატები გახდა. იმავდროულად მეფობის დესაკრალიზაციასაც ჰქონდა ადგილი. ერეკლე მეორის შემდგომი სამეფო კარის ინტრიგების აღწერა სწორედ ამას ემსახურება.

მეფის დესაკრალიზაცია უშუალო კავშირშია "ხალხის" კონცეპტუალიზაციასთან, რადგან, როგორც ითქვა, "ხალხი" ნაციონალისტური მოძრაობის შედეგად იქცევა ლოიალობის უმთავრეს საფუძვლად ყველგან და, ცხადია, საქართველოშიც. საანალიზო პერიოდში მისი შინაარსი ცვალებადობს, ხან ეს სიტყვა აღნიშნავს არაპრივილეგირებულ მშრომელ ფენას, გლეხობას. თუმც მთლიანობაში გლეხობა არაა იდეალიზებული, მაგრამ ამის საუკეთესო ნაწილი, როგორსაც, მაგალითად, ოთარაანთ ქვრივი და მისი ვაჟი წარმოადგენდა, ინახავს ქართველობას და, შესაბამისად, ავთენტურობის წყაროცაა.

სიტყვა "ხალხი" გვხდება ცალკეც და სხვადასხვა ატრიბუტითაც: "მდაბიო ხალხი", "მუშა ხალხი", რაც მიუთითებს მის გამოყენებას სოციალურად მარკირებული ჯგუფების აღსანიშნავად, მაგრამ ზოგჯერ სიტყვა "ხალხი" გამოიყენება კოლექტიურ კულტურულ ოდენტობაზე აღმოცენებული ჯგუფის ანუ ერის (ნაციის) მნიშვნელობით. ამავე დროს "ხალხი" მიემართება ეთნიკურ ერთობასაც, მისგან მომდინარე სიტყვა "ხალხოსნობა" ნიშნავს ეთნიკურობას, დასტურდება შემდეგი შემთხვევაც: "ხალხი" და "ერი" გამოიყენება როგორც სინონიმები, "ერი" აღნიშნავს სოციალურად მარკირებულ ჯგუფს, მაგალითად, გზის მუშებს. ქვემოთ მოგვყავს ნაწყვეტები, რომლებიც საინტერესოა ტერმინების "ხალხისა" და "ერის" ერთ კონტესტში მოხსენიებით. აღნიშნული წერილი ნიშანდობლივია იმითაც, რომ აქ დახატულია რუსი მოხელის სიმპათიური სახე და მისი კეთილი დამოკიდებულება ხალხისადმი. გამოცემაში პირობითად ეს წერილი დასათაურებულია როგორც *მკალიების შემოსევა სიღნაღის მაზრაში*.

> როცა გუბერნატორად თ. გაგარინი ბრძანდებოდა ტფილისის გუბერნიაში, მაშინაც ეს საშინელი მტერი გაჩნდა ჩვენს ქვეყანაში. ჩვენებური ერი მანამდე დარწმუნებული იყო, რომ ეს ამისთანა უბედურება მოევლინება ხოლმე ქვეყანას ღვთის ნებით და ამიტომაც ჭიდილი ამ უბედურებასთან თითქმის ღვთის გმობად და განგების წინააღმდეგობად მიაჩნდათ. ეს ამისთანა რწმენა იყო მიზეზი, რომ ჩვენი ერი გულხედაკრეფილი შეჰყურებდა ამ საშინელს მტერს.[27]

ილია განაგრძობს და ახასიათებს თავად გაგარინს, რომელსაც გულთან ახლოს მიუტანია ხალხის გასაჭირი:

> თ. გაგარინის სამაგალითო თავგამოდებამ და მხნეობამ ეს ასეთი მავნებელი რწმენა ერისა მკალიის შესახებ მთლად შეჰმუსრა და ცხადის მაგალითით დაუმტკიცა ერს, რომ მკალიასთან ბრძოლაც კი შესაძლებელია ადამიანისათვის და არც ღვთისათვის არის საწყენი ... ამისთანა სიყვარულით აღსავსე მოქმედებამ თ. გაგარინისამ იხსნა ქვეყანა შიმშილის უბედურებისაგან და ისეთის სისწრაფით გააწყვეტინა ხალხს მკალია, რომ მკალიამ სამერმისოდაც კვერცხის დაყრა ვერ მოასწრო. ხალხს მისისავე საკუთარის თვალით დაანახვა რა შეუძლიან მხნეობას ... ჩვენ თვითონ საკუთარის თვალით გვინახავს თ. გაგარინი სიცხე პაპანაქებაში მდგარა მინდვრად მუშებს შორის და ისე უმუშავებია ხალხი და გაუმხნევებია სიტყვითა და თავზე დგომითა.[28]

"ხალხის" გამოყენება "ერის" მნიშვნელობით ანუ კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ჯგუფის აღსანიშნავად ვფიქრობთ, რომ მიუთითებს ერთობის სოციალური ჰომოგენიზაციის პროცესის განვითარებას.[29]

---

[27] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, IX – პუბლიცისტური წერილები, 1887 (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ც. ყიფშიძემ; ტომის რედ. რ. კურსაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2006, გვ. 342.

[28] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, IX – პუბლიცისტური წერილები, 1887 (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ც. ყიფშიძემ; ტომის რედ. რ. კურსაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2006, გვ. 343.

[29] სპეციალისტთა დიდ ინტერესს იწვევს პროცესის განვითარება იმ მიმართულებით, რომელსაც პირობითად "ერისა" და "ხალხის" ურთიერთმიმართების "არხი" შეიძლება ეწოდოს. სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი და ზემოთაც ნაწილობრივ ითქვა, რომ საზოგადოდ ეს მიმართება ეპოქების მიხედვით

ამავე დროს ვხედავთ, რომ "ერიც" გამოიყენება სოციალური მნიშვნელობით, ანუ მოსახლეობის იმ ნაწილის აღსანიშნავად, რომელიც უშუალოდ სოფლის მეურნეობაში არის ჩართული:

> ჯერ მკალია, ვითარცა ახლახან გამოჩეკილი, კუტია და ფრთები არ შეუსხამს თურმე, მაშასადამე ამ საშინელს მტერს ქვეყნის კეთილდღეობისას ეხლავე უნდა გაემკლავოს კაცი, თორემ პატარა ხანს შემდეგ, როცა ფრენას დაიწყებს, მისი გაწყვეტა შეუძლებელი გახდება და მოსჭამს თუ არა აქაურობას, სხვა მხარეებსაც ეწვევა და ერის ნაწვავ-ნადაგს მოსავალს გაანადგურებს.[30]

ივერიასეული "ხალხი", როგორც ითქვა, სოციალურად უკვე დიფერენცირებულია, მაგალითად, საერთო ფონიდან გამოირჩევა "მუშა ხალხი", რომელსაც აქვს საკუთარი პრობლემები და ინტერესები. ამ მხრივ, ინტერესს იწვევს 1890 წელს 22 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული ილიასეული მეთაური წერილი *მუშა ხალხის საქმე გერმანიაში*:

> მუშა ხალხის საქმემ, რომელიც გერმანიის იმპერატორმა ასე გაბედულად ითავა და რომელმაც გერმანიის არჩევნებზე დიდი ძალი და შემძლეობა გამოიჩინა, მთელის ევროპის ყურადღება მიიზიდა. ნამეტნავად დიდად

ცვალებადია. მეტად საინტერესოა სურათი, რომელსაც "უფლის პირმშოდ" წოდებული ერის – ინგლისელი ერის – ისტორიული გამოცდილების საფუძველზე აღადგენენ: გარკვეულ დროს, კერძოდ, მეთექვსმეტე საუკუნის პირველი ნახევრისათვის სიტყვა "ნაცია" "ელიტის" მნიშვნელობით, გადაიქცა ქვეყნის მთელი მოსახლეობის აღნიშვნელი ტერმინად და გახდა სიტყვა "ხალხის" სინონიმი. ეს სემანტიკური ტრანსფორმაცია, ლ. გრინფელდის აზრით, მიუთითებს მსოფლიოს პირველი ნაციის წარმოშობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ კონცეპტუალური რევოლუციისა წარმოჩინდება იმ ფაქტით, რომ ადრე სიტყვა "ხალხი" რეგიონების მოსახლეობის, კონკრეტულად, პლებსისა და ბრბოს აღსანიშნავად გამოიყენებოდა. იხ. L. Greenfeld. Nationalism. Five Roads to Modernity (Eaperback Edtion). Cambridge – Massachusets – London, Harward University Press, 1993, p. 6.

[30] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ.შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 342.

> შესამჩნევია, რომ აწინდელს არჩევანებზე სოციალ-დემოკრატებმა მეტისმეტად გაიმარჯვეს და ამასთან გაიმარჯვა ეგრეთწოდებულ "თავისუფალ მზრახავთა" დასმაც ... თავისუფლად მზრახავთა" და ნამეტნავად სოციალ-დემოკრატთა გაძლიერება რეიხსტაგში მოასწავებს მუშა ხალხის საქმეთა წამოდუღებას და ეს ისეთი ფხიანი და ეკლიანი საქმეა ისეთი რთულად გამჯდარი სახელმწიფოს ძვალსა და რბილში, ისე დამოკიდებულია თვით ყოველფერზე და ყოველიფერი იმაზე, რომ ბევრრიგად მოვლა და პატრონობა უნდა, ბევრრიგად ანგარიშის გაწევა და გაძღოლა. მართალია გერმანიის იმპერატორი მიხვდა დროთა მეტყველებას და მუშა ხალხის საქმეს თავისი ძლიერი ხელი ჩასჭიდა და აქამომდე საშინაო საქმედ ცნობილი, მთელის ევროპის საქმედ გახადა, ჯერ არავინ იცის ეს თაოსნობა ახალგაზრდა იმპერატორისა შედეგად რას იქონიებს ... ყველაზე უწინარეს სათქმელი ეს არის რომ, მუშა ხალხთა საქმე ორი ნაწილისაგან შედგება. ერთი ნაწილი მთლად ექვემდებარება თითოეულს სახელმწიფოს ცალკე, თვითეულის ცალკე მეცადინეობით გასაძღოლია და გასამართავი და მეორე ნაწილი იმისთანა თვისებისაა, რომ ყველა სახელმწიფოსათვის ერთნაირად საფიქრებელია და უერთმანეთოდ მისი გაძღოლა და გამართვა, ჩვენის ფიქრითა, ყოვლად შეუძლებელია. აი, სწორედ ამ მხრით გაგებულმა საქმემ დღეს მიაღწია იქამდე, რომ გერმანიის იმპერატორმა საევროპო საქმედ ცნა დღეს აქამომდე საშინაო საქმედ ცნობილი. უმთავრესი ძარღვი მუშა ხალხის საქმის იგია, რომ სამუშაო დღე შემოკლებულ იყოს და ფასი მუშისა გადიდდეს.[31]

რახან "ხალხია" ავთენტურობის წყარო, ნაციონალისტისათვის მისგან მომდინარე ყველაფერი ძვირფასია, თითქმის საკრალურია: ენა, პოეზია, ჩვეულებები. მხოლოდ ხალხური ენა არის ნამდვილი, ენის კანონმდებელია ხალხია და არა მწერლები და მეცნიერები.

ეს, ცხადია, პოპულისტური იდეებია, რომლებიც სინამდვილეს ზუსტად არ ასახავს. მაგრამ პოპულისტური რიტორიკა ნაციონალიზმის იდეოლოგიის უმთავრესი მახასიათებელია. საქმე ისაა, რომ მშობლიური ერის იდეის ელიტური წარმომავლობის მიუხედავად, ნაციებს მასები შეადგენენ, ამიტომ ყველაფრის კანონმდებელი ხალხი და მისი ხატება მოუშორებელია მშობლიური ერის იდეისაგან.

---

[31] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. XI – პუბლიცისტური წერილები, 1889–1890 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს მ. ნინიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. გ. ჯამბურია). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 505, 506.

ყველაზე ხშირად მაინც სიტყვა "ხალხი" გამოიყენება მოსახლეობის სოფლის მეურნეობაში დასაქმებული, უშუალოდ წარმოებაში ჩართული ფენის აღსანიშნავად. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს 1886 წელს 20 მაისის ნომერში გამოქვეყნებული ილიასეული მეთაური, რომელიც გამოცემაში დასათაურებულია როგორც *ჩვენი ეკონომიური საჭიროებანი და გზების საკითხი*. გზები, აშკარად ის საკითხია, რომელიც თანაბრად ეხება ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენას. ამიტომ როცა საუბრობს ხალხზე, შეიძლება ვიფიქროთ რომ სიტყვა შეეხება მთელ ქართულ ერთობას. მაგრამ ისე ჩანს, რომ მაინც დაბალ სოციალურ ფენებს ეხება სიტყვა:

> კარგის გზების უქონლობა მნიშნელოვანი ნაკლულევანებაა ხალხის ცხოვრებაში, გზების უქონლობა ხელს უშლის ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობას, უკან აყენებს, აფერხებს მის ცხოვრების წინმსვლელობას.[32]

ნაციონალიზმი არის იდეოლოგია, რომელიც ათავისუფლებს პიროვნებას. ერთადერთი, რისგანაც ის არ ათავისუფლებს ინდივიდს, ესაა მამულისათვის მსახურება. ილიას მიერ ხშირად გამოყენებული სიტყვა "მამული" ნიშნავს წარსულის მემკვიდრეობას, მამათა მიერ დანატოვარ სიმდიდრეს, როგორც მატერიალურს, ისე სულიერს, პირველ რიგში მიწას, რომელიც მოიაზრება წმინდად.

ილიასა და *ივერიის* პუბლიცისტების განმარტებით, ცხოვრება უნდა იყოს მამულის განუწყვეტელი მსახურება. გართობა *ივერიის* გუნდისათვის ფუჭი სიტყვაა. თეატრი არაა გართობის ადგილი, არამედ საჯარო სივრცე, რომელიც ეროვნული იდეის გახმოვანებას უნდა მოემსახუროს. ოჯახიც არაა მხოლოდ პრივატული სფერო, არამედ ადგილი, სადაც ერის შვილთა და მსახურთა აღზრდა და დავაჟკაცება უნდა მოხდეს. ოჯახი სულაც არ ნიშნავს პირადი ცხოვრებით ბედნიერებას, ოჯახი ნიშნავს მამულისათვის თავშეწირვას.

ივერიის პერიოდის ილია უფრო ზომიერად ატარებს ამგვარ აზრებს. მაგრამ მსხვერპლის იდეა, ვნახეთ, როგორ მკაფიოდ იყო

---

[32] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, VIII – პუბლიცისტური წერილები, 1886, მაისი-დეკემბერი (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაუთო ლ. მეგრელიშვილმა; ტომის რედ. ზ. ჭუმბურიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 38.

გამოხატული მის ადრინდელ ლექსებში. ერთ-ერთი ასეთია 1858 წელს პეტერბურგში დაწერილი *ნანა*.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ლექსი შემაძრწუნებელია ნაციონალისტური იმპერატივით: პირველი სტროფის გარდა ლექსის შვიდი სტროფი წარმოადგენს დედის მოწოდებას აკვანში მყოფი ჩვილისადმი თავი დასდოს მამულისათვის. აი, ლექსის შემაჯამებელ სტროფი, სადაც ეს აზრი განსაკუთრებული სიმძაფრით არის გამოთქმული:

თუ ეგრე შენ მოჰკვდები
ნუ გინდა ნურა ძეგლი
ისეც უკვდავ იქნები
ვით დედის შენის ცრემლი!
ჩემი ნანა ეს არი,
შვილო, მას უერთგულე,
რაც მე სიტყვით გითხარი,
შენ საქმით აღმისრულე!
ნანა, მამულის მსხვერპლო,
პაწაწინა ქართველო!

ამგვარი დამოკიდებულებიდან გამომდინარე გმირების, წმინდანების, დიადი გარდაცვლილების თემას დიდი ადგილი უკავია ილიასეულ და *ივერიასეულ* ქართველი ერის იდეაში. სწორედ გმირების საშუალებით წარსული აწმყოსა და მომავლის გარანტად გვევლინება. ერთობა წარმოჩნდება როგორც მთლიანი ორგანიზმი. ამიტომ ერთი კარგი შვილის ყოლა ქვეყანისათვის მისი განმეორების ალბათობას ქმნის. გმირები ერის საუნჯეა. მათ შორის, როგორც ითქვა, ბევრი იყო მეფე, იმის გამო, რომ წყაროებში ინფორმაცია სწორედ მათ შესახებ გვხდება. მაგრამ ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგია ამკვიდრებს ხალხის წრიდან გამოსული გმირების თაყვანცემასაც, მაგალითად, ცხრა ძმა ხერხეულიძეების ისტორიას მიუჩენს თავის ადგილს ნაციონალურ ნარატივში. ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის წარმატებისათვის გმირობის, კეთილშობილური ქმედების მაგალითების მნიშვნელობა განუზომელია:

დიდბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა ... ერი თავის გმირების მაგალითებით უნდა

ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს.[33]

ერთ-ერთი პირველი ეროვნული გმირის და წმინდანის კულტი, რომელსაც აფუძნებს ილია და მისი *ივერია*, არის დიმიტრი ყიფიანი. როგორც მივუთითებდით, ჯერ კიდევ დ. ყიფიანის დაკრძალვამდე ქვეყნდება ილიას მეთაური წერილი, რომელშიც წარმოდგენილია წმინდანობის ატრიბუტების მატარებელი დ. ყიფიანის სიტყვიერი ხატი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ თარიღზე სულ ცოტა ხნის წინ უმწვავესი პოლემიკა ჰქონდა ილიას დ. ყიფიანთან ბანკის საკითხზე, ილია ამ დეტალებს უმალ ივიწყებს და ქართველი ერის იდეას ამდიდრებს "ღვთად მიჩნეული მამულისათვის" თავდადებული წმინდანის სახით.

გმირად დიმიტრი ყიფიანს უფრო აკაკის ლექსი წარმოაჩენს. ილია კვლავ საკრალურ ასპექტს ამძაფრებს: იგი ამ პიროვნებას, როგორც მარტვილს, ისე ხედავს.

მაგრამ არა მარტო მარტვილნი და ბრძოლის ველზე მედგრად მებრძოლნი იმკვიდრებენ ადგილს ილიასეულ და *ივერიასეულ* ქართველი ერის ნარატივში, არამედ სულ სხვა ტიპის გმირებიც, ადამიანები, რომელთა გმირობა გამოიხატება სამოქალაქო საქმეთა პატიოსნად კეთებაში, მორალურ ქმედებათა მუდმივ ჯაჭვში. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა მოსამართლე იესე ანდრონიკაშვილი, რომელსაც ორი წერილი მიუძღვნა ილიამ. ილია განმარტავს გმირობის ახალ სახეს: ესაა სამოქალაქო პირის პატიოსანი ყოველდღიური საქმიანობა.

ამ შემთხვევისათვისაც ამონარიდები პირველწყაროებიდან აუცილებლად მიგვაჩნია. მსაჯულ იასე ანდრონიკაშვილს უსრულდებოდა სახელმწიფო სამსახურში მოღვაწეობის 50 წელი და მსაჯულად ყოფნის 41 წელი 1887 წლის 23 თებერვალს. ამ საკითხთან დაკავშირებით ილიამ ორი წერილი გამოაქვეყნა *ივერიაში*. ერთი 10 თებერვალს ანუ იუბილემდე, ერთიც – 25 თებერვალს ანუ იუბილეს შემდეგ.

[33] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ.შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 389.

სწორედ ამ წერილებში განმარტა მან ეროვნული გმირობის ახალი საფუძვლები. ის პირველ წერილში, რომელიც გამომცემლების მიერ დასათაურებულია როგორც *იასე ანდრონიკაშვილი*, წერდა:

> ჩუმი, მშვიდობიანი, დინჯი, არამყვირალა და ჩხავანა მოღვაწეობა, საცა უნდა იყოს, თუ გულმხურვალობით არის გამთბარი, გულმოდგინეობით წარმართული, ერთგულებით ძირმაგარი და პატიოსნებით ნათელცხებული, – უტყუარი ნიშანია მოღვაწის დიდბუნებოვანებისა.[34]

ახალი დროის გმირის სახის კონცეპტუალიზაციის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მეორე წერილი, რომელიც იუბილეს შემდეგ გამოქვეყნდა. ამ წერილს პირობითად ეწოდება *ღირსეულის დაფასება*. მასში ვკითხულობთ:

> 25 თებერვალს თ. იასე ადამის ძეს ანდრონიკაშვილს გადაუხადეს ორმოცდაათის წლის სამსახურის დღეობა. საზოგადოებამ თავისი პატივისცემა და მადლობა საჯაროდ გამოუცხადა კაცს, რომელსაც არც ომი მოუგია, არც ქვეყანა დაუპყრია, არც იმისთანა რამ მოუხდენია, რაც თავისთავად ჰყვირის, ჰხმაურობს და ბუკსა და ნაღარას სცემს[35].

ილია განაგრძობს:

> მოსამართლობა, მსაჯულობა ჩუმია, წყნარი, უხმაურო, უბუკნაღარო ღვაწლი მოსამართლისა, მსაჯულისა ისეთი ერთიანი არ არის, როგორც მაგალითებრ, ციხის აღება, ქვეყნის დაპყრობა, ომის მოგება და სხვა ამგვარი დიდი, თვალსაჩინო და ერთბამად დასანახავი საქმე, რომელიც ერთბამადვე ანცვიფრებს ადამიანს. იგი განუწყვეტელი ძეწკვია ყოველდღიურის ღვაწლისა. იგი ერთი-ერთმანეთზედ ზედასხმული მარცვლებია ადამიანის საყოველდღეო მოქმედებისა. რაოდენად სინათლე და სიკეთე უნდა ჩააყოლოს კაცმა ამ უჩინარს მარცვლებს თავის

[34] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, IX – პუბლიცისტური წერილები, 1887 (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ც. ყიფშიძემ; ტომის რედ. რ. კურსაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2006, გვ. 26.

[35] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, IX – პუბლიცისტური წერილები, 1887 (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ც. ყიფშიძემ; ტომის რედ. რ. კურსაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2006, გვ. 202.

განუწყვეტელის მოლვაწეობისას, რომ მათი კრებული იმად გამოჩნდეს, რასაც მოქალაქეობრივს ქველობას ეძახიან.[36]

ეს ყველაფერი შეეხება ერთობის შინაგან ცხოვრებას.

რაც შეეხება გარე სამყაროს ანუ ქართველთა "სხვებს", აქ რამდენიმე ქვეყანასა და ხალხს ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა: პოლიტიკური საზღვრების მიღმა მყოფი ანუ რუსეთის იმპერიის გარეთ მყოფი ქვეყნები და ხალხები; საქართველოს ისტორიული პოლიტიკური საზღვრების მიღმა მყოფი რუსეთი და ქართული კულტურის საზღვრის მიღმა მყოფი სომხები, რომლებიც იყვნენ "შინაური სხვები" ანუ "ჩვენი სხვები".

ყველა ეს "სხვა" საჭირო იყო ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესისათვის. ამიტომ ქართველი ერის იდეა შეიცავს იმის განმარტებას, როგორი უნდა იყოს მათთან მიმართება.

ერის ფორმირებისათვის სანიმუშოდ, მოდელად დასავლეთია წარმოდგენილი, თუმც მისი მიღწევების აღიარება, ილიას მითითებით, არ უნდა იწვევდეს ქართველთა დაბეჩავებას და უცხოურის ყველაფრის აღრფთოვანებით მიღებას. დასავლეთიც არ არის უნაკლო, განსაკუთრებით, ნაკლოვანია მორალის თვალსაზრისით. ამ მხრივ, მრავალ სხვათა შორის, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ილიას მეთაურმა წერილმა პირობითი სათაურით *ევროპის სახელმწიფოთა დაინტერესება მაროკოთი*, რომელიც დაიბეჭდა *ივერიაში* 1887 წლის 12 ოქტომბერს:

ევროპა საოცარი ქვეყანაა. აქ დიდი განათლებაც არის, დიდად აყვავებული და გაძლიერებული მეცნიერებაც, მეტად მშვენიერი ხელოვნებაც, სასწაულთმოქმედი ხელოსნობაც, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ადამიანის, კაცობრიობის სახელსა და დიდებას შეადგენს თუ კაცობრიობას რაიმე თავმოსაწონი აქვს თითქმის მარტო ევროპის მადლობელი უნდა იყოს, რადგანაც დღეს ყველაფერს და ყველგან წინ მიუძღვის ყოველ საქმეში მრავალგვარად ძლევამოსილი და გამარჯვებული ევროპა. ამ ძლიერსა და განდიდებულს ყოფა-ცხოვრებას რომ უყურებს კაცი ამ განათლებულს მსვლელობას, ამ ყოვლად

[36] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, IX – პუბლიცისტური წერილები, 1887 (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ც. ყიფშიძემ; ტომის რედ. რ. კურსაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2006, გვ. 204.

> შემძლებელს მეცნიერებას, ამ აუარებელს სიმდიდრეს, ჰგონია, რომ თუ ქვეყანაზე სიკეთეა სადმე ამ ევროპიდან უნდა გამოვიდესო ... ხომ ეს უნდა იყოს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ესე არ არის. ყოველ ამ სიკეთესთან ერთად ევროპას ორი დიდი და ჯერხანად უძლეველი ჭირი სჭირს: შური და ხარბობა. კაცი იტყვის, მაშ რა განდიდებული და სახელოვანია იგი, ვინც მაგისთანა უღირსს და სამარცხვინო გრძნობას, მაგისთანა სულმდაბლობის და სულმოკლეობის უტყუარ ნიშანს გულში ინახავს და გულში ატარებსო? ჩვენც ეს გვიკვირს, ხოლო საქმე კი ესეა ... თქმა არ უნდა, როცა ევროპა საღრღნელად და სახრავად გაიწევს სადმე ფერუმარილს კაცთმოყვარეობისას და გულმტკივნეულობას წაიგლესს ხოლმე შურისა და ხარბობის დასაფარავად.[37]

ასეთივე აზრია გატარებული ევროპის მიმართ ერთ-ერთ სხვა წერილშიც, რომლის პირობითი სათაურია *საფრანგეთის ულონობის მიზეზი*. იგი დაბეჭდილია 1888 წლის 14 მარტის ნომერში:

> საკვირველი ქვეყანაა ეს საფრანგეთი. კვალში რომ ჩავუდგეთ, დავინახავთ, რომ ყოვლისფრით აღსავსე ქვეყანაა. ერი დიდად ნიჭიერი, ბეჯითი და გამრჯელი, მეცნიერება გინდათ, ხელოვნება, მრეწველობა, ყოველგვარი ვაჭრობა, აღებმიცემობა, სიმდიდრე, ლიტერატურა, რა გინდათ, რომ აქ არ სდუღდეს და არ გადმოდიოდეს. ყოველივე, რაც ქვეყნიერობის მადლად არის მიჩნეული კაცთაგან, ყოველივე ცალკე და ერთად უხვად მინიჭებული და გაფენილი აქვს საფრანგეთსა. ღმერთს თითქოს არაფერი არ დაუზოგავს ამ ერისათვის და მარტო ერთი რამ არ მიუმადლებია. საფრანგეთი ყველაფერს სახელოვანს უძღვება, ყველაფერი იცის, და მარტო თავის თავის მოვლას ვერ უძღვება, თავის თავის მოვლა არ იცის.[38]

---

[37] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, IX – პუბლიცისტური წერილები, 1887 (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ც. ყიფშიძემ; ტომის რედ. რ. კურსაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2006, გვ. 581, 582.

[38] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 130.

ამას მოჰყვება მსჯელობა, რომ ფრანგულმა რესპუბლიკამ დიდით თავი ვერაფრით გამოიჩინა და სულ შინაური მტრებისაგან თავის დაცვაში იყო. ახლა კი გაჩენილა აზრი, რომ პარლამენტაროზა გაუქმდეს და ერთი კაცის ხელით იმართოს საფრანგეთი. სწორედ ეს არ არის, ილიას აზრით, მოსაწონი და მიუთითებს იმას, რომ საფრანგეთს საკუთარი თავის მოვლა არ შეუძლია. სტატია მთავრდება მრავალმნიშვნელოვანი კითხვით: ეს აზრი ერთი კაცის მმართველობის თაობაზე 'რა არის დასაწყისი დასასრულისა თუ დასასრული დასაწყისისა?'[39]

ილიასა და მისი *ივერიის* დამოკიდებულება ევროპისადმი კარგად ჩანს 1888 წლის 19 აპრილს დაბეჭდილ მეთაურ წერილშიც, რომელიც გამომცემელთა მიერ დასათაურებულ იქნა შემდეგნაირად *მედიატორთა სამუდამო სასამართლოს დაწესება ჩრდილო-ამერიკაში*. აქ ერთმანეთთან შედარებულია ევროპა და ამერიკა, მითითებულია, რომ პროგრესული იდეები, რომელიც წარმოიშობა ევროპაში, ცხოვრებაში გზას უფრო ადვილად ამერიკაში იკაფავს, სადაც ამ იდეებს დაბრკოლებად ძველი არ ეღობებათ.

> ევროპამ რაც უნდა ძლიერად იღვაწოს კაცობრიობის საბედნიეროდ თავის უკეთესთ შვილთა მეოხებით, რაც გინდ მისთა დაწინაურებულთა და წარჩინებულთა შვილთა საკვირველებანი აღმოაჩინონ ცივილიზაციისა და კულტურის წინ საბიჯებლად და წარსამატებლად, მაინც ევროპა ძველი ქვეყანაა, ტანსა და ერთობ აგებულებაში ბევრი რამ ძველი ჩასჭედვია და ამის გამო ძნელად ითვისებს ახალსა ცხოვრებაში განსახორციელებლად. რამდენი დიდნი ჭეშმარიტებანი და მაღალნი მოძღვრებანი ჰღაღადებენ დღეს ევროპაში უდიდესთა მკვლევართა და მოძღვართაგან, მაგრამ ერნი ევროპისანი ჯერ კიდევ ბრმანი და ყრუნი არიან ერთისაცა და მეორესათვისაც. რადა? იმიტომ რომ აქ ახალმა რომ გზა გაიკვალოს და ადგილი დაიჭიროს ცხოვრების მოედანზე, ჯერ უნდა ძველი ჩამოიცილოს გზისაგან და მოედანზე ადგილი დააცლევინოს. განდევნა ძველისა და ჩაყენება ახალისა ორკეცი საქმეა, ორკეცად, ორმხრივად საომარია. ორმხრივი, ორკეცი ომი

[39] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 131.

ძნელია და გამარჯვებისათვის ორკეც მხნეობას და ვაჟკაცობას ითხოვს და დიდ დროსაც ჰნდომულობს. ევროპა ამ მხრივ ახოგამსაღებელს ადგილსა ჰგავს: ჯერ ძეძვები, ბარდები ძველისანი უნდა ამოჭრას, მათი ჯირკვები, ფესვები დალპეს და ამოყრილ იქმნას და მერე მოიხნას და დაითესოს დასათესითა. ამას კარგა ხნის გამუდმებული ჯაფა უნდა და ამიტომაც აუარებელი დრო გადის ხოლმე ჭეშმარიტების აღმოჩენიდან და მოძღვრების მოვლენიდან მათთა განხორციელებამდე ... სულ სხვაა ჩრდილო-ამერიკის შტატები. აქ ახალს წინ არ შეეჯახება ხოლმე ძველი იმიტომ რომ თვითონ ახალი სახელმწიფოა, ახალი ერია, მისი ისტორია სულ ასი წლის საქმე არ არის და აგებულებაში არ აქვს განბნეული ეკალი ხიჭა ძველის ცხოვრების ძეძვებისა და ბარდებისა. იქ გუშინი არ არის, იქ მარტო დღევანდელი დღეა და ხვალინდელი, ამიტომ რაც დღეს მოაქვს საღეისოდ თუ სახვალიოდ, ის ანგარიშს არ უწევს გუშინდელსა, რომელსაც უხანობით ძნელად ამოსაყრელი ჯირკვი და ფესვი ჯერ არ გაუკეთებია. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ზემოხსენებული მოძღვრება, ევროპაში დაბადებული და გაჩენილი, ამერიკაში გაუმწყლებლად გაიზარდა იმოდენად, რომ დღეს ცხოვრებაში თავის სამკვიდრო და სამოქმედო ადგილს თხოულობს ... თუ ღმერთმა ქნა და კაცობრიობის სასახელოდ ამერიკამ ამ მხრით თავისი საწადელი აისრულა, ეს დიდი მაგალითი იქნება ევროპისთვისაც. მაშინ ევროპა თვალით მაინც დაინახავს, რასაც ძველისაგან ჯანგმოკიდებული გონება და გული ვერა ჰხედავდა.[40]

დასავლეთის კრიტიკულად განხილვა ბუნებრივად უკავშირდება ქართული კულტურის უნიკალობის საკითხს და ქართველების წვლილს კაცობრიული ცივილიზაციის განვითარებაში. ამ დისკურსის მიზანი ის არის, რომ დასავლური ცივილიზაციის უპირატესობის აღიარებამ არ დააბეჩავოს ქართველობა და არ გამოაცალოს ნაციონალური კონსოლიდაციისათვის ასე აუცილებელი თვითმოქმედობის უნარი. ესაა მოდელთან მიმართების პრობლემა. ნაციონალისტურ დისკურსში მოდელი ერთდროულად არის განდიდებისა და განქიქების საგანი. საქმე ისაა, რომ მან თან ხელი უნდა შეუწყოს ნაციონალურ მობილიზაციას იმით, რომ საკუთარი უპირატესობით ნაციონალური სენტიმენტები გაუმძაფროს პოტენციური ნაციის წევრებს, მაგრამ არა იმდენად

[40] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 181, 182, 183.

მძლავრად იმოქმედოს, რომ დათრგუნოს და აპათიაში ჩააგდოს. მოდელი ერად კონსოლიდირებადი ერთობისათვის ზომიერად გამაღიზიანებელი უნდა იყოს. ილიას ქართველი ერის იდეაში დასავლეთის სწორედ ასეთი სახეა გამოკვეთილი: დასავლეთი მოწინავეა, მაგრამ ბევრ რამეში ნაკლოვანიც ის ქართველებთან შედარებით შეუდარებლად წინწასულია, მაგრამ არის სფეროები, სადაც ქართველობას თავისი სიტყვა ეთქმის. საზოგადოდ, მოდელი იძლევა იმპულსს, რომელიც ერთდროულად შეიძლება იყოს განვითარების ხელშემწყობიცა და დამანგრეველიც. ნაციონალისტი იდეოლოგი ცდილობს, რომ ამ იმპულსს, რომლის არსი ნაციონალური თავმოყვარეობის შელახვაა, ერის კონსოლიდაციისათვის სასიკეთო მიმართულება მისცეს.

სწორედ ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესო მსჯელობას წარმოადგენს ღვინის დაყენების ქართული წესის შესახებ ილიას მეთაური წერილების ციკლი 1887 წლის *ივერიის* ნომრებში. ეს ციკლი სხვადასხვა პირობითი დასათაურებებით (*ღვინო – ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის წყარო* და *ღვინის ქართულად დაყენება*) იბეჭდებოდა უსათაუროდ და ანონიმურად, ისევე, როგორც ილიას ყველა მეთაური.

ქართული ღვინო ილიას მიერ განიხილება, როგორც ქართული კულტურის მონაპოვარი, მსოფლიო მასშტაბით უნიკუმი და სამერმისოდ ქართული საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტი. თავიდან ილია საუბრობს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროექტებზე საქართველოსათვის (ჩაის ბუჩქის, ქინაქინის ხის მოშენებაზე), მაგრამ მათ "სამერმისო ქათამს" უწოდებს და ხაზგასმით მიუთითებს, რომ ღვინო "სადღეისო კვერცხია" ქართველებისათვის, რომ დიდი უნდა იყოს მისი საბაზრო მნიშვნელობა. შემდგომ ადარებს ღვინის დაყენების ქართულ და ევროპულ წესებს ერთმანეთს, რაშიც იჩენს ამ სფეროს არა მარტო ქართველთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელ პრაქტიკულ, არამედ პროფესიულ ცოდნასაც. ამის პარალელურად იგი წარმოადგენს მსჯელობას, რომელიც თავისი ხასიათით ძალიან ფართოა, არსებითად ესაა ქართველი ერის წარსულის და მისი დღევანდელობის კონცეფცია. ეს მსჯელობა მოსდევს შემდეგი საკითხის გარკვევას: რატომ არის, რომ ქართველები ამდენი ხნის განმავლობაში ღვინოს აყენებდნენ, მაგრამ აქედან სათანადო გამოცდილება არ მიუღიათ. ილია ცდილობს კითხვაზე

პასუხის გაცემას. ეს პასუხი გვამცნობს არა მარტო ქართველების საქმიანობის ხასიათს ღვინოსთან მიმართებაში, არამედ საზოგადოდ ქართული კულტურის ჩამორჩენილობის მიზეზის ახსნას წარმოადგენს. ქართველი ერის კონცეფციისათვის ეს იყო ფუნდამენტური საკითხი: რატომ არის ქართველი ერი ჩამორჩენილი, იგი უუნაროა, შესაბამისი რესურსი ანუ "ეროვნობისა ნიჭი" არა აქვს, თუ ობიექტური ვითარება იყო ხელისშემშლელი? პასუხის პირველი ვარიანტი ნაციის ქმნადობის პროცესისათვის გამოუსადეგარი იყო. ამ პროცესის მთავარი მამოძრავებელი იყო ერთობის წევრებს ჰქონოდათ საკუთარი ძალების რწმენა. სწორედ ამას ნერგავენ ნაციონალისტები. ილიაც ამას აკეთებდა. მაგრამ მისი პასუხი დაბალანსებულია, იგი არაა არც მაქსიმალისტური ანუ "ერის შეშლილი ცნობიერების" (ნ. ბერდიაევი) განმავითარებელი, არც უიმედოდ პესიმისტური. ის არის რაციონალურად ოპტიმისტური. მოვიყვანთ კვლავ ვრცელ ციტატს, რადგან არანაირ პერიფრაზს არ ძალუძს გადმოსცეს ყველა ნიუანსი ქართველი ერის მამის მრავალასპექტიანი მსჯელობისა:

> მიწათმოქმედებას ორი საგანი მოაქვს ჩვენის ქვეყნის გასაძღოლად, ღვინო და ეგრეთ წოდებული ყოველგვარი საპურე მარცვალი.[41] ამ ორგვარს წარმოებას დიდი ხანია ვადგივართ და დიდი ხანია მის გზაზედ ვშრომობთ და თავს ავად თუ კარგად ვიკვებავთ ... ჩვენ ამას არაფრად ვაგდებთ, თითქოს ამ ხანგრძლივ წარმოებას არაფერი უსწავლებია რა, არავითარი გამოცდილება არ მოუცია, თითქოს ყოველ მას, რასაც დღეს წარმოებაში ვხედავთ, არავითარი საბუთი და მიზეზი არა ჰქონია, თითქო ყოველივე ალალბედობით, უცაბედობით მოგვსვლია. აი ეს, ჩვენის ფიქრით, რით აიხსნება: ჩვენმა ძველმა ისტორიამ არ მოგვაცალა, რომ ცოდნა-სწავლის გზა გვეკაფნა და ჩვენის სულისა და გულის ძალით ახო გამოგველო უმეცრების ბარდებით და ჯაგით მოცულს არემარეზედ. ამ მხრით ძალიან ჩამოვრჩით დანარჩენს კაცობრიობას, რომელიც დღეყოველ ცოდნისა და სწავლის წარმატებასა და წინსვლაში იყო. სახელოვანმა და საოცარმა ნამოქმედარმა კაცობრიობის ცოდნისამ და სწავლისამ ისე მოგვასწრო ჩვენ

[41] ჩვენი აზრით, არ არის შემთხვევითი, რომ ილია ქართული ერთობის მატერიალური უზრუნველყოფის საფუძვლად ღვინოსა და პურს ასახელებს.ეს ეკონომიკურად ალბათ ასეც ესახებოდა, მაგრამ ამ პოსტულატში გამოსჭვივის მისი დამოკიდებულება ქართველი ერის მიმართ, როგორ კოლექტივისა, რომელიც ქრისტესთან საკრალური თანაზიარებით არის "შემსჭვალული".

როგორც საბნელეთიდამ უეცრად მზეზე გამოსულსა! მეტის სინათლისა და შუქისაგან თვალები დაგვიბნელდა. ძალოვანმა მეცნიერებამ, რომლის ნაღვაწი, ჩვენს უვიცობას ხშირად სასწაულად მიაჩნდა და მიაჩნია, ისე დაიბრიყვა ჩვენი ჭკუა და გონება, ისე თავბრუ დაასხა, რომ ერთიცა და მეორეც ყურმოჭრილ ყმად გაიხადა და, როგორც ტყვე, გაჰბაწრა. აბა, საცა უცხენოდ და უკამბეჩოდ უზარმაზარი სახლების ტარება მოიგონეს, საცა ტელეგრაფმა და ტელეფონმა სივრცე გააბათილა, იქ ჩვენი ბეჩავი უმეცრება და უვიცობა ხმას როგორღა ამოიღებდა. როგორ არ უნდა გვეგრძნო ჩვენი არარაობა როგორ არ უნდა გვეთქვა: ჩვენ რანი ვართ, რაც ყოფილან, ისინი ყოფილანო რაკი კაცობრიობის ცოდნა-სწავლის საოცარმა ძლევამოსილებამ ასე აშკარად დაგვანახა სხვა ქვეყნების უპირატესობა და წარჩინებულობა, ჩვენ ერთიცა და მეორეც კისრად უნდა გვედო და დავდუმებულიყავით როგორც ძლიერის წინაშე უძლური, როგორც მეცნიერების წინაშე უმეცარი. სწორედ ეგრეც დაგვემართა და იმოდენად დავდუმდით, რომ რაკი კაცი უცხო ქვეყნიდან მოვიდოდა ჩვენში სწავლულია თუ უსწავალელი, ჭკვიანი თუ სულელი ამას აღარ დაგიდევდით და პირღია შევყურებდით, ჭკუის მასწავლებელი აი ეს არისო ... ვისაც თავის ქვეყანაში არა გაეკეთებინა რა ჩვენკენ გამორბოდა ... რაკი სხვაგან ჩვენზედ გაცილებით დიდი ოსტატობა გამოიჩინა ბევრმა ბევრში ჩვენც დავიჯერეთ, რომ ბევრი ბევრში კი არა ყველანი ყველაფერში ჩვენზე უკეთესნი ოსტატები არიან დავიჯერეთ და მერე როგორ! ჩვენი აღარაფერი ვიწამეთ, აღარაფერი ვიგულვეთ. ის კი გონებიდან გამოგვეპარა, რომ ჩვენც გვიცხოვრია, გვიმოქმედნია თავის საკვებად, ჩვენშიაც ყოფილა ხელობა და ოსტატობა მიწათმოქმედობისა და თუ ჩვენი ნაცხოვარი, ნაკეთარი და ნამოქმედარი მეცნიერებამდე არ აგვიყვანია ანგარიშში ჩასაგდები, გამოსაძიებელი და გამოსაკვლევი ხომ არის, როგორც ნაცადი დიდი ხნისა, როგორც მრავალის წლის მოღვაწეობით შემოწმებული საქმე და საქმიანობა.[42]

აღნიშნულ მსჯელობას ილია უფრო და უფრო მეტ დრამატიზმს ანიჭებს და მხოლოდ ამის შემდეგ უბრუნდება ღვინის ქართულად დაყენების წესს. მისი აზრით, აღნიშნული ვითარება ყველაზე უკეთ ღვინის ქართულად დაყენების მიმართ ქართველთა დამოკიდებულებაში გამოვლინდა:

[42] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, IX – პუბლიცისტური წერილები, 1887 (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ც. ყიფშიძემ; ტომის რედ. რ. კურსაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2006, გვ. 120, 121, 122.

> თვით მსჯელობა შეგვიშინა უცხო ქვეყნების აბრუმა, გამბედაობა გამოაცალა. ამის გამო ჩვენი ვერა ვიკვლიეთ რა ... ჩვენი არა გვჯეროდა რა, ამ გაუბედაობამ გონებისამან თავისის დამღა დაასვა და დღეს ჩვენში უცხოქვეყნელი სულელიც ჭკვიან კაცად გადის და იქაური ტყუილი მართლადა, მერე როგორი ტყუილი? იქავ ტუილად აღიარებული. ამ ტყუილმა ისე არსად არ იჩინა თავი, როგორც ჩვენებური ღვინის კეთების საქმეში ... ღვინის კეთებას ჩვენში მთელი ათასის წლების ისტორია აქვს და, მაშასადამე არის რამ მიზეზი, რომლის ძალითაც ჩვენი ერი თავისებურ ღვინის კეთებას რჩეობს და ევროპულს უფრთხის და ერიდება დღესაც. ვინ იცის, იქნებ ეს მიზეზი პატივსადებია და ჭკვად მისაღებია?[43]

ერთი მხრივ, ქართულ გამოცდილებას ილია თითქოს კრიტიკულადაც ეკიდება, თუმც ბოლოს მაინც აშკარად ჩანს, რომ იგი დარწმუნებულია: რაც დღეს ამ წესს ნაკლად ეთვლება, სწორედ ეს არის მისი უნიკალური ღირსება:

> ნურავინ ნუ იფიქრებს ვითომ ჩვენ ამით იმის თქმა გვინდა რომ ჩვენს კეთებას და დაყენებას ღვინისას არა აკლია რა. ჩვენ ამას ვერ ვიტყვით. ბევრი რამ აკლია ამას თქმა არ უნდა, მხოლოდ იგი ნაკლი ჩვენის ღვინისა, რომელსაც ჩვენებურს ღვინოს წუნად უთვლიან ჩვენში შინაურნი თუ გარეულნი ოსტატები, სწორედ იგი ნაკლი ღირსებაა ჩვენის ღვინისა და თუ ჩვენი ღვინო ოდესმე გზას გაიხსნის საქვეყნო ბაზრისას, სწორედ ამ ღირსების წყალობით გაიხსნის.[44]

ეს რაც შეეხება ერად ყოფნის კულტურულ ასპექტს. კულტურული უნიკალობა და მსოფლიო მასშტაბით კულტურული უნიკუმები მტკიცება ერის კონცეპტუალიზაციის აუცილებელი კომპონენტია.

ახლა პოლიტიკური განზომილების შესახებ. სახელმწიფოსთან ურთიერთობის საკითხი განიმარტება რუსეთის ბიუროკრატიასთან ურთიერთობის მაგალითზე. უმეტეს შემთხვევაში, ნეგატიურია ბიუროკრატიასთან დამოკიდებულება, თუმც *ივერიის* პოზიციით

---

[43] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, IX – პუბლიცისტური წერილები, 1887 (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ც. ყიფშიძემ; ტომის რედ. რ. კურსაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2006, გვ.122, 123.
[44] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, IX – პუბლიცისტური წერილები, 1887 (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ც. ყიფშიძემ; ტომის რედ. რ. კურსაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2006, გვ.124.

რუსული სახელმწიფოებრიობის სხვა გამოვლინება, მაგალითად, რუსული ჯარი დადებითი მოვლენაა საქართველოსათვის; იგი დამცველია, განმათავისუფლებელია და მშვიდობის გარანტიაა. ზოგჯერ კარგი მოხელეებიც არიან. საერთოდ მიუხედავად იმპერიის მარწუხებისა, სახელმწიფოსადმი პატივისცემა ინერგება. ოღონდაც მისი გაუმჯობესება და ეროვნების თავისუფალი განვითარებისათვის საშუალების მიცემაა აუცილებელი.

რუსეთი განასახიერებს სახელმწიფოს. თუ მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში *მგზავრის წერილებში* მშვიდობა, რომელიც მოიტანა რუსეთმა, არაფრად არის მიჩნეული თავისუფლების დაკარგვასთან შედარებით, ამავე საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში *ივერია* აფასებს რუსეთის მიერ შექმნილ ამ ვითარებას, უფრო პრაგმატულად განიხილავს მისდამი დამოკიდებულებას და მისგან საბოლოო გამიჯვნას კი არა, მისი ბიუროკრატიული აპარატის ნაკლოვანებების გამოსწორებას ესწრაფვის.

სომხები არიან ქართველთა "მთავარი სხვები". ამ აზრს ამკვიდრებს ილია და *ივერია*. როგორც ეს "შინაური სხვები", ასევე შევიწროება რუსული იმპერიის მხრიდან ხელს უწყობს ეთნო-კულტურულ მობილიზაციას. თუ რუსული სახელმწიფოსაგან მაინც დავალებულად გრძნობენ თავს ქართველი ნაციონალისტები, სომხებს პირწმინდად დაპირისპირებულ ჯგუფად აღიქვამენ. მაგრამ ამ დროს უკვე მთავარია არა რელიგიური სხვაობა, როგორც წინა მოდერნის ხანაში, არამედ მათი საქმიანობის ხასიათი და ქონებრივად წარმატებული მდგომარეობა.

ივერიის პუბლიკაციებში წარმოჩნდებოდა ქართველი ერის არსების სხვადასხვა წახნაგი. ეს პუბლიკაციები ირიბად საკმაოდ ნათელ წარმოდგენას ქმნიან ქართული იდენტობის მთავარ მარკერებზე, მაგრამ წლების განმავლობაში აქ იბეჭდებოდა ისეთი წერილებიც, რომლებშიც ამ მარკერთა ჩამონათვალია მოცემული.

როგორც მივუთითებდით, ქართული ნაციონალური იდენტობის მარკერები წარმოდგენილი ჰქონდა გრ. ორბელიანს ლექსში *თამარ მეფის სახე გეთანიის ეკლესიაში*. აქ პირველ ადგილზე დგას სატრფო-მამული, მერე – ჯვარი და სარწმუნოება, ამის შემდეგ – სწავლის შუქით განათლებული მდიდარი ენა. 1860 წელს ილიამ კრიტიკულ წერილში *ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვითგან "შეშლილის" თარგმანზედა* ეს მარკერები წარმოადგინა ტრიადის

სახით: 'სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება, თუ ამათაც ვერ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?'[45]

გ. ნოდიას აზრით, არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ილიამ ამ ტრიადას ფორმულის მნიშვნელობა მიანიჭა. მან ეს სიტყვები ცუდი ქართული თარგმანის კრიტიკის კონტექსტში დაწერა, იდეა ციტირებული ორი წინადადების იქით აღარ განუვითარებია და არც გვიანდელ ტექსტებში მიბრუნებია მას. თუმცა ეს ტრიადა სავალდებულო ლოზუნგად იქცა უფრო გვიან – 1980-იან წლებში, როდესაც საქართველოში მასობრივი ეროვნული მოძრაობა დაიწყო და, თუნდაც ამის გამო, ის სერიოზულ ანალიზს იმსახურებს.[46] მკვლევრის ამ თვალსაზრისს ვერ დავეთანხმებით. ილია მოგვიანებითაც მიუბრუნდა ქართული იდენტობის ტრიადით განსაზღვრას. აღნიშნულის მაჩვენებელია მისი წმ. ნინოსადმი მიძღვნილი წერილი, რომელიც გამოქვეყნდა ივერიის 1888 წლის 13 იანვრის ნომერში უსათაურო მეთაურის სახით. გამომცემელთა მიერ ის პირობითად დასათაურებულია შემდეგნაირად: *ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი*. ქვემოთ ჩვენ მოგვყავს ამონარიდი ამ წერილიდან, საიდანაც კარგად ჩანს, რომ ილია ქართული იდენტობის მარკერებს კვლავ ტრიადის სახით წარმოადგენს: მამული, ეროვნობა, რჯული. აქ მინიშნებულია, რომ ეს განსხვავებული თვისების მარკერებია. რჯული არის პირველი ორის შემადუღებელი იმით, რომ მათ ერთიანობას სიწმინდე ანიჭებს. პრინციპში ამ სამის განცალკევება და იერარქიულად წარმოდგენა შეუძლებელიცაა, ისინი ერთარსია.

---

[45] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, V – კრიტიკა, 1888 (მთ. რედ. გ. ციციშვილი; ტომის რედ. გ. აბაშიძე; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და სახელები დაურთეს ე. შარაშენიძემ, ლ. მეგრელიშვილმა, ც. ყიფშიძემ, ლ. შავგულიძემ, ლ. ჭრელაშვილმა). თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 30. საერთოდ ილიას უყვარდა აზრის გამოსახატავად ტრიადები. ხშირად, ეს იყო სინონიმთა ტრიადები: ქვეყანა, საზოგადოება, ერი; ცოდნა, სწავლა, განათლება. ცხადია, ეს სიტყვები ზუსტად იგივე არაა, მაგრამ კონტექსტში ისინი იკითხება როგორც სინონიმები.

[46] გ. ნოდია. ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები (ზოგადი მონახაზი). ქართველი ერის დაბადება (ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, 2007). თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. 122.

ცოტა ქვემოთ მამულის ექვივალენტად მიწა-წყალია დასახელებული, ხოლო ენა აშკარად ეროვნობის, იგივე ვინაობის შემადგენელ ნაწილად არის გააზრებული. ხაზგასმულია წარსულში სამღვდელოების დიდი როლი ამ სამების ჩამოყალიბებაში. აქ პირდაპირ არის გაცხადებული, რომ მამულის მსახურება არის უფლის მსახურება ანუ "მამულის რელიგიის" დაფუძნების დიდი მნიშვნელობაა ნაჩვენები. ჯვარი ქრისტესი და ჯვარი მამულისა ცალსახად ერთი და იგივეა.

ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნობა, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორცთვისებული უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარი მტრისა წინაშე. სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას სულ იმაზედ მიაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნობა რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმინდას და უდიდესს საგანს, ერთად შეერთებულს თავდადებით ამსახუროს, თავგაწირვით ამოქმედოს. აი, სად და რაში პოულობდა ჩვენი უწინდელი სამღვდელოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის ძლიერებას, პატივისცემას! აი, რით გაიმაგრა სამღვდელოებამ სარწმუნოება ქრისტესი ამ პატარა ქვეყანაში ... აი რამ მოაგერიებინა ამ პატარა ქვეყანას აუარება მტერი! მამული და ეროვნობა მიაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული – მამულსა და ეროვნობასა და ეგრედ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაიმძღვარა წინ, ათასხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა. ამ სამთა უწმინდესთა საგანთა შეერთებამ ასწია ჩვენი სამღვდელოება და დააყენა იმ მაღალ ხარისხზედ, სადაც ყოველი ბიჯი ღვაწლია და სამსახური ქვეყნის წინაშე. მოღვაწეს და მოსამსახურეს ყოველთვის დიდი პატივი და სახელი აქვს და ამიტომაც უწინ სასულიერო წოდებაში შესვლა და ყოფნა დიდ პატივად და დიდ ღირსებად მიაჩნდათ ... ყველამ იცოდა რა მძიმეა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი მამულისა და ეროვნობისა და სახელიც მოღვაწისა ამ სიმძიმეში იყო ... ამ სახით წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამცთუ სულიერად, არამედ ხორციელადაც ... და აი ათას ხუთასი წელიწადია ამ ძალ-ღონით ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნობა. ქრისტიანობის მოფენა და დამკვიდრება თვითონ ცალკედ, თავისთავად დიდი ღვაწლია და, რომ ქრისტიანობამ ქვითკირსავით შეგვკრა და გაგვამაგრა, რომ ქრისტიანობა გაგვიძღვა მამულისა და ეროვნობის შერჩენისა და ხსნისათვის, ღვაწლი იგი გვიორკეცდება, გვიდიდდება, გვიძლიერდება ... ამა ღვთაებურის მადლით მოსილმა

> მოციქულმა დაგვაწაფა დაუშრობელს წყაროს ღვთაებურის ჭეშმარიტებისა. და მოგვივლინა იგი მოძღვრება, რომელმაც იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნობა და ერთსაც და მეორესაც უპატრონა დღემდე.[47]

ამ ტრიადაში, და კერძოდ, ამ ტრიადის ერთ-ერთ წევრში – ეროვნობა-ვინაობაში, ცხადია, იგულისხმება ისტორიული მახსოვრობაც, თუმც ილია ხშირად ცალკე საუბრობდა ამ მარკერზე, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანზე. მიწა, ენა, რელიგია ობიექტივისტური მარკერებია, მაგრამ მათდამი დამოკიდებულება შეიძლება იყოს სუბიექტივისტურიც. რაც შეეხება კოლექტიურ მახსოვრობას, ის სუბიექტივისტურია. კოლექტივის პერცეფციების ამსახველია. მისდამი ასეთი დიდი მნიშვნელობის მინიჭება, როგორც მართებულად იყო კიდეც შენიშნული ადრევე, მიუთითებს ე. რენანის გავლენას ილიას მიერ ერის ფენომენის გააზრებაზე.

ისტორიის, როგორც ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი ფაქტორის როლი, კარგად ჩანს ილიას მრავალ წერილში. ერთ-ერთია წერილი მიძღვნილი დავით აღმაშენებლისადმი, როგორც უსათაურო მეთაური, გამოქვეყნდა *ივერიის* 1888 წლის 23 იანვრის ნომერში. იგი აჩვენებს, რომ ილია ერს, სავსებით მართებულად, პირველ რიგში, გაიაზრებდა, როგორც მნემონიკურ კოლექტივს:

> არ ვიცით, სხვა როგორ ფიქრობს და ჩვენ კი ისე გვგონია რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულისფიცარზე იჭდევს მარტო სულისა და და გულის მოძრაობას ერისას, და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვიჩვენებს იმ ღონესა და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის. უკეთესნი და უდიდესნი მოქმედნი ერისა ხომ სხვა

[47] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 24, 25.

> არა არიან რა, თუ არ ერის გულისნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი.[48]

აქვე ჩანს ისიც, რომ, ილიას აზრით, ერი ერთიანი ცოცხალი ორგანიზმია. გმირები იმით არიან მნიშვნელოვანი, რომ აკავშირებენ წარსულს, აწმყოსა და მომავალთან. წარსულში დიდბუნოვანი ადამიანის არსებობა არის იმედი იმისა, რომ ამ ორგანულმა ერთობამ, მსგავსი კიდევ წარმოშვას. ერთი სისხლი და ერთი ხორცი არის ამგვარი მოლოდინის საფუძველი. ამგვარად, არც მისეულ ტრიადაშია შეყვანილი და არც ცალკე მსჯელობის საგანი არა გამხდარა, მაგრამ ერთი სისხლი და ერთი ხორცი, ანუ საერთო წარმომავლობა ილიასათვის ქართველი ერის მარკირების საშუალება იყო:

> გარდა ამისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღეს და ვსულდგმულობთ, მათ სხვა სამსახურიც მიუძღვით ჩვენ წინა. ისინი ცხოველი მაგალითები არიან მისი თუ რა სიმაღლემდე შეუძლიან ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს ... რამოდენადაც ეს დიდბუნებოვანება ხშირია რომლისამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის და შემძლებლობის აწყვისათვის. თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისანი და ხორცის დიდებულნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდნენ, თუ გარემოების იგივეობას ვიგულისხმებთ ... ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონესა და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს. ზოგს დიდბუნებოვანობის შარავანდედითა და თაყვანსა სცემს სასოებითა ...[49]

დავით აღმაშენებლის პიროვნების მეშვეობით ილია, აგრეთვე, ცდილობდა ქართველთა ისტორიული გამოცდილების უნიკალობის

---

[48] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 62.

[49] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ.63.

ჩვენებას. იგი მიუთითებს, რომ ქართველობა ზნეობრივი კოლექტივი იყო ძველთაგანვე, ამ ერთობის მეფეს ახასიათებდა თანამედროვეობის შესატყვისი ზნეობრივი პრინციპები პოლიტიკაში. ძალიან საინტერესოა, ილიას მიერ იმის ხაზგასმაც, რომ დავითი დიდბუნოვნებას იჩენდა, მაშინ, როცა ის ძლიერი იყო. სუსტისაგან დათმობა ილიას ტოლერანტობად არ მიაჩნია:

> ხოლო დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნობისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვისი ეროვნობისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა, მაშინ როდესაც იგი ყოვლისშემძლებელ ბრძანებელად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვრული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან! მეტიღა დიდბუნებოვანება მოეთხოვება განა მეთორმეტე საუკუნის კაცს მაშინ, როცა დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს საკვირველებად მიგვაჩნია გლადსტონი რომ ირლანდიის ეროვნობას და სარწმუნოებას ესარჩლება იმავე კაცთმოყვარეობით რა კაცთმოყვარეობითაც დავით აღმაშენებელი სხვა ერებს პატივსა სცემდა![50]

> ყოველივე ეს დიდსულოვნება და სულგრძელება დავითისა მაშინ არის მომხდარი, როცა ძლევამოსილი იგი მეფე სრულიად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მაშასადამე, ამისთანა განათლებული და პატიოსანი ქცევა მარტო მის დიდბუნოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვას.[51]

---

[50] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 64.

[51] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 66.

ერის არსებობისათვის ისტორიის მნიშვნელობის საკითხს ილია კვლავ და კვლავ უბრუნდება, სრულიად განსხვავებული თემებისადმი მიძღვნილ წერილებში. ეს იმიტომ, რომ სავსებით მართებულად მას ამოცნობილი ჰქონდა: კოლექტიური მახსოვრობა გადამწყვეტი მომენტია კოლექტიური იდენტობისათვის. ერთი მხრივ, იგი ცდილობდა ეჩვენებინა კოლექტიური მახსოვრობის მნიშვნელობა კოლექტიური იდენტობის განგრძობადობისათვის, მეორე მხრივ, ესწრაფვოდა რაც შეიძლება მეტად მდიდარი ყოფილიყო ფაქტებით ქართველთა მახსოვრობა. წარსულიდან ცალკეული მოვლენების დისკურსის საგნად ქცევა, მათი მნიშვნელობის ჩვენება ერისათვის, სწორედ ამ მისწრაფების გამოხატულებას წარმოადგენს. ქვემოთ მოგვყავს მაგალითები, რომელიც ჩვენს ნათქვამს ადასტურებს. ერთ-ერთი მაგალითია *ივერიის* 1888 წლის 14 ივლისის ნომერში დაბეჭდილი მეთაური წერილი რუსეთის ნათლისღების შესახებ. წერილი გამომცემელთა მიერ შესაბამისადაა დასათაურებული: *რუსეთის ნათლისღების ცხრაასი წელი.* შესავალ ნაწილში ისტორიის მნიშვნელობაზეა საუბარი. სპეციალურ ლიტერატურაში, როცა საუბრობენ ილიას ისტორიისადმი დამოკიდებულებაზე, ამ წერილს ყურადღებას ნაკლებად აქცევენ, არა და ის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია. ამიტომ აქ მოგვყავს ამონარიდი:

> ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ისტორია ერთადერთი მტკიცე და შეუშლელი სიგელია, რკინის ფიცარზედ რკინის ასოებით ამოჭრილი ოქმია, რომელიც მოწმობს ერს, ვინ ყოფილა და რა ყოფილა გუშინ, ვინ არის და რა არის დღეს! ამ სიგელს, ამ მოწმობას ერის ვინაობისას და შემძლებლობისას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვითარაცა დიდ ტაძარს, საცა ასვენია დიდნი სახსოვარნი, დიდნი ხატნი წარსულისა და ყოფილისა. ამისთანა დიდს სახსოვარს, დიდს ხატს წარსულისას დღეს დღესასწაულობს მთელი მართლმადიდებლობა რუსეთის იმპერიისა. 15 ივლისს ამ ცხრაასის წლის წინათ რუსეთმა მიიღო ნათელი ქრისტეს სარწმუნოებისა და დღეს რუსეთი დიდის ზარით და დიდებით დღესასწაულობს დიდებულს დღეს თავის ისტორიისას.[52]

[52] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 283.

აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს წერილი, რომელიც ივერიის 1888 წლის 9 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა. მისი პირობითი სათაურია *ერი და ისტორია*. იგი მრავალი ასპექტით არის საინტერესო. უპირველეს ყოვლისა, ერის დღეგრძელობისათვის კვლავ ისტორიის მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილებით. ნაციონალისტისათვის ისტორია არ არის განქარვებადი, იგი მუდმივად არსებულია, იგი აწმყოსა და, შესაბამისად, მომავლისაც მოუშორებელი ნაწილია, იმიტომ, რომ იგი აწმყოს საძირკველია:

> ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ იწყება როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილი ცხოვრებისა ... წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა.[53]

ილია ხსნის, თუ როგორ განსაზღვრავს წარსული აწმყოს, ქრონოლოგიურად რას მოიცავს ქართველთა ისტორიული წარსული. ილიას მითითებით, ისტორია წმინდაა, ერის განწმენდის საშუალება და შესაბამისად, მისი მხნეობის წყაროცაა. გმირები, მათი თავდადება ერისათვის, არის ერის არსებობის განმსაზღვრელი. ქვემოთ მოყვანილი ამონარიდი კიდევ სხვა მრავალი კუთხით არის საინტერესო. მაგალითად, ქართველობის, როგორც ერთი მუჭა ხალხის, ისე მოხსენიებით. გავიხსენოთ, ეპითეტი "პატარა" საქართველოს მიმართ ილიას მიერ გამოყენებული ან საქართველოს აღსანიშნავად გამოყენებული "პატარა ნავის" სახე. აღნიშნული ერთმანეთთან ასოციაციური ბმის მქონე ატრიბუტები წარმოადგენს ერთობის ინდივიდუალურ მახასიათებლებს. ამასთან ქართველი ერის მარკირება ხდება სხვა კუთხითაც: მისი საცხოვრისი ანუ საქართველო მოიაზრება, როგორც წალკოტი, რომლის დაუფლებას ბევრნი ცდილობდნენ. ილიას მიდგომა საქართველოს წარსულის შეფასებისადმი, დაბალანსებულია: მისი აზრით, კარგიც ბევრი აქვს ქართველობას გადმოყოლილი წარსულდან და ცუდიც. ანუ

[53] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 385.

წარსული უპირობოდ კარგი არ არის. იგი იდეალიზებულია, მაგრამ დიდი ზომიერების დაცვით:

> ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისის ქვა ჩაუდვია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესეა, ამისი საბუთი თვალწინ გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთი მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის. რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულ წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით – რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთ ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უუარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენ ისტორიას. რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვივიწყნია ჩვენი ცხოვრების სათავეც, ჩვენი ცხოვრების ფესვიც, ჩვენი ცხოვრების საძირკველი და თუ მასეა – რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი?[54]

როგორც ითქვა, ილია ამ წერილშიც უბრუნდება ერისათვის ისტორიის მნიშვნელობის საკითხს და ამ მნიშვნელობის საჩვენებლად ისტორიას ანუ წარსულის ხსოვნას კვლავ და კვლავ ადარებს ტაძარს ანუ ახდენს ისტორიული მახსოვრობის საკრალიზებას. სწორედ ისტორია უზრუნველყოფს ერის სულის წარმოჩენას და საშვილიშვილოდ გადასაცემ ჭეშმარიტებათა არდავიწყებას:

> განმარტების გარდა ყოველივე ამისა, ბევრჯერ გვითქვამს და ეხლაც განვიმეორებთ, რომ ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიანს სულს ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდბუნოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილშვილო ანდერძი. ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ თავის დიდბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი

[54] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 387-388.

> კეთდება, მხნევდება ჰგულოვნდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირია თუ ლხინი.[55]

ილიას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ნაციონალიზმის იდეოლოგიის ისტორიცისტული ხასიათიც და ეროვნული ისტორიის შექმნა მიაჩნდა საზოგადოებრივი თვალსაზრისით უაღრესად ფასეულ საქმედ. ამავე დროს, როგორც ყველა ნაციონალისტი, ერის წარსულის აღწერას განიხილავდა, არა როგორც მოდერნული ეპოქაში ჩამოყალიბებული თვისებრივად ახალი ერთობის ახალ ნარატივს, არამედ როგორც ძველის, დავიწყებულის მოძიებას და აღდგენას და მისი საშუალებით ნაციონალური ერთობის გამოღვიძებას. ამას ის მიიჩნევდა ისტორიის სასწაულთქმედებად. ამიტომ ასე მიესალმებოდა დ. ბაქრაძის გაწზრახვას შეექმნა საქართველოს ისტორია. მისი მიერ გამოქვეყნებული პროექტი ილიას აღაფრთოვანებდა და ისტორიის მნიშვნელობის შესახებ წარმოდგენილი დისკურსის მაპროვოცირებლადაც სწორედ აღნიშნული ფაქტი გამხდარა, როგორც ამას სტატიის ბოლო ნაწილიდან ვიტყობთ:

> ეს მრავალგვარი მნიშვნელობა ისტორიისა ერის გამოცოცხლებისათვის კარგად იცოდნენ თავის ერის გულსემატკივართა სხვა ქვეყნებში. იგი სახელოვანნი მამულისშვილნი, ყველაზედ უწინარეს, ერის გამოკეთებისათვის დავიწყებულის ისტორიის აღდგენას შეეცადნენ. გამოღვიძებამ ერისა უგემურის ძილისაგან ყველგან აქედამ დაიწყო თავისი დასაწყისი, და ამ გზით გამოფხიზლებულ ერის კეთილდღეობასა და ხელახლად აღორძინებას დღეს ბევრგან ჩვენის თვალითა ვხედავთ. ჩვენ გვწამს ასეთი სასწაულქმედება ისტორიისა და ამიტომაც დიდის სიხარულით ვეგებებით იმ ამბავს რომ ჩვენს დაუღალავ მოღვაწეს ბ-ნ დ. ბაქრაძეს განუზრახავს ჩვენის დავიწყებულის ისტორიის აღდგენა და გახსენება. *ივერიაში* დაბეჭდილის პროგრამისაგან ჰსჩანს, რომ ბ-ნ ბაქრაძეს სანატრელის სიდიდით შემოუფარგლავს თავისის საგანი ასე, რომ თუ პროგრამა შესრულდა, ჩვენ, ქართველებს, ხელთ გვექნება დიდი და ვრცელი სურათი ჩვენის აწ მივიწებულის წარსულისა ... ვისაც კი გაეგება რამ სიხარულით

[55] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 388.

> აღტაცებულნი მოუთმენლად მოელიან იმ დღეს, როცა დაიბეჭდება ეს ისტორია, ვითარაცა დიდს დღესასწაულს რასმე. მართალნიც არიან.[56]

ისტორიისადმი ამგვარი დამოკიდებულება გამოსჭვივის საისტორიო მუზეუმების დაარსებისადმი ილიას დამოკიდებულებაშიც. მოღვაწეობა ამ სფეროში მას მიაჩნია დიდი მნიშვნელობის მქონე მამულიშვილურ საქმედ. *ივერიის* 1889 წლის 20 თებერვლის მეთაური წერილში *საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო* ილია დიდი კმაყოფილებით საუბრობს საეკლესიო საისტორიო მუზეუმის დაარსებაზე. *ივერიაში* მუზეუმის წესდებაც დაიბეჭდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ილია იხსენიებს კავკასიის არქეოლოგიურ-ისტორიული მუზეუმის დაარსებას და მისი დამფუძნებლის მხნეობას უსვამს ხაზს:

> დიდი ხანია ლაპარაკი იყო, რომ აქაური სასულიერო წოდება აპირობს სიონთან დააარსოს მუზეი შესანახავად და დასაცავად ძველთა საეკლესიო ნაშთთა, რაც კი აღმოჩნდება საქართველოს საეგზარხოსოში. ჩვენდა სასიხარულოდ, ეს განზრახვა უკვე შეუსრულებიათ და სიონის ჩრდილოეთით, სიონისავე ეზოში, დღეს წამოჭიმულია ლამაზი შენობა მუზეისათვის და წესდებაც საეკლესიო–საისტორიო მუზეისა უკვე დამტკიცებულია და გაზეთებშიც გამოცხადებული ... ჩვენ აქ მთელ წესდებას არ მოვიხსენიებთ, რადგანაც ჩვენს გაზეთში ცალკე იბეჭდება. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ამ მუზეის დაარსებას ყველა ჩვენის ქვეყნის მოყვარე კაცი დიდის სიხარულით უნდა შეეგებოს, და ვინ იცის, ამ კაი ადგილას, კარგთა გამგებელთა ხელში თავმოყრილმა ძველმა ნაშთმა რამდენი ახალი საბუთი მისცეს ჩვენს ისტორიასა და ჩვენის ისტორიის მაძიებელთა და მკვლევართა. იმას აღარ ვიტყვით, რომ დღეის იქით, შიგ ჩვენს დედაქალაქში შეიკრიბება ეგ ძველი ნაშთები, კაი ბინა ექმნება, ყოველი ნივთი თუ ნაწერი წესსა და რიგზედ გარიგებული და ამ გზით ყოველი მოწადინესათვის ადვილათ ხელმისწვდენი, სამეცნიეროდ თუ სასწავლებლად გამოსაყენი იქნება ... “ყოვლად წმიდის ღვთის-შობლის ძმათა” საბჭოს საეკლესიო-საარქეოლოგიო ნაწილი მუზეისა ჩაუბარებია იმისთანა კაცთათვის, რომელთა შორის უფროს-ერთნი ცნობილნი არიან

[56] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, X – პუბლიცისტური წერილები, 1888 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ც. ყიფშიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. რ. ჩხეიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 389-390.

ვითარცა მცოდნენი და მკვლევარნი ჩვენის ისტორიისა და არქეოლოგიისა.[57]

ქართველი ერის განმტკიცება ილიასა და მისი *ივერიის* მიერ გააზრებულია როგორც კულტურული პროცესი და, შესაბამისად, განათლების საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აღნიშნული მედია საშუალების ფურცლებზე.

ქართველთა განათლების მდგომარეობის საკითხი *ივერიაში* დისკურსში უკავშირდება ორ ძირითად თემას: ქართული ერთობის მიმართებას "სხვებთან" (1) და ქართული ერთობის ელიტური და არაელიტური ნაწილის ურთიერთმიმართებას (2). პირველ შემთხვევაში "სხვებთან" შედარებით ქართველთა ჩამორჩენილობის ფაქტის დაფიქსირება ხდება და ამ გზით ანუ ეროვნული თავმოყვარეობაზე ზემოქმედების გზით, ნაციონალური სენტიმენტების გამძაფრებას ეწყობა ხელი. მეორე შემთხვევაში დისკურსის ყურადღების ცენტრშია ერთობის გაუნათლებელი ნაწილი ანუ "ხალხი", უშუალოდ მეურნეობაში ჩართული მოსახლეობის აზრით. ეს ნაწილი უნდა განათლდეს და დანარჩენთა თანასწორი გახდეს ცოდნის თვალსაზრისით. ორივე შემთხვევაში დისკურსის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქართული კულტურული ელიტა. მას მოეთხოვება ქართული იდენტობის გამოკვეთა "სხვების" პირისპირ, აგრეთვე,

[57] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, IX – პუბლიცისტური წერილები, 1887 (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ც. ყიფშიძემ; ტომის რედ. რ. კურსაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2006, გვ. 89, 90, 91. შდრ. *ივერიის* 1887 წლის 23 სექტემბრის მეთაურად დაბეჭდილი წერილი *საქმის სიყვარული წარმატების საწინდარია*, რომელიც ეხება ა.ს. როინაშვილის მიერ კავკასიის არქეოლოგიური და ისტორიული მუზეუმის დაარსებას და ოცი წლის განმავლობაში მის მესვეურობას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პიროვნებას ამ საქმისათვის საკმარისი სახსარი არ ჰქონია. ილიასათვის არსებითია არა მარტო ისტორიისათვის მუზეუმის მნიშვნელობა, არამედ საზოგადოებრივად აქტიური ადამიანის სახე და მისი მაგალითი. იხ. ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, IX – პუბლიცისტური წერილები, 1887 (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ც. ყიფშიძემ; ტომის რედ. რ. კურსაშვილი). თბილისი, ილიას ფონდი, 2006, გვ. 554-556.

შიდა ჯგუფური ერთგვაროვნების უზრუნველყოფა კულტურული თვალსაზრისით.

პირველი შემთხვევის საილუსტრაციო მაგალითად გამოდგება *ივერიის* 1889 წლის 26 და 27 ოქტომბრის ნომრებში გამოქვეყნებული ილიასეული მეთაური წერილები, რომელთა პიროზბითი ანუ გამომცემელთა მიერ შერჩეული საერთო სათაურია *ისევ განათლების საკითხებზე*. კერძოდ, აქ ვკითხულობთ შემდეგს:

> დღეს ჩვენშიაც კი ბევრი არ არის იმისთანა კაცი, რომ არ იცოდეს, – რა კარგი რამ არის ადამიანისათვის ცოდნა, სწავლა და განათლება. კარგი რამ არის, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, მეტად ფეხმოკლედ გვესმის ეს სიკარგე ცოდნისა და სწავლა-განათლებისა. ჩვენ იგი მოგვწონს როგორც იმისთანა მორთულობა, იმისთანა სამკაული, ურომლისოდაც ადამიანს შეუძლიან ასე თუ ისე ცხოვრების გზა დაჰლიოს, იოლად გამოვიდეს ხალხსა და ქვეყანაში, ერთის სიტყვით, ურომლისოდაც არც ჰშივა კაცს და არც სცივა. ამის გამო ცოდნის არქონას ისე ვუყურებთ, როგორც არქონას მორთულობისას, იმ სამკაულისას, რომელიც თუ არის, ხომ რა კარგი, თუ არადა, არ ჰღირს იმისათვის კაცმა თავი შეიწუხოს, თავი იტკინოს. ჩვენი შეცდომა სწორედ ამაშია. ცოდნა, სწავლა, განათლება ასე ახსნილი და გაგებული, სწორედ ცოდნისა და სწავლა-განათლების შეგინებაა, გაუპატიურებაა. ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელი კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია ... ჩვენი უცოდინარობა, უსწავლელობა ისე გვაბრკოლებს, რომ ცილობაც ვეღარ გაგვიწევია ახალმოსულთა უცხოელთათვის. ყველგან იგინი გვჯობნიან, ყველგან იგინი წინ გვისწრობენ, გამოსარჩენს საქმეს ხელიდან გვაცლიან. რას იზამთ? იმათკენ ცოდნაა, განათლებაა, მიხვედრილობაა, გაგებულობაა. ჩვენკენ კი უვიცობა, სიბნელე, მიუხვედრელობა, გაუგებლობა. ამ სამწუხარო მდგომარეობაში მყოფნი რით უნდა შევეჭიდნეთ, რით უნდა გავუმკლავდეთ სწავლითა და ცოდნით შეთოფიარაღებულს, ცოდნითა და სწავლით გაძლიერებულს და გათამამებულს? რასაკვირველია, იმავ იარაღით, რითაც ისინი იმარჯვებენ ჩვენზედ, ესე იგი ცოდნით და სწავლულებითა. სხვა ვერაფერი გაუსწორებს ომს ცოდნასა, თუ არა ისევ ცოდნა, სხვა ვერაფერი გვიხსნის სიღარიბისაგან, თუ არ ის ხერხი, ის უნარი, ის ძალღონე, რომელსაც მარტო ცოდნა და სწავლა-განათლება იძლევა. ტყუილი ჩივილია, ტყუილი ტირილია უფულობისა და უქონლობისა. უნდა ვტიროდეთ და ვჩიოდეთ უცოდინარობას, უვიცობას, იმიტომ რომ სათავე და მიზეზთამიზეზი ყოველ უბედურობისა ეგ უვიცობა, ეგ ცოდნის უქონლობაა ... აქედან აშკარაა რას უნდა ეტანებოდეს ჩვენი ქართველობა,

> თუ სურს, რომ ჯანი მიეცეს ... იგი უნდა ეტანებოდეს სკოლებს, სასწავლებლებს, ამ სწავლა-ცოდნის მომფენელთ და მომავლინებელთ. მაგრამ აბა ერთი უყურეთ ან ამ მხრივ რა ყოფაში ვართ. აქაც, ჩვენ საუბედუროდ სხვებზე უკან ვართ დარჩენილნი.[58]

ქართველთა თავმოყვარეობაზე გავლენის მოხდენას ისახავს აშკარად მიზნად 27 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული ქართველთათვის აშკარად არასახარბიელო სტატისტიკური მონაცემები, რომელთაც *ივერია* წარმოადგენს თბილისის რეალური სასწავლებლის წლიური ანგარიშის საფუძველზე. როგორც ირკვევა სასწავლებლის 358 მოსწავლიდან მხოლოდ 27 ყოფილა ქართველი, 138 – რუსი, 136 – სომეხი, 24 – გერმანელი, 16 – პოლონელი, 10 – თათარი, 4 – ბერძენი, 3 – ებრაელი. ძალზე საგულისხმოა ილიას კომენტარი ამ მონაცემების მოყვანის შემდგომ:

> მოდით და გული ნუ დაგეწვით მწუხარებით ამისთანა ამბის გაგონებისაგან! 358 შეგირდს შორის 27 ქართველია, მაშინ როდესაც სომეხი 136-ია, რუსი – 138-ი და გერმანელი – 24. მერე სად? საქართველოს დედაქალაქის, საქართველოს შუაგულის სასწავლებელში.[59]

ამ სტატისტიკის მიხედვით, რუსები მეტნი ყოფილან, მაგრამ ილია პირველ ადგილას სომხებს ასახელებს. აშკარაა, რომ ყველაზე მეტად გულდასაწყვეტად მას ეს ფაქტი მიაჩნია და ქართველთა შედარებით "მთავარ სხვებთან" ცდილობს თანამემამულეთა ეროვნულ თავმოყვარეობაზე ზემოქმედებას. მეორე წერილის ბოლო აბზაცში ილია მიუთითებს ქართველთა არასწორ დამოკიდებულებაზეც სწავლისადმი. ქართველები საჭიროდ არ თვლიან შვილების სწავლაში ფულის დაბანდებას და ეს არის მთავარი შეცდომა:

---

[58] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. XI – პუბლიცისტური წერილები, 1889–1890 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს მ. ნინიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. გ. ჯამბურია). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 341, 343, 344.

[59] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. XI – პუბლიცისტური წერილები, 1889–1890 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს მ. ნინიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. გ. ჯამბურია). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 345.

> აკი ვსთქვით, მსურველი შვილის სკოლაში მიბარებისა ბევრია, მაგრამ გვინდა კი, რომ ყოველივე ეს ან მუქთად მოგვეცეს, ან მოწყალებასავით სხვისაგან გვეძლიოს ... ჩვენ თითონ კი ამისათვის ხელის განძრევაც გვეზარება: თუ მოვა თავისთავად, ხომ რა კარგი, თუ არა უმაგისოდაც გავძლებთო, ვიტყვით ხოლმე. უმაგისოდ ვერ გასძლებთ, ვერა. ამ წუთისოფელში ბედი იმისია ვინც ძლიერია და ძლიერია, და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია.[60]

მეორე თემა, როგორც ითქვა, არის უბრალო ხალხის განათლება. *ივერიის* მიხედვით, ეს შეუძლია ქართველთა განათლებულ ნაწილს, მის კულტურულ ელიტას. აქ, სხვათა შორის, კარგად ჩანს ვინ არის *ივერიის* მოწოდებების მთავარი ადრესატი. ესაა განათლებული ქართველობა, რომელსაც გაცნობიერებული აქვს სოციალური ჰარმონიის აუცილებლობა და რომელსაც აკისრია მისია ქართველი ერის გამოღვიძებისა და აღდგინებისა. სინამდვილეში, როგორც ითქვა, ესაა ქართველი ერის შექმნის მისია. ეს პროცესი წარმოუდგენელია მასების მონაწილეობის გარეშე. შესაბამისად, დგება მარგინალური სოციალური ფენების ერთობის სრულფასოვან წევრებად შემოყვანის ამოცანა. აღნიშნული ამოცანის გადაჭრის გზაა განათლება. ნათქვამის ილუსტრაცია შესაძლებელია მრავალი მაგალითით. საკმაო ოდენობა ამ მაგალითებისა ჩვენ უკვე ზემოთ გვქონდა მოყვანილი. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ *ივერიის* 1886 წლის 2 მაისის ილიასეულ მეთაურ წერილზე, რომელიც გამოცემაში დასათაურებულია შემდეგნაირად – *ჩვენი ხალხი და განათლება*:

> ბევრს ჯერ პირველდაწყებითის განათლების ნიშანწყალიც არ მოსცხებია. ხალხმა უმეტეს ნაწილად წერა-კითხვაც არ იცის. წიგნების კითხვა ჩვენში სრულიად არ არის გავრცელებული, რომ ხალხმა თავის ავი მაინც გაიგოს თუ სხვის კარგს ჯერ კითხვით ვერ შეიძენს. ხალხი უმეცრების გამო სკოლას ეჭვით უყურებს და განს უდგება. ზოგიერთ ადგილას ხალხი პირდაპირ მტრულად ეკიდება სკოლას. მაგალითად, ამ დღეებში ჩვენი ერთი კორესპონდენტი გვწერდა, რომ ილორის საზოგადოება ცდილობს

[60] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. XI – პუბლიცისტური წერილები, 1889–1890 (მთ. რედ. ი. რატიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს მ. ნინიძემ და ლ. შავგულიძემ; ტომის რედ. გ. ჯამბურია). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 349.

> სკოლას ხელი შეუშალოსო ... განათლება, სწავლა, ცოდნა – აი ერთადერთი რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას ... თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისთვის, თავი ვიჩინოთ, რომ სიბნელე უმეცრებისა გავფანტოთ ... ამ ნიჭსა, გარჯას და მხნეობას ითხოვს დღეს ჩვენი ცხოვრება განათლებულის კაცისაგან და ან ვის მოსთხოვს სხვას, თუ არ განათლებულსა და მცოდნე კაცსა![61]

ამგვარად ისე ჩანს, რომ *ივერიის* პროპაგანდის სამიზნე ჯგუფი არის ქართველი ინტელიგენცია, ერთობის კულტურული ელიტა. ზრუნვის საგანი არის ხალხი, ფიზიკურ შრომაში უშუალოდ ჩართული მშრომელი ფენა. ჰომოგენურობის მიღწევის გზა კი არის საგანმანათლებლო პროცესის გაღრმავება.

ასეთია ძალიან სქემატურად ქართველი ერის ილიასეული და *ივერიასეული* კონცეფცია. შემდგომში ქართველი ერის იდეა განიცდის გარკვეულ ტრანსფორმირებას, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ბირთვი მისი კომპონენტებისა უცვლელად ნარჩუნდება.

[61] ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, VIII – პუბლიცისტური წერილები, 1886, მაისი-დეკემბერი (მთ. რედ. გ. ბენაშვილი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაუთო ლ. მეგრელიშვილმა; ტომის რედ. ზ. ჭუმბურიძე). თბილისი, ილიას ფონდი, 2007, გვ. 9, 10.

ბოლოსიტყვა

ამ გამოკვლევით, როგორც შესავალშივე აღინიშნა, ჩვენ მიზნად დავისახეთ ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესზე დაკვირვება. პრობლემის ამგვარი დასმა კი განაპირობა იმან, რომ, ჩვენი აზრით, ისტორიოგრაფიაში ქართველი ერის ჩამოყალიბების საკითხი არაა დამაკმაყოფილებლად შესწავლილი. ამ ფაქტის განმაპირებებელი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი, ჩვენი წარმოდგენით, პრობლემის თეორეტიზების არასათანადო დონეა.

ამიტომაც თავდაპირველად ჩვენ შევეცადეთ, რომ გამოკვლევისათვის ადექვატური თეორია შეგვერჩია. გზამკვლევად ავიღეთ ნაციის ინტერპრეტაციის ეთნო-სიმბოლისტური პარადიგმა, რაც, როგორც ითქვა, გულისხმობს ნაციების ეთნიკურ წარმომავლობას ანუ ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის მიმდინარეობას წინა მოდერნის ეპოქის კულტურული მოცემულობების საფუძველზე.

გარკვეულ საკითხებში ჩვენ ვიზიარებთ ნაციის ინტერპრეტაციის მოდერნისტულ მიდგომასაც. მაგრამ ამგვარ შემთხვევებშიც ჩვენთვის ამოსავალი კვლავ ეთნო-სიმბოლიზმი, სწორედ მისი შინაგანი ლოგიკით განპირობებული პოსტულატებია.

განსხვავებით არსებული ისტორიოგრაფიული პრაქტიკისაგან, რომელიც ერის ჩამოყალიბების ეკონომიკურ ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას, ჩვენ, პირველ რიგში, ანალიზის საგნად ვაქციეთ აზროვნებითი ფაქტები და ვცდილობთ მკითხველს ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესი დავანახოთ როგორც ქართველი ერის კონცეპტუალიზაციის პროცესის პრიზმაში გარდატეხილი რეალობა.

შესაბამისად ამ წიგნში საუბარია არა ქართველი ერის ჩამოყალიბების ეკონომიკურ საფუძვლებზე, მაგალითად, ქართული ნაციონალური ბაზრის ჩამოყალიბების, არამედ ქართული ნაციონალიზმის (ამ სიტყვას ვიყენებთ მისი სპეციფიკური აზრით ანუ როგორც ექსკლუზიურად მოდერნულობასთან დაკავშირებული ფენომენის აღმნიშვნელი ტერმინს) განვითარების ისტორიაზე.

როგორც გაირკვა, ქართული ნაციონალიზმი იბადება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, ხოლო მისი ჩანასახოვანი განვითარება უკვე მეთვრამეტე საუკუნეში არის სავარაუდებელი.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ნაციონალიზმი თავის არსით ანუ მიზნებით იყო პოლიტიკური და ელიტური; ნაციონალისტური მოძრაობა მოკლებული იყო მასობრივობას, ხოლო ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია არასრულყოფილებით ხასიათდებოდა.

მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში და მეორე ნახევარში ქართული კულტურული ელიტა აცნობიერებს ეროვნული იდეის დახვეწის აუცილებლობას და იწყებს ინტენსიური მოძრაობას ამ მიმართულებით წარმატების მისაღწევად.

ქართული ეროვნული იდეის სრული ვერსიის ავტორია დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, რომელიც თავისი არისტოკრატიული წარმოშობის მიუხედავად, იყო ქართული ერთობის ახლადშობილი კლასის – ქართული ბურჟუაზიის – წარმომადგენელი. სწორედ ამ პროგრესულ კლასს, რომელიც ესწრაფვოდა განეხორციელებინა კონტროლი ქართული ერთობის ყოველგვარ საკუთრებაზე (სულიერზე თუ მატერიალურზე), ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე თუ კულტურაზე და გრძნობდა კიდეც მზარდ საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას მშობლიური ქვეყნის წინაშე, ესაჭიროებოდა ქართველი ერის იდეა ანუ ქართველთა ეთნო-კულტურული რაობის ("ვინაობის") კონცეფცია, რათა ამ კოლექტიური "მეს" წარმომადგენლობით მიეღწია საქართველოში საკუთარი განსაკუთრებული უფლებების ლეგიტიმაციისათვის და დაპირისპირებოდა იმ დროს აქ მოქმედ უცხო ეთნიკური წარმომავლობის ბურჟუაზიას.

ჩატარებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით ჩვენ ვასკვნით, რომ *ივერიამ* ილია ჭავჭავაძის მეთაურობით თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობით ქართული ეროვნული კონცეფციის შექმნის ამოცანა გადაჭრა წარმატებით; მან პრაქტიკულად სრულად ასახა ქართველი ერის კონცეპტუალიზაციის შესახებ ქართული კულტურული ელიტის წრეში მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნეების მიჯნაზე არსებული დისკურსი, რაც ფაქტობრივად ნიშნავდა ქართველი ერის იდეის გავრცელებას. *ივერიამ* ქართველობა უზრუნველყო მრავალწახნაგოვანი და საოცრად დეტალური ეროვნული

ნარატივით. ხატოვნად, რომ ვთქვათ, ქართულ ნაციონალურ ერთობას *ივერიამ* "შთაბერა სული".[1]

აი, რაში მდგომარეობს, ჩვენი აზრით, ის მისია, რომელიც საქართველოს ისტორიაში შეასრულა აღნიშნულმა პერიოდულმა გამოცემამ.

ამ მოკლედ ფორმულირებულ დასკვნამდე მისასვლელად ჩვენ დაგვჭირდა *ივერიის* სრული კომპლექტის დეტალური და სისტემური შესწავლა ერის კონცეპტუალიზაციის უმთავრესი ინდიკატორების მიხედვით. ამ პროცესში, ერთი მხრივ, ყურადღების ცენტრში მოექცა *ივერიის* ზოგი ისეთი პუბლიკაცია, რომელიც აქამდე არასოდეს გამხდარა სპეციალური განხილვის საგანი, მეორე მხრივ, ისტორიოგრაფიაში ხშირად დამოწმებადი პუბლიკაციების დიდი ნაწილი წაკითხულ

[1] ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე აკაკი ჩხენკელი ქვეყნების ერთი ნაწილის მიერ 1920 წლის იანვარში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე ფაქტოდ აღიარებასთან დაკავშირებით საზოგადოების წინაშე გამოსვლისას გამოყოფდა ქართველთა ეროვნული განვითარების ოთხ მომენტს. მეორე მომენტად იგი ასახელებდა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებას. მისი მითითებით, ამ დროს საქართველოს სისხლ-ხორცი შეესხა, ქართველი ერი ფიზიკურ არსებად გადაიქცა. ამაში მას არ შეიძლება ცალსახად არ დავეთანხმოთ. პირველ მომენტად ანუ ქართველი ერის მიერ საკუთარი სულის დანახვის დღედ ა. ჩხენკელი მიიჩნევს 1917 წლის 19 ნოემბერს ანუ ეროვნული ყრილობის გახსნის დღეს (ა. ჩხენეკელის თვალსაზრისს ვიმოწმებთ გ. საითიძის წიგნის *პირველი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია – ერთა ლიგა და დემოკრატიული საქართველო. 1919–1921 წ.წ.* თბილისი, უნივერსალი, 2010, გვ. 36.). როგორც ცნობილია, ამ ყრილობაზე აირჩა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლობითი ორგანო *საქართველოს ეროვნული საბჭო*, რომელმაც 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს სუვერენული სახელმწიფო დემოკრატიული რესპუბლიკის სახით. ამგვარად, 1917 წლის 19 ნოემბერიც გარკვეულ აზრით, მართლაც, მოსაბრუნ მომენტად უნდა იქნეს მიჩნეული და აქაც შეიძლება დავეთანხმოთ აკაკი ჩხენკელს. თუმც აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ შთამბეჭდავი ისტორიული ექსკურსის დიდი ნაკლიც: ა. ჩხენკელს მხედველობიდან რჩება ყველაზე მნიშვნელოვანი ანუ საწყისი ფაქტი: ეროვნული სული ანუ ეროვნული იდეა, ვიდრე მას მთელი ქართული ერთობის მასშტაბით დაინახავდნენ 1917 წლის 19 ნოემბერს, მრავალი წლით ადრე ამ დღემდე ჩამოყალიბდა ილია ჭავჭავაძის და მის თანამოაზრეთა ძალისხმევის შედეგად.

იქნა სრულიად ახალი კუთხით. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე გამოკვლევა არა მარტო თვისებრივ განსხვავებულად ცდილობს ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის რეპრეზენტაციას, იგი *ივერიის*, როგორც საისტორიო წყაროს, ინფორმაციულ შესაძლებლობებსაც ახალი რაკურსით წარმოაჩენს.

როგორც შესავალშივე ვაუწყებდით მკითხველს, საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ჩვენი გამოკვლევა მოიცავს ორ წიგნს. წინამდებარე ტომში წარმოდგენილია, *ივერიის* მხოლოდ პირველი თხუთმეტი წლის მოღვაწეობის ამსახველი მასალის ანალიზი. დანარჩენი წლების მასალის ანალიზი საბოლოოდ შემაჯამებელი თავით და ორივე ტომისათვის საერთო საკუთარ სახელთა საძიებელით წარმოდგენილი იქნება მეორე წიგნში.

ყველა საქმიან რჩევას თუ შენიშვნას ავტორები მიიღებენ გულწრფელი მადლიერებით და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებენ კიდეც მათ თავიანთ მომავალ სამეცნიერო საქმიანობაში.

Coverage of the Process of the Georgian National Consolidation in Print Media Georgians as Readers of *Iveria*

Summary

The present study is part of the project *Print Media and the Process of Shaping of Georgian National Identity*: *Ilia's* "*Iveria*" (2008–2010), funded by LEPL Foundation for Georgian Studies, Humanities and Social Sciences (Rustaveli Foundation).

The monograph focuses on the modern epoch and the process of the Georgian national consolidation. It is the fourth book of the research series *The Georgian community and Its Identity*: *Ideas*, *Symbols*, *Perceptions*. The first three books of the series were devoted to the study of Georgian identity in the pre–modern epoch, having been implemented within the framework of the project *Collective Cultural Identities in the Context of the Religious Conversion*: *A Study of the Georgian Case and Generalizations* (2006–2008), also funded by LEPL Foundation for Georgian Studies, Humanities and Social Sciences (Rustaveli Foundation).

The idea of the establishment of the said research series belongs to the deceased scholar Lela Pataridze who was a participant of the both above mentioned grant projects.

The present book is dedicated to her blessed memory.

With respect to the theoretical knowledge available in the field of nationalism studies, the book is aimed at observing the process of the Georgian national consolidation based on one of the Georgian medias, specifically, the development of the process in question beginning from the 1870s till the middle of the first decade of the 21st century. Our study addresses specifically 1877–1906, that is, the period when *Iveria* was published. It is the principal source upon which we base the historical representation.

According to the widely shared approach, media plays a decisive role in the establishment and further development of collective cultural identities. The post-modern epoch is characterized by the media, based on qualitatively new technologies, threatening the existing world order with explosions, casing the strain of relationships between global and national identities both on political and cultural levels.

In its turn, the invention of writing had a similar powerful impetus. Written languages facilitated the creation of ethnic communities. As for the national stage of the identity evolution, it is associated with print media as a pre-requisite for the emergence of standard print languages. Print media facilitates the establishment of a network of readers of a common national scale – "imaginary society" (the term introduced by Benedict Anderson).

Print media is both a reflector and a catalyst of the process of nation-building. The double role makes it a unique source for the study of the issue in case.

The first Georgian printed book dates back to 17th century. As is known, it was a Georgian–Italian dictionary, published by Catholic missionaries in Rome in 1629. However, it was a detached fact and it could not essentially influence the development of Georgian identity. The situation changed in the 18th century; books were being printed in Georgia. Since the 19th century, the process of printing has become intensive. In 1819, the first Georgian newspaper was published. Since then, periodicals eventually began to play a significant role in the development of the Georgian unity.

Among these publications, the significance of *Iveria* has been quite particular as one of the most long-lasting print media in Georgia of the said epoch.

The general history of the periodical is as follows: its first issue was published on March 3, 1877, and its last issue was published on August 27, 1906.

In the beginning, *Iveria* was a weekly newspaper. Since, 1879, *Iveria* turned into a monthly magazine. However, its 11th–12th issue was not published, as stated in the announcement appended to the magazine. Since 1880, it was published in the form of an anthology once in three months.

Since 1881 till 1885, it was published as a monthly magazine. Since 1886, *Iveria* was a daily newspaper.

Ilia Chavchavadze was a founder and editor of *Iveria*. At various periods of time, it was edited by Sergei Meskhi (since January, 1880, till November, 1886, when the editorial boards of *Droeba* and *Iveria* merged), Ivane Machabeli (1st–5th issues in 1882), Alexandre Sarajishvili (since December 5, 1901, till A. Sarajishvili was a temporary editora, and I. Chavchavadze was a publisher; since July, 1902, A. Sarajishvili was an editor and publisher), Grigol Kipshidze (since July 5, 1903, till July 1, 1905, G. Kipshidze was a temporary editor, while A. Sarajishvili was a publisher); later, till the closing of the newspaper (since July 1, 1905, P. Gogichaishvili was a temporary editor, while Pavle Tuamanishvili was a publisher), it was edited by Pilipe Gogichaishvili.

Materials from *Iveria* have been widely applied in scholarly circulation. While studying various problems, scholars frequently refer to publications of *Iveria*. Irrespective of this fact, *Iveria* has never, as a whole, been presented as a historical source covering the process of national identity forging.

Based on a widely accepted viewpoint, the later half of the 19th century is the period when the Georgian nation was formed. Despite of the fact that we essentially share this approach, we do not consider it satisfactory how the said process has been represented in Georgian historiography. The matter is that the judgment about the origin of the Georgian nation had been confined within a mere statement of the fact. The reason of the drawback, existing in the study of the problem, is partly due to Marxist sociology which appears to be a theoretical basis for the most of the works concerning the issue in point.

In this case, we mean the main tendency. Unfortunately, the situation cannot be altered by the recent attempts to conceptualize the existing data within the framework of contemporary western theories.

Our goal is to reconsider the approach, having been still dominant in Georgian historiography by now, and to reconstruct a detailed picture of the national consolidation of Georgians based on the theoretical approaches distinct from Marxism. This book does not concern the economic and political factors of Georgian nation building process, but it tells on public perceptions, on history of Georgian nationalism, on conceptualization of Georgian national identity markers.

The process of the transformation of an ethnic community, having emerged based on a collective cultural identity, into a national community is characterized by the concentration of public interest on certain themes. Principal indicators of the process of national consolidation can be regarded the emergence of public interest in such themes as "people," "education," "mother tongue," "homeland," "others," "our others," "our unity," "our character," "our culture," "our destiny," "our women," "our heroes," "our roots," "our religion," etc. These themes and the intensity of public interest toward them can be viewed as indicators of the process of nation-making. The book analyzes *Iveria* publications with respect to these themes.

The abundance of the collected data and the impossibility of their reduction conditioned the voluminous character of the work to be published within the framework of the grant project. That is why it was decided to publish it in two volumes. The present book, that is Volume 1, is based on the data from *Iveria* of 1877–1891. The following one, that is Volume 2, will present the outcomes of the research based on the *Iveria* issues from 1892–1906.

Naturally enough, the work of the said goal initially posed the question what "nation" and "nationalism" are, as indicators of the national consolidation process. With respect to the above mentioned, the first part of the present book, *Theoretical Foundation*, presents our understanding of the said and some other notions based on the most up-to-date achievements in theorizing of the said phenomena in the specialist literature.

The second part of the work *Historical Background: Emergence of Georgian Nationalism*, tells about the realities of the earlier half of the 19th century, about the pre-requisites, based on which the Georgian nationalism of the later half of the 19th century and the earlier half of the 20th century, that is of the period when *Iveria* was published, emerged.

The third part of the work, *Data Analysis and Historical Representation*: 1877–1891, is an attempt to interpret the data with a view to the principal indicators of the a national consolidation process.

In its turn, this part consists of three sections; specifically, the data has been grouped according to the following periods: 1877–1881, 1882–1886, 1887–1891.

The present volume ends with the part *The Idea of Georgian Nation and Ilia's* "*Iveria*", presenting the process of the formation of the idea of the Georgian nation as it was treated by Ilia Chavchavadze, having been referred to as a father of the Georgian nation.

The Epilogue presents briefly the results of the analysis of the facts, having been collected in the publications of *Iveria* between 1877–1891.

Volume 2 presents the data from 1892–1906, being also divided into three sections: 1892–1896, 1897–1901, and 1902–1906.

"*Iveria*" *and Georgians as Its Readers* is the part of Volume 2 and of the book as a whole. It focuses on the principal results of the process of the conceptualization of the Georgian nation and the impact of the *Iverian* conception of the Georgian nation had on the Georgian community.

The chronological limits, indicated above the main parts and sections of the work, do not mean the periodization of the history of Georgia based on a particular trait. We merely selected the periods of equal length (approximately fifteen years for parts, and five years for sections). Such an approach makes it more adequate to analyze data. Besides, the comparison of the data from the periods of equal length provides an interesting picture in terms of the dynamics of the development of the process.

წიგნი ეძღვნება ქართველი ერის კონცეპტუალიზაციის პროცესის კვლევას. ამ მიზნით სპეციალურად შერჩეული ინდიკატოროების მიხედვით განხილულია *ივერიის* სრული კომპლექტი. ნაჩვენებია, რომ ილია ჭავჭავაძის *ივერიამ* ქართველობა უზრუნველყო მრავალწახნაგოვანი და დეტალური ეროვნული ნარატივით, ქართულ ერთობას *ივერიამ* „შთაბერა ეროვნული სული“.

ამგვარად, განსხვავებით არსებული ისტორიოგრაფიული პრაქტიკისაგან, რომელიც უმთავრესად ქართველი ერის ჩამოყალიბების ეკონომიკურ ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას, გამოკვლევის საგნად აზროვნებითი ფაქტებია ქცეული: ქართული ეროვნული იდეა და მისი იმპულსი ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობაზე.

გამოკვლევა მოიცავს ორ ტომს. წინამდებარე ტომში წარმოდგენილია, *ივერიის* მხოლოდ პირველი თხუთმეტი წლის მოღვაწეობის ამსახველი მასალის ანალიზი. დანარჩენი წლების მასალის შესწავლასა და საბოლოო შეჯამებას დაეთმობა მეორე ტომი.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი არის ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

ისტორიის დოქტორი ქეთევან მანია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორია.

ISBN 978-9941-17-469-8